მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა,

გოჩა მამულაშვილი

სისხლის სამართლის
კერძო ნაწილი

(წიგნი II)

სახელმძღვანელო იბეჭდება ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის
მიმართულების რეკომენდაციით

მეხუთე გამოცემა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2017

უაკ. (UDC) 343
ს-542

წინამდებარე წიგნი საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოს გაგრძელებაა. იგი მოიცავს ნარკოტიკულ, სატრანსპორტო, კიბერნეტიკულ, ეკოლოგიურ დანაშაულს, სახელმწიფო დანაშაულს, სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულს, სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ზოგად დახასიათებას და დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული სხვა მკითხველისათვის.

რედაქტორი **გ. მამულაშვილი**

ავტორები: **† მზია ლეკვეიშვილი** – თავი VIII (პროფ. ნ. თოდუასთან ერთად), IX (343-352 მმ.); XVI, XVII

ნონა თოდუა – თავი I, II, IV (303-306 მმ), VIII (პროფ. მ. ლეკვეიშვილთან ერთად);

გოჩა მამულაშვილი – თავი III, IV (287-302 მმ.); V, VI, VII, VIII (3391 მუხლი); IX (353-363 მმ.),X, XI, XII, XIII, XIV

დავით მუმლაძე – თავი XV

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2017

ISBN 978-9941-10-087-1 (ორტომეული)
978-9941-25-301-0 (II ტომი, გადამუშავებული გამოცემა)

შინაარსი

თავი I

ნარკოტიკული დანაშაული..... 15

§1. ნარკოტიკულ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება.....15

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 260-ე).....19

ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 261-ე).....44

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 262-ე).....48

საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების,მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 263-ე).....55

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (მუხლი 264-ე).....56

ნარკოტიკული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცალკეული სადავო საკითხები.....68

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება (მუხლი 265-ე). 93

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა (მუხლი 266-ე). 96

ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხლი 267-ე).....99

ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხლი 268-ე)..... 103

ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხლი 269-ე). 103

ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის,გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხლი 270-ე). 108

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა (მუხლი 271)..... 109

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება (მუხლი 272-ე)..... 114

პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა,შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება (მუხლი 273-ე). 118

იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება (მუხლი 274-ე). 125

თავი II

სატრანსპორტო დანაშაული 127

ზოგადი დებულებები 127

რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა (მუხლი 275-ე) 129

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა (მუხლი 276-ე)..... 133

სატრანსპორტოს საშუალების უხარისხო რემონტი, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვება (მუხლი 277-ე) . 147

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის გაუვარგისება (მუხლი 278-ე)..... 148

გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება (მუხლი 279-ე)..... 149

ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა (მუხლი 280-ე)..... 151

ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა (მუხლი 281-ე) ... 153
მატარებლის თვითნებური გაჩერება (მუხლი 282-ე) ... 154
მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 283-ე) ... 155

თავი III

კიბერდანაშაული ... 157
ზოგადი დებულებები ... 157
კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (მუხლი 284) ... 160
კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება (მუხლი 285) ... 163
კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა (მუხლი 286) ... 167

თავი IV

დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ... 171
ზოგადი დებულებები ... 171
დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 287-ე) ... 172
გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 288-ე) ... 174
მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 289-ე) ... 177
მუხლი 289[1] ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევა ... 178
ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 290-ე) ... 181
წყლით სარგებლობის წესის დარღვევა (მუხლი 291-ე) ... 182
წყლის დაბინძურება (მუხლი 292-ე) ... 184
ზღვის დაბინძურება (მუხლი 293-ე) ... 186
ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის

მავნე ნივთიერების, ანდა სხვა ნარჩენის, ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება (მუხლი 294-ე) 189
ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება (მუხლი 295-ე) 191
საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 296-ე) 193
მიწის გაუვარგისება (მუხლი 297-ე) 195
ნიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 298-ე) 197
ნიაღით უკანონოდ სარგებლობა (მუხლი 299-ე) 199
უკანონო თევზჭერა (მუხლი მე-300) 201
უკანონო ნადირობა (მუხლი 301-ე) 204
საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი, გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფელის მოშლა (მუხლი 302-ე) 208
ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა (მუხლი 303-ე) 210
ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 304-ე) 212
დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა (სსკ 305-ე მუხლი) 216
საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე (მუხლი 306-ე) 219

თავი V

დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ 222
ზოგადი დებულებები 222
საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა (მუხლი 308-ე) 225
ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება (მუხლი 309-ე) 228
საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა (მუხლი 310-ე) 231
უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა (მუხლი 311-ე) 232
საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა (მუხლი 312-ე) 233
სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა (მუხლი 313-ე) 235

ჯაშუშობა (მუხლი 314-ე) 237
შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად (მუხლი 315-ე) 241
სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება ან კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა (მუხლი 316-ე) 244
მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისა ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ (მუხლი 317-ე) 246
საბოტაჟი (მუხლი 318-ე) 247
უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება (მუხლი 319-ე) 252
სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (მუხლი 320-ე) 253
სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 321-ე) 256
მუხლი 321[1] საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსება ან ამგვარი საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა 259
სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიება (მუხლი 322-ე) 259

თავი VI

ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა 261
ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა (მუხლი 322[1]) 262
ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება (მუხლი 322[2]) 264

თავი VII

ტერორიზმი 266
ზოგადი დებულებები 266
ტერორისტული აქტი (მუხლი 323-ე) 272
ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა,

ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან გამოყენება ტერორისტული მიზნით (მუხლი 323[1]) 275
საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა (მუხლი 323[2]) 276
ტექნოლოგიური ტერორიზმი (მუხლი 324-ე) 278
კიბერტერორიზმი (მუხლი 324[1]-ე) 281
საქართველოს პოლიტიკურ თანამდებობის პირზე თავდასხმა (მუხლი 325-ე) 283
საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა (მუხლი 326-ე) 285
ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა (მუხლი 327-ე) 287
ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის გადაბირება (მუხლი 327[1]) 290
უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება (მუხლი 328-ე) 290
მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (მუხლი 329-ე) 292
საჰაერო ან წყლის ხომალდის, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი ან სატვირთო ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ტერორისტული მიზნით (მუხლი 329[1]) 295
სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (მუხლი 330-ე) 295
ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორაგნიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება (მუხლი 330[1]) 297
წვრთნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის (მუხლი 330[2]) 299
მუხლი 330[3] - ქურდობა ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით 302
330[4] გამოძალვა ამ თავით გათვალისწინებული ერთერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით 303
330[5] ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება ამ თავით

გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით 303
ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება (მუხლი 331-ე) 304
სსკ 331[1] მუხლი – ტერორიზმის დაფინანსება 305
331[2] მუხლი - ტერორისტული აქტის ხელშეშლისათვის ზომების მიუღებლობა 309

თავი VIII

სამოხელეო დანაშაული 311
ზოგადი დებულებები 311
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე) 320
სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მუხლი 333-ე) 327
ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება (მუხლი 334-ე) 331
განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიღების იძულება (მუხლი 335-ე) 334
სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხლი 337-ე) 340
ქრთამის აღება (მუხლი 338-ე) 342
ქრთამის მიცემა (მუხლი 339-ე) 359
ზეგავლენით ვაჭრობა (მუხლი 339[1]) 363
კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხლი 340-ე) 369
სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე) 372
სამსახურებრივი გულგრილობა (მუხლი 342-ე) 377
სპეციალური პენიტენციური სამსახურის ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში/დაწესებულებაში დადგენილი წესის დარღვევა (მუხლი 342[1]-ე) 382

თავი IX

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ 387
საქართველოს სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა (მუხლი 343-ე) 387
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა (მუხლი 344-ე) 389
საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანა

ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. (მუხლი 344[1]) 392
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა (მუხლი 345-ე) 396
საქართველოს სახელმწიფო ალმის უკანონოდ აღმართვა (მუხლი 346-ე) 398
შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა (მუხლი 347-ე). 399
გაფიცვის წესის დარღვევა (მუხლი 348-ე) 401
ადმინისტრაციულ წარმოებაში ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ანდა განზრახ არასწორად თარგმნა (მუხლი 348[1]) 403
ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა (მუხლი 348[2]) 406
საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა (მუხლი 349-ე) 408
საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა (მუხლი 350-ე) 409
საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემის გახმაურება (მუხლი 351-ე) 410
სახალხო დამცველზე ზემოქმედება (მუხლი 352-ე) 411
წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ (მუხლი 353-ე) 413
პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა (სსკ მუხლი 353[1]) 416
სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურება (მუხლი 354-ე) 418
ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა ანდა დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა (მუხლი 355-ე) 420
წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება (მუხლი 356-ე) 424
სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება (მუხლი 357-ე). 427
მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება (მუხლი 358-ე) 430
ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადის

გადახდისათვის თავის არიდება (მუხლი 359-ე) 432
თვითნებობა (მუხლი 360-ე) 435
ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენა ან გასაღება (მუხლი 361-ე) 439
ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (მუხლი 362-ე) 441
დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (მუხლი 363-ე) 446

თავი X

დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ 449
ზოგადი დებულებები 449

თავი XI

დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ 456
სამართალწარმოების განხორციელებისთვის, გამოძიებისთვის, ან დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლა (მუხლი 364-ე) 456
მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასთან ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით (მუხლი 365-ე) 464
მუხლი 365[1] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობაში უკანონო ჩარევა 468
სასამართლოს უპატივცემულობა (მუხლი 366-ე) 470
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება (მუხლი 367-ე) 473
ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოს დარღვევა (მუხლი 367[1]) 477
ნაფიცი მსაჯულის ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ სასამართლოს შეცდომაში შეყვანა (მუხლი 367[2]) 477

თავი XII

დანაშაული მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ 480

მტკიცებულების განადგურება (მუხლი 368-ე) 480

მტკიცებულების ფალსიფიკაცია (მუხლი 369-ე) 481

სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია (მუხლი 369[1]) 483

ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა ან არასწორი თარგმანი (მუხლი 370-ე) 485

მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა (მუხლი 371-ე) 490

მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა (მუხლი 371[1]) 493

ზემოქმედების განხორციელება მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე (მუხლი 372-ე) 495

ცრუ დასმენა (მუხლი 373-ე) 498

თავი XIII

დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება 504

გამოძიების მონაცემის გახმაურება (მუხლი 374-ე) 504

საბანკო ანგარიშის მონიტორინგის, მასზე ყადაღის დადებასთან ან კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მონაცემების გახმაურება – მუხლი 374[1] 507

დანაშაულის დაფარვა (მუხლი 375-ე) 509

დანაშაულის შეუტყობინებლობა (მუხლი 376-ე) 512

თავი XIV

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ 517

აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება (მუხლი 377-ე) 517

აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის/კერძო აღმასრულებლისათვის

ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა (მუხლი 377[1]-ე) 521

მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობა (მუხლი 377[2]-ე) 522

პენიტენციური დაწესებულების ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია (მუხლი 378-ე) 523

პენიტენციურ დაწესებულებაში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის, აგრეთვე დროებითი ყოფნის იზოლატორში ან ჰაუპტვახტში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული საგნის გადაცემა (მუხლი 378[1]) 530

პენიტენციურ დაწესებულებაში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ, აგრეთვე დროებითი ყოფნის იზოლატორში ან ჰაუპტვახტში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობა (მუხლი 378[2]) 534

დაკავების ადგილიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან ან მოთავსების სხვა ადგილიდან, გაყვანისას/გადაყვანისას, ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გაქცევა (მუხლი 379-ე) 537

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება (მუხლი 380-ე) 541

განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა (მუხლი 381-ე) 543

შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა (მუხლი 381[1]) 547

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა (მუხლი 381[2]) 550

თავი XV

დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ 553

ზოგადი დებულებები 553

თავი XVI

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ 566

ზოგადი დებულებები 566

თავი XVII

დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ 592

აგრესიის აქტის დაგეგმვა, მომზადება დაწყება ან წარმოება (მუხლი 404-ე) ..592

მოწოდება აგრესიის აქტის დაგეგმვისაკენ, მომზადებისაკენ, დაწყებისაკენ ან წარმოებისაკენ (მუხლი 405-ე) 595

მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შეძენა ან გასაღება (მუხლი 406-ე) 597

გენოციდი (მუხლი 407-ე) 599

დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (მუხლი 408-ე) 602

ეკოციდი (მუხლი 409-ე) 605

დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში (მუხლი 410-ე) 608

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს (მუხლი 411-ე) 611

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დასახიჩრებით (მუხლი 412-ე) 618

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა დარღვევა (მუხლი 413-ე) 620

თავი I

ნარკოტიკული დანაშაული

§1. ნარკოტიკულ დანაშაულთა ზოგადი დახასიათება

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსით,ადრე მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, პასუხისმგებლობა ნარკოტიკული დანაშაულისათის დაწესებულია ცალკე თავით (თავი XXX.III). ეს თავი სსკ მე-9 კარის – დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ – შემადგენელი ნაწილია.

სსკ XXXIII თავმა 2006, 2007 წლებში მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილება განიცადა. კერძოდ, ზოგიერთი დანაშაულისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა იურიდიულ პირზე (მაგალითად, სსკ 260-261-262 და სხვა მუხ.), ასევე ცვლილება განიცადა სანქციებმა და ზოგიერთმა ნორმა შეიცვალა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

ამ თავში **სერიოზული ცვლილებები შევიდა 2014, 2015 წლებში,** რითაც ამ მას დაემატა დანაშაულის ახალი საგანი (ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება), შეიცვალა სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის არსი და რაც მთავარია, აშკარა გახდა, რომ **დაწესდა დიფირენცირებული მიდგომა** სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გასაღებისა და ამ ნივთიერების მიმართ სხვა უკანონო ქმედების ჩადენისას (ამ საკითხებზე დატალურად იქნება საუბარი შესაბამისი ნორმების განხილვისას). საკითხის ამგვარად გადაწყვეტა სავსებით სამართლიანია, რადგან საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გასაღება და მის მიმართ განხორციელებული სხვა ქმედება (შეძენა, შენახვა და ა.შ.), რომლის მიზანი შესაძლოა არც იყოს ამ ნივთიერების გასაღება.

„ნარკოტიკი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გაშტერებას, გაშეშებას, ე.ი. ნარკოტიკული საშუალების მიღება იწვევს პირის უგონო მდგომარეობას.

სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ზოგი იწვევს სტიმულირებას ან აღგზნებას, ახდენს დამთრგუნველ ზემოქმედებას, ხოლო ნარკოტიკულ საშუალებათა ნაწილი განაპირობებს ჰალუცინაციების წარმოშობას.

ნარკოტიკულ საშუალებას კაცობრიობა უძველესი დროიდან იყ-

ენებდა სხვადასხვა მიზნით: გასართობად, რელიგიური რიტუალის ჩასატარებლად, მრეწველობაში (ნარკოტიკული მცენარისაგან ამზადებენ ქაღალდს), სამედიცინო დანიშნულებისათვის.

ნარკოტიკული საშუალება მედიცინაში, კერძოდ, ქირურგიაში უძველესი დროიდან გამოიყენება. თანამედროვე მედიცინაში მას იყენებენ თერაპიული მკურნალობის დროსაც, როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას.

ძირითადი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა მორფინის ჯგუფის პრეპარატები (ნარკოტიკული ანალგეტიკები). მათ გარდა, მორფინის ჯგუფს მიეკუთვნება კოდეინი, ომნოპონი, პრომედოლი, ჰალფიუმი და სხვ. ამ ნივთიერებების არაერთგზისი მიღება იწვევს მისდამი ფიზიკურ და ფსიქიკურ შეჩვევას.

ნარკომანიით გამოწვეული ზიანის ობიექტურად შეფასებისათვის საჭიროა სრულყოფილად იქნეს შესწავლილი, თუ რა ზეგავლენას ახდენს ნარკოტიკული საშუალება ადამიანის ორგანიზმსა და მის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

ნარკოტიკული საშუალების მიღება ადამიანში იწვევს **ეიფორიულ** მდგომარეობას, ხოლო თანდათანობით იზრდება **ტოლერანტობა** ამ ნივთიერებისადმი; უფრო მოგვიანებით კი ვითარდება **აბსტინენცია**, ანუ ნარკოტიკული შიმშილი (ამ ნივთიერებისადმი ფიზიკური დამოკიდებულება).[1] ნარკოტიკული საშუალების პოტენციური მომხმარებლები არიან სასოწარკვეთილი ადამიანები, რომლებიც ნებისყოფის ნაკლებობის გამო ვერ უმკლავდებიან ცხოვრებისეულ პრობლემას, ან ადამიანები, რომლისთვის მთავარი ღირებულება სიამოვნების მიღებაა.

ნარკოტიკულმა დანაშაულმა უკვე საერთაშორისო მასშტაბები მიიღო და, ამდენად, მის წინააღმდეგ ბრძოლაც გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს. ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ. ეს კონვენციებია: გაეროს 1961 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალების შესახებ", გაეროს 1971 წლის კონვენცია „ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ", გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". ამ უკანასკნელს დართული აქვს I და II ცხრილი, სადაც ჩამოთვლილია ის ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო დამზადებისას და, ამდენად, მათზე საჭიროა კონტროლის დაწესება.

აღნიშნულ კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლა-

[1] А. Габиани, Наркотизм, Тб., 1977, с.13.

მენტმა მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" (2002 წ. 5 დეკემბერი). ასევე 2007 წ. 3 ივლისს მიღებული იქნა კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", რომელმაც არაერთხელ განიცადა დამატება და ცვლილება.

საქართველოს სსკ XXXIII თავში გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულისაგან **სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია** მოსახლეობის (საზოგადოების) ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა, ასევე ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვის კანონით დადგენილი წესის დაცვას. ბოლო დროს ლიტერატირაში სს-ვი დაცვის ობიექტად ასევე უთითებენ მოსახელობის უსაფრთხოებასაც[2].

ამ დანაშაულთა უმრავლესობას აქვს თავისი საგანი; მაგალითად, ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება (სსკ 260-ე, 262-ე, 264-ე, 273-ე მუხლები), ასევე ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება (სსკ 261-ე, 263-ე, 264-ე) და ყალბი რეცეპტი (სსკ 267-ე, 268-ე მუხლები).[3]

ობიექტური მხრივ განსახილველ დანაშაულთა უმრავლესობა აქტიურობითაა ჩადენილი (260-ე,261-ე,262-ე,263-ე,264-ე,265-ე,266-ე,267ე, 268-ე, 271-ე, 272-ე, 273-ე მუხლები). ზოგი მათგანის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (269-ე მუხლი). ობიექტური მხრივ ამ დანაშაულთა უმრავლესობა ფორმალური შემადგენლობისაა, ე.ი. დამთავრებულია ქმედების ჩადენისთანავე (სსკ 262-ე, 263-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე), ხოლო ზოგ შემთხვევაში აუცილებელია კანონში მითითებული შედეგის დადგომა (264-ე, 269-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწ. 270-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწ., 272-ე მუხლი). ობიექტური მხარის ფაკულტატურ ნიშნებს (ხერხი, საშუალება, დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი) მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს იშვიათ შემთხვევაში (სსკ 262-ე მუხლი – საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა; სსკ 264-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ვ"

-2472-

[2] იხ. Л. И. Романова, Наркопреступност: криминологическая и уголовно - правовая характеристика, Владимирск, 2009, ст. 192; narkotikuli danaSaulisagan ssvi daevis obieqtis sadao sakiTxebze ix. Бобраков , С .И . Утоловная ответственост за незаконное приобретение, хранение либо сбыт наркогических средств, М. 2005, ст. 62-70

[3] ამ დანაშაულთა საგანზე იხ. Панова, Е. В. Предмет Преступлений связанных с незаконным оборотом наркотических средств и психотропных вещест, М. 2005 გვ. 92-157; Л. И. Романова, დასახ. ნაშრ. ст. 190-192; Бобраков , С .И . დასახ. ნაშრ, ст. 70-73

და მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტები).

ნარკოტიკულ დანაშაულთა ამსრულებელი უმრავლეს შემთხვევაში არის ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. მაგრამ გვხვდებიან სპეციალური ამსრულებლებიც. კერძოდ ისინი, ვინც ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას (სსკ 260-ე მუხლის მე-2 ნაწ. „გ“ პუნქ.; 261-ე მუხლის მე-3 ნაწ. „გ“ პუნქ.; 262-ე, 263-ე, 264-ე, 265-ე მუხლების მე-2 ნაწ. „გ“ პუნქ. და სხვ.), ასევე 269-ე და 270-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს სჩადიან სპეციალური სუბიექტები.

ბრალის ფორმის მიხედვით ნარკოტიკულ დანაშაულთა უმრავლესობა განზრახია. კერძოდ, მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით.

ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთება შესაძლებელია ნარკომანის მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონო დამზადების, შეძენისა თუ შენახვისათვის პირადი მოხმარების მიზნით. მართალია, ნარკომანს აქვს დაუძლეველი (ავადმყოფური) სურვილი ნარკოტიკული საშუალების მიღებისა,რისგანაც თავის შეკავება არ შეუძლია,მაგრამ ბრალეული პასუხისმგებლობის საფუძველი,ამ შემთხვევაში,გადატანილია იმ მომენტისათვის, როცა პირი ჯერ კიდევ არ იყო ნარკომანი და ჰქონდა თავისი ქმედების შეფასებისა და მასზე ხელმძღვანელობის უნარი. ამდენად, როცა პირი იწყებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებას, იგი ამ დროიდან უპასუხისმგებლოდ ეკიდება ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ნორმატიულად დადგენილ ვალდებულებას, ამასთან იცის, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებას და ამის მიუხედავად, მაინც აგრძელებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებას.[4]

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების ამგვარი შემთხვევები იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია action Libera in causa-ს სახელწოდებით.[5] მაგრამ განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე სომატონარკომანების მიმართ.

სომატონარკომანი არის პირი, რომელიც დაავადებულია ტკივილის სინდრომით მიმდინარე რომელიმე სომატური ავადმყოფობით. მას კანონიერად აქვს დანიშნული ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკული საშუალება და მის მიმართ დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბდა ფიზიკური ან/და ფსიქიკური დამოკიდებულება.

როგორც ვხედავთ, სომატონარკომანის ბრალი არაა ის, რომ მას განვითარებული აქვს ნარკოტიკების მიღებისადმი დაუძლეველი სურ-

[4] ბრალის შესახებ იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღ., ავტ. კოლექტ. თბ. 2016, (მე-2 გამოცემა), გვ. 227-232

[5] Таганцев Н. С. Русское уголовное право. Ч. Общая, т. I, 1994, с. 175.

ვილი. ამდენად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისადმი სომატონარკომანის ბრალის დასაბუთება შეუძლებელია და არ არსებობს ამ ქმედებისადმი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების საფუძველი.

იგივე შეიძლება ითქვას იმ პირის მიმართ, რომელიც ნარკომანი გახდა იმის გამო, რომ სხვამ ძალადობის გამოყენებით მის ორგანიზმში არაერთგზის შეიყვანა ნარკოტიკული საშუალება. ასეთ შემთხვევაში ნარკომანი სხვისი ძალადობის მსხვერპლია.

ნარკოტიკულ დანაშაულებში დანაშაულის მიზანი ზოგჯერ წარმოადგენს მაკვალიფიცირებელ გარემოებას (სსკ 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე, 273-ე მუხლები). იშვიათ შემთხვევაში ნარკოტიკულ დანაშაულთა ჩადენა შეიძლება გაუფრთხილებლობითაც (სსკ 269-ე, 270-ე მუხლები).

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (მუხლი 260-ე).

წინამდებარე მუხლი თავისი შემადგენლობით 2015 წელს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე არსებითად განსხვავდებოდა ადრე მოქმედი სს კოდექსის შესაბამისი მუხლისაგან, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ 2000 წლის კოდექსი, როგორც წესი, არ ანსხვავებდა ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებლისა და გამსაღებლის პასუხისმგებლობას (გამონაკლისი იყო სსკ 273-ე მ.).

2015 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ კი სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული საშუალების გასაღებისათვის დაწესდა გაზრდილი სს-ვი პასუხისმგებლობა ამ მუხლის ცალკე ნაწილით, რაც როგორც უკვე აღინიშნა, საკითხის სამართლიანი გადაწყვეტაა, რადგან გასაღებისას პირი ხელყოფს არა საკუთარ, არამედ სხვის სამართლებრივ სიკეთეს.

აღნიშნული დანაშაულისაგან **სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია** მოსახლეობის ჯანმრთელობა (როგორც სულიერი, ისე სხეულებრივი) და ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც მოწესრიგებულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ან პრეკურსორის ბრუნვის კანონით განსაზღვრული წესით. აღნიშნული წესი დადგენილია როგორც კანონით – „ნარკოტი-

კული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორის და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", ისე იმ საერთაშორისო კონვენციებით, რომელსაც საქართველო შეუერთდა და რომლებიც აწესრიგებენ ამ საკითხს.

დანაშაულის საგანია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სხვადასხვა ნივთიერება. **კერძოდ,** ამ მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულის საგანს** წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.

ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება, მაგალითად: კოკაინი, ოპიუმი, მორფინი, მარიხუანა, ჰეროინი, ჰაშიში, ყაყაჩოს ნამჯა და ა.შ.

საერთოდ, საკითხის გადაწყვეტა – მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის ნივთიერება ნარკოტიკულ საშუალებებს, **ფორმალურ-იურიდიული** საკითხია და **არა სამედიცინო**. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს სასამართლომ არ შეიძლება იხელმძღვანელოს ფარმაცევტული ცნობარებით,ან თუნდაც მოცემული ნივთიერების შეფასება მოახდინოს როგორც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებისა მათი ქიმიური თუ ფარმაკოლოგიური დახასიათების საფუძველზე. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ სპეციალური სიით, რომელიც თან ახლავს საქართველოს კანონს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ". ე.ი. ნარკოტიკულ საშუალებად უნდა ჩაითვალოს სწორედ ის ნივთიერებები, რაც ჩამოთვლილია ამ სიაში. თუკი ეს ნივთიერება (და არა მისი რომელიმე ინგრედიენტი) არაა შეტანილი ამ სიაში, სახეზე არა გვაქვს ნარკოტიკული საშუალება. **მაგალითად,** „ყაყაჩოს თესლი", ე.წ. „დამამძინებელი ყაყაჩო" სხვა ნივთიერებებთან ერთად, შესდგება ნარკოტიკული საშუალებისგანაც, მაგრამ იგი არ წარმოდგენს ნარკოტიკულ საშუალებას, რადგან არაა შეტანილი ზემოთხსენებულ თანდართულ სიაში (ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით საუბარი იქნება მოგვიანებით) .

აქედან გამომდინარე, ნარკოტიკული საშუალების ცნება მოიცავს ორ ასპექტს: სამედიცინო და იურიდიულ ასპექტებს. სს კოდექსში იგულისხმება ამ ცნების იურიდიული ასპექტები. კერძოდ, ნარკოტიკულ საშუალებაში იგულისხმება სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერება, პრეპარატი, მცენარე, რომლებიც გაეროს კონვენციის დებულებათა შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემებარებული ნივთიერების ჩამონათვალში.

რაც შეეხება პრეკურსორს, ესაა ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების საწარმოებლად, დასამზა-

დებლად, გადასამუშავებლად და გაეროს კონვენციების დებულებათა შესაბამისად შეტანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩამონათვალში.

ნარკოტიკული საშუალების ანალოგებში იგულისხმება საქართველოში ბრუნვისათვის აკრძალული სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის საშუალებები ან ნივთიერებები, რომელთა დახასაითება **მოიცავს ორ ასპექტს**: ნეგატიურ და პოზიტიურ ასპექტებს. **ნეგატიურ ასპექტში** იგულისხმება ის, რომ ანალოგების მოლეკულური სტრუქტურა არ ემთხვევა სპეც. კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებათა სტრუქტურას და ამდენად, ისინი არ არიან შეტანილი კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიებში. ხოლო **პოზიტიურ ასპექტში** იგულისხმება ის, რომ მათი ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედება მსგავსია (ანალოგიურია) კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში შეტანილი ნარკოტიკული საშუალების ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედებისა.

ამდენად, თუკი შესაბამისი ექსპერტიზით დადგინდება ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერების მოლეკულური სტრუქტურა, ასევე დადგინდება, რომ მოცემულ ნივთიერებას აქვს თვისება, ნარკოტიკული საშუალების ანალოგიური ზემოქმედება მოახდინოს ორგანიზმზე, სახეზეა ნარკოტიკის ანალოგი. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე არაა დანაშაულის საგანი, რადგან ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ. ამის შემდეგ სათანადო ორგანოების მიერ ამ ნივთიერებას მიენიჭება შესაბამისი სახელწოდება და იგი შეტანილი იქნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიაში, როგორც ნარკოტიკული საშუალება. ამ დღიდან იგი უკვე ნარკოტიკულ საშუალებას წარმოადგენს (და არა მის ანალოგს), რადგან ცნობილია მისი მოლეკულური სტრუქტურა და ისიც, რომ მას ორგანიზმზე აქვს ნარკოტიკული საშუალების შესაბამისი ზემოქმედების უნარი.

რაც შეეხება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, იგი დანაშაულის საგნად სსკ 260-ე მუხლს ბოლო დროს (2014 წლის 1 მაისის კანონით) დაემატა. საქართველოს კანონით (მუხლი მე-2. პუნქ. პირვ.) „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესახებ", ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე, რომლებიც არ არის განსაზღვრული „ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ" 1961 წლის ერთიანი კონვენციითა და „ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1971 წლის კონვენციით; 2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევაზე; ბ) სპეციალურ კონტროლს

დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე. მუხლი (მე-2 მუხ. მე-2 პუნქ.).

ამ კანონის მიხედვით (მუხ. მე-3) გასაზღვრულია შემდეგ ტერმინთა ცნება:

ა) ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება _ ამ კანონის დანართებით განსაზღვრული ნივთიერება ან მინარევი, რომელსაც მოხმარების შემთხვევაში ადამიანის სხეულში ფსიქოაქტიური ზეგავლენის გამოწვევა შეუძლია;

ბ) ფსიქოაქტიური ზეგავლენა _ აღქმის, გუნება-განწყობის, ცნობიერების, შემეცნებისა და ქცევის შეცვლის თანამდევი ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობა;

გ) ნივთიერება _ ბუნებრივი ან სინთეზურად დამზადებული ქიმიური ნაერთი;

დ) მინარევი _ ნარევი ან ხსნარი, რომელიც ერთ ან ერთზე მეტ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს.

ამ კანონით (მუხ. მე-4) აკრძალულია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვა. კერძოდ, აკრძალულია:

1. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება, საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა;

2. ნებადართულია სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობების განხორციელების მიზნით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება, საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა;

3. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობების განხორციელების მიზნით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების, საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის ნებართვაზე ვრცელდება ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნებართვებისთვის დადგენილი წესი.

4. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ამ ნივთიერებებს წარმოდაგენს **მაგალითად**, 2-დფმპ, 2-გელბისი, დესმეთილტრამადოლი, ეტაქუალონი, გერანამინი, კრატომი და სხვ. ყვალა მათგანზე საქართველოს კანონით „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესახებ" დადგენილია შესაბამისი მოლეკულური სტრუქტურა (იგი მოცემულია ამ კანონის დანართში).

ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს ბაზარზე „აბაზანის მარილს" უწოდებენ და 2014 წელს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე

მათი შეძენა თავისუფლად შეიძლებოდა მაგალითად, ინტერნეტის საშუალებით.

საქართველოს კანონში „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" ჩამოთვლილია საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების სია:

ა) I სია მოიცავს ნარკოტიკული საშუალებების კრებსით ჩამონათვალს.

ბ) II სია – მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალს; საქართველოში ეს ნივთიერებები სამედიცინო მიზნით გამოყენებისას აკრძალულია. ესენია განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით,ასეთი ნარკოტიკული საშუალებაა, მაგალითად: აცეტილირებული ოპიუმი, ჰაშიში (ანაშა), ჰეროინი (დიაცეტილმორფინი), კანამირი (მარიხუანა), ეფედრინი (მეტკატინონი) და სხვ.

გ) III სია – შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალი.

ესენია ის ნარკოტიკული საშუალებები,რომელთა სამედიცინო მიზნით გამოყენება საქართველოში ნებადართულია (მაგალითად, მორფინის ჯგუფის პრეპარატები).

IV სია – ფსიქოტროპული ნივთიერების ჩამონათვალი.[6]

V სია – პრეკურსორების ჩამონათვალი.

ეს სია კანონით დადგენილ შემთხვევაში ცვალებადია.

რაც შეეხება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების სიას, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი მოცემულია „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესახებ" საქართველოს 2014 წლის კანონის დანართში.

განსახილველი ნორმის ობიექტური მხარე გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:

1. მითითებულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება; 2. უკანონო წარმოება; 3. უკანონო შეძენა; 4. უკანონო შენახვა; 5. უკანონო გადაზიდვა; 6. უკანონო გადაგზავნა (ამ მუხლის პირვ. ნაწ.); 7. უკანონო გასაღება (ამ მუხლის მე-4 ნაწ.)[7]

[6] სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებში იგულისხმება გაეროს კონვენციების, დებულებათა შესაბამისად, საქართველოში ბრუნვაზე კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები ან პრეკურსორები.

[7] ამ დანაშაულთა ობიექტურ მხარეზე იხ. В. В. Ткаченко, С. В. Ткаченко, Уголовая отвественность за незаконный оборот наркотиков, Барнаул, 2011, ст. 73-100; Алиева, Р. Х. Уголовно-прововые и криминологические проблемы

ამდენად, სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, საიდანაც ერთ-ერთის ჩადენა საკმარისია დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის.[8]

ჩამოთვლილ ქმედებათა უკანონობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ქმედებები ჩადენილია ნარკოტიკული ნივთიერების, მათი ანალოგისა და პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ბრუნვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით და სათანადო ნებართვის გარეშე.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსოქოაქტიური ნივთიერების **უკანონო დამზადებაში** იგულისხმება განზრახი მოქმედება, როცა პირი, ვისაც არა აქვს საამისო კანონიერი უფლებამოსილება, ნარკოტიკების შემცველი მცენარისაგან, პრეპარატისგან, ანდა ქიმიური თუ სხვა სახის ნივთიერებისაგან მიიღებს მოხმარებისა ან გამოყენებისათვის მზა ერთ ან რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს, რომელიც შეტანილია სპეციალურ სიაში და მათ ბრუნვაზე დაწესებულია სახელმწიფო კონტროლი. ტერმინი „**დამზადება**“ უნდა განვასხვაოთ ტერმინ **„მომზადებისაგან“**. ნარკოტიკული საშუალების მომზადებაში იგულისხმება შესაბამისი ლიცენზიის მქონე აფთიაქში რეცეპტის საფუძველზე სათანადო ტექნოლოგიით ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებისათვის წამლის ფორმის მიცემა. უკანონო დამზადება შეიძლება მოხდეს **სხვადასხვა ხერხით:** მექანიკური, ფიზიკური თუ ქიმიური მეთოდების გამოყენებით და ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

უკანონო დამზადებად ჩაითვლება ასევე მოქმედება, რომლის შედეგადაც მოცემულ ნარკოტიკულ საშუალებაში გაიზარდა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობა (კონცენტრაცია) და, ამდენად, ეს ნივთიერება უფრო ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალება გახდა. უკანონო **დამზადებად არ უნდა ჩაითვალოს** ნარკოტიკების შემცველი მცენარეების მოპოვებისას (უკანონო შეძენა) მისი გაწმენდა სხვადასხვა მინარევისაგან, გასუფთავება, დანაწილება, რათა გამოყენებისათვის უფრო მოხერხებული იყოს. ე.ი. მათი ისეთი გადამუშავება, რა დროსაც არ ხდება ნარკოტიული საშუალების კონცენტრაციის გაზრდა.

უკანონო დამზადება **დამთავრებულ დანაშაულად** ჩაითვლება მაშინ, როცა მიღებულ იქნება უკვე გამოყენებისათვის მზა ნივთიერება.

борьбы с незаконным оборотом наркотоков, Мачачкала, 2005, ст. 73-88; Л. И. Романова, Наркопреступност: криминолотическая и уголовно правовая характеристика, Владимирск, 2009, ст. 197-202; Бобраков , С .И . Утоловнная ответственност за незаконное приобретение, хранение либо сбыт наркотических средств, М. 2005, ст. 76-90.

[8] ამ საკითხზე იხ. გ. მამულაშვილი, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. თბ. 2016, (მე-2 გამოცემა), გვ.459-461

თუკი პირი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ცდილობდა ნარკოტიკული საშუალების დამზადებას, მაგრამ ვერ მოახერხა გამოყენებისათვის მზა ნივთიერების შექმნა, მაშინ ადგილი ექნება ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადების მცდელობას და მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ მე-19, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მართალია, სახეზეა შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაული, მაგრამ რადგან სახეზეა რამდენიმე აქტიანი ქმედება, მცდელობა შესაძლებელია.[9]

უკანონო წარმოების დროს ადგილი აქვს არა ერთი ან რამდენიმე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ანდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებას, არამედ ქიმიური ნივთიერებისაგან, მცენარეებისა ან ბუნებრივი მასალებისაგან სპეც. კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერების სერიულ მიღებას. ამდენად, უკანონო წარმოება უფრო საშიშია თავისი მნიშვნელობით, ვიდრე უკანონო დამზადება, ვინაიდან წარმოება უფრო მასშტაბურია.

წარმოება კანონიერია მაშინ,როცა შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირი აწარმოებს: ა) IV სიაში მითითებულ ფარმაცევტული წარმოებისათვის ნებადართულ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს; ან ბ) იმ პრეპარატებს, რომლებიც შეიცავს III სიაში (შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება) მითითებულ, ფარმაცევტულ საქმიანობაში გამოყენებისათვის ნებადართულ ნარკოტიკულ საშუალებებს. ეს პრეპარატები მზა პროდუქციის სახით არ უნდა იყოს შეტანილი ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალში. ამდენად, ეს დამზადების შედეგად მიღებული პრეპარატი ერთ-ერთი ინგრედიენტის სახით შეიძლება შეიცავდეს მორფინის ჯგუფის პრეპარატს, მაგრამ მთლიანობაში არ უნდა წარმოდგენდეს მას.

უკანონო შეძენა გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მოპოვებას უკანონოდ, სხვადასხვა გზით: მათი ყიდვა, მათი მიღება გასესხებული ნივთის სანაცვლოდ (მაგ., ფულის გამსესხებელმა ფულის ნაცვლად მოვალისაგან აიღო ნარკოტიკული საშუალება); სხვისთვის გაწეული სამსახურისა ან სამუშაოსათვის ფულის ნაცვლად ნარკოტიკული საშუალების მიღება; სხვა ნივთში გაცვლა; ნაპოვნი ნარკოტიკული საშუალების მითვისება; ველურად აღმოცენებული ნარკოტიკული მცენარეების შეგროვება; ანდა მათი შეგროვება მიწის ისეთ ნაკვეთზე, რომელსაც ჰყავს მესაკუთრე, მაგრამ ეს მცენარეები მესაკუთრის მიერ არაა დათესილი ან მოყვანილი და ისინი ბუნებრივად აღმოცენდნენ. ამ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალებების მოყვანაზე ადამიანის შრომა არაა დახარჯული და, ამ-

[9] ამ საკითხზე იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ნიგნში; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2016 (მე-2 გამოცემა), გვ.282

დენად, მათ არა აქვთ მატერიალური ღირებულება, თანაც ისინი არ იმყოფებიან ვინმეს მფლობელობაში. ამიტომ ეს ნარკოტიკული საშუალებები არ წარმოადგენენ სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს. უკანონო შეძენად უნდა ჩაითვალოს ასევე მოსავლის აღების შემდეგ დაუცველ მინდვრებში დარჩენილი ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარეების შეგროვება. საქმე ისაა, რომ, მართალია, ამ შემთხვევაში ეს მცენარეები მოყვანილ იქნა კანონიერად და მასზე გარკვეული შრომაცაა დახარჯული, მაგრამ მოსავლის აღების შემდეგ იგი ნარჩენის სახით დატოვებულ იქნა დაუცველ ადგილზე თვით მესაკუთრის მიერ. ამდენად, ეს მცენარეები უკვე გამოსულია მესაკუთრის მფლობელობიდან მისივე ნებით და არავის საკუთრებაში არ იმყოფება. ამდენად, აქაც ზედმეტია საუბარი სსკ 264-ე მუხლის შემადგენლობაზე: ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების,მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაზე.[10]

უკანონო შენახვაში იგულისხმება ნებისმიერი განზრახი ქმედება, რაც გამოიხატება უკანონო მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალების ადგილსამყოფელის მიჩენაში. მაგალითად, მისი შენახვა ბინაში, გარაჟში, მანქანის საბარგულში იმის მიუხედავად, მანქანას ატარებს ეს პირი, თუ იგი უძრავ მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ თუკი აღნიშნული მანქანით პირი ახდენს ამ ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას ერთი ადგილიდან სხვა ადგილას (სხვა დასახლებულ პუნქტში) მისი შენახვის მიზნით, მაშინ ეს ქმედება ჩაითვლება არა უკანონო შენახვად, არამედ **უკანონო გადაზიდვად.** შენახვა შეიძლება ნარკოტიკული საშუალების თან ტარებით (მაგ., პიჯაკის შიდა ჯიბეში). ამ შემთხვევაშიც, თუ ეს დაკავშირებულია აღნიშნული ნივთიერების გადაზიდვასთან სხვა დასახლებულ პუნქტში, ქმედება დაკვალიფიცირდება უკანონო გადაზიდვით და არა უკანონო შენახვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა დროს**, რომლის განმავლობაშიც უკანონოდ იყო შენახული ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება. შენახვის ხანგრძლივობა სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს მხოლოდ სასჯელის განსაზღვრისას.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შენახვის უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირს, ასევე ინდივიდუალურ მეწარმეს. ამ უკანასკნელს შეუძლია შეინახოს

[10] დაუფლებითი დანაშაულის საგანზე იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 400-411

მხოლოდ პრეკურსორი. შენახული ნივთიერება არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რაც საჭიროა მათი საქმიანობისათვის.

რაც შეეხება უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებებს, მათი შენახვა შეუძლიათ უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებს. შენახვის უფლება აქვთ ასევე ფიზიკურ პირებს სამკურნალო მიზნით.

უკანონო გადაზიდვას ადგილი აქვს მაშინ, როცა ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალების ნებისმიერი ხერხით გადაადგილება ერთი ადგილიდან საქართველოს სხვა ადგილას (მაგალითად, თბილისიდან გორში) მისი განთავსების მიზნით, ტვირთის გამგზავნის ან ადრესატის თანდასწრებით. უკანონო გადაზიდვისას მნიშვნელობა არა აქვს, ტრანსპორტის რა საშუალება იქნა გამოყენებული. მთავარია, გადაზიდვა ხდებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

პრაქტიკაში ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადაზიდვისა და უკანონო შენახვის გასამიჯნავად, ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა გარემოებას: პირის მიზანს – ნარკოტიკულ საშუალებათა გადაადგილება, თუკი ხდება სხვა დასახლებულ პუნქტში (მაგალითად სხვა ქალაქში) მისი მოთავსების მიზნით,ადგილი აქვს უკანონო გადაზიდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პირის მიზანი არაა სხვა ადგილას მათი მოთავსება, ადგილი ექნება უკანონო შენახვას. ამ მიზნის დადგენისას მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპორტის სახეს, მასზე მოთავსებული ნარკოტიკული საშუალებების ოდენობას, ტრანსპორტში მათი განთავსების ადგილსა და სხვა გარემოებებს. ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადაზიდვა თავის თავში მოიცავს უკანონო შენახვასაც და ბრალდებაში მასზე დამატებითი მითითება არაა საჭირო.

ნარკოტიკულ საშუალებათა კანონიერი გადაზიდვის უფლება პოლიციის დაცვის თანხლებით აქვთ იურიდიულ პირებს მათ გამოყენებაზე სპეციალური ლიცენზიის არსებობისას. ხოლო ფიზიკურ პირებს ამის უფლება აქვთ იმ ნარკოტიკული საშუალების მიმართ, რომელიც მათ კანონის დაცვით სამედიცინო დანიშნულების მიზნით აქვთ მიღებული შესაბამის აფთიაქში. ეს აფთიაქები გასცემენ სპეციალურ დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს ამ ნივთიერებათა მიღების კანონიერებას.

უკანონო გადაგზავნაში იგულისხმება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი საშუალებით გადაადგილება ტვირთის გამგზავნისა ან ადრესატის დაუსწრებლად. ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება აღნიშნული ნივთიერების ბარგის სახით ფოსტაში ან სხვა დაწესებულებაში ჩაბარების მომენტიდან მისი სხვა ადგილას გადაგზავნის მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირის მიერ ნარკოტიკულ საშუალე-

ბათა მცირე ოდენობით უკანონო გადაგზავნა პირადი მოხმარების მიზნით, თუნდაც ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, არ მოგვცემს განსახილველი ნორმის შემადგენლობას, რადგან 260-ე მუხლით არაა გათვალისწინებული პირადი მოხმარებისათვის მცირე ოდენობით ამ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვისათვის პასუხისმგებლობა. ამდენად, სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების **მცირე ოდენობა არაა** სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი. ასეთი ქმედება არაა გათვალისწინებული არც სს კოდექსის 273-ე მუხლით, ე.ი. ეს ქმედება არაა დანაშაული. რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის **მცირე ოდენობით უკანონო გადაზიდვას** პირადი მოხმარებისათვის ექიმის დანიშნულების გარეშე, აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს პირადი მოხმარებისათვის ამ ნივთიერებების მცირე ოდენობით უკანონო შენახვად, ე.ი. 273-ე მუხლით. ეს იმიტომ, რომ უკანონო გადაზიდვისას აღნიშნული ნივთიერების გადაადგილება ხდება გამგზავნის თანდასწრებით და ნარკოტიკული საშუალება მოთავსებულია ან გადამზიდველის ტანსაცმელში თუ ჩანთაში, ან იმ სატრანსპორტო საშუალებაში, რომლითაც ხდება ამ ნივთიერების გადაზიდვა. ამდენად, აქ ადგილი აქვს ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შენახვას.

სუბიექტური მხრივ სს კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არა აქვს მიზანს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რა მიზნით ჩაიდინა პირმა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებანი, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხის გადასაწყვეტად. მართალია, ამ ნივთიერებათა უკანონო გასაღება 2015 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ გადატანილია ამ მუხლის მე-4 ნაწილში, მაგრამ სანამ არაა განხორციელებული გასაღება, წინარე ქმედების ჩადენისას მიზანს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა.[11]

ბრალის ფორმის მიხედვით ჩვენ მიერ განხილული ქმედება (უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა) შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. თუ პირი გაუფრთხილებლობით

[11] მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა ჰქონდა 1961 წლის სს კოდექსით. კერძოდ, 252-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით მკაცრად ისჯებოდა სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გასაღების მიზნით ჩადენილი ქმედებანი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გაცილებით მსუბუქად ისჯებოდა იგივე ქმედება გასაღების მიზნის გარეშე – იგი წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს

სჩადის რომელიმე მითითებულ ქმედებას (მაგ., ინახავს ნარკოტიკულ საშუალებას სათანადო ნებართვის გარეშე და არ იცის, რომ ეს ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკულ ან სხვა კონტროლს დაქვემდებარებულ საშუალებას, თუმცა ევალებოდა და შეეძლო სცოდნოდა იგი), მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სს კოდექსის 260-ე მუხლით გამორიცხულია.

სსკ 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლოს არა აქვს უფლება, სასჯელის სახით გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა იმ პირის მიმართ, ვინც 70 გრამამდე გამომშრალ მარიხუანას უკანონოდ შეიძენს ან შეინახავს პირადი მოხმარების მიზნით.[12]

უკანონო გასაღებაში (სსკ 260-ე მ-ის მე-4 ნაწ.) იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის სხვა პირისათვის უკანონოდ გადაცემის ნებისმიერი ხერხი როგორც საზღაურით, ისე საზღაურის გარეშე. ეს ხერხებია: გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა სხვა ნივთში, გასესხება (ნარკოტიკული საშუალების გადაცემა სხვა პირისათვის იმ პირობით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მან უკანვე დაუბრუნოს იმავე სახის ან სხვა ნარკოტიკული საშუალება), ვალის გადახდით (პირს ემართა სხვისი ფული და კრედიტორს ფულის ნაცვლად ვალში მისცა ნარკოტიკული საშუალება). უკანონო გასაღებაში უნდა ჩაითვალოს ასევე ნარკოტიკული საშუალების სხვის ორგანიზმში შეყვანა პირის თანხმობით, მაგრამ ასეთი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება უკანონო გასაღებად, თუ ეს ნარკოტიკული საშუალება ეკუთვნის თვით მომხმარებელს ან იმყოფება მომხმარებლისავე მართლზომიერ მფლობელობასა თუ გამგებლობაში. უკეთუ ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალების ძალადობით შეყვანას სხვის ორგანიზმში, ქმედება დამატებით დაკვალიფიცირდება იძულებით – 150-ე მ. ამასთანავე, თუკი ადგილი აქვს პირის წინასწარ ან შემდგომ დამწყვდევას, ქმედება ასევე დაკვალიფიცირდება სსკ 143-ე მუხლით – თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

უკანონო გასაღების საშიშროება რადიკალურად განსხვავდება სხვა ქმედებების (შეძენა, შენახვა და ა.შ) საშიშროებისაგან, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანამდვილებით თითქმის შეუძლებელია იმის თქმა, რომ პირს ამოძრავებს ამ ნივთიერებების გასაღების მიზანი. გასაღებისას კი საფრთხე ექმნება სხვა პირის (შემძენის) სამარ-

[12] იხ. საქართველოს საკონსტუტიციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება №3/1/708,709,710.

თლებრივ სიკეთეს. სამართლის მიზანია სწორედ რომ პირის დაცვა არა თვითსაფრთხისაგან, არამედ სხვა პირთა მხრიდან ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან

უკანონო გასაღება დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა გამსაღებელი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით გაასხვისებს ნარკოტიკულ საშუალებას სხვა პირზე, გადასცემს მას სხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, ამ დანაშაულს მცდელობას (ე.ი. მე-19, 260-ე მ.). მართალია, სახეზეა ფორმალური დანაშაული, მაგრამ ვინაიდან გასაღება ორაქტიანი დანაშაულია, მას ახასიათებს მცდელობის სტადია.

სს კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით ნაწილით გათვალისწინებული **დანაშაულის შემადგენლობა დამთავრებულია** თვით ქმედების დამთავრების მომენტიდან და არაა სავალდებულო რაიმე მძიმე შედეგის დადგომა. მაგალითად, ნარკოტიკულ საშუალებათა დამზადება დამთავრებულია, თუნდაც ერთი ნარკოტიკული საშუალების მზა პროდუქციის მიღებისას; შეძენა დამთავრებულია, როცა პირი უკანონოდ დაეუფლება შესაბამის ნივთიერებას ან საშუალებას; გასაღება კი მაშინ, როცა ამგვარი ნივთიერება გადაეცემა თუნდაც ერთ პირს.

პირის **ქმედება არ დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით**, როცა მან ჩაიდინა 260-ე მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე ქმედება. მაგალითად, ჯერ შეიძინა ნარკოტიკი,მერე ინახავდა მას,მერე გადაგზავნა და შემდეგ გაასარა იგი. მართალია, გასაღება სადღეისოდ მოცემულია ამ მუხლის არა პირველ, არამედ მე-4 ნაწილში, მაგრამ 260-ე მუხლი ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით. თითოეული ქმედება ან თავისთავში მოიცავს წინარე ქმედებას, ან/და მისი ლოგიკური გაგრძელებაა. **მაგალითად,** იმისათვის, რომ ნარკოტიკული საშუალება გაასაღო, თავდაპირველად იგი ან უნდა დაამზადო, ან აწარმოო ან შეიძინო. რაც შეეხება შენახვას, გასაღება თავისთავში მოიცავს მას, რადგან თუ ამ ნივთს ფიზიკურად არ ფლობ, ვერც გაასაღებ მას. ამდენად, რამდენიმე ალტერნატიული ქმედების ჩადენა არ ნიშნავს დანაშაულთა ერთობლიობას. ეს ქმედებები მხოლოდ ბრალის ფორმულირებაში უნდა დაფიქსირდეს.[13]

---

[13] ამ საკითხზე იხ. გ. მამულაშვილი, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძრვანელო, თბ. 2016, (მე-2 გამოცემა), გვ. 471-472; ნ. თოდუა, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ. 2011, გვ. 327-344; ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 667-668

სუბიექტური მხრივ ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებისას ამსრულებლის მოტივსა და მიზანს არა აქვს მნიშვნელობა კვალიფიკაციისათვის. იგი მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებაც ბრალის ფორმის მიხედვით არის პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული. ე.ი. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს,რომ ასაღებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს ან ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას და თანაც ისე, რომ არა აქვს ამგვარი ქმედების ჩადენის კანონიერი უფლებამოსილება.

სს კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე ან უცხოელი მოქალაქე.

განსახილველი მუხლის **მე-3 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები ერთმანეთს ემთხვევა,** ამდენად, შესაძლებელია მათი ერთდროული განხილვა.

კერძოდ, მე-3 და მე-5 ნაწილების „ა“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული იგივე ქმედება, **ჩადენილი დიდი ოდენობით**. ნარკოტიკული საშუალების ოდენობის განსაზღვრისას კანონმდებელმა მხედველობაში მიიღო არა მარტო ამ ნივთიერებათა წონა და ოდენობა, არამედ მისი თვისება, მისი ზემოქმედების უნარი ადამიანის ორგანიზმზე. ამიტომაა, რომ ოდენობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნარკოტიკული საშუალების სახეობას, არამედ მის ფიზიკურ მდგომარეობას, ე.ი. იმას, იგი მოცემულია ფხვნილის ან აბის, თუ ამპულაში სითხის სახით, ანდა ნაყენის სახით. 2003 წლის 23 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის“ დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ ნუსხაში მოცემულია არაკანონიერ ბრუნვაში ან მფლობელობაში აღმოჩენილ ნარკოტიკულ საშუალებათა, ასევე ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა.

ზემოხსენებული სიის თანახმად, ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობის ჩამონათვალი იწყება მცირე ოდენობით. კერძოდ, მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით მიჩნეულია მცირე ოდენობად და მასზე დაკისრებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი მე-4 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით

არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაწყისი (სსკ 260-ე მუხლის I ნაწილი). **მაგალითად,** ნოქსირონის მცირე ოდენობად ჩაითვლება 1 გრამამდე ოდენობა. ხოლო 1 გრამზე მეტი 10 გრამის ჩათვლით ნოქსირონი ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარის ოდენობად. ამდენად, პირს ნოქსირონის უკანონო დამზადებისა ან შეძენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს (ამ მუხლის პირველი ან მე-4 ნაწილით), უკანონო ბრუნვაში უნდა აღმოაჩნდეს 1 გრამზე მეტი ოდენობის ნივთიერება, მაგრამ მისი წონა არ უნდა აღემატებოდეს 10 გრამს.

მე-4 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი მე-5 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით ითვლება დიდ ოდენობად (მაგალითად, ნოქსირონი 10 გრამზე მეტი 100 გრამის ჩათვლით), ხოლო მე-5 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი ითვლება განსაკუთრებით დიდ ოდენობად (ნოქსირონი 100 გრამზე მეტი).

ამ სიაში ნარკოტიკული საშუალების ოდენობა მოცემულია **სუფთა შემადგენლობის გათვალისწინებით,** ე.ი. მათი შემავსებლების (ფქვილი, შაქარი, სახამებელი და ა.შ.) გარეშე (ზედმეტია მითითება იმაზე, რომ ტალახისა თუ ქვიშის გარეშე).

როდესაც სახეზეა **ნარკოტიკული მცენარე** (მაგალითად, ყაყაჩოს ყვავილი, რომელიც შეტანილია სპეციალურ სიაში როგორც ნარკოტიკული საშუალება), მისი ოდენობა განისაზღვრება არა მთლიანად ამ მცენარის წონით (ფესვი, ღერო, ფოთლები), არამედ მასში შემავალი ნარკოტიკული საშუალების ოდენობით. როცა სახეზეა ნარკოტიკული მცენარე, ოდენობის განსაზღვრისას უნდა აიწონოს მისი ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას (მაგალითად, ფოთლები) და არა მთლიანად მცენარე. ამასთან აუცილებელია, აწონვამდე მცენარე სათანადოდ გასუფთავდეს, რათა წონას არ დაემატოს ტალახი, ხრეში თუ ქვიშა. ამისათვის თუ საჭირო შეიქმნა მისი გარეცხვა, აწონვამდე უნდა მოხდეს გარეცხილი მცენარის გაშრობა.

რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალებათა კრებსით ჩამონათვალში სახელობითად შეტანილ **კომბინირებულ პრეპარატებს,** მათი ოდენობა განისაზღვრება მათ კომბინაციაში შემავალი ნარკოტიკული საშუალების სუფთა ნივთიერების (სუბსტანციის) ოდენობის ჯამით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლის შენიშვნის მე-5 ნაწილის მიხედვით, **ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე** არ ვრცელდება ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვ-ის, მე-5 ნაწილის „ა" ქვ-ითა და მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები. ეს იმას ნიშნავს, რომ მასზე არ ვრცელდება დიდი და

განსაკუთრებით დიდი ოდენობები. ამდენად, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ნებისმიერი ოდენობა ჩაითვლება მხოლოდ სს-ვი პასუხისმგებლობის საწყის ოდენობად. გამომდინარე აქედან, ამ მუხლის შენიშვნის მე-4 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები (უკანონო შეძენა, შენახვა და ა.შ. ასევე მისი უკანონო გასაღება) ვრცელდება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ნებისმიერ ოდენობაზე.

ნარკოტიკული საშუალების **კომბინირებული პრეპარატი უნდა განვასხვავოთ** ისეთი ნივთიერებისაგან, რომელიც თავად არაა შეტანილი სპეციალურ სიაში, მაგრამ ინგრედიენტის სახით სხვა ნივთიერებებთან ერთად შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებასაც.

მათ შორის განსხვავება შემდეგშია: ა) არსებობს ნარკოტიკულ საშუალებათა კომბინირებული პრეპერატი, რომელიც შესდგება არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა ნარკოტიკულ საშუალებათა კომბინაციისაგან და საბოლოოდ წარმოადგენს ერთიან ნარკოტიკულ საშუალებას, მინიჭებული აქვს ერთიანი სახელწოდება და სახელობითად შეტანილია შესაბამისი კანონის თანდართულ სიაში, როგორც სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალება. მისი ოდენობა განისაზღვრება არა მასში შემავალი თითოეული ნარკოტიკული საშუალების წონით, არამედ მასში შემავალი ყველა ნარკოტიკული საშუალების წონათა ჯამით (მაგალითად, 100 ტაბლეტი კოდეინი თითო ტებლეტი შესდგება: კოდეინი – 0.03 გრ + პარაცეტამოლი 0,500 გრ = 3,0 გრ კოდეინს. ეს კი შეესაბამება კოდეინის დიდ ოდენობას.); ბ) რაც შეეხება ისეთ ნივთიერებას, რომელიც სახელობითა არაა შეტანილი ზემოთხსენებული კანონით გათვალისწინებულ ნარკოტიკულ საშუალებათა კრებსით ჩამონათვალში, მაგრამ მასში შემავალი ცალკეული ინგრედიეტი არის ნარკოტიკული საშუალება, **იგი არ ნარმოადგენს** სპეც. კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას. საქმე ისაა, რომ ნარკოტიკული საშუალების გარკვეული სახეობა შესაძლოა, შეტანილი იყოს ისეთ ნივთიერებაშიც, რომელიც თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაშია. ანდა არაა თავისუფალ ბრუნვაში, მაგრამ მასზე არაა დაწესებული სპეც. კონტროლი და ამდენად, არაა შეტანილი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთირების, პრეკურსორისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანდართულ სიაში. შესაბამისად იგი არ წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას. **მაგალითად,** ნივთიერება „ყაყაჩოს თესლი“, რომელიც გამოიყენება კონდიტერიაში, სხვა ინგრედიენტებთან ერთად შესდგება ცალკეული ნარკოტიკული საშუალებისაგან, როგორიცაა „მორფინი“ და „თებაინი“. ამის მიუხედავად, იგი არ წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას, რადგან არა აქვს ის თვისება, რაც გააჩნია ნარკოტიკულ

საშუალებებს. გამომდინარე აქედან, არაა შეტანილი ზემოთხსენებულ დანართში. იგი არც სამედიცინო ცნობარშია შეტანილი, როგორც ნარკოტიკული საშუალება (თუმცა ამ უკანასკნელს არა აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა). უფრო მეტიც, არაა გამორიცხული, ზოგიერთი მედიკამენტი (მაგალითად, წნევის დამწევი და დამაწყნარებელი საშუალება) გარკვეული ოდენობით შეიცავდეს კონკრეტულ ნარკოტიკულ საშუალებას, თუმცა მთლიანობაში იგი არა ნარკოტიკული საშუალება.

ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი, მიეკუთვნება თუ არა მოცემული ნივთიერება ნარკოტიკულ საშუალებას, **უნდა გადაწყდეს არა** მასში ინგრედიენტის სახით შემავალი ნივთიერების სახეების გარკვევით, **არამედ იმით**, მთლიანობაში ეს ნივთიერება (მისი სახელწოდებიდან გამომდინარე) თუ არის შეტანილი ზემოთხსენებულ კანონის თანდართულ სიაში.[14]

იგივე ქმედების **ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მეტი** საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება და ამიტომაც იგი ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა (მე-3 და მე-5 ნაწ. „ბ" ქვ.). საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ე.ი. ქმედების ამ ნორმით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, სულ მცირე ორი პირი (ამსრულებელი) 260-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების დაწყებამდე შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

ამდენად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ეს დანაშაული მაშინაა ჩადენილი, თუ წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ ამსრულებლები. ე.ი. 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობდა ორი პირი მაინც. **მაგალითად,** ორი ან მეტი პირი წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ შეუდგა ნარკოტიკული საშუალების გასაღებას, ანდა ორი ან მეტი პირი სათანადო ნებართვის გარეშე უშუალოდ მონაწილეობს ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის ან დამზადების პროცესში და ა.შ. თუ ამსრულებელია ერთი პირი, რომელიც მოქმედებს ორგანიზატორთან, ნამქეზებელთან ან დამხმარესთან წინასწარი შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელნი უშუალოდ არ მონაწილეობენ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, კვალიფიკაცია მოხდება სსკ 260ე

[14] ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკაში არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით დეტალურად საუბარი იქნება იმ პარაგრაფში სადაც განვიხილავთ ნარკოტიკული დანაშაულისათვის სს-ვი პასუხისმგებლობის ცალკეულ სადაო საკითხებს

მუხლის 1-ლი ან მე-4 ნაწილით, ხოლო ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის ქმედებანი დაკვალიფიცირდება სსკ 25, 260-ე მუხლის 1-ლი ან მე-4 ნაწილით, როგორც თანამონაწილისა.

შესაბამისად, თუ სახეზეა ერთი ამსრულებელი და მეორე თანამონაწილე, სახეზე არაა ეს დამამძიმებელი გარემოება. **მაგალითად,** პეტრე დაეხმარა პავლეს ნარკოტიკული ნივთიერების დამზადებაში იმით, რომ ათხოვა ნარკოტიკული საშუალების დასამზადებელი მოწყობილობა (ფიზიკური დახმარება). ამ აპარატის გამოყენებით პავლემ დაამზადა ნარკოტიკი. აქ ნარკოტიკული საშუალების დამზადება განახორციელა ერთმა პირმა-პავლემ და არა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფმა.[15]

გრდა ამისა, როცა ერთი პირის მიერ დაწყებულ ქმედებას შეუერთდა მეორე პირი, რომლებმაც თუნდაც შემდგომი ურთიერთშეთანხმებით ერთად გააგრძელეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, საქმე არა გვაქვს სს კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტთან. **მაგალითად**, პირმა დაიწყო ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადება. შემდეგ კი მზა პროდუქციის მიღებამდე დაიხმარა სხვა პირი დამზადების პროცესის გასაადვილებლად. ეს ქმედება არ დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტით. ამ დროს ამ პირთა ქმედება, თუ არ არის სხვა დამამძიმებელი გარემოება, უნდა დაკვალიფიცირდეს 260-ე მუხლის I ნაწილით – უკანონო დამზადებით. სახეზეა **წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფი**, რაც არ გვაძლევს ამ მუხლის დამამძიმებელ გარემოებას.

როცა ადგილი აქვს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო შეძენას ან გასაღებას, ეს ქმედება **წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ**, თუ ორი ან მეტი პირი უშუალოდ მონაწილეობდა ერთ-ერთი ამ ქმედების ჩადენაში (მაგალითად, ორი პირი წინასწარი შეთანხმებით ასაღებს ნარკოტიკს). თუ ერთი პირი იყო გამსაღებელი, მეორე კი უკანონო შემძენი, ქმედების კვალიფიკაცია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად გამორიცხულია, რადგან არ არსებობს უკანონო გასაღება უკანონო შეძენის გარეშე. სხვაგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში გამოვა, რომ ნარკოტიკის უკანონო გასაღება ყოველთვის ჩადენილია წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ (ანუ დამამძიმებელ გარემოებაში), რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

---

[15] ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლექ.თბ. 2016, (მე-2 გამოცემა), გვ.350-356; **В. В. Ткаченко, С. В. Ткаченко, Уголовая ответственность за незаконный оборот наркотиков, Барнаул, 2011, ст.86-88**

რაც შეეხება სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს, ვინაიდან სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, ქმედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად შეიძლება ჩაითვალოს, რიცა პირები წინასწარ შეთანხმდებიან რა ამ დანაშაულის ჩასადენად, გაინაწილებენ ფუნქციებს. მაგალითად, ერთი პირი უკანონოდ შეიძენს ნარკოტიკულ სამუალებას, მეორე მისგან ამზადებს ნარკოტიკულ საშუალებას, მესამე უკანონოდ ინახავს ამ ნივთიერებას, ხოლო მეოთხე უკანონოდ გადაზიდავს ან გადაგზავნის მას სხვა დასახლებულ პუნქტში.

ამდენად,წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, რიცა ორი ან მეტი პირი წინასწარ შეკავშირდა სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სხვადასხვა ქმედების ჩასადენად.

შემდეგი **მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.**

ამ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს სპეციალურ სუბიექტზე, რომელიც 260-ე მუხლის 1-ლი ან მე-4 ნაწილში მითითებული ქმედების ჩადენისას იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, ე. ი. კანონით მინიჭებულ უფლებებსა და რწმუნებებს. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ რიგორც მოხელეები (თანამდებობის პირები), ასევე ისინი, რომლებიც არ არიან არც მოხელეები და არც მასთან გათანაბრებული პირები. მაგალითად, მოხელედ ჩაითვლება სპეციალური აფთიაქის გამგე, რომელსაც კანონის მოთხოვნათა დაცვით უფლება აქვს მოამზადოს ან/და გაყიდოს ნარკოტიკული საშუალება; ასევე ონკოლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ან განყოფილების გამგე, რომლის კანონიერ მფლობელობაში იმყოფება ნარკოტიკული საშუალება. თუ ეს პირები გამოიყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას და ვთქვათ, უკანონოდ გაასაღებენ ნარკოტიკულ საშუალებას იმ პირებზე, ვისაც არა აქვთ მათი შეძენის კანონიერი უფლება, ქმედება დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" პუნქტით. ამ დროს არაა საჭირო ქმედების კვალიფიკაცია სსკ 332-ე მუხლის ერთობლიობით, რადგან სსკ 260-ე მ. მე-3 და V ნაწ. „გ" ქვ. არის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კერძო შემთხვევა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება მიმართული უნდა იყოს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვისაკენ. თუ პირი იყენებს რა სამსახურებრივ მდგომარეობას და არღვევს ნარკოტიკული საშუალების მოპყრობისადმი კანონით დადგენილ წესს ისე, რომ მისი **მიზანი არაა**

ამ ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 260-ე, არამედ 269-ე მუხლით – ნარკოტიკული საშუალების, პრეკურსორის დამზადების,წარმოების,მიღების,ალრიცხვის, გაცემის,შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა. **მაგალითად,** საავადმყოფოს მთავარი ექიმი, რომელსაც აქვს სპეციალური ნებართვა ნარკოტიკული საშუალებების შენახვისა, სპეციალურ საცავში კანონის დაცვით შეძენილ ნარკოტიკულ საშუალებასთან ერთად ინახავს სხვა ნარკოტიკულ საშუალებასაც, რომელიც შენახვაზე მას არა აქვს კანონიერი ნებართვა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტს. ხოლო, უკეთუ, იგივე პირი, მართალია, ინახავს კანონის მოთხოვნის დაცვით შემოტანილ ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ ინახავს მას შენახვისათვის დადგენილი წესის დარღვევით (მაგალითად, კარადაში, რომელსაც რკინის ნაცვლად, შემინული კარები აქვს და მისი ჩამტვრევა ადვილია), ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 269-ე მუხლით (თუ დადგა ამ მუხლით გათვალისწინებული შედეგი).

ამ დანაშაულის ამსრულებელი სახელმწიფო მოხელესთან ერთად შეიძლება იყოს ინდივიდუალური საწარმოს ხელმძღვანელიც, რომელიც არაა მოხელე. მხედველობაში გვაქვს ის ინდივიდუალური მეწარმე, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს პრეკურსორის შენახვის უფლება. მას შეუძლია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაასაღოს პრეკურსორი იმ პირზე, ვისაც არა აქვს პრეკურსორის შეძენის უფლება ან ჩაიდინოს 260-ე მუხლის რომელიმე 1-ლი, ან მე-5 ნაწილში მითითებული სხვა ქმედება.

260-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილის „გ" პუნქტის სუბიექტი **შეიძლება იყოს ამა თუ იმ დაწესებულების რიგითი (ტექნიკური) მუშაკიც, რომელსაც თავისი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას ხელი მიუწვდება ამ ნივთიერებაზე (აქვს ფიზიკური წვდომა) და** აქედან გამომდინარე, ხსენებული დანაშაულის ჩადენისას იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. **მაგალითად,** ამა თუ იმ ტრანსპორტის მძღოლი, რომელიც კანონიერი გზით ახდენს ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას, სარგებლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით და ამავე ტრანსპორტით უკანონოდ გადაზიდავს სხვა ნარკოტიკულ საშუალებას. ანდა, საავადმყოფოს მეეზოვე, რომელსაც ნარკოტიკული საშუალება გადაცემული აქვს ავადმყოფისათვის სანიენქციოდ, უკანონოდ ყიდის მას სხვა პირზე, ხოლო ავადმყოფს უკეთებს სხვა წამალს. მეეზოვე ამ შემთხვევაში უკანონოდ ასალებს ნარკოტიკულ ნივთიერებას იყენებს რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას.

არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა, როცა მოხელე იყენებს არა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, არამედ სამსახურებრივ ავტორიტეტს.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება, რომელსაც ითვალისწინებს **260-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილის „დ" პუნქტი**, არის იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის. არაერთგზისი დანაშაულის ცნების გასარკვევად უნდა მივმართოთ სს კოდექსის მე-15 მუხლს. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, 260-ე მუხლში არაერთგზისობა გულისხმობს დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ იგივე დანაშაულის ჩადენას (ნასამართლობა არ უნდა იყოს გაქარწყლებული ან მოხსნილი). თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა არა ამ მუხლით, არამედ ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-3 ან მე-5 ნაწილის „ე" ქვ-ით და არა „დ" ქვ-ით.

სსკ მე-15 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

აქვე უნდა გაირკვეს საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის ქმედება, რომელმაც ახლად აღმოცენებული განზრახვით (და არა ერთიანი განზრახვით) ორჯერ ჩაიდინა 260-ე მუხლის 1-ლი ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება და არც ერთი მათგანისათვის არაა ნასამართლევი. **მაგალითად,** 2016 წლის იანვარში პეტრემ უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალების ის ოდენობა, რაც საკმარისია სს-ვი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. ხოლო ამავე წლის მარტში კვლავ უკანონოდ შეიძინა იგივე ოდენობის ნარკოტიკული საშუალება. თუკი ასეთი შემთხვევა დადასტურდება პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260-ე მუხლის I ნაწილის ერთობლიობით. ამასთან თითეულ ეპიზოდზე ცალკე უნდა დაინიშნოს სასჯელი, საბოლოოდ კი სასჯელი დაინიშნება სსკ 59-ე მუხლით დადგენილი წესით.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა **იგივე ქმედება, ჩადენილი იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („ე" ქვ.)**. ამ ქვეპუნქტის სუბიექტია ის პირი, ვისაც წინათ ჩადენილი ჰქონდა არა 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, არამედ კოდექსის ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული სხვა რომელიმე დანაშაული დაწყებული 261-ე მუხლიდან,დამთავრებული 273-ე მუხლით. ქმედების

ამ ქვეპუნქტით კვალიფიკაციისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის იყო თუ არა ნასამართლევი. მთავარია, რომ მას არ უნდა ჰქონდეს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული, ანდა არ უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუ იგი ნასამართლევი არაა ადრე ჩადენილი ნარკოტიკული დანაშაულისთვის, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ერთობლიობით, ე.ი. 260-ე მუხლის მე-3 ან მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და ნარკოტიკული დანაშაულის იმ მუხლით, რომლის შემადგენლობაც არსებობს პირის მიერ ადრე ჩადენილ ქმედებაში (მაგალითად, სსკ 264-ე მ.). თუკი პირი გამართლდა სხვა დანაშაულის ჩადენაში, რაც მას ბრალად ჰქონდა წარდგენილი (მაგ., 264-ე მ.), მაშინ მისი ქმედების კვალიფიკაცია არ მოხდება ამ დამამძიმებელი გარემოებით.

როცა განსახილველი დანაშაული ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით („ბ“ქვ.) ან თანამონაწილეობით, მე-3 ან მე-5 ნაწილის „დ“ ან „ე“ ქვეპუნქტი შეეფარდება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაული, ან ეს დანაშაული (260-ე მ.) ჩადენილი ჰქონდა არაერთგზის. ეს იმიტომ, რომ სს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის დამახასიათებელი **პერსონალური ნიშანი** შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს. ამდენად, ეს დამამძიმებელი გარემოება არ გადავა სხვა თანაამსრულებელზე ან თანამონაწილეზე მხოლოდ იმიტომ, რომ მას იგი გაცნობიერებული ჰქონდა, არამედ აუცილებელია, მას თავად ახასიათებდეს იგი.

განსახილველი „ე“ ქვეპუნქტი რედაქციულად უფრო გამართული იქნება, თუ ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული სხვა რომელიმე დანაშაული“. ამით ხაზი გაესმის იმას, რომ აქ საუბარია არა ამ თავის ნებისმიერ დანაშაულზე, არამედ 260-ე მუხლის გარდა სხვა დანაშაულზე.

260-ე მუხლის მე-6 ნაწილში გათვალისწინებულია ამ დანაშაულის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები. პირველი მათგანია ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: **განსაკუთრებით დიდი ოდენობით**. ისე, როგორც დიდი ოდენობა, განსაკუთრებით დიდი ოდენობაც შეფასებითი ცნებაა და მხედველობაშია მისაღები,როგორც მოცემული ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის ან პრეკურსორის რაოდენობა,ასევე ორგანიზმზე მისი ზემოქმედების ძალა. გან-

საკუთრებით დიდ ოდენობაში (ისევე როგორც დიდ ოდენობაში) **ვერ ვიგულისხმებთ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას,** რადგან ცნობილია, რომ შეუძლებელია მისი ოდენობის განსაზღვრა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოებმა ოდენობის განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელონ პარლამენტის მიერ დამტკიცებული სიით, რომელიც დაყოფილია გრაფებად: მე-3, მე-4 და მე-5 გრაფაში მოცემულია შესაბამისად მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები.

სსკ 260-ე მ-ის მე-6 ნაწილის მეორე, განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი **ორგანიზებული ჯგუფის მიერ**. იგი ჯგუფური დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმაა. (სსკ 27-ე მუხ. III ნან.)

როდესაც ორგანიზებული ჯგუფი სჩადის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ჯგუფის ორგანიზატორს 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, შეერაცხება ყველა ის ნარკოტიკული დანაშაული, რაც ჩაიდინა ოგანიზებული ჯგუფის წევრმა, თუ ამას მოიცავდა ორგანიზატორის განზრახვა.

რაც შეეხება ჯგუფის წევრებს, 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში,ისინი როგორც ამსრულებლები ან როგორც თანამონაწილეები, პასუხს აგებენ მაშინ, თუკი მონაწილეობდნენ მის მომზადებაში ან ჩადენაში. მაგრამ უკეთუ ორგანიზებული ჯგუფის წევრი არ მონაწილეობს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არც მომზადებაში და არც ჩადენაში, მას არ შეიძლება შეერაცხოს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი,თუნდაც იცოდეს, რომ ჯგუფის სხვა ნევრების მიერ ჩადენილია ეს დანაშაული. ის არ დაისჯება არც როგორც ამსრულებელი და არც როგორც თანამონაწილე ამ დანაშაულში. ეს აზრი პირდაპირ გამომდინარეობს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან.

როდესაც ორგანიზებული ჯგუფი ჩაიდენს 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მე-6 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით. მაგრამ თუ ორგანიზებული ჯგუფის ქმედებაში არის 260-ე მუხლის როგორც მე-3 (ან მე-5 ნაწილით), ისე მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები (მაგალითად, ორგანიზებულმა ჯგუფმა უკანონოდ გაასაღა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 260-ე მუხლის მხოლოდ მე-6 ნაწილის შესაბამისი პუნქტით ("ბ" ქვ.). ბრალდების ფორმულირებაში კი უნდა დაფიქსირდეს ყველა დამამძიმებელი გარემოება. ეს იმიტომ, რომ ამ მუხლის მე-6 ნაწილის დისპოზიცია ფორმული-

რებულია შემდეგნაირად: „ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი"... და შემდეგ ჩამოთვლილია ქვეპუნქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ მე-6 ნაწილში გათვალისწინებულია ყველა ზედა ნაწილით (და არა მხოლოდ პირველი ან მე-4 ნაწილით) გათვალისწინებული ქმედებები.

იგივე ითქმის ამ მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელიც მოიცავს პირველ და მე-2 ნაწილებს. ასევე ამ მუხლის მე-5 ნაწილზე, რომელიც მოიცავს მე-4 ნაწილსაც და კვალიფიკაცია ერთობლიობით არაა საჭირო, საკმარისია მხოლოდ ბრალდების ფორმულირებაში იქნეს მითითებული ყველა ეს დამამძიმებელი გარემოება, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას დანაშაულთა ერთობლიობა.[16]

სს კოდექსის 260-ე მუხლს დართული აქვს შენიშვნა: ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები **(პოსტ-კრიმინალური წამახალისებელი ნორმა).**

შენიშვნის ტექსტიდან ირკვევა, რომ კანონმდებელი ამ თავით გათვალისწინებული ყველა დანაშაულის ჩადენას ჰპატიებს პირს, თუკი სახეზეა შემდეგი კუმულაციური წინაპირობები:

ა) იგი ნებაყოფლობით ჩააბარებს შენიშვნაში ჩამოთვლილ ნივთიერებებს; და ბ) მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. სხვა დანაშაულში იგულისხმება ნარკოტიკული დანაშაულის გარდა სსკ გათვალისწინებული ყველა დანაშაულებრივი ქმედება.

ჩაბარებას **ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს მაშინ**, როცა პირს გააჩნია რეალური შესაძლებლობა, გამოიყენოს ეს ნივთიერებები თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ამის მიუხედავად, აბარებს მას სახელმწიფო ორგანოებს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მოტივით იხელმძღვანელა პირმა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩაბარებისას (სასჯელის აბსტრაქტული შიშით, თუ იმით, რომ შეიგნო ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა).

ამ შენიშვნას ბოლო დროს (2014 წელს) გატარებული საკანონმდებლო ცვლილებით დაემატა ახალი მე-2 ნაწილი, სადაც ამ თავის მიზნებისათვის ახლებურად განიმარტა ნებაყოფლობით ჩაბარების არსი. კერძოდ:

ნებაყოფლობით ჩაბარებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება,

---

[16] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ. 2011, გვ. 324-330

როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით განაცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსურის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას.

როგორც ვხედავთ ახალი რეგულაციის მიხედვით ჩაბარება ნებაყოფლობითად რომ ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას:

ა) ჩაბარება უნდა მოხდეს გამოძიების დაწყებამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი ამ კონკრეტულ ფაქტზე გამოძიება უკვე დაწყებულია (მიუხედავად იმისა, დაწყებულია თუ არა სს-ვი დევნა კონკრეტული პირის მიმართ), სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩაბარება ნებაყოფლობითად არ ჩაითვლება. ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს იმას, იცოდა თუ არა პირმა (ანდა შეეძლო თუ არა მას ცოდნოდა) კონკრეტულ ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ.

2014 წლამდე მოქმედი შენიშვნის მიხედვით კი ამ მუხლის შენიშვნის განმარტება შეიძლებოდა სხვაგვარად. კერძოდ, ნებაყოფლობით ჩაბარებულად ჩაითვლებოდა პირის ქმედება მანამ, სანამ იგი არ შეიტყობდა, რომ მის მიმართ დაწყებული იყო სს-ვი დევნა. ნებაყოფლობით ჩაბარებად ითვლებოდა ისეთი შემთხვევაც, როცა პირი დარწმუნებული იყო იმაში, რომ შეეძლო ამ ნივთიერებების გამოყენება თავისი შეხედულებისამებრ. არავინ და არაფერი უშლის მას ხელს და ამის მიუხედავად, აბარებდა მათ სათანადო ორგანოებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭებოდა იმას, პირის ეს ვარაუდი (დაჯერებულობა) რეალური იყო თუ არა.

გარდა ამისა, ნებაყოფლობით ჩაბარებულად ჩაითვლებოდა ისეთი შემთხვევაც, თუ პირი სათანადო ორგანოს ანონიმურად ჩააბარებდა სპეც. კონტროლს დაქვემდებარებულ ნოვთიერებას. **მაგალითად,** გაუგზავნიდა პოლიციის ორგანოს ამ ნივთიერებას ბანდეროლის სახით ისე, რომ არ მიუთითებდა თავის ვინაობას, ან გაგზავნიდა შეთხზული სახელითა და გვარით. ნებაყოფლობით ჩაბარებად უნდა ჩაგვეთვალა შემთხვევა, როცა პირი ამ ნივთიერებას ჩააბარებდა მცირეწლოვანის ხელით, რომელმაც თითქოს თავად იპოვა იგი. ასეთი ქმედებების მოტივი შეიძლება იყოს სამართალდამცავ ორგანოსთან ურთიერთობის სურვილის არქონა. მიზანი კი „ყოველგვარი გაუგებრობის" თავიდან აცილება.

როგორც ვხედავთ, გატარებული საკანონმდებლო ცვლილებით ამ კუთხით მოქმედი კანონმდებლობა გამკაცრდა;

ბ) პირმა წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით **უნდა განაცხადოს** სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე;

ამგვარი დათქმა არ იყო 2014 წლამდე მოქმედ შენიშვნაში, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს შეეძლო თავად მიეტანა შესაბამის ორგანოში ეს ნივთიერება და ზეპირი განცხადებითაც ჩაებარებინა იგი (რა თქმა უნდა, ამის შემდეგ შესაბამისი თანამდებობის პირები ყველაფერ ამას გააფორმებდნენ წერილობით). დღეს მოქმედი რეგულაციით კი პირმა თავად კი არ უნდა წარმოადგინოს ეს ნივთიერება, არამედ ჯერ უნდა განაცხადოს ასეთი წარმოდგენის თაობაზე. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე მიუთითებს შემდეგი კუმულაციური წინაპირობა:

გ) „და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას". ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ კანონმდებელი პირს უკრძალავს, თავად წარმოადგინოს ეს ნივთიერება სათანადო ორგანოში. მან ჯერ უნდა შეატყობინოს ამ ორგანოს ამ ნივთიერების ჩაბარების შესახებ და შემდეგ ხელი შეუწყოს მის ამოღებას შენახვის ადგილიდან.

საბოლოოდ გამოდის, რომ კანონმდებელმა შეზღუდა სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ნებაყოფლობით ჩაბარების პრაქტიკული განხორციელების ფორმები, რაც არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად. ასეთი მიდგომა ხელს არ შეუწყობს (პირიქით, დაამუხრუჭებს) პირის სტიმულირებას, ჩააბაროს უკანონო ბრუნვაში მყოფი ნივთიერება. შესაბამისად, ხელს შეუშლის ამ ნივთიერებათა ამოღებას უკანონო ბრუნვიდან.[17]

გარდა ამისა, სსკ 260-ე მუხლის შენიშვნას აქვს სხვა ნაკლიც. კერძოდ, ის, რომ ჩამოთვლილ ნივთიერებათა ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში პირი სს-ვი პასუხისმგებლობიდან თავისუფლდება ამ თავით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისაგან, რაც არაა მართებული. **მაგალითად**, ცივი იარაღით შეიარაღებული სრულწლოვანი პეტრე თავს დაესხა სპეც. აფთიაქს და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით გაიტაცა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობა (სსკ 264-ე მ-ის მე-4 ნაწ-ის „ა" და „გ" ქვ-ები). რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ მას დაეუფლა სასჯელის აბსტრაქტული შიში და ნებაყოფლობით ჩააბარა ეს ნივთიერება შესაბამის ორგანოს სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის ყველა მოთხოვნის დაცვით. ვინაიდან მის ქმედებაში გარდა ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულისა, არ არის სსკ სხვა თავით გათვალისწინებული დანაშაულის

[17] ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემის შესახებ საუბარი იქნება ქვემოთ, როცა განხილული იქნება „ნარკოტიკული დანაშაულისათვის სს-ვი პასუხისმგებლობის ცალკეული სადო საკითხები"

ნიშნები (მათ შორის არც სსკ 238[1] მ.), იგი უნდა გათავისუფლდეს სს-ვი პასუხისმგებლობისაგან, რაც არაა გამართლებული.

სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის ამგვარი რედაქციის პირობებში **შესაძლოა, სადაო გახდეს საკითხი**, გათავისუფლდება თუ არა პირი სს-ვი პასუხისმგებლობისაგან ნარკოტიკის წებაყოფლობით ჩაბარებისას ისეთი ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ასევე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში დაყოლიება (272-ე მ.). **მაგალითად**, ზემოთხსენებულ შემთხვევაში სანამ გატაცებულ ნარკოტიკს წებაყოფლობით ჩააბარებდა, პეტრემ ჯერ დაიყოლია პაველე ნარკოტიკის მოხმარებაზე და გადასცა გატაცებული ნარკოტიკის მოხმარებისათვის საკმარისი დოზა (იმ ოდენობით, რაც აფუძნებს სს-ივ პასუხისმგებლობას). მას მხოლოდ ამის შემდეგ გაუჩნდა სასჯელის აბსტრაქტული შიში და წებაყოფლობით ჩააბარა გატაცებული ნარკოტიკული საშუალების დარჩენილი ნაწილი.

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიებაც და ნარკოტიკის გასაღებაც არის ამ თავით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაული. გარდა ამისა, სსკ 260-ე მუხლის შენიშვნაში არაა ხაზგასმა იმაზე, რომ პირი სს-ივი პასუხისმგებლობისაგან **თავისუფლდება მხოლოდ ჩაბარებული ნარკოტიკული საშუალების მიმართ** (როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1961 წლის სსკ შესაბამისი მუხლის შენიშვნაში).

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასალება (მუხლი 261-ე).

საბჭოთა სამართლის კოდექსის 260-ე და 261-ე მუხლები **ერთმანეთისაგან განსხვავდება** მხოლოდ დანაშაულის საგნით, სხვა შემადგენლობა კი ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, 261-ე მუხლის ანალიზისას ძირითადად შევეხებით ამ დანაშაულის საგანს.

განსახილველი დანაშაულისაგან **სს-ვი დაცვის ობიექტია** საქა-

რთველიში ფსიქოტრიპული ნივთიერებისა და მისი ანალოგი
ძლიერმოქმედი ნივთიერების კანონიერი ბრუნვის შეზღუდვ ხა
ბილი ურთიერთობები და მისახლეობის უზრუნველყოფა.

დანაშაულის საგანია ფსიქოტრიპული ნივთიერება, მისი
გი და ძლიერმოქმედი ნივთიერება, რომელთა ბრუნვაზე დაწეს
სახელმწიფო კონტროლი.

ფსიქოტრიპული, ფსიქოაქტიური – ბერძნული წარმოშო
ტყვება. „ფსიქო" ნიშნავს სულს, ხოლო „ტროპია" – მიმართ
ამდენად, ფსიქოტრიპულად ჩაითვლება ყველა ის ნივთიე
თიერება, რომელიც უმეტესწილად ზეგავლენას ახდენს ცენტრ
ნერვულ სისტემაზე და ცვლის გონებრივ-განწყობილებას.

ფსიქოტრიპული ნივთიერებანი იწვევს ადამიანის ფს
პროცესის სტრუქტურების ან, პირიქით, მის დეზორგანიზაციას, ზეგ
ახდენს მის ემოციურ მდგომარეობაზე.

ფსიქოტრიპული ნივთიერების დიდი უმრავლესობა მი
მედიცინაში, რომელიც სამკურნალო საშუალებად, მაგრამ მათი
ცება არასამედიცინო მიზნით სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელ
ვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ამ ნივთიერებებს გამ
ჯანმრთელი პირი, ვისაც იგი არა აქვს ექიმის მიერ დანიშნუ
მიიღის ფსიქიკა განიცდის სერიოზულ ცვლილებებს (ადამიანი
არანორმალურად აგზნებული, ანდა, პირიქით, ვარდება დე
მდგომარეობაში) და ნორმალური მდგომარეობის აღდგენას
გარკვეული დრო. მართალია, ნარკოტიკული ნივთიერების
ფსიქოტრიპული ნივთიერების ხშირი მიღება არ იწვევს მის
ლოგიურ შეჩვევას, მაგრამ იწვევს ფსიქოლოგიური დ
ულების (შეჩვევის) ჩამოყალიბებას. ამის გამო კი, პირი თანდა
კარგავს თავის სოციალურ ფუნქციებს და ხდება ამ ნივთიერე

საქართველოს სს კოდექსის XXXIII თავში მოთ
ფსიქოტრიპული ნივთიერებები იგულისხმება არა მისი სამ
არამედ იურიდიული გაგება. კერძოდ, ამ ნივთიერებებს მიკ
ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივ
შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაერთ
შესაბამისად, შეტანილია საქართველოში საკონტროლო
დაქვემდებარებული ფსიქოტრიპული ნივთიერებების სიაში
შეტანილი ფსიქოტრიპული ნივთიერებების მოხმარება საქა
აკრძალულია ექიმის დანიშნულების გარეშე. უფრო შეტანი
ულია ფსიქოტრიპული ნივთიერების (რომელიც ნარკოტიკ
ალების) პრეკურსორები, ე.ი. მათი შესუმბუქების, მოხმარებისა
ნების იდეის გავრცელება. ამ ნივთიერებათა შესახებ იხ

განთავსება ნებადართულია მხოლოდ მედიცინის მუშაკებისათვის განკუთვნილ ჯანდაცვის ორგანოების ოფიციალურ გამოცემაში.

ფსიქოტროპული ნივთიერების ანალოგი არის საქართველოში ბრუნვისათვის აკრძალული სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერება,რომელიც არ არის შეტანილი კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიებში, რადგან მისი სტრუქტურა არ ემთხვევა კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ჩამონათვალს, მაგრამ მათი ქიმიური სტრუქტურა მსგავსია, ხოლო ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედება ანალოგიურია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩამონათვალში შეტანილი ფსიქოტროპული ნივთიერების ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედებისა.

სს კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია **ძლიერმოქმედი ნივთიერება**. ეს ნივთიერებები არ წარმოადგენენ არც ნარკოტიკულ და არც ფსიქოტროპულ ნივთიერებას. მართალია, ისინი ძირითადად სამედიცინო პრეპარატებია, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა მათი თავისუფალი ბრუნვიდან ამოღება. ძლიერმოქმედ ნივთიერებად ჩაითვლება ისეთი ნივთიერება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, თუკი: 1. მათი მიღება ხდება გადაჭარბებული დოზით; ან 2. როდესაც ამ ნივთიერების მიმართ პირს გააჩნია სამედიცინო უკუჩვენება. ძლიერმოქმედი ნივთიერება განსხვავდება შხამიანი ნივთიერებისაგან, ანუ შხამისაგან. შხამი არის მცენარეული,ცხოველური,მინერალური ან ქიმიური სინთეზით მიღებული ნივთიერება, რომელიც ორგანიზმზე ახდენს ტოქსიკურ ზემოქმედებას და იწვევს მწვავე ან ქრონიკულ მოწამვლას (მაგ., გველის შხამი, ციანმჟავა, მეთილის სპირტი, ფუტკრის გასუფთავებული შხამი, ყვითელი ფოსფორი, ნატრიუმი და სხვ.)[18].

ვინაიდან შხამის ბრუნვისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს სს კანონმდებლობით დაწესებულია 249-ე მუხლით,რომელიც მოთავსებულია ამ კოდექსის XXXII თავში – დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, ამ საკითხზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ განსხვავებას შხამებსა და ძლიერმოქმედ ნივთიერებას შორის. ეს განსხვავება ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ შხამის უმნიშვნელო დოზის მიღებაც კი იწვევს ორგანიზმის მოწამვლას და შესაძლოა დადგეს სიკვდილი. ამდენად, შხამი არ გამოიყენება მედიცინაში, როგორც სამკურნალო საშუალება. რაც შეეხება ძლიერმოქმედ ნივთიერებას,

[18] ჩამონათვალი შედგენილი უნდა იყოს ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ 1971 წლის გაეროს კონვენციისა და 1988 წლის კონვენციის შესაბამისად.

მისი მიღება ექიმის მიერ დანიშნული დოზითა და სამედიცინო უკუჩვენების არარსებობისას, არ უქმნის საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და, ამდენად, ეს პრეპარატები გამოიყენება მედიცინაში სამკურნალოდ. მაგალითად, გველის შხამი არის შხამიანი ნივთიერება და იგი სამკურნალოდ არ გამოიყენება, ხოლო გველის შხამზე დამზადებული სამედიცინო პრეპარატი (მაგ., აბი) ჩაითვლება ძლიერმოქმედ ნივთიერებად. ძლიერმოქმედ ნივთიერებებს მიეკუთვნება: ამიზილი, ბარბიტალი, დიაზეპამი (სედუქსენი), ალობარბიტალი, დიმედროლი ეფედრინით, ფსევდოეფედრინი, ქლოროფორმი, სამედიცინო ეთერი (ნარკოზის ეთერი) და სხვ.

რიგ შემთხვევაში, რომ განისაზღვროს უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერების სახეობა და მისი თვისებები, უნდა დაინიშნოს სპეციალური ექსპერტიზა. ამის აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როცა გამოძიების მიერ ამოღებული ნივთიერება არაა ქარხნული წესით შეფუთული და მასზე არ არსებობს სათანადო ეტიკეტი: ანდა ეტიკეტზე დაფიქსირებული წარწერა არ იკითხება ან არ ემთხვევა სპეციალურ სიაში ჩამოთვლილ დასახელებებს და გასარკვევია, არის თუ არა ეს დასახელება მისი სინონიმი. ძლიერმოქმედი ნივთიერების ხშირი გამოყენება ექიმის დანიშნულების გარეშე იწვევს არა მარტო ორგანიზმის სხეულებრივი ჯანმრთელობის (ე.ი. ფიზიოლოგიური ფუნქციის) არსებით მოშლას, არამედ ისეთი ავადმყოფობის განვითარებას, რომელსაც მედიცინაში ეწოდება ტოქსიკომანია. ტოქსიკომანია არის მთელი რიგი დაავადებების კრებითი სახელი, რომელიც ხასიათდება არანარკოტიკული ან არაფსიქოტროპული სამედიცინო სტატუსის მქონე ნივთიერებებისა და საშუალებებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით, მათ მიმართ განვითარებული ფსიქიკური ან ფიზიკური დამოკიდებულების გამო. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: ვინაიდან პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანას უკანონო დამზადებისა და სხვა ქმედების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის ხსენებული გადაწყვეტილებით დაუშვებელია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, მით უმეტეს, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს სასჯელის ასეთი სახის გამოყენება ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მიმართ, რომლის საშიშროება ნაკლებია, ვიდრე ნარკოტიკული საშუალებისა.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 262-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა და ზნეობა.

საქართველოს სს კანონმდებლობით ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება და სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერება არ წარმოადგენს სს კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს. სს კოდექსის 262-ე, 263-ე მუხლების შემოღებით კანონმდებელმა 214-ე მუხლიდან ამოიღო ეს ნივთიერებები.

განსახილველი დანაშაულის **ობიექტური მხარე გამოიხატება:**

ა) **საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის** უკანონოდ შემოტანაში, ამავე ნივთიერებების უკანონოდ გატანაში, ან მათივე გადაზიდვაში საერთაშორისო ტრანზიტით (პირვ. ნაწ.); **ბ) ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების** უკანონოდ შემოტანაში; საქართველოდან უკანონო გატანაში ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვაში (1^1 ნაწ.)

საქართველოში ნარკოტიკული საშუალება, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება შეიძლება შემოტანილ ან გატანილ იქნეს კანონიერადაც (რასაც ვერ ვიტყვით მისი ანალოგის მიმართ) და უკანონოდაც. შემოტანა კანონიერი იქნება მაშინ, თუ იგი ხორციელდება კანონის მოთხოვნათა დაცვით. კერძოდ, შემოტანა უნდა განახორციელოს იურიდიულმა პირმა ან სახელმწიფო დაწესებულებამ შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, სახელმწიფო კვოტის ან ლიმიტის ფარგლებში, საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების პრეკურსორებისა და ნარკოტიკული დახმარების შესახებ" შესაბამისად, აგრეთვე ამ კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

საქართველოში სტიქიური უბედურების ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემომტანი ან გამტანი იურიდიული პირები არ საჭიროებენ წინასწარ ნებართვას. თუმცა ამ დროს შემოტანილი ნივთიერების ლეგალურ ბრუნვაზე ვრცელდება კანონით გათვალისწინებული კონტრო-

ლის რეჟიმი.

სსკ კოდექსის 262-ე მუხლით დასჯადია ამ ნივთიერებების **არა კანონიერი, არამედ უკანონო** შემოტანა ან გატანა, ე.ი. ამ ნივთიერების გატანა ან შემოტანა კანონის ზემოხსენებულ მოთხოვნათა დარღვევით. უკანონო გატანა ან შემოტანა ძირითადად შეიძლება განხორციელდეს იმ ხერხებით, რაც გათვალისწინებულია სსკ 214-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა. **ეს ხერხებია:** საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის ან პრეკურსორის გადატანა ან გადმოტანა, თუ იგი ჩადენილია სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემის შეტანით.

თუმცა ქმედებას 262-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არაა აუცილებელი ამ ხერხების გამოყენება. მთავარია,ნარკოტიკების შემოტანა-გატანა მოხდეს სპეციალური ნებართვის გარეშე.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა ან უკანონო გატანა, ხდება საბაჟო საზღვარზე ამ ნივთების გადატან-გადმოტანით.

საქართველოში სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემოტანა ან საქართველოდან უკანონოდ გატანა შეიძლება ჩადენილ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრული ადგილების მიღმა ან იმ საბაჟო პუნქტების მეშვეობით, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილ ნუსხაში არ არიან შეტანილნი, ანდა არა იმ დროს, როცა წარმოებს საბაჟო გაფორმება (სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით). იგივე დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს სახელმწიფო კონტროლისაგან მალულად, ე.ი. სხვადასხვა სამალავში მათი მოთავსებით, რაც აძნელებს ამ ნივთიერების აღმოჩენას.

დოკუმენტის მოტყუებითი გამოყენება გულისხმობს როგორც ყალბი დოკუმენტის, აგრეთვე უკანონოდ მიღებული დოკუმენტის წარდგენას კონტროლის ორგანოებისათვის. გაყალბებული შეიძლება იყოს დოკუმენტი, ასევე მისი მხოლოდ ნაწილი (მაგალითად, გაყალბებულია ნარკოტიკული საშუალების წონა). როდესაც პირმა თვითონ დაამზადა ყალბი დოკუმენტი და მისი გამოყენებით უკანონოდ შემოიტანა საქართველოში ან გაიტანა ნარკოტიკული საშუალება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა რეალური ერთობლიობით.

დოკუმენტის მოტყუებით გამოყენება გვექნება მაშინაც, როცა იგი **არაა ყალბი, მაგრამ მიღებულია უკანონოდ**. მაგალითად,იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება კანონის მოთხოვნათა დაც-

ვით საქართველოში შემოიტანოს ნარკოტიკული საშუალება,უკანონოდ მიღებული დოკუმენტის საშუალებით ახდენს მის შემოტანას. დოკუმენტი ჩაითვლება უკანონოდ მიღებულად, როცა იგი გაცემულია, მართალია, სათანადო ორგანოების მიერ, მაგრამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მაგალითად, სახელმწიფო დაკვეთის არარსებობისას, ანდა ლიცენზია გაცემული იყო იმ პირზე, ვისზედაც მისი გაცემა კანონით არ შეიძლებოდა.

საბაჟო **იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენება** ნიშნავს ფალსიფიცირებული პლომბის, ლუქის,ბეჭდის, შტამპის ან მარკირების სხვა საშუალების გამოყენებას.

ამდენად,საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებითი გამოყენება გვექნება მაშინ, როცა პირი ფალსიფიცირებულ საიდენტიფიკაციო ნიშანს (მაგალითად, შტამპს) დაუსვამს ეკონომიკურ საზღვარზე გადასატან ნივთს – ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენა **დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით** სახეზეა მაშინ, როცა პირს საბაჟო დეკლარაციაში შეაქვს არასწორი მონაცემი საქართველოში შემოსატანი ან საქართველოდან გასატანი ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგიის ან პრეკურსორის შესახებ. (მაგალითად, მიუთითებს, რომ არ გადააქვს ეს ნივთიერება). სსკ 262-ე მუხლში მოცემული ფორმულირება „უკანონო გატანა" და „უკანონო შემოტანა" გულისხმობს არა მარტო კანონით დადგენილი პირობების დაუცველობას ამ ნივთიერებათა გადატანისათვის, არამედ საბაჟო წესის დარღვევასაც და ამ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 214-ე მუხლით საჭირო არ არის.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ასევე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების **უკანონო შემოტანა დამთავრებულია მაშინ**, როცა პირი მოახერხებს ამ ნივთიერების შემოტანას საქართველოში, ე.ი. გადმოლახავს საბაჟო საზღვარს.

ამ ნივთიერების საქართველოდან **უკანონო გატანა დამთავრებულია მაშინ,** როცა პირი მოახერხებს საქართველოს საზღვრების გადალახვას და გადაიტანს მას საქართველოს საზღვრებს იქით. ამიტომ, როცა პირს ნარკოტიკული საშუალების გადატანისას დააკავებენ სახელმწიფო კონტროლის ტერიტორიაზე, 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – მათი უკანონო გატანა საქართველოდან არაა დამთავრებული. ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს,როგორც მცდელობა (მე-19,262-ე მუხ.).

შესაბამისად, როცა ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალების

უკანონო შემოტანას საქართველოში სხვა ქვეყნიდან, საქართველოს საბაჟო კონტროლის ტერიტორიაზე პირის დაკავებისას დანაშაული უკვე დამთავრებულია. ხოლო, როცა პირს საქართველოდან უკანონოდ გააქვს ეს ნივთიერება, საქართველოს სახელმწიფო კონტროლის ტერიტორიაზე მისი დაკავებისას, ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობას, რადგან ნივთიერება საქართველოდან ჯერ არაა გატანილი.

სწორედ ასე უნდა იქნეს გაგებული „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთირებების, პრეკურსორებისა და ნარკოტიკული დახმარების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის „ყ" პუნქტი, სადაც განმარტებულია, რომ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოში შემოტანა ნიშნავს ამ ნივთიერების გადმოტანას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართველოს საბაჟოს ტერიტორიაზე, ხოლო ნივთიერების გატანა – მათ გადატანას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ამ **ქმედების ადგილს**, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, უკანონო გატანა ან შემოტანა უნდა მოხდეს ან საქართველოს ტერიტორიიდან მისი საზღვრის გადაკვეთით სხვა ქვეყნის ტერიტორიისაკენ, ანდა პირიქით,უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან საქართველოს საზღვრის გადმოკვეთით საქართველოში ამ ნივთიერების შემოტანა. თუ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გადაადგილება არაა დაკავშირებული საქართველოს საზღვრის გადაკვეთასთან, მაშინ ქმედება არ დაკვალიფიცირდება სსკ 262-ე მუხლით – უკანონო შემოტანა ან უკანონო გატანა. ამგვარი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადაზიდვით, გადაგზავნით ან საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით – უკანონო შენახვით.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ის ფაქტი, რომ ნარკოტიკის საქართველოში უკანონო შემომტანს არ აღმოაჩნდება ამ ნივთიერების კანონიერად შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, თავისთავად არაა საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ მან ეს ნივთიერება უკანონოდ შეიძინა, **ე.ი. საკმარისი არაა იმისთვის**, რომ მისი ქმედება 262-ე მუხლთან ერთად დავაკვალიფიციროთ სსკ 260-ე მუხლით (უკანონო შეძენა). ეს იმიტომ, რომ საერთოდ ნარკოტიკული საშუალების (ისევე როგორც სპეც კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთების) უკანონოდ ხელში ჩადგების სხვადასხვა გზა არსებობს. ესენია: 1. უკანონო დამზადება; 2. უკანონო წარმოება; 3. უკანონო შეძენა (260 მუხლის ალტერნატიული ქმედებები); 4. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (ქურდობით, ძარცვით, თაღლითობით, მითვისებით, ყაჩაღობით) ან გამოძალვა (სსკ 264-ე მუხლის ალტერნატიული ქმედებები).

სასამართლომ რომელიმე მათგანი (მაგალითად,უკანონო შეძენა) ბრალად რომ შერაცხოს პირს, ამისათვის მას ხელთ უნდა ჰქონდეს უტყუარი მტკიცებულობები. ასეთ უტყუარ მტკიცებულებად ვერ გამოდგება ის ფაქტი, რომ პირს არა აქვს ნარკოტიკული ნივთიერების კანონიერად შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვინაიდან არაა გამორიცხული, მას ეს ნივთიერება ქურდობის გზით ჰქონდეს მოპოვებული (264-ე მ.). ამიტომ პირის **ქმედება სსკ-ს 262-ე მუხლთან ერთად არ უნდა დაკვალიფიცირდეს** 260-ე მუხლის (ან თუნდაც 264-ე მუხლის) ერთობლიობით.

განსახილველ მუხლში გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოში სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების **ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა**.

საერთოდ, საერთაშორისო ტრანზიტში იგულისხმება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ხმელეთი, წყალი ან საჰაერო სივრცე) სხვა სახელმწიფოს ფიზიკურ პირთა, ტვირთის ან სატრანსპორტო საშუალებათა მსვლელობა. საერთაშორისო ტრანზიტი არის გზის ნაწილი, რომელიც იწყება და მთავრდება ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ. ე.ი. ამ მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით მიემართება სხვა სახელმწიფოსკენ. საერთაშორისო ტრანზიტი ხორციელდება დაინტერესებულ სახელმწიფოთა მრავალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობით მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის მიზნით, საქართველოში აკრძალულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ტრანზიტი. სსკ 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციიდან აშკარად ჩანს, რომ არ არსებობს ზემოხსენებულ ნივთიერებათა საერთაშორისო ტრანზიტით კანონიერი გადაზიდვა. ასეთი გადაზიდვა ყველა შემთხვევაში უკანონოა და იგი იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნული ქმედება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, როცა პირი სხვა სახელმწიფოდან საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყებს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ტრანზიტით გადაზიდვას.

ამ დანაშაულის შემადგენლობა არა გვაქვს მაშინ, როცა კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ **ე.წ. კონტროლირებად მიწოდებას**. ამგვარი მიწოდების მეთოდი რეგლამენტებულია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ 1988 წლის გაეროს კონვენციაში (მუხლი მე-11).

კონტროლირებადი მიწოდების დროს კომპეტენტური ორგანოების მეთვალყურეობის ქვეშ ხდება ნარკოტიკული საშუალების უკანონო

შემოტანა, გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა. ამ ოპერაციის მიზანია, გამოვლინდნენ დანაშაულის სხვა თანამონაწილენი. ამდენად, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ აღმოჩენილი ნარკოტიკების ამოღებით, არამედ მათ ასევე უნდა გამოავლინონ ამ ქმედების ჩამდენი პირები.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე ან უცხოელი პირი.

რაც შეეხება **დანაშაულის სუბიექტურ მხარეს**, მოტივი და მიზანი მუხლის დისპოზიციაში არაა დაფიქსირებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. ამ დანაშაულის მოტივი და მიზანი სასამართლომ უნდა დაადგინოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განსახორციელებლად. უმეტეს შემთხვევაში განსახილველი დანაშაული ანგარებითაა ჩადენილი და მისი მიზანიც მატერიალური გამორჩენის მიღებაა. თუმცა არაა გამორიცხული სხვა პირადი მოტივიც.

ბრალის ფორმის მიხედვით იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ, კერძოდ, პირდაპირი განზრახვით. ე.ი. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს რომ კანონით დადგენილი წესების დარღვევით შემოაქვს საქართველოში ან, პირიქით, გააქვს საქართველოდან ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი, ანდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ან გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ეწევა ამავე ნივთიერების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას და სურდეს ეს. თუკი პირმა არ იცის, რომ მის ბარგში მოთავსებულია სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული რომელიმე ნივთიერება, ქმედება ამ მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან სსკ 262-ე მუხლი ნარმოადგენს განზრახ დანაშაულს. **მაგალითად**, საზღვარგარეთიდან საქართველოში მომავალ პეტრეს აეროტორტის შენობაში მისმა ნაცნობმა გადასცა პატარა ფუთა და სთხოვა, ჩამოეტანა იგი საქართველოში და გადაეცა მისი მეუღლისათვის. პეტრეს ეჭვი არ შეპარვია ნაცნობის კეთილსინდისიერებაში და გამოართვა ფუთა. პეტრე თბილისის აეროპორტის მოფრენის დარბაზშივე დაკავებულ იქნა. ფუთაში აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება, რის შესახებაც მან არაფერი იცოდა. სახეზე არაა სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან შეუძლებელია მისი ჩადენა გაუფრთხილებლობით.

სსკ 262-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები,მთლიანად ემთხვევა სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებულ კვალიფიციურ შემადგენლობას. ამდენად, მათ განხილვას აქ არ შევუდგებით, მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ

ერთ-ერთ მათგანზე. ესაა მე-3 ნაწ. „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება – **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით**.

როგორც ვხედავთ, აქ კანონმდებელი არ აკონკრეტებს იმ პირთა წრეს, ვინც ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას (განსხვავებით საბაჟო წესის დარღვევისაგან). ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში სამსახურებრივი მდგომარეობა შეიძლება გამოიყენოს არა მარტო მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა, არამედ სხვა პირმაც, ვინც კი მოახერხებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას საქართველოში სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონოდ შემოტანის,უკანონოდ გატანის ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისას. ასეთ პირებად შეიძლება ასევე ჩავთვალოთ უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები საქართველოში. აგრეთვე კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და წარმომადგენლები.

ვინაიდან უცხო ქვეყნის დი პლომატიურ წარმომაგენელს კანონით უფლება აქვს გადაიტანოს ტვირთი საბაჟო შემოწმების გარეშე, მას აქვს ფაქტობრივი შესაძლებლობა, უკანონოდ შემოიტანოს ან გაიტანოს საქართველოდან ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალება და ამ შემთხვევაში იგი იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას. მართალია, ეს პირები სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტის უფლებით, მაგრამ თუკი ასეთი ფაქტი გამოვლინდა, ეს არ გამორიცხავს მათთვის საქართველოს სისხლის სამართლის კანონით პასუხისმგებლობის დაკისრებას. მხედველობაში გვაქვს შემთხვევა, როცა სახელმწიფოთა შეთანხმებით შეიძლება პირს მოეხსნას დიპლომატიური იმუნიტეტი და მან პასუხი აგოს იმ ქვეყნის კანონით, სადაც ჩაიდინა დანაშაული. ე.ი. არაა გამორიცხული სსკ 262-ე მუხლის სუბიექტად მოგვევლინოს უცხო ქვეყნის დიპლომატი, რომელსაც მოეხსნა დიპლომატიური იმუნიტეტი.

სამსახურებრივი მდგომარეობა შეიძლება გამოიყენონ ასევე ამა თუ იმ ორგანიზაცია-დაწესებულებათ **ტექნიკურმა მუშაკებმა**, რომლებიც არ არიან მოხელეები ან მასთან გათანაბრებული პირები. მაგალითად, სატვირთო მანქანის მძღოლები, მატარებლის მემანქანეები, მფრინავები, რომელთაც აქვთ ფიზიკური წვდომა ამ ნივთიერებებზე და რომლებიც იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას ამ დანაშაულის ჩასადენად.

მოხელეებს ან მასთან გათანაბრებულ პირებს უნდა მივაკუთვნოთ ისინი: ა) რომლებსაც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა აძლევთ უფლებას, გადაიტანონ ან შემოიტანონ ტვირთი შემოწმების გარეშე (გარდა უცხო ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომად-

გენლებისა); ბ) ვინც ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს; გ) ვისაც აქვთ უფლება, გასცენ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის კანონიერი გატანის ან საქართველოში კანონიერი შემოტანისათვის საჭირო დოკუმენტები. ამდენად, იყენებენ რა ამ შესაძლებლობას, ადგენენ სათანადო დოკუმენტებს მაშინ, როცა საამისო საფუძველი არ არსებობს და ამ გზით თავად გადააქვთ უკანონოდ ნარკოტიკული საშუალება საქართველოდან.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების,მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (მუხლი 263-ე).

განსახილველი დანაშაულისა და 262-ე მუხლის შემადგენლობები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, მათ დაწვრილებით განხილვას არ შევუდგებით. შევეხებით მხოლოდ მათ შორის განსხვავებებს. **ძირითადი განსხვავება** ამ ორ დანაშაულს შორის არის დანაშაულის საგანში: 263-ე მუხლის საგანია ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება. თანაც, განსხვავებით 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილისაგან, აქ **დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ ეს ნივთიერებები დიდი ოდენობითაა** შემოტანილი ან გატანილი საქართველოდან, ანდა გადაზიდულია საერთაშორისო ტრანზიტით. სსკ 262-ე და 263-ე მუხლების 1-ლი ნაწილების შემადგენლობებს შორის ასეთი განსხვავება ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ დანაშაულთა საგნის თვისებრივი მახასიათებელი.

ამდენად,როცა საქართველოში უკანონოდ შემოტანილი ან გატანილი ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება არ აღწევს დიდ ოდენობას, პირი პასუხს არ აგებს სსკ 263-ე მუხლით. ამ დროს დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

263-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა **ჯგუფურად.** როგორც ვხედავთ, განსხვავებით სსკ

262-ე მუხლისაგან, აქ **დამამძიმებელ გარემოებად ცალკე არაა გამოყოფილი** ამ ქმედებების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ. კანონმდებლის ეს პოზიცია რამდენადმე გამართლებულია,რამდენადაც საქართველოში ნაკლებადაა გავრცელებული ამ დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და მით უმეტეს, ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როცა წინასწარ შეთანხმებით პირთა ჯგუფი ერთდროულად ეწევა როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა, ისე ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გატანას ან შემოტანას საქართველოში, მათი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ 262-ე და 263-ე მუხლების შესაბამისი ნაწილებით). ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიულ პირსაც ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (მუხლი 264-ე)

ზემოთ განხილული მუხლებისაგან განსხვავებით (260-261-ე და 262-263-ე მუხლები), აქ ერთ ნორმაშია თავმოყრილი ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი და ძლიერმოქმედი ნივთიერება. კანონმდებლის ასეთი პოზიცია გამართლებულია იმით, რომ განსახილველი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **არა იმდენად დანაშაულის საგანს**, არამედ მისი მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ხერხსა და საშუალებას.

ამ დანაშაულისაგან **სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებია** ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც მოწესრიგებულია ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებისადმი მოპყრობისა და შეძენის კანონით დადგენილი წესით, ასევე საკუთრებითი ურთიერთობანი, რომელიც დაკავშირებულია ამ ნივთიერების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებასთან. **დანაშაულის დამატებით ობიექტად** უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სწორედ სისხლის-

სამართლებრივი დაცვის ობიექტთა ამგვარი სიმრავლე განსაზღვრავს ამ დანაშაულის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას.

264-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება: ა) ნარკოტიკული საშუალებისა და ზემოთ მითითებული სხვა ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში ან ბ) ამავე ნივთიერების გამოძალვაში.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება გულისხმობს იმ ხერხების გამოყენებას, რაც გათვალისწინებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ე.ი. კანონმდებელმა ნარკოტიკული საშუალება და 264-ე მუხლში მითითებული სხვა ნივთიერება ამოიღო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა (თავი XXV) საგნების სიიდან და შექმნა სპეციალური ნორმა ნარკოტიკულ დანაშაულთა თავში. ამგვარი პოზიცია გამართლებულია ნარკოტიკული დანაშაულებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის თავისებურებით და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან სს-ვი დაცვის ობიექტისაგან მისი განსხვავებით.

სსკ 264-ე მუხლში მითითებულ ნივთიერებათა **მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება შეიძლება განხორციელდეს:**

1. **ქურდობით**, ე.ი. ამ ნივთიერებათა ფარული დაუფლებით;

2. **ძარცვით,** ე.ი. ამ ნივთიერებების აშკარა დაუფლებით, მაგრამ იმ ძალადობის გამოყენება, რაც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ასევე ასეთი ძალადობის მუქარა გათვალისწინებულია არა 264-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, არამედ მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტში;

3. **თაღლითობით**, ე.ი. ამ ნივთიერების მიღება მოტყუებით; მაგალითად, პირმა ყალბი დოკუმენტის წარდგენით აფთიაქიდან მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა ნარკოტიკული საშუალება,თავი გაასაღა რა ონკოლოგიური საავადმყოფოს წარმომადგენლად. **ამასთან უნდა გვახსოვდეს**, რომ როდესაც ყალბი დოკუმენტის წარმოდგენისას პირი ეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას სათანადო ღირებულების გადახდით (მაგალითად, ყალბი რეცეპტის წარდგენით აფთიაქიდან გატანილ იქნა ნარკოტიკული საშუალება ღირებულების გადახდის შემდეგ), აქ ადგილი აქვს არა ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას, არამედ მათ უკანონო შეძენას (სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწ.). ამასთანავე, თუკი პირმა თვითონ დაამზადა ყალბი დოკუმენტი ან ყალბი რეცეპტი, მისი ქმედება დამატებით დაკვალიფიცირდება სსკ 362-ე მუხლით და არა 267-ე მუხლით, რადგან სსკ 267-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას პირის მიზანია ამ ყალბი დოკუმენტის გასაღება სხვა პირზე და არა ყალბი დოკუმენტის თავად

გამოყენება.

4. **მითვისებით,** იმ კერძო პირის მიერ, ვისაც ეს ნივთიერება მინდობილი ჰქონდა მართლზომიერად (მაგალითად, ავადმყოფის მომვლელი მედდის მიერ). მაგრამ როდესაც მითვისებას ახორციელებს პირი, ვისაც ნარკოტიკული საშუალება **სამსახურებრივად აქვს მინდობილი** (ანუ მის მიმართ აქვს იურიდიული წვდომა), ქმედება დაკვალიფიცირდება 264-ე მ. III ნ. „ა" ქვეპუნქტით.

5. **ყაჩაღობით** (264-ე მუხლ. IV ნ. „გ" ქვეპუნქტით), ე.ი. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

აქვე ერთმანეთისაგან **უნდა გავმიჯნოთ ნარკოტიკულ საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება და უკანონო შეძენა** (სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწ.):

უკანონო შეძენისას პირი არ იყენებს მართლსაწინააღმდეგო ხერხს, ხოლო მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისას აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ხერხის (ფარული, აშკარა, მოტყუების, თავდასხმის და ა.შ.) გამოყენება (გამონაკლისია ისეთი მოტყუება, როცა დამნაშავე ნივთს იძენს სათანადო ანაზღაურებით);

უკანონო შეძენის დროს ნარკოტიკული საშუალება (ან კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერება) შეიძლება არც იმყოფებოდეს კონკრეტული იურიდიული თუ ფიზიკური პირის საკუთრებასა ან მფლობელობაში. ამ ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება კი უნდა მოხდეს იურიდიული თუ ფიზიკური პირის მფლობელობიდან ან საკუთრებიდან მისი ამოღების გზით. **მაგალითად,** როდესაც პირი ფარულად ეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას კონკრეტული პირის ბინიდან, ადგილი აქვს ნარკოტიკულ საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას. მაგრამ, როცა იგივე პირი ღია ცის ქვეშ ბუნებრივად გაზრდილ ნარკოტიკული საშუალების შემცველ მცენარეებს აგროვებს ფარულად, ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენას.

როდესაც ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო ამოღება ხდება მისი მფლობელისაგან მისივე ნებართვითა და მასთან შეთანხმებით (ანუ არ იყენებს მართლსაწინააღმდებო ხერხს), საქმე გვაქვს უკანონო შეძენასთან. **მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება** (სსკ 264-ე მუხლი) გვექნება, როცა პირი **უსასყიდლოდ და მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ** (ქურდობით, ძარცვით, თაღლითობით, ყაჩაღობით და ა.შ.) ახდენს ამ ნივთიერებების ამოღებას;

კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისას ეს ნივთიერებები არა მარტო იმყოფება ამა თუ

იმ პირის მფლობელობასა ან საკუთრებაში, არამედ **მასზე დახარჯული უნდა იყოს ადამიანის შრომა,** ე.ი. მას უნდა გააჩნდეს მატერიალური ღირებულება, ხოლო ამ ნივთიერებათა უკანონო შეძენისას არა აქვს მნიშვნელობა, მათ გააჩნიათ მატერიალური ღირებულება თუ არა;[19]

საკითხავია, ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის თუ არის აუცილებელი, დანაშაულის საგანის (დაუფლებული ან გამოძალული ნივთიერების) შექმნაზე დახარჯული იყოს ადამიანის მართლზომიერი შრომა?

ამ საკითხის გადაწყვეტას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ თუკი სსკ 264-ე მუხლის საგნად ჩავთვლით მხოლოდ სპეც. კონტროლს დაქვემდებარებულ იმ ნივთიერებას, რაზეც ადამიანის კანონიერი შრომაა დახარჯული, მაშინ უკანონოდ დამზადებული ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო ხერხით (მაგალითად, ქურდობით) დაუფლებას ვერ დავაკვალიფიცირებთ სსკ 264-ე მუხლით. ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260-ე მუხლით, როგორც ამ ნივთიერების უკანონო შეძენა.

სსკ 264-ე მუხლის საგანი არის სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ისეთი ნივთიერებაც, რაზეც დახარჯულია უკანონო შრომა. ამაზე უტყუარად მიუთითებს ამ მუხლის დისპოზიციაში ჩამოთვლილი საგნები, რომელთა შორის არის ისეთებიც, რაზეც **არ შეიძლება დახარჯული იყოს** ადამიანის კანონიერი შრომა. ესენია: ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების ანალოგი. ისინი არ იქმნებიან კანონით დადგენილი წესით (ასე რომ არ იყოს, შეტანილი იქნებოდნენ შესაბამის სიაში და მათი მოლეკულური ფორმულაც ცნობილი იქნებოდა). მას ქმნიან ნარკობიზნესით დაკავებული პირები, ან თავად მომხმარებლები. ამდენად, როცა სახეზეა სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო ხერხით მისაკუთრება ან გამოძალვა, კანონიერი თუ უკანონო გზით იყო იგი შექმნილი, ამას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. **მაგალითად,** პეტრემ იცის, რომ ვასო სახლში ინახავს უკანონოდ დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალებას. იგი შეიპარა მის ბინაში და ფარულად დაეუ-

---

[19] დაწვრილებით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების საგანზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, მე-6 გამოც. გვ. 403-411; მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ., 1999, გვ. 6-12; ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 13-15; Гаухман Л.Д., Максимов С.В., Преступления в сфере экономичесой деятельности. М., 1988, с. 102 და სხვ.

ფლა ამ ნივთიერებას. სახეზეა სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას ადგილი აქვს მაშინ, როცა: 1) ეს ნივთიერება იმყოფება კონკრეტული პირის მფლობელობაში ან საკუთრებაში; 2) მასზე დახარჯულია ადამიანის შრომა (მნიშვნელობა არაქვს, კანონიერია ეს შრომა, თუ უკანონო) და გააჩნია მატერიალური ღირებულება; 3)ადგილი აქვს **მის ამოღებას** მართლსაწინააღმდეგო ხერხების გამოყენებით (ქურდობით, ძარცვით, თაღლითობით და ა.შ.); 4) ამოღება ხდება არა მარტო მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ და უკანონოდ, არამედ ასევე **უსასყიდლოდ (ანაზღაურების გარეშე);** 5) მფლობელს ადგება მატერიალური ზიანი. **ყველა ეს პირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად** და ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ქმედების კვალიფიკაციას სსკ 264-ე მუხლით.

მაგალითი: პეტრემ დაამზადა ყალბი რეცეპტი ნარკოტიკული საშუალების შესაძენად. რეცეპტი იძლეოდა მორფინის ჯგუფის ერთერთი პრეპარატის სპეც. აფთიაქში შეძენის შესაძლებლობას მხოლოდ სათანადო ანაზღაურების შემთხვევაში. პეტრემ ამ რეცეპტის გამოყენებით შეცდომაში შეიყვანა აფთიაქის პროვიზორი, რომელმაც სათანადოდ არ შეამოწმა იგი. ამდენად, შესაბამისი ანაზღაურების გადახდით მან მიიღო ნარკოტიკული საშუალება. პეტრეს ქმედებაში სახეზეა სსკ 363-ე და 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (უკანონო შეძენა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. აფთიაქის პასუხისმგებელი პირი კი დაისჯება სსკ 269-ე მუხლის პირველი ნაწილით (ამ დანაშაულზე ქვემოთ იქნება საუბარი).

საკითხავია, ამ მაგალითში რატომ არაა სახეზე სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილი – ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება მოტყუებით?

ამ კითხვას შემდეგი პასუხი უნდა გაეცეს: მართალია, სახეზეა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი, რომელის დამზადებაზეც დახარჯულია ადამიანის შრომა, ასევე ეს ნივთიერება იმყოფებოდა სხვის (სპეც აფთიაქის) მფლობელობაში, მისი ამოღება მოხდა სხვისი მფლობელობიდან მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ და უკანონოდ, რისთვისაც გამოყენებულ იქნა მართლსაწინააღმდეგო ხერხი (მოტყუება), მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ნივთის ამოღება არ მომხდარა უსასყიდლოდ (პეტრემ მასში გადაიხადა დადგენილი თანხა). ეს უკანასკნელი კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გამორიცხავს

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებად ქმედების კვალიფიკაციას.[20]

მოცემული კაზუსი შემდეგნაირად შევცვალოთ: პეტრემ დაამზადა ყალბი რეცეპტი ნარკოტიკის შესაძენად, რომელიც იძლეოდა ამ ნივთიერების უსასყიდლოდ შეძენის უფლებას. მან შეცდომაში შეიყვანა აფთიაქის პროვიზორი, რომელმაც სათანადოდ არ შეამოწმა რეცეპტი და უსასყიდლოდ მიიღო ნარკოტიკული საშუალება. პეტრეს ქმედებაში სახეზეა სსკ 363-ე და 264-ე მუხლები პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, რადგან ზემოთ ნახსენებ წინაპირობებს დაემატა, ის, რომ იგი ნარკოტიკულ საშუალებას დაეუფლა **არა მხოლოდ უკანონოდ, არამედ ასევე უსასყიდლოდ**.

აშკარაა, რომ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება მეტია მეორე ვარიანტში, როცა პეტრეს ქმედებით საფრთხე შეექმნა საზოგადოების ჯანმრთელობას და ზნეობას, ამავე დროს ხელყოფილ იქნა საკუთრების უფლებაც (ნარკოტიკი უსასყიდლოდ გავიდა სპეც. აფთიაქის მფლობელობიდან). ამის მიუხედავად, სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია უფრო მსუბუქია ვიდრე სსკ 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია, რაც კანონმდებლის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

როცა პირი მართლსაწინააღმდეგო ხერხის გამოყენებით ეუფლება ისეთ ნივთიერებას (მაგ., ფსიქოტროპულ წამალს), რომელიც არაა შეტანილი შესაბამისი კანონის თანდართულ სიაში, ქმედება ამ მუხლით არ დაკვალიფიცირდება. კვალიფიკაცია მოხდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით (მაგ., ქურდობით).

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (მათ შორის ყაჩაღური თავდასხმით განხორციელებულიც – IV ნ. „გ" ქვ.) **დამთავრებულად ჩაითვლება** მაშინ, როცა პირი უკანონოდ დაეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას და მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზეა დაუმთავრებელი დანაშაული (მაგალითად, მცდელობა – 19, 264-ე მ.).

სსკ 264-ე მუხლის შემადგენლობაში საერთოდ არაა გათვალისწინებული კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გაფლანგვა. როდესაც პირი, ვისაც კანონიერი გზით მინდობილი აქვს ეს ნივთიერება და უკანონოდ გაასხვისებს (მაგ., გაასაჩუქრებს) მას იმ პირზე, ვისაც არა აქვს მათი შეძენის უფლება, ადგილი ექნება კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების არა მართლსაწინააღმდეგო მისა-

[20] იხ. ნ. თოდუა, მ. ლეკვეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 405-407; Алиева, Р. Х. Уголовно-прововые и криминологические проблемы борбы с незаконнымоборотом наркотоков, Мачачкала, 2005, ст.64-66

კუთრებას (264-ე მუხ.), არამედ მის უკანონო გასაღებას (სსკ 260-ე ან 261-ე მუხლები).

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია ამ ნივთიერებათა გამოძალვა. სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული **ნივთიერების გამოძალვას** ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი წაუყენებს რა ამ ნივთიერების გადაცემის მოთხოვნას დაზარალებულს, ემუქრება მას, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოიყენებს ძალადობას თვით დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, გაანადგურებს ან დააზიანებს მათ ნივთს, გაახმაურებს სახელგამტეხ ცნობას ან სხვა ისეთ ცნობას,რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს დაზარალებულის უფლებები, ე.ი. გამოძალვისათვის გამოყენებული უნდა იყოს ის ხერხები, რაც გათვალისწინებულია სსკ 181-ე მუხლში – გამოძალვა[21]. ეს ქმედება დამთავრებულად ჩაითვლება მოთხოვნის წაყენების მომენტიდან, ე.ი. **მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისაგან განსხვავებით იგი ფორმალური დანაშაულია**. ამასთანავე, განსხვავებით კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისაგან, აქ დაზარალებულად შეიძლება მოგვევლინონ არა მარტო ის პირები, ვის საკუთრებაში ან მფლობელობაშიც იმყოფება ეს ნივთიერება, არამედ ის პირებიც, ვისაც სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე,ხელი მიუწვდებათ მათზე. **მაგალითად,** დამნაშავემ ონკოლოგიური საავადმყოფოს მედდას წაუყენა მოთხოვნა, რომ გარკვეულ ვადაში გადასცეს ნარკოტიკული საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა შვილის მკვლელობით.

პირს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ასევე მის მიერ განხორციელებულ წარმოების პროცესთან დაკავშირებით. ამდენად,გამოძალვისას დაზარალებული შეიძლება იყოს პირი, ვინც კანონიერად ამზადებს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას (მაგალითად, ძლიერმოქმედ ნივთიერებას).

ამდენად, სსკ 264-ე მუხლი არის ნაწილობრივ მატერიალური (მისაკუთრება) და ნაწილობრივ ფორმალური (გამოძალვა) დანაშაული.

პირის ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, როდესაც მან გამოძალვით ვერ მიაღწია მიზანს და სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა. კერძოდ, სსკ 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით იმ დანაშაულით, რაც

---

[21] გამოძალვაზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 444-448; მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42-45, ზ. წულაია, დასახ. ნაშრ., გვ. 80-88. Сафонов В.Н. Организованное вымогательство.

მან ჩაიდინა (მაგალითად, მკვლელობით).[22]

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივი ნორმის დისპოზიციაში არაა მითითებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ დადგენას მნიშვნელობა აქვს არა ქმედების კვალიფიკაციისათვის, არამედ სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, გამდიდრება და სხვ.

ამ დანაშაულის მიზანი არის სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება.

ბრალის ფორმის მიხედვით დანაშაული პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ სათანადო კანონიერი ნებართვის გარეშე ამა თუ იმ ხერხით ისაკუთრებს 264-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილ ნივთიერებათაგან თუნდაც ერთ-ერთს, ან სჩადის ამ ნივთიერების გამოძალვას. ამასთან **სახეზეა სპეციალური განზრახვა.** როგორც სსკ 237-ე მუხლის განმარტებისას აღვნიშნეთ, იურიდიულ ლიტერატურაში **სპეციალურ განზრახვად** მიჩნეულია ისეთი შემთხვევა, როცა პირი განზრახ ეუფლება ისეთ მოძრავ ნივთს, რომელსაც მატერიალური ღირებულება არ გააჩნია (მაგალითად, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა)[23].

სპეციალურ განზრახვას არსი უფრო ფართოდაც უნდა გავიგოთ. კერძოდ, აქ უნდა მოვიაზროთ ისეთი ნივთების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება,რომელიც ამოღებულია თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან და მათზე დაწესებულია სპეც. კონტროლი (მაგალითად, ნარკოტიკული საშუალება). ამასთან ერთად, მეორე აუცილებელი პირობაა ის, რომ ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის პასუხისმგებლობა დაწესებული უნდა იყოს არა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავით, არამედ სსკ სხვა თავის შესაბამისი მუხლით (მოცემულ შემთხვევაში ნარკოტიკულ დანაშაულთა თავის 264-ე მუხლით).

აქედან გამომდინარე, როგორც წესი, პირს არ უნდა შეერაცხოს ნარკოტიკის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (264 მ.), როცა მოძრავი ნივთის ამოღება მოხდა ისეთი ადგილიდან, სადაც დამნაშავე ელო-

---

[22] Уголовно-правовой и криминологический анализ, с. III-137; Курс Уголовного права, т.3, под ред. Борзенкова Г.Н. и Комиссарова В.С. Особенная часть, М., 2002, с. 454-460; Комментарий к уголовному кодексу Российсой Федерации, отв. ред. проф. А.В. Наумов, М., 2000, с. 439-443.

[23] ამ საკითხზე იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სსკოდექსის განმარტება, თბ. 2005, გვ. 105

დებოდა მხოლოდ თავისუფალ ბრუნვაში მყოფ ნივთს. **მაგალითად,** პირმა მატარებლის ვაგონში მგზავრს მოპარა ხელჩანთა, სადაც სხვა ნივთებთან ერთად ნარკოტიკიც აღმოაჩინა. თუ მან ეს ნივთიერება გადააგდო, ან ნებისმიერი გზით უკან დაუბრუნა პატრონს, ანდა ნებაყოფლობით ანონიმურად ჩააბარა ხელისუფლებას, ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მას ნარკოტიკის დაუფლების სპეციალური მიზანი არ ჰქონია. მაგრამ თუკი მან ეს ნარკოტიკი დაიტოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის იმთავითვე (ნივთის დაუფებამდე) სულ ერთი იყო, რა ნივთს დაეუფლებოდა ფარულად – ნარკოტიკს თუ სხვა ნივთს. ამდენად, მას ქურდობასთან ერთად ბრალად უნდა შეერაცხოს ნარკოტიკის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაც (177-ე და 264-ე მუხლები).

განსახილველი დანაშაულის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში ჩამოთვლილ დამამძიმებელ გარემოებათა უმრავლესობა ჩვენ მიერ განხილულია 260-ე მუხლის ანალიზისას. ამჯერად ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. ესენია: მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება – „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით", მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება – „ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით" და მე-4 ნაწილის „გ" პუნქტით გათვალისწინებული გარემოება – „სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით".

ამ დანაშაულის ჩადენა **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით** შეუძლია იმ პირს, ვისაც ნარკოტიკული საშუალება ან კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერება მინდობილი აქვს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (მაგრამ არაა მისი მესაკუთრე). ანდა უშუალოდ ანუ ფიზიკურად არა აქვს მინდობილი, მაგრამ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ხელი მიუწვდება მათზე (ანუ აქვს იურიდიული წვდომა). ასეთი პირები უმეტესად არიან მოხელეები, მასთან გათანაბრებული პირები და ასევე სხვა პირებიც, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ნარკოტიკულ საშუალებასთან ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ნივთიერებასთან. ესენი არიან: სპეციალური აფთიაქის გამგეები,საავადმყოფოს მთავარი ექიმები და განყოფილების გამგეები ან მათი მოვალეობის შემსრულებლები, სასწრაფო დახმარების ექიმები, მიმღები განყოფილების მორიგე ექიმები (მოხელეები ან მასთან გათანაბრებული პირები), ასევე რიგითი ექიმები, მედდები, ფარმაცევტები, იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლები და გამცილებლები, რომლითაც სათანადო დოკუმენტის საფუძველზე გადააქვთ

კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, აგრეთვე ის პირები, რომელთა წარმოებითი საქმიანობაც დაკავშირებულია ამ ნივთიერებებთან. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება შეუძლიათ იმ პირებსაც, ვისი ხელმძღვანელობითაც ხდება ამ ნივთიერებების შემოტანა საქართველოში, მათი განაწილება, მოხმარებაზე ან განადგურებაზე კონტროლის გაწევა. ესენი არიან ის მოხელეები, ვის ოპერატიულ გამგებლობაშიც იმყოფება ნარკოტიკული და კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერებები (ანუ აქვთ სამართლებრივი წვდომა მათზე, ეს ნივთიერებები შესაძლებელია, ფიზიკურად არ იმყოფება მათ მფლობელობაში).

ასეთი მოხელეები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ქმნიან სხვადასხვა ფიქციურ დოკუმენტებს, ასევე ხშირად იყენებენ პირებს, ვინც იმყოფება მათ სამსახურებრივ დაქვემდებარებაში. ამ ქმედების ჩადენისას მოხელეები, რა თქმა უნდა, ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანაშაულის კვალიფიკაციისას არაა საჭირო სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლის (332-ე მუხლი) გამოყენება. ეს იმიტომ, რომ 332-ე მუხლი ჩვენ მიერ განსახილველ მუხლთან მიმართებაში არის ზოგადი ხასიათის ნორმის შემცველი, ე.ი. სსკ 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტი მისი კონკრეტული შემთხვევაა, ხოლო ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას, ამ შემთხვევაში-264-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტს.[24]

ჩვენ მიერ განსახილველი შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ამ დანაშაულის ჩადენა **ძალადობით, რომელიც საშიში არ არის** სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.

ამგვარ ძალადობას შედეგად არ უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლა და, აქედან გამომდინარე, არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი (სსკ 120-ე მუხლი), იგი შეიძლება გამოიხატოს ცემასა და სხვაგვარ ძალადობაში (სსკ 125-ე მუხლი),რომელიც დაზარალებულს ტკივილს განაცდევინებს. მაგალითად, სილის გაწვნა სახეზე, ხელების ან ფეხების შეკვრა, ხელის გადაგრეხა, თმების მოქაჩვა და სხვ.

ძალადობა მაშინ ჩაითვლება ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად, როცა პირი მას იყენებს სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დასაუფლებლად, ანდა მაშინ, როცა პირმა ეს

[24] იხ. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კერძ ნაწილი, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 453-456

ნივთიერება,მართალია,ხელში ჩაიგდო, მაგრამ ჯერ არ მისცემია განკარგვის შესაძლებლობა და მისი შენარჩუნების მიზნით იყენებს ამ ძალადობას.

„ასეთი ძალადობის მუქარაში" იგულისხმება პირის დაშინება, რომ გამოიყენებს მის მიმართ ზემოთ ჩამოთვლილ ძალადობათაგან თუნდაც ერთ-ერთს. თუ პირი დაშინებისათვის იყენებს განუსაზღვრელ მუქარას („შენთვის უმჯობესი იქნება", „შენი საქმე ცუდად წავა", „გირჩევნია არ გამიძალიანდე" და სხვ.), მაშინ 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილში გათვალისწინებული ძალადობის მუქარის გამიჯვნისას მხედველობაში უნდა მივიღოთ დაზარალებულისა და დამნაშავის რაოდენობა და მათი ფიზიკური მონაცემები,სქესი,აგრეთვე მუქარის ჩადენის ადგილი (ირგვლივ ხალხთმრავლობაა თუ არა), დრო (დღეა თუ ღამეა), მუქარის გამოთქმის ფორმა და ტონი (დამნაშავეები ნიღბებში არიან და განრისხებულნი სასტიკი ტონით საუბრობენ) და სხვა გარემოებები.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მუქარა, რაც არაა საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის **უნდა იყოს იმწუთიერი** და არა სამომავლო. თუკი სახეზეა სამომავლო მუქარა, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილით (გამოძალვა). **მაგალითად,** პეტრე დაუკავშირდა სპეც. აფთიაქის პროვიზორს და მოსთხოვა ერთი დღის ვადაში გადაეცა მისთვის მორფინის ჯგუფის პრეპარატი, წინააღმდეგ შემთხვევაში ცემით დაემუქრა. სახეზეა ნარკოტიკული საშუალების გამოძალვა (264-ე მ. პირვ. ნაწ.).

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება, რომელსაც განვიხილავთ, გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტით–**სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის** მუქარით.

სიცოცხლისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი, ე.ი. ამ ძალადობის შედეგად არსებობს სიკვდილის დადგომის ალბათობა (მაგალითად, თავში მძიმე საგნის ჩარტყმა, ფანჯრიდან პირის გადაგდება და ა.შ.). ჯანმრთელობისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება (117-ე, 118-ე, 120-ე მუხლები, ასევე 126-ე მუხლი), მაგ., „დაუთავება". ამ ნორმაში გათვალისწინებულმა ძალადობამ თუ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით. თუკი ამგვარმა ძალადობამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით[25].

[25] ამ საკითხებზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის **საშიში ძალადობის მუქარაში** იგულისხმება მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, წამების მუქარა. მუქარა შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერად ან იარაღის დემონსტრირებით, თუნდაც პირმა კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების დასაუფლებლად გამოიყენოს არა ნამდვილი იარაღი,არამედ მისი იმიტაცია და ამ გზით მოახდინოს დაზარალებულის ნების პარალიზება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **მუქარა უნდა იყოს იმწუთიერი**. თუ იგი სამომავლოა, ქმედება დაკვალიფიცირდება 264-ე მ. I ნაწ-ით. (გამოძალვა). ძალადობის მუქარა გამოძალვისას (სსკ 181-ე მ. პირვ. ნაწ.) გულისხმობს როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ, ისე არასაშიშ ძალადობის მუქარას, **მთავარია, იგი იყოს სამომავლო** და არა იმწუთიერი. შესაბამისად უნდა განიმარტოს იგი სსკ 264-ე მუხლშიც.[26]

როცა დასაშინებლად გამოყენებულია ნამდვილი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც პირი ატარებს სათანადო ნებართვის გარეშე, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ვინიდან ამ ნორმით გათვალისწინებული ძალადობის მუქარა (ისევე როგორც თვით ძალადობა) სავსებით შესაძლებელია იარაღის გამოყენების გარეშეც. ამდენად, განსახილველი მუხლის დისპოზიცია არ ითვალისწინებს მის გამოყენებას, როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყაჩაღობისგან (179-ე მ.) განსხავებით, 264-ე მ. IV ნ. „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება **დამთავრებული არაა თავდასხმის მომენტიდან**, არამედ მაშინ, როცა პირი მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრებს ნარკოტიკულ საშუალებას ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ნივთიერებას და მიეცემა მისი შეხედულებისამებრ გამოყენების (მფლობელობის, სარგებლობის ან განკარგვის) ფაქტობრივი შესაძლებლობა..

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიულ პირსაც ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

30-34; ზ. წულაია, დასახ. ნაშრ., 64-67; ზ. წულაია, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2000, გვ. 85; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 430-433.

[26] ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხ. ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, (მე-2 გამოცემა), თბ. 2004, გვ. 80-82

ნარკოტიკული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცალკეული სადაო საკითხები

ამ პარაგრაფში განხილული იქნება ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული შემდეგი პრობლემები:

1. ნარკოტიკული დანაშაულის საგანი;
2. ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის საკითხი სსკ 264-ე მუხლის მაგალითზე;
3. 260-ე მ-ის შენიშვნასთან დაკავშირებული საკითხები.

I. ნარკოტიკული დანაშაულის საგანი.

პრობლემურია ნარკოტიკულ დანაშაულთა საგნის გარკვევა. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე დამოკიდებულია არა მარტო ქმედების სწორი კვალიფიკაცია, არამედ ადამიანის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტა იმ თვალსაზრისით, დაეკისროს თუ არა მას სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს მაშინ, როცა დღის წესრიგში დგება ნარკოტიკული საშუალების კომბინირებული პრეპარატის არსის გაგება.

კერძოდ, **ისმის კითხვა**: არის თუ არა ნარკოტიკული საშუალება, ან ამ საშუალების კომბინირებული პრეპარატი ყველა ის ნივთიერება, რომელიც ინგრედიენტის სახით შეიცავს ერთ ან რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას?

ამდენად, **ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს**: ა) ნარკოტიკული საშუალების **კომბინირებული პრეპარატი და ბ) ისეთი ნივთიერება**, რომელიც არაა შეტანილი სპეციალურ სიაში, მაგრამ **ინგრედიენტის სახით** სხვა ნივთიერებებთან ერთად შეიცავს ისეთ ნარკოტიკულ საშუალება (ერთს ან რამდენიმეს), რაც შეტანილია საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ თანდართულ სიაში.

ამ კანონის თანახმად, **ნარკოტიკულ საშუალებათა შორის** არსებობს **კომბინირებული პრეპერატი**, რომელიც შესდგება არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა ნარკოტიკულ საშუალებათა კომბინაციისაგან და საბოლოოდ წარმოადგენს ერთიან ნარკოტიკულ საშუალებას, მინიჭებული აქვს ერთიანი სახელწოდება და სახელობითად შეტანილია შესაბამისი კანონის თანდართულ სიაში, როგორც სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალება. მისი ოდე-

ნობა განისაზღვრება არა მასში შემავალი თითოეული ნარკოტიკული საშუალების წონით, არამედ მასში შემავალი ყველა ნარკოტიკული საშუალების წონათა ჯამით. მაგალითად, 100 ტაბლეტი კოდეინი - თითო ტებლეტი შესდგება: კოდეინი – 0.03 გრ + პარაცეტამოლი 0,500 გრ = 3,0 გრ კოდეინს. ეს კი შეესაბამება კოდეინის დიდ ოდენობას.

ამგვარ ნივთიერებასთან ერთად (ანუ მათ გვერდით და არა მათ შორის) არსებობს ისეთი ნივთიერება, რომელიც **სახელობით არაა შეტანილი** ზემოთხსენებული კანონით გათვალისწინებულ ნარკოტიკულ საშუალებათა კრებსით ჩამონათვალში, მაგრამ **მასში შემავალი ცალკეული ინგრედიეტი** არის ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შეტანილია ამ სიაში.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ასეთი ნივთიერება **არ წარმოადგენს სპეც. კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას,** რადგან ნარკოტიკული საშუალების გარკვეული სახეობა შესაძლოა, შეტანილი იყოს ისეთ ნივთიერებაშიც, რომელიც თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაშია. ანდა არაა თავისიფალ ბრუნვაში, მაგრამ მასზე არაა დაწესებული სპეც. კონტროლი და ამდენად, არაა შეტანილი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორიებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თანდართულ სიაში. შესაბამისად იგი არ წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას.

მაგალითად, ნივთიერება „ყაყაჩოს თესლი", რომელიც გამოიყენება საკონდიტრო საქმიანობაში (კონდიტერიაში), სხვა ინგრედიენტებთან ერთად შესდგება ცალკეული ნარკოტიკული საშუალებისაგან, როგორიცაა „მორფინი" და „კოდეინი". ამის მიუხედავად, იგი არ წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას, რადგან არა აქვს ის თვისება, რაც გააჩნია ნარკოტიკულ საშუალებებს. გამომდინარე აქედან, არაა შეტანილი ზემოთხსენებულ დანართში. იგი არც სამედიცინო ცნობარშია შეტანილი, როგორც ნარკოტიკული საშუალება (თუმცა სადაო არაა, რომ ამ საკითხის სამედიცინო მხარეს არა აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა). უფრო მეტიც, არაა გამორიცხული, ზოგიერთი მედიკამენტი (მაგალითად, წნევის დამწევი ან დამშვიდებელი საშუალება) გარკვეული ოდენობით შეიცავდეს რომელიმე ნარკოტიკულ საშუალებას, თუმცა ამის მიუხედავად, მთლიანობაში ეს მედიკამენტი არაა ნარკოტიკული საშუალება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი, მიეკუთვნება თუ არა მოცემული ნივთიერება ნარკოტიკულ საშუალებას, **უნდა გადაწყდეს არა** მასში ინგრედიენტების სახით შემავალი ნივთიერების სახეების გარკვევით, **არამედ იმით,** მთლიანობაში ეს ნივთიერება (მისი

სახელწოდებიდან გამომდინარე) თუ არის შეტანილი ზემოთხსენებული კანონის თანდართულ სიაში.

ვნახოთ, როგორ წყდება ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაში.

2016 წლის 27 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ პროკურორის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე (დანაშაული, გათვალისწინებული სსკ 262-ე მ-ის მე-4 ნაწ. „ა“ ქვ-ით, რაშიც თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული გაამართლა).

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად: 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში ერთ-ერთმა შპს-მ საფრანგეთის რესპუბლიკაში შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 300 კგ ნარკოტიკული საშუალება დამაძინებელი ყაყაჩო – PAPAVER SOMNIFERUM გ-ის თესლი, რომელიც საბაჟო გამშვები პუნქტის – სარფის გავლით ორ ეტაპად, 2012 წლის ნოემბერში და დეკემბერში უკანონოდ შემოიტანა საქართველოს ტერიტორიაზე. 2013 წლის 20 თებერვალს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ამ შპს-ს საწყობიდან ამოღებულ იქნა 247, 45 კგ ზემოთხსენებული საშუალება. იგი სასამართლო-ტოკსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად წარმოადგენს დამაძინებელ ყაყაჩოს და შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება მორფინს – 1,4363 გვ. და ნარკოტიკულ საშუალება კოდეინს – 0,06405 გრ. ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის საჩივარი და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი.[27]

ის ფაქტი, რომ როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეზე გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, სავსებით სამართლიანია, მაგრამ ვნახოთ, რამდენად სწორადაა იგი დასაბუთებული და რა არგუმენზებზეა დამყარებული?

სააპელაციო პალატამ აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არის განზრახი, რაც გულისხმობს ქმედების ჩადენას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რასაც მოცემულ შემთხვევაში იურიდიული პირის მხრიდან ადგილი არ ჰქონია (ამის დასაბუთებისათვის სასამართლო იყენებს საქმის მასალებში არსებულ სხვადასხვა მტკიცებულებას. კერძოდ იმას, რომ შპს-ს წარმომადგენელმა ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარუდგინა საბაჟო სამსახურს და კანონით გათვალისიწნებული ყველა პროცედურა გაიარა, რა დროსაც არანაირი შენიშვნა საბაჟო ორგანოებს მის მიმართ არ ჰქონიათ. ასევე იმას, რომ 2012 წლის 27 მოემბრის განცხადებით

[27] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №1/ბ-598-16

დადასტურებულია, შპს-ს წარმომადგენელი საქონლის ლეგალურად შემოტანის მიზნით, კანონიერი გზით ცდილობდა ნებართვის მიღებას სახელმწიფო სტრუქტურებიდან. ასევე იმ ფაქტს, რომ სარფის გამშვები პუნქტის უფროსის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე გაცემულ იქნა ნებართვა, მოწმობის გაცემის თაობაზე, რის შედეგადაც შპს-ს მიეცა უფლება, საფრანგეთიდან შემოეტანა 300 კგ ყაყაჩოს თესლი. ასევე ამ საქონლის შემოტანისას დეკლარაციაში სხვა პროდუქტებთან ერთად მითითებული იყო ყაყაჩოს თესლიც და სხვ.).[28] შესაბამისად განაჩენში გაკეთებულია დასკვნა, რომ შპს-ს წარმომადგენლებს **არ ჰქონდათ საქართველოში ყაყაჩოს თესლის უკანონოდ შემოტანის განზრახვა.**

განაჩენში გაკეთებულია სწორი დასკვნა: შპს-ს წარმომადგენლებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ყაყაჩოს თესლი შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალებას, რადგან აღნიშნული პროდუქცია შემოჰქონდათ როგორც საკონდიტრო საქმიანობაში გამოსაყენებელი ინგრედიენტი. ამ ფაქტის სისწორე კი დადასტურებულია აღნიშნული შპს-ს მიერ წარმოდგენილი ცნობით და ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სააგენტოს მიერ გაცემული წერილით, სადაც მითითებულია, რომ დამაძინებელი ყაყაჩოს თესლი არ მიეკუთვნება ნარკოტიკული საშუალებების სიას.

განაჩენის მიხედვით, მართალია, პრეზიდენტის 2003 წლის 29 ოქტომბრის №545 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად აკრძალულია ნებისმიერი მიზნით ქვეყნის ტერიტორიაზე ყაყაჩოს თესლის იმპორტი და რეალიზაცია, რაც ფორმალურად გვაძლევს სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, თუმცა სახეზე არ გვაქვს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის მთავარი კომპონენტი – განზრახვა და შესაბამისად ადგილი აქვს ფაქტობრივ შეცდომას, რაც გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის.[29]

რა შეცდომაა დაშვებული ამ მსჯელობაში?

მთავარი შეცდომა აქ ისაა, რომ სასამართლომ **აქცენტი გააკეთა არა** სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანზე, **არამედ იმაზე,** რომ შპს-ს წარმომადგენელს ეს ქმედება – საქართველოში ნარკოტიკული საშუალების შემოტანა არ ჩაუდენია განზრახ.

ასეთი არგუმენტის მოყვანა მაშინ იქნება სწორი, როცა სახეზეა ნარკოტიკული დანაშაულის საგანი. მოცემულ შემთხვევაში კი იგი სახეზე არ იყო, რადგან:

---

[28] შეად. დასახ. სს საქმეზე გამოტანილ განაჩენს.

[29] იხ. დასახ. განაჩენი

ა) საქმის მასალებით დადგინდა, ყაყაჩოს თესლი ნამდვილად გამოიყენება კონდიტერიაში, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია იგი იყოს სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალება;

ბ) საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს-ს წარმომადგენელი ცდილობდა, ლეგალური გზით სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მოეპოვებინა ამ ნივთიერების შემოტანის ნებართვა და მიიღო კიდეც იგი. ასეთი ნებართვის მიღება შეუძლებელი იქნებოდა, ყაყაჩოს თესლი ნარკოტიკული საშუალება რომ იყოს, რადგან არც ერთი ოფიციალური ორგანო არც ერთი შპს-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების შემოტანაზე არ გასცემს წერილობით ნებართვას;

გ) საქმის მასალებით ასევე დადგინდა, რომ ყაყაჩოს თესლი არ შეიცავს ალკალოიდებს (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობა);

რაც მთავარია, დადგინდა, რომ ყაყაჩოს თესლი არაა შეტანილი ზემოთხსენებული შესაბამისი კანონის თანდართულ სიაში, როგორც სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება.

საკითხავია, იქნებ შეიძლება ყაყაჩოს თესლი ჩაითვალოს ნარკოტიკული დანაშაულის საგნად იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე აკრძალულია ნებისმიერი მიზნით ხაშხაშის (ყაყაჩოს) თესლის იმპორტი და რეალიზაცია?

სწორედ ამაზე აკეთებდა აპელირებას ბრალდების მხარე და სწორედ ამ არგუმენტზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ შეცდომით ჩათვალა, რომ საქმეში ფორმალურად არსებობს სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, თუმცა ბრალდებულის გამართლებისთვის გამოიყენა მის ქმედებაში განზრახვის არ არსებობა.

ასეთი დასკვნა შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც საკითხი – მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის ნივთიერება ნარკოტიკულ საშუალებას, უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ თანდართული სიის მიხედვით და არა სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (თუნდაც პრეზიდენტის ბრძანებულებით). ამდენად, პრეზიდენტის ბრაძანებულება არ აწესრიგებს ნარკოტიკულ დანაშაულთა საგნის საკითხს.

შესაბამისად, მოცემულ საქმეში სახეზე არაა ნარკოტიკული საშუალება, რადგან **ყაყაჩოს თესლი არაა შეტანილი** ზემოთხსენებული კანონის თანდართულ სიაში, როგორც სპეც. კონტროლს დაქვემდე-

ბარებული საშუალება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა არა აქვს იმას, რა სახის ინგრედიენტებისაგან შესდგება იგი.

ამიტომაც აქ **მთავარი ის კი არაა**, იცოდა თუ არა ბრალდებულმა, რა სახის ინგრედიენტისაგან შესდგენოდა ყაყაჩოს თესლი, არამედ **მთავარი ისაა**, რომ თავად ეს ყაყაჩოს თესლი, რომელიც შემოტანილ იქნა საქართველოში, არ წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას და შესაბამისად, **სახეზე არაა დანაშაულის საგანი**. ეს ფაქტი კი თავისთავად გამორიცხავს ქმედების ჩადენას განზრახ, რისთვისაც აუცილებელია ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება. ამდენად, განზრახვის საკითხი არაა მთავარი განსახილველი ქმედების შეფასებისას.

განზრახვის საკითხი მაშინაა მთავარი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის, როცა სუბიექტი ცდება დანაშაულის საგანში – ჰგონია, რომ უკანონოდ შემოაქვს საქართველოში ნარკოტიკული საშუალება (მაგალითად, ჰეროინი). სინამდვილეში კი ფაქტობრივად შემოაქვს თავისუფალ ბრუნვაში მყოფი ნივთიერება (მაგალითად, საჭმელი სოდა, რომელიც მას ჰეროინის ფხვნილი ჰგონია).

ვინაიდან პირი ამ შემთხვევაში დარწმუნებულია, რომ საქართველოში შემოაქვს ნარკოტიკული საშუალება, მისი ქმედება უშუალოდ მიმართულია აქეთკენ და იგი უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საქართველოში ნარკოტიკული საშუალების შემოტანის მცდელობა – 19, 262-ე მ. (მცდელობა უვარგისი საგნით).[30] **მაგრამ აქვე უნდა გაირკვეს სხვა საკითხიც:** კერძოდ, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ზემოთ განხილული შემთხვევა, თუკი დამტკიცდება, რომ ქმედების ამსრულებელმა იცოდა ყაყაჩოს თესლის შემადგენლობა? ანუ იცოდა, რომ ყაყაჩოს თესლი სხვა სახის ნივთიერებებთან ერთად შესდგებოდა ცალკეული ნარკოტიკული საშუალებისაგან?

საქმის მასალებით ასეთი რამ უტყუარადაც რომ იყოს დამტკიცებული, ქმედებას სსკ 262-ე მუხლით მაინც ვერ დავაკვალიფიცირებთ, რადგანაც სახეზე არაა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი.

ამ შემთხვევაში **შესაძლოა, სახეზე იყოს** სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადების **დაუმთავრებელი სტადია, კერძოდ, მომზადება** (18, 260-ე

[30]ამ საკითხზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I, თბ. 2007 გვ. 471; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 250-251; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 47-54; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), ავტ. კოლ. თბ. 2016, მე-2 გამოცემა, გვ. 278-281.

მ-ის პირვ. ნაწ.), მაგრამ საამისოდ კუმულაციურად უნდა დადგინდეს სხვა საკითხებიც.

კერძოდ, ასევე უტყუარად უნდა დამტკიცდეს შემდეგი: ა) რომ ქმედების ამსრულებელს განზრახული ჰქონდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება; ბ|) ასევე იცოდა, ყაყაჩოს თესლიდან თუ როგორ უნდა გამოეცალკევებინა (გამოეყვანა) ეს ნარკოტიკული საშუალებები; გ) რომ ფლობდა შესაბამის ტექნიკას მისი გამოცალკევებისათვის.

საბოლოოდ უნდა ითქვას შემდეგი: ამ განაჩენით ბრალდებული სამართლიანად გამართლდა, მაგრამ ამის არგუმენტად სასამართლოს **უნდა გამოეყენებინა ის ფაქტი**, რომ სახეზე არ იყო სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი **და არა ის,** რომ ბრალდებულს არ ჰქონდა საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის განზრახვა. ამდენად, აქცენტი უნდა გაეკეთებინა არა განზრახვის, არამედ დანაშაულის საგნის არ არსებობაზე. განზრახვის არ არსებობა შესაძლებელია, მხოლოდ ერთ-ერთ არგუმენტად ყოფილიყო გამოყენებული.

II. საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული **ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა** ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ამდენად, ქმედების ამ ნორმით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, სულ მცირე ორი პირი (ამსრულებელი) 260-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების დაწყებამდე (და არა დაწყების შემდეგ) შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ეს დანაშაული მაშინაა ჩადენილი, თუ წინასწარი შეთანხმებით **მოქმედებდნენ ამსრულებლები**, ე.ი. 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობდა (ობიექტურ შემადგენლობას უშუალოდ ახორციელებდა) სულ მცირე ორი პირი მაინც.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე მეტყველებს სსკ 22-ე მუხლი, რომლის მიხედვით ამსრულებელია ასევე ის, ვინც „სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში".

საკითხავია: **რას ნიშნავს** „უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში" და **რით განსხვავდება იგი** „ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული' – საგან (ანუ ერთპიროვნული ამსრულებლისაგან)?

პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: „ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული" არის ერთპიროვნული ამსრულებელი, რომელიც **მთლიანად**

ახორციელებს რომელიმე დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს. ხოლო „ვინც სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად **მონაწილეობს მის ჩადენაში**“ არის ის პირი, რომელიც ახორციელებს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის **მხოლოდ ნაწილს** და არა მთლიან შემადგენლობას.

ასეთ შემთხვევაში **ბუნებრივად ისმის კითხვა**: მაშ, ვინ ახორციელებს ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დანარჩენს ნაწილს? რა თქმა უნდა, მას ახორციელებს თანაამსრულებელი, ვისთანაც ერთად მოქმედებს ეს პირი. შესაბამისად, სადაო არაა, რომ თანაამსრულებელიც ერთ-ერთი ამსრულებელია ისევე, როგორც მეორე. აქედან გამომდინარე, თანაამსრულებელიც უნდა ახორციელებდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილს. ამდენად, აქ მხოლოდ ერთი პირი კია არაა ამსრულებელი, არამედ ორივენი თანაამსრულებლები არიან. (მეტ-ნაკლები ინტენსიობით ახორციელებენ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას).[31]

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ არა მხოლოდ წინასწარ შეუთანხმებელ ჯგუფში, არამედ წინასწარ შეთანხმებულ ჯგუფშიც სახეზე უნდა იყოს მინიმუმ ორი ამსრულებელი.[32]

მაგალითად, ორი ან მეტი პირი წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ შეუდგა ნარკოტიკული საშუალების დამზადებას და ეს პროცესი ერთობლივად მიიყვანეს ბოლომდე. მაგრამ თუკი ამსრულებელია ერთი პირი, რომელიც მოქმედებს ორგანიზატორთან, წამქეზებელთან ან დამხმარესთან წინასწარი შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელნი უშუალოდ არ მონაწილეობენ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, სახეზე არაა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული და კვალიფიკაცია მოხდება სსკ 260-ე მუხლის 1-ლი ან მე-4 ნაწილით. ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის ქმედება კი დაკვალიფიცირდება სსკ 25, 260-ე მუხლის 1-ლი ან მე-4 ნაწილით, როგორც თანამონაწილისა. შესაბამისად, როცა სახეზეა ერთი ამსრულებელი და მეორე თანამონაწილე, სახეზე არაა ეს დამამძიმებელი გარემოება.

ამდენად, **ქმედების სწორი კვალიფიკაციისატვის აუცილებელია**

---

[31] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, ჯგუფური დანაშაულის სადაო საკითხები, ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2016, (მე-2 გამოც.), გვ. 350-353; ასევე ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2015, გვ. 45-50.

[32] ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრების კრიტიკის შესახებ იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ, 2011, გვ. 287-294

ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ამსრულებელი და თანამონაწილე.

განვიხილოთ ეს საკითხი სსკ 264-ე მუხლის მაგალითზე.

მაგალითი: კრიმინალურმა ავტორიტეტმა პეტრემ გადაწყვიტა, სპეც. აფთიაქიდან შუა ღამის საათებში მიესაკუთრებინა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რათა მისი შემდგომი გასაღებით მიეღო დიდი შემოსავალი (დაახლ. 100 000 ლარი).

ამ მიზნით მან მოიპოვა სპეც. აფთიაქის განლაგების სქემა, შემდეგ კი დაგეგმა, თუ როგორ უნდა გათიშულიყო სიგნალიზაცია, როგორ უნდა განხორციელებულიყო აფთიაქში და მის საცავში შეღწევა. მოიმარაგა შესაბამისი ტექნიკა, განსაზღვრა ქმედების ჩადენისათვის მოხერხებული დრო. მანვე გადაიბირა 17 წლის ვასო, რომლისთვისაც იგი წარმოადგენდა ავტორიტეტულ პირს და ჩაუტარა მას სათანადო „ინსტრუქტაჟი", თუ როგორ უნდა განეხორციელებინა ეს ქმედება. ვასომ ხათრი არ გაუტეხა პეტრეს. პირიქით, გაუხარდა, რომ „ასეთმა ავტორიტეტმა" სწორედ მას „გამოუხცადა დიდი ნდობა".

დათქმულ დროს პეტრემ ვასოს გადასცა შესაბამისი ტექნიკა, გაუშვა „ობიექტზე" და დაავალა, რომ აფთიაქიდან მთლიანად გამოეტანა ნარკოტიკულ საშუალებათა მთელი მარაგი.. ამასთან პეტრე ვასოს აძლევდა საჭირო მითითებებს საცავში შესვლის შემდეგაც. ვასომ წარმატებით გაართვა საქმეს თავი და აფთიაქიდან ფარულად გამოიტანა განსაკუთრების დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რაც მოუტანა პეტრეს.

ჩადენილია ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება განსაკუთრებით თითი ოდენობით (სსკ 264-ე მ-ის მე-4 ნაწ. „ა" ქვ.), **მაგრამ საკითხავია:** ვინაა მისი ამსრულებელი და ვინ თანამონაწილე? სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ხომ არაა ჩადენილი ეს დანაშაული წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ**, რადგან პეტრე და ვასო დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დაწყებამდე, წინასწარ იყვნენ შეთანხმებული დანაშაულის ჩადენაზე?

განვიხილოთ ეს საკითხი ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის შესაბამისი თეორიების მიხედვით.

1. მათ შორის ერთ-ერთია **სუბიექტური თეორია**, რომლის მიხედვითაც ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს ამსრულებლის ნებით და ქმედებას, როგორც საკუთარს ახორციელებს. ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც ქმედებას ახორციელებს, როგორც სხვისას. ამდენად, **ამ თეორიისათვის მთავარია ის**, თუ ვის სურს ეს ქმედება, როგორც საკუთარი და **არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას,** თუ ვინ ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას უშუალოდ (თავისი ხელითა და

თავისი გონებით).[33]

სადაო არაა, რომ ამ მაგალითში ნარკოტიკული საშუალების მისაკუთრების მიმართ საკუთარი ინტერესი ჰქონდა პეტრეს, რომელიც ელოდებოდა დიდ მოგებას. ხოლო ვასომ ეს ქმედება გადახორციელა, როგორც „სხვისი". შესაბამისად, **სუბიექტური თეორიის** მიხედვით სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია პეტრე. ხოლო ვასო არის ამ დანაშაულში თანამონაწილე, კერძოდ, ფიზიკური დამხმარე (25, 264-ე მ. მე-4 ნაწ.).

რამდენადაა შესაძლებელი ეს შემთხვევა საქართველოშიც დაკვალიფიცირდეს სუბიექტური თეორიის მიხედვით? კერძოდ, რა უშლის ხელს იმას, რომ ამ დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვალოს პეტრე?

საქმე ისაა, რომ განსხვავებით ზოგიერთი უცხო ქვეყნის სს კანონმდებლობისაგან (მაგ., გფ), საქართველოს სსკ 22-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული. **„უშუალოდ ჩაიდინა"** ნიშნავს იმას, რომ მან განახორციელა ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა თავისი ხელითა და თავისი გონებით.[34]

მოცემულ მაგალითში პეტრეს უშუალოდ არ განუხორციელებია სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა. მან სხვაგვარად განაპირობა მისი განხორციელება სხვა პირის მიერ. ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა კი **უშუალოდ განახორციელა ვასომ** საკუთარი ხელით და საკუთარი გონებით. ამდენად, ვასო არის ამ დანაშაულის ამსრულებელი და ამ ფაქტს **ვერ შეცვლის სუბიექტური მომენტი** – კერძოდ ის, იგი ამ ქმედებას ახორციელბდა როგორც საკუთარს, თუ როგორც სხვისას.

რაც შეეხება პეტრეს, მან მოაწყო ეს დანაშაული და უხელმძღვანელა კიდეც მას მისი განხორციელების პროცესში. ამდენად, სსკ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პეტრე არის ამ დანაშაულის ორგანიზატორი, ანუ თანამონაწილე და არა ამსრულებელი.

როგორც ვხედავთ, **სუბიექტურ თეორიას საქართველოში არა**

---

[33] იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 95-99; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2012, გვ. 142-144; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 335-336; გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. თბ. 2016, გვ. 313; ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2015, გვ. 39-42

[34] ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბ. 2016, გვ. 313-315; ასევე ნ. თოდუა, ამავე ნაშრომში, გვ. 350-356

აქვს გასაქანი. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ქვეყნებში, სადაც თანამონაწილეობის ინსტიტუტი არ იცნობს ორგანიზატორის სახეს და ასევე სადაც ამსრულებლობისათვის არაა აუცილებელი, პირმა ქმედება უშუალოდ თავისი ხელითა და თავისი გონებით განახორციელოს (მაგალითად, გფ სსკ 25-ე პარაგრაფის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც სჩადის დანაშაულს).

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: გარდა იმისა, რომ სუბიექტური თეორიის გამოყენებას ხელს უშლის საქართველოს საკანონმდებლო რეგულაცია, თავად ამ თეორიას აქვს მთელი რიგი სერიოზული ნაკლი, რაზეც მიუთითებენ არა მარტო საქართველოს, არამედ თავად გერმანიის სწავლული იურისტები.[35]

გარდა დოქტრინაში მითითებული ნაკლისა, ამ თეორიას სხვა ნაკლიც აქვს. კერძოდ, თუ მას გავიზიარებთ, გამოვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აქცესორული ბუნებას შეიძენს არა თანამონაწილეობა, არამედ ამსრულებლობა (ანუ **„პირამიდა თავდაყირა დადგება“**).[36]

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასადასტურებლად **მოცემული მაგალითი სხვა ვარიანტში განვიხილოთ:**

პეტრემ მოამზადა ყველა პირობა აფთიაქიდან ნარკოტიკის გასატანად და ვასოც გაუშვა ქმედების ჩასადენად. მათი შეთანხმების მიხედვით, ამ ეტაპიდან ვასოს დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა პეტრესგან მიცემული იარაღის გამოყენებითა და მისგან მიღებული დარიგების შესაბამისად. ვასო მივიდა იმ შენობასთან, სადაც განთავსებული იყო აფთიაქი, მაგრამ სანამ შევიდოდა, დააკავეს.

როგორ უნდა შეფასდეს ამ დროს ვასოს და პეტრეს ქმედება **სუბიექტური თეორიის მიხედვით?**

ამ თეორიის მიხედვით **პეტრემ პასუხი უნდა აგოს** განსაკუთრების დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების დაუმთავრებელი სტადიისათვის. კერძოდ, მისი მომზა-

[35] ამ საკითხზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 94-98; HÖchsrichterliche Rechtssprechung zum Allgemeinen Teil des Strafrehts, 100 Entscheidunden fÜr Studium und Referendarint mit Fragen und Antworten von dr. Dr. h. c. mult. Claus Roxin, G.H Beck'sche Verlagsbuchhandlung, MÜnchen, 1998, seiten: 111

[36] თანამონაწილეობის აქცესობულ ბუნებაზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 72-86; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 272-274; გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლექტ. მე-2 გამოცემა, თბ. 2016, გვ. 307-309; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 136-137; 204-208

დებისათვის, **როგორც ამსრულებელმა** (რადგან ქმედება განხორციელებულია, როგორც მისი საკუთარი) – 18, 264-ე მ-ის მე-4 ნაწ. **ხოლო ვასომ** პასუხი უნდა აგოს ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მომზადებაში **თანამონაწილეობისათვის,** როგორც ფიზიკურმა დამხმარემ (რადგან იგი ქმედებას ახორციელებს „როგორც სხვისას") – 18, 25, 264-ე მ-ის მე-4 ნაწ.

საკითხავია, სუბიექტური თეორიის მიხედვით რატომ ვერ შეფასდება პეტრეს ქმედება, როგორც დამთავრებული დანაშაული? მან ხომ ყველაფერი გააკეთა, რისი განხორციელებაც თავად შეეძლო ამ დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად?

საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა არაა განხორციელებული – ნარკოტიკული საშუალება არაა მისაკუთრებული. უფრო მეტიც, ამ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება საერთოდ დაწყებულიც კი არაა. ამდენად, სუბიექტური თეორიის მესვეურნიც იძულებულნი არიან აღიარონ, რომ აქ დანაშაული არაა დამთავრებული, რადგან ვასომ ვერ მოასწრი მისი განხორციელება.

შესაბამისად, თუკი ვასო არის ამ დანაშაულის **არა ამსრულებელი, არამედ** თანამონაწილე, გამოდის, რომ ამსრულებლის (პეტრეს) ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებული ყოფილა თანამონაწილის (ვასოს) ქმედების კვალიფიკაციაზე. ანუ გამოდის, რომ ამ შემთხვევაში აქცესორული ბუნებისაა არა თანამონაწილეობა, არამედ ამსრულებლობა **("პირამიდა გადატრიალდა - თავდაყირა დადგა").**

ოპონენტი გვკითხავს: შუალობითი ამსრულებლობის დროსაც, როცა პირი დანაშაულს სჩადის სხვა პირის მეშვეობით, ხომ იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე? მაშინაც ხომ შუალობითი ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია „ცოცხალი იარაღის" მიერ ჩადენილ ქმედებაზე?

დასმულ კითხვაზე პასუხი ასეთია: მართალია, შუალობითი ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაც დამოკიდებულია „ცოცხალი იარაღის" მიერ განხორციელებულ ქმედებაზე, მაგრამ განსხვავებით განსახილველი შემთხვევისაგან, **შუალობითი ამსრულებლობისას ადგილი არა აქვს თანამონაწილეობას**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ცოცხალი იარაღი' არაა დანაშაულის თანამონაწილე. მას როგორც წესი, ან საერთოდ არა ეკისრება სს პასუხისმგებლობა, ან პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის. ამდენად, „ცოცხალი იარაღი" დანაშაულის ობიექტურ **შემადგენლობას ახორციელებს არა** „საკუთარი გონებით", **არამედ** ახორციელებს მას მხოლოდ „საკუთარი ხელით". ამიტომ თუკი „ცოცხალმა იარაღმა" ვერ გაამართლა

და ბოლომდე ვერ მიიყვანა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს იმ შემთხვევის ანალოგიურად, როდესაც ვერ გაამართლებს დანაშაულის იარაღი (მაგალითად, თოფი), რომელიც აღმოჩნდება დაუტენავი (ან გაფუჭებული) და პირი ვერ შესძლებს გასროლის განხორციელებას. ამიტომაც ვუწოდებთ შუალობითი ამსრულებლობის დროს ფაქტობრივ ამსრულებელს „ცოცხალ იარაღს". აქ იურიდიული და ფაქტობრივი მხარე არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგანაც იურიდიულად ამსრულებელია ის, ვინც ფაქტობრივად წააქეზა პირი.[37]

ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში კი ვასო მოქმედებს სრული დელიქტუნარიანობით. იგი სს სუბიექტია და **არა მხოლოდ** თავისი ხელებით, **არამედ** თავისი გონებით უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას.[38]

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის **სუბიექტური თეორიის გამოყენება საქართველოში დაუშვებელია.**

2. განვიხილოთ ზემოთხსენებული მაგალითის პირველი ვარიანტი **მატერიალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით** (ე.წ. ქმედებაზე ბატონობის თეორია), რომლის მიხედვითაც ქმედებაზე ბატონობა სამი ფორმით ხორციელდება: 1. უშუალო ამსრულებლობა, როცა პირი უშუალოდ ახორციელებს ქმედების ობიექტური შემადგენლობის უკლებრივ ყველა ნიშანს: 2. შუალობითი ამსრულებლობა, როცა პირი ქმედებას სჩადის სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელიც შესაძლებელია, მოქმედებდეს სრული დელიქტუნარიანობით (მათ შორის განზრახაც); 3. თანაამსრულებელია ისიც, ვისაც, მართალია, უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა ქმედების ობიექტური შემადგენობის განხორციელებაში, მაგრამ ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან (მაგალითად,

[37] შუალობითი ამსრულებლობის იურიდიულ ბუნებაზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007. ჩვ. 119-133; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ...266-272; გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2016, (მე-2 გამოცემა), გვ. 315-319; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 326-330

[38] თუ რატომაა შესაძლებელი სუბიექტური თეორიის გამოყენება ზოგიერთ ქვეყანაში, ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლექტ. (მე-2 გამოცემა), თბ. 2016, გვ. 346-350; 353-356; ასევე ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძრვანელო იურისტებისათვის, თნ. 2015, გვ. 39-45

კორპუსის გარეთ დარაჯად დგომის ფაქტით).[39]

ზემოთ ჩამოთვლილი სამი ფორმიდან პირველი სრულებით ემთხვევა საქართველოს სსკ 22-ე მუხლით გათვალისწინებული ერთპიროვნული ამსრულებლის ცნებას და არსს. ამიტომ მასზე ყურადღებას არ შევაჩერებთ.

რაც შეეხება **ქმედებაზე ბატონობის მე-2 ფორმას**, მასზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ სუბიექტური თეორიის განხილვისას, მაგრამ ამჯამად იგი უფრო სრულყოფილად უნდა განვიხილოთ.

კერძოდ, ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია განსახილველი მაგალითი დავაკვალიფიციროთ იმგვარად, რომ სსკ 264-ე მუხლით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის **ამსრულებლად ჩაითვალოს არა მარტო ის პირი**, რომელმაც თავისი ხელითა და თავისი გონებით უშუალოდ განახორციელა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა (ვასო), **არამედ ისიც (პეტრე)**, რომელმაც ისეთი პირის მეშვეობით ჩაიდინა დანაშაული, რომელიც მოქმედებდა სრული დელიქტუნარიანობით (განზრახ)? სხვაგვარად რომ ვთქვათ, **რამდენადაა შესაძლებელი, პეტრეს და ვასოს ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც „იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ"** - (სსკ 264-ე მ-ის მე-2 ნაწ. „ბ" ქვ.) იმ თვალსაზრისით, რომ ვასო არის ამ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, ხოლო პეტრე – შუალობითი ამსრულებელი და ისინი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დაწყებამდე, წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები?

ჩადენილი ქმედების ამგვარად შეფასება საქართლელოს სს კანონმდებლობის მიხედვით **სრულებით გამორიცხულია**, თუნდაც თავი დავანებოთ ამსრულებლის საკანონმდებლო ცნებას (უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული), რადგან:

საქართველოს სსკ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პირი, რომელმაც მოაწყო დანაშაულის ჩადენა, ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, არის დანაშაულში თანამონაწილე, კერძოდ, ორგანიზატორი. პეტრემ განსახილველი მაგალითის პირველ ვარიანტში არა მარტო მოაწყო ამ დანაშაულის ჩადენა, არამედ ხელმძღვანელობდა კიდეც მის განხორციელებას. ხოლო მეორე ვარიანტში მან მოაწყო მისი ჩადენა;

საქართველოს სსკ 22-ე მუხლის მიხედვით შუალობითი ამსრულებელი „ცოცხალ იარაღად" იყენებს არა სრული დელიქტუნარიანობით (მით უმეტეს განზრახ) მოქმედ პირს, არამედ ისეთ პირს, ვისაც შეურა-

---

[39] იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 145-152. მ. ტურავა, დასახ. ნაშრ. გვ. 336.

ცხაობის, თუ სხვა გარემოების გამო (მისატევებელი შეცდომა) არ დაეკისრება სს პასუხისმგებლობა.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია ქმედებაზე ორგანიზაციული ბატონობის თეორიის მიხედვით ამ საკითხის გადაწყვეტა, **რადგან ამ საკითხს აწესრიგებს სპეციალური ნორმა** (24-ე მ. პირვ. ნაწ.), რომლის მიხედვითაც ის, ვინც ორგანიზაციულად ბატონობს ქმედებაზე, არის დანაშაულში თანამონაწილე – ორგანიზატორი და არა ამსრულებელი. **სპეციალური ნორმა კი ყოველთვის დაბლოკავს ნებისმიერ თეორიას**, რაც არ უნდა პოპულარული იყოს იგი (მით უმეტეს, როცა საკითხი ეხება პრობლემის გადაწყვეტას პირის სასარგებლოდ). შესაბამისად, **პეტრე ვასოსთან ერთად ვერ ჩაითვლება ამსრულებლად.** ამდენად, გამორიცხულია ეს დანაშაულის დაკვალიფცირდეს, როგორც ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურად.

3. ქმედებაზე ბატონობის **მე-3 ფორმას**, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს ე.წ. **ფუნქციონალური ამსრულებლობა,** რომლის მიხედვითაც თანაამსრულებელია ისიც, ვისაც, მართალია, უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, მაგრამ ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან (მაგალითად, კორპუსის გარეთ დარაჯად დგომის ფაქტით).[40]

რამდენადაა შესაძლებელი ამ თეორიის გამოყენება საქართველოში?

დასმული საკითხის განსახილველად ზემოთ მოყვანილი **მაგალითი შემდეგნაირად გადავაკეთოთ:** პეტრემ და ვასომ გადაწყვიტეს, შუა ღამით სპეც. აფთიაქიდან მიესაკუთრებინათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რათა მისი შემდგომი გასაღებით მიეღოთ დიდი შემოსავალი. პეტრე დაპირდა ვასოს, რომ დადგებოდა აფთიაქის შენობის შესასვლელთან და საფრთხის (მაგალითად, პატრულის ან დაცვის თანამშრომლის) გამოჩენის შემთხვევაში ნიშანს მისცემდა მას. ასევე, უზრუნველყოფდა მათ გატყუებას სხვა ადგილას. თუ საჭირო გახდებოდა, სხვა გზითაც გაანეიტრალებდა ამ საფრთხეს (თუნდაც ამ პირთა ფიზიკური ლიკვიდაციით) და დარაჯად დადგებოდა მანამ, სანამ ვასო არ დაასრულებდა თავის საქმეს.

პეტრეს კრიმინალური წარსული ვასოს აძლევდა იმის გარანტიას, რომ ეს არ იყო ლიტონი დაპირება. **ამგვარი დაპირების გარეშე**

---

[40] ამ საკითხზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 133-137; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 147-149; მ. ტურავა, დასახ. ნაშრ. გვ. 336-338

ვასო ვერ გაბედავდა სპეც. აფთიაქის შენობაში შეღწევას ნარკოტიკის დაუფლების მიზნით. ისინი გაემართნენ აღნიშნული შენობისაკენ, სადაც განთავსებული იყო სპეც. აფთიაქი. შეთანხმებისამებრ პეტრე დადგა მის შესასვლელთან, ხოლო მისი დაპირებით გამხნევებულმა ვასომ თამამად მოახერხა ჯერ აფთიაქში, შემდეგ კი მის საცავში შეღწევა. მან თავი მოუყარა იქ არსებული ნარკოტიკული საშუალებისა, თუ მისი დამზადებისათვის საჭირო პრეპარატების მთელ მარაგს და გამოვიდა შენობიდან. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას გარეთ ელოდებოდა პეტრე. მათ ერთად დატოვეს იქაურობა.

ამგვარ შემთხვევაში შენობის გარეთ დარაჯად მდგომი პირის (პეტრეს) თანაამსრულებლად მიჩნევას საქართველოშიც უჭერენ მხარს იმ არგუმენტით, რომ თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობის დასაბუთება ე.წ. ფუნქციონალური თეორიით, რომელსაც ქართული სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს, არ ეწინააღმდეგება სსკ 22-ე მუხლის პირველ ნაწილს: „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში“. ამავე დროს, თითქოს ამ ნორმის ინტერპრეტაცია ფორმალურ-ობიექტური თეორიით მოძველებულია და თანამედროვე გაგებით, დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს ასევე ის პირი, ვინც დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს და უადვილებს მას ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. ასეთი პირი არ შეიძლება იყოს უბრალოდ მხოლოდ დამხმარე, არამედ იგი ფუნქციონალური ამსრულებელია.[41]

საინტერესოა, რატომაა მიუღებელი საკითხის ამგვარად გადაწყვეტა? მართლაცდა, რა უშლის ხელს იმას, რომ ასეთი პირი ჩავთვალოთ ფუნქციონალურ თანაამსრულებლად და ეს ქმედება დავაკვალიფიციროთ, როგორც ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართალია, იმ შემთხვევაში, **როცა პეტრე ორგანიზაციულად ბატონობდა** ქმედებაზე, ამსრულებლობად მისი ქმედების კვალიფიკაციის დამბლოკველია საქართველოს სსკ 24-ე მუხლში ორგანიზატორის ინსტიტუტის არსებობა. მაგრამ როცა პეტრეს **ქმედება ფუნქციონალურადაა დაკავშირებული** სხვა პირის მიერ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან, ამ დროს რა ბლოკავს მისი ქმედების კვალიფიკაციას ფუნქციონალურ ამსრულებლობად?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გავარკვიოთ, რა უზუსტობაა დაშვებული ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში:

[41] შეად. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 336-337

ა) დავიწყოთ იქიდან, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა არ იზიარებს ფუნქციონალურ თეორიას, რადგან დარაჯად დგომის ფაქტი ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ფასდება, როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში და არა როგორც თანაამსრულებლობა (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არაა მთავარი არგუმენტი ამ საკითხის გადასაწყვეტად);

ბ) დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესში ამსრულებელს ხელს უწყობს ორგანიზატორიც, **რომელიც არა თუ** ფსიქიკურად ამხნევებს ამსრულებელს, **არამედ უფრო მეტიც,** ხელმძღვანელობს დანაშაულის განხორციელებას მისი განხორციელების უშუალო პროცესში, რაც თავისთავში ფსიქიკურ გამხნევებასაც მოიცავს და ამის მიუხედავად იგი თანამონაწილეა და არა თანაამსრულებელი;[42]

გ) აქედან გამომდინარე, **ისმის მთავარი კითხვა**: თუკი თანამონაწილეთა შორის **ყველაზე საშიში ფიგურა,** როგორიცაა ორგანიზატორი, რომელიც ქმედებაზე ორგანიზაციულად ბატონობს მისი უშუალოდ აღსრულების პროცესში, საქართველოში ვერ ჩაითვლება თანაამსრულებლად, როგორ შეიძლება **მასზე ნაკლებად საშიში ფიგურა,** რომელიც ქმედების უშუალოდ განხორციელების პროცესში **მხოლოდ ფსიქიკურად ამხნევებს** ამსრულებელს, ჩაითვალოს ასეთად და შესაბამისად, ამ პირებს დაუმძიმდეთ პასუხისმგებლობა?

ესაა ის კითხვა, რაზეც არაა პასუხი გაცემული ფუნქციონალური თანაამსრულებლის ინსტიტუტის საქართველოში შემოტანის მომხრეთა მხრიდან, თუმცა ეს კითხვა იურიდიულ ლიტერატურაში უკვე დასმულია.[43]

ამდენად, თუკი **ორგანიზაციულ ამსრულებლობას ბლოკავს** თანამონაწილეობის ინსტიტუტში ორგანიზატორის სახის არსებობა, **ფუნქციონალურ ამსრულებლობას ბლოკავს** ნორმის განმარტების ის ხერხი, რასაც ეწოდება „სვლა მცირედან დიდისაკენ და დიდიდან მცირესკენ". ამიტომაც **საქართველოს საკანონმდებლო რეალობაში არ არსებობს არავითარი ფუნქციონალური თანაამსრულებელი,** არამედ არსებობენ თანაამსრულებლები (ორივე მათგანი უშუალოდ უნდა ახორციელებდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილს მეტ-ნაკლები ინტენსიობით). **შესაბამისად, არასწორია შეხედულება,** რომ ორი პირიდან ერთი ამსრულებელია, ხოლო მეორე კი თანაამსრულებელი, რომელიც არაა სავალდებულო, თავისი ხელით ასრულებდეს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას.

---

[42] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2016, (მე-2 გამოცემა), გვ. 343-346; 348-350

[43] იხ. ნ. თოდუა, დასახ. ნაშრ. გვ. 368

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ **ქმედებაზე ბატონობის თეორია მისაღებია იმ ქვეყენაში**, სადაც თანამონაწილეობის ინსტიტუტი არ იცნობს ორგანიზატორის სახეს და სადაც კანონმდებელი იძლევა ამსრულებლის ფართე ცნებას, რომლისთვისაც არაა აუცილებელი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის უშუალოდ ჩადენა.

რაც შეეხება იმას, თუ რა გავლენა იქონია დანაშაულის ჩადენაზე გარეთ დარაჯად მდგომი პირის მიერ ამსრულებელზე მიცემულმა დაპირებამ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ფაქტი საქართველოს სსკ 57-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით **სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას: „**დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე".

როგორც ვხედავთ, სსკ 57-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ ავალდებულებს მოსამართლეს, თანამონაწილის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ასევე მისი მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მიღწევაში **მხედველობაში მიიღოს არა** თანამონაწილისა და თანაამსრულებლის გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტისას, **არამედ მხოლოდ** სასჯელის დანიშვნისას. ასეთი საკანონმდებლო რეგულაცია საკითხის სამართლიან გადაწყვეტად უნდა ჩაითვალოს.

III. სს კოდექსის 260-ე მუხლს დართული აქვს შენიშვნა: ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები (**პოსტ-კრიმინალური წამახალისებელი ნორმა).**

შენიშვნის ტექსტიდან ირკვევა, რომ კანონმდებელი ამ თავით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენას ჰპატიებს პირს, თუკი სახეზეა შემდეგი კუმულაციური წინაპირობები:

იგი ნებაყოფლობით ჩააბარებს შენიშვნაში ჩამოთვლილ ნივთიერებებს; და

მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. სხვა დანაშაულის ნიშნებში იგულისხმება ნარკოტიკული დანაშაულის გარდა სსკ

სხვა თავით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

ამ შენიშვნას ბოლო დროს (2014 წლის 16 აპრილს) გატარებული საკანონმდებლო ცვლილებით დაემატა ახალი მე-2 ნაწილი, სადაც ამ თავის მიზნებისათვის ახლებურად განიმარტა ნებაყოფლობით ჩაბარების არსი. კერძოდ:

ნებაყოფლობით ჩაბარებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით განაცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსურის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა შეზღუდა სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ნებაყოფლობით ჩაბარების პრაქტიკული განხორციელების ფორმები, რაზეც უკვე იყო საუბარი სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის განმარტებისას.

ამასთან დაკავშირებით, ამჟამად უნდა განვიხილოთ რამდენიმე საკითხი:

1. რა პრობლემას ვაწყდებით სასამართლო პრაქტიკაში სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის არსის სწორად განმარტების კუთხით 2014 წელს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე? კერძოდ, რით უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან „ნებაყოფლობით ჩაბარება", რომელიც არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი და „გამოძიებასთან თანამშრომლობა", რომელიც არის მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძველი?;

2. თუ შეიცვალა რაიმე ამ მიმართებით 2014 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ?

პირველი საკითხი (როგორ უნდა გაიმიჯნოს „ნებაყოფლობით ჩაბარება" და „გამოძიებასთან თანამშრომლობა"?) განვიხილოთ შემდეგ მაგალითზე:

2014 წლის 9 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ იქნა სს საქმე ზ. ი-ს მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა სსკ 260-ე მ-ის მე-3 ნაწ. „ა" და 261-ე მუხ. მე-3 ნაწ. „ა" ქვ-ებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შენახვა).[44]

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

[44] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე №01015041400

2014 წლის 15 აპრილს საკუთარ სახლთან ავტომობილიდან გადმოსვლისას დააკავეს მოქალაქე ზ. ი. და გაჩხრიკეს იგი და მისი ა/მანქანა, რა დროსაც მას ნარკოტიკული საშუალება არ აღმოჩნდა.

ამის შემდეგ მისი ბინის ჩხრეკის დაწყებამდე ზ. ი-მ თავად წარუდგინა სამართალდამცველებს პრეპარატი „ლირიკა" და აუხსნა, რომ რეცეპტი, რითაც მან კანონიერად შეიძინა ეს პრეპარატი, დაიტოვეს აფთიაქში. ამის მიუხედავად, იგი დაკავებულ იქნა.

მეორე დილით, ანუ 16 აპრილს ზ. ი-ს მეუღლემ წარუდგინა გამოძიებას ექიმის მიერ გამოწერილი „ლირიკის" რეცეპტი. ამდენად, გამოძიება ამ ნაწილში მას არ ედავება, რადგან დამტკიცდა ამ პრეპარატის შეძენის კანონიერება.

საქმის მასალებით ირკვევა, ზ. ი-ის მეუღლის მიერ სათანადო რეცეპტის წარდგენამდე, 16 აპრილის ღამით ზ. ი-მ ითხოვა, დაეკითხათ დამატებით, რაც განხორციელდა ღამის 02 სთ-ისა და 25 წუთიდან 02 საათსა და 40 წუთამდე. დაკითხვისას მან მიაწოდა გამოძიებას მანამდე მათთვის სრულიად უცნობი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვაკის რაიონში (სასაფლაოს ტერიტორიაზე) შენახულია ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება პოლიეთილენის პარკში მოთავსებულ ბოთლში.

იმავე ღამით, ანუ 16 აპრილის ღამით, მან სამართალდამცავები მიიყვანა მითითებულ ადგილას და ჩააბარა პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ბოთლი 304 აბი ნარკოტიკული საშუალებით.

მიუხედავად ამისა, პროკურორმა იგი არ გაათავისუფლა სს პასუხისმგებლობისაგან სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე, არამედ გააგრძელა მის მიმართ სს დევნა და საქმე გადასცა სასამართლოს ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შენახვის ბრალდებით. გამოძიებამ ზ.ი-ს მიერ განხორციელებული ქმედება შეაფასა, როგორც გამოძიებასთან თანამშრომლობა და არა როგორც სპეც კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ნებაყოფლობითი ჩაბარება.

როგორ უნდა შეფასდეს დაკავებულის ეს ქმედება სინამდვილეში?

თუ სადაოდ არ გავხდით იმას, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება მოცემულ ადგილას უკანონოდ შეინახა სწორედ ზ. ი-მ, ამ შემთხვევაში ეს ქმედება სრულებით აკმაყოფილებს საქართველოს სს კოდექსის 260-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის მოთხოვნებს და დაკავებულის მიმართ გამოძიების ეტაპზე უნდა გამოეყენებინათ იგი, რადგანაც:

მის ქმედებაში, გარდა ნარკოტიკული დანაშაულისა, არ არსებობს სსკ კოდექსის სხვა თავით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები და

ეს სადაოდ არც გამხდარა;

სრულებით დადასტურდა იმ ქმედების (მის ბინაში აღმოჩენილი პრეპარატ „ლირიკის" შენახვის ფაქტის) კანონიერება, რის გამოც იგი დაკავებულ იქნა;

სხვა რაიმე ქმედებაში გამოძიება მას არ ედავებოდა;

რომ არა მისი განცხადება, გამოძიებისათვის სრულებით უცნობი იყო ის ფაქტი, რომ ვაკის რაიონში, კერძოდ, იმ ადგილას (სასაფლაოს ტერიტორიაზე), სადაც ზ. ი-მ ისინი მიიყვანა და ნარკოტიკული საშუალება ჩააბარა, ინახებოდა ეს ნივთიერება. ამდენად, რომ არა მისი ნებაყოფლობითი ქმედება, ეს ნარკოტიკული საშუალება სამართალდამცავებისათვის მიუგნებელი იყო და ასეთად დარჩებოდა მომავალშიც. ალბათობის მაღალი ხარისხით ისინი ამ ფაქტს ვერასოდეს შეიტყობდნენ და ამ ნარკოტიკს ვერასოდეს ამოიღებდნენ;

ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ ზ.ი-ს მიერ ჩაბარებული 304 აბი ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება არ ინახებოდა მის ბინაში ან სხვა მფლობელობაში, საიდანაც მისი მონახვისა და ამოღების თეორიული შესაძლებლობა ყოველთვის იყო. ეს ნივთიერება ინახებოდა ქალაქის სხვა ადგილას (თანაც სასაფლაოს ტერიტორიაზე), რის გამოც მას ბრალდებულის ბინის ან სხვა მფლობელობის ჩხრეკით ვერ იპოვნიდნენ და ეს ზ. ი-მ კარგად იცოდა;

ამდენად, ზ. ი-ს რომ არ ჩაებარებინა ეს ნივთიერება გამოძიებისათვის, დაკავებიდან 48 საათის გასვლისთანავე იგი დაუყონებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ დაკავების ადგილიდან, რადგან არ არსებობდა მისი ბრალდების საფუძველი. ხოლო ეს ნარკოტიკული საშუალება კვლავ დარჩებოდა უკანონო ბრუნვაში. გამომდინარე აქედან, კვლავ დარჩებოდა საფრთხე იმისა, რომ ნებისმიერი პირი, ვინც შემთხვევით აღმოაჩენდა მას, თავისუფლად შეძლებდა მის შემდგომ უკანონო გამოყენებას. თავად ზ. ი-საც გათავისუფლების შემდეგ, რომელიც მისი დაკავებიდან 48 საათის გასვლამდე აუცილებლად მოხდებოდა, თავისუფლად შეეძლო მისი გამოყენება, თუკი მას ამისი სურვილი გაუჩნდებოდა;

შესაბამისად, ეს ნივთიერება ზ. ი-ს ნებაყოფლობითი ქმედებით იქნა ამოღებული უკანონო ბრუნვიდან (უკანონო შენახვის ადგილიდან), რის გამოც იგი უკვე არ წარმოადგენს საფრთხეს მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის;

თუნდაც დავუშვათ, რომ ზ. ი-ს ჩვენების გარეშე გამოძიების ორგანოებს შემთხვევით ეპოვათ ეს ნარკოტიკული საშუალება სასაფლაოს ტერიტორიაზე (რისი ალბათობის ხარისხი თითქმის ნულს უდრიდა), ისინი ზ. ი-ს ვერაფრით დაუმტკიცებდნენ, რომ იგი მის

მიერ იყო შენახული ამ ადგილას. უფრო მეტიც, ამაში ეჭვის შეტანის საფუძველიც კი არ ექნებოდათ.

ისმის კითხვა: რით განსხვავდება მისი ეს ქმედება გამოძიებასთან თანამშრომლობისაგან, რაც წარმოადგენს არა სს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების, არამედ მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძველს? რა შემთხვევაში გვექნება სახეზე გამოძიებასთან თანამშრომლობის ფაქტი და არა პოსტ-კრიმინალური ნამახალისებელი ღონისძიება, რაც მოცემულია სსკ 260-ე მუხლის შენიშვნაში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის შემოღებით განსხვავებულად აწესრიგებს გამოძიებასთან თანამშრომლობის ფაქტს ნარკოტიკულ დანაშაულში და სხვა სახის დანაშაულებში. კერძოდ, ის ქმედება, რაც ნარკოტიკულ დანაშაულებში არის პოსტ-კრიმინალური ნამახალისებელი ღონისძიება, სხვა დანაშაულის შემთხვევაში (ვთქვათ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში) არის მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, როგორც გამოძიებასთან თანამშრომლობის გამოვლინება. მაგალითად, როცა ბინის ქურდი ნებაყოფლობით გამოცხადდება ბრალის აღიარებით და გადასცემს გამოძიებას ნაქურდალ ნივთს, ის არ გათავისუფლდება სს პასუხისმგებლობისაგან, არამედ შეუმსუბუქდება პასუხისმგებლობა. სულ სხვა ვითარებაა ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებაში. სახელდობრ:

ა) გამოძიებასთან თანამშრომლობას მოცემულ საქმეში ადგილი ექნებოდა მაშინ, თუკი ზ. ი. ბინის ჩხრეკის დაწყებამდე ნებაყოფლობით წარადგენდა არა მარტო იმ ნარკოტიკს, რაც მას კანონიერად ჰქონდა შეძენილი (ლირიკა), არამედ იმ ნარკოტიკულ საშუალებასაც, რაც მის ბინაში ინახებოდა უკანონოდ;

ბ) გამოძიებასთან თანამშრომლობა გვექნებოდა სახეზე იმ შემთხვევაშიც, როცა დამტკიცდებოდა, რომ ზ. ი-ს ბინაში ნაპოვნი ნარკოტიკული საშუალება „ლირიკა“ მას უკანონოდ ჰქონდა შეძენილი, მაგრამ მან გამოძიებას ბინის ჩხრეკის დაწყებამდე ნებაყოფლობით წარმოუდგინა იგი ან/და დაუსახელა ის პირი, ვისგანაც უკანონოდ შეიძინა ეს ნივთიერება და ამდენად, მიეხმარა გამოძიებას საქმის სრულყოფილ გამოძიებაში;

რაც შეეხება სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ნამახალისებელ ღონისძიებას, იგი იმით განსხვავდება გამოძიებასთან თანამშრომლობისაგან, რომ ამ შემთხვევაში პირი სათანადო ორგანოებს ნაბაყოფლობით ჩააბარებს იმ ნარკოტიკულ საშუალებას: 1.რომლის უკანონოდ ფლობის ან სხვა უკანონო ქმედების შესახებ ინფორმაცია გამოძიებისათვის არაა ცნობილი და ძიება ამ კუთხით არაა დაწყე-

ბული;

2. არ არსებობს იმისი რეალური ალბათობა, რომ ძიების მსვლელობისას ეს ფაქტი გამჟღავნდეს;

3. ასეთი უკანონო ქმედების შესახებ ინფორმაცია ცნობილი ხდება მხოლოდ ამ პირის მიერ სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ნებაყოფლობით წარდგენის შემდეგ.

მოცემულ საქმეში გამოძიებისათვის ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ზ. ი. ბინაში ან მანქანაში ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. სწორედ მისი ამოღების მიზნით იყო დაწყებული სათანადო საპროცესო მოქმედებები, თუმცა გაირკვა, რომ დაკავებულს ამ ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებაში კანონთან კონფლიქტი არ ჰქონია (მას კანონიერად ჰქონდა შეძენილი ეს ნივთიერება).

სხვა ფაქტი ზ. ი-ს მიმართ გამოძიებისათვის არ ყოფილა ცნობილი და ამ კუთხით გამოძიება არ მიმდინარეობდა. უფრო მეტიც, სასაფლაოდან ამოღებული ნარკოტიკის შესახებ ზოგადი ინფორმაციაც კი არ იყო ცნობილი გამოძიებისათვის. ეს ინფორმაცია მათთვის ცნობილი გახდა მხოლოდ დაკავებულის წყალობით. კერძოდ, გაირკვა, რომ მან ეს ბოთლში მოთავსებული ნივთიერებები შემთხვევით იპოვა სასაფლაოს ტერიტორიაზე და მათი უფრო საიმედოდ შენახვის მიზნით მიწა მიაყარა მას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ პირი, რომელიც ნებაყოფლობით აბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, დაკავებულია. **მთავარია, რომ მის მიმართ არაა დაწყებული სს დევნა მის მიერ ჩაბარებული** ნარკოტიკული საშუალებისადმი უკანონო მოპყრობის ფაქტზე.

მოცემულ შემთხვევაში ზ. ი. დაკავებული იყო მის სახლში შენახული ნარკოტიკული საშუალების ფაქტზე, რაშიც იგი სრულებით გამართლდა.

ამდენად, დაკავებულის მიმართ გამოძიებას უნდა გამოეყენებინა სსკ 260-ე მუხლის შენიშვნა და უნდა გაეთავისუფლებინა იგი სს პასუხისმგებლობისაგან, რაც არ გაკეთდა, რის გამოც საქმე განსახილველად გადაეცა სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სს საქმეთა კოლეგიამ 2014 წლის 09 დეკემბრის განაჩენით ზ. ი. დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 261-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განუსაზღვრა შესაბამისი სასჯელი დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ 59-ე მ-ის მე-2 ნაწ.) და შთანთქმის

პრინციპის გამოყენებით (თ.ა. 8 წლის ვადით).

ამავე დროს, სასამართლომ სს საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე ზ. ი. გაათავისუფლა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან ქმედითი მონანიების გამო და გაათავისუფლა იგი სასამართლო სხდომის დარბაზიდან (ამდენად, სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით - სს საპროცესო კოდექსის 269-ე მ-ის მე-3 ნაწ. „ბ“ ქვ.).

საბოლოოდ, მივიღეთ შემდეგი ვითარება: თუკი გამოძიების ეტაპზე სწორად შეფასდებოდა დაკავებულის მიერ უკანონოდ შენახული ნარკოტიკული საშუალების ნებაყოფლობით ჩაბარების ფაქტი, იგი სს პასუხისმგებლობისაგან უნდა გაეთავისუფლებინათ გამოძიების ეტაპზევე სსკ 260-ე მუხლის შენიშვნის შესაბამისად. ამდენად, საქმე არ გადაეცემოდა სასამართლოს და არ დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი. თუმცა ვინაიდან გამოძიებამ არასწორად შეაფასა დაკავებულის მიერ ჩადენილი ქმედება (იგი ჩათვალა მხოლოდ გამოძიებასთან თანამშრომლობად), საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

ამ ვითარებას ნაწილობრივ აბალანსებს ის, რომ სსკ 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

ახლა კი პასუხი უნდა გავცეთ ზემოთ დასმულ მეორე კითხვას: თუ შეიცვალა რაიმე დასმულ საკითხთან მიმართებაში 2014 წელს სსკ 260-ე მუხლის შენიშვნაში გატარებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ?

როგორც უკვე აღინიშნა, ამ ცვლილების შემდეგ სსკ 260-ე მუხლის შენიშვნას დაემატა მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხაზი გაესვა ქმედების განხორციელების დროს. ანუ ნებაყოფლობით ჩაბარების დროს. კერძოდ, ქმედება ნებაყოფლობით ჩაბარებად რომ ჩაითვალოს, **ამისი ერთ-ერთი წინაპირობაა, პირმა გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით** განაცხადოს სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით შეუწყოს ხელი მის ამოღებას.

საკითხავია: საერთოდ როდის ჩაითვლება პირის განცხადება გამოძიების დაწყებამდე გაკეთებულად და თუ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას ზემოთ განხილულ მაგალითში დაკავებული პირის - ზ. ი-ს ქმედება?

გამოძიების დაწყებამდე განცხადება გაკეთებულად რომ ჩაითვალოს, ამისათვის საჭიროა:

ა) გამოძიება საერთოდ არ უნდა იყოს დაწყებული ნარკოტიკული დანაშაულის ფაქტზე; ანდა

ბ) არ უნდა იყოს დაწყებული იმ ნარკოტიკული საშუალების (თუ სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერების) უკანონო მოპყრობის ფაქტზე, რაც პირის მიერ ნებაყოფლობით იქნა ჩაბარებული.

ამდენად, გამოძიება ან საერთოდ არ უნდა იყოს დაწყებული ნარკოტიკულ დანაშაულზე, ანდა არ უნდა იყოს დაწყებული იმ ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოპყრობის ფაქტზე, რაც პირის მიერ ნებაყოფლობით იქნა ჩაბარებული.

აქვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება: თუკი გამოძიება ნარკოტიკული დანაშაულის ფაქტზე დაწყებული იყო, ამასთანავე პირის მიერ ამ ნივთიერების ნებაყოფლობით ჩაბარების გარეშეც მის მიმართ სს დევნის დაწყებისათვის საკმარისი მტკიცებულების მოპოვება გამოძიებისათვის ისედაც რეალური იყო (მაგალითად, ბინის ჩხრეკის შედეგად დანაშაულის საგანი ალბათობის დიდი ხარისხით ისედაც იქნებოდა ამოღებული), ანდა გამოძიებას უკვე ჰქონდა საკმარისი მტკიცებულება ამ პირის მიმართ სს დევნის დაწყებისათვის (საქმეში უკვე იყო საკმარისი მტკიცებულება პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოსატანად), მაშინ პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების ნებაყოფლობით ჩაბარება უნდა შეფასდეს გამოძიებასთან თანამშრომლობად, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელის დანიშვნაზე, მაგრამ იგი ვერ შეფასდება სსკ 260-ე მუხლის შენიშვნით დადგენილი პოსტ-კრიმინალური წამახალისებელი ნორმის გამოყენების საფუძვლად.

შესანამისად, ზემოთ განხილული შემთხვევა სსკ 260-ე მუხლში 2014 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგაც რომ ყოფილიყო სახეზე, იგი მაინც აკმაყოფილებს 260-ე მუხლის შენიშვნაში დადგენილ მოთხოვნებს, რადგანაც დაკავებულმა ზ. ი-მ გამოძიებას ნებაყოფლობით წარუდგინა ის ნარკოტიკული საშუალება, რისი არსებობის შესახებ მათ არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდათ და რაც მთავარია, გამოძიების შედეგად მისი მოპოვებისა და დაკავებულისათვის ამ ქმედების დამტკიცების არანაირი შესაძლებლობა არ არსებობდა. რაც შეეხება გამოძიებას, იგი დაწყებული იყო იმ ფაქტზე, რაშიც პირი სრულებით გამართლდა. სხვა რაიმე მტკიცებულიბა ზ. ი-ს წინააღმდეგ გამოძიებას არ მოეპოვებოდა და არც მისი მოპოვების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა.

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება (მუხლი 265-ე).

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების საზოგადოებრივი საშიშროება ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ეს ქმედებები როგორც წესი, ყოველთვის მიმართულია აღნიშნულ მცენარეთა შემდგომი გასაღებისაკენ, ანდა მათი გადამუშავების გზით მიღებული ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისაკენ.

განსახილველი დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის უშუალო ობიექტად უნდა ჩაითვალოს ნარკოტიკული საშუალების ბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამ კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარეების დათესვა, მოყვანა და კულტივირება.

დანაშაულის საგანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე. ეს მცენარეებია: ოპიუმის ყაყაჩო, კოკაინის ბუჩქი, ყანაბისი ანუ მარიხუანა, ინდოეთის კანაფი, სამხრეთ-ჩუიის, სამხრეთ მანჯურიის, კრასნოდარის კანაფი და სხვ.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, კერძოდ: ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვაში, მის მოყვანაში, ან კულტივირებაში.

დათესვა ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის თესლის ჩათესვას მიწის ნებისმიერ მონაკვეთზე, ასევე ქოთანში იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს ნაკვეთი კონკრეტული პირის მფლობელობაში. მაგალითად, პეტრემ ტყეში დათესა კრასნოდარის კანაფი.

ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის **მოყვანა** გამოიხატება ამ მცენარის მოვლაში: სარეველა მცენარეებისაგან გათავისუფლებაში, მორწყვაში, სასუქებით განოყიერებაში და ა.შ. მოყვანის მიზანია ზრდასრული ნარკოტიკული მცენარის მიღება.

ამ მცენარეთა **კულტივირება** ნიშნავს მათ დამუშავებას, გაშენებას, ახალი სახეობის გამოყვანას, ან იმგვარად გადამუშავებას, რომ ამაღლდეს მისი მოსავლიანობა ან გამძლეობა არახელსაყრელი გარემო პირობებისადმი. როგორც ვხედავთ, კულტივირება უფრო მრავლისმომცველი პროცესია, ვიდრე დათესვა ან მოყვანა. კულტივირება თავის თავში მოიცავს დათესვასაც და მოყვანასაც (მოვლას).

განსახილველი **დანაშაული დამთავრებულია** მაშინ,როცა პირი შეასრულებს მუხლის დისპოზიციაში მითითებულ მოქმედებათაგან

ერთ-ერთს,ე.ი. ნებისმიერ ადგილას დათესავს ან მოიყვანს, ან დაასრულებს ამ მცენარეთა კულტივირების პროცესს. როცა პირი შეუდგა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის კულტივირებას, მაგრამ მისი ნებისგან დამოუკიდებლად ვერ დაასრულა იგი (ვერ გააშენა, ვერ აამაღლა მოსავლიანობა, ვერ შექმნა ახალი სახეობა და ა.შ.),მაშინ კულტივირება არაა დამთავრებული და პირის ქმედება საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ამ მცენარეთა დათესვა. თუ მის ქმედებაში არ არის არც დათესვის ნიშნები, მაშინ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კულტივირების მცდელობით (მაგალითად, პირი ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარეების დამყნობის გზით ცდილობს ახალი, გაუმჯობესებული სახეობის გამოყვანას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მან ეს ვერ მოახერხა). დათესვა კი დამთავრებულია მოქმედების ჩადენისთანავე იმის მიუხედავად, აღმოცენდა და გაიზარდა თუ არა ეს მცენარე. ამდენად, სახეზეა **ფორმალური** შემადგენლობა.

როდესაც პირი სხვის მიერ დათესილ ან მოყვანილ ნარკოტიკულ მცენარეს უკანონოდ იძენს, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260-ე მუხლით, ხოლო ამ მცენარეთა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვის შემთხვევა – სსკ 264-ე მუხლით.

დანაშაულის ამსრულებელი არის ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ ვინაიდან დანაშაულის მოტივზე ან მიზანზე არ არის სპეციალური მითითება 265-ე მუხლში, ისინი კვალიფიკაციაზე არ ახდენენ ზეგავლენას და მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას. როგორც წესი, ამ დანაშაულის ჩადენა ხდება ანგარებით (ამ მცენარეების ან მისგან შექმნილი ნივთიერებების გასაღების მიზნით), ან ნარკოტიკულ საშუალებებზე პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით.

ბრალის ფორმის მიხედვით განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ე.ი. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ახდენს სწორედ ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის კანონსაწინააღმდეგოდ დათესვას, მოყვანას ან კულტივირებას და სურს ეს. როდესაც პირი ცდება დანაშაულის საგანში, შეცდომით ფიქრობს, რომ მის მიერ დათესილი ან მოყვანილი მცენარე ნარკოტიკული საშუალების შემცველია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 265-ე მუხლის მცდელობით (მე-19, 265-ე მუხლები). თუკი პირს არ აქვს გაცნობიერებული, რომ მცენარე, რომელიც მის ეზოში ხარობს, არის ნარკოტიკული, მაშინ მისი მოვლა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 265-ე მუხლით.

როდესაც პირმა მის მიერ დათესილი და მოყვანილი ნარკოტიკული მცენარე უკვე **მთლიანად გაასაღა,** ან მისგან მთლიანად დაამზადა სხვა ნარკოტიკული საშუალება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260-ე მუხლით – უკანონო გასაღება ან უკანონო დამზადება ამ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 265-ე მუხლით საჭირო არ არის. სსკ 260-ე მუხლი ამ შემთხვევაში შთანთქავს 265-ე მუხლს, რადგან: ა) სახეზეა სს დაცვის ერთი და იგივე ობიექტი, ბ) სახეზეა დანაშაულის ერთი და იგივე საგანი – ნარკოტიკული საშუალება; გ) ეს ქმედებები ერთმანეთის ლოგიკური გაგრძელებაა და ჩადენილია ერთიანი განზრახვით (მცენარეს იმიტომ თესავენ და უვლიან, რომ შემდგომში იგი რამენაირად გამოიყენონ; დ) სსკ 260-ე მუხლი მეტად საშიში დანაშაულია, ვიდრე 265-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. ამდენად, **ნაკლები საშიშროების შემცველი** აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი **გადაიზარდა უფრო დიდი საშიშროების** შემცველ დელიქტში.

265-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები მთლიანად ემთხვევა წინამდებარე მუხლებით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებს. ამდენად, მათ განხილვას არ შევუდგებით. მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე, მე-2 ნაწილის „გ" პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებაზე – **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით**. აქ იგულისხმება იმ პირთა წრე, ვისი სამსახურებრივი საქმიანობაც დაკავშირებულია მცენარეთა დათესვა-მოყვანასა თუ მათ კულტივირებასთან ან ახორციელებენ სხვაგვარ საქმიანობას სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე. ასევე ის მოხელეები, ვინც ახორციელებენ კონტროლს მოცემულ ტერიტორიაზე (შს ორგანოს, სუსის წარმომადგენლები და სხვა). ისინი იყენებენ რა ამ სამსახურებრივ მდგომარეობას, უკანონოდ თესავენ, მოჰყავთ ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე, ან ახდენენ მის კულტივირებას სახელმწიფო მიწის ნაკვეთზე. ამ დანაშაულის სუბიექტი ასევე შეიძლება იყოს კერძო სამართლის იმ იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია მიწათსარგებლობასთან.

პირი, რომელიც იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, თვითონ უნდა იყოს სსკ 265-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელი (ან შუამდგომლობითი ამსრულებელი). მაგალითად, სამეწარმეო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დაიქირავა პირები და რამდენიმე ჰექტარ მიწაზე დაათესინა კრასნოდარის კანაფი. ამ სამუშაოს შემსრულებლებმა არ იცოდნენ, რომ თესდნენ ნარკოტიკული საშუალების შემცველ მცენარეს. სსკ 265-ე მუხლის ამ დამამძიმებელი გარემოების შუალობითი ამსრულებელია ეს მეწარმე,

რომელმაც აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა ისეთი პირების მეშვეობით, რომლებსაც „სხვა გარემოების გამო არ დაეკისრებათ სს-ვი პასუხისმგებლობა" (სსკ 22-ე მ. პირვ. ნაწ.). კერძოდ, ისინი მოქმედებდნენ მისატევებელი შეცდომის პირობებში.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

სსკ 265-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წელს მიღებული ზემოთხსენებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სსკ 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შეძენა შენახვის გამო.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს განჩინება სასამართლომ უნდა გაითვალსწინოს შემდეი თვალსაზრისით: თუკი დათესილი, მოყვანილი ან პილტივირებულია მარიხუანა, რომლის გამოშრობის შედეგად შესაძლებელია, მიღებულ იქნას მხოლოდ 70 გრამამდე მცენარე, ბრალდებულის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული სსკ 265-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული თავსუფებოს აღკვეთა.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა (მუხლი 266-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარკოტიკული საშუალების ან კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერების წარმოების კანონით დადგენილ წესს.

ობიექტური მხრივ იგი გამოიხატება: ა) ამ ნივთიერების უკანონო წარმოებისათვის (და არა დამზადებისათვის) ფარული ლაბორატორიის მოწყობაში, ან ბ) ამ ლაბორატორიის შენახვაში.

ლაბორატორიის სახით შეიძლება მოგვევლინოს სპეციალურად მოწყობილი ისეთი სადგომი,სადაც უნდა მოხდეს სპეციალურ

კონტროლს დაქვემდებარებული რომელიმე ნივთიერების უკანონო წარმოება,ე.ი. როცა პირს არ გააჩნია მისი წარმოების კანონიერი უფლებამოსილება.

ფარული იქნება ისეთი ლაბორატორია, რომლის არსებობის შესახებ არ არსებობს ინფორმაცია არც ერთ ოფიციალურ ორგანოში და იგი შექმნილია უკანონოდ – სათანადო ნებართვის გარეშე. ასეთი ლაბორატორია შეიძლება დაფარული იყოს როგორც ინფორმაციულად, ისე ფიზიკურადაც, **მაგალითად,** თუ ის მოწყობილი იქნება ძველი, ამორტიზებული შენობის სარდაფში. ლაბორატორიის დაფარვის ხერხად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის გაყალბება. **მაგალითად,** ამა თუ იმ საწარმოს შენობის ნაწილში მოწყობილია ლაბორატორია,რომელიც გაფორმებულია როგორც ერთ-ერთი საამქრო, სადაც თითქოს მზადდება კანონით ნებადართული ნივთიერება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში განსახილველი ნორმა თავისთავში მოიცავს ცრუ მეწარმეობასაც და ამდენად, ქმედების კვალიფიკაცია სსკ 193-ე მუხლით საჭირო არ არის.

ლაბორატორიის მოწყობა ნიშნავს სათანადო შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოძებნას, მის დაუფლებას (კანონიერი თუ უკანონო გზით), მის აღჭურვას სათანადო ტექნოლოგიით, მომარაგებას ნედლეულით, მუშახელისა და სხვა საჭირო პერსონალის მოყვანას, შრომის პროცესის ორგანიზებას და ა.შ. ეს ქმედება დამთავრებულია მაშინ, როცა პირი დაასრულებს ფარული ლაბორატორიის მოწყობის პროცესს და ლაბორატორიას გაამზადებს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოებისათვის. ეს **დანაშაული არის ფორმალური** და არ ითვალისწინებს რაიმე მძიმე შედეგის დადგომას. იგი დამთავრებულია მანამ, სანამ ლაბორატორია პრაქტიკულად ამუშავდება და მოასწრებს წარმოებისათვის გამიზნული ნივთიერების თუნდაც ნაწილის დამზადებას. დანაშაულის ამგვარი შეკვეცილი შემადგენლობა განპირობებულია ამ ქმედების საშიშროების მაღალი ხარისხით (ლაბორატორიაში შესაძლებელია გაცილებით დიდი ოდენობით ნივთიერების დამზადება), ამასთანავე კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოება ქმედების ამსრულებლის ცხოვრების მცირე ეპიზოდს კი არ მოიცავს და შემთხვევით (სიტუაციურ) ხასიათის კი არ ატარებს, არამედ იგი ამისათვის ემზადება საგულდაგულოდ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

თუ ფარული ლაბორატორიის შექმნას კიდევაც მოჰყვა კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო წარმოება, **ქმედება დაკვალიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით** – სსკ 266-ე და 260-ე (ან 261-ე) მუხლებით. ამ შემთხვევაში ვინაიდან სახეზეა დანაშაულის

სხვადასხვა საგნები (ლაბორატორია და ნარკოტიკული საშუალება), ამავე დროს ლაბორატორია არის მრავალჯერადი მოხმარების საგანი, ამდენად, სსკ 260-ე მუხლი ვერ შთანთქავს 266-ე მუხლს.

ფარული ლაბორატორიის შენახვა გულისხმობს უკვე მოწყობილი ლაბორატორიის შემდგომი მუშაობისათვის პირობების შექმნას: დამატებითი ტექნოლოგიით აღჭურვა, ახალი კადრებით შევსება, ლაბორატორიის მუშაობისათვის სხვაგვარი პირობების შექმნა (ელექტროენერგიითა და წყლით უზრუნველყოფა), დამატებითი ნედლეულით მომარაგება, მისი რემონტი და ა.შ.

ფარული ლაბორატორია შეიძლება მოაწყოს ერთმა პირმა, ხოლო იგი შეინახოს მეორემ. ვინაიდან სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, თუ ორივე ქმედებას სჩადის ერთი პირი, ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ სსკ 266-ე მ-ის პირველი ნაწილი, მაგრამ მას ბრალად წაეყენება ფარული ლაბორატორიის როგორც მოწყობა, ისე მისი შენახვა, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელის დანიშვნაზე.[45]

როდესაც პირი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოებისათვის იყენებს კანონიერი გზით შექმნილ ლაბორატორიას და იქ უკანონოდ აწარმოებს ამ ნივთიერებას, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება **არა განსახილველი ნორმით** – სსკ 266-ე მუხლით, არამედ სსკ 260-ე მუხლით – ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებით (ან 261-ე მუხლით).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, მხოლოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებულია სპეციალური სუბიექტი – ვინც იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას ლაბორატორიის შესაქმნელად ან შესანახად. ესენი შეიძლება იყვნენ პირები, ვისაც აქვთ სამედიცინო თუ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შექმნის ან მისი ხელმძღვანელობის უფლება. გამორიცხული არ არის ლაბორატორიის რიგითმა თანამშრომლებმაც ლაბორატორიაში არსებული ხელსაწყოებისა და ტერიტორიის გამოყენებით შექმნან ფარული (ფიზიკურად დაფარული) ლაბორატორია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წარმოებისათვის.

სუბიექტური მხრივ პირის მიზანია სერიულად აწარმოოს სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება. რაც შეეხება მოტივს, იგი მუხლის შემადგენლობაში არაა დაფიქსირებული. ამდენად,ზეგავლენას არ ახდენს კვალიფიკაციაზე,მაგრამ თვით ნორმის შინაარსიდან გამომ-

[45] ერთიანი დანაშაულზე ალტერნატიული ქმედებებით იხ. გ. მამულაშვილი, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. თბ. 2016, მე-2 გამოცემა, გვ. 459-462

დინარე, უმეტეს შემთხვევაში, მოტივი აქ ანგარებაა. თუმცა გამორიცხული არ არის სხვა პირადი მოტივიც.

ბრალის ფორმის მიხედვით ეს დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით – პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ქმნის ან ინახავს ფარულ ლაბორატორიას და სურს ეს. ამასთან, მას ამოძრავებს სპეციალური მიზანი – ეს ლაბორატორია მოწყობილია სწორედ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წარმოებისათვის (და არა დამზადებისთვის) კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ამ მიზნის გარეშე ფარული ლაბორატორიის შექმნა არ მოგვცემს განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას, თუმცა მან შესაძლოა, მოგვცეს სსკ 193-ე მუხლის შემადგენლობა (ცრუ მეწარმეობა).

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხლი 267-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარკოტიკული საშუალების შესაძენი რეცეპტის ან დოკუმენტის შედგენის კანონით დადგენილ წესს. ქმედების მიზნიდან გამომდინარე, დამატებით ობიექტად უნდა ჩაითვალოს ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანია ნარკოტიკული საშუალების შესაძენი რეცეპტი და სხვა დოკუმენტი.

ნარკოტიკული საშუალების შესაძენად რეცეპტის გამოწერა ხდება განსაზღვრული ფერის სპეციალურ ბლანკზე, რომელზეც დასმულია სამკურნალო დაწესებულების შტამპი.

სხვა დოკუმენტი, რომელიც იძლევა ნარკოტიკული საშუალების შეძენის უფლებას, ის დოკუმენტია, რომელიც წარმოადგენს ამ ნივთიერების გაცემის (გაყიდვის) საფუძველს. ასეთი დოკუმენტი შეიძლება იყოს სამედიცინო დაწესებულების მოთხოვნა ნარკოტიკული საშუალების მიღებაზე მათი სამკურნალოდ გამოყენებისათვის; ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან; ლიცენზია ისეთ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების ბრუნვასთან და სხვა.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ყალბი რეცეპტის ან სხვ დოკუმენტის დამზადებაში, ბ) ან მათ გასაღებაში (ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით).

გაყალბებული შეიძლება იყოს როგორც რეცეპტი, ისე სხვა დოკუმენტი. გაყალბებულად ჩაითვლება როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ გაყალბებული რეცეპტი ან სხვა დოკუმენტი.

აღნიშნული **ქმედება დამთავრებულად ითვლება** იმ მომენტიდან, როცა პირი დაასრულებს ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადების პროცესს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად მისი (რეცეპტის) გასაღების მიზნით და მნიშვნელობა არა აქვს, მოახერხებს თუ არა მის გასაღებას. უფრო მეტიც, არც იმასა აქვს მნიშვნელობა, შეუდგება თუ არა იგი ამ დოკუმენტების გასაღებისაკენ მიმართულ მოქმედებას. ე.ი. დანაშაული არის ფორმალური შემადგენლობის.

თუკი პირი ყალბ რეცეპტს **ამზადებს იმისთვის, რომ თავად გამოიყენოს იგი და შეიძინოს** ნარკოტიკული საშუალება, მისი ქმედება არ დაკვალიფიცირდება სსკ 267-ე მუხლით (რადგან სახეზე არაა რეცეპტის გასაღების მიზანი), არამედ სახეზეა სსკ 362-ე მუხლი და ნარკოტოკული საშუალების უკანონო შეძენის დაუმთავრებელი სტადია. კერძოდ, მისი მომზადება (18, 260-ე მ.), ანდა ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების დაუმთავრებელი სტადია. კერძოდ, მისი მომზადება (18, 264-ე მ.) თუკი ეს ყალბი რეცეპტი იძლეოდა ნარკოტიკის უსასყიდლოდ შეძენის საშუალებას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ სსკ 264-ე მ-ის პირველი ნაწილი არის ნაკლებად მძიმე დანაშაული (ყველაზე მკაცრი სასჯელია თ.ა. ვადით 4 წლამდე), რომლის მომზადების სტადია არაა დასჯადი (სსკ 18-ე მ. მე-2 ნაწ.). შესაბამისად, ამ შემთხვევაში პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 362-ე მუხლით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით).

ამდენად, განსახილველ ნორმაში (267-ე მ.) ყალბი რეცეპტის დამზადებისას **პირის მიზანი არ არის ამ რეცეპტის თავად გამოყენება,** არამედ მისი მიზანია ამ რეცეპტის გასაღება სხვა პირზე.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ასევე ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა **დოკუმენტის გასაღებაში**. გასაღებაში იგულისხმება ამ დოკუმენტების გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა სხვა დოკუმენტებზე ან ნივთზე და სხვა, მაგრამ არა მისი გამოყენება.

ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს შეიძლება ამზადებდეს ერთი პირი, ხოლო მეორე კი ასაღებდეს მას; ორივე მათგანი ამ დანაშაულის ამსრულებელია. ასევე შესაძლებელია, ორივე ამ ალტერნატიულ ქმედებას ასრულებდეს ერთი პირი. ამ შემთხვევაში არაა სახეზე დანაშაულთა ერთობლიობა და პირის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 267-ე მ-ის პირვ. ნაწილით.

სსკ 267-ე მუხლი არის 362-ე მუხლის (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) კერძო შემთხვევა. ზოგადი და კერძო ნორმის კონკურენციისას კი, როგორც ცნობილია, იმარჯვებს კერძო ნორმა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 362-ე მუხლით საჭირო არ არის. შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გამოყენებას ადგილი ექნება მაშინ, თუ პირი, ვინც შეიძინა გაყალბებული დოკუმენტი, წარადგენს მას შესაბამის დაწესებულებაში, რათა მიიღოს ნარკოტიკული საშუალება. თავად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის შეძენის ფაქტი კი დაკვალიფიცირდება სსკ 362-ე მუხლით – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შეძენით.

სსკ 267-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური მხარე არ მოიცავს ყალბი დოკუმენტების გამოყენებას** და ეს არცაა გასაკვირი.

ყალბი რეცეპტისა თუ სხვა დოკუმენტის წარდგენა შესაბამის დაწესებულებაში ნარკოტიკული საშუალების მიღების მიზნით მოიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას და ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ან სსკ 260-ე მუხლის ანდა 264-ე მუხლის მცდელობით.

დანაშაულის ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტის სუბიექტია პირი, ვინც რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გაყალბებისათვის, ანდა მათი გასაღებისათვის იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. ესენი შეიძლება იყვნენ აფთიაქის პროვიზორები, გამგეები, საავადმყოფოს ექიმები და სხვ. **მაგალითად,** ექიმი ყალბად დამზადებულ ბლანკზე წერს რეცეპტს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად და იყენებს თავის სამსახურებრივ შტამპსა და ბეჭედს. ანდა ნამდვილი ბლანკის გამოყენებით ამზადებს რეცეპტს მოგონილი ავადმყოფის გვარზე და ა.შ.

სუბიექტური მხრივ ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადებისას აუცილებელია, პირს ამოძრავებდეს მისი (რეცეპტის ან დოკუმენტის) გასაღების მიზანი (და არა მისი თავად გამოყენების მიზანი). წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა. ამდენად, ნაწილობრივ სახეზეა მიზნით დაფუძნებული (გამიზვნითი) დელიქტი.

რაც შეეხება მოტივს, მას ამ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა. სახეზე შეიძლება იყოს ანგარება ან სხვა პირადი მოტივები.

ბრალის ფორმის მიხედვით განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: პირს გაცნობიერებული აქვს,რომ ნარ-

კოტიკული საშუალების შესაძენად ამზადებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს, ანდა გაცნობიერებული აქვს, რომ ასაღებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს, რომლითაც შესაძლებელია ნარკოტიკული საშუალების შეძენა და სურს ეს.

სსკ 267-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათაგან შევჩერდებით მხოლოდ ერთზე. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული **ქმედება, ჩადენილი სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით**, წარმოადგენს მე-2 ნაწილის „ა" პუნქტის მაკვალიფიცირებელ ნიშანს. დანაშაულის მიზნის ამგვარი ფორმულირება ჩვენ გვხვდება სს კოდექსის მხოლოდ ორ მუხლში. ესენია 267-ე და 268-ე მუხლები. მომსახურება ნიშნავს რაიმე სამუშაოს შესრულებას ვისიმე ან რისამე საჭიროების, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი ნორმით სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზანი არსებობს მაშინ, როცა პირი ამზადებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს, ანდა ასაღებს მათ იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს სხვისი მოთხოვნილება. ე.ი. დანაშაულის სუბიექტმა ამ შემთხვევაში უკვე წინასწარვე იცის, თუ ვისთვის სჩადის ამ ქმედებას. მაგრამ, როცა პირი 267-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას სჩადის გაყალბებული დოკუმენტების კონკრეტულ პირზე ან პირებზე გასაჩუქრებისათვის (მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად), სახეზეა 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემადგენლობა, რადგანაც გასაღების მიზანში მოიაზრება გაჩუქების მიზანიც. ამასთან, არავითარი აუცილებლობა არ არსებობს იმისათვის,რომ გაყალბებული დოკუმენტების ამა თუ იმ პირებზე გაჩუქების მიზანი ამოვრიცხოთ 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და გადავიტანოთ იგი დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხაში. ეს იმიტომ, რომ გასაჩუქრება არამც და არამც არ ხასიათდება მომეტებული საშიშროებით, ვიდრე ამ გაყალბებული დოკუმენტების გაყიდვა ან გაცვლა.

სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზანში იგულისხმება **არა გასაჩუქრება, არამედ მომსახურება შემკვეთზე**. ე.ი. პირი ემსახურება შემკვეთს და მისთვის ამზადებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად. ამდენად,აქ არსებობს,ერთი მხრივ, შემკვეთი, როგორც წამქეზებელი ან ორგანიზატორი, ხოლო, მეორე მხრივ – მისთვის მომსახურე პირი, ვინც ამზადებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად.

შემკვეთს შეიძლება ემსახურებოდეს უკვე გაყალბებული რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გამსაღებელიც, რომელიც ახორციელებს გასაღებას შეკვეთის პირობების შესაბამისად. 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გასაღება განსხვავდება გასაღებისაგან,

რომელიც ხორციელდება შეკვეთით. როცა პირი ასაღებს ყალბ რეცეპტს ან სხვა დოკუმენტს სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით, ე.ი. შეკვეთით, გასაღების პირობებს ადგენს არა თვითონ გამსაღებელი პირი, არამედ ის, ვინც შეუკვეთა გასაღება. გასაღების პირობებში იგულისხმება დროის მონაკვეთი, როდესაც უნდა მოხდეს ამ დოკუმენტების გასაღება, მათი საცალო თუ საბითუმო ფასი და ა.შ. ამასთანავე, ამ დოკუმენტების გასაღების შედეგად მიღებულ თანხასა თუ სხვა ნივთს განკარგავს არა გამსაღებელი, არამედ შემკვეთი. ხოლო პირი, ვინც ასაღებს ამ დოკუმენტებს ან აყალბებს მას, იღებს გარკვეულ გასამრჯელოს შემკვეთისაგან თავისი საქმიანობის (გასაღების) შესრულებისთვის.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხს აგებს ასევე იურიდიული პირიც.

ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება (მუხლი 268-ე)

268-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის წინამდებარე მუხლის განსხვავება სსკ 267-ე მუხლისაგან მდგომარეობს იმაში, რომ აქ ადგილი აქვს ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადებას. სხვა შემადგენლობა კი მთლიანად ემთხვევა 267-ე მუხლს. ამდენად, ამ მუხლის ანალიზს არ შევუდგებით. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიულ პირსაც დაეკისრა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხლი 269-ე).

განსახილველი დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ის ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების ან

პრეკურსორის მოპყრობის კანონით დადგენილი წესების დაცვასთან.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება იმ წესების დარღვევაში, რომლითაც მოწესრიგებულია ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადება, წარმოება, მიღება, აღრიცხვა, გაცემა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან შემოტანა, თუ ამ წესების დარღვევამ ამ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია. (ამდენად, სახეზეა ბლანკეტური დისპოზიცია **მატერიალური შემადგენლობით**).

დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა, როცა ადგილი აქვს ნორმაში მითითებული წესებიდან ერთ-ერთის დარღვევას შესაბამისი შედეგით. იმისათვის, რომ გაირკვეს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დარღვევა, უნდა მივმართოთ შესაბამის წესებს, რომელიც დადგენილია მმართველობის სათანადო ორგანოების მიერ, ამდენად, **ობიექტური მხარე მოიცავს:**

ა) დადგენილი წესების დარღვევას;

ბ) ამით გამოწვეულ შედეგს; და,

გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

საქართველოში სხვადასხვა უწყების მიერ მიღებული სპეციალური წესები დამტკიცებულია საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. ამ წესებით რეგულირდება ამა თუ იმ დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მიღების, შენახვის, აღრიცხვის, წარმოების, გაცემის, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესები.

ასეთი წესები დადგენილია სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებისა და ლაბორატორიებისათვის, ფარმაცევტული საწარმოებისათვის, აფთიაქებისათვის, პოლიციის (ქვედანაყოფის) შენობაში მოთავსებული სააფთიაქო პუნქტებისათვის. ამ საკითხებს ნაწილობრივ აგვარებს საქართველოს ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების 1994 წლის ბრძანება (№430/ო/801) „ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებების აღრიცხვაზე, შენახვაზე, გამოწერასა და გამოყენებაზე კონტროლის გამკაცრების დროებითი ღონისძიებების შესახებ“ და სხვა აქტები.

ამ აქტებით დადგენილია,რომ აფთიაქებიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალება გაიცემა მხოლოდ რეცეპტით,რომლებიც გაფორმებულია „შხამების,ნარკოტიკული საშუალებების, ძლიერმოქმედი ნივთიერებებისა და მათი პრეპარატების გამონერის წესების“ შესაბამისად.

ასევე დადგენილია ნარკოტიკული საშუალების **დამზადების შესაბამისი წესი**. კერძოდ, რეცეპტის მიღებისას ფარმაცევტი ვალდებულია

წამლის შემადგენლობის (ინგრედიენტის) დასახელების ქვეშ გაუსვას წითელი ხაზი, დააზუსტოს ავადმყოფის ასაკი, შეამოწმოს დოზირების სისწორე და წამლის ფორმაში გამოწერილი ინგრედიენტის შეთავსებულობა.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება ექვემდებარება საგნობრივ და რაოდენობრივ აღრიცხვას დადგენილი წესით, დანომრილ, ზონარგაყრილ და ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

ამდენად,ნარკოტიკის როგორც შემოტანა, ისე გაცემა დაფიქსირებული უნდა იქნას ამ ჟურნალში.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული **ნივთიერების გაცემას** ახდენს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი (მაგალითად, აფთიაქის ხელმძღვანელი) ან მისი ბრძანებით უფლებამოსილი პირი. ამ ნივთიერების გაცემისას დაცულ უნდა იქნეს ტერიტორიული პრინციპი. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება ინახება მატერიალურ ფასეულობათა განყოფილებაში მოთავსებულ სეიფში. იგი იხსნება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იკეტება და ილუქება.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მიღების, შენახვის, წარმოების, გაცემის უფლება აქვს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის მქონე ფარმაცევტულ საწარმოს. ამ საწარმოს უფლება აქვს საჭიროებისამებრ შეიძინოს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება შესაბამისი ნებართვის მქონე იურიდიული პირისაგან.

საწარმოში ამ ნივთიერებების შემოტანაზე პასუხისმგებელი პირი (მომარაგების განყოფილების უფროსი) ვალდებულია შეძენის ან მიღების ადგილზევე შეამოწმოს საქონლის რაოდენობის შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტებთან.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული **ნივთიერების გადაზიდვა (ტრანსპორტირება)** ნებადართულია მხოლოდ პოლიციის წარმომადგენლის თანხლებით.

1994 წლის დეკემბრის საქართველოს ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ბრძანების საფუძველზე ნარკოტიკულ საშუალებათა დასაბუთებულ დანიშვნაზე კონტროლის გამკაცრებისა და სამედიცინო დაწესებულებებში ნარკოტიკულ სამკურნალო საშუალებათა გატაცების შემთხვევათა აღკვეთის მიზნით რაიონების (ქალაქების) აფთიაქის მიერ ნარკოტიკული სამკურნალო საშუალების შენახვა და გაცემა როგორც სამკურნალო დაწესებულებაზე, ისე კერძო პირზე

საქართველოში ხდება რაიონის (ქალაქის) პოლიციის (ქვედანაყოფის) შენობიდან. ამისათვის პოლიციის უფროსმა პოლიციის (ქვედანაყოფის) შენობაში უნდა გამოყოს ადგილი და უზრუნველყოს მისი დაცვა.

ჩვენ მიერ განხილული **წესების დარღვევა შეიძლება მოხდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.** აქტიურობითაა ჩადენილი, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების შემოტანა სათანადო ნებართვის გარეშე ან მათი გაცემა ვადაგასული რეცეპტის საფუძველზე და სხვ. **უმოქმედობით ჩადენილია**, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების შეფუთვისათვის დადგენილი მოთხოვნების დაუცველობა (არასათანადო შეფუთვა), ან იმ საცავის არასათანადოდ მოწყობა და დაცვა,სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალება. მაგალითად, არ დაამონტაჟეს თანამედროვე სიგნალიზაცია.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება არა იმ მომენტიდან, როცა პირი დაარღვევს ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობისადმი დადგენილ წესს, არამედ მაშინ,როდესაც ამ ქმედებას შედეგად მოჰყვება ამ ნივთიერებების უკანონო ბრუნვაში მოქცევა, ე.ი. სახეზეა **მატერიალური შემადგენლობა** (შედეგიანი დანაშაული). ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის **უკანონო ბრუნვაში იგულისხმება** შესაბამისი ნივთიერების შემცველ მცენარეთა დათესვა, მოყვანა, კულტივირება, ასევე ამ ნივთიერებათა შექმნა, წარმოება, მომზადება, გადამუშავება, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გაცემა, რეალიზაცია, განაწილება, შეძენა, გამოყენება, მოხმარება, განადგურება, იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი და რეექსპორტი, თუკი ეს მოქმედებები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით.

აქედან გამომდინარე, თუ ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობისადმი დადგენილი **წესის დარღვევას არ გამოუწვევია ამ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვაში მოქცევა, სახეზე არა გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა** და პირმა პასუხი შეიძლება აგოს მხოლოდ დისციპლინური ან ადმინისტრაციული წესით.

ამასთან, აუცილებელია, დადგინდეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა პირის მიერ სათანადო წესის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის. **დანაშაულის ამსრულებელი არის სპეციალური პირი**, ვისაც სამსახურებრივად ევალება ამ წესების დაცვა. ეს პირი შეიძლება იყოს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, ასევე სხვა პირი, როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებთან დაკავშირებული საქმიანობისათვის სათანადო ნებართვა. ასე მაგალითად, საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდე-

ბარებული ნივთიერებების შეტანაზე პასუხისმგებელია მომარაგების განყოფილების უფროსი; შენახვაზე პასუხისმგებელია საწყობის გამგე და ა.შ.

ბრალის ფორმის მიხედვით განსახილველი დანაშაული ჩადენილია გაუფრთხილებლობით, ე.ი. მისი ჩადენა შესაძლებელია როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით. **თვითიმედოვნებას** ადგილი აქვს მაშინ, როცა ამ დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს (მაგ.,საავადმყოფოს მთავარ ექიმს) გაცნობიერებული აქვს, რომ არღვევს ნარკოტიკული საშუალების შენახვის წესს, ინახავს რა მას სათანადოდ დაუცველ კარადაში. იგი ამ დროს იმედს ამყარებს მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელთა პატიოსნებაზე. ამდენად, თავის შეგნებაში გამორიცხავს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვაში მოქცევის შესაძლებლობას, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ვარაუდი არ გამართლდა და ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოახერხა სათანადოდ დაუცველი კარადიდან ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (სსკ 264-ემ.), ე.ი. ეს ნივთიერება მოექცა უკანონო ბრუნვაში.

დაუდევრობას ადგილი ექნება მაშინ, როცა პირს არა აქვს გაცნობიერებული, რომ არღვევს ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობის დადგენილ წესს და არც იმას ითვალისწინებს, რომ დადგება კანონში მითითებული შედეგი, მაგრამ ვალდებული იყო და შეეძლო ეს გაეთვალისწინებინა. **მაგალითად,** საავადმყოფოს ერთ-ერთი განყოფილების გამგეს, რომელსაც გადაეცა ნარკოტიკული საშუალება სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, ეს ნივთიერება დარჩა კაბინეტში თავისი დაუდევრობით (დაავიწყდა). დროის მცირე მონაკვეთის გავლის შემდეგ მას იგი ადგილზე არ დახვდა.

თუკი დადგინდება, რომ პირი შეგნებულად არღვევს შესაბამის წესებს **იმ მიზნით**, რომ ნარკოტიკული საშუალება ან პრეკურსორი ადვილად მოექცეს უკანონო ბრუნვაში, მისი ქმედება ამ მუხლით არ დაკვალიფიცირდება.

მაგალითად, აფთიაქის გამგე წინასწარ შეუთანხმდა სხვა პირს,რომ კარადას,სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალება, დატოვებდა დაუკეტავს და გამორთავდა სიგნალიზაციას. ამ ქმედებით მან ხელი შეუწყო სხვა პირს ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში. მისი ქმედება ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს 25-ე, 264-ე მუხლით – დახმარებით ნარკოტიკული საშუალებით მართლსაწინააღმეგო მისაკუთრებაში, ან 260-ე მუხლით, როგორც უკანონო გასაღება. ხოლო როცა აფთიაქის გამგე გადასცემს ნარკოტიკულ საშუალებას იმ პირს, ვინც მას ყალ-

ბი რეცეპტი წარმოუდგინა (და ეს ფაქტი გამგეს გაცნობიერებული აქვს), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (260.მ. მე-3 ნაწ.).

სსკ 269-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათაგან ერთ-ერთია, იგივე ქმედება, რამაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის უკანონო ბრუნვაში მოქცევა გამოიწვია. დიდი ოდენობის არსი უკვე განხილულია სსკ 260-ე მუხლის ანალიზისას. ამდენად, აქ მდგომარეობას ამძიმებს უკანონო ბრუნვაში მოქცეული ნარკოტიკის ოდენობა. რაც შეეხება მეორე დამამძიმებელ გარემოებას – **იგივე ქმედება, რამაც სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია**, აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის მოპყრობის დადგენილი წესის დაუცველობამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. რა თქმა უნდა, სსკ 269-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული შედეგებიც უნდა დადგეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იურიდიულ პირსაც.

ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის,გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა (მუხლი 270-ე).

სსკ 261-ე მუხლის ანალიზისას ჩვენ უკვე განვმარტეთ, თუ რას წარმოადგენს ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებანი.

რაც შეეხება დანაშაულის შემადგენლობის სხვა ნიშნებს, იგი განხილულია სსკ 269-ე მუხლის ანალიზისას, ხოლო ფსიქოტროპული ნივთიერებებისადმი მოპყრობის სპეციალური წესები უნდა დაადგინონ მმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა მანამ, სანამ ძალაში შევა საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ". ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა (მუხლი 271).

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება იმაში, რომ იგი ქმნის პირობებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისათვის; ამასთანავე, რთულდება უკანონო მომხმარებელთა გამოვლენის შესაძლებლობა როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე თვით მომხმარებელთა ახლობლების მხრიდან; ასევე ამგვარი ბინა და სადგომი ხელს უწყობს პირთა ჩაბმა-ჩათრევას კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო მოხმარებაში. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და მისი ანალოგის არსი ჩვენ განხილული გვაქვს სსკ 260-ე და 261-ე მუხლების ანალიზისას. რაც შეეხება კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ნივთიერებებს (ძლიერმოქმედ), მათი უკანონო მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა არ იწვევს პასუხისმგებლობას სსკ 271-ე მუხლით.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ნარკოტიკული საშუალების, ან მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის (და არა დამზადების ან წარმოებისათვის) ბინის დათმობაში; ბ) იმავე ნივთიერების უკანონო მოხმარებისათვის სხვა სადგომის დათმობაში (I ნაწ.).

ბინად ჩაითვლება ნებისმიერი სადგომი, რომელიც განკუთვნილია ადამიანების მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად და მათი ქონების შესანახად, ე.ი. ბინად ჩაითვლება სახლი, აგარაკი, ცალკე ბინა სახლში, ოთახი საერთო საცხოვრებელში ან სასტუმროში და სხვ. **ბინად არ ჩაითვლება** ის შენობა-ნაგებობა, რომელიც არაა განკუთვნილი ადამიანთა მუდმივად თუ დროებით საცხოვრებლად. ასეთებია: დამხმარე სამეურნეო ნაგებობები (ბოსელი, გარაჟი, სარდაფი), ასევე ავტომანქანის სალონი, რომელიც პირმა დაუთმო სხვას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო მოხმარებისათვის.

სხვა სადგომად უნდა ჩაითვალოს შენობა-ნაგებობა, რომელიც მოწყობილია ადამიანთა და ასევე ფასეულობათა განსათავსებლად. მაგალითად, ფაბრიკა, ქარხანა, მუზეუმი, მაღაზია, რესტორანი, დანესებულება და ა.შ.

ამდენად, სხვა სადგომი, ბინისაგან განსხვავებით, არაა გამიზნული ადამიანთა საცხოვრებლად, არამედ ადამიანები მასში ეწევიან სხვადასხვა სამსახურებრივ, პროფესიულ თუ სხვა ხასიათის საქმიანობას.

სხვა სადგომად არ უნდა ჩაითვალოს ა/მანქანა, რადგან იგი არის ტრანსპორტის სახე და მისი დანიშნულება არაა სადგომად მისი გამოყენება. ამასთანავე იგი არის მოძრავი ნივთი.

დათმობა ნიშნავს სხვა პირისათვის ბინის თუ სხვა სადგომის გადაცემას გარკვეული ვადით ან თუნდაც განუსაზღვრელი ვადით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისათვის (და არა მისი დამზადების ან წარმოებისათვის). თუ ბინა დათმობილია სხვა პირისათვის იქ ნარკოტიკული საშუალების დამზადების ან წარმოებისათვის, ქმედება დაკვალიფიცირდება ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადებაში ან წარმოებაში თანამონაწილეობით, კერძოდ, დახმარებით (სსკ 25, 260-ე მ.).

დათმობილი შეიძლება იყოს როგორც მთლიანად ბინა ან სხვა სადგომი, ისე მისი ნაწილი (მაგალითად, ერთი ოთახი ბინაში).

ბინის დათმობად ვერ დაკვალიფიცირდება შემთხვევა, როცა პირი თავის ბინას მიჰყიდის სხვას, თუნდაც დანამდვილებით იცოდეს, რომ მყიდველი მას ნარკოტიკის მოხმარებისათვის გამოიყენებს. განსახილველი დანაშაულის არსი იმაში გამოიხატება, რომ პირი მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებულ ბინას ან სხვა სადგომს უთმობს პირს ნარკოტიკის მოხმარებისათვის და ეს ბინა კვლავ რჩება მის საკუთრებაში ან მფლობელობაში.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარება უკანონოა მაშინ, როცა მისი გამოყენება ხდება კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ (მაგალითად, ექიმის დანიშნულების გარეშე).

სსკ 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული **ქმედება დამთავრებულია** იმ მომენტიდან, როცა პირი დაუთმობს სხვას თავის ბინას ან სხვა სადგომს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების (გარდა ძლიერმოქმედი ნივთიერების) უკანონოდ მოხმარებისათვის, ე.ი. აქ სახეზეა **ფორმალური შემადგენლობა**.

განსახილველი დანაშაულის **შემადგენლობა** (ბინის დათმობა) **არ გვაქვს**, როცა პირი თავადაც მოიხმარს ნარკოტიკს საკუთარ ბინაში, ექიმის დანიშნულების გარეშე თავის ამხანაგებთან ერთად.

ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, ვის მფლობელობაშიც იმყოფება ბინა თუ სხვა სადგომი.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს სხ-

ვადასხვა პირადული ხასიათის: ახლობლისადმი თანაგრძნობა, შიში და სხვა.

რაც შეეხება ანგარებას, იგი გათვალისწინებულია სსკ 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. ანგარებაში იგულისხმება სხვისი ქონების ხარჯზე მატერიალური გამორჩენის მიღების სურვილი. განსახილველი დანაშაული ანგარებითაა ჩადენილი მაშინ, როცა პირი სხვას უთმობს ბინას ან სხვა სადგომს, რათა სანაცვლოდ მიიღოს ფული, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი. ანგარებას ადგილი ექნება მაშინაც, როცა პირს ბინის ან სხვა სადგომის დათმობით სურს თავი გაითავისუფლოს მატერიალური მოვალეობისაგან. **მაგალითად,** მოვალე კრედიტორს უთმობს თავის ბინას ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის იმ მოტივით, რომ სანაცვლოდ კრედიტორი მას არ მოსთხოვს ვალის გადახდას.

ბრალის ფორმის მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ პირს უთმობს ბინას ან სხვა სადგომს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოატიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო მოხმარებისათვის და სურს ეს.

სსკ 271-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია შემდეგი დამამძიმებელი გარემოებები: ა) არაერთგზის; ბ) ანგარებით; გ) არასრულწლოვნის ან იმის მიმართ, ვინც გადის დეზინტოქსიკაციური თერაპიის კურსს. დამამძიმებელ გარემოებათაგან განვიხილავთ ასევე „გ“ პუნქტს – იგივე ქმედება, ჩადენილი არასრულწლოვანის ან იმ პირის მიმართ, ვინც გადის დეზინტოქსიკაციური თერაპიის კურსს.

არასრულწლოვანია პირი, ვისაც არ მიუღწევია 18 წლისათვის, მისი პიროვნება ბიოლოგიური და ზნეობრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ამდენად, მათთვის ბინის ან სხვა საცავის დათმობა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარებისათვის მომეტებული საშიშროებით ხასიათდება. ამასთანავე, 271-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს,რომ უთმობს ბინას ან სხვა სადგომს 18 წელს მიუღწეველ პირს, რომელსაც თავისი ნებით სურს ნარკოტიკის მოხმარება. უკეთუ ეს არასრულწლოვანი დამნაშავემ დაიყოლია ნარკოტიკის მოხმარებაზე (272-ე მ.) და თანაც დაუთმო ბინა, ქმედება დაკვალიფიცირდება ერთობლიობით.

დეზინტოქსიკაციური თერაპიის კურსს გადის ის ნარკომანი ან ტოქსიკომანი, ვინც ნებაყოფლობით თუ იძულებით სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში გაივლის სპეციალური მკურნალობის კურსს ნარკომანიის ან ტოქსიკომანიისაგან თავის დასაღწევად. თუ ეს

პირები ექიმის დანიშნულების გარეშე მიიღებენ ნარკოტიკულ (ან სხვა) საშუალებებს, ეს არა მარტო ხელს შეუშლის დეზინტოქსიკაციური თერაპიის კურსის წარმატებით დამთავრებას, არამედ შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგი (სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება). დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ სწორედ ასეთ პირს უთმობს ბინას.

271-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა **ნარკოტიკული საშუალების**, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის **უკანონოდ მოხმარებისათვის** სპეციალური სადგომის ორგანიზმისათვის, ანდა ასეთ სადგომში მისი **უკანონოდ მოხმარების ორგანიზებისათვის**. სპეციალურ სადგომად უნდა ჩაითვალოს ისეთი შენობა-ნაგებობა, რომელიც გამიზნულია კონკრეტული საქმიანობისათვის. განსახილველ შემთხვევაში სპეციალურ სადგომად ჩაითლება შენობა-ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა მხოლოდ და მხოლოდ 271-ე მუხლში მითითებული ნივთიერების უკანონოდ მოხმარება. (და არა ამ ნივთიერების გასაღება).

სპეციალური სადგომის ორგანიზება შეიძლება გამოიხატოს შენობის ან მისი ნაწილის გამონახვასა და მისაკუთრებაში, ან დაქირავებაში; მის იმგვარ გადაკეთებაში,რაც ხელსაყრელს გახდის ამ სადგომის გამოყენებას „კლიენტების" მომსახურებისათვის. **მაგალითად,** ოთახების ისეთნაირად განლაგება, რომ ყველა მათგანს ჰქონდეს დამოუკიდებელი შესასვლელი; ასევე სათანადო განათების სისტემის დამონტაჟება (ნახევრადგანათებული), რაც უზრუნველყოფს ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთა კომფორტულ მდგომარეობას; სადგომში კარ-ფანჯრების იმგვარი სტილით დამონტაჟებას, რომელიც აძნელებს შემთხვევითი პირების თავისუფალ შესვლას სადგომში; დაცვის სისტემის შემუშავებას; მომსახურე პერსონალისა გამოძებნასა და სხვ.

სპეციალური **სადგომის ორგანიზებაში არ იგულისხმება** მისი მომარაგება ნარკოტიკული საშუალებით, მისი ანალოგით, ფსიქოტროპული ნივთიერებით ან მისი ანალოგით. ასეთ შემთხვევაში პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 271-ე მუხლითა და საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით ან 260-ე, 261ე, ან 264-ე მუხლებით. ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს, ის, რომ იმ სპეციალური სადგომის ორგანიზება არ გულისხმობს ნარკოტიკული (ან სხვა) საშუალების უკანონო შეძენასაც.

სსკ 271-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე ასევე შეიძლება გამოიხატოს ასეთ სადგომში (იგულისხმება სპეციალურად მოწყობილი სადგომი) ამ ნივთიერებების

უკანონოდ მოხმარების ორგანიზებაში. აქ იგულისხმება სადგომის მომსახურე პერსონალის საქმიანობაზე კონტროლი, რათა ისინი კარგად მოემსახურონ „კლიენტებს", „კლიენტების" გამოძებნა, სადგომში უკანონოდ შემოსული შემოსავლების სათანადო აღრიცხვა და შენახვა; პერსონალზე განკუთვნილი ხელფასების დროული გაცემა; სადგომის უზრუნველყოფა სათანადო საკომუნიკაციო საშუალებებით; სადგომის ჰიგიენურ და სანიტარიულ პირობებზე ზრუნვა და სხვ.

თუ პირი, ვინც ორგანიზებას უკეთებს ასეთ სადგომში 271-ე მუხლში ჩამოთვლილი ნივთიერების უკანონოდ მოხმარებას,ამავე დროს,უკანონოდ ინახავს ან შეიძენს ამ ნივთიერებებს „კლიენტურაზე" მომსახურების მიზნით, მისი ქმედებაც უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. (დამატებით 260-ე ან 261-ე მუხ).

ამდენად, სპეციალური სადგომის ორგანიზება ნიშნავს მის გამზადებას მოხმარებისათვის, ხოლო სადგომში ამ ნივთიერებათა უკანონოდ მოხმარების ორგანიზების დროს სადგომი იწყებს ფუნქციონირებას დანიშნულებისამებრ და პირი ხელმძღვანელობას უწევს მის მუშაობას. შეიძლება ერთმა პირმა მოაწყოს სპეციალური სადგომი, ხოლო მეორემ ორგანიზება გაუკეთოს ამ სადგომში სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მოხმარებას. ასევე შეიძლება ორივე ეს ქმედება ჩაიდინოს ერთმა პირმა და იმ შემთხვევაში მას ბრალად წაეყენება ორივე ქმედების ჩადენა, რაც ზეგავლენას მოახდენს სსკ 271-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქციის ფარგლებში სასჯელის დანიშვნაზე.

სსკ 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწიებული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ნაკლებია,ვიდრე მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისა. 1-ლი ნაწილი გულისხმობს უკვე არსებული ბინის ან სხვა სადგომის დათმობას სხვა პირზე კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონოდ მოხმარებისათვის, ხოლო მე-3 ნაწილით სუბიექტი თვითონ უკეთებს ორგანიზებას სპეციალურ სადგომს, რაც მოითხოვს გარკვეული დროის, ენერგიისა და თანხების ხარჯვას. ამდენად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილის სუბიექტის ქმედება შეიძლება ატარებდეს შემთხვევით და ერთჯერად ხასიათს, ხოლო მე-3 ნაწილის სუბიექტის ქმედება წინასწარაა მოფიქრებული და იგი არ შეიძლება გამიზნული იყოს ერთჯერადი მოხმარებისათვის. სპეციალური სადგომის მოწყობა ან მასში უკანონოდ მოხმარების ორგანიზება გამიზნულია გარკვეული დროის განმავლობაში ამ სადგომის ფუნქციონირებისათვის. რაც შეეხება მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებს, ისინი განხილულია სსკ 260-ე მუხლის ანალიზისას.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის ფიზიკურ პირთან

ერთად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიულ პირსაც.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება (მუხლი 272-ე).

განსახილველი **დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია** პიროვნების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. ამ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ ხელს უწყობს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უკანონო მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას, რაც საფრთხეში აგდებს მოსახლეობის ჯანმრთელობას.

სსკ ამ მუხლის შემოღება განპირობებულია იმით, რომ **იგი არ არის ნაქეზების კერძო შემთხვევა.** ამ შემთხვევაში არ ხდება პირის დაყოლიება დანაშაულში, რადგან ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარება (მიუხედავად მოხმარებული ნივთიერების ოდენობისა) ადმინისტრაციული გადაცდომაა.

მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი (272-ე მუხლის მე-2 ნაწ.), ასევე ის პირი, ვინც წარსულში იყო ამ ნივთიერებათა უკანონო მომხმარებელი, მაგრამ შემდეგ თავი დაანება მას.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება მხოლოდ აქტიურობაში – მოქმედებაში. პირის დაყოლიება ხდება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებაზე.

თავად მოხმარება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ხერხის გამოყენებით. მაგალითად, ინექციის გზით, მოწევით, ჩასუნთქვით, სხვადასხვა აბისა თუ ფხვნილის მიღებით.

დაყოლიებას აქვს ორგვარი გაგება: ა) როცა პირი აიძულებს მეორე პირს დაჰყვეს მას ან ბ)დაითანხმებს მას რაიმე ქმედების ჩადენაში.[46]

განსახილველ შემთხვევაში დაყოლიებას ადგილი ექნება მაშინ, როცა პირი აიძულებს სხვას, დაჰყვეს მას, ე.ი. როცა მიაღწევს იმას,

---

[46] იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვ. პირველი, (ა-ლ), მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, თბ. 1990, გვ. 1102

რომ დაყოლიებული პირი ერთხელ მაინც მიიღებს ნარკოტიკს.[47]

დაყოლიება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მოქმედების შესრულებით, რაც ადამიანის ფსიქიკაზე აქტიური ზემოქმედებით ხდება: ჩაგონებით, რჩევით; იმის ახსნით, თუ რა დიდ სიამოვნებას მოუტანს მას ამ ნივთიერების მოხმარება; სამიზნე პირისათვის სათანადო ლიტერატურის გაცნობით, სადაც აღწერილია ნარკოტიკულ საშუალებათა მიღებით გამოწვეული სიამოვნება; მუქარით; მოტყუებით (მაგალითად, სხვა სამედიცინო პრეპარატის ნაცვლად ნარკოტიკული საშუალების მიცემა); დაპირებითა და სხვ.

მუქარა, როგორც ამ დანაშაულის ხერხი, მხოლოდ მაშინაა სახეზე, თუკი იგი, როგორც წესი, არის სამომავლო და არა იმწუთიერი. თუკი იმწუთიერი მუქარა საშიშია სიცოცხლისა ან ჯანმრთლობისათვის, მსხვერპლის ნება პარალიზებულია და ასეთი ვითარება ვერ ჩაითვლება დაყოლიებად, რადგან ნარკოტიკის მიღების ფაქტი არაა მსხვერპლის თავისუფალი ნების გამოვლინება, რაც აუცილებელია ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის. შესაბამისად, ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 150-ე მუხლით (იძულება). აქ პრობლემა ისაა, რომ ქმედების იძულებით კვალიფიკაცია გამოიწვევს პირის მიმართ გაცილებით მსუბუქი სასჯელის გამოყენებას,ვიდრე ეს გათვალისწინებულია სსკ 272-ე მუხლში. გამოდის, რომ უფრო საშიში ხერხის გამოყენებისას პირი უფრო მსუბუქად ისჯება, რაც კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

თუკი ადგილი აქვს ე.წ. „ნემსზე დასმას", როცა პირს აღკვეთილი აქვს თავისუფლება და იძულებით შეჰყავთ მის სხეულში ნარკოტიკული საშუალება, ქმედება სსკ 272-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან ამ დროსაც მსხვერპლის ნება პარალიზებულია და იგი ვერ ჩაითვლება დაყოლიებულად. აქ ნარკოტიკის მოხმარება არაა მის ფსიქიკაზე ზემოქმედების (დაყოლიების) შედეგი. ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით: თავისუფლების უკანონო აღკვეთით (სსკ 143-ე მ.), ასევე იძულებით (150-ე მ.) და ნარკოტიკული საშუალების გასაღებით (260-ე მ.). თუ დაყოლიების ხერხად გამოყენებულია ისეთი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლის ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, საქმე გვაქვს ასევე რეალურ ერთობლიობასთან და პირის ქმედება დამატებით დაკვალიფიცირდება სსკ 117-ე ან 118-ე მუხლებით.

სსკ 272-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულის შემადგენლობა დამთავრებულია** არა დაყოლიებისაკენ მიმართული ქმედების

[47] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, ნარკოტიკული დანაშაული, (მე-2 გამოცემა), თბ. 2004, გვ. 111-114

ჩადენისას ან თუნდაც მაშინ,როცა დაზარალებულს გაუჩნდა სურვილი ამ ნივთიერების მიღებისა, **არამედ, მაშინ** როცა დაზარალებული დაჰყვება დამყოლიებლის ნებას და მიიღებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას ან მის ანალოგს. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენჯერ ან რა დოზით მიიღებს პირი ამ ნივთიერებას.

ამიტომ, როცა პირი შეეცდება სხვის დაყოლიებას ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებაზე, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს,ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ მე-19, 272-ე მუხლით (მცდელობა). მართალია, სახეზეა ფორმალური დანაშაული, მაგრამ რადგან იგი არის ორაქტიანი, შესაძლებელია სახეზე იყოს მცდელობა.

როცა პირი დაიყოლიებს სხვა პირს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარებაში და,ამავე დროს,ასაღებს მასზე ამ ნივთიერებას, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

სსკ 272-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიებისათვის. რაც შეეხება სხვა სახის სამკურნალწამლო ან გამაბრუებელ საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში პირის ჩაბმას, ასეთი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სადაც მსხვერპლად გვევლინება მხოლოდ არასრულწლოვანი,ე.ი. 18 წელს მიუღწეველი პირი.

სსკ 272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი არის ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს კვალიფიკაციისათვის. იგი შეიძლება იყოს შურისძიება, ანგარება, შური და სხვ. ისინი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნისას.

ხოლო მიზანი არის ის, რომ პირი გახდეს ნარკოტიკების მომხმარებელი. ასევე დამნაშავეს შეიძლება ამოძრავებდეს დაზარალებულის ნარკომანად ქცევის მიზანი. თუმცა გამორიცხული არაა სხვა პირადი მიზნებიც.

ბრალის ფორმის მიხედვით ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ე.ი. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იყოლიებს სხვა პირს (ვინც არაა მომხმარებელი) ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო მოხმარე-

ბაზე და სურს ეს.

272-ე მუხლის მე-2 ნაწილით მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის. ამ დამამძიმებელი გარემოების ძირითადი არსი ჩვენ მიერ განხილულია სსკ 260-ე მუხლის ანალიზისას. არაერთგზის შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ერთი, ისე სხვადასხვა პირის დაყოლიება, თუ პირი ნასამართლევია პირველად ჩადენილი დაყოლიებისათვის და ნასამართლობა არაა მოხსნილი ან გაქარწყლებული.

რაც შეეხება იმავე **ქმედებას, ჩადენილს ორი ან მეტი პირის მიმართ,** ეს დამამძიმებელი გარემოება ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებულია 272-ე მუხლის მე-3 ნაწილით. აქ დამნაშავეს ორი ან მეტი პირის დაყოლიების განზრახვა წარმოეშობა ერთდროულად და, რაც მთავარია, დაყოლიებას სჩადის ერთიანი განზრახვით. მოქმედებებიც, როგორც წესი, ერთდროულად ან დროის მცირე მონაკვეთის დაშორებით ხდება. ამასთანავე, ისე როგორც 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისას, აქაც მნიშვნელობა არა აქვს, თუ მსხვერპლი რამდენჯერ მოიხმარს ამ ნივთიერებას. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რა რაოდენობის ნივთიერების უკანონო მოხმარებაში დაიყოლიეს პირი. ასევე 272-ე მუხლის კვალიფიკაციაზე არ ახდენს ზეგავლენას, თუ რა შედეგი მოჰყვა ამგვარ დაყოლიებას.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით თუ პირის დაყოლიებას გაუფრთხილებლობით შედეგად მოჰყვა მსხვერპლის სიკვდილი, ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 272-ე და 116-ე ან 124-ე მუხლებით.

იგივე **ქმედება ჩადენილია არასრულწლოვნის მიმართ** მაშინ, როცა პირი ნინასნარი შეცნობით 18 წელს მიუღწეველ პირს დაიყოლიებს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოხმარებაზე. აქ მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი, რომ დაზარალებული არაა სრულწლოვანი, მისი პიროვნება ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ამდენად, შედარებით ადვილია ასეთი პირის დაყოლიება და, რაც მთავარია, 272-ე მუხლში მითითებულ ნივთიერებას მის სხეულებრივ და მორალურ ჯანმრთელობაზე გაცილებით მეტი ხარისხის უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

მოქმედი კანონმდებლობით მაკვალიფიცირებელ გარემოებად არაა მიჩნეული იმ პირის დაყოლიება,ვისაც თავისი ავადმყოფური მდგომარეობის გამო არ ჰქონდა უნარი, გაეცნობიერებინა, თუ რა ქმედებაში იყოლიებდნენ მას, ანდა არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია დამნაშავის ქმედებისათვის. ამდენად, უმწეო მდგომარეობაში მყოფი

პირის დაყოლიება (გარდა არასრულწლოვანისა) დაკვალიფიცირდება 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა,შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება (მუხლი 273-ე).

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია არა მოსახლეობის (ე.ი. განუსაზღვრელ პირთა წრის), არამედ კონკრეტული პირის ფიზიკური და ზნეობრივი ჯანმრთელობა. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეუწონელია ამგვარი ხელოვნურად შექმნილი დანაშაულების არსებობა სს კოდექსში).

დანაშაულის საგანია მცირე ოდენობის ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი. (უკანონო დამზადების, შეძენის ან შენახვისას). ხოლო ამ ნივთიერებები უკანონო მოხმარებისას ოდენობას არა აქვს მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, **დანაშაულის საგანს არ წარმოადგენს** ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება. მართლაც, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება შეუძლებელია იყოს ამ დანაშაულის საგანი, რადგან, როგორც ეს სსკ 260-ე მუხლის განმარტებისას აღინიშნა, ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ნებისმიერ ოდენობაზე (260-ე მ-ის შენიშვნის მე-4 ნაწ.). რაც შეეხება სპეც კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ნივთიერებას, რომელიც არაა ნახსენები სსკ 273-ე მუხლში, მათი მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა პირადი მოხმარების მიზნით, ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება საერთოდ არ გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა განპირობებულია იმით, რომ ფსიქოტროპული ნივთიერების, მათი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების საშიშროება ნაკლებია, ვიდრე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორისა. თანაც, ამ ნივთიერებების უკანონო მოხმარება ნაკლებადაა გავრცელებული.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება:

ა) ნარკოტიკული ნივთიერების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის

მცირე ოდენობით უკანონო დამზადებაში, შეძენაში ან შენახვაში პირადი მოხმარების მიზნით; ანდა

ბ) ექიმის დანიშნულების გარეშე მათ (აქ უკვე არაა აქვს მნიშვნელობა ოდენობას) უკანონო მოხმარებაში, თუკი პირს ასეთი ქმედებისათვის დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი. ან ნასამართლევი იყო ამ დანაშაულისათვის. (273-ე მუხლი) და ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული.

ამდენად, სსკ 273-ე მუხლის გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს **ადმინისტრაციული პრეიუდიცია, ან პირის ნასამართლობა** სსკ 273-ე მუხლით.

თუ რაში გამოიხატება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, უკვე განვიხილეთ სსკ 260-ე მუხლის ანალიზისას.

პირადი მოხმარებისათვის ამ ნივთიერებათა უკანონო დამზადებას, შეძენას ან შენახვას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირის მიზანია მათი მიღება (შეყვანა საკუთარ ორგანიზმში) სხვადასხვა გზით: ინექციის საშუალებით, აბებისა თუ ფხვნილის დალევით, ჩასუნთქვით.

დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი მცირე ოდენობით უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე დაამზადებს, შეიძენს ან შეინახავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას პირადი მოხმარების მიზნით (ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში).

როგორც ვხედავთ, ამ ნორმის ობიექტური მხარე არ გულისხმობს მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებას. ამიტომ **თუკი ადგილი ექნება გასაღებას მცირე ოდენობით, საკითხავია, რა შეფასება უნდა მიეცეს ამ ქმედებას?** საქმე ისაა, რომ 2003 წლის 23 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებით „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის“ დამტკიცების შესახებ, ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობის ჩამონათვალი იწყება მცირე ოდენობით. კერძოდ, მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით მიჩნეულია მცირე ოდენობად და მასზე დაკისრებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი მე-4 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაწყისი. თუკი ეს ასეა, მაშ, რა ვუყოთ იმ შემთხვევას, როცა გასაღებულია მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება? გამოდის, რომ ასეთი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება ვერც სსკ 260-ე მუხლით

(რადგან მცირე ოდენობა არაა ამ დანაშაულის საგანი) და ვერც 273-ე მუხლით, რადგან მცირე ოდენობით ნარკოტიკის გასაღება აქ არაა გათვალისინწნებული ალტერნატიულ ქმედებად. თუკი მოცემულ შემთხვევაში უტყუარად დამტკიცდა, რომ ამ ნივთიერების გასაღებამდე პირი მას ინახავდა უკანონოდ, მაშინ შესაძლებელია სსკ 273-ე მ-ის გამოყენება (რა თქმა უნდა, სუბიექტის მიმართ დადგენილი სათანადო წინაპირობის არსებობისას). აშკარაა, რომ ეს საკითხი შემდგომ მოგვარებას საჭიროებს.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება ასევე 273-ე მუხლში ჩამოთვლილ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე ნებისმიერი ოდენობით უკანონო მოხმარებაში (ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ან ამ მუხლისათვის ნასამართლევის მიერ).

ამ შემთხვევაში პირი თავის ორგანიზმში შეიყვანს ნარკოტიკულ საშუალებას ან მის ანალოგს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით – ექიმის დანიშნულების გარეშე. ამასთანავე, მომხმარებელმა შეიძლება თვითონ შეიყვანოს თავის ორგანიზმში ეს ნივთიერებები ან მისი თანხმობით სხვა პირს შეაყვანინოს იგი. ამ დროს მისი დამხმარე პირის ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რადგან უკანონო მოხმარება, როგორც წესი (თუ სახეზე არაა პერსონალური ნიშნით განსაზღვრული შესაბამისი წინაპირობა), არ წარმოადგენს დანაშაულს. ვინაიდან სახეზე არაა დანაშაული, არც თანამონაწილეობაა სახეზე, რადგანაც თანამონაწილოება აქცესორული ბუნებისაა.[48]

ნარკოტიკული საშუალების მიღების (მოხმარების) ფაქტი დგინდება ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე. ეს გამოკვლევა უნდა ჩატარდეს იმ სტანდარტების დაცვით, რაც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

ნარკოტიკის ადამიანის ორგანიზმში შეყვანის შემდეგ ეს ნივთიერება საფრთხეს უკვე ველარ შეუქმნის სხვა პირებს, ანუ იგი აბსტრაქტულ საფრთხესაც კი კარგავს სხვა პირთა მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვე **სახეზე არაა ამ დანაშაულის საგანი.** აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა დიდი დოზა მოიხმაროს პირმა ექიმის დანიშნულების გარეშე, ამასთანავე რაც არ უნდა უტყუარი მტკიცებულე-

[48] თანამონაწილეობის იურიდიულ ბუნებაზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-2, თბ. 2007, გვ. 72-86; გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექ. თბ. 2016, (მე-2 გამოც.), გვ. 307-309; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 136-137

ბებით დაადგინეს ნარკოტიკის მოხმარებამდე მისი უკანონოდ შეძენის ფაქტი, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 260-ე მუხლით (უკანონო შეძენა). სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული ეს ქმედება (ნარკოტიკის მოხმარება) შთანთქავს 260—ე მუხლით გათვალისწინებულ ისეთ წინარე ქმედებებს, როგორიცაა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა (რა თქმა უნდა, იგულისხმება მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერება).

გამოდის, რომ ვილებთ შემდეგ ვითარებას: თუკი პირი მხილებულ იქნა სს-ვი პასუხისმგებლობისათვის საკმარისი ოდენობით ნარკოტიკის შენახვის (ან სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა ქმედების) ფაქტზე, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 260-ე მუხლით. **ვითარება შეიცვლება** უკეთუ მხილებამდე ამ პირმა მოასწრო ამ ნივთიერების საკუთარ ორგანიზმში (და არა სხვის ორგანიზმში) შეყვანა. ამ დროს იგი არ დაექვემდებარება სს-ივ პასუხისმგებლობას სსკ 260-ე მუხლით. იგი შეიძლება დაისაჯოს სსკ 273-ე მუხლით მაშინ, თუ სახეზე იყო ამ მუხლის სუბიექტისათვის აუცილებელი წინაპირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ ადმინისტრაციული წესით.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოხმარებისას არაა სავალდებულო, ეს ნივთიერება მომხმარებელმა თვითონვე დაამზადოს,შეიძინოს ან ინახავდეს მას უკანონოდ. პირმა შეიძლება უკანონოდ მოიხმაროს კანონიერად შეძენილი ნარკოტიკული საშუალება. **მაგალითად,** ოჯახში ინახება მძიმე ავადმყოფისათვის ექიმის დანიშნულებით შეძენილი ნარკოტიკული საშუალება, ხოლო ოჯახის ერთ-ერთი წევრი მას მოიხმარს უკანონოდ (რა თქმა უნდა, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ან თუ იგი ნასამართლევი იყო ამ დანაშაულისათვის და ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული). ამასთან არაა გამორიცხული, ერთი პირი ასრულებდეს სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარით გათვალისწინებულ ორივე ქმედებას. **მაგალითად,** პირმა თვითონ დაამზადა უკანონოდ მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება პირადი მოხმარებისათვის და შემდეგ ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა იგი. ასეთ შემთხვევაში მას ბრალად წარედგინება როგორც მცირე ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება პირადი მოხმარებისათვის (თუ ეს ფაქტი უტყუარად დამტკიცდა), ასევე მათი უკანონო მოხმარება ასეთივე ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ,მაგრამ ეს არ ნიშნავს კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით. ვინაიდან, სსკ 273-ე მუხლი არის ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია მაშინაც კი გამორიცხულია, როცა პირი კიდეც

ინახავს მცირე ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას და ამავე დროს იმყოფება ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშაც (ე.ი. ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა იგი).

სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულის ობიექტურ მხარეში არ შედის** ისეთი ქმედება, როგორიცაა: უკანონო წარმოება და გადაგზავნა, რაც სრულებით ბუნებრივია, რადგან მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისათვის ასეთი ქმედებები სრულებით არარეალურია. რაც შეეხება უკანონო გადაზიდვას,რადგანაც ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი მცირე ოდენობით ამ ნივთიერების სხვა დასახლებულ ქუნქტში გადატანისას თვითონაც იქ იმყოფება, ასეთი ქმედება შეფასდება არა როგორც უკანონო გადაზიდვა (260-ე მ.), არამედ როგორც უკანონო შენახვა (273-ე მ.).

დანაშაულის ამსრულებელი არის არა ნებისმიერი შერაცხადი,14 წელს მიღწეული პირი, არამედ ის, ვინც ადრე მიცემული იყო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ამავე ქმედებისათვის და ერთი წელი არაა გასული ამ პასუხისმგებლობიდან. ასევე ის პირი, ვინც უკვე ნასამართლევია სსკ 273-ე მუხლით და ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

მაგრამ ისმის კითხვა: რა დროისათვის არ უნდა ჰქონდეს მას მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა – განმეორებით ჩადენილი ქმედების დროს, თუ ამ განმეორებითი ქმედებისათვის საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვის? **მაგალითად,** პოლიციელებმა ამხილეს პირი მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის ფაქტზე. გაირკვა, რომ იგი ნასამართლევი ყოფილა სსკ 273-ე მუხლით და იხდიდა სასჯელს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სახით. ამდენად, ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა. სანამ ამ პირის მიმართ მიმდინარეობდა სს დევნა ამ ბოლო ფაქტზე, იგი შეიწყალა საქართველოს პრეზიდენტმა, გაათავისუფლა სსკ 273-ე მუხლით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან და ნასამართლობაც მოუხსნა.

შეიძლება თუ არა მის მიმართ სს დევნის გაგრძელება და განაჩენის გამოტანა სსკ 273-ე მუხლით?

ამ კითხვაზე პასუხი ასეთი უნდა იყოს: მართალია, ქმედების ჩადენის დროისათვის პირი იყო ნასამართლევი სსკ 273-ე მუხლით და ამდენად აკმაყოფილებდა სსკ 273-ე მუხლის სუბიექტის წინაპირობას, მაგრამ თუკი საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვის იგი უკვე ვერ აკმაყოფილებს სსკ 273-ე მუხლის სუბიექტის წინაპირობებს, შეუძლებელია, იგი ამ დანაშაულის სუბიექტად ჩაითვალოს და მის მიმართ დადგეს გამამტყუვნებელი განაჩენი ამ მუხლით, რადგან უკვე სახეზე

არაა სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ სულისკვეთებას, რომლის მიხედვითაც, როცა სს კანონი იცვლება პირის სასარგებლოდ (მოხდა ქმედების დეკრიმინალიზაცია, ან შემსუბუქდა სასჯელი), მას აქვს უკუძალა მაშინაც კი როცა განაჩენი უკვე გამოტანილია (სსკ მე-3 მუხ.).

აქედან გამომდინარე, **საკითხი უნდა დადგეს ასეთნაირად**: თუკი სს კანონის პირის სასარგებლოდ შეცვლის შემთხვევაში, საკითხი წყდება პირის სასარგებლოდ (ანუ არ მოქმედებს ქმედების ჩადენისას მოქმედი კანონი), რატომ არ უნდა გადაწყდეს ასევე პირის სასარგებლოდ ისეთი ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევა, როცა საქმე ეხება მისი ნასამართლობის საკითხს (და არა ქმედების დანაშაულებრიობის ან სასჯელის საკითხს)?

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: უკეთუ ზემოთხსენებულ მაგალითში ნასამართლობა მოსხნილი პირი კვლავ რჩება ადმინისტრაციულსახდელდადებულად (ანუ ამ სახდელის დადების დღიდან არ გასულა ერთი წელი), მაშინ სრული საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ იგი მიეცეს სს-ივ პასუხისგებაში 273-ე მუხლით, როგორც ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი (და არა როგორც ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი), რადგან ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამ ქმედების ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის გამო ნასამართლობის ფაქტი არ წყვეტს პირის ადმინისტრაციულსახდელდადებულად ყოფნის სამართლებრივ რეჟიმს. ასევე ნასამართლობის მოხსნის ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ მას ასევე მოეხსნა ადმინისტრაციული სახდელიც, თუკი მისი დადებიდან არაა გასული ერთი წელი. ეს საკითხი სწორადაა გაგებული სასამართლო პრაქტიკაში.[49]

საკითხავია, თუ შეიძლება ამ დანაშაულის სუბიექტად ჩაითვალოს ის, ვინც ნასამართლევი არაა სსკ 273-ე მუხლით, მაგრამ ნასამართლევია სხვა უფრო საშიში ნარკოტიკული დანაშაულისათვის (მაგალითად, სსკ 260-ე მ.) და ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს?

მიუხედავად იმისა, რომ პირი ნასამართლევია გაცილებით მეტი საშიშროების მქონე ნარკოტიკული დანაშაულისათვის (ვიდრე ეს არის სსკ 273-ე მ.), იგი არ უნდა ჩაითვალოს სსკ 273-ე მუხლის სუბიექტად. ასეთი დასკვნა უნდა გაკეთდეს სს კოდექსში 273-ე მუხლის დანიშნულებისა და სასჯელის მიზნის საკითხის მხედველობაში მიღებით.

[49] იხ. 2014 წლის 28 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე №134აპ-14

კერძოდ, სს კოდექსში **273-ე მუხლის დანიშნულებაა** ის, რომ ნარკოტიკის მომხმარებელი თანდათან არ გახდეს ნარკოტიკული დანაშაულის ხელშემწყობი ან უფრო მეტი, ნარკოტიკის გამსაღებელი, რომელიც ხელყოფს სხვის სამართლებრივ სიკეთეს და ამდენად, სჩადის კლასიკურ (და არა ხელოვნურად შექმნილ) ნარკოტიკულ დანაშაულს. შესაბამისად, ამ მუხლის მიზანია, ხელი შეუშალოს პირს იმ გზაზე სვლაში, რაც მას მიიყვანს კარიბჭემდე, რასაც ჰქვია „ნარკობიზნესის ინდუსტრია“ (სხვა საკითხია, რამდენად აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად პირისათვის სს-ვი პასუხისმგებლობის დაწესება).

რაც შეეხება **სასჯელის მიზანს**, ეს საკითხიც გამოდგება დასმული პრობლემის გადაჭრაში. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, როცა სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი ჩაიდენს სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედებას (მაგალითად, მცირე ოდენობით დაამზადა ნარკოტიკული საშუალება პირადი მოხმარების მიზნით), ეს იმას ნიშნავს, რომ 260-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულმა **სასჯელმა შეასრულა თავისი მიზანი** – ეს პირი სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მიმართ **უკვე არ სჩადის ისეთ ქმედებას,** რაც ხელყოფს ან საფრთხეს უქმნის სხვის სამართლებრივ სიკეთეს (კლასიკური ნარკოტიკული დანაშაული). **სასჯელის მოხდის შემდეგ იგი სჩადის ქმედებას,** რაც ხელყოფს ან საფრთხეს უქმნის მხოლოდ მის საკუთარ სამართლებრივ სიკეთეს. სწორედ იმის გამო, რომ პირი ამ დროს მხოლოდ საკუთარ სამართლებრივ სიკეთეს უქმნის საფრთხეს, დღემდე სადავოა საკითხი სს კოდექსში 273-ე მუხლის არსებობის მიზანშეწონილების შესახებ. გამოდის, რომ პირმა შეიგნო სამართლებრივი ვალდებულება – არ უნდა ხელყოს სხვისი სამართლებრივი სიკეთე და ესაა აქ მთავარი. გამომდინარე აქედან, ის ფაქტი, რომ მან თავისი ქმედებით საფრთხე შეუქმნა საკუთარ სამართლებრივ სიკეთეს, უნდა შეფასდეს იმგვარად, როგორც ეს ფასდება მაშინ, როცა მოქალაქეს პირველად ამხილენ ამ ქმედების ჩადენაში – პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ ადმინისტარაციული წესით.

ამდენად, დასმული საკითხის გადაწყვეტისას ვერ გამოვიყენებთ ნორმის განმარტების „მცირედან დიდისკენ“ სვლის მეთოდს.[50]

საქართველოს პარლამენტმა 2007 წ. 3 ივლისს მიიღო კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, არის **ნარკოტიკუ-**

[50] ნორმის განმარტების სახეებზე იხ. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. თბ. 2016, (მეორე გამოცემა), გვ. 84-89

ლი საშუალების მომხმარებელი. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლებას აქვს გამამტყუვნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 ნლით ჩამოერთვას სხვადასხვა უფლებები, მათ შორის პასიური საარჩევნო უფლება (ე.ი. უფლება, იყოს არჩეული).

პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა როგორც სასჯელის სახე და არც როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება არაა მოცემული სსკ ზოგად ნაწილში (მე-40 მუხ). ამდენად, ალნიშნული კანონი წინააღმდეგობაში მოდის სსკ ზოგად ნანილთან (სს კოდექსის პირველი მუხლის პირველ ნანილთან), რაც გამართლებულად არ უნდა ჩაითვალოს.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა,ხოლო მიზანი არის ნარკოტიკების უკანონო მოხმარება.

ბრალის ფორმის მიხედვით განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: პირს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ ამზადებს, იძენს ან ინახავს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას მცირე ოდენობით და სურს ეს. ანდა გაცნობიერებული აქვს, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე, დადგენილი წესის დაუცველად მოიხმარს ამ ნივთიერებას.

იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება (მუხლი 274-ე).

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ მოქმედ სს კანონმდებლობაში (განსხვავებით ადრე მოქმედისაგან) არ არსებობს ნორმა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დანაშაულის ჩამდენი ნარკომანისათვის სასჯელთან ერთად იძულებითი მკურნალობის დანიშვნას სოციალური დაცვის ღონისძიების სახით. საქართველოში სამოცდაათიანი წლების მე-2 ნახევარში შემოღებულ იქნა კანონი, რომლის ძალითაც მოსამართლეს უფლება ჰქონდა, დანაშაულის ჩამდენი ნარკომანის მიმართ (თუკი ეს მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა თავად მას ან სხვა პირს) სასჯელთან ერთად დაენიშნა იძულებითი მკურნალობა, რასაც ეს პირი გაივლიდა სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში.

აქედან გამომდინარე, თუკი ეს ნარკომანი ამ სპეციალურ დაწესებულებაში ჯიუტად თავს აარიდებდა მკურნალობას, მას სს პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა სსკ 274-ე მუხლით.

ვინაიდან დღეის მდგომარეობით ეს კანონი გაუქმებულია, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 274-ე მუხლი არის სამართლებრივი „რუდიმენტი" სს კოდექსში და ამოსაღებია, როგორც უფუნქციო. სხვა საკითხია, რამდენად საჭიროა მისი არსებობა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის აღდგენა[51].

სადღეისოდ ნარკომანთა მკურნალობა შესაძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობით.

ნარკომანიით დაავადებულად ითვლება პირი, რომელსაც შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი აქვს დიაგნოზი „ნარკომანია". ნარკომანია არის დაავადება, რომელიც ხასიათდება ნარკოტიკული საშუალების მიღებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით მის მიმართ ჩამოყალიბებული ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულების გამო.

აქედან გამომდინარე, ყველა სამედიცინო დაწესებულებას არა აქვს უფლება, დაუდგინოს პირს დიაგნოზი „ნარკომანია". ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებამ, რომელსაც გააჩნია სათანადო ლიცენზია (ნებართვა). სახელმწიფო აფინანსებს ნარკომანიით დაავადებული პირის გამოკვლევასა და ექსპერტიზას, მის დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და სარეაბილიტაციო ღონისძიების ჩატარებას იმ პროგრამის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კანონით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ".

ნარკომანს ნარკოლოგიური დახმარება უნდა გაეწიოს შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში. მკურნალობა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ანონიმურად და რაც მთავარია, ნებაყოფლობით (და არა იძულებით).

ნარკომანიის დიაგნოზირებას ახდენს სამედიცინო დაწესებულება კომისიური წესით (არანაკლებ სამი ექიმ-ნარკოლოგის მონაწილეობით). ვინაიდან სადღეისოდ ნარკომანთა მკურნალობა მხოლოდ ნებაყოფლობითი და ანონიმურია, საინფორმაციო ბანკში შეიძლება გაიგზავნოს ინფორმაცია ოღონდ აუცილებლად პაციენტის პერსონალური მონაცემების გარეშე. ასეთი მონაცემები წარმოადგენს საექიმო საიდუმლოებას. ხოლო თავად ნარკომანისათვის ის წარმოადგენს პირად საიდუმლოებას.

ვინაიდან სსკ 274-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება შეუძლებელია (რადგან ნარკომანს იძულებით მკურნალობას ვერავინ დაუნიშნავს), ამდენად აზრს მოკლებულია ამ მუხლის შემადგენლობის განხილვა.

---

[51] ამ საკითხზე იხ. ა. გაბიანი, ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები, თბ. 2012, გვ. 182-187

თავი II

სატრანსპორტო დანაშაული

ზოგადი დებულებები

სატრანსპორტო დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე კარის (დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ) XXXIV თავი ეთმობა. ეს თავი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის. ტრანსპორტის მოძრაობა და ექსპლოატაცია სხვადასხვა ცნებებია. ორივე მათგანი რეგლამენტირებულია წინდახედულობის სპეციალური ნორმებით, რომელთა ერთი ნაწილი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ქმნის სამართლებრივ საფუძველს (მოძრაობის უსაფრთხოების წესი), ხოლო მეორე ნაწილი კი ტრანსპორტის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა თავებშიც (მაგალითად, დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, დანაშაული სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლოატაციის წესის შესახებ) გვხვდება ტრანსპორტთან დაკავშირებული დანაშაულები, რომლებიც ყოველთვის არაა დაკავშირებული ტრანსპორტის მიმართ დადგენილი წესის დარღვევასთან (მაგალითად, ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ამ დანაშაულთა ჩადენა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; მანქანის მართვის ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა სსკ-ის 400-ე მუხლი და სხვ). სატრანსპორტო დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც დაკავშირებულია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესებთან და ასევე ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ დანაშაულთა ნაწილი აქტიური მოქმედებითაა ჩადენილი (მაგალითად, სსკ 278-ე მ.). ზოგი მათგანის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (სსკ-ის 275-ე, 276-ე და ა.შ.). გვაქვს წმინდა უმოქმედობის დელიქტიც (სსკ 279-ე მუხლი გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება).

ობიექტური მხრივ ამ დანაშაულთა უმრავლესობისათვის აუცილებელია კანონში მითითებული შედეგის დადგომა. მაგალითად, სსკ-ის 275-ე და 276-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, თუ

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევამ შედეგად სულ მცირე, ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. თუ დადგა უფრო მსუბუქი შედეგი (მაგალითად, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, ან ქონებრივი ზიანი), სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და არა დანაშაული.

რადგან ზემოთხსენებულ შემთხვევაში სახეზეა შედეგიანი დანაშაულები, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

გვაქვს კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებიც. მაგალითად, **კონკრეტული საფრთხის დელიქტია** გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება (279-ე მ.) და ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა,რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა დასახლებულ უბანს (სსკ 280-ე მ-ის მეორე ნაწილი). ხოლო **აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია** ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა (280-ე მ-ის პირველი ნაწილი). სატრანსპორტო დანაშაულთა თავში არსებული ნორმების უმრავლესობა ბლანკეტურია. მუხლში ზოგადადაა მითითებული ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევაზე. კონკრეტული წესი კი სხადასხვა სპეციალურ კანონშია მოცემული (მაგალითად, სსკ-ის 276-ე მუხლში მოცემული ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესი განსაზღვრულია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს 1999 წლის 19 ივნისის კანონში).

სატრანსპორტო დანაშაულთა **სუბიექტი ხშირ შემთხვევაში სპეციალურია**; კერძოდ, მუშაკი, რომელიც ტრანსპორტის (იგულისხმება რკინიგზის,წყლის,საჰაერო და საბაგირო) მართვისა და ექსპლოატაციის პროცესში სხვადასხვა ფორმითაა ჩართული და ევალება ამ წესის დაცვა (მაგალითად,საჰაერო ტრანსპორტის დისპეჩერი,გემის კაპიტანი და სხვა; ასევე პირი, ვისაც ევალება სატრანსპორტო საშუალების ხარისხიანი რემონტი, ან ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გაშვება სსკ 277-ე მ; პირი, ვისაც ევალება მაგისტრალური მილსადენის მშენებლობა,ექსპლუატაცია, ან რემონტი სსკ 283-ე მ. და სხვა)).

თუმცა, **გვხვდება საერთო სუბიექტი**, მაგალითად, მართვის უფლების არმქონე პირი, სსკ-ის 276-ე, 278-ე (სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის გაუვარგისება), 281-ე (ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა), 282-ე მუხლებით (მატარებლის თვითნებური გაჩერება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას. სატრანსპორტო დანაშაულთა უმრავლესობა გაუფრთხილებელია (მაგ., რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა (მუხ.

275-ე); ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა (მუხ. 276-ე); სატრანსპორტო საშუალების უხარისხო რემონტი, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გაშვება (მუხ. 277-ე); სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციისათვის გაუვარგისება (მუხ. 278-ე); ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა (მუხ. 281-ე); მატარებლის თვითნებური გაჩერება (მუხ. 282-ე); მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხ. 283-ე).

იშვიათ შემთხვევაში სატრანსპორტო დანაშაულთა თავში გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაული განზრახია (გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება (მუხ. 279-ე).

სატრანსპორტო დანაშაულთა თავი ერთადერთია სისხლის სამართალის კოდექსში, სადაც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად (სსკ-ის 275-ე და 276-ე მუხლები) მიჩნეულია **მთვრალ მდგომარეობაში** დანაშაულის ჩადენა. ეს გასაგებიცაა, რადგან ნებისმიერი სახის (ალკოჰოლური იქნება ის, თუ ნარკოტიკული) და ნებისმიერ ხარისხის (მსუბუქი, საშუალო, თუ ძლიერი) სიმთვრალე ანელებს პირის რეაქციის უნარს და ასეთ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვა მომეტებული საფრთხის შემცველია.

რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა (მუხლი 275-ე)

განსახილველი ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეა ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი უშიშროება და ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანს წარმოადგენს მუხლში მითითებული ტრანსპორტის ერთ-ერთი სახე: რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტი.

275-ე მუხლში მითითებულ რკინიგზის ტრანსპორტში იგულისხმება ერთიან სარკინიგზო რელსებზე მოძრავი (გამონაკლისია საამქროს ან მაღაროს შიდა სამრეწველო დანიშნულების ტრანსპორტი) ნებისმიერი შემადგენლობა (სამგზავრო ან სატვირთო, ან მეტროპოლიტენის მატარებელი და სხვ), საჰაერო ტრანსპორტში – სამოქალაქო ავიაცია (თვითმფრინავი,ვერტმფრენი და სხვა სახის საფრენი აპარატი). საზღვაო ტრანსპორტს მიეკუთვნება ყველა სახის გემი (გარდა არათვითმავალი გემის, წყლის ველოსი პედის, მოტორიანი და ნიჩბიანი ნავისა და

ა.შ), რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას სავაჭრო ნავსადგურში და შესაბამის ინსპექციაში. ასევე, სამდინარო ტრანსპორტი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ორი სახის ალტერნატიულ ქმედებაში: 1. მითითებული ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევაში; 2. ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესის დარღვევაში; 3. ასევე მძიმე შედეგში (სულ მცირე ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 4. მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის. ამდენად, სახეზეა **მატერიალური შემადგენლობა**.

უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა ხდება როგორც მოქმედებით,ასევე უმოქმედობით. სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის უსაფრთხოების, ან/და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესის დარღვევა და ასევე, კონკრეტული მოთხოვნების დაუცველად პირის დაშვება ტრანსპორტის სამართავად ან საექსპლოატაციოდ შეიძლება უმრავლეს შემთხვევაში განხორციელდეს მოქმედებით. **უმოქმედობის შემთხვევა** გვექნება მაშინ,როცა მოქმედების მავალდებულებელი ნორმატიული აქტის არსებობის მიუხედავად,დამნაშავე არ ასრულებს ამ წესს (მაგალითად,გაჩერებული მატარებელი არ დაამაგრა რკინის ბუნიკებით,რაც ევალებოდა). მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა სახეზეა მაშინ, როცა მემანქანე მატარებლით გაივლის წითელ შუქზე,ან მოძრაობს მომეტებული სიჩქარით, ან მოსახვევში არ შეანელებს სიჩქარეს (უმოქმედობა) და ა.შ. ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესის დარღვევად ჩაითვლება ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტით (მაგალითად,გაუმართავი თვითმფრინავით) მოძრაობა, დაშვებულზე მეტი წონის ტვირთის გადაზიდვა, სატვირთო ტრანსპორტის გამოყენება ადამიანთა მგზავრობისათვის (მაგალითად, ტვირთისათვის განკუთვნილი ვაგონის ღია მისაბმელების სამგზავროდ გამოყენება) და სხვ.

ნორმის ბლანკეტური ბუნებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით დადგენილ უნდა იქნეს, ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლოატაციის უსაფრთხოების რომელი სპეციალური წესი იქნა დარღვეული ან უგულებელყოფილი, რამაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია. ასევე, უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

იმის გამო, რომ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის სპეციალური წესები და ინსტრუქციები საკმაოდ მრავალრიცხოვანია და დარღვეული ან უგულებელყოფილი ნორმატიული აქტის მითითება,დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად სავალდებულოა – გარკვეული სირთულეები წარმოიშობა როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე საქმის სასამართლოში განხ-

ილვის დროს. ამ დროს საჭიროა სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტის განმარტება, რათა ექსპერტიზის დასკვნაში მოცემული დასკვნები სწორად იქნეს შეფასებული სასამართლოს მიერ კონკრეტული პირის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტისას. მაგალითად,იმის გასარკვევად,თუ რა სიჩქარით მოძრაობდა ეს ტრანსპორტი მოცემულ შემთხვევაში, აუცილებელია სპეციალური ცოდნა და ამდენად,საკმარისი არაა მხოლოდ მოწმეთა ჩვენება, არამედ საჭიროა სათანადო სატრანსპორტო ექსპერტიზის დასკვნა,რისი ობიექტურობაც საბოლოოდ უნდა შეაფასოს სასამართლომ.

სსკ-ის 275-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარის არსებობისათვის, **საჭიროა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა,** რომელიც სათანადო წესის დარღვევამ გამოიწვია. ეს შედეგია: ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება (პირველი ნაწ.), ანდა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (მესამე ნაწ.), ან ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (მეხუთე ნაწ.). დანაშაულის შემადგენლობის მატერიალური ბუნებიდან გამომდინარე,მხოლოდ ზემოთ დასახელებული ერთ-ერთი შედეგის დადგომის შემთხვევაში ამოქმედდება სისხლის სამართლის კანონი.

მითითებული შედეგის არარსებობის შემთხვევაში (ან მაშინ,როცა დადგა სხვა შედეგი ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება,ან ქონებრივი ზიანი) როგორც უკვე აღინიშნა, დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სსკ-ის 275-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის – ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანების დადგენა ხდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მეშვეობით. როგორც ყოველთვის, ექსპერტიზის დასკვნას სასამართლოსათვის არა აქვს წინასწარ დადგენილი მნიშვნელობა. თუ დასკვნა დაუსაბუთებელია, ან წინააღმდეგობრივია, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზა.

რაც შეეხება სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად **პირის სიცოცხლის მოსპობის ფაქტს და სიკვდილის მიზეზის დადგენას,** იგი შესაძლებელია გვამის სასამართლო სამედიცინო გამოკვლევით (პათანატომიური გამოკვლევით).

ნორმის ცალკე ნაწილებში (მეორე, მეოთხე, მეექვსე ნაწ.) მაკვალიფიცირებელ გარემოებად მითითებულია სიმთვრალეში ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევაზე, რასაც უფრო მკაცრი სისხლისსამართლებრივი სანქციები უკავშირდება. სიმთვრალეში იგულისხმება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობა. რაც შეეხება სიმთვრალის ხარისხს – ამაზე კანონმდებელი რაიმე დათქმას არ აკეთებს. მსუბუქი ხარისხის სიმთ-

ვრალე უკვე იძლევა დამამძიმებელი გარემოებით ქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობას.

ბრალის ფორმის მიხედვით დანაშაულის ჩადენა შეიძლება გაუფრთხილებლობით: თვითმიმდევნებით ან დაუდევრობით. **თვითმიმდევნების მაგალითია,** როცა მატარებლის მემანქანემ გააჩერა რა მატარებელი, არ დაამაგრა იგი რკინის ბუნიკებით, არამედ ბორბლებს შეუწყო დიდი ქვები იმის იმედით, რომ მატარებელი ვაკე ადგილასაა გაჩერებული და თვითონაც მალევე აპირებს დაბრუნებას და მოძრაობის განახლებას. მისი ეს ვარაუდი უსაფუძვლო აღმოჩნდა,რადგან გაჩერებულ მატარებელს გვერდიდან შემთხვევით შეეჯახა მოულოდნელად გამოჩენილი ბულდოზერი და მატარებელი უკან დააგორა, რამაც იმ პირის სიკვდილი გამოიწვია, რომელმაც ამ დროს რელსი გადაკვეთა.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მიზეზობრივი კავშირი მატარებლის მემანქანის უმოქმედობასა და შედეგს (მოქალაქის სიკვდილი) შორის, რადგან მემანქანეს მატარებელი რკინის ბუნიკით რომ დაემაგრებინა (და არა ქვებით), ბულდოზერის შეჯახებით იგი უკან არ დაგორდებოდა და ამჯერად ეს შედეგი არ დადგებოდა.

დაუდევრობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როცა ფიქრებში გართულმა მემანქანემ ვერ შენიშნა გამაფრთხილებელი წითელი შუქი და ამდენად, არ გააჩერა მატარებელი, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია.

საქართველოს სსკ-ის 275-ე მუხლით გათვალისწინებულის დანაშაულის **ამსრულებელი სპეციალური სუბიექტია**. კერძოდ ის, ვისაც სპეციალურად ევალება რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის

დაცვა იმის მიუხედავად, უშუალოდ მართავენ თუ არა ისინი აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას. ასეთ სპეციალურ სუბიექტთა წრეს ეკუთვნის ზემოთ დასახელებული სატრანსპორტო საშუალების მემანქანე, პილოტი, შტურმანი, დისპეტჩერი, გემის კაპიტანი და ა.შ.

თუ სსკ 275-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი გამოიწვია სხვა პირთა (რომელთაც არ ევალებათ ტრანსპორტზე დადგენილი წესის დაცვა) მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ (მაგალითად რკინიგზის ტრანსპორტის დაზიანებამ, ან რკინიგზის რელსების დაზიანებამ), მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 278-ე მუხლით.

როგორც ვხედავთ, სსკ 275-ე მუხლის **ამსრულებელთა წრე უფრო ფართოა, ვიდრე სსკ 276-ე მუხლისა**, სადაც ამსრულებელია მხოლოდ ის, ვინც მართავს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელი, აღნიშნული კატეგორიის და-

ნაშაულისათვის, როგორც წესი, არარეალურია. დანაშაულის რეალური სუბიექტები უმეტესად სრულწლოვანი ადამიანები არიან.

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა (მუხლი 276-ე)

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევა ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სატრანსპორტო დანაშაულს წარმოადგენს. ამ დანაშაულის საშიშროების მაღალი ხარისხი განპირობებულია ტრანსპორტის უსაფრთხო ფუნქციონირების წესების დაუცველობით, რის შედეგადაც ზიანდება ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი უშიშროება და ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დანაშაულის საგანს წარმოადგენს ავტომობილი, ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი,ტრაქტორი,მოტოციკლი ან სხვა მექანიკური ტრანსპორტი. სატრანსპორტო საშუალებებში მოიაზრება ტრანსპორტის რამდენიმე სახე: ნებისმიერი მგზავრების გადასაყვანი ან ტვირთის გადასაზიდი ავტომანქანა – მსუბუქი ან სატვირთო, ასევე, ავტობუსი, სახანძრო, სამედიცინო დახმარების მანქანები და ა.შ. სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს ეკუთვნის საქალაქო ტრანსპორტი,მოტოციკლეტები,თვითმავალი მანქანები. ასევე ავტონომიური ძრავით გადასაადგილებელი და ნებისმიერი ტექნიკური სატრანსპორტო საშუალებები.

დანაშაულის საგანს არ წარმოადგენს ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რასაც არა აქვს შიდა წვის ძრავა (მაგალითად ველოსი პედი). ამიტომ თუ ასეთი ტრანსპორტით მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია სხვისი ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება (ან უფრო მძიმე შედეგი), ქმედება დაკვალიფიცირდება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლით (მაგალითად, სსკ 116-ე მ-ით).

დანაშაულის სუბიექტი არის ის,ვინც მართავს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას ტრანსპორტის, ან მოცემული სახის ტრანსპორტის მართვის უფლება, ე.ი. **სახეზეა საერთო ამსრულებელი** (14 წლის ბრალუნარიანი პირი).

ამდენად, დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც ზის საჭესთან და

მართავს ა/მანქანას. აქედან არსებობს გამონაკლისი, როცა სახეზეა სპეციალური სასწავლო ა/მანქანა, რომლის საჭესთან ზის ის, ვინც სწავლობს მანქანის მართვას, ხოლო მას გვერდით უზის მასწავლებელი, რომელიც ასევე ფლობს სამუხრუჭე სისტემას (მაგრამ არა საჭეს) და ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების ზომები. მოცემულ შემთხვევაში სწორედ ეს მასწავლებელია ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის სამართლებრივი გარანტი. ასეთ შემთხვევაში, სსკ 276-ე მუხლის სუბიექტად შეიძლება მივიჩნიოთ სასწავლო ა/მანქანის მასწავლებელიც, თუ მას შეეძლო მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება, ან შექმნილი საფრთხის განეიტრალება.

განსახილველი **დანაშაულის მსხვერპლი** (დაზარალებული) არის სხვა ადამიანი და არა თავად ის ვინც ა/მანქანის მართვისას არღვევს მოძრაობის უსაფრთხოების ან ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესს. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, მძღოლმა თავისსავე მანქანაში მჯდომი პირი დააშავა, თუ ფეხით მოსიარულე, ან სხვა მანქანაში მჯდომი. არც იმასა აქვს მნიშვნელობა, დაშავებული მისი ახლო ნათესავია, თუ სხვა პირი. მთავარია, დაშავებული არაა თავად დამრღვევი მძღოლი.

თუკი სათანადო წესის დარღვევამ გამოიწვია მხოლოდ დამრღვევი მძღოლის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, იგი არ დაექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას,არამედ მიეცემა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში სათანადო წესების დარღვევისათვის.

განსახილველი **დანაშაულის ობიექტური მხარე** მოიცავს:

1. ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლოატაციის წესების დარღვევას; 2. მძიმე შედეგს, კერძოდ, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას (**პირველი** ნაწილი), ან მძიმე დაზიანებას (**მესამე** ნაწილი), ან ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას (**მეხუთე** ნაწილი), ანდა ორი მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას (**მეშვიდე** ნაწილი); 3. მიზეზობრივ კავშირს წესების დარღვევის ფაქტსა და დამდგარ შედეგს შორის. ისევე, როგორც სსკ-ის 275-ე მუხლი, 276-ე მუხლიც ბლანკეტური შინაარსისაა. ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესი მოწესრიგებულია საგზაო მოძრაობის წესებით, საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლოატაციის წესებით (საქართველოს 1999 წლის კანონი „საგზაო უსაფრთხოების წესების შესახებ“) და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

275-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწილებით მაკვალიფიცირებულ გარემოებადაა მიჩნეული თუ იგივე ქმედება ჩადენილია მთვრალ მდგომარეობაში. როგორც უკვე აღინიშნა,ამ შემთხვევაში კანონმდებელი დათქმას არ აკეთებს სიმთვრალის სახეზე და ხარისხზე.

სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს **როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით**. მოქმედების მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როცა მძღოლმა განავითარა გადაჭარბებული სიჩქარე, რის გამოც დააშავა მოქალაქე.

უმოქმედობის მაგალითად კი გამოდგება შემთხვევა, როცა მძღოლმა, რომელიც ნებადართული სიჩქარით მოძრაობდა, მოსახვევში არ შეანელა სიჩქარე, რის გამოც დააშავა მოქალაქე.

ხშირია შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენისას ადგილი აქვს შერეულ ქმედებას ე.ი მოქმედებასა და უმოქმედობას. მაგალითად,მძღოლმა გასწრება დაიწყო იქ, სადაც ეს არ შეიძლებოდა და ამავე დროს, ნებადაურთველი სიჩქარით შევიდა მოსახვევში,რის გამოც შეეჯახა შემხვედრ მანქანას და მასში მჯდომი პირი მძიმედ დააშავა. აკრძალულ ადგილას გასწრების დაწყება არის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა მოქმედებით. ხოლო მოსახვევში ნებადაურთველი სიჩქარით შესვლა კი ნიშნავს იმას,რომ მან არ შეანელა სვლა,რაც მოსახვევში აუცილებელია. ამდენად, აქ სახეზეა წესის დარღვევა უმოქმედობით.

არის შემთხვევა,როცა ძნელი სათქმელია,მოძრაობის უსაფრთხოების წესი მოქმედებითაა დარღვეული,თუ უმოქმედობით. მაგალითად,მძღოლმა გაიარა წითელ შუქზე, რის გამოც შეეჯახა ფეხით მოსიარულეს და ჯანმრთელობა ნაკლებად მძიმედ დაუზიანა. თითქოს აქ სადაო არაა, რომ სახეზეა უმოქმედობა, რადგან მძღოლი ვალდებული იყო გაეჩერებინა მანქანა წითელი შუქის ანთებისას, რაც არ გააკეთა, მაგრამ საკითხი შეიძლება სხვაგვარადც დაისვას. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში ავარიის მიზეზი არის ის, რომ მძღოლმა გადაკვეთა გამყოფი ხაზი და გააგრძელა სვლა, რის გამოც შეეჯახა მოქალაქეს. ხაზის გადაკვეთა და გზის გაგრძელება კი მოქმედებაა და არა უმოქმედობა და სწორედ ამან გამოიწვია მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

ამდენად,განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებაში გამოიხატა, თუ უმოქმედობაში, ეს საკითხი არაა ადვილი გადასაწყვეტი.

რაც შეეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის ან ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის **მიზეზობრივი კავშირის დადგენას** – აუცილებელია, რამდენადაც ზოგჯერ ეს საკითხი პრაქტიკაში არასწორი შეფასების საგანია.

კერძოდ, შედარებით ადვილად დგინდება მიზეზობრივი კავშირი

მძღოლის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების ან ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევასა და ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას შორის. მაგალითად,ავარიის შედეგად ა/მანქანაში მჯდომ მგზავრს ისე დაუზიანდა ცალი ფეხი,რომ საჭირო შეიქმნა მისი ამპუტაცია (შედეგი სახეზეა, იგი გამოიხატა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში). ანდა ამ მგზავრმა მიიღო წვრილი ძვლების დახურული მოტეხილობა (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება).

მაგრამ **პრობლემურია მიზეზობრივი კავშირის დადგენა** ქმედებასა და დამდგარ სიკვდილს შორის. ამ შემთხვევაში ზუსტად უნდა დაგინდეს, რომ თუ არა ეს სატრანსპორტო შემთხვევა, პირი ამჯერად არ გარდაიცვლებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეში აუცილებელია არსებობდეს გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის (პათოლოგ ანატომის) დასაბუთებული დასკვნა სიკვდილის მიზეზის შესახებ. ასეთი დასკვნის არარსებობისას მძღოლს ეს შედეგი (სიკვდილი) არ შეერაცხება მაშინაც კი, როცა მიზეზობრივი კავშირი სასიკვდილო შედეგსა და მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას შორის თითქოს უდაოა. მაგალითად, მძღოლი მოძრაობდა რა გადაჭარბებული სიჩქარით, შეეჯახა ბორდიურზე მდგარ მოქალაქეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

თუ მისი სიკვდილის მიზეზის შესახებ სათანადო გამოკვლევის შედეგი საქმეში არ დევს,მოწმეთა ჩვენებებით და მსხვერპლის უმოკლეს დროში გარდაცვალების ფაქტით ქმედებასა და სიკვდილს შორის მიზეზობრივ კავშირს ვერ დავადგენთ. ეს იმას ნიშნავს, რომ დამრღვევს სსკ 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილს ვერ შევრაცხავთ, თუმცა ამავე მუხლის მესამე ნაწილი შეიძლება შევრაცხოთ, თუ დადგენილია, რომ გარდაცვალებამდე მას აღენიშნებოდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება (მაგალითად, გატეხილი ჰქონდა თავის ქალა).

პრობლემა აქ შემდეგშია: ვერავინ გამორიცხავს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ მოცემულ შემთხვევაში სიკვდილი შესაძლოა სხვა მიზეზმა (მაგალითად,მოწამვლამ) გამოიწვია და არა თავის ქალის გატეხვამ. ამდენად, სასიკვდილო შედეგის შერაცხვისათვის აუცილებელია, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ შესწავლილი იყოს სიკვდილის მიზეზი და საქმეში მოი პოვებოდეს სათანადო დასაბუთებული დასკვნა.

თუ სასიკვდილო შედეგი დადგა **მიზეზობრივი კავშირის ატიპურად განვითარების შედეგად,** მაშინ ეს შედეგი მძღოლს არ შეერაცხება. მაგალითად, ავარიის შედეგად მძიმედ დაშავებული სასწრაფო დახმარების მუშაკებმა საკაცეზე დააწვინეს, რათა სასწრაფო დახმარების მანქანით წაეყვანათ საავადმყოფოში. სასწრაფო დახმარების მანქანა-

ში შეყვანისას სანიტრებს საკაცე ხელიდან გაუვარდათ, დაშავებულმა თავი დაარტყა ბეტონს, რის შედეგადაც გარდაიცვალა. ამჯერად სიკვდილის ავტორები არიან სანიტრები და არა მძღოლი, რადგან სანიტრების ქმედებამ (საკაცის ხელიდან გავარდნით ბეტონზე თავის დარტყმა) თუნდაც რამდენიმე საათით დააჩქარა ავარიისაგან დაშავებულის სიკვდილი. სანიტრებმა მოცემულ შემთხვევაში თავიანთი ქმედებით დააფუძნეს ახალი საფრთხე და რომ არა ეს ახალი საფრთხე, ამჯერად ეს შედეგი (სიკვდილი) არ დადგებოდა (სსკ მე-8 მ. მე-2 ნ.), თუმცა მოგვიანებით იგი შესაძლოა, მაინც დადგებოდა.[52]

დოქტრინაში არაა ერთიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, ეს შედეგი მძღოლისათვის ობიექტური შერაცხვის ეტაპზე უნდა გამოვრიცხოთ,თუ სუბიექტური შერაცხვის ეტაპზე.[53]

ამ რთული საკითხის განხილვა ჩვენი მიზანი არაა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ა) რომ არა მძღოლის მიერ სათანადო წესის დარღვევა, ეს შედეგი მოცემულ ვითარებაში არ დადგებოდა; ბ) მიზეზობრივი კავშირის ამგვარი განვითარება ატიპურია იმდენად, რამდენადაც ის უჩვეულოა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. ამიტომ წესების დამრღვევ მძღოლს არ ევალება და არც შეუძლია მისი გათვალისწინება. (ე.ი.საბოლოოდ, მაინც ბრალის გამორიცხვამდე მივდივართ).

თუ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოწვეულია **რამდენიმე სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით,** პასუხისმგებლობა მიზეზობრივი კავშირის დადგენის გზით წყდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოძრაობის უსაფრთხოების წესს არღვევს ორი მძღოლი, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი, სსკ 276-ე მუხლით პასუხს აგებს ის მძღოლი, რომლის ქმედებაც უშუალო კავშირშია ამ შედეგთან.

მაგალითად,ორი მძღოლი ტრასაზე ერთმანეთის მიყოლებით გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობს. უკან მიმავალმა მძღოლმა დაიწყო გასწრება გზის იმ მონაკვეთზე, სადაც ეს აკრძალული იყო. სანამ გასწრებას დაასრულებდა და თავის ზოლს დაუბრუნდებოდა, იგი შეეჯახა შემხვედრ მანქანას, რადგან ვერ მოასწრო თავის სამოძრაო ზოლში გადანაცვლება. ასეთი გადანაცვლება იმიტომ ვერ მოასწრო,

[52] ატიპურ მიზეზობრიობაზე, ანუ მიზეზობრივი კავშირის „განყვეტაზე" იხ.თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I, თბ. 2007, გვ. 253-262; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2016, გვ. 160; მ. ტურავა. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილბა, თბ. 2013, გვ. 116.

[53] ობიექტური შერაცხვის შესახებ იხ. . ქ. მჭედლიშვილი-ჰერიხი წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძრვანელო, თბ. 2016, მე-2 გამოცემა, გვ. 155-156; მ. ტურავა, დასახ. ნაშრ. გვ. 109-126.

რომ ის მანქანაც, რომელსაც იგი უსწრებდა, ასევე გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა. შეჯახების შედეგად შემხვედრი მანქანის მძღოლი მძიმედ დაშავდა.

მართალია, ამ შემთხვევაში ორივე მძღოლმა დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესი (წინ მიმავალი ჩქარა მოძრაობდა, ხოლო უკან მიმავალიც მოძრაობდა ჩქარა და ასევე დაარღვია გასწრების წესი). მაგრამ ეს შედეგი შეერაცხება იმ მძღოლს, რომლის ქმედებამ უშუალოდ გამოიწვია ავარია და მძიმე შედეგი. ესაა ის მძღოლი, რომელმაც დაარღვია გასწრების წესი და შეეჯახა შემხვედრ ა/მანქანას. მეორე მძღოლს მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება.

თუ მძღოლს არ დაურღვევია დადგენილი წესი, მაგრამ მძიმე შედეგი მაინც დადგა სხვა მიზეზის გამო, მას ასეთი შედეგი არ შეერაცხება.

მაგალითად, მძღოლი ტექნიკურად გამართული მანქანით მოძრაობს ნებადართული სიჩქარით და გზის ნებადართულ მონაკვეთზე. როცა მიუახლოვდა ბურდიურის იმ მონაკვეთს, სადაც მოქალაქე იდგა, ამ მოქალაქემ მოულოდნელად სირბილით დაიწყო ტრასის გადაკვეთა. მძღოლმა დროზე გააკეთა რეაქცია (მას ამისათვის რამდენიმე წამი აქვს) და დროზე გამოიყენა მუხრუჭი, მაგრამ ავარიის თავიდან აცილება ვერ შესძლო. კერძოდ, გვერდი გაჰკრა ამ მოქალაქეს, რომელმაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო.

სათანადო ექსპერტიზით დადგინდა, რომ მოცემულ შემთხვევაში მძღოლი ტექნიკურად ვერ შესძლებდა ამ შემთხვევის თავიდან აცილებას. ამიტომაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

ისმის კითხვა: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მძღოლის ქმედება, როცა მძიმე შედეგი არ დამდგარა მძღოლის ბრალეული ქმედებით (მას არანაირი წესი არ დაურღვევია), **მაგრამ მან დაშავებულს არ გაუწია დახმარება**, რომლის გაწევა შეეძლო (ე. ი. მიატოვა იგი)?

ამგვარი ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის **ჯერ უნდა გადაწყდეს საკითხი:** არის თუ არა მძღოლი ამ დროს სამართლებრივი გარანტი დაშავებულისათვის? სხვაგვარად რიმ ვთქვათ, შეიძინა თუ არა მან სამართლებრივი გარანტის ფუნქცია თავისი წინარე ქმედებით?

პირმა თავისი წინარე ქმედებით სამართლებრივი გარანტის ფუნქცია რომ შეიძინოს, ამისათვის საჭიროა: ა) მან თავისი წინარე ქმედებით საკუთარ თავზე აიღოს გარკვეული სოციალურად მნიშვნელოვანი ვალდებულება (დათანხმდა ბავშვის მოვლაზე; იკისრა მოხუცის გზაზე გადაყვანა, გახდა მაშველი და სხვა); ბ) ასევე თავისი წინარე (ოღონდ არაგანზრახი) ქმედებით ჩააგდო იგი სიცოცხლისათვის საშიშ მდგო-

მარეობაში.[54]

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევა (თავისი არაგანზრახი ქმედებით ჩააგდო სხვა პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში).

საკითხავია, ამ არაგანზრახ ქმედებაში **არაბრალეული ქმედებაც თუ იგულისხმება?**

პასუხი, როგორც წესი, უნდა იყოს ცალსახა: არა.

მძღოლმა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია რომ შეიძინოს, ამისათვის საჭიროა რამდენიმე წინა პირობის არსებობა: ა) მძღოლმა თავისი ქმედებით (მაგალითად, ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევით – გაუმართავი ტრანსპორტით მოძრაობით) სხვისთვის უნდა შექმნას სამართლებრივად დასაძრახი რისკი; ბ) ეს რისკი უნდა გადაიზარდოს მართლსაწინააღმდეგო შედეგში (ამჟამად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში).

ვინაიდან ა/მანქანით მოძრაობა კანონით დაშვებული ქმედებაა (თუმცა იგი რისკის მატარებელია), ამდენად, მძღოლის ქმედება (მანქანით მოძრაობა სათანადო წესის სრული დაცვით) არ ქმნის სამართლებრივად დასაძრახ რისკს (სახეზეა ე.წ. სოციალურად ტოლერანტული რისკი). გამომდინარე აქედან, სახეზე არაა წინარე ქმედებით სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შეძენისათვის საჭირო აუცილებელი პირველი პირობა, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ რის სამართლებრივი გარანტი.[55]

ამდენად,ასეთ ვითარებაში მძღოლს **პასუხისმგებლობა არ დაეკისრება** სსკ 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (განსაცდელში მიტოვება). მას **პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ** სოლიდარული (მოქალაქეობრივი) მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, ანუ დაუხმარებლობისათვის (სსკ 129 მუხლი).

ამდენად, სწორად უნდა ჩაითვალოს დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ადამიანი, რომელიც წინდახედულების ნორმას დაარღვევს და ამგვარად თავს თავად ჩაიყენებს საფრთხეში (როგორც ეს გააკეთა ზემოთხსენებულმა ქვეითად მოსიარულემ), დახმარებას მხოლოდ ზოგადადამიანური სოლიდარული მოვალეობის საფუძველზე

---

[54] სამართლებრივი გარანტის საკითხზე იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნანილი, სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, თბ. 2016, გვ. 137-148

[55] ეს საკითხი ლიტერატურაში სადაოა. განსხვავებული მოსაზრებების შესახებ იხ. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ. 1969, გვ. 307-308; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნანილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 324-325

იმსახურებს.[56]

აქედან არსებობს გამონაკლისიც. ეს ის შემთხვევაა, როცა მძღოლმა ავარია ვერ აიცილა იმის გამო, რომ მისი მანქანის რომელიმე დეტალი მოულოდნელად გამოვიდა მწყობრიდან.

მაგალითად, მძღოლი გამართული მანქანით მოძრაობს ყველა წესის დაცვით. როცა მიუახლოვდა ბორდიურის იმ მონაკვეთს, სადაც მოქალაქე იდგა, ამ მოქალაქემ მოულოდნელად სირბილით დაიწყო ქუჩის გადაკვეთა. მძღოლმა დროულად გააკეთა რეაქცია და გამოიყენა მუხრუჭი, მაგრამ მუხრუჭი უცაბედად გამოვიდა მწყობრიდან დ ავერ შესძლო შეჯახების თავიდან აცილება, რადგან ვერ გააჩერა მანქანა. შედეგად მოქალაქეს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდა.

დადგინდა, რომ მუხრუჭი მწყობრიდან რომ არ გამოსულიყო, იგი ამ შემთხვევას აიცილებდა – მოქალაქეზე შეჯახებამდე გააჩერებდა მანქანას და არანაირი მძიმე შედეგი არ დადგებოდა.

ამ შემთხვევაშიც მძღოლის ბრალი არაა ის, რომ მოქალაქემ თავისი თავი მისი უხეში გაუფრთხილებლობით საფრთხეში ჩაიგდო (სირბილით გადაკვეთა გზა ნებადაურთველ ადგილას), ასევე არც ისაა მისი ბრალი, რომ მოულოდნელად მუხრუჭი მწყობრიდან გამოვიდა. მაგრამ **საქმე აქ სხვა ვითარებასთან გვაქვს**. კერძოდ, საქმე ისაა, რომ მწყობრიდან გამოსული ა/მანქანა ამ მძღოლს ეკუთვნის და მის მოულოდნელად მწყობრიდან გამოსვლით დამდგარ შედეგზე მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. ამდენად, ასეთ შემთხვევაში მძღოლს წარმოეშობა სამართლებრივი გარანტის მოვალეობა და თუკი დახმარების გარეშე დატოვებს დაშავებულს, განსხვავებით ზემოთ განხილული შემთხვევისაგან, პასუხს აგებს სსკ 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება).[57]

ბრალის ფორმის მიხედვით სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გაუფრთხილებელია. ის შეიძლება განხორციელდეს თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

თვითიმედოვნების მაგალითია, როცა მძღოლი მოძრაობისას არ იცავს მანქანებს შორის დადგენილ დისტანციას იმის იმედით, რომ თუკი წინა მანქანა მოულოდნელად დაამუხრუჭებს, იგი როგორც გამოცდილი მძღოლი სასწრაფოდ შესძლებს მანევრირებას. კერძოდ,

---

[56] Bauman/Weber/Mitsch,AT$15/Rn,66ff; LK-Jescheck,$13/Rn,33 და სხვები. ამ ავტორთა შესახებ ციტირება აღებულია ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის ნაშრომიდან: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 325-ე გვერდის სქოლიო

[57] ანალოგიურადაა გადაწყვეტილი საკითხი სამოქალაქო სამართალშიც, როცა მოქალაქის ცხოველი დააზიანებს სხვას თუნდაც ამ ცხიველის პატრონის ბრალის გარეშე. მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს ცხოველის პატრონმა

გვერდს აუქცევს ამ მანქანას და სხვა ზოლზე გადაინაცვლებს. მას იმედმა უმტყუვნა და როცა წინ მიმავალმა მანქანამ მოულოდნელად მკვეთრად დაამუხრუჭა, უკან მიმავალმა მძღოლმა ვერ შესძლო მანევრირება და შეეჯახა ა/ მანქანას, რის შედეგადაც მასში მჯდომ მოქალაქეს ჯანმრთელობა ნაკლებად მძიმედ დაუზიანდა.

დაუდევრობის მაგალითად გამოდგება იგივე შემთხვევა,როცა მძღოლი გართულია მუსიკის მოსმენით (ან გვერდით მჯდომთან საუბრით) და ვერ ამჩნევს, რომ არ იცავს მანქანებს შორის დადგენილ დისტანციას (წინ მიმავალ მანქანასთან მიბჯენით მოძრაობს). მოულოდნელად წინა მანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭა, ხოლო უკან მომავალმა მძღოლმა ვერ შესძლო შეჯახების თავიდან აცილება, რადგან არ ჰქონდა დაცული მანქანებს შორის დისტანციის დადგენილი ნესი. შეჯახებამ კი გამოიწვია ერთ-ერთ მანქანაში მჯდომი პირის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

განსახილველი დანაშაულის (ისევე, როგორც სსკ 275-ე მ.) განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ თავად დადგენილი წესის დარღვევა შეიძლება განხორციელდეს განზრახაც (მძღოლი ხედავს წითელ შუქს, მაგრამ მაინც აგრძელებს მოძრაობას), მაგრამ **ამ შემთხვევაში სახეზეა განზრახ ჩადენილი ადმინისტრაციული გადაცდომა** და არა დანაშაული. ეს ქმედება სისხლის სამართლის წესით მაშინ იწვევს პასუხისმგებლობას, თუ მან გამოიწვია სსკ 276-ე მუხლში მითითებული ერთ-ერთი შედეგი (სულ მცირე, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება). ხოლო ამ შედეგის მიმართ მძღოლს აკავშირებს გაუფრთხილებლობითი (კერძოდ, თვითიმედოვნებითი) დამოკიდებულება. ამდენად, სსკ 275-ე და 276-ე მუხლები **არ წარმოადგენს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობებს** (სსკ მე-11 მ-ის პირვ. ნაწ.), რომელი შემადგენლობებიც მიუხედავად იმისა, რომ თანამდევი შედეგი დგება გაუფრთხილებლობით, მაინც წარმოადგენს განზრახ დანაშაულს, რადგანაც ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ორი დასრულებული დანაშაულის სინთეზსს, საიდანაც პირველი დანაშაული განზრახია.[58]

აქვე შევნიშნავთ, რომ **არაა გამორიცხული**, ტრანსპორტის მოძრაობის წესის დარღვევას სხვისი სიცოცხლის მოსპობა მოჰყვეს არა მარტო გაუფრთხილებლობით, არამედ ა **არაპირდაპირი განზრახვითაც**. როცა მძღოლი არღვევს მოძრაობის წესს და არავითარ კონკრეტულ გარემოებაზე დაყრდნობით არ იმედოვნებს მძიმე შედეგის თა-

[58] თანამდევი შედეგით კვალიფიციერბულ შემადგენლობაზე იხ. გ. ნაჭყებია ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნანილი, სახელმძღვანელო, ავტ კოლ. თბ. 2016, მე-2 გამოცემა, გვ. 259-261; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 263-265

ვიდან აცილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არაა დარწმუნებული, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგს თავიდან აიცილებს. თუ მძღოლის მიერ წესის ამგვარ დარღვევას მოჰყვა მართსაწინააღმდეგო შედეგი (მაგ., სხვისი სიკვდილი), მან პასუხი უნდა აგოს არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისათვის (სსკ 108 მუხლი) და არა სსკ 276-ე მუხლით.

მაგალითად, ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში მყოფი პირი მიუჯდა საჭეს და დღისით, როცა ქუჩაში ხალხი მოძრაობდა, ქალაქის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში არანორმალური სიჩქარით დაიწყო მოძრაობა. მან ამ ქუჩას რამდენიმე წრე შემოავლო. იგი არ ერიდებოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ქუჩას კვეთდნენ. შეშინებული ხალხი გაქცევით შველოდა თავს. ბოლო წრეზე როცა მიდიოდა, მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და ავარდა ბორდიურზე, სადაც შეეჯახა მოქალაქეს, რომელიც მიყენებული მძიმე ტრავმისაგან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

მოცემულ ვითარებაში აზრს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ ეს მძღოლი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება (ნარკოტიკის ზეგავლენის ქვეშ მყოფი, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში არანორმალური სიჩქარით მოძრაობს), ვინმეზე ან რამეზე ამყარებდა იმედს და დარწმუნებული იყო, რომ მძიმე შედეგს თავიდან აიცილებდა.

მას მოცემულ ვითარებაში გაცნობიერებული აქვს რა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს კიდეც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და, მართალია, ამ შედეგის დადგომის სურვილი არა აქვს, მაგრამ გულგრილობას იჩენს მისი დადგომის მიმართ.

მისი მიზანია, დაიკმაყოფილოს „ქროლვის" აზარტული ჟინი და არაფრად აგდებს ადამიანთა სიცოცხლეს, არც კი ერიდება იმათ, ვინც კვეთს ქუჩას.

სამწუხაროდ,სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ მსგავსი ქმედების მძიმე შედეგებს გაუფრთხილებლობად აფასებს (სსკ 276-ე მ.), რაც არასწორია[59].

პრობლემურია საკითხი, როგორ უნდა შეფასდეს წესის დამრღვევი **მძღოლის ქმედება, როცა იგი დახმარების გარეშე ტოვებს ავარიისაგან დაზარალებულს?**

როცა სათანადო წესის დარღვევამ გამოიწვია პირის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება,ხოლო მძღოლმა დახმარების გარეშე მიატოვა იგი და გაიქცა,ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ სსკ

[59] ო. გამყრელიძე,სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება,თბ.,2005,გვ. 120-121.

276-ე მუხლის პირველი (ან მეორე) ნაწილით. ამ დროს დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება) დაუშვებელია, რადგან განსაცდელში მიტოვება გულისხმობს დაუხმარებლად იმის მიტოვებას, ვინც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. **ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება კი არაა საშიში სიცოცხლისათვის**. დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის საკითხი დგება მაშინ, როცა მძღოლის გაუფრთხილებელი ქმედება გამოიწვევს სხვა პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას (რადგან იგი საშიშია სიცოცხლისათვის) და იგი მიატოვებს დაშავებულს.

განვიხილოთ ეს საკითხი **რამდენიმე ვარიანტში**:

1. მძღოლმა თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააშავა რა მოქალაქე, მიატოვა იგი დახმარების გარეშე და წავიდა, რადგან შეეშინდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (ან დაშავებულის ნათესავების მხრიდან ანგარიშსწორების). ამავე დროს **იმედი დაამყარა** შემთხვევის ადგილას მყოფ ხალხზე, რომ ისინი მიეშველებოდნენ მას. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა. კერძოდ, სსკ 276-ე მუხლის მესამე ნაწილი (რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და განსაცდელში მიტოვება (სსკ 128-ე მ.), რადგან მძღოლმა თავისი წინარე ქმედებით (თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააშავა პირი) შეიძინა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია. მას გაცნობიერებული აქვს, რომ პირი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, ასევე ის, რომ მას აკისრია გარანტის ფუნქცია და ისიც, რომ დახმარება მისი შესაძლებლობის ფარგლებშია -შეუძლია ჩაისვას მანქანაში და წაიყვანოს საავადმყოფოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას არა აქვს მნიშვნელობა იმის გარკვევას, სინამდვილეში (რეალურად) შესძლებდა თუ არა სამართლებრივი გარანტი დაშავებულის გადარჩენას.[60]

რაც შეეხება მოსალოდნელ მძიმე შედეგს სიკვდილს, (რომელიც სსკ 128-ე მუხლის შემადგენლობის გარეთაა), მის მიმართ მძღოლს ამ შემთხვევაში ამოძრავებს გაუფრთხილებლობა. კერძოდ, თვითმედოვნება, რადგან იმედს ამყარებს იქ მყოფ ხალხზე.

მოცემულ სიტუაციაში ქმედების სსკ 128-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, გადარჩა თუ არა დაშავებული. ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოს სსკ 276-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით (მესამე, თუ მეხუთე ნაწილი) ქმედების კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, თუ დაშავებული მიუხედავად მძღოლის დაუხმარებლობისა, მაინც გადაარჩინეს, მძღოლის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 276-ე

[60] იხ. გ. მამულაშვილი წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 186

მუხლის **მე-3 ნაწილისა** და სსკ 128-ე მუხლების ერთობლიობით. ხოლო თუკი მიყენებული დაზიანების გამო დაშავებული გარდაიცვალა, მძღოლის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 276-ე მუხლის **მე-5 ნაწილითა** და 128-ე მუხლების ერთობლიობით.

2. მძღოლმა თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააშავა რა მოქალაქე, მიატოვა იგი დახმარების გარეშე და წავიდა, რადგან შეეშინდა პასუხისმგებლობის (ან დაშავებულის ნათესავთა მხრიდან ანგარიშსწორების). ამავე დროს **იმედს არაფერზე და არავისზე არ ამყარებდა**. ანუ იგი უშვებდა, მიყენებული დაზიანებისაგან მძიმედ დაშავებულის გარდაცვალების შესაძლებლობას.

მოცემულ ვითარებაში ქმედების **კვალიფიკაცია არ იცვლება** (სსკ 276-ე მუხლის მესამე ნაწ. და 128-ე მუხლი), რადგან განსაცდელში მიტოვებისას სამართლებრივ გარანტს მოსალოდნელ შედეგთან სიკვდილთან (რომელიც სსკ 128-ე მუხლის გარეთაა), შესაძლოა აკავშირებდეს არა მარტო გაუფრთხილებლობა, არამედ არაპირდაპირი განზრახვაც. ამ შემთხვევაშიც ქმედების სსკ 128-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის ასევე არა აქვს მნიშვნელობა იმას, გადარჩა თუ არა დაშავებული. აქაც ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სსკ 276-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით (მესამე, თუ მეხუთე ნაწ.) კვალიფიკაციისათვის.

3. მძღოლმა თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააშავა რა მოქალაქე, მივიდა მასთან დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ მოულოდნელად მასში შეიცნო მისი მტერი, რომლის მოკვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. მას გაუხარდა, რომ იგი მძიმედ დაშავებული ნახა და შეგნებულად მიატოვა დახმარების გარეშე,თუმცა მისი საავადმყოფოში წაყვანა უპრობლემოდ შეეძლო. როგორც ვხედავთ,აქ მოსალოდნელი შედეგის (სიკვდილის) მიმართ მძღოლს ამოძრავებს პირდაპირი განზრახვა, რაც გამორიცხავს მისი ქმედების კვალიფიკაციას სსკ 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება).[61]

ეს შემთხვევა სსკ 276-ე მუხლის მე-3 ნაწილთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 19, 108 მუხლით როგორც უმოქმედობით ჩადენილი მარტივი მკვლელობის მცდელობა (და არა წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობის მცდელობა 19, 109 მ.). რატომ? **პასუხი ასეთი უნდა იყოს:**

---

[61] ბრალის საკითხზე საფრთხის დელიქტში იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4 გვ. 216-220. მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტში, თბ. 1982, გვ. 12-41; გ. მამულაშვილი წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გვ. 171-182; თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 142-158.

ა) რადგან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვლება იმდენად, რამდენადაც ამ დროს მკვლელი სარგებლობს პირის უმწეობით. კერძოდ იმით, რომ მსხვერპლს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის გამო და თავისი ქმედებით იწვევს ან აჩქარებს მის სიკვდილს. **მაგალითად**, პეტრემ დანის გამოყენებით მოკლა ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი, რომელიც მართალია, მაინც მალე გარდაიცვლებოდა, მაგრამ არა ამჯერად. **ანდა:** ზემოთხსენებულმა მძღოლმა დაშავებულში ამოიცნო რა მისი მტერი, იარაღის გამოყენებით მოკლა იგი შემთხვევის ადგილზე. ამდენად. ამ დამამძიმებელი გარემოების გამოყენებისათვის აუცილებელია, მკვლელმა მსხვერპლის უმწეობა გამოიყენოს მკვლელობის გასაადვილებლად, რაც როგორც წესი, ხდება მოქმედებით ჩადენილი მკვლელობისას.[62]

ასეთ ვითარებას კი მოცემულ შემთხვევაში მძღოლის უმოქმედობისას ადგილი არ ჰქონია;

ბ) ცნობილია, რომ უმოქმედობისას სამართლებრივი გარანტის ნება და მისი უმოქმედობა არაა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა. აქ მიზეზობრიობას სრულიად სხვა ძალა წარმართავს. ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში მას წარმართავს ავარიის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გამო ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური მოვლენები.[63]

კერძოდ, მოცემულ მაგალითში მძღოლი სიკვდილის პირას მყოფის მიმართ არ ცდილობდა თავისი უმოქმედობით დაეფუძნებინა ახალი საფრთხე და დაეჩქარებინა მისი სიკვდილი. **დაშავებული უკვე ისედაც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში**, რის გამოც აუცილებელი იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ამდენად, მისი სიკვდილი ობიექტურადაც არ დაჩქარებულა მძღოლის უმოქმედობის გამო, იგი დადგა მიყენებული დაზიანების ბუნებრივად განვითარების შედეგად. მას, როგორც სამართლებრივ გარანტს, ევალებოდა, მიეღო ზომები სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში **უკვე მყოფი პირის** ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რაც მან მისი მოკვლის სურვილის გამო არ გააკეთა („არ გამოიხსნა" სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობიდან) და მკვლელობის მცდელობაც ამაში გამოიხატება.

---

[62] ამ საკითხზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 56-57

[63] ამ საკითხზე იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, თბ. 2016, გვ. 125; ნ. თოდუა წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2016, მე-2 გამოცემა, გვ. 374-375

უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის უმოქმედობით მკვლელობა **ზოგჯერ შეიძლება შეფასდეს**, როგორც მკვლელობის დამამძიმებელი გარემოება – 109 მ. როცა სამართლებრივი გარანტი **თავისი უმოქმედობით აფუძნებს** სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას, რაც მის მიერ შესაძლო და სავალდებულო ქმედების ჩადენის შემთხვევაში არ წარმოიშობოდა, მაგრამ ამ საკითხის განხილვა სცილდება ჩვენი სახელმძღვანელოს ფორმატს.

თუკი ამ შემთხვევას მოჰყვა დაშავებულის სიკვდილი, შესაძლებელია (შესაძლებელია და არა აუცილებელი) მძღოლის ქმედება სსკ 276-ე მუხლის მესამე ნაწილისა (და არა მეხუთე ნაწ.) და უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობის (108 მ.) ერთობლიობით დაკვალიფიცირდეს, თუ სახეზეა უმოქმედობის მიზეზობრიობის სამივე წინაპირობა: 1. პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა (სამართლებრივი გარანტი); 2. მას ჰქონდა ასეთი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა; 3. შესაძლო და სავალდებულო ქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

მოცემულ მაგალითში სადაო არაა პირველი და მეორე წინაპირობის არსებობა. **საკითხავია მესამე წინაპირობის** არსებობა და ეს საკითხი სათანადო ექსპერტიზის დასკვნის დახმარებით უნდა გადაწყდეს. კერძოდ, თუ დადგინდა, რომ მძღოლის მიერ შესაძლო და სავალდებულო ქმედებით დაშავებული სიკვდილს გადაურჩებოდა, მას ეს შედეგი (სიკვდილი) უმოქმედობისთვის შეერაცხება და საბოლოოდ მისი ქმედება სსკ **276-ე მუხლის მესამე ნაწილთან** (და არა მე-5 ნაწილთან) ერთად მკვლელობის მუხლითაც დაკვალიფიცირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს,რომ ექსპერტიზის დასკვნა უნდა იყოს კატეგორიული. თუკი დასკვნა სავარაუდოა („მისი გადარჩენის შანსი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა", ან „შესაძლოა, იგი გადარჩენილიყო"), მაშინ მძღოლს ეს შედეგი (სიკვდილი) შეერაცხება სსკ 276-ე მუხლით (მისი მეხუთე ან მეექვსე ნაწ.) და არა მკვლელობის მუხლით, რადგან სახეზე არაა უმოქმედობის მიზეზობრიობის მესამე წინაპირობა ყოველგვარი ეჭვი (მათ შორის გონივრულიც) უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ.

ამდენად, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და მკვლელობის მცდელობით (19, 108 მ.)

სატრანსპორტო საშუალების უხარისხო რემონტი, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვება (მუხლი 277-ე)

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი **დაცვის ობიექტია** ნებისმიერი სახის ტრანსპორტის ექსპლუატაციის უსაფრთხოება დანაშაულის სუბიექტის მიერ სატრანსპორტო საშუალების უხარისხო რემონტით ან ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვებით. აღნიშნული ნორმა ბლანკეტურია.

დანაშაულის **ობიექტური მხარეა** დისპოზიციაში მითითებული ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების: გზის, სიგნალიზაციის, კავშირგაბმულობის ან სხვა სატრანსპორტო მოწყობილობის უხარისხო რემონტი და ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვება. სპეციალური ინსტრუქციებითა და ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია თითოეული წესი. შესაბამისი წესის დარღვევა დგინდება საინჟინრო-ტექნიკური ან ავტოტექნიკური ექსპერტიზის მეშვეობით.

კანონმდებელი არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება სატრანსპორტო საშუალების, სიგნალიზაციის ან კავშირგაბმულობის უხარისხო რემონტში, რაც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს და შეფასდეს. რაც შეეხება სატრანსპორტო მოწყობილობას, მასში იგულისხმება სატრანსპორტო საშუალების, გზის, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ცნების გარეთ მყოფი მოწყობილობა, რაც უშუალო კავშირშია ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლოატაციის უსაფრთხოებასთან. ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვებაში იგულისხმება უფლებამოსილი პირის ნებართვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებაზე, მისი მოძრაობის ან ექსპლოატაციის უსაფრთხოების მიზნით. აღნიშნული წესი მოწესრიგებულია „საგზაო უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით.

სსკ-ის 277-ე მუხლი **შედეგიანი დანაშაულია** და ობიექტური მხარე მოიცავს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობას. მუხლის 1-ლ ნაწილში ორი სხვადასხვა მძიმე შედეგის: ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებაზეა მინიშნებული, მე-2 ნაწილში – ერთი ადამიანის სიცოცხლის, ხოლო მე-3 – ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობაზე.

მიზეზობრივი კავშირი ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებასა და დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის, ხშირ შემთხვევებში გარკვეული თავისებურებით ხასიათდება და მიზეზობრივ

ჯაჭვში მესამე პირის ჩართვით არის განპირობებული. მესამე პირი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მძღოლი ან სხვა პირი, ვინც დაკავშირებულია ტრანსპორტის მართვასთან. ამასთან შესაძლოა, მათთვის არ იყოს ცნობილი ტრანსპორტის გაუმართაობის ფაქტი. რაც შეეხება ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლოატაციოდ გაშვებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრიობას,უნდა დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევა ექსპლოატაციისათვის პასუხისმგებელი პირის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის.

დანაშაულის **სუბიექტი სპეციალურია**, ანუ ის, ვისაც ევალება სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებელია საექსპლოატაციოდ გასაშვები სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გაუმართაობაზე ან უხარისხო რემონტზე. დანაშაულის სუბიექტთა წრე პრაქტიკამ უნდა დააკონკრეტოს.

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **გაუფრთხილებლობით** როგორც დაუდევრობით, ისე თვითიმედოვნებით.

მაგალითად, ფრენის დაწყებამდე თვითმფრინავი სათანადოდ უნდა შემოწმდეს მისი ტექნიკური გამართულობის კუთხით, რაც არ გააკეთა ამისათვის პასუხისმგებელმა პირმა. მან იმედი დაამყარა იმაზე, რომ ეს თვითმფრინავი ახალია და მისი შემოწმება დროის ზედმეტად კარგვად ჩათვალა. მოცემულ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავს დაზიანებული ჰქონდა ძრავა, რის გამოც აუცილებელი შეიქმნა მისი არადროული და ავარიული დაჯდომა, რამაც მგზავრის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის გაუვარგისება (მუხლი 278-ე)

განსახილველი დანაშაულით ხელყოფის ობიექტია ნებისმიერი სახის ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოება. აღნიშნული ნორმა ბლანკეტურია.

დანაშაულის **ობიექტური მხარეა** დისპოზიციაში მითითებული ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების: გზის, სიგნალიზაციის, კავშირგაბმულობის ან სხვა სატრანსპორტო მოწყობილობის დაზიანება, განადგურება, ან ექსპლოატაციისათვის სხვაგვარად გაუვარგისება, აგრეთვე სატრანსპორტო კომუნიკაციის ბლოკირება. ე.ი. კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ამ ქმედებით გამოწვეული მარ-

თლსაწინააღმდეგო შედეგი (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება) და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სატრანსპორტო საშუალების, გზის, სიგნალიზაციის, კავშირგაბმულობის საშუალების ან სხვა სატრანსპორტო მოწყობილობის დაზიანებად ან განადგურებად ითვლება მათი უსაფრთხო მოძრაობის მარეგულირებელი მექანიზმის ან მოწყობილობის დაზიანება ან მწყობრიდან გამოყვანა, რამაც მის ნორმალურ და უსაფრთხო მოძრაობას შეუშალა ხელი.

სატრანსპორტო საშუალებათა, გზის, სიგნალიზაციის, კავშირგაბმულობის საშუალების ან სატრანსპორტო მოწყობილობის მწყობრში ყოფნის შესახებ განმარტებები მოცემულია უწყებრივ და ნორმატიულ აქტებში.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციისათვის სხვაგვარი გაუვარგისება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, რომელიც განსხვავდება დაზიანება-განადგურებისაგან, ე.ი. სატრანსპორტო საშუალება არც დაზიანებულია და არც განადგურებული, მაგრამ სხვაგვარად არის გაუვარგისებული (მაგალითად,მოხსნილია რომელიმე დეტალი,რომელიც სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას შეუძლებელს ხდის და აღდგენა შეუძლებელია).

სატრანსპორტო კომუნიკაციის ბლოკირება ნიშნავს პარალიზებას და დანიშნულებისამებრ მის გამოყენების შეუძლებლობას.

დანაშაულის **სუბიექტი** შეიძლება იყოს 14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

დანაშაული **გაუფრთხილებელი**ა. მისი ჩადენა შეიძლება როგორც დაუდევრობით,ისე თვითიმედოვნებით. კერძოდ, თავად ქმედება (მაგალითად, ტრანსპორტის დაზიანება ან ბლოკირება) შესაძლებელია, ჩადენილი იყოს განზრახაც, მაგრამ მთავარია, რომ შედეგი დგება გაუფრთხილებლობით. თავად ქმედება იწვევს სხვა სახის (მაგალითად ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო) პასუხისმგებლობას.

გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მიტოვება (მუხლი 279-ე)

აღნიშნული ნორმა სათავეს ბრიუსელის 1910 წლის საერთაშორისო კონვენციიდან იღებს, რომელიც გემის დაჯახებისას კაპიტნის მოვალეობებს აკონკრეტებს, დახმარების გაწევასთან დაკავშირებით და

განმტკიცებულია 1948 წლის ანალოგიური კონვენციით.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება გემის კაპიტნის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობაში იმ პირთა მიმართ, ვინც ზღვაში ან სხვა წყალსავალ გზაზე იღუპებოდა, თუ აღნიშნული დახმარების გაწევა შესაძლებელი იყო გემის, ეკი პაჟის ან მგზავრისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე.

ნორმის დისპოზიცია ბლანკეტურია და ეყრდნობა იმ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ პირთა მიერ ზღვაში ან წყალსავალ გზაზე განსაცდელში მყოფ ადამიანთა დახმარების წესს (მაგალითად, საქართველოს საზღვაო კოდექსი, საერთაშორისო კონვენციები და ა.შ.).

დანაშაულის ჩადენა შეიძლება **მხოლოდ უმოქმედობით (წმინდა უმოქმედობის დელიქტი)**, როცა გემის კაპიტანი არ ასრულებს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას – დახმარება აღმოუჩინოს წყალსავალ გზებზე განსაცდელში მყოფთ (წმინდა უმოქმედობის დელიქტი). აღნიშნული მოვალეობისაგან კაპიტანი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, როცა დახმარების გაწევა დაკავშირებულია გემის, ეკიპაჟის ან მგზავრებისათვის სერიოზული საფრთხის შექმნასთან. ასეთი საფრთხე შეიძლება განპირობებული იყოს მეტეოროლოგიური მდგომარეობით, გემის ტექნიკური მდგომარეობით, ეკიპაჟის წევრის ან მგზავრის ავადმყოფობით, რომლისთვისაც საჭიროა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. სერიოზულ საფრთხედ გვევლინება ეკიპაჟის წევრის ან მგზავრის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობის, ან გემის ჩაძირვის საფრთხე. სერიოზულ საფრთხედ არ შეიძლება ჩაითვალოს ის ქონებრივი ზარალი, რომელიც სამაშველო სამუშაომ განაპირობა (მაგალითად, ტვირთის დაზიანება ან განადგურება და სხვ.). გემის კაპიტნის მიერ გემის ან ეკი პაჟისათვის სერიოზული საფრთხის შექმნის უგულებელყოფისას, განსაცდელში მყოფისათვის დახმარების აღმოჩენის დროს გემის, ეკი პაჟის ან მგზავრისათვის მიყენებული ზიანის გამო, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის ნორმიდან გამომდინარე.

დანაშაულის ჩადენის ადგილია ზღვა ან სხვა წყალსავალი გზა. ამ უკანასკნელში იგულისხმება წყლის სივრცე,რომელიც სანაოსნო მიმოსვლისთვის გამოიყენება (მგზავრთა გადაყვანა,ტვირთის გადატანა). ესენია: მდინარე, ტბა, არხი. განსაცდელში მყოფი შეიძლება აღმოჩნდეს წყალში, გემზე, რომელიც იძირება, მაშველ საშუალებასა ან ნებისმიერ საგანზე.

დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როცა განსაცდელ-

ში მყოფს არ დაეხმარენ და არ არსებობდა სერიოზული საფრთხე, იმის მიუხედავად, დაილუპა თუ არა განსაცდელში მყოფი. ანუ სახეზეა **კონკრეტული საფრთხის დელიქტი.**

დანაშაული განზრახია.

დანაშაულის **სუბიექტი სპეციალურია**. ამ მუხლით პასუხისმგებლობა დაეკისრება გემის კაპიტანს ან მისი არყოფნის დროს მოვალეობის შემსრულებელს. რაც შეეხება კერძო პირს, რომელსაც მფლობელობაში ჰყავს სხვა სანაოსნო საშუალება, მსგავს შემთვევაში განსაცდელში მყოფისათვის დაუხმარებლობისას პასუხისმგებლობა დაეკისრება სსკ-ის 128-ე მუხლით (დაუხმარებლობა).

ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა (მუხლი 280-ე)

სატრანსპორტო დანაშაულთა თავში ცალკე მუხლად არის ჩამოყალიბებული ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა,რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას ეკუთვნის. დანაშაულის ობიექტია საერთაშორისო ფრენის დადგენილი წესი,რაც საავიაციო ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლოატაციის უსაფრთხოებას განაპირობებს. ასეთი დარღვევის სახე შეიძლება იყოს ფრენის დადგენილი სიმაღლის დაუცველობა, განსაზღვრული დაშვების ადგილის შეცვლა და ა.შ.

დანაშაულის საგანი არის საჰაერო საფრენი საშუალება.

სსკ-ის 280-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური მხარე** გულისხმობს საერთაშორისო ფრენის ერთი ან რამდენიმე წესის დარღვევას. მოცემული ნორმა ბლანკეტურია. მუხლში მოცემულია საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევის სანიმუშო ჩამონათვალი. ფრენის საერთაშორისო კონკრეტული წესის დარღვევისას საჭიროა მითითება როგორც საქართველოს საჰაერო კოდექსში საერთაშორისო ფრენის თავში არსებულ, ისე სხვა საერთაშორისო აქტებში მოცემულ წესზე.

სანიმუშო ჩამონათვალი შეეხება ნებადართულ მარშრუტს, მითითებული ფრენის სიმაღლეს,დაჯდომის ადგილს,საჰაერო ჭიშკრის დაუცველობას. დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით**. იგი დამთავრებულია ერთ-ერთი წესის დარღვევის მომენტიდან და რაიმე კონკრეტული საფრთხის ან მძიმე შედეგის დადგომა საჭირო არ არის. ამდენად,სახეზეა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი. დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ.

ამ წესის გაუფრთხილებლობით დარღვევისას პირი პასუხს აგებს დისციპლინური წესით. მისი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა შეუძლებელია სსკ მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე. **280-ე მუხლის მე-2 ნაწილში** მითითებული სერიოზული საფრთხე, რომელიც ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევის შედეგად შეექმნა დასახლებულ უბანს, მოითხოვს საფრთხის ცნების სწორ განმარტებას.

„სერიოზული საფრთხე" შეფასებითი კატეგორიაა. საფრთხის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია კონკრეტული საქმის გარემოებების გაანალიზებით. კანონმდებელი უთითებს საფრთხის სერიოზულობაზე და აკონკრეტებს, რომ საფრთხის ობიექტი ამ შემთხვევაში დასახლებული უბანია, სადაც ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან კანონით დაცული სხვა სიკეთე შეიძლება იქნეს დაზიანებული. სსკ-ის 280-ე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებლის მიერ, სერიოზულ საფრთხეზე მითითება დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსისათვის, ნორმის შედარებით იშვიათი და უჩვეულო კონსტრუქციაა, რაც განაპირობებს პრაქტიკის სიმწირეს და „სერიოზული საფრთხის" ცნების განმარტების არარსებობას.

280-ე მუხლის მე-2 ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისას საჭიროა დადგინდეს ფრენის საერთაშორისო წესსა და საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირი. ამდენად, სახეზეა **კონკრეტული საფრთხის დელიქტი**.

წინდახედულობის ნორმის დარღვევასთან ერთად უნდა დადგინდეს, რომ ფრენის წესის დარღვევამ დასახლებულ უბანს შეუქმნა სერიოზული საფრთხე. მაგალითად, ფრენის დადგენილი სიმაღლის დაუცველობის გამო თვითმფრინავი ლამის შეეჯახა ქალაქში მდგარ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს, ან სავაჭრო ცენტრს, სადაც ხალხი იმყოფებოდა.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სპეციალური, ე.ი. თვითმფრინავის ეკი პაჟის წევრები და ასევე, ის პირები, ვინც პასუხისმგებელია საერთაშორისო ფრენის წესების დაცვისათვის, მაგალითად, დისპეტჩერი და ა.შ.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილი წარმოადგენს აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტს, ხოლო მეორე ნაწილი კონკრეტული საფრთხის დელიქტს.

ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა (მუხლი 281-ე)

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება.

დანაშაულის **სპეციალური სუბიექტია**: მგზავრი, ნებისმიერი ფეხით მოსიარულე და მოძრაობის სხვა მონაწილე, რომელშიც შედის ველოსიპედისტი და საჭაპანო ტრანსპორტის მძღოლი.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება: ა) ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევაში; ბ) მართლსაწინააღმდეგო შედეგში და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის. ამდენად, სახეზეა შედეგიანი (მატერიალური) დანაშაული.

ნორმა ბლანკეტურია და მიუთითებს იმ ნორმატიულ აქტებზე, რომლებიც ადგენენ რკინიგზის, წყლის, საჰაერო ტრანსპორტზე მგზავრის, ფეხით მოსიარულის ან მოძრაობის სხვა მონაწილის ქცევის კონკრეტულ წესს (მაგალითად, კანონი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ", საგზაო მოძრაობის წესები და სხვ.).

როგორც ითქვა, აღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისას უნდა დადგინდეს სუბიექტის მიერ ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის კონკრეტული წესის დარღვევა და ერთ-ერთი მართლსაწინააღმდეგო შედეგი: ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება ან ერთი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობა.

მაგალითად, ავტობუსის მგზავრმა ავტობუსის დაძვრის შემდეგ გართობის მიზნით მოახერხა ავტობუსის დაკეტილი კარების გაღება, რამაც შედეგად გამოიწვია ის, რომ ერთ-ერთი მგზავრი,რომელიც კართან ახლოს იდგა, ჩავარდა და ჯანმრთელობა ნაკლებად მძიმედ დაიზიანა.

წინდახედულობის ნორმის დარღვევის შედეგად დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას ან სიცოცხლის მოსპობას უკავშირდება, დგინდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. განსახილველი დანაშაული გაუფრთხილებელია.

მატარებლის თვითნებური გაჩერება (მუხლი 282-ე)

მატარებლის თვითნებური გაჩერება,ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის შესახებ მუხლიდან გამოტანილ სპეციალურ ნორმას მიეკუთვნება. სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება. **ობიექტური მხრივ** დანაშაული მოქმედებაში. – კერძოდ, საჭიროების გარეშე მატარებლის თვითნებურ გაჩერებაში გამოიხატება. მატარებლის გაჩერების საჭიროების საკითხი ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს. მატარებლის გაჩერების სხვადასხვა ტექნიკური შესაძლებლობა არსებობს (მატარებლის გაჩერება სამუხრუჭო ონკანის გამოყენებით, საჰაერო სამუხრუჭო მაგისტრალის გათიშვით, მოძრავი მატარებლისათვის საფრთხის მომასწავებელი წითელი შუქის ანთებით, რკინიგზის ხაზის სხვადასხვა საგნებით ჩახერგვით და ა.შ.), თუმცა პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა დადგინდეს, რომ მატარებელი (მნიშვნელობა არა აქვს სამგზავრო, სატვირთო ან სხვა დანიშნულების მატარებელი) საჭიროების გარეშე იქნა გაჩერებული.

სსკ-ის 282-ე მუხლი **შედეგიანი დანაშაულია** და პასუხისმგებლობისათვის სახეზე უნდა იყოს ნორმით განსაზღვრული ერთ-ერთი (ერთი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი) მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ე.ი. საჭიროა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, თვითნებურ გაჩერებასთან დაკავშირებული საავარიო შემთხვევა,სარკინიგზო შემადგენლობის,კომუნიკაციების დაზიანება-განადგურება, მატერიალური ზარალი და ა.შ. თუ ასეთი სდეგი არ დამდგარა სახეზეა ადმინისტრაცილი სამართალდარღვევა.

დანაშაულის **სუბიექტი** შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი (გარდა სსკ-ის 275-ე და 276-ე მუხლში მითითებული სუბიექტებისა).

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **გაუფრთხილებლობით** როგორც დაუდევრობით, ისე თვითიმედოვნებით.

მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესის დარღვევა (მუხლი 283-ე)

განსახილველი ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეა საზოგადოებრივი უშიშროება.

დანაშაულის საგანს წარმოადგენს ტრანსპორტის ისეთი სახეობა, როგორიცაა მაგისტრალური მილსადენი, რომლის საშუალებითაც თხევადი ან აიროვანი ტვირთების გადაადგილება ხდება.

დანაშაული ხელყოფს მაგისტრალური მილსადენის უსაფრთხო ფუნქციონირებას.

განსახილველი დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:

მაგისტრალური მილსადენის 1. მშენებლობის; 2. ექსპლოატაციის; ან 3. რემონტის უსაფრთხოების წესების დარღვევაში და მძიმე შედეგის, კერძოდ, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანების, ანდა ერთი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში. ასევე მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, სახეზეა მატერიალური შემადგენლობა.

დანაშაულის ჩადენა შეიძლება **როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.**

ისევე როგორც სატრანსპორტო დანაშაულის მრავალი მუხლი, 283-ე მუხლიც ბლანკეტური ნორმაა. მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლოატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესი მოწესრიგებულია სპეციალური ნორმატიული აქტებით. დამნაშავის მიერ შეიძლება დარღვეულ იქნეს მშენებლობის ან ექსპლოატაციის, ანდა რემონტის უსაფრთხოების წესი. ვინაიდან სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, მითითებული სამივე წესის ერთდროულად დარღვევისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 283-ე მუხლით მოხდება, რაც ზეგავლენას მოახდენს სასჯელზე.

მაგისტრალური მილსადენის მშენებლობაში იგულისხმება როგორც მილსადენების დაპროექტების, გაყვანის, მისი ჰერმეტულობის, სიმყარის სამუშაოების და ა.შ. უსაფრთხოების წესების დარღვევა. მილსადენის ექსპლოატაციის უსაფრთხოება კი გულისხმობს მაგისტრალურ მილსადენს, გამანაწილებელ სისტემას და ა.შ. მილსადენზე წარმოებული კაპიტალური ან სხვა სახის სარემონტო სამუშაოების უსაფრთხოების სპეციალური წესები სპეციალური ნორმატიული აქტებით განისაზღვრება. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ,როცა მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის,ექსპლოატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესის დარღვევამ გამოიწვია შემდეგი მართლსაწინააღმდეგო შედეგი: 1. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება; 2. ერთი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

მაგალითად, მაგისტრალური მილსადენის (სადაც გადიოდა ბუნებრივი აირი) რემონტის დაწყებამდე აუცილებელი იყო მისი სრული გათიშვა. უსაფრთხო რემონტზე პასუხისმგებელმა პირმა მილსადენის ეს მონაკვეთი ბოლომდე არ გათიშა (არამედ ონკანის ნაწილობრივი გადაკეტვით შეამცირა აირის წნევა). ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ რემონტის მსვლელობისას ერთ-ერთმა მუშამ მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

დანაშაულის სუბიექტი საერთოა.

განსახილველი დანაშაული გაუფრთხილებელია. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც დაუდევრობით, ისე თვითიმედოვნებით.

თავი III

კიბერდანაშაული

ზოგადი დებულებები

დღევანდელი სოციალური სინამდვილე წარმოუდგენელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ უკვე დიდი ხანია ვცხოვრობთ მსოფლიო საზოგადოებაში, სადაც ჩაკეტილი სივრცეების შესახებ წარმოდგენა ფიქციად იქცა. საინფორმაციო გლობალიზაციის ეპოქაში დედამიწა აღარ არის უზარმაზარი, იგი შემჭიდროვდა და „დაპატარავდა“ ტელესაკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ბიძგი მისცა არა მხოლოდ საზოგადოების პროგრესს, არამედ გახდა მანამდე უცნობი ნეგატიური პროცესების წარმოშობისა და განვითარების სტიმულატორი. მრავალი რევოლუციური ტექნოლოგიის მსგავსად, კომპიუტერული ტექნოლოგიები თავის თავში უზარმაზარ პოტენციალს ატარებს როგორც პროგრესისათვის, ისე ბოროტად გამოყენებისათვის – ქსელური ინფორმაციის ხელყოფა, კომპიუტერული თაღლითობა, მეკობრეობა,საბოტაჟი,ელექტრონული ჯაშუშობა,პორნოგრაფიის გავრცელება და მისთ. ჩვენი სოციალური სინამდვილის ყოველდღიურ პრობლემად იქცა. კომპიუტერული დანაშაული ყველაზე მეტად გავრცელდა საბანკო და საფინანსო სფეროში, სადაც კომპიუტერული დანაშაულით მიყენებულ ზიანს ნარკოტიკებისა და იარალის უკანონო ბრუნვით მიღებულ შემოსავალს უთანაბრებენ. კიბერდამნაშავეთა სამიზნედ იქცა როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი და კერძო პირთა ინტერესები. პრაქტიკულად არ არსებობს ადამიანის მოღვაწეობის არც ერთი სფერო, სადაც არ გამოიყენება კომპიუტერი, რომელიც უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციის შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის შესაძლებლობას იძლევა. კომპიუტერულ სისტემებს შეუძლიათ მოახდინონ ინფორმაციის დამუშავება და ინტეგრირება ნებისმიერი წყაროდან. დღეისათვის შექმნილია და წარმატებით მოქმედებს მსოფლიო გლობალური კომპიუტერული ქსელები. ჩვენი ცხოვრება სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება კომპიუტერზე. კიბერნეტიკული სივრცე (ვირტუალური სამყარო) წარმოადგენს კომპიუტერის მეშვეობით მოდელირებულ საინფორმაციო სივრცეს, რომელშიც ინახება ინფორმაცია პირების, ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების, ნივთების შესახებ მათემატი-

კური, სიმბოლური ან ნებისმიერი სხვა სახით და იმყოფება მოძრაობის პროცესში ლოკალური ან გლობალური კომპიუტერული ქსელით. ვირტუალურ სივრცეში დამნაშავის აღმოჩენა და გაუვნებელყოფა საკმაოდ რთული საქმეა, ვინაიდან იგი რეალური სამყაროსაგან განსხვავებით, საკმაოდ უმნიშვნელო კვალებს ტოვებს. მით უფრო რთულია კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლა გლობალური ქსელის გამოყენებით. საერთაშორისო მასშტაბით ელექტრონულ (კიბერნეტიკულ) დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს 2001 წლის 23 ნოემბერს ევროპის საბჭოს წევრი-ქვეყნების მიერ კონვენციის მიღება „კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ". ეს კონვენცია განსაზღვრავს კიბერნეტიკულ დანაშაულთა სახეებს, რომლისთვისაც მონაწილე ქვეყნებმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაადგინონ. ამ დოკუმენტით მსოფლიო თანამეგობრობის მიერ შემუშავებულია ერთიანი პოზიცია იმის შესახებ, თუ რომელი ქმედებები უნდა იქნეს კრიმინალიზებული და რა ფორმით უნდა განხორციელდეს საერთაშორისო თანამშრომლობა კიბერნეტიკულ დანაშაულთან საბრძოლველად. 2008 წლის 28 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ კონვენციის ხელმოწერის თაობაზე, ხოლო საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის №3619 კანონით ცვლილებები და დამატებები შევიდა სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. ამგვარად, საქართველოში განხორციელდა კიბერდანაშაულის შესახებ ევროკონვენციის ძირითადი პრინციპების ინტეგრაცია და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე თავი აქვს დათმობილი კომპიუტერულ დანაშაულს (თავი 35). იგი აერთიანებს კიბერნეტიკული დანაშაულის სამ შემადგენლობას: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (მუხ. 284-ე), კომპიუტერული მონაცემის ან/ და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება (მუხ. 285-ე), კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა (მუხ. 286-ე), აღნიშნული მუხლების ძველი რედაქცია შემდეგი სათაურებით იყო წარმოდგენილი: კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა (მუხ. 284-ე); ეგმ-ს დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება (მუხ. 285-ე); ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევა (მუხ. 286-ე).

კობერდანაშაული მოთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 კარში, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, აქედან გამომდინარე სწორედ ეს ინტერესი

უნდა ჩაითვალოს ამ დანაშაულთა ხელყოფის გვარეობით ობიექტად. თუმცა, როგორც მართებულად არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში კომპიუტერულ ინფორმაციასთან უნებართვო შეღწევამ და მისმა არამართლზომიერად გამოყენებამ შეიძლება მრავალგვარი შედეგი გამოიწვიოს, კერძოდ მან შეიძლება ხელყოს ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუხებლობა, მოქალაქეთა პირადი ცხოვრება, რეპუტაცია, გამოიწვიოს ქონებრივი ზიანი, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხება და სხვა. მიუხედავად კიბერდანაშაულით გამოწვეული შედეგების მრავალფეროვნებისა უნდა გამოიყოს ხელყოფის ძირითადი და დამატებითი ობიექტი. ხელყოფის უშუალო ობიექტი დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის მიხედვით შეიძლება იყოს კომპიუტერული მონაცემებისა და სისტემის კონფიდენციალობა, კომპიუტერული სისტემის უსაფრთხოება, მისი ნორმალური ფუნქციონირება და სხვა. დანაშაულის საგანია კომპიუტერული მონაცემი (ინფორმაცია), კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერული სისტემა, კომპიუტერული ქსელი და სხვ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ კომპიუტერულ დანაშაულში კომპიუტერი ერთდროულად შეიძლება წარმოადგენდეს როგორც დანაშაულის საგანს, ისე მისი ჩადენის საშუალებას.

35-ე თავით გათვალისწინებული სამივე შემადგენლობა მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. მათი ობიექტური შემადგენლობები ჩამოყალიბებულია როგორც ფორმალური და განხორციელება მოქმედებით ხდება.

კომპიუტერული **დანაშაულის სუბიექტი** შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

რაც შეეხება ამ დანაშაულთა ბრალის ფორმის საკითხს, იგი მხოლოდ განზრახვას გულისხმობს, ხოლო მისი ძველი რედაქცია კერძოდ, 284-ე და 285-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობა განზრახვას გულისხმობდა, ხოლო 286-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა შეიძლება განხორციელებულიყო როგორც არაპირდაპირი განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით. კომპიუტერულ დანაშაულთა ყველაზე გავრცელებულ მოტივს წარმოადგენს – ანგარება, სამეცნიერო-კვლევითი ინტერესი, ხულიგნური მოტივი, შურისძიება და სხვ.

სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლში მოცემულია კლასიკური კიბერდანაშაული, რომლის შემადგენლობა კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე ჩამოყალიბდა.[64] აღსანიშნავია, რომ ქმედება დეკლარაციული შინაარსისაა, რაც ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა.

მას შემდეგ, რაც კომპიუტერული ქსელები შეიქმნა, ხდებოდა მათი შესაძლებლობის გამოყენება სხვა კომპიუტერის მონაცემებში შესვლისა და მონაცემების მოპოვების კრიმინალური მიზნით. ტერმინი „ჰაკერობა" გამოიყენება კომპიუტერის სისტემაში უკანონო შეღწევის აღნერის მიზნით. ეს არის კომპიუტერული დანაშაულის ტიპური ფორმა. პირველად კომპიუტერულ სისტემებში უკანონო შეღწევის ფაქტები აღმოჩენილი იქნა ქსელური ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად. ეს დღესაც საკმაოდ გავრცელებული ფორმაა. კომპიუტერულ სისტემაში არასანქცირებული/უკანონო შეღწევა წარმოადგენს კომპიუტერული დანაშაულის ერთ-ერთ მეთოდს. ამაში შედის პაროლის ან სხვა დამცავი მექანიზმების გატეხვა ან მათი შემოვლა კომპიუტერულ სისტემაში უფლებამოსილების/სანქციის გარეშე შეღწევის საშუალებით. ეს კატეგორია წარმოადგენს კომპიუტერულ დანაშაულს ვიწრო გაგებით,რომელიც მიმართულია კომპიუტერული სისტემისა და მონაცემების წინააღმდეგ, კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ კონვენციის მიხედვით, ეს არის კომპიუტერული მონაცემებისა და სისტემის კონფიდენციალურობის, ინტეგრირებულობისა და მასში შეღწევის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული (CIA).

სხვადასხვა ქვეყნების მიერ კომპიუტერული დანაშაულის სისხლის სამართლის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებში საკმაოდ დიდი არათანმიმდევრობა შეიმჩნევა. ზოგი ქვეყანა, მაგალითად რუმინეთი,

[64] ევროკონვენციის მუხლი 2 – არაკანონიერი შეღწევა – ყველა მხარე განსაზღვრავს და დაამტკიცებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევისათვის იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ჩადენილია წინასწარ განზრახვით და მოიცავს კომპიუტერული სისტემის ნაწილში ან მთლიანად სისტემაში უკანონო შეღწევას. მხარეს შეუძლია წინაპირობად გაითვალისწინოს, რომ ქმედება ჩაითვალოს დანაშაულად თუ იგი განხორციელდა უსაფრთხოების ზომების დარღვევით, კომპიუტერული მონაცემების მოპოვების ან სხვა უკანონო მიზნებით, ან კომპიუტერულ სისტემასთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია სხვა კომპიუტერულ სისტემასთან.

სისხლის სამართლის დანაშაულებრივ კვალიფიკაციას ანიჭებს კომპიუტერულ სისტემაში შეღწევასაც კი, მაშინ როცა, სხვა ქვეყნები ასე თვლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეღწევა ხდება დაცულ სისტემაში ან თუ დამნაშავეს აქვს ზიანის მიყენების ან მონაცემების მიღების, მოდიფიცირების ან დაზიანების მიზანი.[65] მაშასადამე, არსებობს ქვეყნები, სადაც ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამები (მაგალითად, ვინდოუსი) სავალდებულოა და ზოგგან არაა სავალდებულო. სადაც არ არის სავალდებულო, იქ ვერ მოხდება დაცვა და შესაბამისად კანონიც ვერ მოითხოვს დაცულობას-შეუძლებელ პირობას. საქართველოში კომპიუტერული სისტემის დაცვა სავალდებულო არ არის, თუმცა მასში შეღწევაც დასჯადი ქმედებაა. სხვა ქვეყნები სისტემაში უბრალო შეღწევას არ ანიჭებენ სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციას. ასეთად კვალიფიცირდება შემდგომ ეტაპზე ჩადენილი დანაშაული. კომპიუტერული დანაშაულის შესახებ კონვენცია შეიცავს დებულებას არასანქცირებული/არაკანონიერი შეღწევის შესახებ, რაც იცავს კომპიუტერული სისტემის ინტეგრირებულობას. დაცვის მიზანი არის კომპიუტერული სისტემების ინტეგრირებულობა.[66]

საქართველოს სსკ 284-ე მუხლის ახალი რედაქცია არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მითითებას ნორმით დაცულ ინტერესთან დაკავშირებით, ამიტომ მასში შეიძლება მოვიაზროთ ზოგადად კომპიუტერული სისტემის მთლიანობა და უსაფრთხოება. ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კომპიუტერული სისტემა განიხილება როგორც შესაბამისი მოწყობილობისა (ტექნიკური მექანიზმი), მონაცემების და ქსელის ერთობლიობა. ამიტომ ხელყოფის ობიექტზე მსჯელობისას ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. მონაცემის, როგორც ინფორმაციის სახესთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ, თუ მონაცემის/ინფორმაციის ღირებულება დაიკარგება მისი გახსნისას, მაშინ სახეზეა მონაცემის კონფიდენციალობის დარღვევა. თუ მონაცემის ღირებულება დაიკარგება მისი შეცვლისას ან განადგურებისას, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ მონაცემების მთლიანობის დარღვევაზე; თუ მონაცემის ღირებულება მის დროულ გამოყენებაშია, შეღწევისას ჩნდება საფრთხე მონაცემის ღირებულების დაკარგვისა. ინფორმაციაში არაავტორიზებულმა შეღწევამ, შესაძლოა,შექმნას მისი ხელმისაწვდომობის საფრთხე. როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა, სამართლებრივი დაცვის რამდენიმე ინტერესი: მონაცემის/ ინფორმაციის მთლიანობა,ხელმისაწვდომობა და კონფიდენციალობა. რაც შეეხება კომპიუტერული სისტემის ინტეგრირებულობის დაცვას, ერთი ვირტუალური სისტემისა და მონაცემების

[65] იხ. ევროსაბჭოს ტრენინგი ქსელურ დანაშაულში, www.coe.int/cybercrime

[66] იქვე.

მეორესთან დაკავშირების შესაძლებლობა ნიშნავს ინტეგრირებულობას. რაც კონვენციის მიხედვით დამოუკიდებელი დაცვის ინტერესია.

აღსანიშნავია ისიც,რომ კომპიუტერული სისტემები დიდწილად შეიცავენ მოქალაქეების პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას (ფოტო, ჩანაწერი...),ამ სისტემების დაცვისა და სისხლის სამართლის ეფექტიანი ღონისძიებები უნდა იყოს მნიშვნელოვანი გზა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან მიმართებაში. ამ კონტექსტში, კომპიუტერული სისტემის დაცვა და ადამიანთა უფლებები ერთად განიხილება. მაშასადამე, ნორმით დაცულ ინტერესად შეიძლება ჩაითვალოს პირადი ცხოვრებაც. ამასთანავე, მონაცემები საკუთრებასაც წარმოადგენს, რის გამოც ამ დანაშაულს საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულადაც მიიჩნევენ.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევაში. სსკ 284-ე მუხლის ახალი რედაქცია ფორმალური შემადგენლობის სახით არის ჩამოყალიბებული. ამასთანავე კანონმდებელი არ აკონკრეტებს კომპიუტერულ სისტემაში შეღწევის მეთოდს, რაც კონვენციის ავტორთა აზრით, უზრუნველყოფს ნორმის სტაბილურობას მომავალში ტექნოლოგიების განვითარებასთან მიმართებაში. 284-ე მუხლის შენიშვნა,კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ ევროკონვენციის საფუძველზე, გვთავაზობს კიბერდანაშაულის შემადგენელი ძირითადი ტერმინების განმარტებებს, სახელდობრ, კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით,აგრეთვე მობილური ტელეფონი). როგორც 284-ე მუხლის ტექსტიდან ჩანს,დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს თავისთავად კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, ანუ დანაშაული დასრულებულად ითვლება უნებართვო შეღწევის (წვდომის) განხორციელების მომენტიდან და არა სისტემაში არსებული მონაცემის დაუფლების, დაზიანების ან სხვა მავნე შედეგის დადგომიდან. მაშასადამე, 284-ე მუხლის ახალი რედაქციით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის საკმარისია კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა. ამავე მუხლის შენიშვნის მიხედვით, უნებართვო გულისხმობს უკანონოს,აგრეთვე იმ შემთხვევას,როდესაც უფლების მფლობელს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუცია უფლება ქმედების ჩამდენი პირისათვის. ამგვარად, 284-ე მუხლის **ძველი რედაქციისაგან განსხვავებით**, იმისათვის რომ ქმედება დანაშაულად ჩაითვალოს არსებითია არა ის თუ რამდენადაა კანონით დაცული ინფორმაცია,

რომელშიც ხორციელდება შეღწევა, არამედ ის, რომ განხორციელდა მოქმედება – კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა. „შეღწევა“ გულისხმობს კონკრეტულ მოქმედებას,რომლის შედეგიც არის კომპიუტერული სისტემის მთლიანობის დარღვევა. ეს მოქმედება შეიძლება განხორციელდეს როგორც კომპიუტერთან უშუალო ფიზიკური შეღწევით,ისე სხვადასხვა პროგრამული საშუალებების გამოყენებით (კომპიუტერულ ქსელში შესვლა).

ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

ბრალის ფორმის მიხედვით განსახილველი დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რაზეც სიტყვები „უნებართვო შეღწევა“ მიანიშნებს. ყურადსაღებია, რომ შესაძლებელია შეღწევა მოხდეს შემთხვევით, ქსელების ან IP მისამართების აღრევისას ან ISP-ის ტექნიკური ხარვეზით, რაც არ დაისჯება,რადგან გამოყენებას ადგილი არ ექნება. დანაშაულის მოტივი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ანგარება,შურისძიება,ხულიგნური და სხვ. რაც შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს (284ე მუხლის მეორე ნაწილი), მათ არსებითი ცვლილება არ განუცდიათ, მაგრამ კანონმდებელმა დააზუსტა მნიშვნელოვანი ზიანი, 284-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით მნიშვნელოვნად ითვლება 2000 ლარზე მეტი ოდენობის ზიანი. (ძირითადად ეს არის სისტემის უსაფრთხოებაზე დახარჯული თანხები) ჯგუფური დანაშაულის ცნება მოცემულია სსკ 27-ე მუხლში. არაერთგზისი დანაშაული მე-15 მუხლის საფუძველზე უნდა განიმარტოს. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც შესაბამისი ორგანიზაციის მოსამსახურეთა მხრიდან, რომლებიც კომპიუტერული სისტემის ექსპლუატაციას ეწევიან,ისე გარეშე პირთა მხრიდან, რომლებიც თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებენ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შესაღწევად.

კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება (მუხლი 285)

საქართველოს სსკ 285-ე მუხლი მთლიანად შეიცვალა, მასში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ ევროკონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომლითაც რეკომენდებულია ისეთი ქმედებების კრიმინალიზაცია, როგორიცაა: იმ მოწყობილობების და კომპიუტერული პროგრამების,

კომპიუტერული პაროლის, დაშვების კოდის ან მსგავსი მონაცემის (რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მთლიან კომპიუტერულ სისტემაზე ან მის ნაწილზე დაშვების მიღწევა) წარმოება, გაყიდვა, მომარაგება, გავრცელება ან იმპორტი, მაგალითად, აწარმოებენ ბიზნესს „გატეხილი“ ვინდოუსის კოდებით და ასევე არაერთი პროგრამის სარეგისტრაციო მონაცემები გატეხეს და გაყიდეს მსოფლიოში, რომელთა გამოყენებითაც ხდება კონვენციის მე-2 და მე-5 მუხლებში ჩამოთვლილი დანაშაულების ჩადენა. ამგვარად, 285-ე მუხლში ტრანსფორმირებულია კონვენციის მე-6 მუხლის რეკომენდაცია ტექნიკური მოწყობილობის არაკანონიერი გამოყენების კრიმინალიზაციის შესახებ.

კომპიუტერულ დანაშაულთა მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ტექნიკური და პროგრამული ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა, რომლებიც გამოიყენება დანაშაულის ჩადენის მიზნით. ასეთი მოწყობილობების უმეტესობა ხელმისაწვდომია, ხშირად უფასო, ადვილად ასამუშავებელი და მათი გამოყენება, ხშირად, შეუძლიათ სპეციალური ცოდნის არმქონე ადამიანებსაც კი. პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება შესაძლოა უკაბელო კომუნიკაციის გადაცემის დროს ხელში ჩაგდების მიზნით ან ღია, უკაბელო ქსელის („Wardriving“) აღმოჩენისათვის, დაშიფრული ფაილების გაშიფვრისა და (DoS) შეტევებიისათვის. ასეთი დანაშაულის ჩადენა მოითხოვს გარკვეული მოწყობილობის ქონას, იქმნება შავი ბაზარი, სადაც ხდება მათი წარმოება და გასაღება. გარდა ამისა, ხშირია კოდური სიტყვების გაცვლაც, რაც საშუალებას აძლევს დამნაშავეებს მოახდინონ სისტემაში არასანქცირებული შეღწევა.

კონვენციის ავტორებმა, გაითვალისწინეს რა ყველა ეს მოვლენა, გადაწყვიტეს განესაზღვრათ კონკრეტული არაკანონიერი ქმედებები, დაკავშირებული მოწყობილობებთან და ტექნიკასთან ან მონაცემებში შეღწევასთან კომპიუტერული სისტემის ან მისი მონაცემების კონფიდენციალურობის, ინტეგრირებულობისა და ხელმისაწვდომობის ხელყოფის მიზნით, როგორც დამოუკიდებელი სისხლის სამართლის დანაშაული.[67]

[67] 1 კიბერდამნაშავეობის შესახებ კონვენციის მუხლი 6 – ტექნიკური მოწყობილობის არაკანონიერი გამოყენება

(1) ყველა მხარე განსაზღვრავს და დაამტკიცებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც საჭირო იქნება ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევისათვის, როცა ეს დანაშაული ჩადენილია წინასწარი განზრახვით: შემდეგი მოწყობილობის წარმოება, გაყიდვა, გამოსაყენებლად შეძენა, იმპორტი, გავრცელება და სხვაგვარად ხელმისაწვდომად ქცევა: კომპიუტერული პროგრამის მოწყობილობა, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი იმ დანაშაულის ჩადენის მიზნით, რომ-

ასეთი ტექნიკისაგან მომავალ საფრთხეს სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაცია მიენიჭება მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მიზნით დამზადების, შენახვის, გაყიდვის, გავრცელების ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის შემთხვევაში. სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობის ფაქტორი არის, ერთის მხრივ, პირველ პუნქტში განსაზღვრული აღჭურვილობა, რომლითაც ხდება კომპიუტერული დანაშაულის ჩადენა და, მეორეს მხრივ, კოდური სიტყვები, რომლითაც ხდება შეღწევა სისტემაში. ამ მიმართებაში კონვენცია დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს ბევრ ქმედებას. გარდა წარმოებისა, დანაშაულად კვალიფიცირდება გაყიდვა, გამოსაყენებლად შეძენა, იმპორტი, გავრცელება და ტექნიკისა და კოდური სიტყვების სხვაგვარად ხელმისაწვდომად ქცევა. იგივე მიდგომა არსებობს ევროკავშირის საპატენტო უფლებების ჰარმონიზაციის კანონმდებლობაში (შემოიფარგლება იმ ტექნიკით, რომელიც საჭიროა ტექნიკური ღონისძიებების გვერდის ავლისათვის.).

კონვენციაში შეტანილია ისეთი მოწყობილობები,რომელთა გამოყენება შესაძლებელია კანონიერადაც. ევროკონვენციის ავტორები აღნიშნავენ იმ სირთულეებზე, რაც ახლავს კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენებას. მათი მოსაზრებით იმ ტექნიკური მოწყობილობების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც შეიძლება დანაშაულის ჩადენა, ძალზედ შეზღუდულია და იწვევს დაუძლეველ სირთულეებს გამოძიების დროს. ამიტომ მე-6 მუხლში მოიაზრება ისეთი ტექნიკური

ლებიც განსაზღვრულია კონვენციის 2 და 5 მუხლებში.

კომპიუტერის კოდური სიტყვა, შემსვლელი პაროლი, ან მსგავსი მონაცემები, რომლითაც შესაძლებელია კომპიუტერის სისტემაში შეღწევა მთლიანად ან ნაწილობრივ შექმნილი იმ დანაშაულის ჩადენის მიზნით, რომლებიც განსაზღვრულია კონვენციის 2 და 5 მუხლებში.

ზემოაღნიშნულ პარაგრაფებში განსაზღვრული ნივთების ფლობა იმ დანაშაულის ჩადენის მიზნით, რომლებიც განსაზღვრულია კონვენციის 2 და 5 მუხლებში. მხარემ შესაძლოა მოითხოვოს ასეთი ტექნიკური აღჭურვილობის არსებობა და ფლობა, როგორც ფაქტი იმისათვის, რომ დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის დანაშაულად.

2. ეს მუხლი არ ანიჭებს სისხლის სამართლის კვალიფიკაციას ისეთ შემთხვევებს, როცა პირველ პუნქტში აღნიშნული აღჭურვილობის წარმოება,გაყიდვა,მოხმარებისათვის შეძენა, იმპორტი და გავრცელება არ ხდება დანაშაულის ჩადენის მიზნით, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 2 და 5 მუხლებში, არამედ, მისი მიზანია კომპიუტერული სისტემის ტესტირება ან მისი დაცვა.. ნებისმიერი მხარე ინარჩუნებს უფლებას, არ გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტი იმ პირობით, რომ მისი არგამოყენება არ შეეხება ამ მუხლის 1-(ა) ი პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური აღჭურვილობის გაყიდვას, გავრცელებას ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად ქცევას.

მოწყობილობებიც, რომელთა გამოყენება შესაძლებელია კანონიერადაც, მაგრამ ამგვარ ქმედებას დანაშაულად აქცევს მისი მიზანი.[68]

სსკ 285-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ნორმით დაცულ ინტერესს ანუ ხელყოფის ობიექტს წარმოადგენს კომპიუტერული სისტემის ან მისი მონაცემების კონფიდენციალობა, ინტეგრირებულობა, ხელმისაწვდომობა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება კომპიუტერული პროგრამის ან/და სხვა მოწყობილობის, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის, დაშვების კოდის ან სხვა მსგავსი მონაცემის უნებართვო დამზადებაში, (აქ საინტერესოა რომ ხშირ შემთხვევაში, კოდს ვერ დაამზადებ თუ სისტემას არ ქმნი, ანუ შემქმნელს შეუძლია მხოლოდ რომ დაამზადოს შექმნილის პაროლი/დაშვების კოდი), მოპოვებაში, შენახვაში, გაყიდვაში, გავრცელებაში ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარ უზრუნველყოფაში 35-ე თავით და სსკ 158-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით.

დანაშაული რამდენიმე ალტერნატიულ მოქმედებას მოიცავს, რომელიც ფორმალური შემადგენლობის სახით არის ჩამოყალიბებული.[69]

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

ბრალის ფორმის მიხედვით ეს დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რამდენადაც მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე. მსგავსი დანაშაულისათვის ევროკონვენციაც წინასწარ განზრახვას უკავშირებს პასუხისმგებლობას. მთავარი არგუმენტი ტექნიკის არაკანონიერ გამოყენებასთან დაკავშირებით, არის მტკიცებულება, რომ ურთიერთობა მოხდა დანაშაულის ჩადენის მიზნით. ტექნიკის უბრალო ფლობა არ მიანიშნებს დანაშაულის ჩადენის გეგმაზე, რადგან კომპიუტერული უზრუნველყოფა სრულიად ლეგიტიმური მიზნებისთვისაც გამოიყენება. ამიტომ საჭიროა სპეციალური განზრახვის დასაბუთება. მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა ეს მოტივები არ განსხვავდება სხვა კომპიუტერული დანაშაულის მოტივებისაგან.

სსკ 285-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები იგივე შინაარსისაა, რაც სსკ 284-ე მუხლში.

---

[68] იხ. ევროსაბჭოს ტრენინგი ქსელურ დანაშაულში/ www.coe.int/cibercrime

[69] პაროლის შექმნა დანაშაულის ჩასადენად ჯერ კიდევ არაა დასჯადი, ვიდრე არ მოხდება მისი გამოყენება. ამასთან, პაროლის დამზადების აკრძალვა არის პრევენციული ხასიათის.

კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა (მუხლი 286)

საქართველოს სსკ 286-ე მუხლის ახალ რედაქციაში ტრანსფორმირებულია კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ ევროკონვენციის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული რეკომენდაციები. კერძოდ, მე-4 მუხლით რეკომენდებულია ისეთი ქმედებების კრიმინალიზაცია როგორიცაა კომპიუტერულ მონაცემთა დაზიანება, წაშლა, გაუარესება, შეცვლა ან გადამალვა, ხოლო მე-5 მუხლით – ნებართვის გარეშე კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების არსებითი შეფერხება კომპიუტერულ მონაცემთა შეყვანის,გადაცემის,დაზიანების,წაშლის, გადამალვის გზით.

კონვენციის მე-4 მუხლი შეიცავს დებულებას, რომელიც მონაცემთა ინტეგრირებულობას იცავს არასანქცირებული და არაკანონიერი ჩარევისაგან. რეკომენდაციის მიზანია არსებული ხარვეზების შევსება სისხლის სამართლის ეროვნულ კოდექსებში და კომპიუტერული სისტემებისა და პროგრამების იმგვარი დაცვა,როგორიც აქვთ კორპორაციულ სუბიექტებს წინასწარ განზრახული დაზიანების საწინააღმდეგოდ.[70]

კონვენციის მე-4 მუხლი არა მხოლოდ დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს კომპიუტერული მონაცემების დაზიანებას და წაშლას, მაგალითად ვირუსის საშუალებით, არამედ კონვენციის შემქმნელებმა დაამატეს ისეთი ქმედებაც, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მსგავსი დაზიანება. ერთ-ერთი ასეთი ქმედება არის კომპიუტერულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა. თუ კომპიუტერის ვირუსი ცვლის მონაცემების შინაარსს, ეს უთანაბრდება ფაილის წაშლას. ამასთანავე, ქმედება ჩადენილი უნდა იყოს წინასწარი განზრახვითა და სანქციონირების გარეშე.

საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესის წარმოებისა და ელე-

---

[70] ევროკონვენციის მუხლი 4 – მონაცემებში ჩარევა
ყველა მხარე განსაზღვრავს და დაამტკიცებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც საჭირო იქნება ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევისათვის, როცა ეს დანაშაული ჩადენილია წინასწარი განზრახვით და არაკანონიერად და მოიცავს მონაცემთა დაზიანებას, წაშლას, დამახინჯებას, შეცვლას ან ბლოკირებას.
ნებისმიერ მხარეს შეუძლია დაიტოვოს უფლება, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია მიეცეს პირველი პუნქტით განსაზღვრულ მხოლოდ იმ დანაშაულს, რომელსაც თან სდევს სერიოზული ზიანი.

ქტრონული კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ელემენტს წარმოადგენს. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიის ინტეგრირებულობამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ორგანიზაციების საქმიანობა დამოკიდებული გახდა ასეთი მომსახურების მიღებაზე. მნიშვნელოვანი მომსახურების შეწყვეტა იწვევს უარყოფით ზემოქმედებას. მაგალითად, თუ მიუწვდომელია სერვერი, რომელიც პასუხისმგებელია კომუნიკაციაზე, მომხმარებლები იძულებულნი ხდებიან, გადაერთონ კომუნიკაციის სხვა საშუალებებზე. ალტერნატიული მომსახურების არსებობა კომპიუტერული უსაფრთხოების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა დამატებითი სისტემების შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯის გაწევის ფუფუნება არ გააჩნია ინტერნეტის მომხმარებლების უმრავლესობას. მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ზეგავლენა მრავალი გზით შეიძლება განხორციელდეს. გარდა ავარიების შედეგად გამოწვეული წყვეტისა, არსებობს უამრავი საშუალება, რასაც იყენებენ დამნაშავეები ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი საშუალება არის მაგალითად, ინტერნეტის სერვერის ფიზიკური დაზიანება. ფიზიკურად ადგილზე ყოფნის გარეშე კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების წყვეტა შესაძლებელია ვისრუსის გამოყენებით,რომელიც შლის მნიშვნელოვან ფაილებს. თუმცა, კომპიუტერული ვირუსის საშუალებით შეტევის წარმატებული განხორციელებისათვის, საჭიროა დამცავი საშუალებების გვერდის ავლა. დამცავი სისტემის კონფიგურაციიდან გამომდინარე, შესაძლოა უნიკალური სირთულეებისა და ბარიერების შექმნა, ამიტომ, კომპიუტერის სისტემის ფუნქციონირებაში ჩარევის მესამე საშუალება ძალზედ პოპულარული გახდა ბოლო ხანებში. ცნობილი ვებ-გვერდების დიდი რაოდენობა გახდა „მომსახურებაზე უარი" შეტევის მსხვერპლი /"Denial-of-Service" (DoS) attacks./ ასეთ დროს,დამნაშავეები კომპიუტერული სისტემისაკენ მიმართავენ იმაზე მეტ თხოვნას, რამდენის დამუშავების შესაძლებლობაც აქვს ამ სისტემას. ასეთი შეტევით შესაძლებელია საკმაოდ დიდი შესაძლებლობების მქონე სისტემის დაზიანებაც კი.[71]

ამგვარად, საქართველოს სსკ 286-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ნორმით დაცულ ძირითად ინტერესს წარმოადგენს კომპიუტერული სისტემის ინტეგრირებულობა და ნორმალური ფუნქციონირება. ამასთანავე, 286-ე მუხლით გათვალისწინებულმა ქმედებამ შეიძლება ხელყოს კომპიუტერული სისტემის მფლობელის ინტერესები და მომხმარებელთა უფლებები.

დანაშაულის **ობიექტური შემადგენლობა** მოიცავს ისეთ მოქმედე-

[71] იხ. ევროსაბჭოს ტრენინგი ქსელურ დანაშაულში / www.coe.int/cibercrime

ბებს, როგორიცაა კომპიუტერული მონაცემის უნებართვო დაზიანება, წაშლა, შეცვლა ან დაფარვა. კომპიუტერული მონაცემის დაზიანება და სხვა მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს როგორც კომპიუტერულ სისტემაში ფიზიკური შელწევით, ასევე ისეთი პროგრამული უზრუნველყოფით, როგორიცაა კომპიუტერული ვირუსები.

კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია,[72] მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.

სსკ 286-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია უფრო მძიმე დანაშაული, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, აგრეთვე კომპიუტერული მონაცემის უნებართვო ჩასმა ან გადაცემა, რამაც კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების განზრახ მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია. როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია შედეგიანი შემადგენლობა,კერძოდ,კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებაში უკანონო ჩარევამ უნდა გამოიწვიოს სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი შეფერხება. აქედან გამომდინარე, საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. კომპიუტერული მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ზეგავლენა მრავალი გზით შეიძლება განხორციელდეს. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისათვის დამნაშავენი იყენებენ ისეთ საშუალებებს როგორიცაა მაგალითად, ინტერნეტის სერვერის ფიზიკური დაზიანება, ვირუსები, დოს შეტევები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპერატორების ინტერესების დაცვისა და მომხმარებლებისათვის სატელეკომუნიკაციო საშუალებებთან სათანდო შელწევის უზრუნველყოფის მიზნით, კონვენციაში ჩადებულია მუხლი 5, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს კომპიუტერული სისტემის კანონიერი გამოყენების შეგნებულ შეფერხებას.[73]

კონვენციის მე-5 მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულის კვალ-

[72] ეს უმნიშვნელოვანესი დეტალია. მაგ., new word document.aaa სრულიად უვარგისი ინფორმაციაა სანამ არ გადაიქცევა .docx-ად

[73] კიბერდამნაშავეობის შესახებ კონვენციის მუხლი 5 – სისტემაზე ზემოქმედება/ სისტემაში ჩარევა. ყველა მხარე განსაზღვრავს და დაამტკიცებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც საჭირო იქნება ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევისათვის, როცა ეს დანაშაული ჩადენილია წინასწარი განზრახვით/ შეგნებულად და იწვევს კომპიუტერული სისტემის სერიოზულ შეფერხებას უფლების გარეშე, კომპიუტერული მონაცემების შეყვანით, გადაცემით, დაზიანებით, წაშლით, შეცვლით ან დაბლოკვით.

იფიკაციას არ ანიჭებს ისეთ კონკრეტულ ქმედებას,რასაც შედეგად მოაქვს სისტემაზე ზემოქმედება, მაგრამ მოიცავს ყველა საქმიანობას, რომელიც ერევა კომპიუტერული სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაში. ამაში შედის სერვერის ფიზიკური დაზიანება, ვირუსი ან DoS შეტევები. ის ფაქტი, რომ მე-5 მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს გარკვეულ ქმედებებს, საშუალებას აძლევს კონვენციის ხელმომწერ მხარეებს ასეთი კვალიფიკაცია მიანიჭონ მხოლოდ ისეთ შეტევებს,რომლებიც ხორციელდება მნიშვნელოვანი სერვერების წინააღმდეგ ან როცა შედეგი არის სერიოზული დაზიანება. ასეთი ქმედება უნდა იყოს წინასწარი განზრახვით/შეგნებული და არასანქცირებული/უკანონო. როგორც აღინიშნა, საინფორმაციო ტექნოლოგიები თანამედროვე ბიზნესის მნიშვნელოვანი ელემენტია,რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ამიტომ კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების განზრახ შეფერხებას მნიშვნელოვანი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესებისათვის. კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების შეფერხება შესაძლებელია როგორც ფიზიკური დაზიანებით (მაგალითად, ინტერნეტ კაბელის დაზიანება, ინტერნეტ სერვერის ფიზიკური დაზიანება), ასევე კომპიუტერული ვირუსების გამოყენებით. აქვე მოიაზრება კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებაში უკანონო ჩარევის სხვადასხვა შემთხვევები.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

ბრალის ფორმის მიხედვით ეს დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. კიბერდანაშაულის შესახებ ევროკონვენცია ხაზს უსვამს,რომ კონვენციის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული., რომელიც ტრანსფორმირებულია საქართველოს სსკ 286-ე მუხლში, არ შეიძლება ჩადენილი იქნეს წინასწარი განზრახვის გარეშე. დანაშაულის მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

სსკ 286-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები იგივე შინაარსისაა, რაც 284-ე მუხლით აღწერილ დანაშაულში.

თავი IV

დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ

ზოგადი დებულებები

მსოფლიოს გლობალურ პრობლემებს შორის გარემოს დაცვა ერთერთი უპირველესია. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი ტემპი ანთროპოგენური ზემოქმედებით ბუნებრივი გარემოსათვის მიყენებულ ზიანს სულ უფრო ზრდის და ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს ქმნის. ასეთ ვითარებაში, გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას, საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ჰარმონიულ შეხამებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თავისი ბუნებით ეკოლოგიური სისტემა გლობალურია, ის სცილდება ნაციონალურ ინტერესებს, სწორედ ამიტომაც საჭიროა ბუნებრივი გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა და სახელმწიფოთა თანამშრომლობა ამ სფეროში, რამეთუ ცალკე აღებულ სახელმწიფოთა ძალისხმევა გარემოს დასაცავად არასაკმარისია ბუნებრივი გარემოს გლობალურად დაცვის უზრუნველსაყოფად.

გარემოს დაცვის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება,რომელიც ხელყოფს შიდასახელმწიფო ან საერთაშორისო სამართლის ნორმებით დადგენილ ეკოლოგიურ მართლწესრიგს, ანუ სამართლებრივ ურთიერთობებს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ცალკე კარი დაუთმო ეკოლოგიურ დანაშაულს. XXXVI თავი – დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ ოც შემადგენლობას აერთიანებს. განსახილველ დანაშაულთა გვარეობით ობიექტს წარმოადგენს ის საზოგადოებრივი ურთიერთობები,რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ჯანმრთელობისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმებისათვის უვნებელ გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, ბუნებრივი რესურსებით რაციონალურად სარგებლობას, მოსახლეობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

ეკოლოგიურ **დანაშაულთა საგანს** წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს სხვადასხვა ელემენტი – ჰაერი, მიწა, წყალი, ცხოველები, მცენარეები და სხვ., ე.ი. ბუნებრივი წარმოშობისა და გარემოსთან ეკოლო-

გიურად დაკავშირებული ობიექტები, რომელთა შექმნაზეც არ არის დახარჯული ადამიანის შრომა. ამიტომ ეკოლოგიურ დანაშაულს არ მიეკუთვნება იმ ბუნებრივი ობიექტის ხელყოფა, რომელიც გამოვიდა ბუნებრივი გარემოდან და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობად გადაიქცა, მაგალითად, მოპოვებული ნავთობი და სხვა წიაღისეული, ხეტყე, ზოოპარკებში ბინადარი ნადირ-ფრინველთა ქურდობა და სხვა.

ეკოლოგიურ დანაშაულთა ხელყოფის უშუალო ობიექტები დაკონკრეტებულია ამა თუ იმ შემადგენლობაში,მათი კლასიფიკაციაც იმის მიხედვით ხდება,თუ ბუნებრივი გარემოს შემადგენელ რომელ ელემენტზე ხორციელდება ხელყოფა (დაზიანება ან საფრთხის შექმნა).

ეკოლოგიურ დანაშაულთა **ობიექტური მხარე** შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში, რომელიც არღვევს ეკოლოგიურ კანონმდებლობას და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. ამ დანაშაულთა უმრავლესობას მატერიალური შემადგენლობა აქვს, თუმცა გვხვდება ფორმალური შემადგენლობებიც (მაგალითად, ზღვის დაბინძურება 293ე მუხლი).

ბრალის ფორმის მიხედვით ეკოლოგიურ დანაშაულთა ჩადენა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებს (მოტივსა და მიზანს) ამ დანაშაულთა კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 287-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ეკოლოგიური უსაფრთხოება სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას.

ბუნებრივ სიმდიდრეთა შენარჩუნებისა და რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება ისეთი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც მავნე გავლენას მოახდენს გარემოს მდგომარეობაზე. გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მიხედვით, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებისა და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე

კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოსდაცვითი ნებართვა, რომლის გაცემის წესს ადგენს საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ (1996 წ.). საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის აუცილებელი პირობაა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (1996 წ.). სამეურნეო საქმიანობის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა არის სახელმწიფო ნებართვის ერთ-ერთი ფორმა ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებაზე, რათა არ იქნეს დაშვებული ისეთი სამეურნეო და სხვა ობიექტების დაგეგმვა, დაპროექტება და აშენება, რომლებიც ვერ პასუხობენ ბუნების დაცვის მოთხოვნებს.[74]

287-ე მუხლში აღწერილი დანაშაულის **ობიექტური მხარე** მოიცავს მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც გამოიხატება დისპოზიციით გათვალისწინებული სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევაში, შედეგსა და მიზეზობრივ კავშირში მათ შორის.

მოქმედება ან უმოქმედობა,რომელიც არღვევს გარემოს დაცვის წესს, განხორციელებულ უნდა იქნეს სამუშაოს წარმოებისას, ე.ი. სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო ან სხვა ობიექტების დაპროექტების, განლაგების, რეკონსტრუქციის, მშენებლობის, საექსპლუატაციოდ გადაცემის ან ექსპლუატაციის დროს.

სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესი შეიძლება დარღვეულ იქნეს როგორც მოქმედებით, მაგალითად, გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევით, ისე უმოქმედობით, მაგალითად, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოთხოვნების შეუსრულებლობით. დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია **საზიანო შედეგი**, რაც შეიძლება გამოიხატოს რადიაციული ფონის არსებით გაუარესებაში, ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებაში, ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროს მასობრივ განადგურებაში ან სხვა მძიმე შედეგში. რადიაციული ფონის არსებითი გაუარესება გულისხმობს ბუნებრივი რადიაციული ფონის (გამოსხივების დოზის) შეცვლას ადამიანის საქმიანობის შედეგად, რაც საფრთხეში აგდებს ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკოლოგიურ სისტემას.

ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება მოიცავს ნებისმიერი სიმძიმის დაზიანების მიყენებას ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროს მასობრივი განადგურება

[74] ა. ლაბარტყავა, ეკოლოგიური სამართალი, თბ., 2003, გვ. 95-96.

ნიშნავს განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთი ან რამდენიმე სახეობის ცხოველის ან მცენარის ერთდროულად დიდი რაოდენობით მოსპობას.

სხვა მძიმე შედეგი გულისხმობს ბუნებრივი გარემოს ხარისხის გაუარესებას, მისი ცალკეული ობიექტების განადგურებას, მიწების დეგრადაციას და გარემოს სხვა ნეგატიურ ცვლილებებს.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია **მიზეზობრივი კავშირი** გარემოს დაცვის წესის დარღვევასა და საზიანო შედეგს შორის. მაშასადამე, ამ დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა აქვს და იგი დამთავრებულად ჩაითვლება გარემოს დაცვის წესის დარღვევის გამო საზიანო შედეგის დადგომის მომენტში. ამასთანავე, ეს შედეგი გამოწვეული უნდა იყოს 287-ე მუხლის დისპოზიციაში მითითებული ერთ-ერთი სახის სამუშაოს წარმოების პროცესში გარემოს დაცვის წესის დარღვევის შედეგად.

განსახილველი **დანაშაულის სუბიექტი** შეიძლება იყოს ის პირი, ვისაც დაკისრებული აქვს სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის შესრულების უზრუნველყოფა.

რაც შეეხება ბრალის ფორმას, იგი განზრახვას გულისხმობს. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებს (მოტივსა და მიზანს) კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 288-ე)

განსახილველი ქმედება წარმოადგენს ეკოლოგიური დანაშაულის ზოგად შემადგენლობას, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს საშიშ ნივთიერებებსა და ნარჩენებთან მოპყრობის წესის დარღვევისათვის. მსგავსი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ეკოლოგიურად საშიში ნივთიერებისა და ნარჩენის ბრუნვის დადგენილი წესის დაცვის უზრუნველყოფას.

სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ეკოლოგიური უსაფრთხოება. დანაშაულის საგანია ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერება ან ნარჩენი. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ტოქსიკური,ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევაში მისი წარმოების, ტრანსპორტირების, განთავსების, შენახვის, ჩამარხვის ან გამოყენების დროს,

რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.

სსკ 288-ე მუხლით აღწერილ ნორმას ბლანკეტური დისპოზიცია აქვს. გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესები რეგლამენტირებულია ისეთი ნორმატიული აქტებით, როგორიცაა: საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულება „საშიში ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ“, დებულება „საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის წესის შესახებ“, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულება „გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმებისა და მათი ტრანსპორტირების შენახვისა და გამოყენების წესების შესახებ“, დებულება „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესანახი სასაწყობო მეურნეობის შესახებ“ და სხვა.

სსკ 288-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მოცემულია საფრთხის შემქმნელი დელიქტი, რომელიც დამთავრებულად ითვლება გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანების, ანდა სხვა მძიმე შედეგის საფრთხის წარმოქმნის მომენტიდან.

288-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმავე ქმედებისათვის, რამაც გამოიწვია გარემოს დაბინძურება, მოწამვლა ან დასნებოვნება, ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა და მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება,ასევე ამძიმებს პასუხისმგებლობას იმავე ქმედების ჩადენა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში.

288-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა მატერიალურია. იგი დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული მავნე შედეგის დადგომისას.

გარემოს დაბინძურება გულისხმობს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებას.

გარემოს მოწამვლა დაბინძურების ერთ-ერთი სახეა და გულისხმობს მისი ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებას ტოქსიკური ნივთიერებითა და ნარჩენით გაჯერების (გაჟღენთის) შედეგად.

დასნებოვნება გულისხმობს ბუნებრივ გარემოში ისეთი მიკროორგანიზმების შეტანას, რომელიც იწვევს ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებას.

გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები განისაზღვრება

ყოველ ხუთ წელინადში ერთხელ დებულებით „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. სხვა მძიმე შედეგებზე უკვე იყო საუბარი 287-ე მუხლის განხილვისას, რაც შეეხება აღნიშნული დანაშაულის ჩადენას საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ტერიტორია, სადაც საქმიანობის ან სტიქიური უბედურების შედეგად გაუარესდა გარემოს მდგომარეობა და საფრთხე შეექმნა ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროს, ცხადდება საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონად; ხოლო ტერიტორია, სადაც საქმიანობის, ავარიის, კატასტროფისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაირღვა ეკოლოგიური წონასწორობა, საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლეს, ცხადდება ეკოლოგიური უბედურების ზონად. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს მომეტებული საფრთხის შემცველია.

288-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ადამიანთა მასობრივი დაავადება. დაავადება მასობრივად ჩაითვლება მაშინ,როცა მწყობრიდან გამოდის ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა ქრონიკული ავადმყოფობის აღმოცენებასთან,მაგალითად, სასუნთქი ორგანოების, სისხლის, კანისა და სხვა დაავადება. დანაშაულის სუბიექტი როგორც ძირითად,ისე კვალიფიციურ შემადგენლობებში შეიძლება იყოს პირი, რომელსაც შესაბამისი ნორმატიული ან სხვა სამართლებრივი აქტით დაკისრებული აქვს გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დაცვა – მისი წარმოების, ტრანსპორტირების, განთავსების, შენახვის, ჩამარხვის ან გამოყენების დროს.

რაც შეეხება დანაშაულის ბრალის ფორმას, 288-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს, ხოლო მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მძიმე შედეგები გაუფრთხილებლობით დგება.

მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 289-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ეკოლოგიური უსაფრთხოება, ხოლო დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

დანაშაულის საგანია მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტი და ტოქსინი. ეს არის ცოცხალი ორგანიზმები, მათ შორის მიკროორგანიზმები – ვირუსი, ბაქტერია, სხვა ბიოლოგიური აგენტი, ცოცხალი ორგანიზმიდან წარმოებული ან გენური ინჟინერიის მეთოდით მიღებული ნივთიერება,რომელთა პათოგენურ თვისებებს შეუძლიათ ადამიანების, ცხოველების ან მცენარეების მასიური დაავადება ან მოსპობა. მაშასადამე,დანაშაულის საგანს წარმოადგენს ბაქტერიული,მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის მიკროორგანიზმები და ცილოვანი ბუნების რთული შენაერთები, რომელთაც ცოცხალ ორგანიზმში მოხვედრისას ან მასთან კონტაქტისას შეუძლიათ მათი დაავადება ან მოსპობა. მიკრობიოლოგიურ აგენტებს მიეკუთვნება ვირუსი, ბაქტერია, გენეტიკურად შეცვლილი მიკროორგანიზმი. ბიოლოგიური ტოქსინი არის ცილოვანი სტრუქტურის შხამი, რომელსაც გამოყოფს ბაქტერიული, მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ცოცხალი ორგანიზმი.

დანაშაულის ობიექტური მხარე მდგომარეობს მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევაში, შედეგში, რაც გამოიხატება ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებაში, ეპიდემიის ან ეპიზოოტიის გავრცელებაში ან გარემოსათვის სხვა მძიმე შედეგსა და მიზეზობრივ კავშირში აღნიშნული წესების დარღვევასა და საზიანო შედეგთან.

მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესები განსაზღვრულია სხვადასხვა ნორმატიული აქტით, ამიტომ საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაირკვეს რომელი წესის დარღვევას ჰქონდა ადგილი, რომელმაც მიზეზობრივად განაპირობა კანონში მითითებული საზიანო შედეგი.

მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისა და ტოქსინისადმი მოპყრობა მოიცავს მათი წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების, გამოყენების, განადგურების, გაუვნებელყოფისა და სხვა პროცესებს. უსაფრთხოების წესების დარღვევა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც განსახილველი

დანაშაულის შედეგი, მოიცავს ნებისმიერი ხარისხის ზიანის მიყენებას ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ეპიდემიის ან ეპიზოოტიის გავრცელება გულისხმობს ინფექციურ დაავადებათა მასიურად გავრცელებას შესაბამისად ადამიანთა (ქოლერა, შავი ჭირი, ყვავილი და სხვ.) ან ცხოველთა შორის (ციმბირის წყლული და სხვ.). გარემოსათვის სხვა მძიმე შედეგს შეიძლება მივაკუთვნოთ ეპიფიტოტია (მცენარეთა მასობრივი ინფექციური დაავადება), წყალმომარაგების წყაროების მოწამვლა (დასნებოვნება), მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯები გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის აღსადგენად და სხვა.

სსკ 289-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული თავისი კონსტრუქციით მატერიალურია და დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული ერთ-ერთი შედეგის დადგომის მომენტიდან.

დანაშაულის **სუბიექტი სპეციალურია** – პირი, რომელსაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ან პროფესიული მოვალეობით დაკისრებული აქვს მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი და ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დაცვა სამედიცინო,სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, სამეცნიერო და საქმიანობის სხვა სფეროებში.

289-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ბრალის ფორმის მიხედვით გულისხმობს როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას.

298-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმავე ქმედებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. კვალიფიციური შემადგენლობა შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ გაუფრთხილებლობაში.

მუხლი 289¹ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევა

ნორმით დაცულ ძირითად ინტერესს წარმოადგენს გარემო და ბიომრავალფეროვნება, ხოლო დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

დანაშაულის ობიექტური მხარე ბლანკეტური ფორმით არის ჩამოყალიბებული, სახელდობრ, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევა, რომელიც განსაზღვრულია კანონით გენმოდიფიცირებული

ორგანიზმების შესახებ, ასევე, საქართველოს მთავრობის N759 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „საქართველოს ტერიტორიაზე ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის პირობების შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით. სისხლის სამართლის წესით **დასჯადია არა თავისთავად ზემოაღნიშნული წესების დარღვევა,** არამედ თუ ამ წესების დარღვევას მოჰყვა საზიანო შედეგი, კერძოდ,ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან/და გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგი.

სსკ 289[1]მუხლის **მეორე ნაწილით** გათვალისწინებულია ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე, **რამაც გამოიწვია** ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან/და გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგი.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ კანონის მეათე მუხლის მიხედვით გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება საჭიროებს ლიცენზიას,რომელსაც გასცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ლიცენზიის მიღების პირობებს ადგენს ხსენებული კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი.

საზიანო შედეგები იგივეა, რაც პირველ ნაწილში. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებაში იგულისხმება ნებისმიერი ხარისხის დაზიანება. რაც შეეხება გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგს, ის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.[75]

მაგალითად, რამდენიმე წლის წინ საქართველოში შემოიტანეს და დათესეს გენმოდიფიცირებული სიმინდი. ბუნებრივი დამტვერვის შედეგად ეს სიმინდი შეიძლება შეჯვარდეს სიმინდის ადგილობრივ ჯიშებთან და დაიკარგოს საქართველოს ამა თუ იმ რეგიონისათვის დამახასიათებელი სიმინდის ბუნებრივი სახეობები. მცენარის ბუნებრივი სახეობის დაკარგვა გარემოსათვის ზიანია. ამაში მდგომარეობს

---

[75] ბიომრავალფეროვნება ეს არის გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვისა და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში. (იხ. ბიომრავალფეროვნების კონვენცია – რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის 5 ივნისის კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“, რომელსაც საქართველო შეუერთდა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 21 აპრილის დადგენილებით).

ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგი.

იგივე შეიძლება ითქვას ცხოველებზეც.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მავნე ზემოქმედების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მესამე ნაწილით გათვალისწინებულია ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია ან/და საბაზრო ქსელში განთავსება.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში ინტროდუქცია, ასევე, აკრძალულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის საბაზრო ქსელში განთავსება.

გარემოში ინტროდუქცია ეს არის გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში შეტანა, ხოლო საბაზრო ქსელში განთავსება – ნებისმიერი მოქმედება, რომელიც გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს მესამე პირისათვის (მათ შორის, საბოლოო მომხმარებლისათვის) ხელმისაწვდომს ხდის გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ან უფასოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გენმოდიფიცირებული ორგანიზმი გამიზნულია ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისათვის.

სსკ 289[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების (წესების დარღვევა) ჩადენა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით, მძიმე შედეგები მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს. ამდენად, რადგან ამ ქმედების დასჯადობა მიბმულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომასთან, რაც დგება გაუფრთხილებლობით, საბოლოო ჯამში სახეზეა გაუფრთხილებელი დანაშაული. მეორე ნაწილშიც ქმედება განზრახია, შედეგები გაუფრთხილებელი. შესაბამისად, მე-2 ნაწილშიც სახეზეა გაუფრთხილებელი დანაშაული, რადგან თავად ქმედება შედეგის გარეშე არაა სს-ვი წესით დასჯადი. მესამე ნაწილი კი მხოლოდ განზრახვას გულისხმობს, რადგან იგი გამოიხატება მხოლოდ ქმედებაში და შედეგის დადგომას არა აქვს მნიშვნელობა.

დანაშაულის **სუბიექტურ ნიშნებს** (მოტივი და მიზანი) ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე, იურიდიული პირი.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ცხოველთა სამყაროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოება. დამატებით ობიექტად შეიძლება მოვიაზროთ მოსახლეობის ჯანმრთელობაც. დანაშაულის საგანია როგორც შინაური ცხოველები (პირუტყვი და ფრინველი), ისე გარეული ცხოველები,რომლებიც ბინადრობენ ხელოვნურად შექმნილ გარემო პირობებში ან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევაში,რამაც გამოიწვია ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი.

ვეტერინარიის სფეროში მოქმედებს მთელი რიგი ნორმატიული აქტები, ისეთი, როგორიცაა: საქართველოს კანონი „ვეტერინარიის შესახებ", კანონი „ვეტერინარული სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ" და სხვ.

ვეტერინარული ნორმები მიზნად ისახავს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას, ცხოველთა გადამდები ან ისეთი სნეულების პროფილაქტიკას, რომელიც გადამდები არ არის და ლიკვიდაციას, ვეტერინარულ-სანიტარიული თვალსაზრისით კეთილსაიმედო მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას, ცხოველთა და ადამიანთა საერთო სნეულებებისაგან მოსახლეობისა და ქვეყნის ტერიტორიის დაცვას და სხვა.

ვეტერინარული ნორმები შეიძლება დაირღვეს როგორც მოქმედებით, მაგალითად, დასნებოვნებულ პირუტყვის გაყიდვით, ისე უმოქმედობით, მაგალითად, პროფილაქტიკური აცრის ჩაუტარებლობა და სხვ.

დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია, მისი სავალდებულო ნიშანია შედეგი – ეპიზოოტიის გავრცელების ან სხვა მძიმე შედეგის სახით.

ეპიზოოტია არის გადამდები სნეულებით ერთდროულად მრავალი ცხოველის დასნებიანება განსაზღვრულ ტერიტორიაზე,დროის გარკვეულ მონაკვეთში. სხვა მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს ცხოველთა მასობრივად დახოცვაში, საძოვრების, ტყეების, წყალსატევების პროდუქტიულობის დაქვეითებაში, ცხოველთა გადამდები სნეულების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ და სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებაზე მნიშვნელოვან დანახარჯებში, დაავადების კერის ლიკვიდაციის შედეგად მნიშვნელოვან ზიანში და ა.შ.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, როგორც რიგითი მოქალაქე, ისე საჯარო მოხელე, რომელიც ვალდებულია დაიცვას ვეტერინარიის სფეროში მოქმედი ნორმები.

დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით.

სსკ 290-ე მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობას ადგენს ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების გავრცელება, ან სხვა მძიმე შედეგი.

ეპიზოოტიის გავრცელება როგორც დანაშაულის შედეგი, 290-ე მუხლის 1-ლ ნაწილითაც არის გათვალისწინებული და ამიტომ მისგან გამიჯვნის კრიტერიუმად ალბათ ცხოველთა გადამდები სნეულების გავრცელების მასშტაბი უნდა ავიღოთ; თუმცა ეს კანონის ტექსტიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს და კოლიზიას ქმნის.

ზოონოზური სნეულება არის ისეთი ინფექციური და ინვაზიური სნეულება, რომელიც ცხოველებს ცხოველებიდან გადაეცემა.

ზოოანთროპონოზური სნეულება – ისეთი ინფექციური და ინვაზიური სნეულებაა, რომელიც ადამიანს ცხოველებიდან გადაეცემა.

სხვა მძიმე შედეგში შეიძლება მოვიაზროთ თუნდაც ერთი ადამიანის დასნებოვნება გადამდები სნეულებით,დაავადების კერის სალიკვიდაციოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დანახარჯები და სხვა.

სსკ 290-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ბრალის ფორმის მიხედვით არ იცვლება.

წყლით სარგებლობის წესის დარღვევა (მუხლი 291-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია წყალზე სახელმწიფო საკუთრების უფლება, აგრეთვე ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყალსარგებლობის უფლებასა და წყლის რაციონალურად გამოყენებას.

საქართველოს კანონში წყლის შესახებ მოცემულია წყალსარგებლობის სახეობათა ჩამონათვალი, ასევე რეგლამენტირებულია წყალმოსარგებლეთა უფლებები და მოვალეობები.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება წყლის თვითნებურ მიტაცებაში ან ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებურ წარმოებაში საერთო სარგებლობის ქსელზე, აგრეთვე წყლით სარგებლობის წესის

სხვა დარღვევაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

წყლის თვითნებური მიტაცება არის სახელმწიფო საკუთრების წყლის ობიექტის ან მისი ნაწილის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე დაუფლება.

ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებური წარმოება საერთო სარგებლობის ქსელზე გულისხმობს სარწყავი არხებიდან წყლის უკანონოდ შეყვანას ეზოებში, მიწის მოსარწყავად, ამავე მიზნით სარწყავი არხის გადაჭრას, მისი მიმართულების შეცვლას, აგრეთვე წყალსადენებიდან უკანონოდ წყლის გამოყვანას ოჯახში,სასმელი წყლის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას და სხვა.[76]

291-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმას **ბლანკეტური დისპოზიცია** აქვს, ამიტომ საჭიროა შესაბამისი ნორმატიული თუ სხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაირკვეს წყლით სარგებლობის რომელი წესის დარღვევას ჰქონდა ადგილი. ამასთანავე, ამ დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა აქვს. წყლით სარგებლობის წესის დარღვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ იგი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ეს დანაშაული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული გადაცდომისაგან.

მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით, რაზეც მიანიშნებს სიტყვები: „თვითნებური მიტაცება“„სამუშაოთა თვითნებური წარმოება“. დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ წყლით სარგებლობისათვის და საერთო სარგებლობის ქსელზე ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოებისათვის საჭიროა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ნებართვა, რასაც იგი იგნორირებას უკეთებს და თვითნებობს. წყლით სარგებლობის სხვა წესის დარღვევას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით.

291-ე მუხლს 2011 წლის 27 დეკემბერს დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვით პირს ამ მუხლით, ამ კოდექსის 298-ე მუხლით, 299-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-300 მუხლით (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იმ ქმედებისა, რომელიც ჩადენილია სახელმწიფო ნაკრძალში ან აღკვეთილში, ანდა აკრძალულ დროს ან ადგილას, ან საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბე-

[76] ა. ლაბარტყავა, ეკოლოგიური სამართალი, გვ. 226.

დურების ზონაში, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მიმართ), 301-ე მუხლის პირველი ნაწილით, 303-ე მუხლის პირველი ნაწილით, 305-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება,თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში იგი გადაიხდის დაკისრებულ თანხას, ან ამავე ვადაში დაიდება გარემოსთვის მიყენებული ზიანის თაობაზე შეთანხმება. აღნიშნული 45-დღიანი ვადის ათვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღეები, რომელთა დროსაც გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის მოქმედება შეჩერებულია კანონის საფუძველზე.

ამ შენიშვნის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით პირისთვის პასუხისმგებლობის არდაკისრების შემდეგ,მის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის მიღებიდან ან გარემოსთვის მიყენებული ზიანის თაობაზე შეთანხმების დადებიდან (რომელიც უფრო გვიან დადგება) 2 წლის განმავლობაში აღნიშნული პირის მიერ იმავე ქმედების ხელახლა ჩადენის შემთხვევაში მასზე არ გავრცელდება ამ შენიშვნის მე-2 ნაწილის მოქმედება.

წყლის დაბინძურება (მუხლი 292-ე)

განსახილველი ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს შემადგენელი ძირითადი კომპონენტის – წყლის დაცვას და ამით სათანადო ეკობალანსის შენარჩუნებას. სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა (292-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნანილი). **დანაშაულის საგანია** წყლის ობიექტი. საქართველოს წყლები მათი ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებათა მიხედვით იყოფა ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებად.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება წყლის ობიექტის დაბინძურებაში, დანაგვიანებაში, დაშრეტაში ან მასზე სხვა ისეთ უარყოფით ზემოქმედებაში, რომელმაც შეიძლება დააზიანოს მოსახლეობის ჯანმრთელობა, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები, გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარის დაქვეითება, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის

დარღვევა.

წყლის დაბინძურებაში იგულისხმება წყლის ობიექტის გაჭუჭყიანება, გაჯერება ისეთი ნივთიერებითა და იმ რაოდენობით, რომელიც იწვევს წყლის ფიზიკური,ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების შეცვლას,წყლის ხარისხის გაუარესებას, რაც ზღუდავს ან საერთოდ გამორიცხავს ასეთი წყლის ობიექტის გამოყენებას სასმელი და კომუნალური, სასოფლოსამეურნეო, სამრეწველო და სხვა მიზნებისათვის.

წყლის დანაგვიანება არის წყლის ობიექტის გაჯერება უხსნადი საგნებით, მაგალითად, ჩაძირული მერქნით, ხე-ტყის დაცურების სხვა ნარჩენით, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენით, მაგალითად, წიდა, ლითონის ნარჩენი, სამშენებლო ნაგავი და სხვა. წყლის დაშრეტაში იგულისხმება წყლის ობიექტებში წყლის რაოდენობის სისტემატური შემცირება ადამიანთა საქმიანობის შედეგად.

წყლის ობიექტების დასაცავად დაბინძურებისაგან,დანაგვიანებისაგან და დაშრეტისაგან საქართველოს კანონი წყლის შესახებ,გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები შეიცავენ მთელ რიგ ამკრძალავ და მავალებელ ნორმებს.

სსკ 292-ე მუხლი ამომწურავად არ ჩამოთვლის წყლის ობიექტის დაბინძურების ხერხებს და მიანიშნებს მასზე სხვა ისეთ უარყოფით ზემოქმედებაზე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კანონში მითითებული საზიანო შედეგი. მაგალითად, ასაფეთქებელ, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოება წყლის ობიექტზე ან მასთან ახლოს. ამრიგად, წყლის ობიექტის დაბინძურება, დანაგვიანება, დაშრეტა ან სხვა უარყოფითი ზემოქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს იმ შემთხვევაში, თუ ის საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, თევზის მარაგს, ანდა თუ მას შეუძლია გააუარესოს წყალმომარაგების პირობები, წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებები, დააქვეითოს წყლის ობიექტის ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარი, დაარღვიოს მისი ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმი.

თავისი კონსტრუქციით 292-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა **საფრთხის დელიქტია**. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება წყლის ობიექტის დაბინძურების მომენტიდან და მძიმე შედეგის დადგომას ან მისი დადგომის კონკრეტულ საფრთხეს არა აქვს მნიშვნელობა.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია, როგორც პირდაპირი განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით.

292-ე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ადგენს იმავე ქმედებისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, აგრეთვე, თუ იგი ჩადენილია სახელმწიფო ნაკრძალის ან აღკვეთილის ტერიტორიაზე ანდა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში.

წყლის ობიექტის დაბინძურებით ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება გულისხმობს ადამიანის დასნებოვნებას ისეთი დაავადებით, რომელიც გამოწვეულია დაბინძურებული წყლით სარგებლობის შედეგად. ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროს მასობრივი განადგურება ნიშნავს განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთი ან რამდენიმე სახეობის ცხოველის ან მცენარის ერთდროულად დიდი რაოდენობით მოსპობას.

ამგვარი შედეგები შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ გაუფრთხილებლობით.

სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ცნებები განსაზღვრულია დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს 1996 წლის 7 მარტის კანონით. საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის და ეკოლოგიური უბედურების ზონის განსაზღვრება მოცემულია გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს 1996 წლის 10 დეკემბერის კანონში (43-44-ე მუხლები).

292-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები, სახელდობრ, 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ადამიანის სიცოცხლის მოსპობის გარდა სხვა მძიმე შედეგს შეიძლება მივაკუთვნოთ ბუნებრივი გარემოს ხარისხის გაუარესება, წყლის დაბინძურების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე მნიშვნელოვანი დანახარჯები და ა.შ. მძიმე შედეგი შეფასებითი ნიშანია და იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე. მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგი გამოწვეულია გაუფრთხილებლობით.

ზღვის დაბინძურება (მუხლი 293-ე)

განსახილველი ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზღვის სისუფთავესა და მართლზომიერ გამოყენებას.

დანაშაულის საგანია ზღვა და მისი ცოცხალი რესურსები. ზღ-

ვის გარემოს დაცვა გაჭუჭყიანებისაგან რეგლამენტირებულია მთელი რიგი საერთაშორისო და შიდასახელმწიფო ნორმატიული აქტებით (ჟენევის 1958 წლის კონვენცია ღია ზღვის შესახებ, საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ და სხვ.).

დანაშაულის **ობიექტური მხარე** მოიცავს ქმედებას, შედეგს, მიზეზობრივ კავშირს, აგრეთვე, დანაშაულის ჩადენის ადგილსა და მისი ჩადენის საშუალებას.

293-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს ალტერნატიულად ორი სახის მოქმედების განხორციელებაში: 1) გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების, სხვა ნარჩენის ანდა მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება). 2) აღნიშნული ნივთიერების, სხვა ნარჩენის ან მასალის ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება.

ზღვის დაბინძურება ნიშნავს ზღვის გარემოში ნივთიერებათა ან ენერგიის პირდაპირ ან არაპირდაპირ შეტანას, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ცოცხალ რესურსებს, საფრთხე შეუქმნას ზღვაში სიცოცხლის არსებობასა და ადამიანის ჯანმრთელობას, ხელი შეუშალოს ზღვაზე საქმიანობას, თევზჭერასა და ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, გამოიწვიოს გამოსაყენებელი წყლის ხარისხისა და დასვენების პირობების გაუარესება.

ზღვა შეიძლება დაბინძურებულ იქნეს გემიდან ან სხვა მცურავი საშუალებიდან ანდა კანონში მითითებული მავნე ზემოქმედების სხვა წყაროებიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების, ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონო ჩაყრით, აგრეთვე მათი ზღვაში ჩამარხვის წესის დარღვევით. ზღვაში ჩამარხვა ნიშნავს ნივთიერების, ნარჩენის ან მასალის წყლის სიღრმეში ჩაძირვას, ჩაფვლასა და იქ დატოვებას, რაც ხდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.[77]

მავნე ნივთიერების ან სხვა ნარჩენის ანდა მასალის ზღვაში უკანონო ჩაყრა, აგრეთვე მათი ზღვაში ჩამარხვა დადგენილი წესის დარღვევით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ გამოიწვევს, თუ ამით საფრთხე შეექმნება ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს,ანდა ხელს შეუშლის ზღვის

[77] ზღვაში ჩამარხვის ცნება განსაზღვრულია კანონით საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ.

მართლზომიერ გამოყენებას. ამგვარ საფრთხეში იგულისხმება ზღვის დაბინძურება ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით, საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და სხვა, რომელთაც შეუძლიათ მოსპონ ან მონამლონ ცოცხალი ორგანიზმები. ზღვის მართლზომიერი გამოყენებისათვის ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს თევზჭერის შეუძლებლობაში და სხვა.

293-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა **ფორმალურია;** იგი დამთავრებულად ჩაითვლება მავნე ნივთიერების, ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრის, აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურების მომენტიდან,თუკი ეს ჩადენილია ასეთივე ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ. დანაშაულის **სუბიექტი სპეციალურია**. კერძოდ ის პირი,ვისაც ევალება კონტროლის განხორციელება ზღვაში მავნე ნივთიერების, ნარჩენის ან მასალის ჩაყრაზე, აგრეთვე, მათი ზღვაში ჩამარხვის წესის დაცვაზე, მაგალითად, გემის კაპიტანი, ხომალდის მეთაური, საწარმოს ხელმძღვანელი და სხვა.

მავნე ნივთიერების, ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონო ჩაყრა მხოლოდ განზრახვას გულისხმობს, ხოლო მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

293-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ხმელეთიდან ან საჰაერო ხომალდიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების, ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონო ჩაყრას (ჩაშვებას), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურებას, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას.

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა 1-ლი ნაწილისაგან განსხვავდება დაბინძურების წყაროებით, კერძოდ, აქ საუბარია ზღვის დაბინძურებაზე ხმელეთიდან (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვა მავნე ზემოქმედების წყაროები) ან საჰაერო ხომალდიდან, ამასთანავე, მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობა არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ პრეუდიციასთან,სხვა მხრივ ის არ განსხვავდება 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობისაგან.

293-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალწინებულ ქმედებას, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა ადამიანის ჯანმრთელობა, მცენარეული სამყარო, თევზის მარაგი ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმი, დასვენების ზონა ანდა კანონით დაცული სხვა სიკეთე.

ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად დაზიანება მოიცავს ნებისმიერი სიმძიმის (ხარისხის) ზიანს, რაც შეეხება მცენარეული სამყაროს, თევზის მარაგის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მნიშვნელოვნად დაზიანებას,იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ეს შეიძლება გამოიხატოს თევზის მასობრივად მოსპობაში, აგრეთვე ზღვის სხვა ცოცხალი რესურსების განადგურებაში და სხვა. მნიშვნელოვანი ზიანი დასვენების ზონისათვის გულისხმობს მის იმგვარად დაბინძურებას, რაც შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას მოქალაქეთა დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის, ანდა დაბინძურების შედეგების სალიკვიდაციოდ მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს.

293-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა მატერიალურია. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული მავნე შედეგის დადგომის მომენტიდან. აღნიშნული მავნე შედეგისადმი ბრალის ფორმა გაუფრთხილებლობას გულისხმობს.

293-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება, სახელდობრ, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ბრალის ფორმა აქაც გაუფრთხილებლობას გულისხმობს.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების, ანდა სხვა ნარჩენის, ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება (მუხლი 294-ე)

განსახილველი ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზღვის სისუფთავის შენარჩუნებას და დაცვას ადამიანთა ჯანმრთელობისათვის და ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება უმოქმედობაში, სახელდობრ, გემის, სხვა მცურავი საშუალების, საჰაერო ხომალდის, პლატფორმის ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციის სათანადო პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ უახლოესი პორტის ადმინისტრაციისათვის, ხოლო ჩამარხვის მიზნით ჩაყრის შემ-

თხვევაში – აგრეთვე ჩაყრის ნებართვის მიმცემი ორგანიზაციისათვის შეუტყობინებლობა იმისა, რომ საქართველოს შიდა ზღვის ან ტერიტორიული წყლების ფარგლებში, ანდა ღია ზღვაში მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის გამო მოხდა ჩაყრა, ან აუცდენელი დაკარგვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ან ისეთი შენარევისა, რომელიც ასეთ ნივთიერებას დადგენილი ნორმის გადამეტებით შეიცავს, ანდა სხვა ნარჩენისა ან მასალისა, რომელსაც შეუძლია დააზიანოს დასვენების ზონა ან ხელი შეუშალოს ზღვის მართლზომიერ გამოყენებას.

ცნობილია, რომ გემის, სხვა მცურავი საშუალების, საჰაერო ხომალდის, პლატფორმის ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციების ექსპლოატაცია დაკავშირებულია სხვადასხვა სახის საწვავი მასალების გამოყენებასთან, ამის საფუძველზე სხვადასხვა სახის ნარჩენის, ნივთიერების გამოყოფასთან. გარდა ამისა, აღნიშნულ ობიექტებზე განხორციელებული საწარმოო, სამეცნიერო-კვლევითი თუ სხვა სახის საქმიანობის შედეგად ადგილი აქვს მავნე ნარჩენების, ნივთიერებების, მასალის გამოყოფას და მათი ჩამარხვის მიზნით ზღვაში ჩაყრას. აქედან გამომდინარე, სათანადო პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ვალდებულია შეატყობინოს უახლოესი პორტის ადმინისტრაციას, ხოლო ჩამარხვის მიზნით ჩაყრის შემთხვევაში ჩაყრის ნებართვის მიმცემ ორგანიზაციას, რომ ზღვაში მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის გამო მოხდა ჩაყრა, ან აუცდენელი დაკარგვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებისა, ანდა ისეთი ნარჩენის ან მასალისა, რომელსაც შეუძლია დააზიანოს დასვენების ზონა ან ხელი შეუშალოს ზღვის მართლზომიერ გამოყენებას (მაგალითად, თევზჭერას, წყლის გამტკნარებას და სხვა).

განსახილველი დანაშაული **ფორმალური შემადგენლობისაა**, იგი დამთავრებულად ჩაითვლება ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების, ანდა სხვა ნარჩენის, ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობის მომენტიდან.

დანაშაულის **სუბიექტი სპეციალურია**. ეს არის თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების, ანდა სხვა ნარჩენის, ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ ინფორმაციის შეტყობინება უახლოესი პორტის ადმინისტრაციისათვის, ხოლო ჩამარხვის მიზნით ჩაყრის შემთხვევაში – აგრეთვე ჩაყრის ნებართვის მიმცემი ორგანიზაციისათვის.

განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს პირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნებს კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება (მუხლი 295-ე)

ატმოსფერული ჰაერი წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს ერთერთ შემადგენელ ელემენტს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ცოცხალი ორგანიზმების არსებობა. ატმოსფერულ ჰაერს ეკოლოგიურთან ერთად დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. ატმოსფერული ჰაერის ქიმიურად და ფიზიკურად დაბინძურების ძირითადი წყარო სწორედ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობაა. განსახილველი ქმედების კრიმინალიზაციის მიზანია ატმოსფერული ჰაერის დაცვა მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო მდგომარეობის შენარჩუნება, დაცვა. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ატმოსფერული ჰაერის სისუფთავეს. სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე (295-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

განსახილველი დანაშაულის **ობიექტური შემადგენლობა** მოიცავს ქმედებას, შედეგსა და მიზეზობრივ კავშირს მათ შორის.

ქმედება შეიძლება გამოიხატოს ალტერნატიულად: 1) მავნე ნივთიერების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის წესის დარღვევაში, ან 2) გამწმენდი დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის ექსპლუატაციის წესის დარღვევაში.

ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია, აქედან გამომდინარე, იგი არის ლიმიტირებული. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონით, ლიმიტი არის დაბინძურების სტაციონარული ობიექტისათვის დადგენილი მავნე ნივთიერებათა ნებადართულ გაფრქვევათა რაოდენობრივი მნიშვნელობა, რომელთა დარღვევა,თუ ის გამოიწვევს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას,მოგვცემს 295-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას.[78]

[78] გარდა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს 1999 წლის

ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ნორმატივებზე მეტი რაოდენობით გაფრქვევისა და ზღვრულად დასაშვებზე მეტი ოდენობით კონცენტრაციის ძირითადი მიზეზია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა განაფრქვევის გამწმენდი დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის ექსპლუატაციის წესის დარღვევა. ეს შეიძლება გამოიხატოს გამწმენდი დანადგარის,ნაგებობის ან სხვა ობიექტის გაუმართაობაში ან არასრული სიმძლავრით გამოყენებაში,გამწმენდი ნაგებობის (დანადგარის) გამორთვაში, ფილტრების არადროულად შეცვლაში, დანადგარისა და ნაგებობის მუშაობის რეჟიმის შეცვლაში და სხვა.

დანაშაულის ობიექტური მხარის **სავალდებულო ნიშანია შედეგი**-ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება. აქ იგულისხმება ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის შეცვლა, რომლის შედეგად იგი საშიში ხდება მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს არსებობისათვის. მაშასადამე,დანაშაული მატერიალურია და,აქედან გამომდინარე,დადგენილ უნდა იქნეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

დანაშაულის სუბიექტია შესაბამისი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის თანამდებობის პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს კონტროლი სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას ატმოსფერული ჰაერის დაცვაზე.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით.

295-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, სახელდობრ, მე-2 ნაწილი ითვალისწინებს იმავე ქმედებას, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, უფრო მძიმე შედეგია გათვალისწინებული მე-3 ნანილით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

295-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური ნიშნები იგივეა, რაც პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში.

ბრალის ფორმის მიხედვით ეს დამამძიმებელი გარემოებები მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს.

კანონისა, ამ სფეროში მოქმედებს მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის ბრძანება „დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები“ და სხვ.

საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 296-ე)

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს კონტინენტური შელფის,ტერიტორიული წყლების,განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის, როგორც ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ელემენტების დაცვას უკანონო ზემოქმედებისაგან, აგრეთვე საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აღნიშნული ბუნებრივი ობიექტები ნაციონალური იურისდიქციის ქვეშაა,ვინაიდან ისინი იმყოფებიან წყლით დაფარულ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია.

296-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების, მიმდებარე ზონის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მართლზომიერად და უსაფრთხოდ გამოყენებას.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** მოიცავს ალტერნატიულად შემდეგი სახის ქმედებათა განხორციელებას: 1) საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში ან მიმდებარე ზონაში ნაგებობის უკანონოდ აღმართვა; 2) აღნიშნული ტერიტორიის გარშემო ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების ზონის უკანონოდ დაწესება; 3) მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის ან კონსერვაციის, ანდა საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წესის დარღვევა.

ზღვაში ნაგებობათა აღმართვის, მათი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოების ზონების შექმნის, აგრეთვე მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის ან კონსერვაციის წესი რეგლამენტირებულია სხვადასხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით. 1998 წლის 24 დეკემბრის კანონით საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ; და სხვა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის გასარკვევად, თუ რა წესი იქნა დარღვეული, უნდა მივმართოთ შესაბამის ბლანკეტურ ნორმებს.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია **დანაშაულის ჩადენის ადგილი**–კონტინენტური შელფი, ტერიტორიული წყლები, მიმდებარე ზონა ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა.[79]

[79] ამ ცნებათა დეფინირება მოცემულია საქართველოს კანონებში – საქართ-

სსკ 296-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ პრეუდიციასთან, ე.ი. პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულმა ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სსკ 296-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია დამოუკიდებელი შემადგენლობა, კერძოდ, საქართველოს კონტინენტური შელფის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სათანადო ნებართვის გარეშე გამოკვლევა,დაზვერვა,ანდა მისი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება,ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ. განსახილველ შემადგენლობაში სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვასა და რაციონალურად გამოყენებას. ქმედების **ობიექტური შემადგენლობა** შეიძლება გამოიხატოს ალტერნატიულად ისეთი მოქმედების განხორციელებაში, როგორიცაა:

1) კონტინენტური შელფის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სათანადო ნებართვის გარეშე გამოკვლევა; 2) ან დაზვერვა; 3) ანდა მისი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება.

კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩამოთვლილ საქმიანობათა განხორციელებაზე ნებართვის (ლიცენზიის) გაცემის წესი რეგლამენტირებულია სპეციალური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით.

ისევე როგორც 296-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მე-2 ნაწილითაც ადმინისტრაციულ პრეუდიციას უკავშირდება; პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

ქმედების სუბიექტი და ბრალის ფორმა იმავე ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც მივუთითეთ 296-ე მუხლის 1-ლი ნაწილის განხილვისას.

ველოს სახელმწიფო საზღვრისა და საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ.

ბუნებრივი გარემოს შემადგენელ ელემენტებს შორის მიწას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. იგი განაპირობებს ბუნების სხვა ობიექტების ურთიერთკავშირს, წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრებისა და შრომის საყოველთაო პირობასა და საგანს. მაშასადამე, მიწას გააჩნია ეკოლოგიური და ეკონომიკური ფუნქცია. აქედან გამომდინარე, მიწის რაციონალურად გამოყენებასა და დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისათვის, ადამიანთა ცხოვრების დონის ზრდისათვის. ამავე დროს, მიწის დაცვა ხელს უწყობს ბუნების სხვა ობიექტების ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. საქართველოს მიწის კანონმდებლობით დადგენილია, რომ მიწათმოსარგებლენი ვალდებული არიან რაციონალურად და ეფექტურად იყენებდნენ მიწას, უფრთხილდებოდნენ მას.[80]

მიწის გაუვარგისება ხელყოფს სამართლებრივ ურთიერთობებს მიწათსარგებლობის სფეროში. სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტი სწორედ ეს ინტერესია. დამატებითი ობიექტია – ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, ბუნებრივი გარემო.

განსახილველი **დანაშაულის საგანია** – მიწა, მისი კატეგორიისა და კუთვნილების მიუხედავად.

დანაშაულის **ობიექტიური მხარე** შეიძლება გამოიხატოს სამეწარმეო, სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობის განხორციელებისას მავნე ნივთიერებით მიწის მოწამვლაში, დეგრადაციაში ან მიწის სხვაგვარ გაუვარგისებაში,რაც განპირობებულია სასუქის,მცენარეთა ზრდის სტიმულატორის, შხამქიმიკატის, სხვა ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერების შენახვის, გამოყენების ან გადაზიდვის დროს მისდამი მოპყრობის წესის დარღვევით. აღნიშნული ქმედების ჩადენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს, თუ მას შედეგად მოჰყვება ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაზიანება.

ამრიგად, დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს მოქმედებას ან უმოქმედობას, კანონში მითითებული სხვადასხვა ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერების შენახვის, გამოყენების ან გადაზიდვის წესის დარღვევით მიწის მოწამვლას, დეგრადაციას ან სხვაგვარ გაუვარგისებას, შედეგს – ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაზიანებას,მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია.

[80] მიწის სამართლებრივ რეჟიმსა და დაცვაზე იხ. დაწვრილებით აკაკი ლაბარტყავა, ეკოლოგიური სამართალი, თბ., 2003, გვ. 127-160.

297-ე მუხლს ბლანკეტური დისპოზიცია აქვს. ამიტომ იმის გასარკვევად, თუ კონკრეტულად რომელი წესის დარღვევას ჰქონდა ადგილი, უნდა მივმართოთ შესაბამის ნორმატიულ აქტებს. მიწის დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტებია საქართველოს 1997 წლის 16 სექტემბრის კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ", 1996 წლის 10 დეკემბრის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ", 1998 წლის 12 ივნისის კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" და სხვ.

ცნობილია, რომ მიწა მიეკუთვნება დაბინძურების აკუმულირების უნარის მქონე გარემოს ობიექტს, ამიტომ მისი გაუვარგისების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სამეწარმეო,სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობის განხორციელება ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში გამოიყენება დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის ქიმიური სასუქი და შხამქიმიკატი, მათი გამოყენება აუცილებელია მოსავლიანობის ასამაღლებლად,მაგრამ მათმა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს – კერძოდ, ნიადაგისა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაბინძურება, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანება.

სწორედ ამიტომ მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის, ზრდის სტიმულატორებისა და სხვა ქიმიური საშუალებების გარემოში გამოყენების ნორმები დგინდება იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ნიადაგს. გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმებს (მათ შორის მცენარეთა დაცვისა და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) და ამ ქიმიურ საშუალებათა (ნივთიერებათა) ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესებს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო დებულებით „გარემოში ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი, შერაცხადი პირი (როგორც მოხელე, ისე კერძო პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო, სამეურნეო ან სხვაგვარ საქმიანობას).

დანაშაული გულისხმობს **როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას.** ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებს (მოტივსა და მიზანს) კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

297-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია კვალიფიციური შემადგენლობა – იგივე ქმედება ჩადენილი საგანგებო ეკოლო-

გიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურობის ზონაში, რამაც მიწის მნიშვნელოვანი ფართობის გაუვარგისება გამოიწვია. აქ კანონმდებელს პასუხისმგებლობა დამძიმებული აქვს ობიექტური მხარის ისეთი ნიშნებით, როგორიცაა დანაშაულის ჩადენის ადგილი და შედეგი.

საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონა არის ტერიტორია, სადაც საქმიანობის ან სტიქიური უბედურების შედეგად გაუარესდა გარემოს მდგომარეობა და საფრთხე შეექმნა ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროს, ხოლო **ეკოლოგიური უბედურების ზონა** არის ტერიტორია, სადაც საქმიანობის, ავარიის, კატასტროფისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაირღვა ეკოლოგიური წონასწორობა, საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლესაც.

საგანგებო ეკოლოგიური უბედურების ზონას ან საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონას აცხადებს და აუქმებს საქართველოს პრეზიდენტი. რაც შეეხება შედეგს მიწის მნიშვნელოვანი ფართობის გაუვარგისების სახით,ის სასამართლომ უნდა შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

297-ე მუხლის მე-3 ნაწილში პასუხისმგებლობა დამძიმებულია ასევე შედეგით – 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. როგორც წესი,აღნიშნული თანამდევი შედეგი გაუფრთხილებლობაში გამოიხატება, თუმცა იგულისხმება განზრახი შედეგის ამავე ნორმის ფარგლებში დასჯაც, თუკი ის სხვა დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.

წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 298-ე)

წიაღი საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს. გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა უნდა მოხდეს გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

წიაღით სარგებლობისა და დაცვის სახელმწიფო მართვის ორგანოებია: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს

ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია, ხოლო სამთო ურთიერთობების მომწესრიგებელი ძირითადი ნორმატიული აქტებია საქართველოს 1996 წლის 17 მაისის კანონი წიაღის შესახებ, 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი „გარემოს დაცვითი ნებართვის შესახებ“ და სხვ. სამთო კანონმდებლობით დეტალურად არის რეგლამენტირებული წიაღის, ნებისმიერი სახის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და გამოყენების მომპოვებელ და გადამამუშავებელ საწარმოთა ნარჩენების გამოყენების,შენახვისა და დაცვის,მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ურთიერთობები; წიაღის სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა სამთო კანონმდებლობის დარღვევისათვის.[81]

სსკ 298-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია სამთო ურთიერთობები.

დანაშაულის საგანია წიაღი, ანუ მიწის ზედაპირის, ნიადაგისა და წყალსატევების ფსკერის ქვეშ ან ხმელეთის ზედაპირზე გაშიშვლებული დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებით ხელმისაწვდომია შესასწავლად და გამოსაყენებლად. დანაშაულის **ობიექტიური მხარე** შეიძლება გამოიხატოს სამთომოპოვებითი საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობის დაპროექტების, განლაგების, რეკონტრუქციის, ლიკვიდაციის, საექსპლუატაციოდ გადაცემის ან ექსპლუატაციის დროს წიაღისეულის გამოყენების, ან დაცვის წესის დარღვევაში, აგრეთვე, თვითნებურ მშენებლობაში სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ადგილას, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

ამრიგად,დანაშაულის ობიექტიური მხარე მოიცავს: 1) მოქმედებას ან უმოქმედობას, რაც გამოიხატება წიაღის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევაში,ანდა თვითნებურ მშენებლობაში სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ადგილას; 2) შედეგს–მნიშვნელოვანი ზიანის სახით; 3) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის. დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია. წიაღის გამოყენებისა და დაცვის წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „წიაღის შესახებ“, რომლის მიხედვითაც უნდა გაირკვეს კონკრეტულ შემთხვევაში რა წესის დარღვევას ჰქონდა ადგილი. ეს შეიძლება გამოიხატოს წიაღის საბადოდან სასარგებლო წიაღისეულის არაკომპლექსურად ან ეკონომიურად მიზანშეუწონლად ამოღებაში, წიაღის მოპოვებისას ზენორმატიული დანაკარგების დაშვებაში, წიაღის საბადოს დაუცველო-

[81] წიაღის სამართლებრივ რეჟიმზე დაწვრილებით იხ. ეკოლოგიური სამართალი, გვ. 161.

ბაში დატბორვისაგან, გაწყლიანებისაგან, ხანძრისაგან,წიაღისეულის ფართობების თვითნებურად განაშენიანებაში, სამთო-გეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარების წესის დარღვევაში, სამთომომპოვებელი საწარმოების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის წესის დარღვევაში, სამთომომპოვებელი საწარმოს, სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობის ლიკვიდაციისა და კონსერვაციის წესებისა და ნორმების დარღვევაში,წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევაში და ა.შ.

წიაღის გამოყენების ან დაცვის წესების დარღვევით მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება გამოიხატოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დაზიანებაში, აფეთქებაში ან ავარიაში წიაღით სარგებლობის ობიექტზე, გარემოს დაბინძურებაში და სხვ. მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად.

დანაშაულის სუბიექტი სამთომოპოვებითი საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობის დაპროექტების, განლაგების, რეკონტრუქციის, ლიკვიდაციის, საექსპლუატაციოდ გადაცემის ან ექსპლუატაციის დროს შეიძლება იყოს ის, **ვისაც სამსახურებრივად ევალებოდა** წიაღის გამოყენების ან დაცვის წესების შესრულება,ხოლო სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ადგილას თვითნებური მშენებლობის დროს – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი, შერაცხადი ფიზიკური პირი.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს **როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.**

ამ მუხლზე ვრცელდება 291-ე მუხლის შენიშვნით დადგენილი პირობები.

წიაღით უკანონოდ სარგებლობა (მუხლი 299-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტია სამთო ურთიერთობები, უფრო კონკრეტულად კი, წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვის სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები. სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტია წიაღზე სახელმწიფოს საკუთრების უფლება. დანაშაულის საგანია წიაღი.

დანაშაულის **ობიექტიური მხარე** მდგომარეობს წიაღით უკანონო სარგებლობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქართველოს წიაღი სახელმწიფო საკუთრებაა. წიაღის სახელმწიფო ფონდს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე,მის კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი. წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვა სახელმწიფოს პრეროგატივაა. მის გამგებლობაში შედის წიაღის სახელმწიფო კადასტრის წარმოება, წიაღის სარგებლობაში გაცემა და ამოღება, სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი წიაღით სარგებლობაზე და სხვა ფუნქციების განხორციელება. წიაღით სარგებლობა მიზნობრივი ხასიათისაა,ვინაიდან წიაღის სარგებლობაში გადაცემისას განისაზღვრება კონკრეტული მიზანი,რისთვისაც იგი უნდა იქნეს გამოყენებული. წიაღით სარგებლობა მოიცავს: წიაღის შესწავლას, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებას, სამთომომპოვებელ საწარმოთა ნარჩენების გამოყენებას, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელის გამოყენებას და სხვა. წიაღით სარგებლობის არსი განსაზღვრულია წიაღის შესახებ საქართველოს კანონით.

299-ე მუხლის დისპოზიციაში საუბარია წიაღით უკანონოდ სარგებლობაზე.

წიაღით სარგებლობის უფლების წარმოშობის საფუძველია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორის ექსპერტთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზია. წიაღის შესახებ კანონის მე-9 მუხლით, წიაღით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს წიაღით სარგებლობის ლიცენზია. ლიცენზია გაიცემა წიაღით სარგებლობის ცალკეული სახეების შესაბამისად. მაგალითად, წიაღის შესწავლის ლიცენზია, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია და ა.შ.

ამრიგად, წიაღით უკანონოდ სარგებლობად ჩაითვლება წიაღით სარგებლობა ლიცენზიის გარეშე, აგრეთვე, ლიცენზიით გამოყოფილი

სამთო მინაკუთვნის ფარგლებს გარეთ წიაღისეულის მოპოვება, ანდა წიაღით სარგებლობა აუცილებელი სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე. წიაღით სარგებლობა უკანონოდ ჩაითვლება მაშინაც,როცა იგი ხორციელდება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე, რამეთუ წიაღისეულის მოპოვება, წიაღისეული ნედლეულის საკვლევი და სამთო სამუშაოები განეკუთვნება ისეთ საქმიანობას, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ამრიგად, წიაღით უკანონოდ სარგებლობა ნიშნავს საწარმოების, ორგანიზაციების ან მოქალაქეების მიერ წიაღის გამოყენებას, რომელიც მიცემული არა აქვთ მათ სარგებლობაში სამთო კანონმდე-

ბლობის დადგენილი წესით.

დანაშაულის ობიექტური მხარე გარდა მოქმედებისა – წიალით უკანონო სარგებლობა, **მოიცავს შედეგს მნიშვნელოვანი ზიანის სახით.** მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად (იხ. 291-ე მუხლის შენიშვნა).

რამდენადაც დანაშაულს მატერიალური შემადგენლობა აქვს,საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა მოქმედებასა და მნიშვნელოვან ზიანს შორის.

დანაშაულის სუბიექტი ზოგადია, ნებისმიერი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული, შერაცხადი პირი, რომელიც უკანონოდ სარგებლობს წიალით.

ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით, დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ უკანონოდ სარგებლობს წიალით და სურს ეს.

299-ე მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს იმავე ქმედების ჩადენას არაერთგზის. დანაშაულის სიმრავლის ეს სახე აქ რაიმე სპეციფიკით არ გამოირჩევა. მისი შინაარსი უნდა განვმარტოთ სსკ მე-15 მუხლის საფუძველზე.

უკანონო თევზჭერა (მუხლი მე-300)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტია ის სამართლებრივი ურთიერთობები,რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის დაცვასა და რაციონალურად გამოყენებას.

დანაშაულის საგანია სხვადასხვა ჯიშის თევზი და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმი,რომლებიც იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში.[82] ეს შეიძლება იყოს ზღვისა და მტკნარი წყლის ხერხემლიანები (დელფინი, სელაპი, ზღვის ლომი და სხვა), უხერხემლოები (ზღვის მოლუსკები, კიბორჩხალები და სხვა).

ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს თევზჭერას ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარა-

[82] თუკი ხელყოფა მოხდება ისეთ ცოცხალ ორგანიზმზე, რომელიც ამოღებულია ბუნებრივი საბინადრო გარემოდან, გამრავლებულია ნახევრად თავისუფალ პირობებში ან ტყვეობაში, მაშინ სახეზე იქნება საკუთრების სანინააღმდეგო დანაშაული.

ლება, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის ან 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან თევზსარენი იარაღით თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვებას, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვებას, ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

მე-300 მუხლის **დისპოზიცია ბლანკეტურია**. თევზჭერის სამართლებრივი რეჟიმი რეგლამენტირებულია საქართველოს 1996 წლის 25 დეკემბრის კანონით „ცხოველთა სამყაროს შესახებ", დებულებით „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ" (1998 წ.),სხვა ნორმატიული აქტებით. თევზის მოპოვება უკანონოდ ჩაითვლება, როცა ის ამ წესების დარღვევით მოხდება. თევზჭერა ატარებს სანებართვო ხასიათს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დაშვებულია მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით (ლიცენზიით).

მე-300 მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს **დანაშაულის ჩადენის იარაღსა და საშუალებას**. მაგალითად, ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობის შესახებ დებულებით აკრძალულია თევზის ჭერა ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების გამოყენებით, ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით, თევზჭერა დენისა და დაფრთხობის სხვა ხერხის გამოყენებით და სხვა.

მე-300 მუხლში სანიმუშოდ არის ჩამოთვლილი თევზჭერის აკრძალული იარაღები და საშუალებები, ამიტომ წყლის ცოცხალი ორგანიზმების მასობრივი განადგურების სხვა საშუალებებს შეიძლება მივაკუთვნოთ ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ზემოქმედების ნებისმიერი საშუალება, რომელმაც გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია წყლის ცხოველების მნიშვნელოვანი რაოდენობის განადგურება.

აღნიშნული იარაღების გამოყენება გულისხმობს თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის თავისუფალი ბუნებრივი გარემოდან ამოღებას, მათი ფიზიკური ამოღების უზრუნველყოფას. მე-300 მუხლის პირველი ნაწილით პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ პრეუდიციას უკავშირდება. შემადგენლობა ფორმალურია და დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მაშინაც, თუკი თევზის ან წყლის სხვა

ცოცხალი ორგანიზმის მოსაპოვებლად გამოყენებული აკრძალული იარაღით ან საშუალებით აღნიშნული რესურსები მოპოვებული ვერ იქნება და ეს მოქმედება ჩადენილ იქნება ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც უკანონოდ მოი პოვებს თევზს ან წყლის სხვა ცოცხალ ორგანიზმს.

დანაშაული ბრალის ფორმის მიხედვით პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

მე-300 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებები; თევზჭერა ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2013 წლის 12 ივნისის ცვლილებით მე-300-ე მუხლი **სამნაწილიანი გახდა,** სახელდობრ, ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის ან 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან თევზსარეწი იარაღით თევზჭერა, ჩადენილი აკრძალულ დროს ან აკრძალულ ადგილას, ან საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის ან მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე.

მესამე ნაწილში გარდა დანაშაულის ჩადენის იარალისა, აქცენტი კეთდება დანაშაულის ჩადენის დროსა და ადგილზე. დაცული ტერიტორიების კატეგორიებს განსაზღვრავს 1996 წლის 7 მარტის კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ.

მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად. მე-300 მუხლზე ვრცელდება 291-ე მუხლის შენიშვნით დადგენილი პირობები.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაცვის მიზნით ისინი რეგისტრირებული არიან საქართველოს „წითელ

ნუსხაში". მასში შეტანილ ცხოველთა მიმართ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, მათ შორის ნადირობა, რეწვა, მოპოვება და ა.შ. **მაგალითად**, საქართველოს ნორმატიული აქტებით იკრძალება ორაგულის, ზუთხის, დელფინის ყველა სახეობის ჭერა.

საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონისა და ეკოლოგიური უბედურების ზონის ცნებები განსაზღვრულია საქართველოს კანონით გარემოს დაცვის შესახებ (43-ე და 44-ე მუხლები).

რაც შეეხება თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვებას აკრძალულ დროს ან ადგილას,ეს საკითხი რეგლამენტირებულია სპეციალური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით (მაგალითად, დებულება „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობის ჩამონათვალის შესახებ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1998 წლის №92 ბრძანება – „ნადირობისა და თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების თარიღები" და სხვა). **მაგალითად,** ზემოაღნიშნული დებულების მიხედვით აკრძალულია თევზჭერა მთელი წლის განმავლობაში ელექტროსადგურის, სამელიორაციო, მაგისტრალური სისტემის მიმყვან და გასავალ არხებში და ა.შ. აგრეთვე, აკრძალულია თევზჭერა ქვირითის დაყრის დროს. ასეთი შეზღუდვის მიზანია ცხოველთა სამყაროს გამრავლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

უკანონო ნადირობა (მუხლი 301-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია სამართლებრივი ურთიერთობები ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის სფეროში.

დანაშაულის საგანია ყველა სახის გარეული ცხოველი, რომლებიც მუდმივად ან დროებით ბინადრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში. აქ შედის ხმელეთზე მობინადრე გარეული ცხოველები და ფრინველები.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** მოიცავს მოქმედებას უკანონო ნადირობის სახით,შედეგს – მნიშვნელოვანი ზიანის ფორმით და მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

ნადირობა ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული ფორმაა. ცხოველთა სამყაროს შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ნადირობა არის

გარეულ ცხოველთა სპეციალური სარგებლობის ფორმით მოპოვება, ფიზიკური და იურიდიული პირების მატერიალური, რეკრეაციული და სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ნადირობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით ცხოველთა სამყაროს შესახებ, გარემოს დაცვის შესახებ, დებულებით „ცხოველთა სამყაროს ობიექტების,მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების,ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ" (1998 წ.); გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბრძანებებით: „ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ",„ნადირობისა და თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების თარიღების შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტებით.

ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის უფლების წარმოშობის საფუძველია ლიცენზია, გაცემული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. **ლიცენზია წარმოადგენს** ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის პირობებსა და ფორმას.

ნადირობა არ შეიძლება ყველგან,ყველა სატყეო მეურნეობაში. ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონი მკაცრად,კატეგორიულად განსაზღვრავს ნადირობისათვის ნებადართულ ადგილებს (მუხლი 28-ე). მაშასადამე, ნადირობა დაიშვება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. ნადირობის წესებით დადგენილ მოთხოვნებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ნადირობის ვადები. **ნადირობის ვადები** განისაზღვრება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით ნადირ-ფრინველთა ცალკეული სახეობის, აგრეთვე ქვეყნის ზოგიერთი რეგიონისა და რაიონის მიხედვით.

ცხოველთა სამყაროს დაცვის მიზნით ნადირობის წესებით დადგენილია ბუნებიდან ცხოველთა სამყაროს ობიექტების ამოღების ნებადართული და აკრძალული იარაღები და საშუალებები. ასე მაგალითად, ცხოველთა სამყაროს ობიექტების,მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობის ჩამონათვალის შესახებ დებულებით აკრძალულია ნადირობა ხაფანგის, მარყუჟის გამოყენებით, საწამლავის, ასაფეთქებელი და სხვა იარაღისა და საშუალების გამოყენებით. აგრეთვე,ნებისმიერი საბრძოლო კუთხიელულიანი ავტომატური ან

სხვა იარალით, ღამის ხედვის მოწყობილობათა გამოყენებით და ა.შ.

ამრიგად, **ნადირობა უკანონოდ ჩაითვლება,** თუ იგი განხორციელდება ნადირობის სპეციალური წესების დარღვევით – სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე, აკრძალულ ადგილას ან აკრძალულ დროს, ან აკრძალული იარაღით ან საშუალებით. ამასთანავე, უკანონო ნადირობა დანაშაულად რომ ჩაითვალოს, **მან მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს**. მაშასადამე, 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული **შემადგენლობა მატერიალურია**. ის დამთავრებულად ჩაითვლება მნიშვნელოვანი ზიანის დადგომის მომენტიდან.

მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად (იხ. 291-ე მუხლის შენიშვნა)

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი.

დანაშაული **ბრალის ფორმის მიხედვით** ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ქმედების სუბიექტური ნიშნებს (მოტივსა და მიზანს) კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

301-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობა,რომელშიც პასუხისმგებლობა დამძიმებულია დანაშაულის საგნით, დანაშაულის ჩადენის ადგილით, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით. სახელდობრ,უკანონო ნადირობის უფრო საშიშ სახეს წარმოადგენს **ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალში ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე**, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო ქმნის ნაკრძალებს,ეროვნულ პარკებსა და სხვა დაცულ ტერიტორიებს. დაცული ტერიტორიის კატეგორიები და სამართლებრივი რეჟიმი განსაზღვრულია საქართველოს 1996 წლის 7 მარტის კანონით „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ". ზოგადად, დაცული ტერიტორია არის ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენის შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება ბუნებრივი ეკოსისტემის რღვევა და სახის შეცვლა, ექსპლუატაციის ან რაიმე სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსების განადგურება (ამოწყვეტა), ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება, შეშფოთება, ტერიტორიაზე ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა და სხვა.

უკანონო ნადირობა მექანიკური **სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით** გულისხმობს გარეულ ცხოველთა (ნადირფრინველთა) დევნისათვის ავტომობილის, მოტოციკლის, კატარღისა და სხვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას. მაგალითად, ცნობილია, რომ ვერტმფრენით უკანონო ნადირობა საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. მასობრივი განადგურების სხვა საშუალებას უნდა მიეკუთვნოს ცხოველთა სამყაროს ობიექტის მოპოვებისათვის შხამქიმიკატების, ასაფეთქებელი საშუალებების, ცხოველთა თავმოყრის ადგილებში მცენარეული საფარის გადაწვისა და სხვა მსგავსი საშუალების გამოყენება, რომელსაც შეუძლია ცხოველთა მასობრივი მოსპობა.

ნადირობა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში უკანონო ნადირობის ერთ-ერთი საშიში სახეა.

ეკოლოგიური კატასტროფის დროს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა და იქმნება საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური უბედურების ზონა. მათი სამართლებრივი რეჟიმი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, კანონით გარემოს დაცვის შესახებ (42-44-ე მუხლები) და სხვა.

რაც შეეხება უკანონო ნადირობას საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირფრინველზე, უნდა აღინიშნოს, რომ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები რეგისტრირებული არიან საქართველოს „წითელ ნუსხაში". მასში შეტანილ ცხოველთა მიმართ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, მათ შორის ნადირობა, რეწვა, მოპოვება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

ამრიგად, **წითელი ნუსხა** წარმოადგენს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების სახელმწიფო რეგისტრს (დავთარს), რომელიც მიზნად ისახავს მათი გენოფონდის დაცვასა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რა საფრთხის მატარებელია ამ კატეგორიის ნადირფრინველზე ნადირობა.

ნადირ-ფრინველის უმწეო მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს სტიქიური უბედურებით (წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი და სხვა), შიმშილით, წყლის ან სხვა დაბრკოლების გადალახვით დაა.შ. გადარჩენის სტაციაზე, ანუ იმ ტერიტორიაზე ყოფნა, სადაც გარეული ცხოველები თავს აფარებენ ექსტრემალური პირობების დროს. მსგავსი ექსტრემალური გარემოებების დროს ქანცგაწყვეტილ, უმწეო მდგო-

მარეობაში მყოფ ნადირ-ფრინველზე ნადირობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა.

საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფელის მოშლა (მუხლი 302-ე)

ეს ნორმა ახალია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის. იგი მიზნად ისახავს საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვასა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველური მცენარეები რეგისტრირებული არიან საქართველოს „წითელ ნუსხაში". მათ მიმართ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, მათ შორის ნადირობა, რენვა, მოპოვება, ჭრა, თიბვა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რაც იწვევს ამ მცენარეებისა და ცხოველების რაოდენობის შემცირებას, აუარესებს მათ საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობებს. მაშასადამე, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა დაცვისათვის დადგენილია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, რომლის ძირითადი პირობები რეგლამენტირებულია საქართველოს კანონებში ცხოველთა სამყაროს შესახებ, გარემოს დაცვის შესახებ, დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ და სხვა ნორმატიულ აქტებში.

განსახილველი **დანაშაულის საგანია** საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეულ ცხოველთა ან ველურ მცენარეთა ბუნებრივი საბინადრო გარემო ან გამრავლების არეალი.

გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემო (ჰაბიტატი) არის ადგილი ან ადგილმდებარეობის ტიპი, სადაც ბუნებრივი თავისუფლების პირობებში იმყოფებიან გარეულ ცხოველთა ცალკეული ინდივიდები ან პოპულაციები. ცხოველთა სამყაროს ობიექტებს, აგრეთვე გარეულ ცხოველთა გამრავლების, დროებითი და მუდმივი თავმოყრის ადგილებს, სხვა ტერიტორიებს, რომლებიც წარმოადგენენ ცხოველთა სამყაროს საბინადრო გარემოს, სახელმწიფო იცავს. ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოზე, გამრავლების არეალებზე,

გადარჩენის სტაციებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე, უნდა ხორციელდებოდეს ცხოველთა სამყაროს დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნათა შესაბამისად.

განსახილველი დანაშაულის **ობიექტური მხარე** შეიძლება გამოიხატოს საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალის მოშლაში, ან იმ ადგილების სხვა დანიშნულებით გამოყენებაში, სადაც საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობა ბუნებრივად ხარობს ან ბინადრობს, რამაც გაუფრთხილებლობით ამ ადგილებში ცხოველის ან მცენარის სახეობის გადაშენების საფრთხე შექმნა (კონკრეტული საფრთხის დელიქტი).

საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალი (ადგილსამყოფელი) შეიძლება მოიშალოს სამეურნეო ან სხვა საქმიანობის შედეგად. მხედველობაშია ისეთი საქმიანობის სახე, რომელსაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე, ასეთია სამთო, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ხეტყის დამზადება, სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა და ექსპლუატაცია და სხვა. სწორედ ასეთი სახის საქმიანობა ყველაზე მეტად იწვევს ნადირფრინველთა არსებობისა და გამრავლებისათვის აუცილებელი პირობების, ბუნებრივი გარემოს ხელყოფას.[83]

იმ ადგილებს, სადაც „წითელ ნუსხაში" შეტანილი გარეული ცხოველების ან ველური მცენარეების სახეობა ხარობს ან ბინადრობს სახელმწიფო იცავს. დაუშვებელია ამ ადგილების სხვა დანიშნულებით (სასოფლო-სამეურნეო და ა.შ.) გამოყენება, ვინაიდან ეს არის ადგილები, სადაც შექმნილია აღნიშნული ცხოველებისა და მცენარეების არ-

---

[83] საქართველოს ეკოლოგიური კანონმდებლობით დასახლებული პუნქტების, საწარმოების,ნაგებობების და სხვა ობიექტების დაპროექტების,განლაგების,მშენებლობის დროს (მათ შორის ნავთობსადენების, სარკინიგზო და სხვა სატრანსპორტო მაგისტრალების, აეროდრომების, ელექტროგადამცემი ხაზების, კაშხლებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების), გეოლოგიური-საძიებო სამუშაოების შესრულებისას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ტურისტული მარშრუტების შემუშავებისა და მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილების მოწყობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს და განხორციელდეს ღონისძიებები გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოსა და გამრავლების არეალებისა და წყალთან მისასვლელი გზების, წყლის სასმელი ადგილების შესანარჩუნებლად. „წითელ ნუსხაში" შეტანილ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ბუნებრივი საბინადრო გარემო ან გამრავლების არეალი შეიძლება მოიშალოს ამ ადგილების დატბორვით, გადაწვით, დაბინძურებით და ა.შ.

სებობისა და გამრავლებისათვის აუცილებელი ეკოლოგიური გარემო.[84]

302-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა ფორმალურია, დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა სახეზეა წითელ წიგნში შეტანილი გარეული ცხოველების ან ველური მცენარეების ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალის მოშლა, ანდა ამ ადგილების სხვა დანიშნულებით გამოყენების გამო ცხოველებისა და მცენარეების გადაშენების საფრთხე შეიქმნება.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფია სახეობა, თუ მას შექმნილ პირობებში ყოფნისას უახლოეს მომავალში ემუქრება გადაშენების უაღრესად დიდი საფრთხე ანდა ახლო მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს გადაშენების პირას.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი (როგორც მოხელე, ისე კერძო პირი).

დანაშაული **ბრალის ფორმის** მიხედვით გაუფრთხილებლობას გულისხმობს, რაზეც პირდაპირ არის მითითებული 302-ე მუხლის დისპოზიციაში.

302-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს კვალიფიციურ შემადგენლობას,სახელდობრ,იმავე ქმედებას,რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის გადაშენება. **გადაშენებულად ჩაითვლება** სახეობა, როცა უკანასკნელი ინდივიდი დაღუპულია. ბუნებაში გადაშენებულად ითვლება ასევე ცხოველის სახეობა, როდესაც ამ სახეობის ინდივიდი დარჩენილია მხოლოდ ტყვეობაში.

ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა (მუხლი 303-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა,რომელიც დაკავშირებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის დაცვასთან. **დანაშაულის საგანია** ხე-ბუჩქნარი,რომელზე ზემოქმედებითაც ხდება დანაშაულის ჩადენა. საერთოდ,ტყით სარგებლობის უფლება

[84] პრაქტიკულად, ეს არის ადგილები, სადაც ბუნების დაცული ობიექტები იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში და შეუცვლელია მათთვის. ეს ტერიტორია (ან აკვატორია) შეიცავს მათი სიცოცხლისა და გამრავლების, ნაშიერის გამოზრდის, დასვენების პირობებს, მიგრაციის გზებს, მათი აღნარმოებისათვის აუცილებელ სხვა ბუნებრივ ელემენტებს.

სანებართვო ხასიათისაა. ეს უფლება წარმოიშობა ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის, დოკუმენტის საფუძველზე. ხე-ტყის დამზადებისათვის საჭიროა ლიცენზია ან ბილეთი, რომელიც ძალაში შედის გაცემის დღიდან და მისი გადაცემა სხვა პირზე დაუშვებელია. ამ ლიცენზიითა და ბილეთით განისაზღვრება ტყით სარგებლობის ადგილი, ვადები, ხე-ტყის სახეობა და ოდენობა, მისი მოპოვების მეთოდები.

ობიექტური მხრივ ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა გამოიხატება: აქტიურ ქმედებაში, ბ) შედეგში და გ) მიზეზობრივ კავშირში. გაჩეხვაში იგულისხმება როგორც ხის ტანის გამოცალკევება ფესვებისაგან (მოჭრა,მოხერხვა),ასევე ხისა და ბუჩქნარის ფესვებიანად ამოთხრა. ხე-ბუჩქნარის გაჩეხვა უკანონოა, როცა იგი ხდება სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) ან ბილეთის გარეშე. მოქმედება უკანონოა მაშინაც, როცა გაჩეხვა ხდება ლიცენზიაში მითითებული ოდენობის გადამეტებით, ანდა იჩეხება ხე-ბუჩქნარის ის სახეობა, რაზეც არაა გაცემული ლიცენზია. გაჩეხვა უკანონოა მაშინაც, როცა იგი ხდება ტყის იმ მონაკვეთზე, რაც ლიცენზიაში ან ბილეთში არაა მითითებული.

ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა შეიძლება მოხდეს ტყეში, მინდვრებში, ქუჩებსა და სკვერებში და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, ეს მცენარე ბუნებრივადაა გაზრდილი, თუ დარგულია ადამიანის მიერ. მაგრამ, **თუკი ადგილი აქვს კონკრეტული პირის საკუთრებაში არსებული ხე-ბუჩქნარის გაჩეხვას, რომლის მოყვანაზე ადამიანის შრომაა დახარჯული (მაგალითად, სხვისი საკარმიდამო ნაკვეთიდან ხის მოჭრა), ქმედება** უნდა დაკვალიფიცირდეს საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულით (მაგალითად, ქურდობით).[85]

განსახილველი **დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის** საკმარისი არაა მხოლოდ მოქმედების (უკანონო გაჩეხვის) ჩადენა. აუცილებელია ამ ქმედებამ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზიანი. ამდენად, სსკ 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მატერიალურია.

მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად (იხ. 291-ე მუხლის შენიშვნა) **თუ ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვას არ მოჰყოლია** მნიშვნელოვანი ზიანი, სახეზეა ადმინისტრაციული გადაცდომა და პირი პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით.

დანაშაულის სუბიექტია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. როდესაც სსკ 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს სახელმწიფო მოხელე, რო-

[85] ამ საკითხზე იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ავტ. კოლექტ. თბ. 2016, გვ. 405-406

მელიც იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ 303-ე, არამედ 332-ე მუხლით.

რაც შეეხება ამ დანაშაულის ბრალის ფორმას, იგი ამ კოდექსის ამოქმედების დროისათვის გამოიხატებოდა მხოლოდ გაუფრთხილებლობაში, რაც პირდაპირ მითითებული იყო განსახილველი ნორმის დისპოზიციაში („რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი"). შემდგომში საქართველოს პარლამენტმა 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ამოიღო სიტყვა „გაუფრთხილებლობით",რითაც ხაზი გაესვა იმას, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.[86]

მოტივსა და მიზანს ქმედების ამ დანაშაულად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს და მისი დადგენა საჭიროა მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის.

სსკ 303-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის. სსკ მე-15 მუხლის შინაარსის თანახმად, ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა მაშინ ჩაითვლება არაერთგზისად, თუ პირი ადრე ჩადენილი ქმედებისათვის იყო ნასამართლევი. მთავარია, მას არ ჰქონდეს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა, ან არ იყოს კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 304-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც დაკავშირებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასთან.

დანაშაულის საგანია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტყეები და ნარგავები.

ტყე არის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც ხარობენ ხეები, ასევე

[86] სამწუხაროდ, გაუფრთხილებლობაზე მითითება ამოღებულ იქნა სსკ სხვა მუხლებიდანაც, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (სსკ 116-ე, 241-ე, 242-ე, 304-ე და სხვა), რითაც როგორც სსკ 303-ე, ისე სხვა მუხლებით გათვალისწინებული ქმედების მიმართ გაუფრთხილებელი ბრალის დასაბუთება უკვე სადავო გახდა, რადგანაც სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია შესაბამის მუხლში.

ბინადრობენ ფრინველები და ცხოველები.

საქართველოში ტყეები სახელმწიფო საკუთრებაშია. ინსტიტუციონალური მართვის მიხედვით სახელმწიფო ტყის ფონდი იყოფა:

სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნებრივი ძეგლი, აღკვეთილი და სხვა) და 2) სახელმწიფო-სამეურნეო ტყის ფონდად (საკურორტო ზონა, მწვანე ზონა, ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეები.

რაც შეეხება ნარგავს, იგი წარმოადგენს ადამიანის მიერ დარგულ ხეებსა და ბუჩქნარებს ქუჩებში, სკვერებში, დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე,რომელიც არ იმყოფება კონკრეტული პირის საკუთრებაში (მაგალითად, არ იმყოფება მოქალაქის საკარმიდამო ნაკვეთზე).

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება:

ა) ქმედებაში (მოქმედებასა ან უმოქმედობაში). ბ) შედეგში – ტყის ან ნარგავის დაზიანებასა ან განადგურებაში, ან დაბინძურებაში და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ე.ი. სახეზეა მატერიალური შემადგენლობა. კერძოდ, სსკ 304-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაშიც. **მაგალითად**, ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა მოქმედებითაა ჩადენილი, როცა პირი ზაფხულის ცხელ ამინდში პიკნიკის დროს ხის ძირას დაანთებს კოცონს, რომელიც სწრაფად მოეკიდება ხეს და გადაიქცევა ხანძრად, რომლის ჩაქრობასაც პირი ვერ ახერხებს. შედეგად კი ნადგურდება ტყის მასივი.

ეს დანაშაული უმოქმედობითაა ჩადენილი, როცა პირი ტყეში ანთებულ კოცონს ტოვებს ისე, რომ არ აქრობს. უმეთვალყურეოდ დარჩენილი კოცონი გადაიქცევა ხანძრად, რაც ანადგურებს ან აზიანებს ტყეს.

ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელ მოპყრობას შედეგად უნდა მოჰყვეს ტყის ან ნარგავის განადგურება ან დაზიანება. განადგურება ნიშნავს ტყის ან ნარგავის მთლიანად მოსპობას, ხოლო დაზიანების დროს ადგილი აქვს ხეებისა და ტყის სხვა შემადგენელი ელემენტის ნაწილობრივ გაფუჭებას ისე, რომ ადგილი არა აქვს მათ მთლიანად ცეცხლში დაწვას.

თუ ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელმა მოპყრობამ არ გამოიწვია ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება,სახეზეა ადმინისტრაციული გადაცდომა და პირი სსკ 304-ე მუხლით პასუხს არ აგებს.

ამ დანაშაულის **ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია** ტყის ან ნარგავის დაბინძურება მავნე ნივთიერებით. დაბინძურება შესაძლებელია მოქმედებით, კერძოდ, ქიმიური ნივთიერებებით, სამრეწველო თუ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ამონაფრქვევით, ნაგვითა და ნარჩენით. თუ ეს ნივთიერებები იმდენად უმნიშვნელო რაოდენობითაა ტყეში შეტანილი, რომ არ აბინძურებს მას (**მაგალითად**, პიკნიკის შემდეგ ტყეში საკვები პროდუქტის ნარჩენის დატოვება), სახეზე არა გვაქვს სსკ 304-ე მუხლის შემადგენლობა. დაბინძურების დროს იქმნება ტყის დაავადების, მისი გახმობის პირობები და, ამასთანავე, ტყეში იქმნება ისეთი ანტისანიტარიული ვითარება, რომ იგი ადამიანისთვისაც საშიში ხდება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სსკ 304-ე მუხლის შემადგენლობის ის ნაწილი (ტყის ან ნარგავის დაბინძურება მავნე ნივთიერებით) **ფაქტობრივ კოლიზიაშია** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 71-ე მუხლთან, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შემდეგი ქმედებისათვის: ტყეების დაზიანება ჩამდინარე წყლებით, ქიმიური ნივთიერებით, სამრეწველო და კომუნალურსაყოფაცხოვრებო ამონაფრქვევით, ნაგვითა და ნარჩენებით, რასაც ტყის გახმობა ან დაავადება მოსდევს.

საქმე ისაა, რომ სსკ 304-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში მავნე ნივთიერებაში იგულისხმება ის ნივთიერებები, რომლებიც ჩამოთვლილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 71-ე მუხლში. ამდენად, თუ ერთმანეთს შევადარებთ ამ ორ მუხლს, მივდივართ პარადოქსულ დასკვნამდე: როცა პირი ტყეს დააბინძურებს მავნე ნივთიერებით, პასუხს აგებს სსკ 304-ე მუხლით, მაგრამ, თუ იგი იმგვარად დააზიანებს ტყეს ამავე ნივთიერებით, რომ ამას შედეგად მოჰყვება მისი გახმობა ან დაავადება, დადგება არა სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. აქ ამსრულებლად შეიძლება მოგვევლინონ ორგანიზაციათა-დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც, რომლებიც საწარმოო ნარჩენებით აბინძურებენ ტყეს.

ბრალის ფორმის მიხედვით სსკ 304-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არის გაუფრთხილებელი დანაშაული, რაც პირდაპირაა დაფიქსირებული მუხლის დისპოზიციაში. გაუფრთხილებლობა შეიძლება გამოიხატოს როგორც თვითიმედოვნებაში, ისე დაუდევრობაში. **თვითიმედოვნების** მაგალითია ისეთი შემთხვევა, როცა პირი ჩაუქრობელს ტოვებს ტყეში დანთებულ კოცონს იმ იმედით,რომ მას ჩააქრობს წვიმა,რომელიც საცაა დაიწყება, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა და კოცონი

ხანძარში გადაიზარდა,რამაც გაანადგურა ტყე. **დაუდევრობის** მაგალითია შემთხვევა, როცა პირს ავიწყდება ტყეში დანთებული კოცონის ჩაქრობა, რომელიც იქცევა ხანძრად და ანადგურებს ან აზიანებს ტყესა თუ ნარგავებს.

რაც შეეხება ტყის ან ნარგავის დაბინძურებას მავნე ნივთიერებით, აქ არაა მითითებული მის გაუფრთხილებლობით ჩადენაზე. ამდენად, ასეთი დაბინძურება შესაძლებელია მოხდეს განზრახაც.

სსკ 304-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ტყის ან ნარგავის დაზიანების ან განადგურებისათვის ცეცხლის წაკიდებით,აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით. დანაშაულის ამ შემადგენლობის **ობიექტური მხარე** გამოიხატება მოქმედებაში, მძიმე შედეგში და მიზეზობრივ კავშირში მოქმედებასა და შედეგს შორის. კერძოდ, ობიექტური მხარე გამოიხატება ტყის ან ნარგავებისათვის ცეცხლის წაკიდებაში, ან მის აფეთქებაში ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენებაში.

ცეცხლის წაკიდება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა აალებადი საგნებისა და ნივთიერების გამოყენებით (მაგალითად, ასანთით ან ნავთისა თუ სხვა საწვავის გამოყენებით ცეცხლის წაკიდება).

ტყის ან ნარგავის აფეთქებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ფეთქებადი ნივთიერება ან ასაფეთქებელი მოწყობილობა.[87] სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალება შეიძლება იყოს ხელოვნურ მეწყერის გამოწვევა, წყლის ნაკადის მიშვება და სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ხერხების გამოყენებას შედეგად უნდა მოჰყვეს ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება. თუ ასეთი შედეგი არ დადგა (მაგალითად, პირმა ცეცხლი წაუკიდა ტყეს, მაგრამ იგი მაშინვე ჩააქრეს), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამ დანაშაულის მცდელობით – სსკ მე-19, 304-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სსკ 304-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული **განზრახია**. პირი შეგნებულად უკიდებს ცეცხლს ტყეს ან ნარგავს, ანდა იყენებს სხვა საყოველთაოდ საშიშ საშუალებას, რათა დააზიანოს ან გაანადგუროს იგი, ანდა ამ ქმედების ჩადენისას შეგნებულად უშვებს ასეთი შედეგის დადგომას. ამგვარად, განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. **მაგალითად**, პირი ტყეში გამოსაცდელად აფეთქებს რომელიმე ფეთქებად ნივთიერებას, რა დროსაც უშვებს, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ტყის განადგურება. ეს შედეგი მართლაც დადგა. ტყის განადგურება ჩადენილია არაპირდაპირი განზრახვით.

სუბიექტური მხრივ მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის

[87] იხ. სსკ 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილის კომენტარი.

მნიშვნელობა არა აქვს. თუ დამნაშავის მიზანია, ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლებაზე ან დააშინოს მოსახლეობა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 323-ე მუხლით – ტერორისტული აქტი.

დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა (სსკ 305-ე მუხლი)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოში დაცული ტერიტორიის რეჟიმის განხორციელებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

დანაშაულის საგანია სახელმწიფო ნაკრძალი, აღკვეთილი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, დაცული ლანდშაფტი ან სხვა დაცული ტერიტორია.

დაცული ტერიტორიის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით **დაცული ტერიტორიები** იყოფა ცალკეულ კატეგორიებად. ამ კატეგორიებს შორის უპირველესია სახელმწიფო ნაკრძალი. ამავე კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის მიზანი. სახელდობრ, სახელმწიფო **ნაკრძალი შეიძლება დაარსდეს** ბუნების, ბუნებრივი პროცესისა და გენეტიკური რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოზე დაკვირვების (მონიტორინგის) მიზნით. სახელმწიფო ნაკრძალის უპირველესი ამოცანაა ნაკრძალის ტერიტორიაზე ბუნებრივი კომპლექსის,ე.ი. იშვიათი,ძვირფასი მცენარისა და ცხოველის ბინადრობის ადგილისა და ბუნებრივი მდგომარეობის ხელუხლებლად შენარჩუნება. საქართველოში დღეისათვის შექმნილია და არსებობს 14 სახელმწიფო ნაკრძალი: ლაგოდეხის, საგურამოს, ბორჯომის და ა.შ. ნაკრძალში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებში ადამიანის ნებისმიერი ჩარევა აკრძალულია კანონით (მცენარეთა და ცხოველთა დაზიანება, მათი მოპოვება,საკომუნიკაციო საშუალებების მშენებლობა,გეოლოგიური სამუშაო, საქონლის ძოვება, მისი გადარეკვა, მოსახლეობის დასვენება და სხვა). ამდენად, სახელმწიფო ნაკრძალების სამართლებრივი რეჟიმი მკაცრადაა დადგენილი შესაბამისი კანონით.

რაც შეეხება აღკვეთილებს, ისინიც დაცული ტერიტორიის სისტემაში შედიან, მაგრამ მათი რეჟიმი განსხვავებულია ნაკრძალების რეჟიმისაგან. კერძოდ, აღკვეთილებში დაცულია არა მთელი ბუნებრივი კომპლექსი, არამედ მხოლოდ მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილები

(ელემენტები). მაგალითად, თუ ნაკრძალში აკრძალულია ყოველგვარი სამეურნეო და რეკრეაციული (მოსახლეობის დასვენება, ტურიზმი) საქმიანობა, აღკვეთილში ეს საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს შეზღუდულად (მაგალითად, ნადირობა დასაშვებია ნადირ-ფრინველთა მხოლოდ ცალკეულ სახეზე). დღეისათვის საქართველოში შექმნილია ხუთი სახელმწიფო აღკვეთილი (გარდაბნის, საგარეჯოს. სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და აბაშის რაიონებში).

ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის. ეროვნული პარკი იქმნება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით. მისი სამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება ნაკრძალისა და აღკვეთილის რეჟიმისაგან. ეროვნული პარკის ტერიტორიის ნაწილზე შეიძლება აკრძალული იყოს სამეურნეო საქმიანობა (მაგალითად, ნადირობა, ხის მოჭრა), ხოლო მის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე ეს საქმიანობა შეიძლება იყოს ნებადართული. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე კანონით შეიძლება მოეწყოს სხვადასხვა ზონა: ბუნების მკაცრი დაცვის ზონა, ვიზიტიორთა ზონა, ადმინისტრაციის ზონა და სხვა. საქართველოში დღეისათვის არსებობს ორი ეროვნული პარკი: ბორჯომ-ხარაგაულისა და კოლხეთის ეროვნული პარკები.

ბუნების ძეგლი არის სიდიდით პატარა ერთეული, განუახლებადი, სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნებრივი ობიექტი, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული სამეცნიერო, ისტორიული, ესთეტიკური, ეკოლოგიურკულტურული მნიშვნელობა. ბუნების ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ხმელეთის, ისე წყლის სივრცის ზოგიერთი ტერიტორია, როგორიცაა: ხატის ტყეები, ხეივნები, ბრძოლის ველები, ისტორიული თუ საეკლესიო თავშეყრის ადგილები, მინერალური და თერმული წყლები, მწვერვალები, ჩანჩქერები, გამოქვაბულები, მდინარეთა სათავეები და ა.შ.

კანონით დადგენილია ბუნებრივი ძეგლების სამართლებრივი რეჟიმი, ე.ი. ის საქმიანობა,რაც დაშვებულია ან აკრძალულია ბუნებრივი ძეგლის ტერიტორიაზე. სსკ 305-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანია აგრეთვე დაცული ლანდშაფტი და სხვა დაცული ტერიტორია. დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სხვა დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. ასევე საქართველოში შეიძლება არსებობდეს დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიები. ესენია: ბიოსფერული რეზერვატი,მსოფლიო

მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.

განსახილველი დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება: ა) ქმედებაში – მოქმედებასა ან უმოქმედობაში; ბ) მძიმე შედეგში (მნიშვნელოვანი ზიანი) და გ) მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და მძიმე შედეგს შორის. ამდენად, სსკ 305-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მატერიალური შემადგენლობისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევას შედეგად მოჰყვეს მნიშვნელოვანი ზიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობა და პირი პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით.

კანონით დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს **როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში**. მოქმედებითაა ჩადენილი, მაგალითად, ნაკრძალში შენობა-ნაგებობების ან გზებისა თუ მილსადენების მშენებლობა, პირუტყვის ძოვება და სხვა. უმოქმედობით კი დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა ჩადენილია მაშინ, როცა პირი, ვისაც ევალება ნაკრძალის ტერიტორიაზე ბუნებრივი კომპლექსის სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიების განხორციელება, არაფერს აკეთებს ამ მიმართებით, რასაც შედეგად მოჰყვება დაცული ტერიტორიისათვის მნიშვნელოვანი ზიანი. არის თუ არა პირის ქმედებაში დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევის ნიშნები, ამის გასარკვევად საჭიროა მივმართოთ საქართველოს კანონს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, სადაც განსაზღვრულია, თუ რომელი ქმედების ჩადენაა დაშვებული ან აკრძალული ამა თუ იმ დაცულ ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად (იხ. 291-ე მუხლის შენიშვნა). სსკ 305-ე მუხლი უნდა განვასხვაოთ 304-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან. 304-ე მუხლის ერთ-ერთი საგანია ტყე, რომელშიც იგულისხმება ნაკრძალიცა და აღკვეთილიც. **ამდენად, ისმის კითხვა:** როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის ქმედება, რომელმაც ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით დააზიანა ნაკრძალი? დაცულ ტერიტორიაზე ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობა არის ამ ტერიტორიის რეჟიმის დარღვევის ნაირსახეობა. ამდენად, სსკ 304-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება შეიძლება ჩაითვალოს 305-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების კერძო შემთხვევად. ხოლო ზოგადი და კერძო ნორმის კონკურენციის დროს უპირატესობა ენიჭება კერძო

ნორმას, ამ შემთხვევაში 304-ე მუხლს. ამაზე მეტყველებს სსკ 304-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, რომელიც იმავე ქმედების განზრახ ჩადენისათვის ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს. სსკ 305-ე მუხლს კი ასეთი დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია.

სსკ 305-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. იგი შეიძლება იყოს როგორც რიგითი მოქალაქე,ასევე დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მუშაკიც.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.[88] პირი, რომელიც არღვევს დაცული ტერიტორიის რეჟიმს გაუფრთხილებლობით, უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ ამას არ მოჰყვება მნიშვნელოვანი ზიანი, ანდა საერთოდ არ ითვალისწინებს ამგვარი ზიანის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა შეეძლო და ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა იგი.

ეს დანაშაული განზრახაა ჩადენილი იმ შემთხვევაში, როცა პირს, რომელიც არღვევს დაცული ტერიტორიის რეჟიმს, გაცნობიერებული აქვს ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ზიანის დადგომას და სურს ეს ზიანი ან შეგნებული აქვს ასეთი ზიანის გარდუვალობა, ანდა შეგნებულად უშვებს ასეთი ზიანის დადგომის შესაძლებლობას.

საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე (მუხლი 306-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს, ასევე მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა დაცვას, მათ გონივრულ გამოყენებას.

2006 წლის 25 ივლისის კანონით სსკ 306-ე მუხლმა განიცადა ცვლილება, კერძოდ, მანამდე დანაშაულად ითვლებოდა მხოლოდ პირველ კატეგორიას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე. დღეისათვის კი აკრძალულია ნებისმიერი კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე (თუ ის ჩადენილია ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ). ამ საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ (ამოქმედდა 2003 წ. 8

[88] აქაც სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სადავოა გაუფრთხილებლობის დასაბუთება.

აგვისტოს). ამ კანონის შესაბამისად, მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით საქმიანობა იყოფა ოთხ კატეგორიად. აქედან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველ კატეგორიას მიკუთვნებულ საქმიანობას, რადგანაც ეს ისეთი საქმიანობაა[89], რომელმაც თავისი მასშტაბით (ე.ი. შესრულებული სამუშაოს მოცულობითა და სიდიდით), განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. რაც შეეხება დანარჩენ სამ კატეგორიას, იგი ასეთ საფრთხეს არ უქმნის გარემოსა და ბუნებრივ რესურსებს.

პირველი კატეგორიის საქმიანობას განეკუთვნება: ა) მინერალური ნედლეულის მოპოვება, რაც დაკავშირებულია ღრმა ბურღვით სამუშაოებთან. ასევე დაკავშირებულია განსაკუთრებით ღრმა ღირკულაციის თერმული წყლების მოსაპოვებლად გამიზნულ სამუშაოებთან;

ბ) ენერგეტიკული მრეწველობა, რაც დაკავშირებულია ნავთობბნედლეულის გადამუშავებასთან და ნავთობქიმიურ წარმოებასთან, ნახშირის გაზიფიცირებასა და გათხევადებასთან, ბირთვული საწვავის წარმოებასა და გადამუშავებასთან და სხვა.

როგორც უკვე აღინიშნა,პირველი კატეგორიის საქმიანობა საფრთხეს უქმნის გარემოსა და ადამიანებს, ხოლო დანარჩენი სამი კატეგორიის საქმიანობა ასეთ საფრთხეს არ შეიცავს, თუმცა შეიძლება გამოიწვიოს სხვაგვარი ზიანი (ქონებრივი, მორალური). ამიტომ გარემოზე ზემოქმედების ყოველგვარი საქმიანობა **(ოთხივე კატეგორია)** საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, რომელსაც გასცემს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. როდესაც საქმე ეხება პირველი კატეგორიის საქმიანობაზე ნებართვის გაცემას, აღნიშნულმა სამინისტრომ წინასწარ უნდა ჩაატაროს რამდენიმე აუცილებელი პროცედურა: 1. გარემოზე ზემოქმედების შეფასება; 2. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა და 3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

დანარჩენი სამი კატეგორიის საქმიანობაზე ნებართვის გაცემისას ამგვარი პროცედურების ჩატარება არაა აუცილებელი,არამედ საკმა-

---

[89] „საქმიანობა“ – სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვაგვარი საქმიანობა, განახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, ასევე არსებული საწარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება.

რისია მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

სსკ 306-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს ადმინისტრაციულ პრეიუდიციას, ე.ი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია ასეთი ქმედებისათვის (გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელება) პირს ადრე დადებული ჰქონდეს ადმინისტრაციული სახდელი. ამასთანავე, ამ ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან არ უნდა იყოს გასული 1 წელი. თუ ერთი წელი გასულია და პირმა განმეორებით ჩაიდინა იგივე ქმედება, იგი პასუხს აგებს კვლავ ადმინისტრაციული წესით. ამდენად, განსახილველი დანაშაული ობიექტური მხრივ ფორმალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელების მომენტიდან (თუ ადრე ასეთი ქმედებისათვის დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი) და საჭირო არ არის რაიმე მძიმე შედეგის დადგომა (სახეზეა ე.წ. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი)[90].

თავისთავად გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არის წერილობითი გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს ნებართვას გამონაბოლქვზე, ნარჩენების განთავსებაზე და სხვა. **მაგალითად**, მწყობრში ჩადგა ახალი ქარხანა. ამ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების ნებართვაში მითითებული უნდა იყოს, თუ მაქსიმუმ რა ოდენობის გამონაბოლქვი უნდა გამოუშვას ამ ქარხანამ მუშაობის დროს. ასევე ნებართვაში მითითებული უნდა იყოს, თუ სად უნდა განთავსდეს ნარჩენი მასალა და სხვა.

ამ **დანაშაულის ამსრულებელი** შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი, ისე იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია გარემოზე ზემოქმედების ნებისმიერი კატეგორიის საქმიანობის დაწყებამდე აიღოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

ბრალის ფორმის მიხედვით განსახილველი დანაშაული განზრახია. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ახორციელებს გარემოზე ისეთ საქმიანობას, რომელსაც სჭირდება სპეციალური ნებართვა, მაგრამ ამის მიუხედავად ამ საქმიანობას ახორციელებს ნებართვის გარეშე. მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

---

[90] სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბოლო დროს გახშირდა ადმინისტრაციული პრეიუდიციის შემთხვევები, რაც არ უნდა ჩაითვალოს დადებით მოვლენად. სს კანონმდებელი უნდა ამოვიდეს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებიდან და არა მისი არაერთგზისობიდან.

თავი V

დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

ზოგადი დებულებები

სახელმწიფო დანაშაულს დათმობილი აქვს სსკ მეთერთმეტე კარი. სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებს შორის ამ კატეგორიის დანაშაულებმა მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს, ვინაიდან დემოკრატიის საწყისების განვითარებამ განაპირობა სისხლის სამართლის კანონით დაცულ ღირებულებათა ახალი იერარქიის ჩამოყალიბება – ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო.

აქვე აღსანიშნავია, რომ სსკ-ის კერძო ნაწილის სისტემაში სახელმწიფო დანაშაულის ახალი ადგილი სულაც არ მიანიშნებს ამ დანაშაულთან ბრძოლის მოდუნებაზე ან მის მეორეხარისხოვან მნიშვნელობაზე. ცხადია, არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ყოფილი მეტროპოლია იოლად ვერ დათმობს თავის ყოფილ კოლონიას და მომავალშიც გააგრძელებს სხვადასხვა სახის პროვოკაციას მისი კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების შესარყევად. ამის ნათელი დასტურია აგრესიული სეპარატიზმის მფარველობა და წაქეზება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად, ღია აგრესია 2008 წლის აგვისტოში და ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო სამართლისა და მსოფლიო თანამეგობრობის აზრის უგულებელყოფით. ამას ემატება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური სირთულეებიც. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც,რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა,მის ტერიტორიაზე განხორციელებული საერთაშორისო ეკონომიკური პროექტები განაპირობებენ ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთას, რაც მათი სპეცსამსახურების საქმიანობის გააქტიურებას იწვევს. ჩვენს ქვეყანაში მათი ინტერესი განპირობებულია როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სიბრტყეში ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოპოვებითა და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების ლობირებით.

ასეთ ვითარებაში,ცხადია,რომ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დაცვა, მისი სუვერენიტეტის, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გადარჩენა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. რამდენად შეძლებს ამ ამოცანისათვის თავის გართმევას ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, ეს მომავლის საქმეა. შესაძლებელია სასამართ-

ლო პრაქტიკამ ახალი და უფრო ზუსტი ინტერპრეტაცია მისცეს ახალ ნორმებს, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც სახელმწიფო დანაშაულისათვის ადგენენ პასუხისმგებლობას, ასახავენ როგორც ჩვენი ქვეყნის წარსულ გამოცდილებას, ასევე საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების მდიდარ გამოცდილებას ამგვარ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობები მთლიანად დეიდეოლოგიზებულია, რაც ასე მოჭარბებულად ახასიათებდა საბჭოურ სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

ახალ სისხლის სამართლის კოდექსში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ოთხ თავად არის დაყოფილი, სახელდობრ, XXXVII თავი აერთიანებს საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს (მუხლები 308-322-ე); XXXVIII თავი დათმობილი აქვს ტერორიზმს და აერთიანებს ტერორისტული ხასიათის დანაშაულის სხვადასხვა შემადგენლობას (მუხლები 323-331[2]-ე); XXXIX თავი ეძღვნება სამოხელეო დანაშაულს (მუხლები 332-342[1]-ე), დაბოლოს, XL თავი დათმობილი აქვს მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს (მუხლები 343-363-ე).

როგორც წარმოდგენილი სისტემა გვიჩვენებს, თუ განსახილველ დანაშაულთაგან სისხლისამართლებრივი დაცვის გვარეობით ობიექტს საზოგადოდ სახელმწიფოს ინტერესები წარმოადგენს, ანუ მთელი კომპლექსი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოსა და რგოლის ლეგიტიმურობასა და ნორმალურ ფუნქციონირებას საქართველოში, სახეობითი ობიექტი ამ ინტერესებს უფრო აკონკრეტებს შესაბამის თავებში, კერძოდ, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლები; სახელმწიფო აპარატის ნორმალური ფუნქციონირება, მისი პრესტიჟი და ავტორიტეტი და სხვ. სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი კი შესაბამის, კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობებშია მითითებული – საქართველოს საგარეო უშიშროება, თავდაცვისუნარიანობა, სუვერენიტეტი და ა.შ.

ზოგიერთ სახელმწიფო დანაშაულს ხელყოფის საგანიც აქვს, მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტი, ნივთი, სახელმწიფო გერბი, დროშა და სხვ.

რაც შეეხება განსახილველ ქმედებათა ობიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნებს,მათი უმრავლესობა მოქმედებით შეიძლება იყოს ჩადენილი და ე.წ. ფორმალურ დანაშაულებს მიეკუთვნება, თუმცა გვაქვს

ე.წ. შედეგიანი დანაშაულებიც: მაგალითად,ჯაშუშობა დამამძიმებელ გარემოებებში (314-ე მუხლის მე-2 ნაწილი); საბოტაჟი (318-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები); სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამეტება (332-ე და 333-ე მუხლები) და სხვ. ცხადია, რომ ყველა ე.წ. შედეგიან დანაშაულში აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ასეთი კავშირის დადგენის გარეშე პირს არ შეიძლება შედეგი შეერაცხოს ბრალად.

სახელმწიფო დანაშაული შესაძლებელია ჩადენილ იქნეს უმოქმედობითაც, მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა, სამსახურებრივი გულგრილობა, წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება და სხვ.

სახელმწიფო დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ფიზიკური შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან, თუმცა რიგ შემთხვევებში სპეციალურ ამსრულებელთან გვაქვს საქმე, ასე მაგალითად, სამოხელეო დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ მოხელემ და სხვ. ზოგიერთი სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტი იურიდიული პირიც არის.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათი უმრავლესობა განზრახვით ხასიათდება, თანაც პირდაპირი. ეს ძირითადად ეხება კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. აქ გაუფრთხილებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს კვალიფიციურ შემადგენლობებში, მაგალითად, შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი (მუხლი 315-ე, ნაწილი მე-3); თუმცა კანონმდებელი შესაძლებლად თვლის ამავე თავით გათვალისწინებული ზოგიერთი სახელმწიფო დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენას, მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 321-ე); გაუფრთხილებლობას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სსკ 323-ე, 345-ე, 347-ე, 348-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობებშიც მძიმე შედეგთან მიმართებაში; ქმედების სუბიექტური შემადგენლობა მთლიანად გაუფრთხილებლობით ხასიათდება სამსახურებრივი გულგრილობისას (მუხლი 342-ე).

რაც შეეხება განსახილველ ქმედებათა შემადგენლობის სხვა სუბიექტურ ელემენტებს, მთელ რიგ შემთხვევებში კანონმდებელი საგანგებოდ უსვამს ხაზს პოლიტიკურ მოტივებსა და მიზნებს, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების

საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში, ტერორისტული ხასიათის დანაშაულებში, მაშინ, როცა სამოხელეო და მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულებში სჭარბობს ანგარებითი და სხვა პირადი მოტივები: მაშასადამე, კანონმდებელი სახელმწიფო დანაშაულში ქმედების სუბიექტურ ელემენტებს მტკიცებისათვის უმრავლეს შემთხვევებში სავალდებულო მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა ზოგჯერ მას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს და მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციის საშუალებას წარმოადგენს.

საქართველოს 2007 წლის 27 აპრილის კანონით სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 307-ე მუხლი, რომლითაც დადგენილი იყო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ღალატისათვის. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ღალატს კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს. საქართველოს სსკ 307-ე მუხლის ახალი რედაქცია სწორედ ამ ქვეყნების გამოცდილების, განსაკუთრებით კი საფრანგეთის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის (1992 წლის 22 ივლისი) ზეგავლენით იყო ჩამოყალიბებული.

საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა (მუხლი 308-ე)

განსახილველი ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობაა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ტერიტორიის მთლიანობასა და განუყოფლობას, მისი გასხვისების დაუშვებლობას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების თანხმობის გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით,აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობა არის სახელმწიფო საზღვრების ურღვევობა ხმელეთსა და მის წიაღში, წყალსა და ჰაერში.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ 1998 წლის 17 ივლისის კანონის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას – ხმელეთს,წყალს,ნიაღს,საჰაერო სივრცეს გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან.

ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესსა და ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. ტერიტორია არის სახელმწიფოს არსებობის ფიზიკური, მატერიალური საფუძველი. ამიტომაც, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა თავად სახელმწიფოს სუბსტანციას ხელყოფს. საქართველოს უახლესი ისტორია ადასტურებს, რომ ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების გზაზე,ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა წარმოადგენს.შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ჯერ კიდევ 1997 წელს მიღებულ სამხედრო დოქტრინაში ჩაინერა, რომ „საქართველო საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისას პრიორიტეტულად თვლის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპებს, განსაკუთრებულ ზომად მიიჩნევს უფლებას–გამოიყენოს ნებისმიერი ადეკვატური სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ზომები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შემდგომი განმტკიცებისათვის.

საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ომის მიზანი შეიძლება იყოს მისთვის ტერიტორიის წართმევა ან მისი იძულება, რომ შეასრულოს აგრესორის პოლიტიკური,ეკონომიკური და სხვა სახის მოთხოვნები. მის წინააღმდეგ ომის გაჩაღების შემთხვევაში საქართველოს მთავარი მიზანია ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა.“ ეს პრიორიტეტი ფიგურირებს 2011 წელს მიღებულ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც,კერძოდ,მასში ვკითხულობთ: საქართველო მოწოდებულია,აღიდგინოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და უზრუნველყოს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვა მის ხელთ არსებული ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალების გამოყენებით. საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაცია და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია.

დღეს რამდენად მიღწევადია ეს ამოცანა, რთული სათქმელია. 2008 წელს კოდორის და ქსნის ხეობების უბრძოლველად მტრისთვის ჩაბარებამ ბევრი კითხვა გააჩინა! საერთაშორისო ავტორიტეტული

კომისიის (ე.წ. ტალიავინის) დასკვნაში ჩაიწერა, რომ საქართველომ არ გამოიყენა თავდაცვის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა (მუხლი 98), ეს უფლება აღიარებულია საერთაშორისო სამართლითაც. მაშასადამე, საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს უფლება ჰქონდა დაეცვა თავისი ტერიტორია, მაგრამ ეს უფლება არ გამოიყენა, არადა, სსკ 308-ე მუხლი სწორედ მსგავსი ქმედებების პრევენციისათვის იქნა შემოღებული. სამწუხაროდ, საქართველოსთვის ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე კვლავაც აქტუალურია. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგებისთვის კიარავინ დასჯილა, რაც სსკ 308-ე მუხლის პრევენციული მნიშვნელობის იგნორირების და დისკრედიტაციის დასტურიც არის.

ობიექტურად ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა გულისხმობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და განუყოფლობის დარღვევას, კუთვნილი ტერიტორიის განცალკევებას ან გასხვისებას.

განსახილველი დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებაში, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ, ანდა საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ.

308-ე მუხლის **1-ლ ნაწილში ე.წ. ფორმალურ დანაშაულთან** გვაქვს საქმე და ამიტომ რაიმე კონკრეტული შედეგის დადგომა სავალდებულო არ არის, მოსამზადებელი მოქმედება ან მცდელობა დასრულებული დანაშაულია (ეს შეიძლება გამოიხატოს სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებაში, ისეთი ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნაში, რომლის მიზანია საქართველოსგან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა ამავე მიზნით მასობრივი არეულობის მოწყობა და სხვ.), ხოლო მეორე ნაწილში მოცემულია მატერიალური დანაშაული, კერძოდ, იგივე ქმედება,რამაც საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკარგვა ანდა სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. მძიმე შედეგს კანონმდებელი არ აკონკრეტებს, იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის გარემოებების მიხედვით. ეს შეიძლება იყოს ომის დაწყება, ლტოლვილთა ნაკადის გაჩენა და სხვა.

მთელი ტერიტორიის გადაცემა გულისხმობს სახელმწიფოს მოსპობას, დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას, აქედან გამომდინარე, მძიმე შედეგს საქართველოს მთელი ტერიტორიის დაკარგვის სახით პრევენციულ მნიშვნელობას თუ მივანიჭებთ, თორემ, თუ ქვეყნის მთელი ტერიტორია დაიკარგა, მაშინ, ცხადია, დამნაშავის დამსჯელიც აღარა-

ვინ არ იქნება, რადგან ქვეყნის დამოუკიდებლობა დაკარგულია.

ქმედების ამსრულებელი, კანონის ტექსტიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირია. მაგრამ ფაქტობრივად ამგვარი ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების, ისე სხვადასხვა სეპარატისტული მოძრაობის წარმომადგენელი. აფხაზეთისა და ოსეთის ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით ამგვარი პრეცედენტი უკვე არსებობს. როგორც წესი ამ დანაშაულის ამსრულებლები სეპარატისტული მოძრაობის ორგანიზატორები არიან.

განსახილველი დანაშაულები განზრახია, კერძოდ, სახეზეა პირდაპირი განხრახვა – პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას. მოტივსა და მიზანს კანონმდებელი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება (მუხლი 309-ე)

განსახილველ დანაშაულს სხვაგვარად **დიპლომატიურ ღალატს** უწოდებენ.

მსგავსი ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა სხვა სახელმწიფოებთან. სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის შიგნით და მის დამოუკიდებლობას საერთაშორისო ურთიერთობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო სუვერენიტეტი გულისხმობს მის შესაძლებლობას სრულუფლებიანად აწარმოოს საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას თავის საქმიანობაში სხვა სახელმწიფოების ან სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვა პოლიტიკური ძალების ჩარევა. სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გამოიხატება იმაში,რომ იგი მხოლოდ თავისი ინტერესებისა და შეხედულებების შესაბამისად, სხვა სახელმწიფოთა ჩარევის გარეშე, განსაზღვრავს და ახორციელებს თავის საშინაო და საგარეო ფუნქციებს. აქვე ქმედების ობიექტზე მსჯელობისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიან თანაარსებობაზე.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური **მოლაპარაკების წარმოებაში** საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვის ან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა საჭირო არაა, დასჯადია თავისთავად ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება. ქმედების საშიშროებიდან გამომდინარე, კანონმდებელი აბსტრაქტულ საფრთხეს უკვე დასჯადად თვლის (ე.წ. ფორმალური დანაშაული). არის თუ არა ესა თუ ის მოლაპარაკება ანტიკონსტიტუციური, ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს კონკრეტულ შემთხვევაში მოლაპარაკების საგნისა და შინაარსის შესაბამისობის შედარებით საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებთან (მოთხოვნებთან). ამ საკითხის გარკვევისას უპირველესი მეგზური კონსტიტუციის მე-3 მუხლია, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს. აქედან გამომდინარე, ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების საგანი შეიძლება იყოს, მაგალითად, სახელმწიფო საზღვრების სტატუსის, რეჟიმისა და დაცვის, ომისა და ზავის, საგარეო ვაჭრობის, საბაჟო და სატარიფო რეჟიმების საკითხები და ა.შ.

მოლაპარაკების (ან ხელშეკრულების) ანტიკონსტიტუციურობის დასადგენად ასევე უნდა მივმართოთ 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სახელით დასადები საერთაშორისო ხელშეკრულების ცნებას, სახეებს, ხელშეკრულების დადების წესს და სხვ. აღნიშნული კანონი სპეციალურ ნორმას უთმობს საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს (მუხლი 21-ე).

309-ე მუხლის მე-2 ნაწილით დასჯადია საქართველოს სახელით უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან ისეთი ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება, რომელიც ზღუდავს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მის სუვერენიტეტს ან საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს მშვიდობიან თანაარსებობას,აგრეთვე ამგვარი ხელშეკრულების დასადებად სხვისთვის რწმუნების მინიჭება.

ხელშეკრულების დადება ნიშნავს ხელშეკრულების ხელმოწერასა და მის სავალდებულოდ აღიარებას. რაც შეეხება ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადებით სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს მშვიდობიანი თანაარსებობისათვის საფრთხის შექმნას,ამგვარი საფრთხე

შეიძლება წარმოშვას, მაგალითად, რომელიმე სამხედრო ბლოკთან (თუ მეომარ ქვეყანასთან) ისეთი ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადებამ, რამაც საქართველო შეიძლება სხვის ომში ჩაითრიოს; ასევე ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსის შესახებ ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადებამ და სხვ.

კანონი დანაშაულად თვლის, აგრეთვე ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დასადებად სხვისთვის რწმუნების მინიჭებას.

ვინ შეიძლება იყოს ეს პირი, სისხლის სამართლის კანონში დაკონკრეტებული არ არის. რამდენადაც კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან, ამდენად, ხელშეკრულებათა დასადებად სხვისთვის რწმუნებათა მინიჭება პრეზიდენტის პრეროგატივაა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილებას მოლაპარაკების გამართვისა და საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ იღებს საქართველოს პრეზიდენტი. საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაზე სხვისთვის მინიჭებული უფლებამოსილება (რწმუნება) უნდა განსაზღვრავდეს მოლაპარაკების ობიექტსა და პირის კომპეტენციის ფარგლებს. ეს კანონი ასევე განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული მოლაპარაკების გამართვა შეუძლიათ საგანგებო უფლებამოსილების წარდგენის გარეშე (მუხლი მე-12).[91] თუმცა 309-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე,ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკება შეიძლება აწარმოოს სეპარატისტული ხელისუფლების მეთაურმაც ან მისგან შესაბამისი რწმუნებით აღჭურვილმა პირმა.

309-ე მუხლის მე-2 ნაწილში კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთან გვაქვს საქმე და ამიტომ აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის. ქმედების სუბიექტი,როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,შეიძლება იყოს

---

[91] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ კანონის თანახმად, უფლებამოსილებას სახელმწიფოთაშორისი ან მთავრობათაშორისი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გასცემს საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით და აფორმებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. უფლებამოსილებას უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გასცემს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბრძანებით და აფორმებს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი, ისე სეპარატისტული ხელისუფლების, ასევე ნებისმიერი პირი, ვისაც რწმუნება მიანიჭეს ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების საწარმოებლად ან ხელშეკრულების დასადებად. ვფიქრობთ, საქართველოს სახელით ხელშეკრულების დასადებად სხვისთვის რწმუნების მინიჭება შეუძლია მხოლოდ ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელს.

რაც შეეხება ქმედების **სუბიექტურ შემადგენლობას**, აქ სპეციალური მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე. უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება ან ასეთი ხელშეკრულების დადება მიზნად ისახავს საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვას ან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენებას.

ბრალის ფორმის მიხედვით ეს დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა (მუხლი 310-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოს საგარეო უშიშროება. საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესს საფრთხე ამ შემთხვევაში გარედან ემუქრება ისეთი ქმედების ჩადენით, როგორიცაა: უცხო ქვეყნის, ან უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში შესვლა, აგრეთვე ასეთი ქმედების ჩასადენად სხვისი დაყოლიება საქართველოს საგარეო უშიშროების საზიანოდ.

310-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ე.წ. **ფორმალურ დანაშაულთან** გვაქვს საქმე,დასჯადია თავისთავად კანონში მითითებული ქმედების ჩადენა. საქართველოს საგარეო უშიშროებისათვის საფრთხე აქ საკმაოდ აბსტრაქტულია.

რაც შეეხება მე-2 ნაწილს, აქ ეს საფრთხე უფრო კონკრეტდება და ქმედება გულისხმობს უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან ისეთი ურთიერთობის დამყარებას,რომლის მიზანია საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ან აგრესიის სხვა აქტის მომზადება ან განხორციელება, აგრეთვე სხვაგვარი ქმედება ასეთი აქტის პროვოცირების მიზნით. როგორც ვხედავთ, 310-ე მუხლის მე-2 ნაწილში 1-ლი ნაწილისაგან სრულიად განსხვავებულ კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთან გვაქვს საქმე. კანონი არ აკონკრეტებს თუ რა

ხასიათის კავშირურთიერთობა შეიძლება დამყარდეს უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან,ამიტომ დანაშაულის ობიექტურ მხარეში უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი ქმედება, რომლის მიზანი იქნება საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ან აგრესიის სხვა აქტის მომზადება ან განხორციელება,აგრეთვე სხვაგვარი ქმედება ასეთი აქტის პროვოცირების მიზნით. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სეპარატისტების მოღვაწეობა მოკოვში, რომელთაც შემდგომ შეძლეს საომარი მოქმედების ესკალაცია საქართველოს წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, მოსალოდნელი შედეგების სიმძიმის გამო, **310-ე მუხლის მე-3 ნაწილი** 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობას ამკაცრებს, თუ მათ მძიმე შედეგი გამოიწვიეს. მძიმე შედეგში შეიძლება მოვიაზროთ საომარი მოქმედების დაწყება, ტერორისტული და აგრესიის სხვა აქტის განხორციელება და სხვ. ცხადია, კონკრეტული შედეგის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია დანაშაულთა ერთობლიობასთან გვქონდეს საქმე.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

310-ე მუხლში პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულთან გვაქვს საქმე. კანონმდებელი ხაზს უსვამს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ისეთ ელემენტს, როგორიცაა მიზანი, კერძოდ, 1-ლ ნაწილში უცხო ქვეყნის ან უცხოეთის ორგანიზაციის სამხედრო სამსახურში შესვლა მიზნად ისახავს საქართველოს საგარეო უშიშროებისათვის ზიანის მიყენებას, ხოლო მე-2 ნაწილში – უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან კავშირურთიერთობის დამყარება მიზნად ისახავს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ან აგრესიის სხვა აქტის მომზადებას ან განხორციელებას, აგრეთვე სხვაგვარ ქმედებასაც ასეთი აქტის პროვოცირების მიზანი აქვს.

უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა (მუხლი 311-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს საქართველოს საგარეო უშიშროება წარმოადგენს. საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის საფრთხე აქაც გარედან იქმნება. დანაშაული ფორმალურია, ვინაიდან დასჯადია თავისთავად უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა ან საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ. კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუ რაში შეიძლება გამოიხატოს ეს საქმიანობა. თუკი ამგვარი საქმიანობა დაკა-

ვშირებული იქნება საქართველოს წინააღმდეგ ამა თუ იმ კონკრეტული სახელმწიფო დანაშაულის განხორციელებასთან, მაგალითად, ჯაშუშობასთან, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემასთან და სხვ. მაშინ დანაშაულთა ერთობლიობასთან გვექნება საქმე.

სადაზვერვო სამსახური იმდენად სპეციფიკურია, რომ იქ საქმიანობა გაცილებით დიდ საფრთხეს ქმნის ქვეყნის სახელმწიფოებრივი უშიშროებისათვის, მით უფრო, როცა იქ შესვლა და საქმიანობა მიზანმიმართულად საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ ხდება. ალბათ ამიტომაც, კანონმდებელმა 310-ე მუხლისაგან ცალკე შემადგენლობად გამოყო ასეთი დანაშაული (ისიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი). აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით 311-ე მუხლი ხარვეზიანია, რადგან, ჯერ ერთი, მტკიცების თვალსაზრისით უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა არცთუ იოლი დასადგენია, თუ შეუძლებელი არა, მეორეც, დანაშაულის ობიექტური მხარის ისეთი ნიშანი როგორიცაა – „საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ“ იმდენად ზოგადია, რომ ის მოიცავს ნებისმიერ დანაშაულს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც მსგავსი დანაშაულის შემადგენლობის არსებობის მიზანშეწონილებას საეჭვოს ხდის.

ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

ეს დანაშაული პირდაპირი გაზრახვით ხასიათდება, ქმედების სუბიექტი უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლით ან საქმიანობით მიზნად ისახავს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებას.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა (მუხლი 312-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტი საქართველოს თავდაცვისუნარიანობაა.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობა გულისხმობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, სოციალურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, საქართველოს მოსახლეობის,ტერიტორიისა და სუვერენიტეტის დაცვას შეიარაღებული თავდასხმისაგან.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის **1-ლი ნაწილის** მიხედვით საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა გამოიხატება უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სამხედრო ნაწილის, ტექნიკის

ან თავდაცვის სხვა საშუალების უკანონოდ გადაცემაში.

სამხედრო ტექნიკაში იგულისხმება სამხედრო ნაწილის შეიარაღებაში არსებული სხვადასხვა ტექნიკური საშუალება სამხედრო მოქმედებათა საწარმოებლად ანდა უზრუნველსაყოფად. მაგალითად, სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებები, საინჟინრო მანქანები და ა.შ.

თავდაცვის სხვა საშუალებაში შეიძლება ვიგულისხმოთ, მაგალითად, სამობილიზაციო საშუალებები, სამობილიზაციო მატერიალურ ფასეულობათა მარაგი და სხვ.

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობით – საქართველოს თავდაცვისუნარიანობას ზიანი ადგება ისეთი ქმედებით, როგორიცაა: სამხედრო ტექნიკის ან სამხედრო ობიექტის დაზიანება, მწყობრიდან გამოყვანა ან განადგურება, აგრეთვე სამხედრო ან თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა.

სამხედრო ტექნიკის ან სამხედრო **ობიექტის დაზიანებაში** იგულისხმება მათი ნაწილობრივ გაუვარგისება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, როცა შესაძლებელია მათი აღდგენა არსებითი დანახარჯების გარეშე,ხოლო განადგურებაში იგულისხმება მათი სრული გაუვარგისება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. სამხედრო ან თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს მათ ბლოკირებაში,ელექტროენერგიის მიუწოდებლობაში და ა.შ.,რაც ფაქტობრივად საბოტაჟის სპეციალურ შემადგენლობას წარმოადგენს.

312-ე მუხლის **მე-3 ნაწილით** პასუხისმგებლობა დამძიმებულია ქმედების ობიექტური შემადგენლობის ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: დანაშაულის ჩადენის დრო და მძიმე შედეგი. კერძოდ, აქ ლაპარაკია 1-ლ ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაზე ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს,აგრეთვე ზემოაღნიშნული ქმედებით ადამიანის სიცოცხლის მოსპობაზე ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევაზე. სხვა მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ მარცხი საომარი მოქმედებისას ან კონფლიქტში, ქვეყნის ტერიტორიის დაკარგვა და მისთ.

ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხოელი.

სუბიექტური მხრივ 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული უკანონო ქმედების მოტივი მრავალგვარი შეიძლება

იყოს,კერძოდ,პირადი მოტივით დაწყებული და ანტისახელმწიფოებრივით დამთავრებული. მაგალითად, აფხაზეთის კონფლიქტის დროს ქართული სამხედრო ტექნიკა ანგარებით სხვაზე იყიდებოდა, მაშინ, როცა თვითონ ჩვენი ჯარი განიცდიდა მის ნაკლებობას. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთს უბრძოლველად ჩაბარდა სამხედრო ტექნიკა და თავდაცვის სხვა საშუალებები.

განსახილველი დანაშაული განზრახია.

მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში კანონმდებელი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ დისპოზიციაში მითითებულ ქმედებათა ჩადენა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ ხდება. ცხადია, აქ ცალსახად გამოკვეთილია ანტისახელმწიფოებრივი მოტივი, ვინაიდან თუკი ასეთი მოტივი არ დადასტურდება, მაშინ სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების განზრახ დაზიანებისა და განადგურებისათვის პასუხისმგებლობა სუბიექტის მიხედვით შეიძლება დადგეს სპეციალური ნორმით,რომელიც სამხედრო დანაშაულში შედის (სსკ-ის 397-ე მუხლი), ან კიდევ ზოგადი ნორმით ნივთის დაზიანების ან განადგურებისათვის (მუხლი 187-ე). მაშასადამე, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა მოტივი და მიზანი, განსახილველ და სხვა მომიჯნავე შემადგენლობას ერთმანეთისაგან ასხვავებს.

სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა (მუხლი 313-ე)

ანალოგიურ დანაშაულს საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობაც იცნობდა. იგი სამშობლოს ღალატის შემადგენელ ერთერთ ქმედებას წარმოადგენდა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი სახელმწიფო საიდუმლოების გაცემას დამოუკიდებელ შემადგენლობად ითვალისწინებს 313-ე მუხლში.

განსახილველი ქმედების ობიექტური შემადგენლობით სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საგარეო უშიშროება და თავდაცვისუნარიანობა.

სახელმწიფოს საგარეო უშიშროება გულისხმობს იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვას, იქნება ეს კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი თუ ტერიტორიული ხელშეუხებლობა.

სახელმწიფო საიდუმლოების ცნება განსაზღვრულია საქა-

რთველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ. ხსენებული კანონის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოება არის ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებული და სახელმწიფო დაცვას დაქვემდებარებული ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის,ეკონომიკის,საგარეო ურთიერთობის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში,რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს,კონსტიტუციურ წყობილებას,პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ეს კანონი სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ **ინფორმაციას ოთხ ჯგუფად ყოფს**, კერძოდ, ინფორმაცია:

1. თავდაცვის; 2. ეკონომიკის; 3. საგარეო ურთიერთობათა; და 4. სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში.

სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა ობიექტური მხრივ გამოიხატება უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების მიწოდებაში ან მის საჯაროდ გამჟღავნებაში, აგრეთვე სხვა ქმედებაში, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას გარეშესათვის ხელმისაწვდომს ხდის.

სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა სხვადასხვა საშუალებით შეიძლება განხორციელდეს, კერძოდ, ზეპირად, წერილობით, ნახაზების, ფოტოსურათების, მოდელების, სქემების, დიაგრამების, ხელსაწყოების ან ნიმუშების სახით, კავშირგაბმულობის მეშვეობით, ტელე, აუდიო და ვიდეოტექნიკის დახმარებით და სხვ. დანაშაული დამთავრებულად ითვლება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის ადრესატისათვის, ე.ი. უცხო ქვეყნის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის მიწოდების მომენტიდან. უფრო მეტიც, ახალი სისხლის სამართლის კოდექსი აფართოებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრებს და დასჯადად აცხადებს სახელმწიფო საიდუმლოების საჯაროდ გამჟღავნებას. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, საჯარო გამოსვლისას, პრესის ფურცლებზე და სხვ., თუ ამგვარი ქმედება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ ხდება. საიდუმლოების გაცემას აფუძნებს ნებისმიერი მოქმედება, რომლის შედეგადაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ხელში უვარდება არა მარტო კანონში მითითებულ ადრესატებს, არამედ ნებისმიერ სხვა, გარეშე პირს, თუ ეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ კეთდება.

როგორც უკვე აღინიშნა, 313-ე მუხლის 1-ლ ნაწილში **ფორმალურ დანაშაულთან** გვაქვს საქმე. კანონი დასჯადად აცხადებს თავისთავად სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის (საჯაროდ გამჟღავნების) ფაქტს, იმისაგან დამოუკიდებლად მოჰყვა თუ არა მას საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის კონკრეტული ზიანი. მე-2 ნაწილში პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ეს ქმედება ჩადენილია ომიანობის დროს ან თუ მან მძიმე შედეგი გამოიწვია. მძიმე შედეგს კანონი არ აკონკრეტებს და ის სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოების მხედველობაში მიღებით. მაგალითად,მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს საომარი მოქმედების დროს მარცხში, სახელმწიფოს დიდ ფინანსურ დანაკარგში და მისთ.

ქმედების **სუბიექტი სპეციალურია** – ეს არის პირი, ვინც სახელმწიფო საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ან, ვისაც ის გაანდეს განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით. ის შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე სხვა პირი, ვისაც სახელმწიფო საიდუმლოება გაანდეს. ამგვარ განსაკუთრებულ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს, მაგალითად, სამხედრო კონფლიქტი, ვთქვათ, უცხოელი სამხედრო ექსპერტი მოიწვიეს მრჩევლად და მას გაანდეს სახელმწიფო საიდუმლოება, მან კი გასცა ეს საიდუმლო.

ბრალის ფორმის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

დისპოზიციაში ხაზგასმულია ქმედების ისეთი **სუბიექტური ელემენტი,** როგორიცაა მიზანი. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა ხდება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ. სწორედ ამ სუბიექტური ელემენტით განსხვავდება ეს ქმედება 320-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისაგან, სადაც პირი სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისას მიზნად არ ისახავს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესისათვის ზიანის მიყენებას და თუ მას საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი მოჰყვა,ამ შედეგისადმი დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებელი შეიძლება იყოს.

ჯაშუშობის საგანი შეიძლება იყოს:

1. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთი,დოკუმენტი,ცნობა ან სხვაგვარი მონაცემი;

2. სხვა ინფორმაცია, თუ მისი შეგროვება ან გადაცემა ხდება უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით.

რაც შეეხება სხვა ინფორმაციის შეგროვებას ან გადაცემას, **რაც ჩადენილია უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით,** იგი ბოლო დრომდე წარმოადგენდა ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ალტერნატიულ ნიშანს, მაგრამ 2013 წლის 23 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ჩანაწერი ანტიკონსტიტუციურად ცნო.

სახელმწიფო საიდუმლოების ცნებისა და ინფორმაციის სახეების შესახებ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება სხვა ინფორმაციას, მისი სპეციალური ნუსხა არ არსებობს, აქ იგულისხმება ისეთი ინფორმაცია, რომელიც, თუმცა არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოს, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ინტერესის საზიანოდ. ჯაშუშობად არ ჩაითვლება ისეთი ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა, რომელიც გამოქვეყნებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან სხვა წყაროში. ამგვარ ინფორმაციად იურიდიულ ლიტერატურაში თვლიან გამოუქვეყნებელ ცნობებს ნავთობის მარაგზე, ცალკეულ სამხედრო საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეზე, მისასვლელი გზების, რკინიგზის, აეროდრომისა და სხვა სტრატეგიული ნაგებობების შესახებ გეგმებსა და სქემებს და სხვა.

ჯაშუშობის დისპოზიციის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ ქმედების **ობიექტური შემადგენლობის ორი სახე**:

1. უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის,ნივთის,ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა, ან გამოძალვა, ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით. ამგვარ ქმედებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც უცხოეთის დაზვერვის დავალებით, ისე საკუთარი ინიციატივით.

2. საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა.

ამგვარი დაყოფის კრიტერიუმს წარმოადგენს ინფორმაციის ხასიათი (მნიშვნელობა) და არა საქმიანობის სფერო, რომელსაც ის ეხება (თავდაცვა, ეკონომიკა, საგარეო ურთიერთობა, სახელმწიფო უშიშროება და მართლწესრიგი და ა.შ.), ვინაიდან საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში შესაძლებელია იყოს როგორც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობები, ისე სხვა ინფორმაციაც, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფოს საიდუმლოს.

ჯაშუშობის პირველი სახის **ობიექტური მხარე** გამოიხატება ისეთ ქმედებებში, როგორიცაა: სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა, გადაცემა, გამოძალვა ან გატაცება.

შეგროვება გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას პირადი დაკვირვებით, გამოკითხვით, მიყურადებით, ფოტოგრაფირებით, ვიდეოგადაღებით, აუდიოჩანაწერით, ჩანახატით და ა.შ.

შენახვა ნიშნავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის (დოკუმენტის, ნივთის, ცნობის ან სხვა მონაცემის) ფლობას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ინფორმაციის უსაფრთხოება (დაცვა) და უცვლელობა მისი შემდგომი გადაცემისას. ინფორმაციის შენახვა შეიძლება როგორც მის მომპოვებელთან, ისე სხვა პირთან, როგორც შენობა-ნაგებობაში, ისე სხვა ადგილას (ბაღში, ტყეში, სპეციალურ სამალავში და ა.შ.).

გადაცემა გულისხმობს ინფორმაციის შეტყობინებას ადრესატისათვის ნებისმიერი ხერხის გამოყენებით – ზეპირსიტყვიერად, წერილობით, ტელეფონით, ფაქსით, რადიოთი, კომპიუტერული ქსელით და ა.შ.

გამოძალვა გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას მისი მფლობელის მიმართ ძალადობის გამოყენების, მისი ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარით, ასევე სახელგამტეხი ან სხვა ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები. მაშასადამე, გამოძალვის დროს ინფორმაციის მიღების ხერხი არის შანტაჟი.

გატაცება ნიშნავს სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელისაგან ინფორმაციის უკანონო ამოღებას. ეს შეიძლება მოხდეს ფარულად ან აშკარად, ძალადობის გამოყენებით ან მოტყუებით.

ჯაშუშობის მეორე სახე ობიექტური მხრივ ხასიათდება საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვებაში ან გადაცემაში. კანონის ტექსტიდან გამომდინარე, **არ შეიძლება ჯაშუშობად შეფასდეს** სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა საკუთარი ინიციატივით. შესაბამისი ნიშნების არსებობისას დამნაშავემ ამ შემთხვევაში შეიძლება პასუხი აგოს უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარებისათვის (მუხლი 319-ე). ჯაშუშობის ეს სახეც დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობას ქმნის.

ჯაშუშობისათვის პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ის ჩადენილია ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს ან რამაც საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი გამოიწვია. მძიმე შედეგი ფაქტის

საკითხია და მას სასამართლო დაადგენს კონკრეტულ შემთხვევაში. ეს შეიძლება გამოიხატოს დამარცხებაში, ადამიანთა მსხვერპლში, დიდ მატერიალურ ზარალში და ა.შ.

ჯაშუშობის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

სუბიექტური მხრივ ქმედების მოტივი და მიზანი სხვადასხვა შეიძლება იყოს და ისინი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხშირად ჯაშუშური საქმიანობის მოტივს ანგარება წარმოადგენს, ვინაიდან ჯაშუშობა – ეს, ჩვეულებრივ, კადრის მზვერავების პროფესიული საქმიანობაა, რომელიც კარგად ნაზღაურდება.

ჯაშუშობის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. მის სუბიექტს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები, მოსალოდნელი ზიანი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისათვის და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას.

ჯაშუშობა უნდა გავმიჯნოთ სახელმწიფო საიდუმლოების გაცემისაგან (313-ე მუხლი). მართალია, ისინი ნაწილობრივ ემსგავსებიან დანაშაულის საგნითა და ინფორმაციის მიწოდების ადრესატით, მაგრამ ჯაშუშობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება კანონში მითითებული ერთ-ერთი ქმედების (ინფორმაციის შეგროვება, გატაცება და სხვ.) ჩადენის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, გახდა თუ არა ცნობილი საიდუმლო ინფორმაცია კანონში მითითებული ადრესატისათვის, მაშინ როცა სახელმწიფო საიდუმლოს გაცემა დამთავრებულად ჩაითვლება ინფორმაციის (სახელმწიფო საიდუმლოს) შესაბამისი ადრესატისათვის გადაცემის მომენტიდან, ამასთანავე, 313-ე მუხლში საუბარია მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოების გაცემაზე, ხოლო ჯაშუშობის დროს მოპოვებული ინფორმაცია, სახელმწიფო საიდუმლოების გარდა, სხვა ხასიათის მონაცემებსაც შეიძლება შეიცავდეს; გარდა ამისა, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა ხდება იმ პირის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო,ან ვისაც ის გაანდეს განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით, ხოლო ჯაშუში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ თუ სხვაგვარ ინფორმაციას სხვადასხვა ხერხით აგროვებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის განზრახვა პირს მას შემდეგ შეიძლება წარმოეშვას,როდესაც იგი მართლზომიერად დაეუფლება ამ ცნობებს,ხოლო ჯაშუში სპეციალურად აგროვებს მონაცემებს უცხო ქვეყნისათვის,უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის გადასაცემად.

შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად (მუხლი 315-ე)

განსახილველი ქმედების ობიექტური შემადგენლობით სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები.

კონსტიტუციური წყობილების ფუძემდებლური პრინციპები ჩამოყალიბებულია საქართველოს კონსტიტუციის პირველ თავში. მასში განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა; დადგენილია საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ფარგლები; განმტკიცებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ აღიარებულია ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. კონსტიტუციის მე-5 მუხლი იმპერატიულად აცხადებს, რომ არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

ხელისუფლებაში არაკონსტიტუციურად მოსვლის ნებისმიერი გზა მართლსაწინააღმდეგოა, მით უფრო ისეთი გზით, როგორიც შეთქმულება ან ამბოხებაა. ამიტომაც ეს დანაშაული სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის შიდა სტაბილურობისათვის და უშიშროებისათვის.

კანონის ისტორიული,სისტემატიკური (სისტემური) თუ ლოგიკური ახსნა-განმარტება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ,რომ სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის მიხედვით **შეთქმულება გულისხმობს** საქართველოს ხელისუფლებაში პოლიტიკური პარტიების,მოძრაობებისა და სხვა პოლიტიკური ძალების არაკონსტიტუციური გზით მოსვლის მცდელობას. ეს გზა ძალადობის გზაა, ვინაიდან კანონი ქმედების ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშნად თვლის ძალადობას. ამ შემთხვევაში ფორმალურ დანაშაულთან გვაქვს საქმე და შეთქმულება დამთავრებულია პირთა ჯგუფის საიდუმლო შეთანხმების მომენტიდან. შეთქმულთა სამოქმედო პროგრამა შესაძლებელია გულისხმობდეს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ ისეთი ძალმომრეობითი მოქმედების განხორციელებას, როგორიცაა დაპატიმრება, იძულებითი ფიზიკური იზოლაცია, ინტერნირება და ა.შ. ეს მოქმედებები შეიძლება ატარებდეს ლოკალურ ან ფართომასშტაბიან ხასიათს და მიმართული იყოს ხელისუფლების ყველა შტოს წინააღმდეგ. შეთქმულთა მოქმედება შეიძლება მოიცავდეს ასევე

კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის გეგმის შემუშავებას,საპროგრამო დოკუმენტების მომზადებას ხალხის გასაერთიანებლად, ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას შეიარაღებული მოქმედებისათვის, შეთქმულთა გეგმა შეიძლება მოიცავდეს საბრძოლო ჯგუფების შექმნას, ობიექტების შერჩევას დივერსიული აქტების ჩასადენად ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციისათვის, შეიარაღებული გამოსვლისაკენ მოწოდების შემცველი პროკლამაციების დამზადებას და სხვ. ცხადია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, ანდა კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად უფრო რადიკალური მოქმედებაა საჭირო, როგორცაა შეიარაღებული აჯანყება, სამხედრო გადატრიალება და სხვა. ეს უკვე ამბოხებაა,რომელზეც ლაპარაკია 315-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

ამბოხებაში უნდა ვიგულისხმოთ ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ შეთქმულება მხოლოდ საიდუმლო შეთანხმებაა ძალისმიერი გზით კანონიერი ხელისუფლების დასამხობად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ამბოხება – ამ შეთანხმების რეალიზაციის დაწყებაა. ეს შეიძლება გამოიხატოს ხელისუფლებისადმი შეიარაღებულ დაპირისპირებაში, ძალადობაში კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ,

სამთავრობო დაწესებულებათა ძალით დაკავებაში, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის კვანძების,მასობრივი ინფორმაციის (მაუწყებლობის) საშუალებების ხელში ჩაგდებაში, ბლოკირებაში, ბარიკადების აღმართვაში და ა.შ. დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს კანონიერი ხელისუფლებისადმი ამბოხებულთა შეიარაღებული დაპირისპირების მომენტიდან, იმისაგან დამოუკიდებლად, მიღწეულია თუ არა მიზანი (თუმცა გამარჯვებულს ველარც გაასამართლებენ, მათ ისტორია თუ გამოუტანს განაჩენს). ამგვარად, ამბოხება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის ან ხელში ჩაგდების მცდელობას. თუმცა ის შედეგის ფაქტობრივად განხორციელებასაც მოიცავს.

ცხადია, წარმოუდგენელია ამბოხი მავნე შედეგის გარეშე, ამიტომაც კანონმდებელი **ამბოხების დამამძიმებელ გარემოებად** 315-ე მუხლის მე-3 ნაწილში ითვალისწინებს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს. ამ უკანასკნელს კანონი არ აკონკრეტებს და მას სასამართლოს პრეროგატივად ტოვებს,საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით. ამგვარი მძიმე შედეგი შეიძლება იყოს მოსახლეობის პანიკა, დესტაბილიზაცია ქვეყანაში და სხვ.

ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი. იგი შეიძლება იყოს შეთქმულების ან ამბოხების ორგანიზატორი ან აქტიური მონაწილე, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი, ისე სხვა პირი.

სუბიექტური მხრივ შეთქმულების თუ ამბოხების მონაწილენი მიზნად ისახავენ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლას, ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობას, ანდა მის ხელში ჩაგდებას.

შეთქმულების მიზანთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო ლიტერატურაში, რაც ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლს უკავშირდება; კერძოდ, აღნიშნული მუხლით შეთქმულება მიზნად ისახავდა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების დამხობასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. კანონის ამგვარმა ფორმულირებამ აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა შეთქმულების მიზანთან დაკავშირებით. ავტორთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ხელისუფლების დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება თვითმიზანი კი არ არის, არამედ მიზნად ისახავს არსებული კონსტიტუციური წყობილების შეცვლას სხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილებით. მაგალითად, კონსტიტუციური წყობილების შეცვლა შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურის შეცვლაში, ხელისუფლების არსებული კონსტიტუციური ინსტიტუტების გაუქმებასა და ახალი ინსტიტუტების შემოღებაში, რაც გათვალისწინებული არ არის კონსტიტუციით და მისთ. ცხადია, ამგვარი რამ შესაძლებელი იყო კანონის ძველი რედაქციით, მაგრამ ეს არ იყო შეთქმულთა მოქმედების ერთადერთი მიზანი, კანონის ტექსტიდან გამომდინარე, მათ შეიძლება უცვლელადაც შეენარჩუნებინათ ქვეყნის კონსტიტუციური წყობილება, მაგრამ შეეცვალათ მმართველი ძალა – თვლიდნენ მეორენი.

315-ე მუხლის მიხედვით შეთქმულება ან ამბოხება შეიძლება მიზნად ისახავდეს როგორც საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლას, ისე მის დამხობას ან ხელში ჩაგდებას კონსტიტუციური წყობილების შეცვლის გარეშე.

შეთქმულების ან ამბოხების **მოტივი** სხვადასხვა შეიძლება იყოს: პოლიტიკური, მაგალითად, იდეური დაპირისპირება არსებული ხელისუფლებისადმი, ნაციონალისტური, კარიერისტული და სხვ. ისინი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ.

როგორც შეთქმულება, ისე ამბოხება პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება ან კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა (მუხლი 316-ე)

განსახილველი ქმედების ობიექტური შემადგენლობით სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტი საქართველოს თავდაცვისუნარიანობა და სახელმწიფოებრივი უშიშროებაა.

ამ საკანონმდებლო ნოველის შექმნის იდეა აღებულია საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიდან (მუხლი 412-7). ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამგვარ დანაშაულს არ იცნობდა. ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და მოვლენებმა დაგვანახა ამგვარ ქმედებათა შესაძლებლობა და მისი საშიშროება დემოკრატიული რესპუბლიკის ინსტიტუტებისათვის.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გამოიხატება სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდებაში. ეს არის კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების საწინააღმდეგო ქმედება,რომელიც განსაზღვრავს სამხედრო ძალების ხელმძღვანელობისა და დაქვემდებარების წესს საქართველოში[92]. კონსტიტუციის თანახმად საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ამტკიცებს სამხედრო ძალების სტრუქტურას, ნიშნავს და ათავისუფლებს მხედართმთავრებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო,საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვის ორგანოა და პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული თავდაცვითი ამოცანების შესრულებაზე.

უფრო დეტალურად საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვის, ხელმძღვანელობისა და დაქვემდებარების წესი რეგლამენტირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად ჩაითვლება სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდების მომენტიდან.

316-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სამხედრო ხელმძღვანელის მიერ უკანონოდ სამხედრო ძალის ან ტექნიკის გადაადგილებას, თავმოყრას ან დისლოკაციის ადგილის შეცვლას, ანდა კანონიერი ხელისუფლებისადმი სხვაგვარ დაუმორჩილებლობას.

სამხედრო ძალის ან ტექნიკის გადაადგილების ან დისლოკაციის ადგილის შეცვლის წესი რეგლამენტირებულია თავდაცვის სამინის-

[92] კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ,კანონი საომარი მდგომარეობის შესახებ, კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ, საქართველოს შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდება და სხვა.

ტროს შესაბამისი საუწყებო ნორმატიული აქტებით. ამიტომ ამ ქმედებათა უკანონობა ხსენებულ ნორმატივებთან შესაბამისობით უნდა დადგინდეს. რაც შეეხება ხელისუფლებისადმი სხვაგვარ დაუმორჩილებლობას, აქ კანონმდებელი უფრო ზოგად აზრს დებს, მასში შეიძლება ვიგულისხმოთ უარი იარაღის ჩაბარებაზე, დისლოკაციის ადგილზე დაბრუნებაზე და მისთ.

316-ე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები,სახელდობრ,1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენა ომიანობის დროს, შეიარაღებული კონფლიქტის,საგანგებო მდგომარეობის ან მასობრივი არეულობის დროს ანდა აღნიშნული ქმედებით მძიმე შედეგის გამოწვევა.

საომარი და საგანგებო მდგომარეობის ასახსნელად უნდა მივმართოთ 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონს „საომარი მდგომარეობის შესახებ“ და 1997 წლის 17 ოქტომბის კანონს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“.

მასობრივ არეულობაში იგულისხმება ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობის (ბრბოს) მოქმედება, რომელიც ხასიათდება აგრესიულობით, ემოციურობით, ხელისუფლების წარმომადგენლისადმი დაუმორჩილებლობით, წინააღმდეგობის გაწევით და სხვა (მუხლი 225-ე).

მძიმე შედეგს კანონმდებელი არ აკონკრეტებს, მას საქმის კონკრეტული გარემოების მიხედვით სასამართლო დაადგენს.

ქმედების სუბიექტი, 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირია, ხოლო მეორე ნაწილით – სამხედრო ხელმძღვანელი. ფაქტობრივად ამგვარი ქმედების ჩადენა მხოლოდ სამხედრო ხელმძღვანელებს ან ძალოვანი სამინისტროების დიდმოხელეებს ხელეწიფებათ. თუმცა არც გამონაკლისია გამორიცხული.

განსახილველი დანაშაული განზრახია. სუბიექტური მხრივ კი კანონი მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს; მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება,

რომ, თუ 316-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლას, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობას ან ხელში ჩაგდებას, მაშინ საქმე გვექნება ამბოხებასთან. გამოდის, რომ ამ დანაშაულის მოტივი ძირითადად შეიძლება იყოს არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი, კარიერიზმი, ამბიციურობა და სხვა პირადი მოტივი.

მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისა ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ (მუხლი 317-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტს წარმოადგენს კონსტიტუციის მე-5 მუხლით დადგენილი საქართველოს პოლიტიკური სისტემა, მისი შემადგენელი კონსტიტუციური ორგანოების ნორმალური ფუნქცირება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება შემდეგი სახის ქმედებაში:

ა) საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ.

ბ) მოწოდება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ;

გ) ასეთი მოწოდების შემცველი მასალების გავრცელება;

დ) ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება.

კონსტიტუციური წყობილებისა და მისი შეცვლის არსზე უკვე ვისაუბრეთ 315-ე მუხლის განმარტებისას. რაც შეეხება მოწოდების საქვეყნობას, იგი ხასიათდება იმით, რომ მოწოდება მიმართულია ადამიანთა ფართო წრეზე – მასაზე, რადგანაც მიზნად ისახავს ადამიანთა ჩაბმას მასობრივ გამოსვლებში კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. საქვეყნოობა ნიშნავს იმასაც, რომ მოწოდება ატარებს აშკარა, ადვილად გასაგებ ხასიათს, ადამიანები უნდა აღიქვამდნენ მოწოდებათა შინაარსს. კონკრეტულ შემთხვევაში ატარებდა თუ არა მოწოდება საქვეყნო ხასიათს, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ქმედების ჩადენის ადგილის, დროის, ვითარებისა და სხვა გარემოებათა მხედველობაში მიღებით.

მოწოდება – ეს არის ადამიანის ცნობიერებასა და ნებისყოფაზე ზემოქმედების ისეთი ფორმა,რომლის დროსაც ადამიანთა ქცევის წარმართვა ხდება გარკვეულ კალაპოტში სასურველი მიმართულებით. მოცემულ შემთხვევაში მოწოდებას აქვს ერთი მიზანი – გააერთიანოს ადამიანები და წარმართოს მათი ძალისხმევა კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისა ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ. მოწოდება შეიძლება ატარებდეს ზეპირ (მაგალითად, მოწოდება შეკრებაზე, მიტინგზე), წერილობით (პროკლამაციები, პლაკატები) და სხვა ხასიათს. მაგალითად, მოწოდება მასობრივი მაუწყებლობის საშუალების გამოყენებით.

ანტიკონსტიტუციური მოწოდების შემცველი მასალების გავრცელებაში იგულისხმება მოქალაქეთათვის მათი გაცნობის ყოველ-

გვარი ხერხი—ფოსტით გაგზავნა, კედელზე გაკვრა, ტელევიზიისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების გამოყენება.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ობიექტური მხარის **სავალდებულო ნიშანია კანონში მითითებულ ქმედებათა ძალადობის ხერხით** ჩადენა. დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული ერთ-ერთი მოქმედების განხორციელების მომენტიდან, იმისგან დამოუკიდებლად, მოახდინა თუ არა ამ მოწოდებამ ზემოქმედება ადამიანებზე.

პასუხისმგებლობის სუბიექტი ზოგადია, ნებისმიერი 14 წელს მიღწეული ფიზიკური პირი.

სუბიექტური მხრივ დისპოზიციაში ხაზგასმულია ქმედების ისეთი სუბიექტური ელემენტი,როგორიცაა მიზანი,კერძოდ,კანონში მითითებული ქმედება (მოწოდება) მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლას ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობას, ამავე მიზნით ხდება ასეთივე შინაარსის შემცველი მასალის გავრცელება ანდა შეიარაღებისაკენ მოწოდება. მოტივი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს – შურისძიება, საქართველოსა და მისი ხელისუფლების სიძულვილი, იდეური დაპირისპირება ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან, კარიერიზმი და ა.შ.

განსახილველი დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

საბოტაჟი (მუხლი 318-ე)

უცხო სიტყვათა ლექსიკონში საბოტაჟს ასეთი განმარტება აქვს: რაიმე საქმის წინასწარ განზრახვით ჩაფუშვა, მასში მონაწილეობისაგან თავის არიდებით ან მისი არაკეთილსინდისიერი შესრულებით[93].

დიდი იურიდიული ლექსიკონი საბოტაჟს (ფრანგული სიტყვა Sabotage) განმარტავს როგორც განსაზღვრულ მოვალეობათა შეგნებულად შეუსრულებლობას ან მათ დაუდევრად შესრულებას[94].

ეს საკანონმდებლო ნოველა ფრანგული Code penal-ის გავლენით შეიქმნა. თუმცა საფრანგეთის სსკ 411[9] მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლს შორის განსხვავებაც არის. ამ საკანონმდებლო ნოვაციამ ერთ მუხლში გააერთიანა 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მავნებლობა და დივერსია[95].

---

[93] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მ. ჭაბაშვილის მიერ შედგენილი, თბ., 1989.

[94] **Большой юридический словарь**. М., 1997.

[95] 318-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის კონსტრუქცი-

საბოტაჟისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია საქართველოს ეკონომიკური საფუძვლები, ასევე სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირება სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ნებისმიერ სფეროში, ურომლისოდაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ქვეყნის, მისი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს. დამატებითი ობიექტია ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შეთანხმებულ და შეუფერხებელ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისათვის, მისი როგორც ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის. საბოტაჟმა შეიძლება გამოიწვიოს მეურნეობის ცალკეული დარგების საქმიანობის დეზორგანიზაცია, მათი საქმიანობის შეჩერება, საწარმოთა გაკოტრება და ა.შ. მან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს წარმოების ზრდის ტემპზე, ენერგორესურსების მოპოვებაზე, რამაც, თავის მხრივ შეიძლება განაპირობოს ეკონომიკური კრიზისი და გააძლიეროს ქვეყნის დამოკიდებულება უცხოურ დახმარებაზე. როგორც წესი, საბოტაჟის საგანი შეიძლება გახდეს სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, სამსახური, ისეთი, როგორიცაა: სათბობენერგეტიკული, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, მასობრივი მაუწყებლობის და ა.შ. საბოტაჟის აქტმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის დაზიანება ან განადგურება, როგორიცაა ელექტროსადგური, სატრანსპორტო კომუნიკაცია, წყალმომარაგების, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის საშუალება და ა.შ. საბოტაჟმა ეკონომიკურ სისტემასთან ერთად შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყნის საფინანსო სისტემას (მაგალითად, ყალბი ფულის მოჭრით, უსაფუძვლო ემისიით), განათლების სისტემას, სოფლის მეურნეობას და სხვ. უფრო მეტიც, საბოტაჟს შეიძლება შედეგად მოჰყვეს ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანება და სიცოცხლის მოსპობაც, მან შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, გამოიწვიოს პანიკა და სხვა ნეგატიური მოვლენები. საბოტაჟის საშიშროება უფრო გაზრდილია თანამედროვე პირობებში, ვინაიდან ადამიანმა შექმნა უზარმაზარი დამანგრეველი ძალის მქონე მასობრივი განადგურების ახალი საშუალებები – ატომური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და მისთ., რომელთა კონტროლიდან გამოყვანა წარმოუდგენელ შედეგებს

ის აგებისას მხედველობაში იქნა მიღებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე და 88-ე პარაგრაფები, რომლებიც საბოტაჟის აქტებს ითვალისწინებენ.

გვიქადის.

318-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით **საბოტაჟის ობიექტური მხარე** გამოიხატება საქართველოს დასუსტების მიზნით სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლაში. ამ ფორმით საბოტაჟი სხვადასხვა ხერხით შეიძლება განხორციელდეს, კერძოდ, მრეწველობაში ეს შეიძლება გამოიხატოს ტექნოლოგიური პროცესის დარღვევაში,ელექტროენერგიის შეგნებულად მიუწოდებლობაში, მიზნობრივი ინვესტიციის არამიზნობრივად ხარჯვაში, მიზნობრივ ინვესტიციაზე დაუსაბუთებლად უარის თქმაში და სხვ. აგრეთვე საბოტაჟი იქნება ამავე ფორმით მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე, უწყვეტი ციკლის საწარმოს, დანადგარის, ნაგებობის (წყალმომარაგების, ენერგომომარაგებისა და გაზმომარაგების) მშენებლობის თუ სარემონტო სამუშაოთა შეგნებულად გაჭიანურება, მათი შეუფერხებელი მუშაობისათვის დაბრკოლების შექმნა; საბოტაჟი იქნება საქართველოს დასუსტების მიზნით საბაჟო სამსახურის უმოქმედობა კონტრაბანდასთან ბრძოლაში, შემოსავლების სამსახურების მხრიდან არალეგალური ბიზნესის მფარველობა; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფო ინტერესის უგულებელყოფა; კერძო უმაღლესი სასწავლებლის ლიცენზირება და აკრედიტაცია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სამეცნიერო პოტენციალის არარსებობის ვითარებაში,ყალბი ფულის ბრუნვაში გაშვება ან უსაფუძვლო ემისია საფინანსო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის მიზნით და მისთ.

საბოტაჟი ამ ფორმით **ფორმალურ დანაშაულს** წარმოადგენს და იგი დამთავრებულად ჩაითვლება საქართველოს დასუსტების მიზნით სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ნებისმიერი ქმედების ჩადენის მომენტიდან, იმისაგან დამოუკიდებლად, მოჰყვა თუ არა მას ქვეყნისათვის საზიანო შედეგი.

318-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი პასუხისმგებლობას უკავშირებს კონკრეტულ შედეგს,კერძოდ,საქართველოს დასუსტების მიზნით საწარმოს, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის ან მასობრივი მაუწყებლობის საშუალების, გზის, ნაგებობის, ტექნიკის, დოკუმენტის, დიდი რაოდენობით სტრატეგიული ნედლეულის, მასალის ან პროდუქციის, აგრეთვე მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, საზოგადოებრივი უშიშროების ან წესრიგის დაცვისათვის განკუთვნილი ან სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტის

დაზიანებას, მწყობრიდან გამოყვანას ან განადგურებას. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი საბოტაჟის საგნის საკმაოდ დიდ ჩამონათვალს აკეთებს. ეს შეიძლება იყოს საწარმო (ფაბრიკა,ქარხანა,სხვა სამრეწველო ობიექტი),სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის ან მასობრივი მაუწყებლობის საშუალება (ყველა სახის ტრანსპორტი, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი, რადიოკავშირი, ტელევიზია და ა.შ.), გზა, ნაგებობა (ელექტროსადგური, წყალმომარაგებისა და ენერგომომარაგების ნაგებობები, საწყობი, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობები და მისთ.), სტრატეგიული ნედლეული, მასალა ან პროდუქცია (პურპროდუქტები, ნავთობპროდუქტები და მისთ. ბუნებრივი გაზი; ძვირფასი და ფერადი ლითონები). მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დანესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ობიექტები (აქ იგულისხმება ის ობიექტები, რომლებიც მოსახლეობას უზრუნველყოფენ პურით, წყლით, ენერგიით, სამედიცინო მომსახურებით, სამკურნალწამლო საშუალებებით და ა.შ.) და სხვა. ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და კანონის ტექსტიდან გამომდინარე, საბოტაჟის საგანი შეიძლება გახდეს სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტიც.

ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების დაზიანება ან მწყობრიდან გამოყვანა გულისხმობს მათი ფუნქციონირების დროებით შეწყვეტას, როცა შესაძლებელია მათი აღდგენა და ეს ეკონომიკურად მიზანშეწონილიც არის. განადგურების დროს კი ხდება ამ ობიექტების სრული გაუვარგისება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და შეუძლებელია მათი აღდგენა.

საბოტაჟის **მეორე ნაწილს დამამძიმებელი გარემოებები** გააჩნია, რომლებიც ჩამოთვლილია 318-ე მუხლის მე-3 ნაწილში,სახელდობრ,მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ეს ის ნიშნებია, რომლებითაც 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ახასიათებდა დივერსიას; გარდა ამისა, საბოტაჟის განსაკუთრებით მძიმე აქტად ითვლება ბირთვული ენერგიის კონტროლიდან გამოყვანა, ეპიდემიის ან ეპიზოოტიის გავრცელება, მასობრივი მოწამვლა ანდა სხვა ქმედება, რომელმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან მისი ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

როგორც ვხედავთ, კანონი პასუხისმგებლობას ამკაცრებს, თუ 318ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული (საბოტაჟის აქტები) შედეგები გამოწვეულია აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით (წყლის მიშვებით, მეწყერის გამოწვევით, და მისთ.). კანონი საბოტაჟის განსაკუთრებულ სახედ გამოყოფს

ბირთვული ენერგიის კონტროლიდან გამოყვანას, მისი დამანგრეველი ძალისა და მოსალოდნელი კატასტროფის გამო; ეპიდემიისა და ეპიზოოტიის გავრცელებას, ასევე მასობრივ მოწამვლას; ეპიდემია გულისხმობს მასობრივი ინფექციური დაავადების (ქოლერა, შავი ჭირი და მისთ.) გავრცელებას ადამიანთა შორის, ხოლო ეპიზოოტია – პირუტყვის მასობრივად დაავადებას (ციმბირის წყლულით და მისთ.). მასობრივი მოწამვლა მდგომარეობს ადამიანთა მწყობრიდან გამოყვანაში წყლის, კვების პროდუქტის და ა.შ. შხამიანი ნივთიერებით მოწამვლით. მოწამვლა ავადმყოფური მდგომარეობაა, რაც გამოწვეულია ადამიანის ორგანიზმში შხამიანი ნივთიერების მოხვედრით. საბოტაჟის სამივე ეს ფორმა კონკრეტული მავნე შედეგის დადგომას მოითხოვს, რათა დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს,კანონი ამომწურავად არ ჩამოთვლის კვალიფიციური საბოტაჟის აქტებს და პასუხისმგებლობას ამკაცრებს სხვა ქმედებისათვისაც, რომელმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ფიზიკური პირი, იქნება ეს საქართველოს მოქალაქე, უცხოელი თუ მოქალაქეობის არმქონე პირი. ხშირად საბოტაჟს თვითონ საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის საჯარო მოხელეები მიმართავენ, რითაც ქვეყნის წინაშე უმძიმეს დანაშაულს სჩადიან.

სუბიექტური მხრივ კანონმდებელი საგანგებოდ უსვამს ხაზს ქმედების ისეთ სუბიექტურ ელემენტს, როგორიცაა მიზანი, კერძოდ, საქართველოს დასუსტების მიზანი. სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს საბოტაჟს ბევრი სხვა მომიჯნავე შემადგენლობისაგან,რომელსაც ვხვდებით ეკონომიკური დანაშაულის, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, სამოხელეო დანაშაულის დროს და სხვ.

საბოტაჟის ჩადება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება (მუხლი 319-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია საქართველოს საგარეო უშიშროება და თავდაცვისუნარიანობა.

უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ნებისმიერი სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა ფაქტობრივად დახმარებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ განსახილველი სახელმწიფო დანაშაული სახეზე გვექნება მხოლოდ მაშინ, თუ ადგილი არა აქვს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ისეთ კონკრეტულ დანაშაულებს, როგორიცაა: საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა, საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა, ჯაშუშობა და სხვა, რომელთა ამომწურავ ჩამონათვალსაც თვით 319-ე მუხლი გვაძლევს.

დახმარება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანო საქმიანობაში შეიძლება მოიცავდეს არა მარტო დანაშაულებრივ, არამედ ისეთ ქმედებასაც, რომელიც, თუმცა აკრძალული არ არის სისხლის სამართლის კანონით, მაგრამ ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნის საგარეო უშიშროებისათვის. მტრულ საქმიანობაში დახმარება შესაძლებელია როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომიანობისას. ამ ქმედებათა შინაარსი სულ სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ვინაიდან თავად მტრული საქმიანობა მეტად ფართოა; მაგალითად, დახმარება შეიძლება გამოიხატოს უცხოეთის დაზვერვის აგენტისათვის თავშესაფრის მიცემაში, კონსპირაციული ბინით უზრუნველყოფაში, ყალბი დოკუმენტებით მომარაგებაში, ტრანსპორტის ან გადაადგილების სხვა საშუალების მიცემაში, აგენტის გადაბირებაში უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციასთან სათანამშრომლოდ და ა.შ. ომიანობის დროს დახმარება შეიძლება როგორც მტერთან კონტაქტის დამყარებით, ისე მის გარეშე, მაგალითად, ანონიმური დასმენით ჩვენს პარტიზანებზე, რომლებსაც უსწორდებიან – აპატიმრებენ ან ხოცავენ, სამიზნეების მითითება დასაბომბად, მტრისათვის საომარი საშუალებების ჩაბარება და სხვა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ მტრულ საქმიანობაში დახმარება შეიძლება გამოიხატოს უფრო გლობალურ

აქციაშიც,როგორიცაა: საგარეო-პოლიტიკური მტრული აქცია – დი პლომატიური ურთიერთობის გასაფუჭებლად,მოლაპარაკების ჩასაშლელად,ეს შეიძლება იყოს ე.წ. იდეოლოგიური დივერსიული აქტი – ფსიქოლოგიური ომის წარმოება,ძირგამომთხრელი პროპაგანდა; ეკონომიკური აქციაეკონომიკური ბლოკადის განსახორციელებლად სხვადასხვა ფორმით დახმარების გაწევა და სხვ.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის ფაქტობრივი დახმარების გაწევის მომენტიდან. შესაძლებელია ამ დანაშაულის მომზადება და მცდელობა.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, თუ მტრულ საქმიანობაში დახმარება ისეთ ქმედებაში გამოიხატა, რაც თავისთავად წარმოადგენს სახელმწიფო დანაშაულს, მაშინ მისი კვალიფიკაცია მოხდება როგორც 37-ე თავით გათვალისწინებული შესაბამისი სახელმწიფო დანაშაული ანდა შესაძლებელია ზოგად სისხლის სამართლის დანაშაულთან ერთობლიობით კვალიფიკაცია (მკვლელობა, ძარცვა და ა.შ.), თუკი ასეთს ექნება ადგილი.

ქმედების ამსრულებელი რაიმე სპეციფიკური ნიშნით არ ხასიათდება.

სუბიექტური მხრივ კი დისპოზიციაში ხაზგასმულია ქმედების ისეთი სუბიექტური ელემენტი, როგორიცაა მიზანი – დახმარება ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის ხელყოფა. მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

განსახილველი დანაშაული განზრახია.

სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (მუხლი 320-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია სახელმწიფო საიდუმლოების ხელშეუხებლობა, რაც თავის მხრივ სახელმწიფოებრივი უშიშროების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ არა მარტო განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციის სახეებს,არამედ ადგენს მათი დაცვის ძირითად საორგანიზაციო-სამართლებრივ ღონისძიებებსაც. აღნიშნული კანონის 32-ე მუხლით სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებული პირი ვალდებულია არ გაახმაუროს სახელმწიფო საიდუმლოება,

რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, იგი მოვალეა შეასრულოს კანონით დადგენილი საიდუმლოების რეჟიმის მოთხოვნები.

სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების **ობიექტური მხარე** მოიცავს: ა)ქმედებას (ინფორმაციის გახმაურება); ბ) შედეგს (სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაცია ცნობილი ხდება გარეშე პირისათვის); გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ობიექტურად სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება გამოიხატება ისეთ ქმედებაში,რომლის შედეგადაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია გარეშესათვის ცნობილი ხდება, ეს შეიძლება მოხდეს (გამოაშკარავდეს) კერძო საუბარში,საჯარო გამოსვლაში,დოკუმენტების,სქემების,რუკების,გეგმების და ა.შ. გაცნობით,დემონსტრირებით და სხვ. სასამართლო პრაქტიკა ამ დანაშაულს ძირითადად ვერბალურ დელიქტად იცნობს. ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში ის მოქმედებას გულისხმობს. თუმცა შესაძლებელია სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება უმოქმედობითაც. მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის დატოვება სამუშაო მაგიდაზე ან სხვა თვალსაჩინო ადგილას, რის გამოც ის გარეშესათვის ხელმისაწვდომი გახდა.

გარეშედ ჩაითვლება ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც არც სამსახურებრივი მდგომარეობით მიუწვდებოდა ხელი ამგვარ ინფორმაციაზე და არც განდობილი ჰქონდა რაიმე გარემოებასთან დაკავშირებით.

დანაშაული დამთავრებულია მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას გარეშე პირი დაეუფლება და მძიმე შედეგის გამოწვევას მნიშვნელობა არა აქვს (ფორმალური შემადგენლობა). ამასთან, აუცილებელი არ არის გახმაურებული ინფორმაციის მთელი შინაარსის დეტალური გაცნობა, საკმარისია გამჟღავნებული ინფორმაციის ზოგადი აღქმაც.

320-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იგივე ქმედება, რამაც საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი გამოიწვია. მძიმე შედეგი შეფასებითი ნიშანია და იგი კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს სასამართლომ. ასეთი შეიძლება იყოს სახელმწიფო საიდუმლოების მოხვედრა უცხოეთის სადაზვერვო სამსახურების ხელში, საერთაშორისო მოლაპარაკებათა ჩაშლა, ქვეყნის ეკონომიკისათვის, მისი თავდაცვისუნარიანობისათვის არსებითი ზიანის მიყენება მნიშვნელოვანი სადაზვერვო ან კონტრსადაზვერვო ღონისძიებების ჩაშლა და ა. შ.

ქმედების **სუბიექტი სპეციალურია** – ეს არის პირი, რომელმაც სახელმწიფო საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგო-

მარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს.

სუბიექტური მხრივ ქმედების მოტივი და მიზანი სხვადასხვა შეიძლება იყოს. იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ამ დანაშაულის ყველაზე ტიპურ მოტივად თვლიან ტრაბახს, ბაქიობას, რომლის მიზანია გარეშე პირებს უჩვენოს საქმეში ჩახედულება, კომპეტენტურობა და მისთ.

სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება განზრახი დანაშაულია, რადგან მის დისპოზიციაში არაა მითითება საიდუმლოების გაუფრთხილებლობით გახმაურების შესახებ (სსკ მე-10 მ-ის მე-4 ნაწ.). მიზანშეწონილია, კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაადგინოს სახელმწიფო საიდუმლოს გახმაურების მძიმე შედეგის გამოწვევისათვის როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით, როგორც ეს ამ ნორმის თავდაპირველ რედაქციაში იყო.

როგორც კანონის ტექსტიდანაც ჩანს, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება 320-ე მუხლით, თუ ადგილი არა აქვს სახელმწიფო საიდუმლოების გაცემას ან ჯაშუშობას. მაშასადამე,საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების მიზანი აქ გამორიცხულია. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა და ჯაშუშობა განსხვავდება სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისაგან როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტით, ისე ქმედების ხასიათით, რომელიც მოიცავს საიდუმლო ინფორმაციის არა მარტო მართლზომიერ ფლობას, არამედ მის მოპოვებასაც სხვადასხვა მართლსანინააღმდეგო ხერხით. გარდა ამისა, ინფორმაციის ადრესატი სახელმწიფო საიდუმლოების გაცემისა და ჯაშუშობის დროს არის უცხო ქვეყანა,უცხოეთის ორგანიზაცია ან მათი წარმომადგენელი, ხოლო გახმაურების დროს – ნებისმიერი გარეშე პირი. ამ შემადგენლობათა გამიჯვნის დროს განმსაზღვრელი მაინც არის ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, თუ სახელმწიფო საიდუმლოების გაცემისა და ჯაშუშობის დროს მხოლოდ პირდაპირ განზრახვასთან გვაქვს საქმე და საქართველოს სახელმწიფო ინტერესისათვის ზიანის მიყენების მიზანთან, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების დროს ქმედება განზრახია, მაგრამ ანტისახელმწიფოებრივი მოტივი და მიზანი გამორიცხულია.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი იგივეა, რაც სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისას. დანაშაულის საგანია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მქონე დოკუმენტი ან სხვა სახის მატერიალური საგანი, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებად აღიარებულ ინფორმაციას. მათ საიდუმლოების გრიფი და სხვა აუცილებელი რეკვიზიტები გააჩნიათ. ეს შეიძლება იყოს სტამბური ან სხვა წესით შესრულებული ტექსტი და გრაფიკული მასალა (ბრძანება, დირექტივა, მიმოხილვა, ნახაზი და მისთ.), ტექნიკის, მოწყობილობის, შეიარაღების მოდელები და სხვა.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა მოიცავს: ა) მოქმედებას ან უმოქმედობას (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის ან საგნის მოპყრობის წესის დარღვევა); ბ) შედეგს (ასეთი დოკუმენტის ან საგნის დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან სხვა მძიმე შედეგის სახით); გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. 321-ე მუხლი ბლანკეტურ ნორმას შეიცავს, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესი რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებებს, არის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა მოიცავს საორგანიზაციო-სამართლებრივ, საინჟინრო-ტექნიკურ, კრიპტოგრაფიულ და ოპერატიულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა მიზანია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის ტექნიკური, კრი პტოგრაფიული, პროგრამული და სხვა საშუალებები არსებობს. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით დადგენილია ერთიანი მოთხოვნები სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის მატერიალური შემცველების დამზადების, გამოყენების, შენახვის, გადაცემის, ტრანსპორტირებისა და აღრიცხვისადმი; თავისი საქმიანობით სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს,დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის ნებართვის გაცემის წესი და პირობები, აღნიშნული საწარმოს,დაწესებულების ან ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი (საიდუმლოების

რეჟიმი), სახელმწიფო საიდუმლოებასთან მოქალაქეთა დაშვების სპეციალური წესი და ა.შ..

არსებული ბლანკეტური ნორმების დარღვევაზე მიანიშნებს 321-ე მუხლი, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის ან საგნის დაზიანება, განადგურება ან დაკარგვა. მაგალითად, აღნიშნული დოკუმენტის ან საგნის დაზიანება, განადგურება თუ დაკარგვა შეიძლება იყოს მათი დამზადების, შენახვის, გამოყენების, ტრანსპორტირებისა და სხვა წესის დარღვევის შედეგი. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესი შესაძლებელია დაირღვეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული ერთ-ერთი შედეგის დადგომის მომენტიდან.

321-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობა მკაცრდება, თუ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევამ გამოიწვია სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება ან სხვა მძიმე შედეგი. ასეთი შედეგი შეიძლება იყოს სახელმწიფო საიდუმლოების მოხვედრა უცხოეთის სპეცსამსახურების ხელში,ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება და მისთ.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა დადგინდეს **მიზეზობრივი კავშირი.** ფაქტების გამოძიების დროს საჭიროა ზუსტად დადგინდეს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის რა წესი (დებულება, პუნქტი) დაირღვა და რომ სწორედ ამ წესის დარღვევამ გამოიწვია კანონში მითითებული შედეგი. ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი. ნორმის ადრესატი ძირითადად მაინც სპეციალური სუბიექტია, ანუ ის, ვისაც მინდობილი აქვს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტი ან საგანი, თუმცა შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა პირიც,ვინც კანონით დადგენილი წესით დაშვებულია სახელმწიფო საიდუმლოებასთან, რათა მიცემული ნებართვის საფუძველზე შეასრულოს სამუშაო სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოყენებით. კერძოდ, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაიშვება საქართველოს ქმედუნარიანი 18 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა სჭირდება თავისი სამსახურებრივი ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.

მართალია, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესი შესაძლებელია დაირღვეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით, მაგრამ ეს დანაშაული მაინც არის გაუფრთხილებელი, რადგან მართლსაწინააღმდეგო შედეგი (დოკუმენტის ან საგნის დაზიანება, განადგურება

ან დაკარგვა) უნდა დადგეს გაუფრთხილებლობით. ამდენად, მხოლოდ საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა შედეგის გარეშე წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა **უნდა გავმიჯნოთ** სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისაგან, ვინაიდან იგი თავის ერთ-ერთ თანამდევ შედეგად ითვალისწინებს სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებასაც.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევის დროს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტი ან საგანი შეიძლება დაიკარგოს,ე.ი. მისი მესაკუთრის მფლობელობიდან გამოვიდეს და სხვის საკუთრებად იქცეს, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (მუხლი 320-ე) კი ასეთი დოკუმენტის ან საგნის დაკარგვის გარეშე ხდება, უფრო მეტიც, იგი შეიძლება მოხდეს ამ საგნებთან შეხების გარეშე. მაშინ, როცა სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება მისი დაცვის წესის დარღვევით (მუხლი 321-ე), სწორედ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტისადმი ან საგნისადმი მოპყრობის წესის დარღვევის შედეგია. მაშასადამე, თუ 320-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ძირითადად, ვერბალური დელიქტია, 321-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება მხოლოდ გარკვეულ საგნებზე ზემოქმედებით ხორციელდება, რომელთაც მკაცრად რეგლამენტირებული რეკვიზიტები აქვთ (საიდუმლოების ხარისხი, გრიფი, სარეგისტრაციო ნომერი და ა.შ.).

დანაშაულის საგანი, ცხადია, 320-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულშიც შეიძლება გვქონდეს, მაგალითად, პირმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტიდან ამონაწერი გააკეთა თავის დღიურში, რომელიც შემდეგ დაკარგა და საიდუმლოება გახმაურდა. აქ, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებასთან გვექნება საქმე (მუხლი 320-ე) და არა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევასთან, ვინაიდან პირადი დღიური არ წარმოადგენს დოკუმენტს ან საგანს იმ მნიშვნელობით, რაზედაც ლაპარაკია 321-ე მუხლში.

320-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში სახელმწიფო საიდუმლოს გახმაურება ქმედების ძირითადი შედეგია, ხოლო 321-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში – თანმდევი შედეგი.

სახელმწიფო საიდუმლოს გახმაურება (მუხლი 320-ე) შესაძლებელია განზრახ, ხოლო სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება დოკუმენტის ან საგნისადმი მოპყრობის წესის დარღვევით (მუხლი 321-ე) მხოლოდ გაუფრთხილებლობით.

მუხლი 321[1] საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსება ან ამგვარი საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა

ეს ნოვაცია 2015 წლის 12 ივნისის კანონით დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მსგავსი ქმედება საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ ამა თუ იმ დანაშაულში დახმარების ფორმაა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქმედების დამოუკიდებელ დანაშაულის შემადგენლობად გათვალისწინება საკამათო თემაა. შინაარსობრივად ეს დანაშაული სსკ 331[1]მუხლით აღწერილი დანაშაულის იდენტურია (ცხადია, ნორმით დაცული ინტერესის გარდა), ამიტომ მას აღარ განვიხილავთ (იხ. სსკ 331[1]მუხლის განმარტება).

სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიება (მუხლი 322-ე)

ამგვარი წამახალისებელი ნორმა საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს[96]. თუ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ამგვარი წამახალისებელი ნორმები კონკრეტულ შემადგენლობებში გვქონდა (მაგალითად, სამშობლოს ღალატი მუხლი 65-ე, მე-2 ნაწილი, ჯაშუშობა მუხლი 66-ე, მე-2 ნაწილი, ტერორისტული აქტი მუხლი 67-ე, მე-7 ნაწილი და სხვა), ახლა, კანონმდებელი ზოგად წამახალისებელ ნორმას გვთავაზობს 322-ე მუხლში, მასში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის დანაშაულები, რომელთა ჩამდენი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ამის თაობაზე ნებაყოფლობით და დროულად განუცხადა ხელისუფლების ორგანოს და თუ თავიდან იქნა აცილებული საქართველოს ინტერესისათვის მოსალოდნელი ზიანი. სახელდობრ, ეს დანაშაულებია: ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება,უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა, ჯაშუშობა (ნაწილი 1-ლი), შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად (1-ლი ნაწილი) და უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორ-

[96] ანალოგიურ ნორმას ვხვდებით საფრანგეთის სსკ, 414-2 მუხლში.

განიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება. ცხადია, აქ, ძირითადად, საფრთხის შემქმნელი დელიქტებია შერჩეული, ე.ი. სახელმწიფო ინტერესის საწინააღმდეგო ქმედებასა და მოსალოდნელ შედეგს შორის დროის გარკვეული შუალედია და, ამდენად, შესაძლებელია, საქართველოს ინტერესისათვის რეალური ზიანის თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად კანონი ორ კუმულაციურ პირობას აყენებს:

1. ნებაყოფლობითი და დროული განცხადება ხელისუფლების ორგანოში;

2. საქართველოს ინტერესისათვის მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.

თავი VI

ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა

საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით განცხადებული თანხმობის გარეშე, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ღია, ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და იქ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო. ამ ომმა ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება არ ეგუება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მათ შორის, მის მიერ დემოკრატიის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს, ქვეყნის დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საქართველო მონოდებულია,აღიდგინოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და უზრუნველყოს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვა მის ხელთ არსებული ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალების გამოყენებით. ვკითხულობთ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაცია და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად გამოცხადდა. საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“. ამასთანავე, მიღებული იქნა კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (2008 წლის 23 ოქტომბერი), რომელმაც განსაზღვრა იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად და დაადგინა ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. ამ კანონის საფუძველზე და მისი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად

2008 წლის 19 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა

37-ე პრიმა თავი, რომელიც დანაშაულის ორ შემადგენლობას მოიცავს: ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა (მუხლი 322[1]) და ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება (მუხლი 322[2]).

ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა (მუხლი 322[1])

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის დაცვას. ქმედების ობიექტური შემადგენლობა ბლანკეტური ფორმით არის ჩამოყალიბებული, კერძოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით.

ოკუპირებულ ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლი განსაზღვრავს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საზღვაო ზონებს, ხოლო მესამე მუხლი – ამ ტერიტორიების სამართლებრივ რეჟიმს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ კანონის მოქმედების ვადით ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი,აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კანონის მეოთხე მუხლით ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილება შეზღუდულია, სახელდობრ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ: ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე – ზუგდიდის მუნიცი პალიტეტის მიმართულებიდან;

ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) – გორის მუნიცი პალიტეტის მიმართულებიდან. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულის გარდა, ყველა სხვა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის აკრძალულია და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გაიცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის სპეციალური ნებართვა საქართველოს მთავ-

რობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის ან ჰუმანიტარულ მიზნებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა და შესაბამისი პასუხისმგებლობა არ ვრცელდება: ა) საქართველოში შემოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს სახელმწიფოს, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, აგრეთვე პირზე, რომელმაც აღნიშნული ქმედება ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე;

ბ) იმ პირზე,რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახორციელებს გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას მოსახლეობის სიცოცხლის უფლების უზრუნველსაყოფად, კერძოდ, მოსახლეობას უზრუნველყოფს საკვებით, მედიკამენტებითა და პირველადი მოთხოვნილების საგნებით. (ანალოგიურ დათქმას შეიცავს სსკ 322[1] მუხლიც).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი. განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია განზრახ, სუბიექტურ ნიშნებს (მოტივსა და მიზანს) ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

322[1] მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, სახელდობრ, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი: ჯგუფურად, არაერთგზის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით და ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ. ეს დამამძიმებელი გარემოებები რაიმე სპეციფიკით არ ხასიათდება და მათზე არ შევჩერდებით.

ამ მუხლის შენიშვნის მიხედვით: ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოში უშუალოდ იმ ტერიტორიებიდან შემოვიდა, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული საფრთხე ემუქრებოდა და რომელიც საქართველოში უნებართვოდ იმყოფება და იმავე კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, იმ პირობით, რომ ის დაუყოვნებლივ გამოცხადდება ხელისუფლების ორგანოში და წარადგენს სათანადო

განმარტებას საქართველოში უკანონო შემოსვლის ან უნებართვო ყოფნის შესახებ, და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, აგრეთვე პირი, რომელმაც აღნიშნული ქმედება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე ჩაიდინა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება (მუხლი 322[2])

ნორმით დაცული ძირითადი ინტერესი იგივეა რაც ზემოთ განხილულ დანაშაულის შემადგენლობაში. ქმედების ობიექტური შემადგენლობა ბლანკეტური ფორმით არის ჩამოყალიბებული,სახელდობრ,ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მეექვსე მუხლის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია შემდეგი სახის ეკონომიკური საქმიანობა:

„ა) ნებისმიერი ეკონომიკური (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობა,მიუხედავად იმისა,ხორციელდება თუ არა იგი მოგების,შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, თუ ასეთი საქმიანობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“, „მეფუტკრეობის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „წყლის შესახებ“, „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს საზღვაო კოდექსის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საჭიროებს შესაბამისი ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვებას, ავტორიზაციის ან რეგისტრაციის გავლას, ან თუ ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს შეთანხმებას, ასეთის არარსებობის შემთხვევაში;“

ბ) სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანა ან/და გამოტანა;

„გ) საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო მიმოსვლა,გარდა გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციით დადგენილი შემთხვევებისა;“ სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა;“

დ) სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა;

ე) ფულადი გადარიცხვების ორგანიზება;

ვ) ამ პუნქტის „ა“—„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის დაფინანსება ან რაიმე სხვა ფორმით ხელშეწყობა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალული საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სპეციალური თანხმობით,

რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს.

ამ მოთხოვნათა დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას. მაგალითად, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში რუსული სატელეფონო და სხვა კომპანიების საქმიანობა არის აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა.

დანაშაულის ამრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი, ამასთანავე, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრეუდიციას უკავშირდება.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები ვრცელდება დაკავშირებულ პირებზედაც, ანუ იმ პირებზე, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების კაპიტალში ან/და რაიმე ფორმით გავლენას ახდენენ მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ამავე დროს,„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული აკრძალვა და პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახორციელებენ გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას მოსახლეობის სიცოცხლის უფლების უზრუნველსაყოფად, კერძოდ, მოსახლეობას უზრუნველყოფენ საკვებით, მედიკამენტებითა და პირველადი მოთხოვნილების საგნებით.

ეს დანაშაული განზრახია.

დანაშაულის სუბიექტური ნიშნები (მოტივი და მიზანი) ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის ირელევანტურია.

322[2] მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის იგივე ქმედების ჩადენას ჯგუფურად,არაერთგზის, და ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ.

თავი VII

ტერორიზმი

ზოგადი დებულებები

სიტყვა ტერორი (terror) ლათინური წარმოშობისაა და შიშს, საშინელებას ნიშნავს.

თანამედროვე ტერორიზმი პოლიტიკური პარტიების, სოციალური ფენების, იდეოლოგების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ის ამა თუ იმ იდეოლოგიას არის ამოფარებული და გარკვეული ძალების რეაქციას წარმოადგენს. იგი სოციალურ-პოლიტიკური ექსტრემიზმის ყველაზე საშიში და რადიკალური ფორმაა. ცხადია, რომ ამ გაგებით ტერორის ცნება სცილდება რეპრესიის ცნებას და ნიშნავს დანაშაულს, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლებაზე ზემოქმედებას, მის დაშინებასა და იძულებას – გადადგას ტერორისტის (ტერორისტების) ინტერესების შესაბამისი ნაბიჯი, პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას და სხვ.

ტერორიზმი არა მარტო სოციალური, არამედ სამართლებრივი მოვლენაც არის. ის აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს მართლწესრიგს. ხელყოფს ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათ ქონებას, უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ტერორიზმი არღვევს საზოგადოებაში უსაფრთხოების, სიმყუდროვის, სტაბილურობის ატმოსფეროს, აყალიბებს „ყოვლისშემძლე“ ტერორისტთა წინაშე დაუცველობის გრძნობას,ამავე დროს, ტერორისტთა მოქმედება ართულებს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ ფუნქციონირებას. მაშასადამე, ტერორისტული ქმედება მრავალობიექტიან დანაშაულს წარმოადგენს. მისი სამიზნე (ხელყოფის საგანი) სრულიად სხვადასხვა ინტერესებია – დაწყებული მოსახლეობის (მისი ცალკეული ჯგუფის) მასობრივი განადგურებიდან სახელმწიფო და საზოგადოებრივ უშიშროებამდე; მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველმყოფი სისტემიდან (საინფორმაციო,ენერგეტიკული, საკვები რესურსებით უზრუნველყოფა) სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებამდე.

გარკვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა ტერორისტთა მოქმედების შინაარსი და შედეგები. ტერორიზმი თავისი ობიექტური ნიშნებით გამოიხატება მოქმედებაში, რომელიც მიმართულია კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწის, ან ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობის სიცოცხლის წინააღმდეგ, მას თან ახლავს შეიარაღებული ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა; ამასთანავე, შესაძლებელია მას თან ახლდეს ფსიქიკური ზემოქმედება ან სხვადასხვა სიკეთის

გამოძალვა. ტერორიზმი შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე რაიმე ობიექტის დაზიანებაში (განადგურებაში) ან მის მცდელობაში (საჰაერო ან საზღვაო ხომალდი, ადმინისტრაციული ან საცხოვრებელი შენობა და მისთ.). მისი ჩადენის ხერხი მრავალგვარია უბრალო აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით დაწყებული და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით დამთავრებული. ტერორიზმი შეიძლება გამოიხატოს მოქმედებათა მთელი სერიის განხორციელებით ან ერთჯერადი მოქმედებით; განხორციელდეს გლობალურად ან ლოკალურად.

ტერორიზმი მის ნებისმიერ გამოვლინებაში განზრახი დანაშაულია. დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედების ისეთ სუბიექტურ ელემენტებს, როგორიცაა მოტივი და მიზანი. ტერორისტული აქტი შეიძლება მიზნად ისახავდეს პოლიტიკური წყობილების შეცვლას,ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას,ოფიციალური იდეოლოგიის სახით განსაზღვრული სოციალური, რელიგიური, ეთნიკური სტანდარტების თავსმოხვევას, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის არსებით შეცვლას, დაპატიმრებული ტერორისტების გათავისუფლებას; სტაბილურობის შერყევასა და საზოგადოების დაშინებას, საომარ მოქმედებათა (ომის) პროვოცირებას, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისათვის ზიანის მიყენებას და ა.შ. ტერორიზმის მოტივი შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი იყოს, კერძოდ, ფუნდამენტალისტური ან სექტანტური, რელიგიური, ნაციონალისტური, სოციალური ფანატიზმი, თვითდამკვიდრებისაკენ (განდიდებისაკენ) სწრაფვა და ა.შ. ტერორიზმი მოიცავს ქმედებას ისეთი მოტივაციითაც, როგორიცაა: ანგარება, შურისძიება, ეკონომიკური კონკურენცია და სხვ.

იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის კლასიფიკაციის უამრავ საფუძველს ვხვდებით: მოქმედებათა მასშტაბის, შედეგების ხასიათის, მოტივის, მიზნის და ა.შ. მიხედვით. მაგალითად, მოქმედებათა მასშტაბის მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფო, საერთაშორისო (ეს არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ ორგანიზებული და დაფინანსებული ტერორისტული ქმედება) და შიდასახელმწიფო ტერორიზმს (ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი, რომელიც არსებულ ხელისუფლებასთან ბრძოლაში გამოიხატება).

შედეგის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ტერორიზმს, რომელსაც ადამიანის მსხვერპლი, მატერიალური, მორალურ-ფსიქიკური ზიანი მოჰყვა ან მისი მიყენების საფრთხე შექმნა. მოტივისა და მიზნის მიხედვით განასხვავებენ – ჩვეულებრივ კრიმინალურ ტერორიზმს, რომელიც გულისხმობს ტერორის გამოყენებას მატერიალური გამორჩენის მისაღებად; ძალადობის ფსიქოლოგიურ აქტებს, რომელიც განპირობებულია პოლიტიკური მრწამსით, წარმოდგენით, რელიგი-

ური ფანატიზმით, სამხედროს-შეიარაღებულ კონფლიქტში მოწინააღმდეგის შეშინება; პოლიტიკურს-ტერორის გამოყენება პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ტერორიზმის კლასიფიკაციას ახდენენ ასევე მოქმედების ჩადენის ხერხის, გამოყენებული იარაღისა და საშუალების, მონაწილეთა რაოდენობისა და ორგანიზებულობის ხარისხის, ასევე სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

ცხადია, ტერორიზმის როგორც სოციალური და სამართლებრივი მოვლენის კლასიფიკაციის ერთიანი საფუძვლები არ არსებობს. ფაქტი ერთია,ტერორიზმი არის როგორც შიდასახელმწიფოებრივი,ისე საერთაშორისო პრობლემა. აქედან გამომდინარე, ტერორიზმის კლასიფიკაციის უპირველეს საფუძვლად მისი მასშტაბურობა უნდა ავიღოთ, ე.ი. მას საერთაშორისო ხასიათი აქვს თუ შიდასახელმწიფოებრივი,ხოლო ყველა სხვა კლასიფიკაცია ამ ორი პარამეტრის შიგნით უნდა მოვახდინოთ. რაც შეეხება ტერორიზმის სუბიექტურ ელემენტებს, შეუძლებელია იმის უგულებელყოფა, რომ ის რეზონანსული დანაშაულია; ტერორისტი ყოველთვის საკუთარ ქმედებათა აფიშირებას ახდენს საყოველთაო ყურადღების მისაპყრობად, რა მოტივებიც არ უნდა ამოძრავებდეს მას. ტი პურად ის შიშის დასათესად, ვიღაცის დასათრგუნავად ხდება, ამიტომ მისი ჩვეულებრივ კრიმინალთან გაიგივება არაფრით არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ტერორიზმის ზოგადსამართლებრივ სუბიექტურ მახასიათებლებლად უნდა ჩაითვალოს ვიღაცის დაშინების, ვიღაცაზე ზემოქმედების მიზანი. ეს „ვიღაცა“ კი საზოგადოება ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია.

სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა ტერორისტული ხასიათის დანაშაულები ერთ თავში გააერთიანა (თავი 38-ე) და რამდენიმე შემადგენლობად ჩამოაყალიბა. მასში არის ტრადიციული ტერორისტული ქმედებაც და მსოფლიოს პრაქტიკის გაზიარებით შექმნილი დელიქტებიც. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, 38-ე თავში გაერთიანებული დანაშაულები ვერ ჩაითვლება ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა ამომწურავ ჩამონათვალად. კვლავაც რჩება ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ტერორისტული ხასიათის დანაშაულები სხვა თავებში გაბნეულად, ასეთია მაგალითად, საჰაერო ან წყლის ხომალდის გატაცება (მუხლი 227-ე), მეკობრეობა (მუხლი 228-ე), ეკოციდი (მუხლი 408-ე) და სხვ. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ასახვა პოვა მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ტერორიზმად აღიარებულმა თითქმის ყველა შემთხვევამ.

2013 წლის 27 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

მიერ მომზადებული კანონპროექტის საფუძველზე ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. განმარტებითი ბარათის მიხედვით ცვლილებების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, პროექტში ტერორისტული მიზნით ჩადენილი დანაშაულებისათვის დაზუსტდა, თუ რა ჩაითვლება „ტერორისტულ მიზნად". კერძოდ, ტერორისტულ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სერიოზული დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება.

კანონპროექტით კრიმინალიზებული იქნა ისეთი ტერორისტული დანაშაულების ჩადენის მუქარა, როგორებიცაა ტეორორისტული აქტი, ტექნოლოგიური ტერორიზმი;, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება, შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა, მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით, საჰაერო ან წყლის ხომალდის ან რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი და სატვირთო ტრანსპორტის მართლსანინააღმდეგო დაუფლება ტერორისტული მიზნით.

ახალი კანონი ტერორისტულ აქტად მიიჩნევს ადამიანზე თავდასხმასაც, რომელიც ქმნის ადამიანის სოცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ჩადენილს ტერორისტული მიზნით.

კანონპროექტის მიხედვით, ტერორისტულ დანაშაულებადაა მიჩნეული:

- ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება, შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება ტერორისტული მიზნით;
- ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება ან ბიოლოგიური და

ქიმიური იარაღის კვლევა და განვითარება ტერორისტული მიზნით;

• საჰაერო ან წყლის ხომალდის ან რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი და სატვირთო ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ტერორისტული მიზნით;

• ქურდობა „ტერორიზმის" თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით;

• გამოძალვა „ტერორიზმის" თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით;

სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის გაყალბება,„ტერორიზმის" თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით;

• კანონპროექტით, ტერორისტული დანაშაულების ჩადენისათვის მითითებული სასჯელის ვადები განსაზღვრულია ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებით, ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაციის მიზნებისათვის, „ტერორისტის" და „ტერორისტული ორგანიზაციის" ცნებები გავრცელდება ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე, 227-ე,227^1, 227^2, 227^3, 229-ე,230-ე,231-ე,231^1 და 231^2მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში მონაწილე პირებზე.

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით,ერთის მხრივ, ტერორისტული დანაშაულის შემადგენლობების დუბლირება მოხდა, ხოლო მეორეს მხრივ,ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის ტერორიზმის თავში შეტანა შეკითხვებს აჩენს. ასე მაგალითად,სასამართლო პრაქტიკას ძალიან გაუჭირდება ერთმანეთისაგან გამიჯნოს სსკ 323^2 (საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა) მუხლით და სსკ 327;328-ე მუხლებით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობები. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული საერთაშორისო ტერორიზმის განმარტება თავსებადია, როგორც სსკ 327-ე მუხლით, ისე, 328-ე მუხლით აღწერილ დანაშაულის შემადგენლობასთან. მაგალითად, ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ ტერაქტი განახორციელა უცხო ქვეყნის მოქალაქის წინააღმდეგ ანდა უცხო ქვეყნის ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენლისათვის დახმარება-კონსპირაციული ბინის გამოძებნა, მატერიალური მხარდაჭერის გაწევა და სხვ. ამასთანავე, მართებულად არ მიგვაჩნია ზოგადი სისხლის-სამართლებრივი დანაშაულის,რომელიც არ ხელყოფს საერთაშორისო მართლწესრიგს, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა რიგში განხილვა. მაგალითად, საერთაშორისო დანაშაულებრივი დაჯგუფება სხ-

ვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სჩადის ისეთ დანაშაულს,როგორიცაა: ქურდობა, გამოძალვა ან სხვა ზოგადი ხასიათის დანაშაულს; ანდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ იმალება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, მსგავს შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესუალურ მხარეზე, სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე.

ზოგადი სისხლისსამართლებრივი დანაშაულებისაგან ტერორიზმის სპეციალური შემადგენლობათა შექმნას, აჯობებდა დათქმის გაკეთება,რომ ზოგადი სისხლისსამართლებრივი დანაშაულები ტერორისტულად ჩაითვლება განსაზღვრული კვალიფიციური ნიშნების არსებობისას, კერძოდ, თუ ეს დანაშაულები ჩადენილია ტერორისტული მიზნებით. შესაბამისად, მათთვის სასჯელები უნდა გამკაცრდეს. მსგავსი პრაქტიკა უკვე არსებობს საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის ანტიტერორისტულ კანონმდებლობაში (გერმანია,საფრანგეთი, თურქეთი....)

ზემოაღნიშნული ცვლილებების ავტორებს გაუჭირდებათ დაასახელონ ორი ქვეყანა მაინც, რომელთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ტერორისტული შინაარსის ქურდობის სპეციალური შემადგენლობა არსებობს. ესეც არ იყოს, თუკი ქურდობა განხორციელდება ტერორისტული ხასიათის ერთერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით, ამგვარი ქმედების კვალიფიკაციისათვის ვაკუუმი არც ამ ცვლილებების განხორციელებამდე არსებობდა.

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების რამდენიმე სპეციალური შემადგენლობა გაჩნდა, ასე მაგალითად,ტერორისტულ საქმიანობაში სამხედრო ხასიათის მხარდაჭერა გათვალისწინებულია სსკ 323[2] მუხლით, ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა და დახმარება 327-ე და 328-ე მუხლებით, ტერორისტული საქმიანობის ან ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ იდეური მხარდაჭერა 330[1] მუხლით, ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად წვრთნების ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა-330[2] მუხლით, ტერორიზმის დაფინანსება ან სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა-331[1] მუხლით. თითეული ეს ქმედება ამა თუ იმ სახის დახმარების ფორმაა, საჭიროა ამდენი კაზუისტიკა ?!

ჯერ კიდევ 2003 წელს, პროფ.მ.ლეკვეიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში აღვნიშნავდით,რომ საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად საქართველომ საერთაშორისო სამართლის ნორმების ტრანსფორმაცია უკვე მოახდინა ახალ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში,რითაც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მოახდინა

საერთაშორისო ვალდებულებების ფაქტობრივი რეალიზაცია.[97]

აქვე ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ საერთაშორისო კონვენციები არ ავალდებულებენ მის ხელმომწერ სახელმწიფოებს, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში სიტყვასიტყვით გაიმეორონ, იმავე ფორმითა და შინაარსით ასახონ შესაბამისი კონვენციის დებულებები, თუმცა კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს კონვენციის ნორმებთან. ისიც გასათვალისწინებელია,რომ საკმაოდ რთულია მატერიალურ სისხლის სამართლის ნორმებში კონვენციის დებულებათა ასახვა. ამგვარად, რა ნიშნებით ჩამოყალიბდება ესა თუ ის ნაციონალური ნორმა და სისტემის თვალსაზრისით სად განათავსებს მას ესა თუ ის სახელმწიფო, ეს მისი შიდასახელმწიფოებრივი საქმეა. მთავარია, კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ შეთანხმების ძირითადი დებულებების ტრანსფორმაცია მოახდინოს ეროვნულ კანონმდებლობაში.

ტერორისტული აქტი (მუხლი 323-ე)

ტერორისტული აქტი მრავალობიექტიანი დანაშაულია. იგი, უპირველეს ყოვლისა,ხელყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებს (სტრატეგიულს, პოლიტიკურსა და ეკონომიკურს), ასევე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ვინაიდან მოსახლეობაში ბადებს შიშის, უმწეობის, დაუცველობის განცდას ტერორისტთა წინაშე. ხელყოფის დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება.

2012 წლის 2 მარტს აღნიშნულ მუხლში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, ამოღებული იქნა ხელყოფის ობიექტზე მითითება. საზოგადოებრივი უსაფრთხოების ამოღება ხელყოფის ობიექტთა ჩამონათვალიდან შესაძლოა ნაკარნახები იყოს 229-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით, რადგან ამ ინტერესს აფეთქებაც ხელყოფს, თუმცა საზოგადოებრივი უსაფრთხოება ნებისმიერი ტერორისტული დანაშაულის თანამდევი შედეგია,ძირითადი ობიექტი კი სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესია. ტერორისტული აქტი თავისი ობიექტური ნიშნებით **კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტია.**

იგი გამოიხატება აფეთქებაში,ცეცხლის წაკიდებაში, ადამიანზე

[97] იხ.მ.ლეკვეიშვილი,გ.მამულაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები,საიუბილეო კრებული მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი,თსუ გამომცემლობა, თბილისი 2003, გვ.343-344

თავდასხმაში, იარაღის გამოყენებაში ან სხვა ქმედებაში, თუ მან შექმნა კანონში მითითებული მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროება

აფეთქება გულისხმობს რამის აალებას ნივთიერების მყისიერად დაშლისა და ძლიერ გახურებული გაზების წარმოქნის შედეგად, რასაც თან ახლავს დიდი ხმა და დამანგრეველი ძალა.

ცეცხლის წაკიდება ანუ აალება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ხანძარი და წარმოქმნილი ცეცხლით ქონების განადგურება, შეიძლება განხორციელდეს პიროტექნიკური საშუალებით, ელექტროსადენების შეერთებით, ჩვეულებრივი ასანთით და ა.შ.

ადამიანზე თავდასხმა გულისხმობს მსხვერპლის მიმართ აგრესიულ ძალმომრეობით მოქმედებას ტერორისტული მიზნით.

იარაღის გამოყენება გულისხმობს ცეცხლსასროლი ან სხვა იარაღით (არამასობრივი განადგურების იარაღით) სარგებლობას მოსახლეობის დასაშინებლად ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედებისათვის.

სხვა ქმედება (აფეთქების, ცეცხლის წაკიდებისა და ჩარაღის გამოყენების გარდა) შეიძლება გამოიხატოს მეწყერის გამოწვევაში, წყლის მიშვებაში,ავარიის მოწყობაში,ტრანსპორტზე კატასტროფის ან მარცხის გამოწვევაში და სხვ.

როგორც წესი, ამგვარ ქმედებათა ჩადენა ხდება ხალხის თავშეყრის ადგილებში, სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე (ენერგომომარაგება, წყალმომარაგება), სამთავრობო ან მის კონტროლქვეშ მყოფ ობიექტებზე და ა.შ. (შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმის ხელყოფის ობიექტების შერჩევა ხშირად სიმბოლურად ხდება და კონკრეტული შედეგი ტერორისტს ზოგჯერ არც აინტერესებს; მისთვის მთავარია, ტერორისტული აქტის რეზონანსი, როგორც სიგნალი– გაფრთხილება).

323-ე მუხლის 1-ლ ნაწილში შედეგი არა გვაქვს და ისჯება თავისთავად კანონში მითითებული ქმედებით ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროების შექმნა.

ადამიანის სიცოცხლის მოსპობის საშიშროება ნიშნავს, თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას.

მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი უნდა დადგინდეს მატერიალურ ფასეულობათა რეალური ღირებულებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით. ეს კი ფაქტის საკითხია და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თავისი შეხედულებით.

სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას შეიძლება მივაკუთვნოთ მოსახლეობაში პანიკის გამოწვევა, ადამიანთა ჯანმრთ-

ელობისათვის სხვადასხვა ზიანის მიყენების საშიშროება, ტრანსპორტის მუშაობის შეჩერების, ენერგიის მიწოდების შეწყვეტის საფრთხე და ა.შ.

2013 წლის 27 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით ამ მუხლის 1[1] ნაწილით დასჯადი გახდა 323-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მუქარა.

რამდენადაც 323-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს საფრთხის დელიქტს ალტერნატიული ქმედებებით, მასში შეიძლებოდა მუქარაც გვეგულისხმა (ან სხვა ქმედების მნიშვნელობით),თუმცა კანონმდებელმა მუქარა ცალკე გამოყო უფრო მსუბუქი სანქციით.

323-ე მუხლის მე-2 ნაწილით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია იმავე ქმედების ჩადენა ჯგუფურად, არაერთგზის და მასობრივი განადგურების იარალის გამოყენებით.

ჯგუფური დანაშაულის არსი და სახეები განმარტებულია სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში.

ტერორისტული აქტის არაერთგზის განხორციელება გულისხმობს ამ დანაშაულის ორჯერ ან მეტჯერ ჩადენას, ცხადია, თუ დამნაშავეს წინათ ჩადენილი ქმედებისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებით, მასობრივი განადგურების იარალს მიეკუთვნება ისეთი იარალი, რომელიც მოქმედებს ატომური აფეთქების ან რადიაქტიური მასალის მეშვეობით,სასიკვდილო ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარალი, ასევე ნებისმიერი სხვა იარალი, რომელიც მომავალში იქნება შემუშავებული ატომური ბომბის ან ზემოხსენიებული სხვა იარალის თვისებით.

323-ე მუხლის მე-3 ნაწილით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს 1-ლი, 11,ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა.

მძიმე შედეგი 323-ე მუხლის მე-3 ნაწილში შეფასებით ნიშანს წარმოადგენს და შედეგის სიმძიმე სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თავისი შეხედულებით,საქმის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით. მძიმე შედეგში შეიძლება ვიგულისხმოთ ადამიანის (ადამიანთა) ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მუშაობის ხანგრძლივად პარალიზება (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგომომარაგება და ა.შ.); ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა მუშაობის დეზორგანიზაცია და ა.შ.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე

იურიდიული პირი.

ტერორისტული აქტი **განზრახი დანაშაულია**. მართალია, თანმდევი შედეგის მიმართ, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს გაუფრთხილებლობასაც, მაგრამ მთლიანობაში ასეთი დანაშაული მაინც განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. რაც შეეხება ქმედების სხვა სუბიექტურ ელემენტებს, ქმედების ტერორისტულ აქტად კვალიფიკაციისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მიზანს–მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოზე, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე ზემოქმედება. ტერორისტის მოქმედების მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ტერორისტული მიზანი ესაა მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება;";

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან გამოყენება ტერორისტული მიზნით (მუხლი 323[-1])

ეს ნოვაცია 2013 წლის 27 ნოემბერს გაჩნდა სისხლის სამართლისკ ოდექსში. მისი შემოტანის მიზანშეწონილობა მეტად საეჭვოა. ჯერერთი, ანალოგიური შინაარსის ნორმა მოცემულია სსკ 236-ე მუხლში, რომლისგანაც მას მხოლოდ ტერორისტული მიზანი განასხვავებს, მეორეც, ის კოლიზიაშია ტერორისტული ხასიათის სხვა დანაშაულთან, ასე მაგალითად, იარაღის გამოყენებას მოიცავს სსკ 323-ე მუხლიც და 323[-1] მუხლის მესამე ნაწილიც, ანალოგიური შინაარსი აქვს აღნიშნული მუხლების მძიმე შედეგებს. რა კრიტერიუმით უნდა გაიმიჯნოს ისინი?! პასუხი ძნელი მოსაძებნია. ისიც საკითხავია, რამდენადაა შესაძლებელი ტერორისტული მიზნის (მაგალითად, მოსახლეობის დაშინების) მიღწევა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, ან მისი დამზადებისა თუ გადაზიდვა-გადაგზავნის განხორციელებით? ანდა ამ ქმედებათა მუქარის გამხორციელებით („თუ არ შეასრულებთ ჩვენს

მოთხოვნას, შევიძენთ ცეცხლსასროლ იარაღს“) თუ შეიძლება ტერორისტული მიზნის მიღწევა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად ტიპურია ამგვარი ქმედებისათვის ტერორისტული მიზნის მიღწევა? ასევე საკითხავია, ცეცხლსასრული იარაღის შეძენის მუქარისათვის (ამ მუხლის მე-2 ნაწ.) რამდენადაა ტიპური ისეთი შედეგის გამოწვევა, რაც წარმოადგენს ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას (ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი)?

323^{-1} მუხლის ობიექტური ნიშნების გასაგებად სსკ 236-ე მუხლიდან უნდა ამოვიდეთ (იხ,236-ემუხლის განმარტება), ამიტომ მის კომენტარს აღარ გავაკეთებთ; ობიექტური შემადგენლობის ნიშნად დამატებულია კანონში მითითებული ალტერნატიული მოქმედებების მუქარა; რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას, ისე როგორც სხვა ტერორისტულ დანაშაულში, აქაც განმსაზღვრელია ქმედების მიზანი, რომლის შინაარსი მოცემულია სსკ 323-ე მუხლის შენიშვნაში.

საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა (მუხლი 323^{2})

ეს ნოვაციაც 2013 წელს განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსში. ნორმით დაცული ძირითადი ინტერესი საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოებაა.

ქმედების **ობიექტური შემადგენლობა** შემდეგი ნიშნებითაა ჩამოყალიბებული: საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა, ან/და უცხო ქვეყნის ან მისი ორგანოს, პირთა ჯგუფის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერა, ჩადენილი ტერორისტული მიზნით.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საერთაშორისო **ტერორიზმი ეს არის** ტერორისტული საქმიანობა, რომელიც განხორციელდა:

ა) ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე), ან თუ ზიანი მიადგა სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს);

ბ) ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ;

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც ტერორისტი, ისე ტერორიზმის მსხვერპლი არიან ერთი ან სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, მაგრამ ტერორისტული აქტი ჩადენილია ამ სახელმწიფოთა

ტერიტორიების გარეთ;

ტერორისტი არის პირი, რომელიც მონაწილეობს ტერორისტულ საქმიანობაში, ხოლო **ტერორისტული ჯგუფი** ორი ან მეტი პირის გაერთიანება ტერორისტული საქმიანობის (ტერორისტული აქტის) განხორციელების მიზნით.

ტერორისტული ორგანიზაცია – არის ორგანიზაცია (მიუხედავად მისი ფორმისა), შექმნილი ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით. ორგანიზაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ტერორისტულ ორგანიზაციად, თუ ის არის დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებული ორზე მეტი პირის ორგანიზებული გაერთიანება. ორგანიზებულ გაერთიანებად ჩაითვლება გაერთიანება, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები გაერთიანების წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა;

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის პირველი ნიშანი-**საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა,** ძალიან ზოგადია, ის თავის თავში აერთიანებს ქმედებებს ფიზიკური მონაწილეობით დაწყებული და ფინანსური მხარდაჭერით დასრულებული, აქედან გამომდინარე ის ტერორისტული ხასიათის რამდენიმე დანაშაულის დუბლირებას ახდენს (მაგალითად,სსკ 328; 330[1],330[2] მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობები).

რაც შეეხება,უცხო ქვეყნის ან მისი ორგანოს, პირთა ჯგუფის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული **პირის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერას,** მისი შინაარსი განმარტებულია ამავე მუხლის შენიშვნაში და იგი გულისხმობს შესაბამისი პერსონალის სერჩევას, წვრთნების ჩატარებას, აღჭურვილობის შეძენას, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას, ლოგისტიკური, სადაზვერვო, ან ფუნქციონალური დახმარების გაწევას, ტერორისტის პირადი დაცვით უზრუნველყოფას ან სხვა სამხედრო ხასიათის მომსახურებას.

323[2] მუხლის 1[1] ქვეპუნქტი ითვალისწინებს ტერორისტული საქმიანობის განხორციელების, მომზადების ან ამგვარ საქმიანობაში ან ტერორისტულ წვრთნაში მონაწილეობის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას ან გადაკვეთის მცდელობას. არც ამგვარი ქმედების კრიმინალიზაცია იყო აუცილებელი. თავი რომ დავანებოთ საკითხის პროცესუალურ მხარეს (მხედველობაში გვაქვს მტკიცების ტვირთი), მსგავსი ქმედების კვალიფიკაცია შესაძლებელი იყო სსკ **344** და შესაბამისი ტერორისტული დანაშაულის ერთობლიობით.

323[2] მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის

დამამძიმებელ გარემოებებს, რომლებიც თავისი შინაარსით არ განსხვავდება სხვა ტერორიტული დანაშაულების დამამძიმებელი გარემოებებისაგან, ამიტომ მათზე საგანგებოდ არ შევჩერდებით.

ტექნოლოგიური ტერორიზმი (მუხლი 324-ე)

ეს დანაშაული ტერორიზმის სპეციალური შემადგენლობაა, რომელიც ემყარება ტექნოლოგიის უახლესი მიღწევების გამოყენებას.

სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი იგივეა, რაც ზემოთ განხილულ დანაშაულში. 2012 წლის 2 მარტს განხორციელებული ცვლილებით 324-ე მუხლიდან ამოღებული იქნა ხელყოფის ობიექტზე მითითება, თუმცა შინაარსობრივად თითქმის არაფერი შეცვლილა, კანონში მითითებული ობიექტების ხელში ჩაგდების მუქარის დასჯადობის გარდა. შესაძლოა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ამოღება ხელყოფის ობიექტთა ჩამონათვალიდან აქაც ნაკარნახები იყოს 229-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით, რადგან ამ ინტერესს აფეთქებაც ხელყოფს, თუმცა საზოგადოებრივი უსაფრთხოება ნებისმიერი ტერორისტული დანაშაულის თანამდევი შედეგია, ძირითადი ობიექტი კი სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესია.

ტექნოლოგიური ტერორიზმი ობიექტურად გამოიხატება ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტეროლოგიური (ბიოლოგიური) იარალის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიაქტიური ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების მართლსანინააღმდეგო შეძენაში, შენახვაში, ტარებაში, დამზადებაში, გადაზიდვაში, გადაგზავნაში ან გასაღებაში ანდა ბიოლოგიური და ქიმიური იარალის კვლევასა და განვითარებაში ტერორისტული მიზნით.

მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით[98], ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარალი მიეკუთვნება მასობრივი განადგურების იარალს. აქედან, ამავე საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, დღეისათვის ქიმიური და ბიოლოგიური იარალის წარმოება ან გამოყენება საერთოდ აკრძალულია,ხოლო ბირთვული იარალის წარმოება

[98] იხ. 1972 წლის 10 აპრილის კონვეცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარალის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მათი განადგურების შესახებ; 1980 წლის 3 მარტის კონვენცია – ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ; 1993 წლის 13 იანვრის კონვენცია – ქიმიური იარალის შემუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ.

შეზღუდულია (მისი გამოყენება ასევე აკრძალულია).

324-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის მუქარას,რაც სიახლეა, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად, ბირთვული ან ქიმიური ნითიერების შეძენის ან შენახვის მუქარა. **ნორმის ძველი** რედაქციით პასუხისმგებლობა უკავშირდებოდა მხოლოდ აღნიშნული ნივთიერებების გამოყენების მუქარას.

მესამე ნაწილი ითვალისწინებს პირველ ნაწილში აღნიშნული ნივთიერებათა გამოყენებას, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ანდა ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდებას, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ზემოქმედების ან ტერორისტული მიზნით.

მასობრივი განადგურების იარაღისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერების გამოყენებამ შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს. მათ გააჩნიათ მოქმედების დიდი დიაპაზონი როგორც შესაძლო ზიანის ხასიათისა და ხარისხის, ისე მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით, აქვთ დიდი მომაკვდინებელი შესაძლებლობა, შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანთა უზარმაზარი მსხვერპლი, ეპიდემიის დიდი კერების აღმოცენება, ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარი და ა.შ. სწორედ ამ თვისებების გამო, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის არა მარტო გამოყენებაა აკრძალული, არამედ მათი შემუშავებაც, წარმოებაც, დაგროვებაც, ხოლო არსებული მარაგი ექვემდებარება განადგურებას ან მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენებას.

ტერორისტული მიზნით აღნიშნული იარაღისა და ნივთიერების გამოყენების შესაძლო ობიექტებია ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილები (მეტროპოლიტენი, სადგური, აეროდრომი, დამცავი ნაგებობა), წყალგაყვანილობათა ქსელი, მათი რეზერვუარები, სურსათის საწყობები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები და მისთ. ასევე ადმინისტრაციულპოლიტიკური ცენტრები,სამხედრო ბაზები,საკომუნიკაციო კვანძები და ა.შ.

კანონი ტექნოლოგიური ტერორიზმის ერთ-ერთ სახედ თვლის ბირთვული, ქიმიური, ძლიერი ტექნოლოგიური ან ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდებას, რაც შანტაჟის ერთ-ერთ ფორმად უნდა ჩავთვალოთ; ასეთი ობიექტი შეიძლება იყოს ატომური ელექტროსადგური, ბირთვული ან ქიმიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი თუ მისი საწარმო, კაშხალი, ქიმიური მრეწველობის საწარმო და ა.შ.

324-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულიამესამე

ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის მუქარა.

აღნიშნული საგნების გამოყენების შედეგს კანონი არ აკონკრეტებს და ეს შეუძლებელიცაა მათი თვისებიდან გამომდინარე, მაგრამ რეალურად ასეთ ქმედებას შესაძლოა მოჰყვეს ადამიანთა მასიური სიკვდილი, ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება,ეპიდემიის აღმოცენება და მისთ. მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების პოტენციური შედეგი იმდენად სახიფათოა, რომ კანონი მათი ხელში ჩაგდების ან გამოყენების მუქარასაც კი დამთავრებულ დანაშაულად მიიჩნევს.

მეხუთე ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას, სახელდობრ, ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (გარდა ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენებისა), რამაც ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელმაც მიაღწია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს, ასევე იურიდიული პირი.

ტექნოლოგიური ტერორიზმი განზრახი დანაშაულია. კანონში მითითებული ქმედება მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას, ხელისუფლების ორგანოზე, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე, სახელმწიფოზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე ზემოქმედებას. სწორედ ქმედების მიზანი და ასევე მოტივი განასხვავებს ამ შემადგენლობას ისეთი მომიჯნავე დანაშაულის შემადგენლობისაგან, როგორიცაა: საბოტაჟი, ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონიზებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება, გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა და სხვა.

აღსანიშნავია,რომ სსკ 323-ე მუხლი ტერორისტული აქტის ჩადენის ერთ-ერთ ხერხად ითვალისწინებს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებას, რითაც პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მისი გამიჯვნა ტექნოლოგიური ტერორიზმისაგან,ამიტომ ვფიქრობთ,რომ 323-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს.

კიბერტერორიზმი (მუხლი 324[1]-ე)

ეტიმოლოგიურად „კიბერტერორიზმი“ ორი სიტყვისაგან – „კიბერ“ და „ტერორიზმისაგან“ შედგება. ნინსართი „კიბერ“ ნიშნავს კიბერნეტიკულ სივრცეს,ვირტუალურ სივრცეს,ანუ კომპიუტერის მეშვეობით მოდელირებულ სივრცეს,რომელშიც ინახება ინფორმაცია პირების,ფაქტების, მოვლენების, პროცესების, ნივთების შესახებ მათემატიკური, სიმბოლური ან ნებისმიერი სხვა სახით და მოძრაობის პროცესშია ლოკალური ან გლობალური კომპიუტერული ქსელით.

მრავალი რევოლუციური ტექნოლოგიის მსგავსად, კომპიუტერული ტექნოლოგიები თავის თავში უზარმაზარ პოტენციალს ატარებენ როგორც პროგრესისათვის, ისე ბოროტად გამოყენებისათვის– ქსელური ინფორმაციის ხელყოფა, კომპიუტერული მეკობრეობა, ელექტრონული ჯაშუშობა, პორნოგრაფიის გავრცელება და სხვ. უფრო მეტიც, ტერორისტულმა აქტებმა ქუჩიდან ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა. თუ ჩვეულებრივი ტერორისტები ხელყუმბარებითა და ავტომატებით იბრძვიან, კიბერტერორისტები ომს ვირტუალურ სივრცეში აწარმოებენ. ჩვენი ცხოვრება სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება კომპიუტერზე. ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტზე მოქმედებენ კომპიუტერები – მეტროპოლიტენი, სამოქალაქო ავიაცია, ელექტრომომარაგება, რადიო, ტელევიზია და სხვ. აღნიშნული ობიექტების სერვერების მწყობრიდან გამოყვანით განვითარებულ სახელმწიფოთა სხვადასხვა ინფრასტრუქტურები დიდ მატერიალურ ზარალს განიცდიან, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანთა მსხვერპლზე. ამრიგად, კიბერტერორიზმი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისათვის, ამასთანავე, სიახლის გამო მისი საშიშროების ხარისხი ბოლომდე არ არის შესწავლილი და გაცნობიერებული. გამოცდილება, რომელიც უკვე გააჩნია მსოფლიო საზოგადოებას ამ სფეროში, ნათლად მოწმობს ნებისმიერი სახელმწიფოს დაუცველობას. მით უფრო, რომ კიბერტერორიზმს არა აქვს სახელმწიფო საზღვრები, კიბერტერორისტს შეუძლია დაემუქროს პრაქტიკულად დედამიწის ნებისმიერ წერტილში განთავსებულ საინფორმაციო სისტემას. ვირტუალური ტერორისტის აღმოჩენა და განეიტრალება საკმაოდ რთული საქმეა, იმის გამო, რომ იგი საკმაოდ უმნიშვნელო კვალს სტოვებს. მით უფრო რთულია ბრძოლა ტერორიზმთან ინტერნეტის გლობალური ქსელის გამოყენებით. ამის ნათელი დასტურია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი აშშ-ში. საერთაშორისო მასშტაბით ელექტრონულ ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს 2001 წლის 23 ნოემბერს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ კონვენციის მიღება – „კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ“.

საქართველოს სსკ 324[1]-ე მუხლის მიხედვით, კიბერტერორიზმისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს ინტერესი (სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური), დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება. კიბერტერორიზმის ობიექტური მხარე გამოიხატება კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში, მის გამოყენებაში ან გამოყენების მუქარაში, რაც ქმნის მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას.

საჯარო ხელისუფლება, აგრეთვე, კერძო კომპანიები მმართველობისა და საწარმოო პროცესების განსახორციელებლად ფართოდ ემყარებიან კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, კერძოდ, მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობას კომპიუტერული ქსელის მეშვეობით. ასეთ პირობებში ინფორმაცია იქცა ეკონომიკურად სასარგებლო საქონლად და ხელისუფლების წყაროდ. სწორედ ამიტომაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა უსაფრთხოდ შენახვასა და გადაცემას ქსელის მეშვეობით, მით უმეტეს, როცა საუბარია სახელმწიფო საინფორმაციო უსაფრთხოებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს თითქმის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტზე მუშაობენ კომპიუტერები. სახელმწიფო თუ კორპორაციული საიტების გატეხვით კიბერტერორისტები ხელში იგდებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას, მათ შორის საიდუმლოსაც.

324[1]-ე მუხლის დისპოზიციაში საუბარია კომპიუტერული ინფორმაციის დაუფლებაზე, მის გამოყენებაზე ან გამოყენების მუქარაზე. საფრთხე „მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროება" – რაც შეიძლება შეიქმნას აღნიშნული მოქმედების განხორციელებით სხვადასხვა ხასიათის, შეიძლება იყოს, მაგალითად, ტრანსპორტის მუშაობის ბლოკირება, შეფერხება ენერგომომარაგებაში, მასობრივი განადგურების იარაღის დამზადების ტექნოლოგიის ხელში ჩაგდება, სხვადასხვა სტრატეგიული დანიშნულების ობექტების მუშაობის დეზორგანიზაცია და სხვა.

კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ხერხები სხვადასხვაგვარია. ტექნიკა იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ძნელია განსაზღვრო კომპიუტერულ ინფორმაციაზე თავდასხმისათვის გამოყენებული რომელი ახალი მოწყობილობა ან პროგრამული უზრუნველყოფა შეძლებს კომპიუტერის დაცვის მოტყუებას. კიბერტერორისტებისათვის ინფორმაციული ხასიათის ეფექტურ იარაღს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამები და ვირუსები, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის გადაღებას, მოდიფიკაციას ან განადგურებას.

324[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემად-

გენლობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის სახით არის ჩამოყალიბებული. ისჯება თავისთავად კანონში მითითებული მოქმედების ჩადენა–კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას.

324[1] მუხლის მე-2 ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს ადამიანის სიკვდილს ან სხვა მძიმე შედეგს, პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შედეგად.

მძიმე შედეგი შეფასებითი ნიშანია და საქმის კონკრეტული გარემოების მხედველობაში მიღებით უნდა შეაფასოს სასამართლომ. მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს სტრატეგიული ობიექტის მუშაობის პარალიზებაში,ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის დეზორგანიზაციაში, დიდ ქონებრივ ზიანში და ა.შ.

კიბერტერორიზმის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან, ასევე იურიდიული პირი.

სუბიექტური მხრივ კვალიფიკაციისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მიზანს–მოსახლეობის დაშინება ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება. კიბერტერორიზმის მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს, პოლიტიკურით დაწყებული და რელიგიური ფანატიზმით დამთავრებული. ის კვალიფიკაციაზე გავლენას არ მოახდენს.

სახეზეა პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული.

საქართველოს პოლიტიკურ თანამდებობის პირზე თავდასხმა (მუხლი 325-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია საქართველოს პრეზიდენტის ან სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირის პოლიტიკური საქმიანობის (სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის) უსაფრთხოება; ხოლო დამატებითი ობიექტია ამ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სიცოცხლე,ჯანმრთელობა ან საკუთრება.

ქმედების ობიექტური მხარე გამოიხატება საქართველოს პრეზიდენტის, სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფაში. ეს შეიძლება მოხდეს თავდასხმით, საათის მექანიზმიანი ნაღმის გამოყენებით და სხვ. ობიექტურად ხელყოფის ფაქტობრივი შედეგი შეიძლება გამოიხატოს კანონში მითითებულ პირთა სიკვდილში, ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებაში, ან მათი ქონების განადგურებაში (დაზიანებაში). შესაძლებელია საერთოდ არ დადგეს

რაიმე შედეგი, ვინაიდან ხელყოფა გულისხმობს როგორც რეალური ზიანის მიყენებას,ისე ზიანის მიყენების კონკრეტული საფრთხის შექმნას (მცდელობას),რომელიც რეალიზებულ არ იქნა საზიანო შედეგში დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (მაგალითად, ტერორისტმა ისროლა და ააცილა ან ასაფეთქებელმა მოწყობილობამ არ იმუშავა). კონკრეტული შედეგი მხედველობაში იქნება მიღებული ბრალის ხარისხის განსაზღვრისას და სასჯელის ინდივიდუალიზაციისას. ამრიგად,ეს დანაშაული თავისი შემადგენლობის კონსტრუქციით ფორმალურია, ვინაიდან დამთავრებულად ჩაითვლება პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფის მომენტიდან,მაგრამ ამ შედეგის ფაქტობრივად დადგომა არ შეცვლის ქმედების იურიდიულ ბუნებას და არ დასჭირდება დამატებითი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი.

რაც შეეხება ქმედების **სუბიექტურ შემადგენლობას**, იგი პოლიტიკური მოტივაციის მქონე ტერორიზმის სახედ უნდა ჩაითვალოს. საქართველოს პრეზიდენტზე ან სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა ხდება მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს აღნიშნული საქმიანობის შეწყვეტას,მისთვის ხელის შეშლას ანდა შურისძიებას ამგვარი საქმიანობისათვის,რაც ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ტერორისტული აქტის ჩამდენი ან მისი შემკვეთი შეიძლება მიზნად ისახავდეს პოლიტიკური მოწინააღმდეგის (კონკურენტის) ჩამოცილებას ხელისუფლებისათვის ან პოლიტიკური ლიდერობისათვის ბრძოლაში, ანდა ეს იყოს უკმაყოფილების, პროტესტის გამოხატვა მსხვერპლის მიერ აქტიური სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური საქმიანობისათვის. თუ პოლიტიკური თანამდებობის პირზე ან მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა აღნიშნული მოტივითა და მიზნით არ ხდება, მაშინ ეს ქმედება შედეგის ხასიათიდან გამომდინარე, დაკვალიფიცირდება როგორც ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით.

განსახილველ მუხლს დაემატა მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის მუქარას.

საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა (მუხლი 326-ე)

ამ საკანონმდებლო ნოვაციის იურიდიულ წყაროს წარმოადგენს 1973 წლის 14 დეკემბერს ნიუ-იორკში ხელმოწერილი კონვენცია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების, მათ შორის დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ დანაშაულთა აღკვეთისა და დასჯის შესახებ. კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ დანაშაული დი პლომატიური აგენტებისა და საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე სხვა პირის წინააღმდეგ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობის შენარჩუნებას, რაც აუცილებელია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისათვის. ასეთ დანაშაულთა ჩადენა მსოფლიო თანამეგობრობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლში ჩამოყალიბებული აკრძალვით (ამკრძალავი ნორმით) სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო მშვიდობასა და სახელმწიფოთა შორის ნორმალურ საერთაშორისო თანამშრომლობას, ხოლო დამატებითი ობიექტია – საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე, უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლის, აგრეთვე მათი ოჯახის წევრის სიცოცხლე,ჯანმრთელობა ან საკუთრება. განსახილველი ქმედების კრიმინალიზაციის მიზანია დაიცვას საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირები და ორგანიზაციები სხვადასხვა ჯგურის ექსტრემისტული თუ კრიმინალური დაჯგუფებისაგან, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური თუ დანაშაულებრივი მიზნებისათვის იყენებენ ტერორს. ხსენებული კონვენციით, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებს მიეკუთვნება: ა) სახელმწიფოს მეთაური, მათ შორის კოლეგიური ორგანოს ნებისმიერი წევრი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებს შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, ან მთავრობის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც იმყოფება უცხო სახელმწიფოში, აგრეთვე მისი თანმხლები ოჯახის წევრები; ბ) სახელმწიფოს ნებისმიერი წარმომადგენელი, ან თანამდებობის პირი, ან სამთავრობოთაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციის ნებისმიერი თანამდებობის პირი, ან სხვა აგენტი, რომელიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, იმ დროს, როცა მასზე, მის ოფიციალურ სამსახურებრივ შენობაზე, საცხოვრებელზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე მოხდა დანაშაულებრივი ხელყოფა, სარგებლობს სპეციალური დაცვის უფლებით ნებისმიერი თავდასხმისაგან, რომელიც ხორციელდება მის პიროვნებაზე, თავი-

სუფლებასა და ღირსებაზე, ასევე მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრებზე.

უცხო სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელთა და თანამდებობის პირთა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა ან სხვა აგენტთა კონკრეტიზაცია ხდება შესაბამისი საერთაშორისო შენთახმებებით,კერძოდ,ისეთით როგორიცაა, მაგალითად, ვენის 1961 წლის კონვენცია დი პლომატიური ურთიერთობის შესახებ, ვენის 1963 წლის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ,1969 წლის კონვენცია სპეციალური მისიების შესახებ და სხვ. სისხლის სამართლის კანონი ასევე იცავს სხვადასხვა სახის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლებს, თუ ისინი ასევე სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით. აქ იგულისხმება სხვადასხვა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია და საზოგადოება.

სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლის მიხედვით, თავდასხმის ობიექტი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი, მათი სამსახურებრივი ან საცხოვრებელი შენობა ან სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება თავდასხმაში (ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის მოულოდნელად გამოყენებაში), ე.ი. აშკარა ან ფარულ აგრესიულ-ძალმომრეობით ზემოქმედებაში კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებზე, მათ სამსახურებრივ თუ საცხოვრებელ შენობაზე, სატრანსპორტო საშუალებაზე; აგრეთვე მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფაში. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე თავდასხმა გულისხმობს მსხვერპლის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარას. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება თავდასხმის მომენტიდან, იმის მიუხედავად გამოიწვია თუ არა შედეგი.[99] თუ თავდასხმას თან ახლდა მათი მძევლად აყვანა ტერორისტული მიზნით, მაშინ ქმედება დამატებით დაკვალიფიცირდება 329-ე მუხლით. სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა გულისხმობს ასეთ შენობაში დამნაშავის უკანონოდ შეჭრას (შეღწევას) ან მის დარბევას, დაზიანებას, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებას, დაზიანებას და ა.შ.

[99] არის მოსაზრება, რომ თუ თავდასხმას შედეგად მოჰყვა აღნიშნულ პირთა მსხვერპლი მას შეფასება უნდა მიეცეს მკვლელობასთან ერთობლიობით.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი.

განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. **სუბიექტური მხრივ** კანონი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ სუბიექტურ ელემენტებს, როგორიცაა მოტივი და მიზანი. სახელდობრ, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან მის სამსახურებრივ თუ საცხოვრებელ შენობაზე, ან სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა, აგრეთვე მათი ოჯახის წევრთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა ხორციელდება პოლიტიკური მოტივით ან მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობის გართულებას, მოლაპარაკებათა ჩაშლას, ეკონომიკური სანქციების დადგენას და ა.შ.

2011 წლის 28 ოქტომბერს 326-ე მუხლს დაემატა მეორე ნაწილი, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის მუქარა. ნორმით დაცული ინტერესის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე კანონმდებელმა საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე, მათ სამსახურებრივ თუ საცხოვრებელ შენობაზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმის, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფის მუქარა დამოუკიდებელ დანაშაულად ჩათვალა.

ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა (მუხლი 327-ე)

განსახილველი ქმედების ობიექტური შემადგენლობით სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სახელმწიფოს სტრატეგიული,პოლიტიკური,ეკონომიკური ინტერესები.

2014 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ქმედება ობიექტურად გამოიხატება: ა) ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში (პირვ. ნაწ.); ბ) ტერორისტული ორგანიზაციის წევრის მიერ ამ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობაში ან აღნიშნული ორაგანიზაციის სახელით ან მისი საქმიანობის ხელშეწყობის ან წახალისების მიზნით ოპერაციების განხორვიელებაში (მე-2 ნაწ.) გ) ტერორისტული ორგანიზაციის შექმნაში ან ტერორისტული ორგანიზაციის

ხელმძღვანელობაში (მე-3 ნაწ.);

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი ტერორისტულ ორგანიზაციას განმარტავს ისეთ ორგანიზაციად,(მიუხედავად მისი ფორმისა) რომელიც შექმნილია ტერორისტული აქტებისა და საქმიანობის განხორციელების მიზნით. ორგანიზაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ტერორისტულად, თუ მისი თუნდაც ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი ან თუნდაც ერთი წევრი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის (ხელმძღვანელის) ორგანიზებით ახორციელებს ტერორისტულ საქმიანობას (ტერორისტულ აქტს).

ტერორისტული ორგანიზაცია ჯგუფური დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმაა, რომელიც გამოირჩევა სიმყარით, ორგანიზებულობით, იდეოლოგიური საფუძვლებით და ა.შ.

ტერორიზმის სოციალურ-სამართლებრივი და ტრანსნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, ტერორისტული ორგანიზაცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გარკვეულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგომი, მყარი, დარაზმული (ორგანიზებული) შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც ტერორის გზით მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას ან ხელისუფლებაზე ზემოქმედებას.

ტერორისტული ორგანიზაცია ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: პირთა ჯგუფის არსებობა, ამ ჯგუფის ორგანიზებულობა, რაც გულისხმობს ამ ჯგუფის სტრუქტურულ განსაზღვრულობას, შინაგან მოქნილობას,ე.ი. ტერორისტული ორგანიზაცია კრიმინალთა ამორფული (უფორმო) ჯგუფი კი არ არის, არამედ ისეთი ჯგუფია, რომელსაც მეტნაკლებად განსაზღვრული სტრუქტურა აქვს და ჰყავს ხელმძღვანელები. სიმყარე, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის ნიშანი, გულისხმობს დამნაშავეთა მისწრაფებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ანარმოონ ტერორისტული საქმიანობა, კონსპირაციის სისტემის არსებობას, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, ურთიერთმფარველობას და ა.შ.

რამდენადაც ტერორიზმის გვარეობითი ნიშანი მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლებაზე ზემოქმედებაა, ამდენად, ტერორისტული ორგანიზაცია, როგორც წესი, შეუძლებელია არსებობდეს შეიარაღების გარეშე.

ტერორისტულ ორგანიზაციის წევრობა გულისხმობს პირის გაწევრიანებას შესაბამისი ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში; ასეთ ორგანიზაციაში შესვლა შეიძლება ფორმალურადაც იყოს დაფიქსირებული, ვთქვათ, ხელწერილით, ფიცის მიღებით ან მის გარეშე; თუმცა, ცხადია, ამ ფორმალურ მომენტს მნიშვნელობა არა აქვს;

ორგანიზაციის წევრის მიერ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწ-

ილეობა (მე-2 ნაწ.) გულისხმობს ორგანიზაციის კონკრეტულ დავალებათა თუ დაკისრებულ ფუნქციათა შესრულებას; სხვადასხვა ოპერაციების განხორციელებას ორგანიზაციის სახელით ან მისი საქმიანობის ხელშეწყობისა თუ წახალისების მიზნით. ასევე ორგანიზაციის მატერიალურ თუ სხვაგვარ დახმარებას და ა.შ.

ტერორისტულ ოგანიზაციის საქმიანობაში ჩართულობის ხარისხი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: იდეური მხარდაჭერით დაწყებული და დაფინანსებით დამთავრებული.

ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა (მე-3 ნაწ.) გულისხმობს ნებისმიერ მოქმედებას, რომლის შედეგიც ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბებაა,კერძოდ,ეს შეიძლება იყოს ორგანიზაციის დებულების ან სტრუქტურის შემუშავება, საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა; წევრთა გადაბირება, იარაღის შეძენა, ტერორისტთა მოსამზადებელი ბაზების შექმნა, დაფინანსების წყაროების გამონახვა და ა.შ. თუ ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად მიმართულ ქმედებებს ამა თუ იმ მიზეზით მისი შექმნა არ მოჰყვა, მაშინ ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის მცდელობასთან გვექნება საქმე. ტერორისტული ორგანიზაციის **ხელმძღვანელობა** გულისხმობს უკვე შექმნილი ორგანიზაციის გაძღოლას, მართვას; მის წევრებს შორის ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილებას; ორგანიზაციის შიდა დისციპლინის დაცვას,ახალი წევრების გადაბირებას, კონკრეტული ტერორისტული აქტების დაგეგმვას, განკარგულებების გაცემასა და კონკრეტულ დავალებათა მიცემას,მიმდინარე ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხების გადაწყვეტას და ა.შ.

დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად ჩაითვლება ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის (მისი ხელმძღვანელობის) ან მასში გაწევრიანების მომენტიდან. ამ ორგანიზაციის მიერ კონკრეტული ტერორისტული აქტის განხორციელება სცილდება ამ შემადგენლობის ფარგლებს და იგი დამოუკიდებელ სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს. ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი. 327-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მისი მესამე ნაწილით გათვალისწინებულია ტერორისტული ორგანიზაციის ორგანიზატორთა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, ხოლო პირველი და მეორე ნაწილით – რიგითი წევრების პასუხისმგებლობა.

განსახილველი დანაშაული, ცხადია, პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

ქმედების სუბიექტურ ელემენტებზე (მოტივი და მიზანი) დის-

პოზიციაში არაფერია მინიშნებული, მაგრამ ტერორიზმის სოციალურ-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის მიზანი შეიძლება იყოს მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება; ამით ის უნდა გავმიჯნოთ უკანონო შეიარაღებული ფორმირებისაგან (სსკ-ის მუხლი 223-ე), ბანდიტური (განგსტერული) ჯგუფისაგან.

ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის გადაბირება (მუხლი 327[1])

ეს ნორმა ნაწილობრივ 327-328 მუხლების დუბლირებას ახდენს, მისი შემოტანის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. მაგალითად, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა, თუ მას წინ არ უძღვის წევრების გადაბირება?!

თუმცა მას შემდეგ, რაც ტერორისტული ორგანიზაცია უკვე შექმნილია, შესაძლებელია მისი რიგების გაზრდის მიზნით გადაბირებულ იქნეს პირი მასში გაწევრიანებისათვის. ამ მუხლის დანიშნულება სწორედ ამგვარი ქმედების კრიმინალიზაციაა.

გადაბირება შეიძლება მოხდეს აგიტაციით, მოსყიდვით, დაშინებით და ა.შ.

უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება (მუხლი 328-ე)

განსახილველი დანაშაული ზიანს აყენებს სისხლის სამართლის კანონით დაცულ იმავე ინტერესებს, რასაც 327-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. დამატებით, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი აქ არის ასევე საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება.

მისი ობიექტური მხარე გამოიხატება ორი სახის ქმედებაში.

1. უცხო ქვეყნის ტერორისტულ ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში გაერთიანება.

2. ასეთი ორგანიზაციისთვის დახმარება ტერორისტულ საქმიანობაში.

ტერორისტული ორგანიზაციისა და მასში მონაწილეობის (გაერთიანების) არსზე უკვე ვისაუბრეთ ზემოთ. რაც შეეხება მის დახმარებას ტერორისტულ საქმიანობაში, იგი სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს: ინფორმაციის გადაცემა, ფინანსური დახმარება, პროპაგანდისტული დახმარება და ა.შ. საინფორმაციო და ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება მომდინარეობდეს საჯარო მოხელეთა ან საჯარო სამსახურების მხრიდან. საერთაშორისო ტერორიზმს ხშირად შენიღბულად მფარველობენ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა სტრუქტურები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასეთი მხარდაჭერა (დახმარება) მოსალოდნელია, აგრეთვე კერძო მეწარმეთა, რელიგიური, პარტიული და სხვა სტრუქტურებისა და პირების მხრიდან.

ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ტერორისტული ორგანიზაციების დახმარება დანაშაულია, მიუხედავად იმისა, აშკარად ხდება ეს თუ შენიღბულად; ტერორისტულ საქმიანობაში მატერიალური მხარდაჭერა ნიშნავს ფულადი საშუალებით ან ფასიანი ქაღალდებით დახმარებას, ფინანსურ მომსახურებას, კონსპირაციული შენობით უზრუნველყოფას, ყალბი დოკუმენტებითა და პირადობის მოწმობით,კავშირგაბმულობის საშუალებით, იარაღით, სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფას და სხვა.

328-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება **ფორმალურ დანაშაულს წარმოადგენს** და ის დამთავრებულია მასში გაწევრიანების მომენტიდან, ხოლო დახმარება კი–კონკრეტული მოქმედებების ჩადენას მოითხოვს ტერორისტული ორგანიზაციის სასარგებლოდ.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი.

რაც შეეხება ქმედების **სუბიექტურ შემადგენლობას**, მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით.

მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (მუხლი 329-ე)

განსახილველი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მძევლად ხელში ჩაგდება) სპეციალურ შემადგენლობას წარმოადგენს. მის სპეციალურ შემადგენლობად გამოყოფას საფუძვლად დაედო გაეროს 1979 წლის 18 დეკემბრის საერთაშორისო კონვენცია მძევლად ხელში ჩაგდებასთან ბრძოლის შესახებ. მძევლად აყვანის ყველა აქტი საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლენაა. ამგვარი აქტები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით აღიარებული სიცოცხლის,პირადი თავისუფლებისა და უშიშროების უფლების სერიოზული და არსებითი დარღვევაა.

აქედან გამომდინარე, სწორედ ზემოაღნიშნული ინტერესები წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ასევე სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, ვინაიდან, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს,ტერორისტული მიზნით მძევლების აყვანას სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია სახელმწიფოსათვის საერთაშორისო ურთიერთობებში, რომ ალარაფერი ვთქვათ ქვეყნის შიდა სტაბილურობაზე.

ობიექტური მხრივ მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით გამოიხატება მძევლის გათავისუფლების პირობით სახელმწიფო ხელისუფლების იძულებაში ანდა საერთაშორისო,ან რელიგიური ორგანიზაციის იძულებაში, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.

მძევალი არის პირი, ვისაც მართლსაწინააღმდეგოდ აკავებენ, ფიზიკურად უზღუდავენ პირად თავისუფლებას წაყენებული ულტიმატუმის (მოთხოვნის) შესრულების უზრუნველსაყოფად.

მძევლად ხელში ჩაგდება გულისხმობს ადამიანის პირადი თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვას, მისთვის გარე სამყაროსთან უშუალო კონტაქტის შესაძლებლობის მოსპობას. მძევლის შემდგომი გათავისუფლება დამოკიდებულია ტერორისტის მიერ წაყენებული ულტიმატუმის შესრულებაზე. ულტიმატუმის ადრესატები არიან სახელმწიფო ხელისუფლება, საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაცია.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების მომენტიდან, მისი დაკავების ხანგრძლივობის მიუხედავად.

მაშასადამე, ეს არის დენადი დანაშაული ფორმალური შემად-

გენლობით. მძევლის გასათავისუფლებლად ტერორისტის მიერ წაყენებული ულტიმატუმი სხვადასხვა შინაარსის შეიძლება იყოს და მას კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს. როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს,ტერორისტის მოთხოვნა შეიძლება ეხებოდეს ხელისუფლების მიერ რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილების შეცვლას, პატიმართა გათავისუფლებას, მასმედიასთან შეხვედრას, ქვეყნის დატოვებასა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემას, დიდი ფულადი თანხის გაღებას და ა.შ. ულტიმატუმი, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების შეუსრულებლობას ანუ უმოქმედობას ეხება, შეიძლება გულისხმობდეს ვინმეს დაკავებაზე ან პასუხისგებაში მიცემაზე უარის თქმას, ექსტრადიციაზე უარის თქმას და ა.შ.

მძევლად ხელში ჩაგდების დროს, როგორც წესი, მოთხოვნის წაყენება ხდება აშკარად; ხშირად თვითონ ტერორისტი ცდილობს მისთვის დიდი რეზონანსის მიცემას და ამაში მას ნებსით თუ უნებლიეთ, ხშირად მსხვერპლის საზიანოდ, მასმედიაც ეხმარება, სიტუაციის ზედმეტი დრამატიზებით, საზოგადოებაში პანიკის დათესვით, რის გამოც ხშირად ულტიმატუმის ადრესატი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების „სენსაციის“ ნეგატიური ეფექტის გამო, ტერორისტების მიმართ გაუმართლებელ დათმობაზე მიდის.

განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სს პასუხისმგებლობას ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების მუქარისათვის.

329-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ: ა) საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის მძევლად ხელში ჩაგდება. პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩამონათვალი მოცემულია საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში. ბ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მძევლად ხელში ჩაგდება. ამ პირთა შესახებ საუბარი გვქონდა 326-ე მუხლის კომენტარში; გ) ჯგუფურად, ჯგუფური დანაშაულის ცნება და სახეები განსაზღვრულია სსკ-ს 27-ე მუხლში; დ) არაერთგზის, რაც გულისხმობს პირის მძევლად აყვანის არანაკლებ ორ შემთხვევას; ე) ტერორისტული ორგანიზაციის მიერ-ტერორიტული ორგანიზაციის არსსა და ნიშნებზე საუბარია 327-ე მუხლის კომენტარში.

329-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. თუ მძევლად ხელში ჩაგ-

დებას თან ახლდა მძევლის განზრახ მკვლელობა, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობით უნდა მოხდეს კვალიფიკაცია (სსკ 109-ე მუხლის „ე“ პუნქტთან ერთად). სხვა მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს მძევლის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, საერთაშორისო გართულებაში, დიდ ეკონომიკურ ზიანში და სხვა.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი.

სუბიექტური მხრივ კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების ისეთ სუბიექტურ ელემენტს, როგორიცაა მიზანი. კერძოდ, მძევლად ხელში ჩაგდება ხდება ტერორისტული მიზნით.

ეს დანაშაული მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. 329-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მძიმე შედეგის მიმართ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას.

გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს განსახილველი დანაშაულის გამიჯვნა 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან (მძევლად ხელში ჩაგდება). მაგალითად, 144-ე მუხლი დამამძიმებელი გარემოების სახით, ითვალისწინებს უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებული პირის მძევლად ხელში ჩაგდებას, რითაც ეს შემადგენლობა ძალიან ემსგავსება 329-ე მუხლით გათვალისწინებულ ანალოგიურ შემადგენლობას. თუმცა შედარებით ანალიზს თუ მოვახდენთ, მათ შორის განმასხვავებელი ნიშნების მოძებნა მაინც შეიძლება. სახელდობრ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემიდან გამომდინარე, 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ადამიანის კონსტიტუციური უფლებების წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო 329-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთი სახეა. ტერორიზმის გვარეობითი ცნებიდან გამომდინარე, მისი შემადგენელი ყველა ქმედება (აქტი), საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას ან ხელისუფლებაზე ზემოქმედებას. 144-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას ამგვარი მიზანი არა აქვს. აქ, ულტიმატუმი წაეყენება ორგანიზაციას ან პირს მხოლოდ კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თანაც ულტიმატუმის ადრესატი მხოლოდ ორგანიზაცია (თუმცა გაურკვეველია რომელი ორგანიზაცია იგულისხმება) ან პირია, ხოლო 329-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში – სახელმწიფო ხელისუფლება, საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაცია, ე.ი. ადრესატები უფრო კონკრეტული და ამომწურავია.

საჰაერო ან წყლის ხომალდის, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი ან სატვირთო ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ტერორისტული მიზნით (მუხლი 329[1]).

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ამ ნორმის დასაბუთებულობა არ არის. ამ ნოვაციამდე მსგავსი ქმედების კვალიფიკაცია შესაძლებელი იყო სსკ 323-ე და 227-ე მუხლების ერთობლიობით. სსკ 323-ე მუხლში ძალიან ფართოდაა გაგებული ტერორიზმის გამოვლენის ფორმები (ან სხვა ქმედება). აქ შეიძლებოდა მოგვეაზრებინა 329[1] მუხლში აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების დაუფლებაც, თუ ეს ტერორისტული მიზნით მოხდება.

ქმედების ობიექტური ნიშნების გასაგებად უნდა მივმართოდ სსკ 227-ე მუხლს,ხოლო მისი დამამძიმებელი გარემოებები არ განსხვავდება 323-ე, 329-ე და სხვა ტერორისტული დანაშაულების ანალოგიური გარემოებებისაგან, ამიტომ მათზე არ შევჩერდებით.

სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (მუხლი 330-ე)

განსახილველ დანაშაულში სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტად უნდა ჩავთვალოთ: სახელმწიფოს სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

ობიექტური მხრივ ქმედება გამოიხატება სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის **ხელში ჩაგდებაში ან ბლოკირებაში**.

სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ: სამხედრო ბაზები, ელექტროსადგურები, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები, სატრანსპორტო კვანძები და მათი მართვის სადისპეტჩერო ცენტრები; რადიოსალოკაციო სისტემის შემადგენელი შენობა-ნაგებობები, ეკოლოგიური მონიტორინგის სადგურები და ნაგებობები, ტელე-რადიო მაუწყებლობა, ტელეგრაფი და სხვა, რომელთა საქმიანობა უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს.[100]

[100] სტრატეგიულ ობიექტებს მიაკუთვნებენ თავდაცვითი (სამხედრო) მრეწვ-

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი შეფასებითი ცნებაა და მისი განსაკუთრებულობა სასამართლომ უნდა შეაფასოს კონკრეტულ შემთხვევაში მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ასეთ ობიექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და დანესებულებათა მართვის სადისპეტჩერო ცენტრები, მაგალითად, ექსტრემალური დახმარების სამსახურის სადისპეტჩერო ცენტრი და სხვა სამსახურები; აგრეთვე სამთავრობო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის შემადგენელი კომპიუტერული ცენტრები, რომლებიც მომავალში ჩვენთანაც შეიძლება კიბერნეტიკული ტერორიზმის სამიზნე გახდეს; საწარმოები და დაწესებულებები სამრეწველო, ექსპერიმენტული და სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ბირთვული რეაქტორებით და ა.შ.

სტრატეგიული ან განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტების **ხელში ჩაგდება** გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როცა პირი უკვე ფლობს ობიექტს და შეუძლია ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა ამა თუ იმ ხერხით.

ბლოკირება ნიშნავს ამ ობიექტების გამოთიშვას, იზოლირებას, ან სხვაგვარად, მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას. დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული ქმედების ჩადენისთანავე.

330-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, პასუხისმგებლობა გამკაცრდება თუ სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდებას ან ბლოკირებას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვება. სხვა მძიმე შედეგი, ადამიანის სიცოცხლის მოსპობის გარდა, შეიძლება გამოიხატოს მარცხში ან ავარიაში, მითითებულ ობიექტებზე დიდ მატერიალურ ზარალში და ა.შ.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი.

სუბიექტური მხრივ კვალიფიკაციისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მიზანს, სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ხდება ტერორისტული მიზნით, რაც ტერორიზმის გვარეობითი ცნებიდან გამომდინარე,ნიშნავს

ელობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის,სათბობ-ენერგეტიკულ,ქიმიურ,მანქანათმშენებლობის, მეტალურგიულ, პრიორიტეტულ სამეცნიერო-ტექნიკურ კვლევით დანესებულებებს, ორგანიზაციებს, საწარმოებს, უწყებებსა და ობიექტებს, რომელთა საქმიანობა უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს.

მოსახლეობის დაშინებას ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზანს. სწორედ ეს სუბიექტური ელემენტი განასხვავებს ამ ქმედებას საბოტაჟისა და ზოგიერთი სხვა მომიჯნავე დანაშაულისაგან.

განსახილველი დანაშაული განზრახია,

ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორაგნიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება (მუხლი 330[1])

საერთაშორისო კონვენციებისა და ევროდირექტივების დებულებებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის არგუმენტაციით საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა დაამატა ტერორიზმის თავს. მათ შორის არის განსახილველი დანაშაულიც. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციული და მოსამზადებელი ხასიათის მოქმედებები, რომელთაც ტერორისტულ აქტებში გადაზრდის პერსპექტივა აქვთ კრიმინალიზებულია სხვა ქვეყნების კანონმდებლობითაც,

მაგალითად, იტალიის, ინგლისის და სხვ. დიდი ბრიტანეთის 2000 წლის აქტი ტერორიზმის შესახებ შეიცავს ტერორისტული მიმართულების რიგ სპეციალურ შემადგენლობებს, მათ შორის არის ტერორისტების მომზადება და ტერორიზმისაკენ წაქეზება საზღვარგარეთ.

ცხადია, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური პარადიგმების რადიკალური შეცვლის ფონზე ტერორიზმისაკენ წაქეზება დიდი საფრთხის მატარებელია. ტერორისტები სულ უფრო სრულყოფენ თავიანთ შესაძლებლობებს ინფორმაციის და ფულის შესაკრებად, აგრეთვე რიტორიკის სფეროში. უახლესმა ტექნოლოგიებმა მათ შესაძლებლობა მისცა ეფექტური და უსაფრთხო ურთიერთობა ჰქონდეთ ერთმანეთთან, გაცვალონ ინფორმაცია. ამას ხელს უწყობს ყველასათვის ხელმისაწვდომი კომპიუტერული მონაცემების ბაზების გაჩენა. ზოგიერთი მათგანი წამქეზებლური რიტორიკის გავრცელების წყარო ხდება. თანამედროვე ეპოქაში ერთ-ერთი საშიში ტენდენციაა ტერორიზმის წამქეზებლური რიტორიკა, ეს მაშინ როცა ეთნიკურმა ტერორიზმმა, პოლიტიკური ექსტრემიზმის და ისლამური რადიკალიზმის გამოვლინებებმა არნახული მასშტაბები მიიღო, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ეთნიკური სეპარატიზმის ნიადაგზე აღმოცენებული ეთნოკონფესიური კონფლიქტები, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი

მხარდაჭერა აქვს და აქედან გამომდინარე ადამიანებზე მანიპულირება ძალზე გაადვილებულია. სწორედ ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად საქართველოს სსკ 330[1] მუხლით კრიმინალიზებულია ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის ზეპირად,წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მხარდაჭერა,თუ ეს ქმნის ტერორისტული საქმიანობის განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

საჯაროდ მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს გამოხატვის ნებისმიერი ფორმით, შინაარსობრივად ის შეიძლება იყოს იდეური ხასიათის, ტერორისტული საქმიანობის გამართლება, აგიტაცია თანამოაზრეთა გადასაბირებლად და მისთ.

მეორე ნაწილით კრიმინალიზებულია ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება ან ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელება, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა იგი დანაშაულის ჩადენისაკენ პირდაპირ მოწოდებას, თუ ეს ქმნის ტერორისტული საქმიანობის განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

კანონმდებელს შემოაქვს **კონკრეტული საფრთხის ახალი სახეები:** აშკარა საფრთხე, პირდაპირი საფრთხე, არსებითი საფრთხე. ამდენად, სასამართლოს უჩნდება ახალი პრობლემა რით განასხვავოს იგი ფარული, არაპირდაპირი და არაარსებითი საფრთხისაგან? აქ რაიმე რეცეპტის შეთავაზება რთულია. ეს საკითხი საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით უნდა გადაწყდეს.

ინფორმაციის გავრცელების საჯაროობაში უნდა ვიგულისხმოთ მიტინგზე, რადიოთი, ტელევიზიით გამოსვლა, ინფორმაციის სხვაგვარი მოწოდება შესაძლებელია ინტერნეტით ან სხვა გლობალური ქსელით, პროკლამაციების გავრცელებით და სხვ. ინფორმაციის გავრცელება საჯარო არ იქნება თუ იგი ხორციელდება კრებაზე ან სხვა ვიწრო წრეში, რადგანაც საჯაროობა უფრო დიდ აუდიტორიას გულისხმობს.

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება უნდა გავმიჯნოთ წაქეზებისაგან. წაქეზება გულისხმობს, რომ ვინმე აღუძრავს განსაზღვრულ პირს ან პირებს განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას ანუ წაქეზება გულისხმობს განსაზღვრულ პირთა მოწოდებას განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაკენ. მაშასადამე, წამქეზებლობა აუცილებლად გულისხმობს განსაზღვრულ ადრესატს. გარ-

და ამისა,წაქეზება გულისხმობს ვინმეს დაყოლიებას კონკრეტულად განსაზღვრული ქმედების ჩასადენად.[101]

სსკ 330[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობაში მოწოდებას ტერორიზმისაკენ აქვს ზოგადი, აბსტრაქტული ხასიათი, იგი აგიტაციის და არა კონკრეტული დანაშაულისაკენ წაქეზების ფორმაა.

წვრთნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის (მუხლი 330[2])

საერთაშორისო ტერორიზმი დღევანდელ მასშტაბებს ვერ მიაღწევდა და განვითარდებოდა რომ არ ჰქონდეს ფინანსური და მატერიალურტექნიკური მხარდაჭერა (სასწავლო ბაზები, ბანაკები, თავშესაფრები და მისთ.).

ტერორისტული საქმიანობა თანაბრად საჭიროებს ადამიანური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას,სწორედ ამიტომაც ტერორიზმის სტრატეგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა-გადაბირება და წვრთნა.

ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემას ართულებს მათი რიგების სისტემატური შევსება კარგად გაწვრთნილი მებრძოლებით სხვადასხვა ბანაკებიდან. ხშირად საწვრთნელი ბანაკები „კადრებს" ამზადებენ არა კონკრეტული ტერორისტული აქტისათვის, არამედ საზოგადოდ, იმ ვარაუდით, რომ მათ სხვა დროს ან სხვა ქვეყანაში გამოიყენებენ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს მყარი კავშირები აქვთ, ურთიერთდახმარებას უწევენ ინფორმაციის გაცვლით,საწვრთნელი ბანაკების ორგანიზაციით,სამხედრო ინსტრუქტორების მივლინებით შესაბამისი ინსტრუქტაჟის გასაწევად და სხვ. ტერორიზმის განხორციელების გამოცდილების გაზიარება და ინსტრუქტაჟი ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ტერორისტულ ჯგუფებს შემდგომი წარმატებული საქმიანობისათვის. კონკრეტული ტერორისტული აქტების განხორციელების ტაქტიკის მსგავსება მიანიშნებს, რომ მათ მებრძოლთა მომზადების საერთო ბაზები გააჩნიათ.

ტერორისტული ჯგუფები ხშირად წრთვნას გადიან მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ზონებში. მაგალითად,ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ჯგუფები პარტიზანული ომის ტაქტიკასა და ტექნიკაზე ინსტრუქტაჟს გადიოდნენ ლიბანის

[101] იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 160.

ტერიტორიაზე. ჩეჩნეთში ხატაბის ბანაკებში მომზადებას გადიოდნენ ტერორისტები და დაქირავებულები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, რომლებმაც შემდგომში არაერთი ტერორისტული აქტი განახორციელეს. ავღანეთში მოძრაობა თალიბანის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ქალაქ ყანდაგარში ალ-ქაიდამ დააარსა 22 მსხვილი სამხედრო საწვრთნელი ბანაკი, სადაც 1996-2000 წლებში მომზადდა 8000 მებრძოლი.[102] ისლამური მსოფლიო ფრონტის პატრონაჟით ავღანეთში და პაკისტანში ფუნქციონირებს ისლამური მებრძოლების მომზადების ბანაკები.[103] სწორედ ზემოაღნიშნული საშიშროებიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2006 წლის 25 ივლისის კანონით დაემატა ტერორიზმის ახალი შემადგენლობა – წვრთნა ტერორისტული მიზნით (მუხლი 330²), რომელმაც 2014 წელს განიცადა საკანონმდებლო ცვლილება.

ამ ცვლილების შედეგად განსახილველი დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:

ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელების ან მისი ხელშეწყობის მიზნით ან ასეთი საქმიანობის გამოვლენისათვის დაბრკოლების შესაქმნელად, ან/და ტერორისტული საქმიანობის განხორციელების ან მისი ხელშეწყობის მიზნით ინსტრუქტაჟის გაწევა ასაფეთქებელი, ცეცხლსასროლი ან სხვა სახის იარაღის გამოყენების ან დამზადების ან მომწამვლელი ან საშიში ნივთიერებების ან/და სხვა სპეციფიკური მეთოდების გამოყენებისა და ტექნიკის დამზადების ან გამოყენების სფეროში (პირვ. ნაწ.).

ამ მუხლის **მე-2 ნაწილით** კი გათვალისწინებულია სს პასუხისმგებლობა წინასწარი შეცნობით ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალ-

---

[102] გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“ (18-25.X.2001)

[103] „გახმაურებული თემა იყო საქართველოში,კერძოდ პანკისის ხეობაში ტერორისტთა სანვრთნელი ბაზების არსებობა. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 2002 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშში აღნიშნულია რომ პანკისში, ბანარას ხეობის სოფლების მიდამოებში ორგანიზებული იყო ბოევიკთა საშუალედო ბაზები, სადაც კონცენტრირებული იყო დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალები, მშრალი საკვები პროდუქტები. შეძენილი იყო ცხენები ცოცხალი ძალისა და ტვირთების ჩეჩნეთში გადასაადგილებლად. აღნიშნულ ბაზებზე მყოფი ბოევიკების რაოდენობა სხვადასხვა დროს მერყეობდა 300-დან 800 კაცამდე“1 ამის გამო საქართველო რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტში ჩათრევის საფრთხის წინაშე დადგა. რუსეთის რეაქციული სამხედრო-პოლიტიკური წრეების ძალისხმევით პანკისის პრობლემამ საერთაშორისო უარყოფითი რეზონანსი შეიძინა. რუსეთმა საქართველო ტერორისტების მფარველობაში დაადანაშაულა და არაერთხელ დაბომბა ჩვენი ტერიტორია.

ისწინებული ინსტრუქტაჟის მიღებისათვის.

როგორც ვხედავთ, დასჯადია, არა მარტო ინსტრუქტაჟის ჩატარება, არამედ ინსტრუქტაჟის მიღებაც.

თუკი სამხედრო ხასიათის წვრთნას ატარებს ტერორისტული ორგანიზაცია, მაშინ მას სს პასუხისმგებლობა დაეკისრება არა ამ მუხლის პირველი ნაწილით, **არამედ მე-3 ნაწილით.** ხოლო ვინც წინასწარ შეცნობით გაივლის ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ წვრთნას, იგი პასუხს აგებს ამ მუხლის მე-4 ნაწილით.

როგორც 330[2] მუხლის შინაარსიდან ჩანს, ინსტრუქტაჟის გაწევა ამა თუ იმ კონკრეტული ტერორისტული დანაშაულის ჩადენის ანდა მისი ჩადენის ხელშეწყობის მიზნით ეს შესაბამის დანაშაულში თანამონაწილეობაა დახმარების ფორმით, რასაც თავის თავში მოიცავს სსკ შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობებიც ამასთანავე, წვრთნა ტერორისტული მიზნით მოსამზადებელი მოქმედებაა ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, რომლის დასჯაც შესაძლებელია სსკ მე-18 მუხლის მომარჯვებით. ამრიგად, აღნიშნული სპეციალური შემადგენლობის შემოტანით კანონმდებელს ტერორიზმთან ბრძოლის არსენალისათვის ახალი არაფერი შეუმატებია. უბრალოდ მან ტერორიზმის მომზადება და მასში დახმარება დამოუკიდებელ ფორმალურ დანაშაულის შემადგენლობად ჩამოაყალიბა და დასჯადად აღიარა, თანაც ფიზიკურ პირთან ერთად იურიდიული პირის პასუხისმგებლობაც შემოიღო. აღნიშნული ცვლილებით იქმნება ასეთი ვითარება, თუკი წვრთნა ტერორისტული მიზნით,კერძოდ ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული აქტის ჩასადენად დასრულდა სსკ 323-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელებით, მაშინ ტერაქტში დამხმარის მოქმედება, რაც გამოიხატა ინსტრუქტაჟის გაწევაში შეფასდება 330[2] მუხლის საფუძველზე,ხოლო უშუალოდ ტერაქტის ამსრულებლის ქმედება 323-ე მუხლის საფუძველზე. მაშასადამე, თანამონაწილეობა დანაშაულში ორი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს იმისდამიხედვით,თუ ვინ რა როლს ასრულებს ტერორისტული აქტის განხორციელებაში. ამასთანავე, თუ ინსტრუქტაჟი გაეწია უცხოეთის ტერორისტულ ორგანიზაციას დამხმარის ქმედების კვალიფიკაცია დამატებით სსკ 328-ე მუხლითაც უნდა მოხდეს.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით, რაც სათაურშივე ჩანს.

დანაშაულის ამსრულებელი იარაღის, საშიში ნივთიერებების თუ სხვა სპეციფიკური მეთოდების გამოყენების და ტექნიკის დამზადების ან გამოყენების სფეროში ინსტრუქტაჟის გაწევისას მიზნად ისახავს

რომელიმე ტერორისტული დანაშაულის ჩადენაში დახმარებას ანდა მისი ჩადენის ხელშეწყობას. მაგალითად, სამხედრო ექსპერტმა ტერორისტული ორგანიზაციის მონაწილეებს ლექცია ნაუკითხა ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადების ან გამოყენების შესახებ ტერორისტული აქტის ჩასადენად.

330[1] მუხლის მე-5 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად კანონმდებელი ითვალისწინებს იგივე ქმედების ჩადენას არაერთგზის ანდა ორი ან მეტი პირის მიმართ.

რაც უფრო დიდი კონტინგენტი ინვრთნება ტერორისტული საქმიანობისათვის, ცხადია, მით უფრო იზრდება ამ დანაშაულის საშიშროება და სწორედ ამიტომაც არის პასუხისმგებლობა დამძიმებული ორი ან მეტი პირის წვრთნისათვის ტერორისტული მიზნით.

არაერთგზისობის შინაარსის გასაგებად უნდა დავემყაროთ სსკ მე-15 მუხლს.

მუხლი 330[3] – ქურდობა ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით

ეს ნოვაცია 2013 წლის 27 ნოემბერს განხორციელდა, რომლის მიზანშეწონილობა შეკითხვებს ბადებს. ზევით არაერთხელ აღვნიშნეთ,რომ ტერორიზმისაგან დაცული ძირითადი ინტერესი სახელმწიფოს უსაფრთხოებაა. შემთხვევითი არაა,რომ სისტემურად ტერორიზმი სახელმწიფო დანაშაულთა კარშია მოთავსებული. რომელ სახელმწიფო ინტერესს ხელყოფს ქურდობა, გამოძალვა და სხვა მსგავსი დანაშაული. რა ლოგიკით იქნა ისინი გამოცხადებული სახელმწიფო დანაშაულად. პასუხი ძნელი გასაცემია. ამასთანავე, ტერორიზმი საზოგადოებაში აყალიბებს და აძლიერებს შიშის გრძნობას, ახდენს საზოგადოებაში ვითარების დესტაბილიზაციას, აყალიბებს ნეგატიურ მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს და სხვ. თუკი დამტკიცდება, რომ ქურდობა ხორციელდება იმ მიზნით, რომ ნაქურდალი ნივთი პირმა გამოიყენოს რომელიმე ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად, თავისუფლად შეიძლებოდა ამ ქმედების კვალიფიკაცია ქურდობასთან ერთად იმ კონკრეტული ტერორისტული დანაშაულის მომზადებად (მაგ, 18, 323-ე მ-ის პირვ. ნაწილით და ქურდობით) და ამდენად, ამ მუხლის შემოლება არ იყო ნაკარნახევი რაიმე აუცილებლობით. ამასთანავე საკითხავია, რამდენადაა პრაქტიკულად შესაძლებელი ქურდობაში მხილებულ პირს დავუმტკიცოთ, რომ მას ან ნივთის გამოყენება

სურდა ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად. ასევე საინტერესოა ქურდობა როგორ უნდა განახორციელოს იურიდიულმა პირმა. ცალკე პრობლემაა იმის მტკიცების ტვირთი, რომ ქურდობა ტერორისტული დანაშაულის ჩადენის მიზნით განხორციელდა, თუ მას თან არ ახლავს სხვა მოსამზადებელი ქმედებაც (მაგალითად, ტერორისტული აქტის ჩასადენად გეგმის შემუშავება და სათანადო იარაღის მიტანა ადგილამდე).

ქურდობის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები აღწერილია სსკ 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დახასიათებისას, ამიტომ მათზე საგანგებოდ არ შევჩერდებით.

330[4] გამოძალვა ამ თავით გათვალისწინებული ერთერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით

ეს ნოვაციაც 2013 წლის 27 ნოემბრის კანონით განხორციელდა. გამოძალვის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების გასაგებად იხილეთ სსკ 181-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დახასიათება. ამ მუხლთან მიმართებაშიც იგივე პრობლემები დგას, რაზეც საუბარი გვქონდა ზემოთ მოცემული მუხლის განხილვისას.

330[5] ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით

აღნიშნული ქმედება კრიმინალიზებული იქნა 2013 წლის 27 ნოემბერს, რომლითაც ნაწილობრივ დუბლირებულია სსკ 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ამიტომ ამ დანაშაულის ნიშნების დახასიათებაზე საგანგებოდ არ შევჩერდებით.

მაგალითად, ტერორისტებმა საჰაერო ხომალდის ტერორისტული მიზნით ხელში ჩაგდების გასაადვილებლად დაამზადეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტი (მაგალითად, ეკიპაჟის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი), რითაც უნდა მოეპოვებინათ ამ ხომალდში შეღწევის შესაძლებლობა.

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი, ასევე ხელისუფლების ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობა, მართლწესრიგის, სოციალური სიმშვიდისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს დანაშაული არაპირდაპირ ზიანს აყენებს სამართალდამცავ ორგანოებს, საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკურ ინტერესებს, ცალკეული მოქალაქის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

განსახილველი დანაშაულის საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ტერორისტული აქტის მზადების შესახებ თუნდაც ყალბი ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის პანიკა, უწესრიგობა, ტრანსპორტის მუშაობის შეფერხება, სახელმწიფო და სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის დეზორგანიზაცია; შენობებიდან ხალხის ევაკუაცია, მუშაობის ჩვეული რიტმის ჩაშლა ან შეჩერება; სახელმწიფო ორგანოები იძულებული ხდებიან, გაატარონ შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები თითქოსდა მოსალოდნელი ტერორისტული აქტის თავიდან ასაცილებლად; ხდება ექსტრემალური დახმარების სამსახურების უსაფუძვლო მობილიზაცია და მათი მუშაობის პარალიზება და ა.შ. სწორედ აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობეს ამგვარი ქმედების კრიმინალიზაციის აუცილებლობა.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებაში. ამგვარი შეტყობინების ადრესატს კანონი არ აკონკრეტებს. ის შეიძლება იყოს, უპირველეს ყოვლისა, ის ორგანო თუ თანამდებობის პირი, ვისაც ევალება მასზე რეაგირება და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების მიღება მოსალოდნელი შედეგების თავიდან ასაცილებლად. თუმცა გამორიცხული არ არის ცრუ შეტყობინების ადრესატი იყოს ცალკეული მოქალაქეც, მათში პანიკის გამოსაწვევად, დასაშინებლად. მაგალითად, საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებელთა ინფორმირება იმის შესახებ, რომ სახლის საძირკველში ჩადებულია ასაფეთქებელი ნალმი, მოწყობილობა და სხვ.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს დანაშაული, როგორც წესი, **არ გულისხმობს კონკრეტული პირის ცრუ დასმენას** იმაზე, რომ თითქოს იგი ამზადებს ტერორისტულ დანაშაულს. განსახილველი დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირი ცრუ შეტყობინებას ახორციელებს მოგონილ ფაქტზე, მაგრამ არავის არ აბრალებს ამ ფაქტს, ე.ი. **ადგილი არა აქვს** კონკრეტული პირის ცრუ დასმენას

(თუმცა არც ასეთი რამაა გამორიცხული და ამ დროს არაა საჭირო ქმედების დამატებით კვალიფიკაცია სსკ 373-ე მუხლით) .

ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას მოსალოდნელი აფეთქებისა და შესაძლო დიდი ქონებრივი ზიანის ან სხვა საშიში შედეგის შესახებ; პოლიტიკური თანამდებობის ან საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე მოსალოდნელი თავდასხმისა და სხვა ტერორისტული ქმედების შესახებ. ამასთანავე, ინფორმაცია, რომელიც ადრესატს მიეწოდება (ეუწყება), არის ცრუ, ე.ი. არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ პირი გულწრფელად ცდება ინფორმაციის სინამდვილეში, მაშინ საერთოდ არა გვაქვს დანაშაული. ცრუ ინფორმაციის შეტყობინება შეიძლება ზეპირად, წერილობით, სატელეფონო ზარით და ა.შ.

დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად ჩაითვლება ტერორიზმის შესახებ ადრესატისათვის ცრუ შეტყობინების მიწოდების მომენტიდან.

ქმედების ამსრულებელი შეილება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი.

ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება განზრახი დანაშაულია. განზრახვა პირდაპირია და იგი მიმართულია გარკვეული მიზნის მი საღწევად,კერძოდ,საზოგადოებრივი უშიშროებისათვის ზიანის მისაყენებლად, სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური საქმიანობის დეზორგანიზაციისაკენ, ცალკეული მოქალაქის უფლებებისა და ინტერესების დარღვევისკენ. ქმედების მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს – ხულიგნურით დაწყებული და პოლიტიკურით დამთავრებული. ისინი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ.

სსკ 331¹ მუხლი – ტერორიზმის დაფინანსება

ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა ტერორიზმთან ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მისი მასაზრდოებელი მსოფლიო ფინანსური არხების გადაკეტვა. ფინანსური მხარდაჭერის გარეშე თანამედროვე ტერორიზმი წარმოუდგენელია. საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებს ფინანსები სჭირდებათ თავიანთ საქმიანობაში ახალი მომხრეების ჩასაბმელად, ადგილზე და საზღვარგარეთ მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, სოციალური კამპანიების საწარმოებლად. მნიშვნელოვანი ფინანსები იხარჯება საკუთარი საბრძოლო ჯგუფებისა და დაქირავებულთა გადაბირების ორგანიზებასა და სა-

ბრძოლო მომზადებაზე, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე. დაფინანსება კონკრეტულ დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმაა. კონკრეტულ ტერორისტულ დანაშაულზე დახარჯული ფინანსების გამოვლენა გართულებულია შესაბამისი ფინანსური ოპერაციის საიდუმლო ხასიათის გამო. დაფინანსებისათვის გამოიყენება როგორც ლეგალური, ისე არალეგალური წყაროები, ამასთან სპონსორისა და დასპონსორებული მხარის საქმიანობის ჭეშმარიტი მიზნების გარკვევა საკმაოდ რთულია, რადგანაც ხშირად ტერორისტული ორგანიზაციები ფინანსებს კრებენ ვითომცდა საქველმოქმედო მიზნებისათვის და როგორც წესი,მესამე პირების მეშვეობით. სწორედ ამიტომ საერთაშორისო თანამშრომლობას და სახელმწიფოთა სამართლებრივ ურთიერთდახმარებას ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში ალტერნატივა არა აქვს. სამართლებრივი თანამშრომლობის ახალი ფორმების ძიების შედეგია გაეროს 2000 წლის საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ. ეს დოკუმენტი ასახავს ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სპეციფიკას და მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ტერორისტებისა და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების თავიდან ასაცილებლად და მის საწინააღმდეგოდ. კონვენციის მეორე მუხლი განსაზღვრავს იმ ტერორისტულ ქმედებათა წრეს, რომელთა დაფინანსებაც დანაშაულად ჩაითვლება. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს პირდაპირი გზით ხდება ეს დაფინანსება თუ არაპირდაპირით, ანუ იმ ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებსაც აქვთ ან აცხადებენ რომ აქვთ საქველმოქმედო, სოციალური ან კულტურული მიზნები ან, რომლებიც თავად არიან ჩაბმული არალეგალურ საქმიანობაში (იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობა,ტრეფიკინგი და სხვ.) ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების მიზნით. პასუხისმგებლობისათვის საკმარისია განზრახ მოპოვება ან შეგროვება ფონდებისა იმის გაცნობიერებით, რომ მათ (ე.ი. ფინანსებს) მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენებენ კონვენციის დანართში ჩამოთვლილი რომელიმე ტერორისტული დანაშაულის განსახორციელებლად; ასევე ნებისმიერი სხვა აქტის ჩასადენად, რომლის მიზანია მოსახლეობის დაშინება ან მთავრობის ანდა საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, რომ მათ ჩაიდინონ ან არ ჩაიდინონ რაიმე ქმედება. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო ილებს სათანადო ზომებს, საკუთარი კანონმდებლობის პრინცი პების შესაბამისად, რათა შესაძლო კონფისკაციის მიზნით გამოამჟღავნოს, მიაკვლიოს, გაყინოს ან ყადაღა დაადოს ნებისმიერ ფონდს, რომელიც გამოყოფილია ანდა გამოიყენება ტერორისტული დანაშაულის ჩადენის მიზნით.

2003 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, რომლის მიზანია საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, ამგვარ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი ღონისძიებებისათვის ხელის შეწყობა კანონით ზედმინევნით არის რეგლამენტირებული საზედამხედველო ორგანოების და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების უფლება-მოვალეობები ტერორიზმის დაფინანსების (ან შესაძლო დაფინანსების) აღსაკვეთად.

2006 წლის 25 ივლისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა დანაშაულის ახალი შემადგენლობა – ტერორიზმის დაფინანსება (მუხლი 331[1]). აღნიშნული დანაშაულის ობიექტური მხარე 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ გამოიხატება ფინანსური სახსრების ან სხვა სახის ქონების შეგროვებაში ან მიწოდებაში იმის წინასწარი შეცნობით, რომ იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ან/და ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად ან/და ამ კოდექსის 144, 227, 227[1], 227[2], 227[3], 229, 230, 231, 231[1], 231[2] მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩასადენად, მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა ამ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ან/და წინასწარი შეცნობით ტერორისტისათვის ან ტერორისტული ორგანიზაციისათვის მომსახურების გაწევაში, ტერორისტისათვის სამალავის ან თავშესაფრის მიცემაში ან/და ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის რესურსებით უზრუნველყოფაში ან სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერაში.

დანაშაულს **ფორმალური შემადგენლობა** აქვს – დასჯადია თავისთავად ფინანსური სახსრების ან სხვა ქონების (მაგალითად, კომუნიკაციის და სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.) შეგროვება ან მიწოდება, იმის მიუხედავად, ჩადენილია თუ არა ზემოალნიშნული მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ან გამოყენებული იქნა თუ არა ფინანსური სახსრები ან სხვა ქონება ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის მიერ, ანდა ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.[104]

---

[104] ტერორიზმის დაფინანსების ბრალდებით პასუხისგებაში მიცემულთა შორის არიან როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები, მაგალითად: 2001 წლის ნოემბერში აშშ-ს მთავრობამ ალ-თაქვას საბანკო სისტემა დაასახელა როგორც

ამ ქმედების **სუბიექტური შემადგენლობის** ნიშნები (მოტივი და მიზანი) რაიმე სპეციფიკურობით არ გამოირჩევა დანარჩენი ტერორისტული ხასიათის დანაშაულებისაგან.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია განზრახ, რომელიც შესაძლებელია იყოს პირდაპირიც და არაპირდაპირიც. პირდაპირი განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული აქვს, რომ შეგროვებული ან მიწოდებული ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ზემოთჩამოთვლილი ერთ-ერთი ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად.

არაპირდაპირი განზრახვის დროს კი პირს გაცნობიერებული აქვს, რომ შეგროვებული ან მიწოდებული ქონება შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი დანაშაულის ჩასადენად (თუმცა ამაში დარწმუნებული არ არის). ამდენად, იგი შეგნებულად უშვებს, რომ ეს ქონება შესაძლოა გამოყენებული იქნეს კანონში ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაულის ჩასადენად.

331[1] მუხლის მეორე და მესამე ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს ადგენს, სახელდობრ, მეორე ნაწილით გათვალისწინებულია ტერორიზმის დაფინანსება ორგანიზებული ჯგუფის მიერ და არაერთგზის. ამ ნიშნების განმარტებისას უნდა დავემყაროთ სსკ 27-ე და მე-15 მუხლებს, ხოლო მესამე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას ჩადენილს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ და რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია.

დანვრილებით ტერორისტული ორგანიზაციის არსზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, სსკ 327-ე და 328-ე მუხლების განხილვისას.

რაც შეეხება ტერორიზმის დაფინანსებით გამოწვეულ მძიმე შედეგს, ეს ფაქტის საკითხია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ. იგი შეიძლება გამოიხატოს დიდი მატერიალურ ზარალში, ადამიანთა მსხვერპლში და მისთ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოჭარბებულმა კაზუისტიკამ ზედმეტი პრობლემები ნამოჭრა. სახელდობრ, ტერორიზმის დაფინანსებისათვის დამოუკიდებელი შემადგენლობის ჩამოყალიბებამდეც არ იყო ვაკუუმი ტერორიზმთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივ არსენალში. კერძოდ, ტერ-

---

ტერორისტული იურიდიული პირი,რომელიც ალ-ქაიდას ფინანსური სახსრების მიმოქცევას ანარმოებდა. გარდა ალ-ქაიდასი, ალ-თაქვა აფინანსებდა რამდენიმე სხვა ტერორისტულ ორგანიზაციასაც, მათ შორის ჰამასს. ალ-თაქვა შეიქმნა 1988 წელს ეგვი პტის მუსულმანური საძმოს დაფინანსებით.

"The United States and Italy Designate Twenty-Five New Financiers of Terror~, Departament of the Treasury Office of Public Affairs, PO-3380, 29 August 2002.

ორისტული ორგანიზაციის უზრუნველყოფა ფულადი სახსრებით, ანდა კონკრეტული ტერორისტული აქტის დაფინანსება ეს შესაბამის დანაშაულში თანამონაწილეობაა დახმარების ფორმით. ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა ან/და დახმარება დამოუკიდებელ შემადგენლობადაც არის გათვალისწინებული სსკ 327-328-ე მუხლებით, ხოლო ფულადი სახსრების შეგროვება ან მიწოდება 227[1], 227[2], 323-ე-330-ე, 330[2] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად შესაბამისი ტერორისტული დანაშაულის მომზადებაა, რომლისთვისაც შესაძლებელია ფიზიკური ან იურიდიული პირის პასუხისგებაში მიცემა. გაუგებარია, რატომ უნდა აგოს პასუხი ტერორიზმის დამფინანსებელმა 331[1] მუხლის საფუძველზე ხოლო ტერორიზმის სხვაგვარმა დამხმარემ (მაგალითად,იმან ვინც ტერორისტებს დაეხმარა რჩევის მიცემით ანდა გადასცა იარაღი) როგორც თანამონაწილემ კონკრეტულ ტერორისტულ დანაშაულში. ან კიდევ, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის ან ტერორისტული ორგანიზაციის ქმედება ვინც აფინანსებს სხვა ტერორისტულ ორგანიზაციას და დახმარებას უწევს მას–328-ე თუ 331[1] მუხლით?! ორივე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები სახეზეა, სანქციები კი განსხვავებული. ალბათ გამოსავალი ზოგადი და სპეციალური კანონების კონკურენციის გადაჭრის მეთოდის მომარჯვებაა.

საკითხავია ასევე როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირის ქმედება, ვინც შექმნა ტერორისტული ორგანიზაცია და ხელმძღვანელობს მას და ამასთანავე დააფინანსა კონკრეტული ტერორისტული დანაშაული (მაგალითად, ტერაქტი). დღევანდელი სსკ არსენალით უნდა შეფასდეს 327-ე, 323-ე და 331[1] მუხლებით, რითაც ხელოვნურად იქმნება დანაშაულთა სიმრავლე, მაშინ როცა ყველა ზემოაღნიშნული ქმედება ერთიანი განზრახვით ხდება და ერთი მიზნის მიღწევას ემსახურება, ხელყოფის ობიექტიც ერთი და იგივეა, რომლის შეფასებაც რამდენჯერმე ხდება სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის საფუძველზე.

331[2] მუხლი – ტერორისტული აქტის ხელშეშლისათვის ზომების მიუღებლობა

წინასწარი შეცნობით ტერორისტული აქტის განხორციელების, დასრულების ან მასთან დაკავშირებული შედეგების დადგომის აღსაკვეთად გონივრულობის ფარგლებში ზომების მიუღებლობა, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის პირის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს,

ჯანმრთელობას ან საკუთრებას.

ეს სიახლე სისხლის სამართლის კოდექსში 2014 წლის 4 აპრილს შევიდა. ტერორიზმის საფრთხიდან გამომდინარე კანონმდებელი ყოველი მოქალაქის ვალდებულებად თვლის გონივრულობის ფარგლებში მიიღოს ზომები ტერაქტის განხორციელების, დასრულების ან მასთან დაკავშირებული შედეგების დადგომის აღსაკვეთად, ცხადია, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის პირის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას.

დანაშაულის ობიექტური მხარე უმოქმედობაში გამოიხატება, კერძოდ, ტერაქტის განხორციელების, დასრულების ან მასთან დაკავშირებული შედეგების დადგომის აღსაკვეთად ზომების მიუღებლობაში. შედეგი დანაშაულის შემადგენლობის გარეთაა, მან შეიძლება ასახვა პოვოს მხოლოდ სასჯელის ზომაზე. ტერაქტის აღსაკვეთად გონივრულობის ფარგლებში მისაღები ზომები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს ადგილის, დროის, ვითარების და სხვა გარემოებათა მხედველობაში მიღებით.

მაგალითად,მოქალაქემ არ მიიღო ზომები დამონტაჟებული ნაღმის გასანეიტრალებლად, რაც მას თავისი ცოდნიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე ადვილად შეეძლო ანდა არ დაეხმარა საფრთხეში მყოფ ადამიანებს და მისთ. კანონმდებელი არ მოითხოვს მოქალაქისაგან საარაკო გმირობის გამოჩენას, გონივრულობის ფარგლებში ზომების მიღება გულისხმობს, რომ მათ საფრთხე არ უნდა შეუქმნას პირის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას.

ქმედების **სუბიექტური შემადგენლობისათვის** აუცილებელია პირს წინასწარ შეცნობილი ჰქონდეს, რომ არსებობს ტერაქტის განხორციელების, დასრულების ამ მასთან დაკავშირებული შედეგების დადგომის საფრთხე და არ იღებს ზომებს მათ აღსაკვეთად.

დანაშაული განზრახია.

დანაშაულის ამსრულებელი ნებისმიერი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს.

თავი VIII

სამოხელეო დანაშაული

ზოგადი დებულებები

სამოხელეო დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას, ჩადენილია, როგორც წესი, სახელმწიფო მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ.

სამოხელეო დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული კონსტიტუციური წყობილებისა და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის სწორ ფუნქციონირებასთან. ამასთან, სახელმწიფო აპარატის ცნების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს მთელი მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ისე მმართველობის ორგანოებსაც. ყველა სამოხელეო დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პრესტიჟსა და ავტორიტეტს. იგი ზიანს აყენებს ან უქმნის საფრთხეს კონკრეტული პიროვნების უფლებებს, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს.

სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის ამსრულებლის სწორი განსაზღვრა, ვინაიდან სამოხელეო დანაშაულის **სუბიექტი, როგორც წესი, სპეციალურია**, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მოხელე, მასთან გათანაბრებული პირი, ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. ამ თავში მხოლოდ ორი დანაშაულია გათვალისწინებული, სადაც დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება კერძო პირიც იყოს.

კანონმდებლობის საფუძველზე მოხელეთა რიცხვს მიეკუთვნებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც იმყოფებიან საჯარო სამსახურში, ანუ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ასრულებენ საჯარო მოსამსახურის ფუნქციას.

ამჟამად სამოხელეო დანაშაულის სუბიექტის განსაზღვრისას სისხლის სამართლის კოდექსი ეყრდნობა საქართველოს კანონს საჯარო სამსახურის შესახებ,რომელიც მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 31 ოქტომბერს.

ამ კანონის თანახმად, **საჯარო სამსახური** არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯე-

ტო) დაწესებულებებში–საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

სახელმწიფო თანამდებობა ეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში,რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, ასევე სახელმწიფო თავდაცვას.

ამრიგად, **საჯარო მოსამსახურე** არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად.

კომპეტენციის განვრცობადობისა და უფლებამოსილების დონის მიხედვით საჯარო სამსახურში თანამდებობები იყოფა რანგებად: თანამდებობათა რეესტრს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება ზემოაღნიშნული კონსტიტუციებით.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობას **კუმულაციურად ახასიათებს სამი ნიშანი**: 1. ეს თანამდებობა გათვალისწინებულია საქართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით; 2. ამ თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის წესიც ასევე ამ კონსტიტუციებითაა განსაზღვრული და 3. ეს თანამდებობა არის პოლიტიკური. **მასში შედიან:** საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, პრემიერ-მინისტრი, მთავრობის წევრები, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომდგენლონითი ორგანოს წევრები და ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრონო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე საჯარო სამსახურს ეწევა ასევე **დამხმარე მოსამსახურე, ე.ი. ტექნიკური მუშაკი**, რომელიც შრომის ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალ-

ისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე. **იგი არ არის** სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელი.

კანონით გათვალისწინებული **შტატგარეშე მოსამსახურე** კი ის პირია, რომელიც დანიშვნით ან შრომის ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

შტატგარეშე მოსამსახურე სათანადო შემთხვევაში,თუ იგი გარკვეული ვადით ასრულებს მოხელის ფუნქციებს, შეიძლება მოხელესთან გათანაბრებულად ჩაითვალოს.

სახელმწიფო მოხელის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სახელმწიფო ხელისუფლების **სამივე შტოს** წარმომადგენელმა. **საკანონმდებლო ხელისუფლების წ**არმომადგენლები არიან საქართველოს პარლამენტის, ასევე აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი ნარმომადგენლობითი ორგანოების წევრები. **აღმასრულებელი ხელისუფლების** სფეროში მოხელეთა რანგში გადიან: საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის წევრი, ავტონომიური რესპუბლიკების სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები; ასევე სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების მოხელეები. **სასამართლო ხელისუფლების** მოხელეებს წარმოადგენენ საკონსტიტუციო სასამართლოსა და ყველა რანგის საერთო სასამართლოების მოსამართლეები.

ამრიგად, სამოხელეო დანაშაულის სუბიექტების წრიდან ცალკე უნდა აღინიშნოს **ხელისუფლების წარმომადგენელ** მოხელეთა განსაკუთრებული კატეგორია. ესაა ის პირი, რომელსაც გააჩნია საჯარო უფლებამოსილება. მისი მოთხოვნა სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი მის უწყებრივ დაქვემდებარებაში. ხელისუფლების წარმომდგენლებს გააჩნიათ უფლებამოსილება, განახორციელონ ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები იმ მოქალაქეების მიმართაც, რომლებიც მათ უწყებრივად არ ემორჩილებიან. ამ შემთხვევაში ისინი გამოდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სახელით და გააჩნიათ ხელისუფლება პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ.

სახელმწიფო მოხელეთა რიცხვს მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კადრების შერჩევას, ხელმძღვანელობენ მუშაკთა შრომის ორგანიზაციას, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებში, შეიარაღებულ ძალებსა და სხვა ორგანოებში ზედამხედველობას ახორციელებენ შრომის დისციპლინაზე. ასეთები შეიძლება იყვნენ ორგანიზაცია – დაწესებულების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და სხვ.

მოხელეებად არ ჩაითვლებიან მედიცინის მუშაკები, პედაგოგები (თუმდაც საჯარო დაწესებულებაში მსახურობდნენ პედაგოგად ამ ექიმად), ადვოკატები რომლებიც ახორციელებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას.

ზოგჯერ შესაძლებელია, ეს პირები **მოხელესთან გათანაბრებულ პირებად ჩაითვალონ.** კერძოდ, როცა საჯარო კლინიკის მთავარი ექიმი ან საჯარო სკოლის დერექტორი ასრულებს თავის ადმინისტრაციულ ფუნქციას, იგი მოხელესთან გათანაბრებული პირია.

მაგალითად, საჯარო კლინიკის მთავარმა ექიმმა მოქალაქისაგან აიღო გარკვეული თანხა, რათა იგი დაენიშნა ამ კლინიკაში მედდის თანანდებობაზე. სახეზეა ქრთამის აღება მოხელესთან გათანაბრებული პირის მიერ.

სულ სხვა ვითარებასთან გვექნება საქმე, როცა იგივე მთავარი ექიმი პაციენტისაგან ოპერაციის გაკეთებისათვის აიღებს ზედმეტ თანხას. ამ დროს სახეზე არაა სამოხელეო დანაშაული, რადგან მთავარმა ექიმმა ამ დროს უნდა შეასრულოს **არა მისი თანამდებობრივი** (ადმინისტრაციულ) ფუნქცია, **არამედ მხოლოდ პროფესიული** (საექიმო) ფუნქცია. ამდენად, ამგვარი ქმედება შესაძლოა შეფასდეს, როგორც მხოლოდ დისციპლინური გადაცდომა.

სამოხელეო დანაშაულის **სუბიექტის ასაკი** განსხვავებულია. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით, სახელმწიფო მოხელედ ჩაითვლება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ კი პირი 18 წლის ასაკიდან.

მოხელესთან გათანაბრებულ პირად უნდა მივიჩნიოთ ის პირი, რომელიც მუშაობს დროებით არამყოფი მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად. საერთოდ,კანონში საჯარო სამსახურის შესახებ მოხელის ცნება მეტად ზოგადია და იგი სასამართლო პრაქტიკას სირთულეს უქმნის. ამიტომ სამოხელეო დანაშაულის სუბიექტის განსაზღვრისას ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ისევ და ისევ ზემოაღნიშნული კანონმდებლობით და აღვნიშნოთ, რომ მოხელედ ჩაითვლება ყველა ის პირი, ვინც თანამდებობრივ საქმიანობას ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, ასევე, სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის, თავდაცვის ორგანოებში.

ამრიგად, მოხელესთან გათანაბრებული შეიძლება იყოს პირი, თუ იგი სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს ერთჯერად ან მოკლევადიან უფლებამოსილებას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს სამართლებრივ საფუძველზე. მხოლოდ მოხელის ფუნქციის ფაქ-

ტობრივი შესრულება, სათანადო იურიდიული გაფორმების გარეშე, გამორიცხავს დამნაშავის ქმედების სამოხელეო დანაშაულით კვალიფიკაციას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2008 და 2010 წლებში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით გაფართოვდა სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა წრე. აღნიშნულ ცვლილებებამდე საჯარო სამსახურის შესახებ კანონი იყო ის ძირითადი საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც განიმარტებოდა სამოხელეო დანაშაულის სუბიექტი, თუმცა ბოლოდროინდელი ცვლილებები სსკ 332-ე მუხლის შენიშვნის სახით, სამოხელეო დანაშაულის სუბიექტის განსაზღვრისას ასევე ეფუძნება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, სახელდობრ სსკ 332-ე მუხლის შენიშვნა გვეუბნება, რომ ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას,საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების წევრები და თანამშრომლები, საარჩევნო სუბიექტები (მხოლოდ ამ კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის), არბიტრაჟის წევრები, კერძო აღმასრულებლები, **აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი**, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით სსკ-ის 332ე მუხლის შენიშვნას დაემატა მესამე ნაწილი, რომლის თანახმადაც კოდექსის 338-ე (ქრთამის აღება) და 339[1]-ე (ზეგავლენით ვაჭრობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან ნაფიცი მსაჯულები (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას.

ამასთან, გაფართოვდა და ფაქტობრივად დაიხვეწა მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნებაც. 332-ე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილში ხაზგასმულია, რომ ამ თავის მიზნებისათვის, მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), აგრეთვე ნებისმიერ პირს,რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირს, ან ხელშეკრულების საფუძველზე

დაქირავებულ თანამშრომელს, ასევე ნებისმიერ მივლინებულ ან არა-მივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს, უცხო ქვეყნის არბიტრაჟის წევრებს და ნაფიც მსაჯულებს, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელს, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლოს ორგანოს მოსამართლეს და თანამდებობის პირს.

აღნიშნული შენიშვნა გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ საჯარო ინტერესი შეიძლება ხელყოს არა მარტო სახელმწიფო მოხელემ, არამედ მასთან გათანაბრებული პირის სახით საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელმა სხვა პირმაც.

თუ რა იგულისხმება საჯარო უფლებამოსილების განხორციელებაში უნდა გავარკვიოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეშვეობით. ადმინისტრაციული ორგანოს ლეგალური დეფინიცია მოცემულია სზაკ-ის მეორე მუხლში. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ამ დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს, ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაგებით, ასევე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს და მის ჩარჩოებში გამოსცემენ ადმინისტრაციულ აქტებს. „მინიჭებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე დაწესებულებები" (კერძო პირები) არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სტრუქტურის შემადგენელი ნაწილები, მაგრამ ზოგჯერ ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს. საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების საქმიანობა კანონით განსაზღვრულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული დაწესებულებების ტოლფას მოქმედებად მიიჩნევა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გაგებით ისინი ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენენ.[105]

კერძო სამართლის მთელ რიგ სუბიექტებზე სახელმწიფოსაგან დელეგირებულია საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება, **მაგალითად**, მარეგულირებელი კომისიები (სემეკი, სიხშირის კომისია, საავტესტაციო კომისიები), ავტოტექდათვალიერების ცენტრები და სხვა.

[105] ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბ., 2005, გვ. 108-109.

შპს საქართველოს რკინიგზა კერძო სამართლის იურიდიული პირია, მაგრამ როცა ის ადგენს ტარიფებს, სანიტარული ზედამხედველობის წესს და სხვ. იგი საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს.

ამრიგად, კერძო სამართლის სუბიექტები (ფიზიკური ან იურიდიული პირები) როცა ისინი საჯარო უფლებამოსილებას (საჯარო ინტერესებს) ახორციელებენ და ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცემენ აქტებს უთანაბრდებიან მოხელეებს.

332-ე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ პირთა წრეს აზუსტებს კორუფციასთან ბრძოლის შესახებ 1999 წლის ევროპული კონვენცია. 2006 წლის 14 დეკემბერს ხსენებულ კონვენციასთან მიერთების შემდეგ მისმა დებულებებმა ჩვენი ქვეყნისთვისაც სავალდებულო ძალა შეიძინა.

აღნიშნული კონვენციის მიხედვით სახელმწიფო თანამდებობის პირი განმარტებულ უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით, ამასთანავე, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მის განსაზღვრებას სისხლის სამართალში. თუ კორუფციულ სამართალდარღვევაში მონაწილეობს სხვა სახელმწიფოს თანამდებობის პირი, მისი სტატუსი, როგორც სახელმწიფო ოფიციალური თანამდებობის პირისა, განმარტებული უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით. თანამდებობის პირთა ეს კატეგორია, პირველყოვლისა, მოიცავს პარლამენტის და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებს (ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო ასამბლეის წევრებს); ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრებს ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, მათ შორის მინისტრებს, მერებს და სხვ. კონვენციით სახელმწიფო თანამდებობის პირის ცნება ასევე გულისხმობს არჩეულ ან დანიშნულ მოსამართლეებს, მათ შორის პროკურორებს.

კონვენციაში პასიური კორუფციის ამსრულებელთა შორის უცხო ქვეყნის თანამდებობის პირების ჩართვა კორუფციის პრობლემის წინაშე ევროპულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სოლიდარობის დემონსტრირებაა. ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების გლობალიზაციის, ასევე შიდა ბაზრის მსოფლიო ბაზარში ინტეგრაციის პირობებში, კაპიტალის და ინვესტიციების მოძრაობის შესახებ ერთ ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების მდგომარეობაზე, ხელყოფს კონკურენციის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის წესებს. ამიტომ, სადაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი კორუფციას ის ხელყოფს სახელმწიფოთა თანამეგობრობის

საერთო ინტერესებს.

კონვენციის მიხედვით **საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობის პირი მოიცავს სუბიექტთა ორ კატეგორიას:** პირველი, თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, რომელსაც პერსონალის შესახებ წესებისა და დებულების თანახმად მუდმივად ან დროებით, ამ ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივობის მიუხედავად, აქვს თანამდებობის პირის იდენტური მოვალეობანი და პასუხისმგებლობა მისი კონტრაქტის პირობების თანახმად; მეორე, ამ ორგანიზაციაში მივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს. ესენი არიან მთავრობის ანდა რომელიმე სახელმწიფო ან კერძო ორგანოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში მივლინებული (წარგზავნილი) თანამშრომლები, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ თანამდებობის პირის ან კონტრაქტით მომუშავე თანამშრომლების ეკვივალენტური ფუნქციები.

კონვენციის მე-9 მუხლი იფარგლება მხოლოდ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა ქმედებების კრიმინალიზაციით, რომლის წევრებიც ხელმომწერი სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, კონვენციაში ხაზგასმით საუბარია „სახელმწიფო საერთაშორისო ან ზენაციონალურ ორგანიზაციებზე", რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი **შექმნილი უნდა იყოს მთავრობების მიერ და არა კერძო პირების ან ორგანიზაციების მიერ.** ისინი არ მოიცავენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა ეს უკანასკნელნი შეიძლება აქტიური კორუფციის ან კერძო სექტორში პასიური კორუფციის სუბიექტები იყვნენ.

არსებობს მთელი რიგი რეგიონული ან გლობალური სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციები – მაგალითად, ევროპის საბჭო, გაერო, ნატო და სხვ. თუმცა დღესდღეობით ერთადერთი ზენაციონალური ორგანიზაცია არსებობს – ევროპის კავშირი.

საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირების პასიური კორუფციის კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ისეთი სამართლებრივი პრინციპების დაცვას, როგორიცაა სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა, რომლებიც თავიანთი კონკრეტული მანდატის შესაბამისად ასრულებენ სამუშაოს წევრი სახელმწიფოების სახელით ან ინტერესებისათვის. ზოგიერთი ასეთი საერთაშორისო ორგანიზაცია დიდი ოდენობით საქონლისა და მომსახურების შესახებ იღებს გადაწყვეტილებებს. ამასთანავე საჭიროა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელებისას სამართლიანი კონკურენციის

პრინციპის დაცვა სისხლის სამართლის მეშვეობით.

კონვენცია ცალკე გამოყოფს საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლეს და თანამდებობის პირს (მუხლი 11). ამ პირთა წრე მოიცავს არა მარტო საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს (მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო), არამედ აგრეთვე, სხვა ოფიციალურ პირებს: პროკურორებს, სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლებს; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რეგლამენტით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს. რომის სტატუტის რატიფიკაციის დროს, 2003 წლის 14 აგვისტოს კანონით, საქართველოს სსკ 39-ე თავს (სამოხელეო დანაშაული) გაუკეთდა შენიშვნა,რომ აქ მოცემული სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობები ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც სისხლის

სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლები არიან. ამგვარად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2008 წლის 23 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებით, ზემოაღნიშნული თანამდებობის პირები არა მხოლოდ კორუფციული და საერთაშორისო დანაშაულის, არამედ ნებისმიერი სამოხელეო დანაშაულის ამსრულებლები შეიძლება იყვნენ.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე)

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ დაწესებულებაში სახელისუფლო,მმართველობითი,სოციალურ-კულტურული და სხვა ფუნქციის შესრულებისას. ამ ორგანოების საქმიანობა მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ. აღნიშნული დანაშაული შეიძლება განხორციელდეს ასევე საქართველოს სამხედრო ძალებსა ან სხვა სამხედრო ფორმირებაში.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების **ობიექტურ მხარეს** ახასიათებს შემდეგი სავალდებულო ნიშნები: 1) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ; 2) ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა; 3) ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

ხოლო ამ დანაშაულის **სუბიექტური მხარისათვის** აუცილებელია კანონში მითითებული მიზანის არსებობა (თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღება). ამდენად, სახეზეა **გამიზნითი დელიქტი.**

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება მოხელის ისეთი ქმედება, რომელიც მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს და დაკავებული თანამდებობის საფუძველზე მის უფლება-მოვალეობათა განხორციელებასთან არის დაკავშირებული.

მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლები განსაზღვრულია სათანადო ნორმატიული აქტებით. ეს შეიძლება იყოს დებულება, წესდება ან სხვა აქტი. ამიტომაც, როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ისე ზოგიერთი სხვა სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობა ბლანკეტურ ნორმებს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ დადგენილ იქნეს არის თუ არა სახელმწიფო მოხელის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები,საჭიროა განისაზღვროს მოხელის უფლებამოსილება, მისი მოცულობა და შინაარსი. ეს კი მოწესრიგებუ-

ლია არა სისხლის სამართლის ნორმებით, არამედ სხვა ნორმატიული აქტებით.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენება შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერიც. ობიექტური მხრივ მოხელის მიერ მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა არამართლზომიერი გამოყენება ყოველთვის საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაა.

332-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულის შემადგენლობა არ იქნება,** თუ მოხელის ქმედება არ არის დაკავშირებული მის სამსახურებრივ უფლება-მოვალეობათა განხორციელებასთან. მაგალითად, სახელმწიფო მოხელის მიერ თავისი **სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენება,** რაც სხვისთვის პროტექციის გაწევაში გამოიხატა, გასაკიცხი საქციელია, რომელმაც სათანადო პირობების არსებობისას შეიძლება გამოიწვიოს არა სისხლისსამართლებრივი, არამედ მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობა, ვინაიდან მოხელე ამ შემთხვევაში თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად არ იყენებს.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კონკრეტული ფორმები მრავალგვარია, ვინაიდან მოხელის საქმიანობის სფერო მეტად ფართოა.

სისხლისსამართლებრივ ტერმინოლოგიაში „გამოყენება" გულისხმობს **როგორც აქტიურ, ისე პასიურ მოქმედებასაც**. უმეტეს შემთხვევაში მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათია, როდესაც მოხელე არ ასრულებს თავის უფლებამოსილებას და ეს უმოქმედობაში ვლინდება. **მაგალითად,** ამა თუ იმ ორგანიზაციის შემოწმებისას გამომძღავნებულ მატერიალურ დანაკლისს რევიზორი პირადი მოტივით არ ასახავს შემოწმების მასალებში.

მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას მოხელე **არ სცილდება თავისი უფლებამოსილების ფარგლებს,** არამედ მოქმედებს მის ფარგლებში, მაგრამ საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ. **მაგალითად,** პროკურორის უფლებამოსილებაში შედის სს-ვი დევნის დაწყებისა„ თუ არდაწყების საკითხის გადაწყვეტა, რა დროსაც მან უნდა იხელმძღვანელოს საჯარო (და არა პირადი) ინტერესის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში კი პროკურორმა მოქალაქის მიმართ არ დაიწყო სს-ვი დევნა, რადგან იგი მისი მეგობრის შვილი იყო. სახეზეა სსკ 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ჩადენილია უმოქმედობით და რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა. (დარღვევა

სამართლიანი მართლმსაკულების ინტერესი).

მოხელის მიერ თავისი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებასა და მავნე შედეგის დადგომას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა აუცილებელია, რაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებათა და საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესის არსებით დარღვევაში გამოიხატა. ამიტომაც თავისი კონსტრუქციით ეს დანაშაული **მატერიალურ შემადგენლობათა** რიცხვს განეკუთვნება.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფორმები შეიძლება გამოიხატოს საშტატო-ფინანსურ დისციპლინისა და ვაჭრობის წესების დარღვევაში, სახელმწიფო საკუთრების უსაფუძვლო დახარჯვასა ან მის დროებით არამიზნობრივ გადაცემაში ცალკეული მოქალაქის სარგებლობაში, მოხელის მიერ უკანონოდ რაიმე სიკეთის მიღებაში სახელმწიფო საკუთრების ხარჯზე,მაგრამ ამ ქონების ამოღების გარეშე. **მაგალითად**, მოხელე საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ ბიუჯეტის ხარჯზე მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში. იგი შეიძლება ასევე გამოიხატოს სხვა პირთა ინტერესებისათვის ზიანის მიყენებაში (მაგ. ღირსეული კანდიდატის დათხოვნა და უღირსის მიღება, რამაც არსებითად ხელყო პირის, ან სახელმწიფოს კანონიერი უფლება) და ა.შ.

თუ მოხელის მხრიდან ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების ამოღებას და საკუთარ ქონებაზე მის მიერთებას, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" პუნქტით – მითვისება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

საჯარო სამსახურის მოთხოვნა და მოხელის სამსახურებრივი მოვალეობა,რომელთა საწინააღმდეგოდაც მოქმედებს დამნაშავე, განისაზღვრება ვალდებულებათა იმ მოცულობით, რაც მას დაკისრებული აქვს როგორც შრომის ხელშეკრულებით,ისე სათანადო ნორმატიული აქტით. 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგი გულისხმობს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი უფლებებისა და ინტერესებისათვის ან საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის ფაქტობრივ მიყენებას.

უფრო ხშირად სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისშედეგსწარმოადგენსქონებრივიზიანი,მოქალაქის,საზოგადოების ან სახელმწიფოსათვის. იგი შეიძლება მდგომარეობდეს საკუთრების ხარჯვაში დანიშნულების გარეშე. **მაგალითად,** უმიზნო ზეიმსა და გართობაში ორგანიზაციის თანხის ხარჯვა, ორგანიზაციისათვის ისეთი ნივთის შეძენა, რომელიც მის ინტერესებს არ შეესაბამება (მაგალითად, სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ორგანიზაციის ბიუჯეტის ხარჯზე შეიძონა ძვირად ღირებული ნახატი, რაშიც დახარ-

ჯა ამ ორგანიზაციის ტექნიკური აღჭურვისათვის გამოყოფილი თანხა) და სხვ.

ყველა ამ შემთხვევაში ქონებრივი ზიანის გამო მცირდება მისი ბრუნვა, სახელმწიფო ორგანიზაციები ვეღარ იღებენ ქონებრივ სარგებელსა და ა.შ.

დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ მიყენებული **ზიანი იყოს არსებითი.** არსებითი დარღვევის ცნება შეფასებითია, რომელიც დადგენილ უნდა იქნეს კონკრეტული საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით. ზიანის არსებითობის განსასაზღვრავად ყურადღება უნდა მიექცეს დამდგარი შედეგის ხასიათს, საწარმოო პროცესის შეჩერებას და არა მარტო მატერიალური ზიანის ოდენობას, ასევე მოქალაქეთა არაქონებრივი ხასიათის პირადი უფლებებისა და ინტერესების შებღალვას, დაზარალებულ მოქალაქეთა რაოდენობას, ორგანიზაცია-დაწესებულების მუშაობაზე უარყოფითი გავლენის საკითხს და სხვა მრავალს.

არსებითი დარღვევის განსაზღვრაზე კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: მატერიალური სასაქონლო ფასეულობათა ღირებულება, მათი დეფიციტურობა, სამეურნეო მნიშვნელობა, გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა და სხვ.

მოქალაქეთა უფლებების არსებითი დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ისე მორალური ზიანის სახით. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ფიზიკური ზიანის მიყენებისას (ძალადობა,სხეულის დაზიანება) შეიძლება გვქონდეს სხვა დანაშაულის შემადგენლობაც (მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, მუხლი 333-ე). თუმცა პრაქტიკულად ძნელი წარმოსადგენია მოხელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილების გადამეტების გარეშე.

მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დარღვევა არსებითი იქნება, თუ დარღვეულია ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლებები: შრომის თავისუფლების, დასვენების, განათლების, ბინადრობისა და სხვა უფლებები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი არ აზუსტებს „სხვა პირთა“ ცნებას. იგი ფართოდ არის გაგებული, ვინაიდან მასში ნათესავებისა და ახლობლების გარდა, იგულისხმება სხვა პირებიც. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას, „სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღებაში“ ნაგულისხმებია ისეთი პირიც, რომელსაც არავითარი ახლო დამოკიდებულება არა აქვს დამ-

ნაშავესთან, მაგრამ ეს უკანასკნელი, გარკვეული მოსაზრების გამო, დაინტერესებულია რაიმე გამორჩენა ან უპირატესობა მიაღებინოს მას.

დანაშაულის შემადგენლობისათვის საკმარისია ერთ-ერთი შედეგის არსებითად მიჩნევა, მაგრამ შესაძლოა არსებითი ზიანი რამდენიმე სახისაც იყოს.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ დანაშაულის **სუბიექტური შემადგენლობისათვის** აუცილებელია სათანადო მიზნის არსებობა (გამიზვნითი დელიქტი). ეს მიზანია დამნაშავის მიერ **თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღება.**

გამორჩენის მიღების მიზანი შეიძლება გამოხატული იყოს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მეშვეობით დამნაშავის მისწრაფებაში–მიიღოს რაიმე ქონებრივი გამორჩენა თავისთვის ან სხვა პირთათვის სახელმწიფო სახსრების ხარჯზე.

მაგალითი: მოხელემ არასწორად აღრიცხა ორგანიზაციის ფონდებში არსებული ქონება, რათა ამ გზით დაეფარა თავისი დაუდევრობით გამონვეული დანაკლისი და თავიდან აეცილებინა მატერიალური პასუხისმგებლობა და სხვ.

მეორე მაგალითი: მხელემ დაფარა მისი ხელქვეითის მიერ ჩადენილი მითვისების ფაქტი, რადგან მისი გამჟღავნების შემდეგ თვითონ არ დარჩენილიყო პრემიის გარეშე.

დამნაშავის ან სხვისთვის უპირატესობის მიღებას უმეტესად არაქონებრივი ხასიათი აქვს. არამატერიალური უპირატესობის მიღების სურვილი შეიძლება ნაკარნახევი იყოს ისეთი ქვენა გრძნობით, როგორიცაა: კარიერიზმი, პროტექციონიზმი, თავისთვის კომფორტის მოწყობა, დამნაშავის მიერ თავისი არაკომპეტენტურობის დაფარვის სურვილი და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნული შეიძლება შეეხებოდეს სხვა პირთა ინტერესსაც. **მაგალითად,** ზემოთხსენებულ შემთხვევაში, როცა პროკურორმა არ დაიწყო სს-ვი დევნა მეგობრის შვილის მიმართ, მისი მიზანი იყო სხვა პირისათვის უპირატესობის (და არა გამორჩენის) მიღება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისთვის ან სხვისთვის **გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით** უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება **განსხვავდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული** ისეთი დაუფლებითი დანაშაულისაგან, როგორიცაა მითვისება ან გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რა დროსაც ადგილი აქვს პირის მართლზომერ მფლობელობაში არსებული ქონების უკანონო და ამავე დროს უსასყიდლო ამოღებას (სსკ 182-ე მ-ის მე-2 ნაწ. „დ" ქვ.)[106]

[106] ამ საკითხზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, სსკ 182-ე მუხლის განმარტება

ამავე დროს არაა გამორიცხული, მოხელის ქმედება დაკვალიფიცირდეს როგორც სსკ 182-ე, ისე 332-ე მუხლების ერთობლიობით.

მაგალითად, მოხელემ მის ორგანიზაციის ანგარიშზე არსებული სახელმწიფო თანხის ნაწილი (რომელიც რა თქმა უნდა, იმყოფება მის მართლზომიერ გამგებლობაში), რაც განკუთვნილი იყო ამ ორგანიზაციის ახალი ტექნოლოგიით აღჭურვისათვის, დახარჯა მისი კაბინეტის ფეშენებელურ რემონტში (თავისთვის უპირატესობის მიღების მიზანი სსკ 332-ე მ.), ამავე დროს შეგნებულად გაზარდა რემონტის ხარჯი და ზედმეტად გამოწერილი თანხა მიისაკუთრა (მითვისება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – სსკ 182-ე მ-ის მე-2 ნაწ.).

ბრალის ფორმის მიხედვით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება განზრახვაში ვლინდება.

სსკ 332-ე **მუხლის მე-2 ნაწილით** გათვალისწინებულია ამ დანაშაულის ჩადენა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან, რაც უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი თანამდებობა უჭირავს პირს, მით უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც მოქალაქეებისათვის, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ცნება განხილულია ამ დანაშაულის სუბიექტის დახასიათებისას).

განსაკუთრებით მძიმდება პასუხისმგებლობა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა, თუ მათ სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს **არაერთგზის**.

არაერთგზისი დანაშაული უნდა გავიგოთ სსკ მე-15 მუხლის საფუძველზე.

ასევე მძიმდება პასუხისმგებლობა, თუ დამნაშავემ სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა ძალადობით ან იარაღის საშუალებით.

ძალადობის გამოყენება გამოიხატება დაზარალებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებაში – ჩაადენინონ მას უკანონო მოქმედება ან შეაწყვეტინონ მართლზომიერი საქმიანობა მოხელის მართლსაწინააღმდეგო ინტერესიდან გამომდინარე. ძალადობად ჩაითვლება დაზარალებულის ცემა, ფიზიკური ტკივილის მიყენება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა.

რაც შეეხება დაზარალებულის ჯანმრთელობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით მძიმე დაზიანებას, ასევე სიცოცხლის მოსპობას განზრახ ან გაუფრთხილებლობით, იგი ამ დამამძიმებელი გარემოების

წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 456-460

ფარგლებს გარეთ რჩება და ორივე შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის ერთობლიობით: სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან მკვლელობა, ან სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

იარაღის გამოყენება გულისხმობს დაზარალებულზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების მიზნით მის ფაქტობრივ გამოყენებას. იარაღის ცნების ქვეშ იგულისხმება ცეცხლსასროლი იარაღი (საბრძოლო, სამსახურებრივი ან სამოქალაქო) ასევე ცივი იარაღი, რომელიც გამიზნულია ცოცხალი მიზნის გასანადგურებლად და რომლის ტარებისა და გამოყენებისათვის სპეციალური ნებართვაა საჭირო. იარაღის გამოყენება გულისხმობს მისი გამანადგურებელი თვისების ფაქტობრივ გამოყენებას ან მისი გამოყენების მცდელობას. იარაღის დემონსტრირება ან მისი გამოყენების მუქარა, რომელიც რეალურ საფრთხეს არ უქმნის დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ამ დანაშაულის შემადგენლობას არ წარმოადგენს.

332-ე მუხლში მითითებულია კიდევ ერთ დამამძიმებელ გარემოებაზე-სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება **დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.** მასში იგულისხმება მოხელის ისეთი მოქმედება, რომელიც ამცირებს პირის ღირსებას უწესო ფორმით, ანუ ისეთი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დადგენილ თანაცხოვრების წესს.

სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული – **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება უნდა გაიმიჯნოს მასთან ახლო მდგომ სხვა დანაშაულთაგან**.

ახალმა კოდექსმა ეკონომიკურ დანაშაულთა კარში ცალკე თავი მიუძღვნა დანაშაულს სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ. ამ თავის 220-ე მუხლში განხილულია დანაშაული—უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რომელიც გულისხმობს სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ,თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით 220-ე მუხლი აგებულია 332-ე მუხლის მსგავსად. **ზემოაღნიშნულ ორ დანაშაულს შორის განსხვავება** უნდა დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მიხედვით. დავიწყოთ იქიდან, რომ სამოხელეო დანაშაულში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებათა ნორმალური საქმიანო-

ბა; მათი სტატუსი დადგენილია სპეციალური კანონებით, რომლებიც აწესრიგებენ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციების შესრულების წესს; ხოლო კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციის ნორმალური საქმიანობა, კონკრეტულად კი მათი როგორც ქონებრივი, ისე სხვა მართლზომიერი ინტერესები (მაგალითად, სამეწარმეო ორგანიზაციის ავტორიტეტი).

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების **ობიექტური მხარე** გამოხატულია დანაშაულის სუბიექტის მიერ მმართველობითი უფლებამოსილების გამოყენებაში საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ (სსკ 332-ე მ.), ანდა ორგანიზაცია-დაწესებულებათა ინტერესის საზიანოდ (სსკ 220-ე მ.). ამ ორი დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის სავალდებულოა შედეგის დადგომა – ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა, **მეორე შემთხვევაში კი**–მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა, მაგრამ უფლებამოსილებათა არსი და შინაარსი სხვადასხვაა.

ამ ორი მუხლის სუბიექტური მხარე (მოტივი და მიზანი) ერთმანეთს ემთხვევა. სახეზეა მიზნით დაფუძნებული დელიქტი, სადაც მოტივს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა.

ძირითადი განსხვავება მათ შორის სუბიექტშია. სამოხელეო დანაშაულის 332-ე მუხლში დანაშაულის სუბიექტია მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, ხოლო 220-ე მუხლში კი ეს არის პირი, რომელიც ასრულებს მმართველობით ფუნქციებს სამეწარმეო, ან სხვა ორგანიზაციაში (ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას).

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მუხლი 333-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება განპირობებულია იმით, რომ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი განზრახ ახორციელებს ისეთ მოქმედებას,რომელიც აშკარად სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს და იწვევს მოქალაქეთა უფლებების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების არსებით დარღვევას. ამასთან, ამგვარი ქმედება შეიძლება დაკავშირებულ იქნეს მოქალაქეთა მიმართ

ძალადობასთან,იარაღის გამოყენებასთან, რაც უფრო ზრდის ამ დანაშაულის საშიშროებას.

დანაშაული, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, წარმოადგენს მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სახესხვაობას. **მათ შორის განსხვავება** იმაში მდგომარეობს, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას მოხელე უკანონოდ,საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ **იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას,** ხოლო სამსახურებრივი **უფლებამოსილების გადამეტებისას კი** მისი მოქმედება სცილდება სამსახურებრივ უფლებამოსილებას. იმისათვის,რომ დადგენილ იქნეს განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე, ანუ დამნაშავის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, საჭიროა, რომ მოხელის მოქმედება აშკარად სცილდებოდეს მისი უფლებამოსილების ფარგლებს,რაც უნდა იყოს ზუსტად დადგენილი და არ იწვევდეს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას.

კანონში საჯარო სამსახურის შესახებ ჩაწერილია, რომ მოხელის მიერ კანონის დარღვევას წარმოადგენს ისეთი განკარგულების გაცემა, რომელიც მისი უფლებამოსილების ფარგლებს სცილდება. ამიტომ საჭიროა მოხელის უფლებამოსილების მოცულობის ზუსტად განსაზღვრა. მოხელის უფლებამოსილებათა დადგენა ხორციელდება დებულების, წესდების, ბრძანების ან სხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე. ასევე უნდა გაირკვეს უფლება-მოვალეობათა დარღვევის კონკრეტული ფაქტები და მათ სამართლებრივი შეფასება მიეცეს. თუ არ არის რეგლამენტირებული მოხელის უფლება-მოვალეობათა მოცულობა ან ვერ ხერხდება მისი დადგენა, მაშინ ზემოაღნიშნული დანაშაულის შემადგენლობაც არ არსებობს.

333-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური მხარე** მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში მდგომარეობს. ეს შეიძლება გამოიხატოს:

1) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც სხვა მოხელის ან სხვა უწყების უფლებამოსილებაში შედის **(მაგალითად,** მოსამართლის თანაშემწე მოქმედებს მოსამართლის ნაცვლად ან საგადასახადო სამსახურის ინსპექტორი ითვისებს თავისი უფროსის უფლებამოსილებას და გასცემს ლიცენზიას, როცა ამ მოხელეს არა აქვს ლიცენზიის გაცემის უფლება);

2) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოება-

თა არსებობისას, კანონში ან სხვა ნორმატიულ აქტში მითითებული საფუძვლით **(მაგალითად**,მოხელის მიერ იარალის გამოყენება ისეთ პირობებში,როდესაც იგი დაშვებული არ არის, ან კიდევ, სასამართლო აღმასრულებლის მიერ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც ჯერ არ არის შესული კანონიერ ძალაში);

3) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც კანონის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს **მხოლოდ კოლეგიურად** (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის მიერ ერთპიროვნულად საკითხის გადაწყვეტა მაშინ, როდესაც იგი რაიონის გამგეობის გადასაწყვეტია; ან კიდევ, როდესაც მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, ხოლო კანონის საფუძველზე იგი ვალდებული იყო ეს საქმე კოლეგიურად განეხილა);

4) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენაში,რომელიც არავითარ გარემოებაში და არც ერთმა თანამდებობის პირმა და არც ერთმა სამსახურებრივმა ინსტანციამ არ შეიძლება განახორციელოს (მაგალითად, სკოლის დირექტორის მიერ მოსწავლის ცემა ან საწარმოს დირექტორის მიერ მუშაკის დაჯარიმება ხელფასიდან).

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, დამნაშავის მოქმედება დაკავშირებული უნდა იყოს მის სამსახურებრივ მდგომარეობასთან, მისგან გამომდინარეობდეს და ჩადენილ იქნეს მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში ან მასთან დაკავშირებით. ამგვარი კავშირის არარსებობისას ამ დანაშაულის შემადგენლობა გამორიცხულია.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისას პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ მოხელეს სამსახურებრივი უფლებამოსილება გააჩნდეს იმ პირისა ან ორგანოს მიმართ, რომელთაც ზიანი მიადგათ მოხელის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

ობიექტური მხრივ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, როგორც წესი, ხდება **აქტიური მოქმედებით. თუმცა, იშვიათ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული მისი ჩადენა უმოქმედობითაც** მაგალითად, საგამოძიებო იზოლატორის უფროსის მიერ პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა. უფლებამოსილების ასეთი გადამეტება ისჯება სსკ სპეციალური მუხლით 147-ე მ.

ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია მართლსაწინააღმდეგო **შედეგის დადგომა**, რაც გამოიხატება ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევაში. დამდგარი შედეგი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს მოხელის იმ მოქმედებასთან, რომელიც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს.

არსებითი დარღვევა შეფასებით ნიშანთა კატეგორიას მიეკუთვნება. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შედეგად მიყენებული ზიანის ზომის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს საქმის კონკრეტულ გარემოებებს,არსებითი დარღვევის მნიშვნელობას,დაზარალებულთა რაოდენობას და სხვა. პრაქტიკაში ეს მავნე შედეგი ხშირად გამოიხატება მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დარღვევაში, ასევე იმ ორგანოს ავტორიტეტის შელახვაში, რომელსაც ეს მოხელე წარმოადგენს და მრავალი სხვა (იხ. 332-ე მუხლის ობიექტური მხარის კომენტარი).

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების **სუბიექტური მხარისათვის,** განსხვავებით სსკ 332-ე მუხლისაგან, არაა აუცილებელი სპეციალური მიზნის არსებობა. ამდენად, მიზანსა და მოტივს ამ დანაშაულისათვის არა აქვს მაკვლიფიცირებელი მნიშვნელობა. მას არქვს მხოლოდ მტკიცებულებითი მნიშვნელობა და ასევე მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ამ დანაშაულის ჩადენის ისეთი მოტივი, რომელიც არასწორად გაგებული სამსახურებრივი ინტერესიდან გამომდინარეობს. გამორიცხული არ არის შურისძიების, ანგარებისა და სხვა პირადი მოტივიც.

ბრალის ფორმის მიხედვით კი იგი ხასიათდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, რამდენადაც მოხელეს გაცნობიერებული აქვს როგორც მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ისე მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა ან გარდუვალობა და სურს მისი დადგომა ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა ან საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევის სახით; ან თუმცა არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელია მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

რაც შეეხება ამ დანაშაულის ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, რომლებიც ასახულია მის მე-2 და მე-3 ნაწილში, მათი განმარტება მოცემულია 332-ე მუხლის – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება – კომენტირებისას.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, ისევე როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენების ზოგად შემადგენლობასთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს სსკ 332-ე და333-ე მუხლების სპეციალური სახეები (მაგალითად, განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება მუხლი 147-ე; ეჭვმიტანილის ან

ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება მუხლი 334-ე, სამსახურებრივი სიყალბე – 341-ე მ. და სხვა), რომელთა კვალიფიკაცია ასევე ნორმათა კონკურენციის საფუძველზე წყდება.

მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა

ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება (მუხლი 334-ე)

ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კერძო შემთხვევას წარმოადგენს. იგი კანონმდებელს სპეციალური მუხლის სახით აქვს გამოყოფილი.

ამ დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ზემოაღნიშნული მოქმედებით მოსახლეობას ეკარგება რწმენა სოციალურ სამართლიანობაში, საფუძველი ეცლება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინცი პს, ირღვევა მართლმსაჯულების განხორციელების კანონიერება, რომლის თანახმადაც არც ერთი უდანაშაულო პირი არ შეიძლება იქნეს მსჯავრდებული, ხოლო დამნაშავე კი უნდა მიეცეს პასუხისგებაში. მართალია, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით პროკურორს აქვს ე.წ. დისკრეციული უფლებამოსილება შეწყვიტოს სს-ვი დევნა ბრალდებულის მიმართ, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტისას მას უნდა იხელმძრვანელოს არა პირადი მოტივით (როგორც ამას ადგილი აქვს ამ დანაშაულის ჩადენისას), არამედ საჯარო ინტერესის შესაბამისად.

334-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია** ხელისუფლების (ამჯერად სასამართლო ხელისუფლების) პრესტიჟი და ავტორიტეტი, საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის კანონის შესანამისი საქმიანობა. დამატებით ობიექტად კი გვევლინება დაზარალებულის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

საერთოდ, როგორც წესი, ბრალდებული შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებში მითითებული პირობითა და საფუძვლით.

სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სხვადასხვა საფუძველს:

ქმედით მონანიებას, ვითარების შეცვლისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო და სხვ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებას. (სსსკ მუხლი 105-ე) პროკურორს დადგენილ შემთხვევებში შეუძლია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეწყვიტოს სისხლის სამართლის დევნა.

ბრალდებულის კანონსაწინააღმდეგო საფუძვლით გათავისუფლება დაუშვებელია და იგი სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალდებულის გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებაში სათანადო დადგენილების გამოტანით, როდესაც საამისოდ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძველი და არც პროკურორის მიერ დისკრეციის გამოყენების საფუძველი. ბრალდებულის მიმართ სს-ვი დევის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება პროცესუალურად უნდა გაფორმდეს პროკურორის მოტივირებული დადგენილებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე **ბრალდებულია პირი**, რომლის მიმართაც გამოტანილია პროკურორის დადგენილება მისი ბრალდების შესახებ. **ასევე ბრალდებულად** ითვლება პირი მისი დაკავების მომენტიდან, რომელსაც დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში პროკუკორმა უნდა წარუდგინოს დადგენილება მისი ბრალდების შესახებ.

ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლებაში იგულისხმება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაის გაგრძელებაზე უკანონოდ უარის თქმა (საქმის წარმოების შეწყვეტა). ბრალდებულის უკანონო გათავისუფლება მარეაბილიტირებელი (დანაშაულის შემადგენლობის არარსებობა) ან არამარეაბილიტირებელი (მაგალითად, ხანდაზმულობა) საფუძვლით.

ამ **დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არა აქვს მნიშვნელობა** ამის შესახებ გამოუცხადეს თუ არა ბრალდებულს ან დაზარალებულს. დანაშაულის ჩადენა შეიძლება მხოლოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე. იგი დამთავრებულია სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, სახეზე იყო ბრალდებული პირი, რომელსაც უკანონოდ ათავისუფლებენ სს-ვი პასუხისმგებლობისაგან. **თუკი პირი ჯერ არაა ბრალდებული**, პროკურორის მიერ მის მიმართ უკანონო

შეღავათის დაწესება არ მოგვცემს ამ დანაშაულის შემადგენლობას, თუმცა შესაძლოა, სახეზე იყოს სხვა დანაშაული. **მაგალითად,** პროკურორმა კანონით დადგენილი საფუძვლით დაიწყო გამოძიება ამა თუ იმ ფაქტზე. ძიების პროცესში მან შეკრიბა სათანადო მტკიცებულებები, რაც საკმარისი იყო პეტრეს მიმართ სს-ვი დევნის დაწყებისათვის, რაც უნდა გამოიხატოს ამ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანაში. მიუხედავად ამისა, პროკურორმა არ გამოიტანა ასეთი დადგენილება და არ დაიწყო სს-ვი დევნა პეტრეს მიმართ, რადგან იგი იყო მისი ნათლიის შვილი.

სახეზეა არა განსახილველი დანაშაული, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება სხვისთვის უპირატესობის მიღების მიზნით (სსკ 332-ე მ.), რაც ჩადენილია პროკურორის უმოქმედობით და რამაც გამოიწვია სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა.

დანაშაულის **ამსრულებელი სპეციალურია** – პროკურორი. არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში სახელმწიფო მოხელე, რომელმაც შეცდომა დაუშვა მტკიცებულებათა შეფასებაში და შეცდომით თვლიდა ბრალდებულს უდანაშაულოდ.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ შეგნებულად უკანონო გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მოსამართლემაც სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს 332-ე მუხლით (2007 წლის 4 ივლისს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე მოსამართლე წინასწარ შეცნობით უკანონო გადაწყვეტილების მიღებისათვის პასუხს აგებდა სსკ 336-ე მუხლით).

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივსა და მიზანს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. იგი შეიძლება იყოს პირადული (მაგალითად, მეგობრობა ბრალდებულის ახლობელთან) ან სამსახურებრივი (მაგალითად, დანაშაულის სტატისტიკის შემცირება). თუ უკანონო გათავისუფლება ხდება ანგარებით, ვთქვათ, ქრთამის დაპირების გამო, სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა – 334-ე მუხლთან ერთად ქრთამის აღებაც.

ბრალის ფორმის მიხედვით დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავის ქმედების მართლწინააღმდეგობა,სახელდობრ, ბრალდებულის უკანონო გათავისუფლების ფაქტი, და სურს, რომ ბრალდებული უკანონოდ გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიღების იძულება (მუხლი 335-ე)

როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად ითვლება. საგამოძიებო მოქმედების წარმოებისას აკრძალულია ჩვენების მიმცემისათვის ფიზიკური ან მორალური ზემოქმედება.

335-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ზოგადი მუხლის – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების – სპეციალური სახეა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების ჩატარებისას აკრძალულია პიროვნების მიმართ მეძიებლობის, მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობისა და სხვა ხერხების გამოყენება. ჩვენება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ძალადაუტანებლად. ჩვენების მისაღებად ფიზიკური და ფსიქიკური იძულების, მოტყუების, დაპირების, შანტაჟის, დაყოლიების გამოყენება აკრძალულია. ასეთი ხერხით მიღებული მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ბრალდებულსა და განსასჯელს არ აკისრიათ ჩვენების მიცემის პროცესუალური მოვალეობა. ეს მათი უფლებაა და არა ვალდებულება. ხოლო რაც შეეხება დაზარალებულს, მოწმესა და ექსპერტს, ისინი კანონის თანახმად, ვალდებულნი არიან წარდგნენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების წინაშე და მისცენ ჩვენება.

ამ დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იძულებით მიცემულმა ჩვენებამ შეიძლება უსამართლო განაჩენის ან სხვა სასამართლო აქტის გამოტანამდე მიგვიყვანოს.

335-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ხელისუფლების ორგანოების ნორმალური საქმიანობა, რომელიც ხელყოფილია წინასწარი გამოძიების ორგანოთა მოხელის უკანონო მოქმედებით. ამ დანაშაულის დამატებით ობიექტს წარმოადგენს ადამიანისა და მოქალაქის კანონიერი ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება განმარტების, ჩვენებისა და დასკვნის მიცემის იძულებაში. კანონშივეა მითითებული მათი ჩადენის ხერხი– მუქარა, მოტყუება, შანტაჟი ან სხვა უკანონო ქმედება. დანაშაული დამთავრებულია ჩვენების მიმცემის მიმართ მუქარის ან სხვა უკანონო მოქმედების გამოყენების მომენტიდან, მნიშ-

ვნელობა არა აქვს მიიღო თუ არა დამნაშავემ მისთვის სასურველი ჩვენება, ამიტომ იგი ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება.

მუქარა – იგი შეიძლება გამოიხატოს ისეთი ძალადობის გამოყენების მუქარაში, რაც არაა საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის (პირვ. ნან.). მაგალითად, ცემის, სხვაგვარი ძალადობის ან ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების, ქონების დაზიანების მუქარა, ბრალდებულის პირობების გაუარესების (მაგალითად, აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის) მუქარა, რაც ჩადენილია ჩვენების მიცემის იძულების ხერხად.

თუ გამოყენებული მუქარა საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, სახეზეა ამ დანაშაულის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება.

მოტყუება – იგი შეიძლება გამოიხატოს ცრუ დაპირებაში. მაგალითად, პროკურორი ჰპირდება ბრალდებულს, რომ თუ აღიარებს დანაშაულის ჩადენას (ან თუ დაახასელებს თანამონაწილეს), გაათავისუფლებს მას სს-ვი პასუხისმგებლობისაგან. ანდა არწმუნებს, რომ საქმეში მონაწილე სხვა პირებმა თითქოს იგი უკვე ამხილეს დანაშაულში და თუ სურს მის მიმართაც გატარდეს კანონით დადგენილი შეღავათები, სჯობს აღიაროს დანაშაული და სხვ.

შანტაჟი – მასში იგულისხმება ნამდვილი თუ მოგონილი სახელგამტეხი ცნობის გახმაურების მუ ქარა, თუკი პირი არ მისცემს გამოძიებისათვის სასურველ ჩვენებას. **მაგალითად,** პროკურორი ან გამომძიებელი ემუქრება ბრალდებულს ან მოწმეს, რომ თუ არ მისცემს მისთვის სასურველ ჩვენებას, გაასაჯაროებს მის ხელთ არსებულ ვიდეომასალას, სადაც აღბეჭდილია ამ პირის ჰომოსექსუალური ცხოვრების ამსახველი სცენები.

სხვა უკანონო მოქმედება – აქ იგულისხმება ისეთი ხერხის გამოყენება, რაც კანონით არაა ნებადართული გამოძიებისას. **მაგალითად,** ჰიპნოზის, ფსიქოტროპული ნივთიერების, ნარკოტიკული საშუალების გამოყენება სასურველი ჩვენების მისაღებად. ამასთან, თუ გამოყენებულია სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება (მაგ., ნარკოტიკი), ქმედება განსახილველ ნორმასთან ერთად დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით (მაგ., სსკ 260-ე მ.).

სხვა უკანონო მოქმედებაში იგულისხმება ასევე ისეთი ძალადობა, რაც არაა საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის (ცემა ან ძალადობა – სსკ 125-ე, 126-ე მმ.). ასევე პირის ბოროტი დაცინვა (მაგალითად, მისი გაშიშვლება და „სირცხვილის კორიდორში“ გატარება).

335-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში **დაზარალებუ-**

ლად გვევლინებიან ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი, რომლებზეც ხორციელდება იძულება ჩვენების ან დასკვნის მისაღებად.

ფართო გაგებით იძულება მოიცავს ჩვენების ჩამორთმევის ყველა უკანონო მეთოდს, რაც არღვევს ჩვენების მიცემის ნებაყოფლობას, როდესაც პირის ნება დათრგუნულია, მისი ჩვენება შეიძლება აღარც იყოს ჭეშმარიტი, დამახინჯდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ადგილი ჰქონდეს ცრუ ჩვენების მიცემას და სხვა.

ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა არა მარტო მაშინ, როდესაც პირს აიძულებენ მისცეს ცრუ ჩვენება, არამედ მაშინაც, როდესაც იძულებით ხდება მისგან ჭეშმარიტი ჩვენების მიღება. ასევე არა აქვს მნიშვნელობა, ეს ჩვენება ბრალდების მხარისთვისაა სასარგებლო, თუ დაცვის მხარისათვის, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც წესი, გამოძიების მხრიდან დაცვის მხარისათვის სასარგებლო ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებას პრაქტიკულად თითქმის არასდროს აქვს ადგილი.

კანონში ასევე მოცემულია **ექსპერტის იძულება** დასკვნის მიცემისათვის (ექსპერტის, ექსპერტიზისა და ექსპერტის დასკვნის ცნებები, განმარტებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით).

მაგალითად, პროკურორი შანტაჟის მუქარით ცდილობს, აიძულოს ექსპერტი, მისცემს გამოძიებისათვის სასურველი დასკვნა.

აქვე ეს შემთხვევა უნდა გაიმიჯნოს სსკ 372-ე მუხლის მე-2 ნაწილისაგან, როცა **კერძო პირი** ახორციელებს იძულებას ექსპერტის მიმართ ყალბი დასკვნის ან ცრუ ჩვენების მისაცემად. ამ დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდება ქმედება, თუ დაკითხვის პროცესში პროკურორი ან გამომძიებელი იყენებდნენ ფსიქოლოგიური მეცნიერების რეკომენდებულ დაკითხვის ტაქტიკურ მეთოდს.

აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ **სპეციალურმა ამსრულებელმა,** მაგალითად, პროკურორმა, და გამომძიებელმა. უწყებრივ დაქვემდებარებას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. **მოსამართლე არ არის** ამ დანაშაულის ამსრულებელი. თუ მოსამართლე სათანადო პირის დაკითხვისას იძულებას მიმართავს, მისი ქმედება, კონკრეტულ გარემოებიდან გამომდინარე, დაკვალიფიცირდება, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე), ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მუხლი 333-ე).

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. იგი შეიძლება ნაკარნახევი იყოს კარიერისტული მოტივით, შურისძიების მოტივითა თუ დანაშაულის გახსნის სურვილიდან გამომდინარე არასწორად გაგებული სახელმწიფოებრივი ან

საზოგადოებრივი ინტერესით და სხვ. **რაც შეეხება მიზანს,** დამნაშავის მიზანია, მიიღოს მისთვის სასურველი ჩვენება ან დასკვნა.

ბრალის ფორმის მიხედვით სახეზეა პირდაპირი განზრახვა.

სისხლის სამართლის კოდექსის **335-ე მუხლის მე-2 ნაწილი** ეხება ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს, როგორიცაა იგივე ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

ძალადობა, რაც საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის გულისხმობს ისეთი ხერხის გამოყენებას, რაც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის (სსკ 179-ე მ.).იგი შეიძლება გამოიხატოს ისეთ ცემაში, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ჯანმრთელობის დაზიანება; პირის თავდაყირა დაკირებაში, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს მისი სიკვდილიც კი; ფეხის გულებში წვეტიანი საგნით ჩხვლეტაში, რასაც შესაძლოა მოჰყვეს პირის ფსიქიკური დაავადება; პოლიეთილენის პარკის თავზე ჩამოცმაში, რა დროსაც არსებობს პირის გაგუდვის საფრთხე; ცხელი საგნით დამდაღვაში, რაც იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას და სხვ. ამდენად, ამგვარმა ძალადონამ შესაძლოა, გამოიწვიოს დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიკვდილი. თუმცა ასეთი შედეგის დადგომა არაა სავალდებული ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით კვლიფიკაციისათვის, საკმარისია მხოლოდ ამგვარი საფრთხის შექმნა **(მიზნით დაფუძნებული კონკრეტული საფრთხის დელიქტი).** თუკი ამგვარმა ძალადობამ რეალურად გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედების კვალიფიკაცია არაა საჭირო დანაშაულთა ერთობლიობით. ხოლო თუკი მას გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან მსხვერპლის სიკვდილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 335-ე მუხლის მე-2 ნაწ. „ა“ ქვ. და სსკ 117-ე მუხლით ან მკვლელობის შესაბამისი მუხლით (108-ე ან 109-ე).

ძალადობის მუქარა, რაც საშიშია სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, გამოიხატება ზემოთხსენებულ ქმედებათა განხორციელების მუქარაში როგორც სიტყვიერად, ისე კონკლუდენტური ქმედებით.

განსახილველი მუხლის ეს დამამძიმებელი გარემოება უნდა გაიმიჯნოს მსგავსი დანაშაულებისაგან.

საკითხავია, რით განსხვავდება განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება, რაც ჩადენილია ძალადობით (335-ე მ-ის პირვ. ან მე-2 ნაწ.) სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისაგან, რაც ჩადენილია ძალადობით (333-ე მ-ის მე3 ნაწ.)?

როცა მოხელე ამეტებს თავის უფლებამისილებას და იყენებს ძალადობას, ქმედება სსკ **335-ე მუხლით კვალიფიცირდება მხოლოდ**

მაშინ, თუკი მისი მიზანი იყო გამოეძალა პირისათვის განმარტება, ჩვენება ან დასკვნა.

ყველა სხვა შემთხვევაში, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ან 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით. **მაგალითად,** პოლიციაში მოიყვანეს დაკავებული, რომელსაც ბრალად ედება ძალადობითი სქესობრივი დანაშაული არასრულწლოვნის მიმართ. პოლიციის სამმართველოს მორიგემ როცა შეიტყო, თუ რისთვისაც იყო ეს პირი დაკავებული, აღშფოთებულმა სცემა იგი (333-ე მ-ის მე-3 ნაწ.).[107]

საკითხავია, რით განსხვავდება ჩვენების მიცემის იძულება, ჩადენილი ისეთი ძალადობით, რაც საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის და წამება, რაც ჩადენილია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (144[1] მ-ის მე-2 ნაწ. „ა" ქვ.)?

ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, ჯერ უნდა გადაწყდეს ამ ნორმათა ურთიერთმიმართების საკითხი. კერძოდ, ადგილი აქვს **ნორმათა კოლიზიას, თუ ნორმათა კონკურენციას?**

თუკი ადგილი აქვს ნორმათა კოლიზიას (ანუ შემთხვებას, როცა ერთიდა იგივე ქმედება დაკვალიფიცირებულია ორი სხვადასხვა მუხლით), მაშინ საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე წესი არსებობს. ერთერთი მათგანის მიხედვით უპირატესობა უნდა იმ ნორმას, რომელიც უფრო ზემდგომი ორგანოს მიერაა მიღებული. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ორივე ნორმა მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ნორმას, რომელიც უფრო ახალია. უფრო ახალი კი, როგორც უკვე აღინიშნა, არის წამების შესახებ ნორმა.

ხოლო **თუ ადგილი აქვს ნორმათა კონკურენციას,** ანუ ზოგადი და სპეციალური ნორმების მიმართებას, მაშინ სსკ 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სპეციალურ ნორმას.

ჩვენს მიერ **დასმული საკითხის სირთულე იმაში გამოიხატება,** რომ განსახილველი მუხლები ნორმათა კოლიზიისა და მათი კონკურენციის მიჯნაზეა.

მათში **არის ნორმათა კოლიზიის ნიშნები,** რადგან ორივე შემთხვევაში სახეზეა ქმედება, რაც გამოირჩევა თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით (თუმცა ეს ფაქტი არაა აღწერილი სსკ 335-ე მუხლის ,ე-2 ნაწილის დისპოზიციაში), ამავე დროს იწვევს ან ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას (არც

[107] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, ნაშრომში: საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევის კრებული, თბ. 2015, გვ. 105-107

ეს შედეგია აღწერილი 335-ე მუხლში) და ამასთანავე საშიშია ან სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის (ეს საფრთხე კი აღწერილია ჩვენს მიერ განსახილველ ნორმაში, მაგრამ არაა აღწერილი ნამების მუხლში, თუმცა უმეტეს შემთხვევაში იგულისხმება).

ამას ემატება ისიც, რომ ორივე შემთხვევაში **მიზანიც** შესაძლოა ერთი და იგივე იყოს – აღიარების, ინფორმაციისა თუ მტკიცებულების მიღება, რისი წყაროც არის პირის მიერ მიცემული ჩვენება, თუ ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნა. ამასთან, ეს მიზანი პირდაპირ აღწერილია და ერთადერთია სსკ 335-ე მუხლში, ხოლო წამების მუხლში იგი შეიძლება იყოს ერთ-ერთი ალტერნატიული მიზანი.

რაც შეეხება **დანაშაულის სუბიექტს**, ისინიც ემთხვევა ერთმანეთს სსკ 335-ე მუხლსა და წამების მე-2 ნაწილის „ა" ქვ-ში ესაა მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

ამის მიუხედავად, **ეს ნორმები არა კოლიზიაში, არამედ კონკურენციაში არიან ერთმანეთთან,** რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მათგანი არის ზოგადი, ხოლო მეორე სპეციალური.

კერძოდ, **ზოგადი არის ნამების მუხლი,** ხოლო **სპეციალური**ა სსკ 335-ე მუხლი, რადგან:

ა) წამების მუხლი არის **საერთო დელიქტი,** რომლის ამსრულებელია სისხლის სამართლის ყველა სუბიექტი (14 წელს მიღწეული ბრალუნარიანი პირი), ხოლო სსკ 335-ე მუხლი არის **სპეციალური დელიქტი,** რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი;

ბ) წამება გათვალისწინებულია წამების მუხლის ძირითად შემადგენლობაშივე (ანუ მისი პირველ ნაწილში) მაშინ, როცა სსკ 335-ე მუხლის პირველ ნაწილში წამება არაა გათვალისწინებული, იგი გათვალისწინებულია მხოლოდ მის დამამძიმებელ გარემოებაში მე-2 ნაწილში;

გ) წამების მიზანი შესაძლოა, იყოს სხვადახვაგვარი. კერძოდ, ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, ასევე პირის დაშინება ან იძულება ანდა მისი დასჯა. რაც შეეხება სსკ 335-ე მუხლს, მას **მხოლოდ ერთი მიზანი** აქვს. ესაა პირის იძულება, რათა მისცეს განმარტება, ჩვენება ან დასკვნა.

ამდენად, როცა მოხელე იყენებს წამებას იმ მიზნით, რათა აიძულოს მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული, მისცეს განმარტება ან ჩვენება ანდა ექსპერტმა მისცეს დასკვნა, ქმედების კვალიფიკაციისას **უპირატესობა უნდა მიენიჭოს სსკ 335-ე მუხლის მე-2 ნაწილს** და არა წამების დამამძიმებელ გარემოებას.

თუკი ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა: მაშ, რა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება წამების მე-2 ნაწილით გათვალისწინებუ-

ლი დამამძიმებელი გარემოებით რაც ჩადენილია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ?

ქმედება ასეთნაირად უნდა დაკვალიფიცირდეს მაშინ, როცა წამების ჩამდენი მოხელის მიზანი არაა წამების შედეგად მოპოვებული აღიარების, ინფორმაციისა თუ მტკიცებულების სს საქმეში გამოყენება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მოხელე არ აწარმოებს გამოძიებას ან სს დევნას. იგი მიმართავს წამებას, რათა შეიტყოს ისეთი ინფორმაცია, ან ხელთ იგდოს მტკიცებულება, რაც მას აინტერესებს პირადი ან სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა ბუნტს. ამ დაწესებულების ხელმძღვანელმა ანამა იქ მოთავსებული ერთ-ერთი პირი, რათა მისაგან მიეღო ინფორმაცია, ვინ იყო ამ ბუნტის ორგანიზატორი.[108]

335-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით პასუხისმგებლობა მძიმდება თუ ის ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხლი 337-ე)

თავისი იურიდიული ბუნებით 337-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სპეციფიკური სახეა.

ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმალური საქმიანობა და ავტორიტეტი; დამატებითი ობიექტი კი– ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები და კანონიერი ინტერესი.

ობიექტური შემადგენლობის მიხედვით ზემოაღნიშნული დანაშაული გამოიხატება: 1)მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირადად ან სხვისი მეშვეობით სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად ორგანიზაცია-დაწესებულების დაარსებაში; 2) დამნაშავის მიერ პირადად ან სხვისი მეშვეობით მის მართვაში მონაწილეობით. ორივე შემთხვევაში დანაშაული სახეზე გვექნება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ქმედებანი დაკავშირებულია მოხელისათვის უკანონო შეღავათის,ან უპირატესობის დაწესებასთან, მისი სხვა ფორმით მფარველობასთან.

[108] ამ პრობლემაზე და მისი პრაქტიკული გადაჭრის გზებზე დაწვრილებით იხ. ნ. თოდუა, დასახ. ნაშრ. გვ. 97-105

ამრიგად, **ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის** ყველაზე ტი პური ფორმებია: 1) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კომერციული საწარმო-დანესებულების შექმნა, რომელიც სამენარმეო საქმიანობას ეწევა. ამასთან, მოხელე შეიძლება იყოს ამ საწარმოს დამფუძნებელი ან სხვებთან ერთად შედიოდეს დამფუძნებელთა შემადგენლობაში; 2) მოხელის მონაწილეობა საწარმოს მართვაში პირადად ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით; სახელდობრ, დამფუძნებლის სახით მონაწილეობა ამ საწარმოს მიერ მოწვეულ კრებებში, გამგეობის წევრად მისი არჩევა და სხვ.

ქმედების 337-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის უკანონო შეღავათისა და უპირატესობის დაწესებას, ასევე სხვა ფორმით მფარველობას მატერიალური ხასიათი უნდა ჰქონდეს (კრედიტი, სესხი და სხვ.). მთავარია, რომ ეს უნდა ხორციელდებოდეს მოხელის მიერ თავისი ოფიციალური სამსახურებრივი მდგომარეობის შესაძლებლობის გამოყენებით. დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს მაშინ, როცა მოხელე, მართალია, უკანონოდ მონაწილეობს სამენარმეო საქმიანობაში, მაგრამ ეს არაა დაკავშირებული მისთვის უკანონო შეღავათის დაწესებასთან ან ამ საწარმოს მფარველობასთან.

დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს მოხელის მოქმედებასა (საწარმოს შექმნა, მასში მონაწილეობა) და საწარმოსათვის ფაქტობრივი მატერიალური ხასიათის შეღავათის ან უპირატესობის მიცემას **შორის მიზეზობრივი კავშირი.**

კანონში საჯარო სამსახურის შესახებ ხაზგასმულია, რომ მოხელეს არა აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მას შეუძლია მხოლოდ ფლობდეს აქციებსა და წილს. ამას გარდა,მთელ რიგ კანონებში (მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ,პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ,პროკურატურის შესახებ,საერთო სასამართლოების შესახებ და სხვა) მოხელეებს აკრძალული აქვთ სამენარმეო საქმიანობა, შეასრულონ სხვა ანაზღაურებადი სამუშაო სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობის გარდა. კანონი არ უკრძალავს მოხელეს მონაწილეობას არაკომერციულ საწარმოში, რომელსაც მიეკუთვნება – ფონდი, ასოციაცია და სხვა. სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში ვლინდება.

რაც შეეხება დანაშაულის **მოტივს** მას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არა აქვთ და შეიძლება გავლენა იქონიონ მხოლოდ სასჯელის ზომაზე. 337-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საგულისხმოა,რომ დანაშაულებრივი მოქმედება უმეტესად ხორციელდება უკანონო შემო-

სავლების მიღების მიზნით.

დანაშაულის ამსრულებელია მოხელე და მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობით აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს 337-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედება.

მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა

ქრთამის აღება (მუხლი 338-ე)

ქრთამის აღება ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულია სამოხელეო დანაშაულთა თავში. დღეს მოქმედი კანონის შესაბამისად მექრთამეობა (ქრთამის აღება და მისი მიცემა) კლასიკური გაგებით უკვე აღარ არის აუცილებელი თანამონაწილეობით ჩასადენი დანაშაული,რადგან მისი განხორციელება მხოლოდ თანამონაწილეობით არაა შესაძლებელი (ქრთამის აღებას ადგილი აქვს მაშინაც, როცა მოხელე მოითხოვს ქრთამს, მაგრამ მოქალაქე უარს ეტყვის მის მიცემაზე. ანდა, პირიქით). ამის მიუხედავად, იგი ნაწილობრივ ინარჩუნებს ასეთ ბუნებას, რადგან ქრთამი რომ აიღო, იგი ქრთამის მიმცემმა უნდა მოგცეს და პირიქით, ქრთამი რომ მისცე, იგი მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა უნდა აიღოს.[109])

ქრთამის აღების საზოგადოებრივი საშიშროება იმითაც არის განპირობებული, რომ იგი საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ დაწესებულებათა სტაბილურობას, ამუხრუჭებს ეკონომიკური განვითარების პროცესს, ძირს უთხრის საზოგადოების მორალურ საფუძველს. ამასთან, იგი ხშირად დაკავშირებულია სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენასთან (მაგალითად,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, საბაჟო წესის დარღვევა და სხვა).

ქრთამის აღება კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური სახეა. კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" (1997 წლის 27 ოქტომბრის კანონი) **კორუფცია საჯარო სამსახურში განმარტებულია,** როგორც თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამ-

[109] აუცილებელი თანამონაწილეობით ჩასადენ დანაშაულზე იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ.273; გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. სახელმძღვანელო, (მე-2 გამოცემა), თბ. 2016, გვ. 313: ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ.201-202

ოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საერთაშორსო კონვენციებსა და აქტებში არ არის კორუფციის ერთიანი განმარტება, თუმცა ყველგან აღნიშნულია, რომ მექრთამეობა კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა.

„საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითად მიმართულებებში" **კორუფცია განმარტებულია** როგორც საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით.

ეს პროგრამა ზღვარს ავლებს **ელიტურ და მასობრივ კორუფციას** შორის. **მასობრივი კორუფცია** ძირითადად მოიცავს მოქალაქეთა ყოველდღიურ ურთიერთობას ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მაგალითად, საგადასახადო, მარეგისტრირებელი და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან. იგი გულისხმობს **საშუალო და დაბალი რანგის** მოხელეების მიერ მატერიალური რესურსების მიღებას მოსახლეობისაგან. **ელიტური კორუფცია** კი არსებობს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში; ჩვეულებრივ ის დაკავშირებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხებისა თუ მატერიალური სიკეთის მითვისებასთან. ამასთან, ევროპის საბჭოს მიერ სისხლის სამართლის სფეროში მიღებულ კონვენციაში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ და სხვა საერთაშორისო ორგანოების მიერ მიღებულ აქტებში დამკვიდრდა **პასიური და აქტიური კორუფციის ცნება,** რომელიც ძალიან ახლო დგას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მექრთამეობის ცნებასთან.

პასიური კორუფცია (ანუ ქრთამის აღება) ნიშნავს თანამდებობის პირის ისეთ განზრახ ქმედებას, როდესაც იგი პირადად ან შუამავლის მეშვეობითი ითხოვს ან იღებს ამა თუ იმ შეღავათს ან მისი მიღების დაპირებას თავისთვის ან მესამე მხარისათვის, რათა შეასრულოს თავისი მოვალეობა, ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან, ან განახორციელოს დაკისრებული ფუნქციები თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით, ან ასეთი დარღველის გარეშე.

აქტიური კორუფცია (ანუ ქრთამის მიცემა) გულისხმობს ყველა იმ პირის განზრახ ქმედებას,რომელიც უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით ჰპირდება ან აძლევს თანამდებობის პირს შეღავათს იმ მიზნით, რათა ამ უკანასკნელმა ამ პირის ან მესამე მხარის სასარგებლოდ შეასრულოს თავისი მოვალეობა, ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან, ან განახორციელოს თავისი ფუნქციები სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით ან ასეთი დარღველის გარეშე.

ქრთამის აღებისაგან **სს-ვი დაცვის აღების ობიექტს** წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის,ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პრესტიჟი და ავტორიტეტი **(ძირითადი ობიექტი)** ,ასევე მათი ნორმალური, კანონის შესაბამისი ფუნქციონირება **(დამატებითი ობიექტი)**. ქრთამის აღების საგანს, როგორც წესი, ნარმოადგენს ქონებრივი ხასიათის სიკეთე (ამ მხრივ გამონაკლისია „არამართლზომიერ უპირატესობა"). არაქონებრივი ხასიათის სიკეთის მიღება მოხელის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით (დახასიათება, რეცენზია, რეკომენდაცია და ა.შ.) არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ქრთამი.

ქრთამის საგანი – მასში იგულისხმება ფული, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი ანდა სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა.

ფულის ცნებაში იგულისხმება არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ლარი, არამედ უცხო ქვეყნების საფინანსო ბრუნვაში არსებული ვალუტაც.

ქრთამის **საგნად არ ჩაითვლება** საქართველოსა და უცხო სახელმწიფოების ძველი ფული, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში არ არის. რაც შეეხება ნუმიზმატიკურ ფასეულობას, იგი ამ მუხლით „ფულად" არ ჩაითვლება, მაგრამ შეიძლება ქრთამის საგანი გახდეს, როგორც მუხლში მითითებული „სხვა ქონება" (მაგალითად, ნაპოლეონის მონეტები). თუ ძველებური ფულის საბაზრო ღირებულება ძალიან დაბალია,მაშინ საერთოდ სახეზე არ გვექნება დანაშაულის საგანი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე ამგვარი ქმედება, მცირე მნიშვნელობის გამო, გამორიცხავს დანაშაულის არსებობას.

რაც შეეხება **ფასიანი ქაღალდის** ცნებას, სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, ეს ის დოკუმენტია, რომელიც დადგენილი ფორმითა და სავალდებულო რეკვიზიტებით ადასტურებს ქონებრივ უფლებას. ამ უფლების განხორციელება ან მისი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მისი წარდგენის საფუძველზე. ფასიან ქაღალდს წარმოადგენს, **მაგალითად,** სახელმწიფო ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, სადეპოზიტო სერტიფიკატი, კონოსამენტი, აქციები, პრივატიზებული ფასიანი ქაღალდები და სხვა.

„სხვა ქონებაში" იგულისხმება ყველანაირი მატერიალური ფასეულობა, რომელსაც გაცვლითი ღირებულება გააჩნია. მასში შედის ყველანაირი მოძრავი და უძრავი ნივთი (მიწის ნაკვეთი, სახლი), ძვირფასი ლითონები, სამკაული, ავეჯი და სხვა.

„ქონებრივი სარგებლის" ცნებაში შედის ყოველივე ის, რაც დამ-

ნაშავეს გადაეცემა სასყიდლის გარეშე ან მიზერულ ფასში. ეს შეიძლება იყოს ძვირფასი ნივთის იაფ ფასში შეძენა, უფასოდ ისეთი რამის მიღება, რაზეც თანხაა გადასახდელი (მაგალითად, სანატორიუმის საგზური, თვითმფრინავით მგზავრობის ბილეთი, რესტორანში ბანკეტის ხარჯის დაფარვა, რაც მოხელეს უნდა დაეფარა და ა.შ.), ასევე საფასურის გარეშე გაკეთებული რემონტი, სარესტავრაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოს შესრულება საფასურის გარეშე, რაშიც მოხელეს წესისამებრ შესაბამისი თანხა უნდა გადაეხადა.

არამართლზომიერ უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ისეთი უპირატესობა, რომლის მოპოვების მართლზომიერი (ანუ ნორმატიულად გაწერილი) გზა არსებობს. **მაგალითად,** მოხელეს სთავაზობენ რომ დაუმსახურებლად მიანიჭებენ საპატიო წოდებას, ან დაუწერენ დისერტაციას, თუ სანაცვლოდ იგი ქრთამის მიმცემის ინტერესისათვის განახორციელებს რაიმე ქმედებას და სხვა. ამდენად, არ ჩაითვლება არამართლზომიერ უპირატესობად მოხელეზე ისეთი სიკეთის შეთავაზება, რაც მართალია, მას სხვებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, მაგრამ არ არსებობს ამგვარი სიკეთის პირისათვის მინიჭების მართლზომიერი (ანუ ნორმატიულად გაწერილი) გზა. **მაგალითად**, ცნობილი მწერალი მოხელეს სთავაზობს ასეთ გარიგებას: თუკი იგი მის შვილს დანიშნავს მაღალ ანაზღაურებად თანამდებობაზე, ამ მწერლის მიერ გამოქვეყნებულ ნაწარმოების ეპიგრაფში დააფიქსირებს, რომ ამ ნაწარმოების მთავარი გმირის პროტოტიპი არის ეს მოხელე.

მწერლის მიერ მოხელისათვის შეთავაზებული ეს უპირატესობა **არაა არამართლზომიერი უპირატესობის სახე**, რადგან საერთოდ ნებისმიერი ავტორის გადასაწყვეტია (ე.ი. არ არსებობს მისი გადაწყვეტის ნორმატიულად გაწერილი გზა), თუ ვის მიუძღვნის იგი თავის ნაწარმოებს, ან ვის ჩათვლის თავისი ნაწარმოების მთავარ გმირად.

ქრთამის საგანი შეიძლება იყოს შენილბული, როცა ერთი შეხედვით, ქონებრივ სარგებელს თითქოსდა კანონიერი სახე აქვს. **მაგალითად,** ის ნოტარიულად დამოწმებული ივჯარის ხელშეკრულებაა, სესხია და სხვა. სინამდვილეში კი იგი ქრთამის აღების შენილბული ფორმაა.

თანამედროვე პირობებში ქრთამის საგანმა სახე იცვალა და საკმაოდ გაფართოვდა. გამოვლინდა მექრთამეობის დანაშაულის ისეთი საგნები, რომლებიც ადრე არ არსებობდა. ესაა ფულადი სახსრების გადარიცხვა საბანკო ანგარიშიდან ნაღდ ანგარიშზე, ანგარიშის გახსნა უცხო სახელმწიფოს ბანკში, სავაჭრო ორგანიზაციის პრივატიზაცია, პირის „სპეციალისტებად“ და „კონსულტანტებად“ გაგზავნა უცხოეთში მაღალი ანაზღაურებით, რაც სინამდვილეში არ ხორციელდება და

სხვა.

338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის **მიღებაში ან მოთხოვნაში**, ასევე ასეთის თაობაზე **შეთავაზების ან დაპირების მიღებაში** თავისი ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად,აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.

ქრთამის საგნის მიღება – იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ.

პირდაპირ ქრთამის აღებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ქრთამის საგანი პირადად მოხელეს გადაეცემა. მაგალითად, მოხელემ ხელიდან ხელში გამოართვა ქრთამის მიმცემს ძვირფასეულობა და ჩაიდო იგი ჩანთაში. ანდა მოხელემ ქრთამის მიმცემს უთხრა, ეს ძვირფასეულობა დადოს მაგიდაზე და თავად წავიდეს და ა.შ.

ქრთამის მიღება არაპირდაპირ ხორციელდება მაშინ, როცა შეთანხმებისამებრ, მოხელეს პირადად არ გადაეცემა ქრთამის საგანი. ესაა ქრთამის აღების შენიღბული ფორმა. მაგალითად, შეთანხმებისამებრ ქრთამის საგანი გადაეცემა მოხელის ოჯახის წევრს (ვთქვათ, მის მეუღლეს), ანდა მოხელის ოჯახის წევრის ანგარიშზე გადაირიცხება ფულადი თანხა, ან კიდევ ფულადი თანხა გადაირიცხება მოხელესთან დაახლოებული პირის კერძო ორგანიზაციის (მაგ., შპს-ს) ანგარიშზე, როგორც ვითომც ამ ორგანიზაციის მიერ სხვა პირისათვის გაწეული მომსახურების კანონიერი საფასური და ა.შ.

შემდეგი ქმედებაა ქრთამის მოთხოვნა – იგი უმეტესად ვერბალური ხასიათისაა და დამთავრებულად ითვლება ასეთი მოთხოვნის წაყენების მომენტიდან. ამდენად, არა აქვს მნიშვნელობა, დაუთანხმება თუ არა ამ მოთხოვნას სავარაუდო ქრთამის მიმცემი. ქრთამის მოთხოვნაც შეიძლება მოხდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ – ჯესტიკულაციით, მინიშნებით, ოღონდ ეს მოთხოვნა უნდა იყოს იმ ფორმით გამოხატული, რომ არ ატარებდეს ორაზროვან ხასიათს და მოქალაქისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მოხელე მისგან ითხოვს ქრთამის გაღებას. თუ სავარაუდო ქრთამის მიმცემმა უარყო მოხელის ეს მოთხოვნა ქრთამის მიცემაზე, სს-ვი პასუხისმგებლობა დაეკისრება მოხელეს ქრთამის

აღებისათვის, რაც მის მოთხოვნაში გამოიხატა, ხოლო ის, ვისგანაც მან მოითხოვა ქრთამი, რა თქმა უნდა, არ დაექვემდებარება სს-ივ პასუხისმგებლონას ქრთამის მიცემისათვის.

შემდეგი ქმედებაა ქრთამის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება – ქრთამის აღების ობიექტური მხარის ეს ნიშანიც ძირითადად ვერბალური ხასიათისაა. მოხელე იღებს ქრთამის მიმცემის შეთავაზებას ქრთამზე. ანდა იღებს დაპირებას ქრთამზე.

იღებს შეთავაზებას ქრთამზე – მაგალითად, ბრალდებულის ახლო ნათესავი შეხვდა პროკურორს და ასეთი წინადადება შესთავაზა: თუკი შეწყვეტს სს-ივ დევნას მისი ნათესავის მიმართ, აქვე გადასცემს მას გარკვეულ თანხას, რაც ჩანთაში უდევს და თან აქვს წამოღებული. პროკურორის თანხმდება ამ შეთავაზებას. ქრთამის აღება უკვე დამთავრებულია იმის მიუხედავად, რომ ჯერ მოხელის ქრთამის საგანი არ აუღია არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ (ასევე დამთავრებულია ქრთამის მიცემაც, რაც გამოიხატა მოხელისათვის ქრთამის შეთავაზებაში).

იღებს დაპირებას ქრთამზე – იგივე მაგალითში ბრალდებულის ნათესავმა ასეთი წინადადება შესთავაზა პროკურორს: თუკი იგი მისი ნათესავის მიმართ შეწყვეტს სს-ივ დევნას, ამ ქმედების განხორციელების დღესვე გადასცემს მას ქრთამის საგანს. პროკურორმაც მიიღო ეს დაპირება ქრთამის **მომავალში გადაცემის** შესახებ. დაპირების მიღებად არ ჩაითვლება ორაზროვანი პასუხი: „ვეცდები“, „ვნახოთ“ და ა.შ. დაპირების მიღებად არ ჩაითვლება ასევე მოხელის დუმილი ქრთამის დაპირებისას („დუმილი ყოველთვის არაა თანხმობის ნიშანი“, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება კორუფციულ გარიგებას).

აქვე უნდა აღინიშნოს,რომ მექრთამეობის ობიექტური მხარის ისეთი ნიშნები, როგორიცაა **ქრთამის მოთხოვნა, მასზე შეთავაზების ან დაპირების მიღება,** სსკ 338-ე მუხლში (შესაბამისი ქმედებები სსკ 339-ე მ-ში) შემოვიდა 2006 წლიდან. მანამდე კი ქრთამის აღება ობიექტური მხრივ გამოიხატებოდა მხოლოდ ქრთამის მიღებაში (შესაბამისად, სსკ 339-ე მუხლიც გამოიხატებოდა ქრთამის საგნის გადაცემაში მოხელეზე). ყველა სხვა ქმედება, რაც წინ უძღოდა ქრთამის აღებას (მისი მოთხოვნა და ა.შ.), განიხილებოდა მხოლოდ როგორც ქრთამის აღების დაუმთავრებელი სტადია (მაგ., ქრთამის აღების მომზადება), ან როგორც დისციპლინური გადაცდომა, რასაც შედეგად მოსდევდა მაქსიმუმ ამ პირის დათხოვნა დაკავებული თანამდებობიდან.

როგორც ვხედავთ, 2006 წელს (28 აპრლის კანონით) გატარებული საკანონმდებლო ცვლილებით გამკაცრდა სს-ვი პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, რაც გამოიხატა არა სასჯელის გამკაცრებაში,

არამედ იმაში, რომ იგი უმეტესად ვერბალური დანაშაული გახდა – ერთ-ერთი მხარის მიერ მექრთამეობის სურვილის დაფიქსირება (ქრთამის მოთხოვნა, ანდა პირიქით, მისი შეთავაზება) საკმარისია დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის პროცესუალურ სირთულეებს თავი რომ დავანებოთ, უდავოა, რომ მივიღეთ ვითარება, როცა ვერც მოხელე და ვერც ქრთამის მიმცემი მხარეთა შეთანხმების შემდეგ ნებაყოფლობით ხელს ვერ აიღებენ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, რადგან ამ ეტაპიდან იგი იურიდიულად უკვე დამთავრებულია.

ქრთამის აღების საფუძველზე შესრულებული მოქმედებების სახეები (რა ქმედება უნდა განახორციელოს მოხელემ ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ?)

იგი შეიძლება რამდენიმე სახისა იყოს, საიდანაც ზოგიერთი შედის მოხელის უფლებამოსილებაში, ზოგი კი – არა:

1) რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა **თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას** ქრთამია მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ **განახორციელოს რაიმე მოქმედება** – ეს მოქმედება უნდა შედიოდეს მოხელის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში. **მაგალითად,** პეტრემ ქალაქის პროკურორს გადაუფორმა მინის ნაკვეთი იმისათვის, რომ ამ პროკურორს მის მიმართ შეეწყვიტა სს-ვი დევნა. სს-ვი დევნის დაწყება-შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა შედის პროკურორის თანამდებობრივ უფლებამოსილებაში. მან ქათამის სახით მიიღო უძრავი ქონება, რათა განეხორციელებინა ქმედება (შეეწყვიტა დევნა) **ქრთამის მიმცემის** სასარგებლოდ. თუკი პეტრე მისგან მოითხოვდა სს-ვი დევნის შეწყვეტას მისი ოჯახის წევრის მიმართ, მაშინ ქრთამი აღებულია იმისათვის, რომ მოხელემ ქმედება განახორციელოს **სხვა პირის სასარგებლოდ**;

2) რათა ამ მოხელემ თავისი თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას ქრთამი მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ **თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან** – ეს ქმედებაც შედის მოხელის უფლებამოვალეობებში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას ქრთამის სანაცვლოდ ევალება უმოქმედობა (მოქმედებისაგნ თავის შეკავება). **მაგალითად**, ზემოთხსენებულ შემთხვევაში პეტრე პროკურორს გადაუფორმებს მინის ნაკვეთს იმისათვის, რომ მის წინააღმდეგ არ დაიწყოს სს-ვი დევნა;

3) **გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი (და არა პირადი) ავტორიტეტი** ანალოგიური მიზნის მისაღწევად – ამ შემთხვევაში ქრთამის მიცემის ინტერესში შემავალი ქმედების განხორციელება **არ შედის** სახელმწიფო მოხელის უშუალო უფლებამოსილებაში, მაგრამ მის

თანამდებობრივ (და არა პირად) ავტორიტეტსა და გავლენას შეუძია ხელი შეუწყოს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ სხვა პირთა მიერ რაიმე მოქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას. როგორც წესი, ეს ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფო მოხელეს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ქვემდგომ მოხელეებზე ან არამოხელე თანამშრომელზე. **მაგალითად,** პეტრე დაპირდა ქალაქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ მის შვილს გადაუფორმებდა ძვირად ღირებულ აგარაკს, თუკი იგი უზრუნველყოფდა იმას, რომ ამ ქალაქის სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც მის საქმეს იხილავდა, დაეკმაყოფილებინა მისი სამოქალაქო სარჩელი მილიონობით ლარის ღირებულების სადაო ქონებაზე. სასამართლოს თავმჯდომარემ მიიღო პეტრეს ეს წინადადება. ამ მაგალითში სახელმწიფო მოხელემ (სასამართლოს თავმჯდომარემ) ზეგავლენა უნდა მოახდინოს მოსამართლეზე მისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, რათა მოსამართლე იძულებული გახდეს გამოიტანოს ქრთამის მიმცემისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება;

ასევე არაა გამორიცხული, მოხელემ მისი მაღალი სამოხელეო ფუნქციიდან გამომდინარე, ზეგავლენა სხვა პირზეც მოახდინოს, რომელიც უწყებრივად მას საერთოდ არ ექვემდებარება. **მაგალითად,** პეტრე შეუთანხმდა საქართველოს მთავარ პროკურორს, რომ მისი სიმამრის შპს-ს ანგარიშზე გადარიცხავდა სულიდურ თანხას, თუკი მთავარი პროკურორი უზრუნველყოფდა იმას, რომ პეტრეს შვილს დაეკავებინა მაღალანაზღაურებადი თანამდებობა რომელიმე პრესტიჟულ ბანკში, რაზეც მთავარი პროკურორისაგან თანხმობა მიიღო;

პირადი ურთიერთობის (მეგობრობის, ნათესაობის) გამოყენებისათვის, რასაც მოხელის სამსახურებრივ მდგომარეობათან არა აქვს კავშირი, მოხელის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული საგნის მიღება, გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენების ნიშანს, და, აქედან გამომდინარე, ასეთი ქმედება, სხვა სათანადო პირობების არსებობისას, შეიძლება დაკვალიფიცირდეს არა როგორც ქრთამის აღება, არამედ როგორც ზეგავლენით ვაჭრობა (მუხლი 339[1]). თუ პირის ქმედებაში ამ დანაშაულის ნიშნებიც არაა სახეზე, მაშინ ასეთი ქმედებისათვის (პროტექციის გაწევისათვის) ამ მუხლით გათვალისწინებული საგნის მიღება ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

4) სახელმწიფო მოხელემ სამსახურებრივი მფარველობა გაუწიოს ქრთამის მიმცემს – აქ მოხელემ ქრთამის მიცემის სასარგებლოდ უნდა განახორციელოს არა ერთჯერადი, არამედ დროში გაწელილი ქმედებები. ამასთანავე ეს ქმედებები შესაძლოა, შედიოდეს მის თანამდებობრივ უფლებამობალეობებში და შეიძლება არც შედიოდეს მასში. რაც მთავარია, არაა აუცილებელი, ქრთამის მიმცემი და მისი ამღები

ნინასწარ იყვნენ შეთანხმებული, თუ კონკრეტულად რა ქმედება უნდა განახორციელოს მოხელემ ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ. ამ დროს ქრთამი მოხელეს მიეცემა ასე ვთქვათ, „ყოველი შემთხვევისათვის' შესაძლო უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. **მაგალითად,** ქრთამის სანაცვლოდ დაუმსახურებლად ხელი შეუწყოს მის სამსახურებრივ დანინაურებას (თუკი გაჩნდება ამის შესაძლებლობა), მისცეს პრემია, წარადგინოს ჯილდოზე, დაფაროს ქრთამის მიმცემის მიერ დაშვებული შეცდომები (თუკი ადგილი ექნება მას) და არაკვალიფიციური მუშაობა (ამ დროს მან ბოროტად უნდა გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი უფლებამოვალეობები). სამსახურებრივი მფარველობის შემთხვევაა ასევე როცა მაღალი რანგის მოხელე, ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი რომელიმე უწყების ხელმძღვანელისაგან (რომელიც არ შედის მის დაქვემდებარებაში) მოითხოვს, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს კონკრეტული პირის (ქრთამის მიმცემის) მიმართ. **მაგალითად,** პეტრე დაპირდა შს მინისტრის მოადგილეს, რომ მის შვილს ჩასვამდა მისი ბიზნესის 30%-იან წილში, თუკი სანაცვლოდ ეს სახელმწიფო მოხელე უზრუნველყოფდა მისი ბიზნესის მფარველობას, რის შედეგადაც იგი ფაქტობრივად გათავისუფლდებოდა საგადასახადო თუ სხვაგვარი შემოწმებებისაგან. მინისტრის მოადგილემაც მიიღო ეს დაპირება და დაპირდა მფარველობას.

ზემოაღნიშნულ მოქმედებათაგან სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებული და ტიპურია პირველი და მეორე ფორმა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქრთამის ამღები, მოქმედებს რა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს ქრთამს გარკვეული მოქმედებისა ან უმოქმედობისათვის. მაგალითად, საკადრო საკითხების გადაწყვეტისათვის, ფულადი სახსრებისა და კრედიტის განკარგვისათვის, ინვენტარიზაციის ან რევიზიის ჩაუტარებლობისათვის და სხვ.

აღსანიშნავია,რომ ამჟამად ქრთამის აღების კანონისმიერი შემადგენლობა კანონში შეტანილი ცვლილებებით ზედმიწევნით შესაბამისობაში მოვიდა კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს 1999 წლის კონვენციის დებულებებთან. ეს დოკუმენტი თვლის, რომ კორუფციულ სამართალდარღვევაში გადამწყვეტი ფაქტორია არა ის, ჰქონდა თუ არა თანამდებობის პირს ქრთამის მიმცემის მიერ მოთხოვნილი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება, არამედ ის, მოხდა თუ არა ქრთამის შეთავაზება ან დაპირება მისი მხრიდან სამსახურის გაწევის სანაცვლოდ. თავად ქრთამის მიმცემმა შეიძლება არც იცოდეს, აქვს თუ არა მოცემულ თანამდებობის პირს შესაბამისი უფლებამოსილება ვიტომ ამ ფაქტორს ხსენებული კონვენცია არსებითად არ თვლის.

სსკ 338-ე მუხლის დღევანდელი რედაქციიდან გამომდინარე, ქრთამის აღებით შეიძლება შესრულდეს **როგორც კანონიერი, ისე უკანონო მოქმედება.** კანონმდებლის მიერ საკითხის ამგვარად გადაწყვეტის საფუძველია ის, რომ მექრთამეობისაგან სს-ვი დაცვის **ძირითადი ობიექტი** (განსხვავებით კომერციული მოსყიდვისაგან – 221-ე მ.) არის სახელმწიფო აპარატის ავტორიტეტი. რაც შეეხება სახელმწიფო აპარატის კანონის შესაბამის საქმიანობას, იგი არის ამ დანაშაულის **დამატებითი ობიექტი.**

პირველ შემთხვევაში, მოხელე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც კანონიერ ხასიათს ატარებს და მის სამუშაო ფუნქციაში შედის. **მაგალითი:** საბაჟოს მოხელე, რომლის სამსახურებრივ მოვალეობაშიც შედის საქართველოში მოქალაქეთა მიერ შემოყვანილი ავტოტრანსპორტის საბაჟო ოპერაციის გაფორმება, ქრთამის აღების გამო, დოკუმენტებს აფორმენს კანონის სრული დაცვით, მაგრამ რიგგარეშე. **მეორე მაგალითი:** მოსამართლე იღებს ქრთამის საგანს, რათა მან გამოიტანოს კანონიერი გადაწყვეტილება, რაც ქრთამის აღების გარეშე უნდა გამოეტანა.

ქრთამი შეიძლება აღებულ იქნეს **მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვისაც**. მას განეკუთვნება მოხელის ყოველგვარი ქმედება, რაც კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სრულდება. **მაგალითი:** საბაჟოს მოხელე საქართველოში ავტომანქანის შემოყვანისას, ქრთამის აღების გამო, ამცირებს მანქანის საბაჟო ღირებულებას (სამსახურებრივი სიყალბე – სსკ 341-ე მ.) ან ფაქტობრივად აფორმებს დოკუმენტს (არტყამს ბეჭედს, აკეთებს ჩანაწერს დოკუმენტში), მაგრამ ჩატარებულ ოპერაციას არ ასახავს დეკლარირებული საქონლის ანგარიშსწორების ერთიან მასივში. **მეორე მაგალითი**; მოსამართლემ აიღო ქრთამი, რათა გამოეტანა უკანონო გადაწყვეტილება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ და გამოიტანა კიდეც ასეთი გადაწყვეტილება (სსკ 332-ე მ.). რა თქმა უნდა, უკანონო ქმედებისათვის ქრთამის აღების საშიშროება უფრო მაღალია და კვალიფიკაცია ქრთამის აღებასთან ერთად მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით.

ობიექტური მხრივ ქრთამის აღება დამთავრებულია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის მიღების ან მოთხოვნის, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღების მომენტიდან.

სისხლის სამართლის კანონი არ მიუთითებს ქრთამის ამღებსა და მიმცემს შორის ქრთამის გადაცემის დროზე (მოქმედების შესრულებამდე ან მისი შესრულების შემდეგ). მექრთამეობას ქმნის როგორც

ქრთამი – მოსყიდვა, ისე – **ქრთამი – ჯილდო.** ქრთამის საფუძვლით, მოხელის მოქმედების განპირობებულობა აუცილებელი პირობაა სასხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. თუ ქრთამის აღება წინასწარ არ იყო დათქმული და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით მოხელეს არ შეეძლო წინასწარ სცოდნოდა, რომ მას ამა თუ იმ ქმედებისათვის ჯილდოს სახით რაიმე ქონებას გადასცემდნენ, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქრთამის აღების დანაშაულის შემადგენლობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელე კანონის ფარგლებში მოქმედებდა. შემდგომში მისი დასაჩუქრება, გარკვეული პირობების არსებობისას, განხილულ უნდა იქნეს არა როგორც ქრთამის აღება, არამედ როგორც კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (იხ. 340-ე მუხლის განმარტება).

ზოგჯერ ამგვარი საჩუქრის მიღება საერთოდ არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ მისი ღირებულება მცირეა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მოხელეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისროს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამგვარადვე გადაწყვეტილია ეს საკითხი ევროპის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1998 წელს დამტკიცებულ კონვენციაში. სახელდობრ, მასში აღნიშნულია, რომ დანაშაულად არ ითვლება სახელმწიფო მოხელის მიერ სიკეთის მიღება გარკვეული მოქმედების შესრულების შემდეგ, თუ არ არსებობდა წინასწარი წინადადება, თხოვნა ან მიღება.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივი, როგორც წესი, ანგარებაა. (გამონაკლისია სხვაგვარი არამართლზომიერი უპირატესობის მოთხოვნა). მოხელეს სურს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიიღოს მატერიალური გამორჩენა: ფული, ფასიანი ქაღალდი,სხვა ქონება ან ქონებრივი სარგებელი.

ბრალის ფორმის მიხედვით ქრთამის აღება პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, სახელდობრ ის, რომ იღებს ქრთამს ამა თუ იმ ქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, ან სხვა მოხელეზე ზემოქმედებისათვის, ან პირისათვის მფარველობის გაწევისათვის და სურს იგი. გარდა ამისა,ქრთამის ამღების განზრახვის შინაარსი უნდა შეიცავდეს ქრთამის აღებას ისეთ სიტუაციაში, როდესაც მან თავისი მოქმედებით ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესებს მუქარის ძალით საფრთხე შეუქმნა და აიძულა იგი მიეცა ქრთამი (ქრთამის აღება გამოძალვით).

ქრთამის აღება არის **სპეციალური დელიქტი**. სახეზეა **სპეციალური ამსრულებელი** – მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი (პირვ.

ნაწ.), ან სახელმწიფო-პილიტიკური თანამდებობის პირი (მე-2 ნაწ.). საერთო სუბიექტი ამ დანაშაულში მხოლოდ თანამონაწილეა, რომელიც გამოდის ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის როლში.

მაგალითი: სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელი შეუთანხმდა პეტრეს, რომ დანიშნავდა ამ ორგანიზაციაში ერთ-ერთ პასუხსაგებ თანამდებობაზე, თუკი იგი მას მისცემდა 10 000 ლარს. ამავე დროს გააფრთხილა, რომ ეს თანხა უნდა გადაეცა არა პირადად მისთვის, არამედ მისი მდივნისათვის (ტექნიკური მუშაკისთვის), რაც პეტრემ შეასრულა. მოხელის მდივანმა პეტრეს მიუტანა აღნიშნული თანხა, საიდანაც მოხელემ თანხის მცირე ნაწილი წინასწარ შეპირებისამებრ გადასცა მას გასამრჯელოდ. აქ ქრთამის ამღები არის მოხელე (338-ე მ. პირვ. ნაწ.), ქრთამის მიმცემი – პეტრე. (339-ე მ. პირვ. ნაწ.) ხოლო ტექნიკური მუშაკი (მდივანი) არის თანამონაწილე ქრთამის აღებაში. კერძოდ, ფიზიკური დამხმარე (25, 338-ე მ. პირვ. ნაწ.).

კომერციული და სხვა კერძო ორგანიზაციის მუშაკი, როგორც წესი, მოხელედ ვერ ჩაითვლება, თუკი იგი **საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.** ამიტომ ასეთი პირი უკანონო მატერიალური გამორჩენის მიღების შემთხვევაში, პაასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით-კომერციული მოსყიდვა, სადაც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირი აღჭურვილია ხელმძღვანელ ობითი,წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილებით ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში.

სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება დადგეს საკითხი ისეთი დანაშაულის კვალიფიკაციის შესახებ, როდესაც უკანონო მატერიალური გამორჩენის მიმღები პირი შერეულ სააქციო საზოგადოებაში საქმიანობს, სადაც ქონება ეკუთვნის როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სამოხელეო დანაშაული, ანუ ქრთამის აღება, თუ სახელმწიფოს წილი აღემატება 50%-ს.

338-ე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია ქრთამის აღება: ა) სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, ბ) დიდი ოდენობით, გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღებამ, როგორც ერთ-ერთმა დამამძიმებელმა გარემოებამ, შეცვალა ძველი კოდექსით დადგენილი ქრთამის აღება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები თანამდებობა უკავია. ეს ცნება საკმაოდ ბუნდოვანი და განუსაზღვრელი იყო და ამიტომ მისი დადგენა სა-

სამართლო პრაქტიკაში დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ამჟამად სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ცნება კანონშია მოცემული, რაზეც ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ზოგად დახასიათებაში იყო საუბარი. აქ დანაშაულის საშიშროება გაზრდილია ქრთამის ამღების განსაკუთრებული პასუხსაგები მდგომარეობით; მას გაცილებით მეტი უფლებამოსილება აქვს სხვა მოხელეებთან შედარებით და ამიტომ უფრო დიდი პასუხისმგებლობა აკისრია.

გარდა ამისა, ქრთამის აღების მაკვალიფიცირებელი გარემოებაა მისი აღება **დიდი ოდენობით.** 338-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე, დიდი ოდენობით ქრთამის აღება გვექნება მაშინ, თუ ქრთამად მიღებული ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის სახით თანხა ათი ათას ლარს აღემატება (10 000 ლარს + ერთი ლარი).

338-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება **ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ,** რაც არსებითად ზრდის ამ დანაშაულის საშიშროებას და ამიტომ ქმნის სუბიექტურ საფუძველს ქრთამის აღების ყველა უშუალო მონაწილის პასუხისმგებლობის გაზრდისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში, რომელიც ჯგუფურ დანაშაულს განმარტავს, აღნიშნულია, რომ დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, როდესაც მასში მონაწილენი თავიდანვე შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

ქრთამის აღების ამ მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით, მიზანშეწონილია დამატებით ზოგიერთი საკითხის განხილვა.

„წინასწარ შეთანხმებაში" ივარაუდება ქრთამის აღების მიზნით ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რასაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის უშუალო განხორციელებამდე. ვინაიდან განზრახი დანაშაულის დასაწყისად მიიჩნევა უშუალოდ დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართული ქმედება, წინასწარი შეთანხმება ჯგუფური დანაშაულის ჩასადენად **შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სტადიაზე**.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფში შედიან მხოლოდ თანაამსრულებლები, ამიტომ რთული თანამონაწილეობა (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) არ ქმნის ზემოაღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას.

ამრიგად, ქრთამის აღებაში, რაც **ჩაადენილია წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ,** კუმულაციურად სახეზე უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1) ქრთამის აღებაში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ ორი მოხ-

ელე, მათთან გათანაბრებული პირი, ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი;

2) მათ შორის ქრთამის აღებაზე შეთანხმება მიღწეულ უნდა იქნეს ქრთამის აღების ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ალტერნატიული ქმედების ჩადენამდე. კერძოდ, ქრთამის მიღებამდე ან მოთხოვნამდე, ან დაპირების მიღებამდე. ამდენად, როცა მართალია, ქრთამზე შეთავაზება მიიღო ერთმა მოხელემ, მაგრამ ქრთამის საგნის მიღებამდე ქრთამის აღების ჩადენაზე იგი წინასწარ შეუთანხმდა სხვა მოხელესაც (რომელთანაც ერთად აიღო ქრთამის საგანი), სახეზეა ქრთამის აღება წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ (თუ რა თქმა უნდა, სახეზეა სხვა წინაპირობებიც);

3) ჯგუფის თითოეულ მონაწილე მოხელეს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უნდა შეეძლოს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება; ანდა უნდა შეეძლოს თანამდებობრივი (და არა პირადი) ავტორიტეტის გამოყენება ანალოგიური მიზნის მისაღწევად; ან უნდა შეეძლოს მისთვის სამსახურებრივი მფარველობის გაწევა;

4) თითოეული ამ მოხელის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ქრთამის საგნის გარკვეული ნაწილის მიღება.

ზემოაღნიშნული დანაშაული დამთავრებულია, თუ ერთ-ერთმა თანაამსრულებელმა მაინც მიიღო ქრთამის საგანი ან მოსთხოვა, ან მიიღო დაპირება ქრთამის საგანზე, რასაც ეთანხმება ჯგუფში მონაწილე სხვა მოხელეეც. **ის პირები, რომლებიც მოხელეები არ არიან**, მაგრამ დანაშაულებრივ ჯგუფში შედიან,სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლზე მითითებით, პასუხს აგებენ როგორც ქრთამის აღებაში თანამონაწილენი,

ამდენად, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღებას არ ექნება ადგილი, თუკი სახეზე არაა ყველა ეს წინაპირობა.

მაგალითი: ქ. ზესტაფონის პროკურორ მინდაძესთან მივიდა მისი ნაცნობი პეტრე და სთხოვა, დახმარებოდა ქ. თბილისის პროკურორთან „საქმის მოგვარებაში.“. კერძოდ, მზად იყო, გადაეცა ქ. თბილისის პროკურორისათვის 10 000 ლარი, თუკი იგი მის მიმართ შეწყვეტდა სს-ივ დევნას და სთხოვა, მას გადაეცა ეს თანხა პროკურორისათვის.

ზესტაფონის პროკურორი მინდაძე დაუკავშირდა ქ. თბილისის პროკურორს, აუხსნა საქმის ვითარება და ჰკითხა, თუ „გააკეთებდა ამ საქმეს“, რაზეც მისგან თანხმობა მიიღო. უფრო მეტიც, თბილისის პროკურორი დაპირდა მინდაძეს, რომ თანხის ნაწილს მასაც მისცემდა. მინდაძემ გამოართვა თანხა პეტრეს და მიუტანა თბილისის პროკურორს, რომელმაც შეთანხმებისამებრ მას გადასცა თანხის ნაწილი.

სახეზე არაა ქრთამის აღება წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ. მართალია, კაზუსში ორი მოხელე ფიგურირებს, რომლების წინასწარ თანხმდებიან, ასევე ორივე მათგანს შეხვდა ქრთამის საგნის გარკვეული ნაწილი, **მაგრამ საქმე ისაა**, რომ ორივე მათგანს არ შეეძლო თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში ქრთამის მიმცემის ინტერესის შესაბამისად განეხორციელებინა რაიმე ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა). ასეთის შესაძლებლობა ჰქონდა მხოლოდ თბილის პროკურორს, რომელიც აწარმოებდა სს-ივ დევნას პეტრეს მიმართ. ამასთანავე ზესტაფონის პროკურირს არ შეეძლო გამოეყენებინა თანამდებობრივი ავტორიტეტი თბილისის პროკურორის მიმართ, ან განეხორციელებინა სამსახურებრივი მფარველობა პეტრეს მიმართ.

მოცემულ მაგალითში თბილისის პროკურორმა ჩაიდინა ქრთამის აღება სსკ 338-ე მ-ის პირვ. ნაწ. კერძოდ, მან შუმავლის მეშვეობით პირდაპირ მიიღო ფული, რათა თავისი თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემი (პეტრეს) სასარგებლოდ განეხორციელებინა ქმედება (შეეწყვიტა სს-ვი დევნა). **ქრთამის მიმცემი არის პეტრე**, რომელიც მატერიალურ პასუხისმგებლობას კისრულობს მოხელის მიმართ ქრთამის საგნის გაღებით. ამდენად, არა აქვს მნიშვნელობა, თავად მან გადასცა მოხელეს ეს საგანი, თუ ამაში შუამავალი გამოიყენა. მოცემულ შემთხვევაში მან შუამავლის მეშვეობით გადასცა მოხელეს ქრთამის საგანი—ფული, რათა ამ მოხელემ თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას პეტრეს სასარგებლოდ განახორციელოს ქმედება – შეწყვიტოს მის მიმართ სს-ვი დევნა. ამასთან. თუკი დადგინდება, რომ პროკურორს ეს დევნა უნდა შეეწყვიტა უკანონოდ, როცა ამის საფუძველი არ არსებობდა, მაშინ პეტრეს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ხოლო **მოხელის ქმედების კვალიფიკაციაზე** ეს ფაქტი ზეგავლენას მხოლოდ მაშინ მოახდენს, თუკი პროკურირმა შეპირებული ქმედება რეალურიად განახორციელა და უკანონოდ შეწყვიტა სს-ვი დევნა. ამ დროს მისი ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ 338-ე მუხლის პირველი ნაწილით და 334-ე მმ. სხვა შემთხვევაში ეს ფაქტი ზეგავლენას მოახდენს მხოლოდ პროკურორის მიმართ დანიშნულ სასჯელზე.

ზესტაფონის პროკურორის ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც დახმარება ქრთამის მიცემაში – 25, 339-ე მუხლი.

338-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუ იგი **ჩადენილია მექრთამეობისათვის მსჯავრდებული პირის მიერ,** განსაკუთრებით ამძიმებს პასუხისმგებლობას, თუ, ცხადია, ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის,ან დანაშაული

ჩადენილი არ არის პირის თერამეტი წლის ასაკის მიღწევამდე.

მსჯავრდება მექრთამეობისათვის გულისხმობს დამნაშავის მიერ ადრე როგორც ქრთამის აღებას, ისე ქრთამის მიცემასაც. ასევე როგორც ამსრულებლობას მექრთამეობაში, ისე თანამონაწილეობასაც. აქ საქმე გვაქვს სპეციალურ რეციდივთან, რაც ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ იმავე დანაშაულის ჩადენას.

338-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას ქმნის **ქრთამის აღება არაერთგზის**. არაერთგზისობა დანაშაულის სიმრავლის, როგორც სისხლის სამართლის ინსტიტუტის, სახესხვაობაა და მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-15 მუხლში.

არაერთგზისობა გამორიცხულია, თუ პირი დადგენილი წესით, წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა მას ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადგანაც მექრთამეობისათვის მსჯავრდების ფაქტი უკვე არის დამამძიმებელი გარემოება, ცალკე დამამძიმებელ გარემოებად არაერთგზისობის გამოყოფას არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მექრთამეობაში მსჯავრდება გულისხმობს ქრთამის აღებაში მსჯავრდებასაც.

როდესაც პირს ადრეც ჰქონდა ქრთამი აღებული, მაგრამ პასუხისმგებლობა პირველად შეერაცხა, მის ქმედებას სისხლისსამართლებრივი შეფასება ცალ-ცალკე უნდა მიეცეს დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ 338-ე და 338-ე მმ.).

დანაშაულთა ერთობლიობას, (ასევე რა თქმა უნდა, არაერთგზისობას) არ ექნება ადგილი, თუ დამნაშავე მისთვის გადასაცემ მატერიალურ ფასეულობას იღებს ნაწილ-ნაწილ; ქონების გადაცემა განელილია დროში, მაგრამ მას საფუძვლად უდევს ერთიანი განზრახვა და მიზანი. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ერთიანი განგრძობადი დანაშაული.

ამრიგად, არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება დამნაშავის ისეთი მოქმედება, როდესაც მის მიერ განხორციელებული ქრთამის აღების თითოეული აქტი ქმნის დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას და მათი ჩადენა ერთმანეთისაგან ნასამართლობითაა დაცილებული.

338-ე მუხლის მე-3 ნაწილით, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა **ქრთამის გამოძალვა**, გამოძალვად ითვლება მოხელის მიერ პირისათვის ქრთამის მოთხოვნა ისეთი მოქმედების განხორციელების მუქარით, რომელსაც ზიანი შეუძლია მიაყენოს რო-

გორც ქრთამის მიმცემს, ისე მის ახლო ნათესავთა **კანონიერ ინტერესებს**. ქრთამის გამოძალვა, ძირითადად, შესაძლებელია მოხდეს რამდენიმე ფორმით:

მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნა ისეთ მოქმედებათა განხორციელების მუქარის ხარჯზე, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესს. **მაგალითად,** მოხელე ითხოვს ქრთამს და წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება დაზარალებულის სამსახურიდან უკანონო დათხოვნით, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანით ან სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმით მაშინ, როდესაც პირს აქვს სათანადო კვალიფიკაცია და ყველა სხვა მონაცემი გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად. ანდა პროკურორი ემუქრება მოქალაქეს, რომ თუკი არ გადაუფორმებს მას უძრავ ქონებას, მის მიმართ დაიწყებს სს-ივ დევნას შეთხზული ბრალდებით და სხვ;

მოხელის მიერ ქრთამის მიმცემის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომლის დროსაც იგი იძულებულია მისცეს ქრთამი, რათა თავიდან აიცილოს თავისი კანონიერი ინტერესისათვის მავნე შედეგი. **მაგალითად,** დაზარალებულისათვის მინიშნება, რომ ამ უკანასკნელისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა (ვთქვათ, სახელმწიფოს ხარჯზე ოპერაციის საფინანსება) დაკავშირებულია გარკვეული თანხის გაღებასთან.

გამოძალვის **პირველი ფორმისათვის** დამახასიათებელია ქრთამის პირდაპირი მოთხოვნა, რომელიც გამაგრებულია ქრთამის მიმცემის კანონიერი ინტერესის შებღალვის მუქარით.

გამოძალვის **მეორე ფორმა** განსხვავდება პირველისაგან უფრო შენიღბული ხასიათით. ამ დროს არ არსებობს ქრთამის პირდაპირი მოთხოვნა და ქრთამის მიმცემის მიმართ აშკარა მუქარა, მაგრამ დამნაშავე ისე მოქმედებს, რომ დაზარალებულს აყენებს არჩევანის წინაშე – მისცეს ქრთამი ან საკუთარი კანონიერი ინტერესი დააყენოს საფრთხის ქვეშ. **ქრთამის გამოძალვა არ იქნება**, თუ დამნაშავე მოითხოვს ქრთამს იმის მუქარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ქრთამის მიმცემის მიმართ ჩაიდენს **კანონიერ მოქმედებას** (მაგალითად, დაითხოვს პირს სისტემატური გაცდენისათვის, დანიშნავს რევიზიას ქონებრივი დანაკლისის გამოსავლენად, პროკურატურის ორგანოებს გადასცემს იმ მასალებს, სადაც აშკარად იკვეთება დანაშაულის ნიშნები და სხვ.). ამ დროს მოხელე ქრთამს პირის მიმართ უკანონო შეღავათის დაწესების სანაცვლოდ ითხოვს. ეს კი არ გვაძლევს ამ დამამძიმებელ გარემოებას.

ამდენად, ადგილი არ ექნება ქრთამის გამოძალვას მაშინ, როდესაც, მართალია, ქრთამს ითხოვს მოხელე, მაგრამ მას თან არ ახლავს ქრთამის მიმცემის მიმართ კანონიერი უფლებების დარღვევის მუქარა.

ცხადია, ქრთამის აღების შემადგენლობა ფორმალურია, ამიტომ გამოძალვაც, რომელიც თავისთავადაც ფორმალური დანაშაულია, დამთავრებულია ქრთამის მოთხოვნისთანავე. დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების მიზანი გამოძალვის სუბიექტურ ნიშანში ვლინდება.

ქრთამის აღება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამამძიმებელი გარემოებაა, რომელიც გათვალისწინებულია 338-ე მუხლის მე-3 ნაწილში. ცნობილია,რომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული ჯგუფური დანაშაულის ყველაზე მძიმე სახეა. (სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი). კოდექსის 27-ე მუხლიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან„ ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. ქრთამის ამღები ჯგუფის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი პასუხს აგებს ქრთამის აღების ყველა ფაქტისათვის, რაც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა იგი უშუალოდ მის ჩადენაში, მაგრამ თუ ამას მოიცავდა მისი განზრახვა; ხოლო ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილენი პასუხს აგებენ მხოლოდ მაშინ, თუკი ისინი მონაწილეობდნენ ქრთამის აღების ცალკეული ეპიზოდის მომზადებასა ან ჩადენაში.

338-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ზემოჩამოთვლილი ქრთამის აღების დამამძიმებელი გარემოებების გარდა, მოცემულია ასევე **ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით.** ამ მუხლის თანდართულ შენიშვნაში კი მითითებულია, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებად ითვლება თანხა ოცდაათი ათასი ლარის ზევით.

ქრთამის მიცემა (მუხლი 339-ე)

ქრთამის მიცემის (აქტიური კორუფცია) ცნება ახლებურად არის ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის კოდექსში, მასში ამსრულებლის გათვალისწინებით ფაქტიურად გამეორებულია ქრთამის აღების კანონისმიერი შემადგენლობის ობიექტური ნიშნები.

ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ირღვევა მისი ჩადენისას და ამით, ძირითადად, ილახება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მისი მოხელეების პრესტიჟი და ავტორიტეტი.

დანაშაულის საგანი – იგივეა, რაც ქრთამის აღებისას.

ობიექტური მხრივ 339-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირებაში, შეთავაზებაში ან მინიჭებაში, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.

კანონის შინაარსიდან გამომდინარე, 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგება პასუხისმგებლობა მაშინ, თუ დამნაშავე **ქრთამს აძლევს კანონიერი მოქმედების განხორციელებისთვის.** ეს დანაშაული ფორმალურ დანაშაულთა შემადგენლობას მიეკუთვნება და დამთავრებულია ქრთამის საგნის დაპირების,შეთავაზების ან მინიჭების მომენტიდან,იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა შესრულებული მოხელის მიერ ქრთამით განპირობებული მოქმედება. იგი ასევე შეიძლება განხორციელდეს შუამავლის მეშვეობითაც, რომელიც ამ დანაშაულის თანამონაწილედ გვევლინება დამხმარის სახით. ამიტომ მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება 25, 339-ე მუხლებით.

თუ რაიმე მიზეზის გამო სახელმწიფო მოხელემ უარი თქვა ქრთამის აღებაზე, ქრთამის მიმცემისათვის მაინც დამთავრებულია დანაშაული, რადგანაც შეთავაზებას უკვე ჰქონდა ადგილი.

ქრთამის მიმცემი პასუხს აგებს ქრთამის მიცემის მცდელობისათვის ე.წ. ცრუ შუამავლობის დროს. თვით ცრუ შუამავალი, ანუ ის პირი, რომელიც ითვისებს მისთვის მიცემულ ფულს ან სხვა ფასეულობას, ვითომ სახელმწიფო მოხელისათვის გადაცემის მიზნით, პასუხს აგებს **თაღლითობისათვის** (მაგალითად, აბიტურიენტის უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად დამნაშავე, ვითომდა საგამოცდო ცენტრის თანამშრომლისათვის გადასაცემად, ართმევს ქრთამის მიმცემს ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას და ითვისებს მას).

როგორც წესი, ქრთამი მოხელეს ეძლევა მისი მიმცემის პირადი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ არ არის გამორიცხული, როდესაც ქრთამი ეძლევა სახელმწიფო მოხელეს იმ ორგანიზაცია-დაწესებულების ინტერესიდან გამომდინარე, რომელშიც სხვა მოხელე საქმიანობს. როდესაც ზემდგომი სახელმწიფო მოხელე იყენებს მისდამი დაქვემდებარებულ პირს და უშუალოდ მას მისცემს ქრთამის სა-

განს სათანადო პირისათვის გადასაცემად, მოხელის ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ქრთამის მიცემა, თუ შუამავალმა შესთავაზა ან გადასცა ქრთამი მოხელეს, ხოლო უშუალოდ ქრთამის გადამცემისა კი – როგორც დამხმარის მოქმედება.

დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს მოხელისათვის ფულის ან სხვა მატერიალური სარგებლის გადაცემის, ასევე მოხელის მიერ მისი მიღების მართლწინააღმდეგობა; ქრთამის მიმცემს ასევე შეგნებული აქვს ის გარემოება, რომ ქრთამს იძლევა მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის და სურს გადასცეს ქრთამი.

339-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მოტივს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არა აქვს; ეს შეიძლება იყოს გარკვეულად პირადი ინტერესის დაკმაყოფილების სურვილი,სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე საკითხის გადაწყვეტისაკენ მისწრაფება და სხვა. მთავარია, რომ მოტივი ანტისოციალური ხასიათისაა. ქრთამის მიცემის მიზანია მისი ინტერესიდან გამომდინარე, სასურველი შედეგის მიღწევა.

სხვა სამოხელეო დანაშაულისაგან განსხვავებით, **ქრთამის მიცემის ამსრულებელი** შეიძლება იყოს არა მარტო კერძო პირი, არამედ მოხელეც, რომელიც ქრთამის მიცემისას არ იყენებს თავის თანამდებობრივ მდგომარეობას. უმეტესად მისი სუბიექტები კერძო პირები არიან. სისხლის სამართალში იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შემოტანასთან დაკავშირებით ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს იურიდიული პირიც. ამ დანაშაულის მოთავსება სამოხელეო დანაშაულთა თავში იმით არის განპირობებული, რომ მექრთამეობა წარმოადგენს ორმხრივ დანაშაულს და ქრთამის აღების ამსრულებლის არსებობა გულისხმობს ქრთამის მიცემის სუბიექტის არსებობასაც. მაშასადამე, საერთოდ, მექრთამეობის დროს, როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელ თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე.

339-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მძიმდება, როდესაც მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს ქრთამი ეძლევა უკანონო მოქმედების ჩასადენად. ცხადია, რომ **ქრთამის მიცემა უკანონო მოქმედებისათვის** ზრდის ამ დანაშაულის საშიშროებას. ამიტომ, როდესაც ქრთამის მიმცემი უკანონო მოქმედების ჩასადენად იძლევა ქრთამს (მაგალითად,რათა გამომძიებელმა საქმის მასალებიდან ამოიღოს რაიმე მნიშვნელოვანი მტკიცებულება), იგი პასუხს აგებს დამამძიმებელ გარემოებაში ქრთამის მიცემისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ქრთამის მიმცემი მოხელესთან ერთად პასუხს არ აგებს იმ დანაშაულში

თანამონაწილეობისათვისაც, რაც მოხელემ ჩაიდინა ქრთამის აღებიდან გამომდინარე შეთანხმების საფუძველზე. თუკი მოხელის ქმედება ამ დროს ქრთამის აღებასთან ერთად კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით (მაგ., 338-ე მ-ის პირვ. ნაწ. და 334-ე მმ.), ქრთამის მიმცემის ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ სსკ 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ქრთამის მიცემის მუხლს ახლავს შენიშვნა. ეს არის პოსტ-კრიმინალური ნამახალისებელი ნორმა, რომლის მიხედვითაც ქრთამის მიმცემი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო.

ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადება სათანადო ორგანოში გულისხმობს, რომ პირი ამას აკეთებს საკუთარი ინიციატივით, გადაწყვეტილება მიღებული აქვს თვითონ, სხვების მხრიდან ყოველგვარი ზეწოლის გარეშე; მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თუ ეს ინიციატივა ახლობლებისაგან მოდის,რომლებიც დაეხმარნენ გადაწყვეტილების მიღებაში, იგი ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადება აღარ იქნება.

ჩადენილი დანაშაულის ნებაყოფლობით განცხადებისას, მოტივს მნიშვნელობა არა აქვს. ეს შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის შიში, ქმედების საშიშროების გაცნობიერება, შურისძიება (იმ შემთხვევაში, როდესაც ქრთამის ამღებმა არ შეასრულა ქრთამით განპირობებული ქმედება) და სხვა.

მნიშვნელობა არა აქვს დროის ხანგრძლივობას, რომელმაც გაიარა ქრთამის მიცემისა და ნებაყოფლობით განცხადების დღიდან. მთავარია, რომ ეს მოხდეს იქამდე, სანამ დანაშაულის ფაქტი ცნობილი გახდება სათანადო ორგანოებისათვის. თუკი ეს პირობა დაცულია, პროცესის მწარმოებელი ორგანო აუცილებლად იღებს გადაწყვეტილებას ამ პირის სს-ვი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. თუკი სამართალდამცავი ორგანოებისათვის დანაშაულის შესახებ ცნობილი გახდა მანამდე, ქრთამის მიმცემის ნებაყოფლობითი განცხადება ბრალის აღიარებით გამოცხადებად ჩაითვლება და მხოლოდ შეამსუბუქებს პირის პასუხისმგებლობას.

ამ მუხლის შენიშვნაში მითითებული წამახალისებელი ნორმა, რომელიც ქრთამის მიმცემს ათავისუფლებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან (2011 წლის 28 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებამდე) თუ მას ქრთამი გამოსძალეს – გაუქმებულია. ასეთ შემ-

თხვევაშიც იგი პასუხს აგებს ქრთამის მიცემისათვის. ქრთამის გამოძალვის ფაქტი სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნისას, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება.

ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადებისას, პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება **არ ხდება მარეაბილიტირებელი საფუძვლით,** ანუ იგი არ გულისხმობს მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობას. ამიტომ ქრთამის მიმცემი დაზარალებულად არ იქნება ცნობილი და მას არ დაუბრუნდება ის მატერიალური სიკეთე, რომელიც მან სახელმწიფო მოხელეს ქრთამის სახით გადასცა. იგი სახელმწიფო შემოსავალში ჩაირიცხება.

ზეგავლენით ვაჭრობა (მუხლი 339[1])

კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის საფუძველზე, რომელსაც საქართველო 2006 წლის 14 დეკემბერს მიუერთდა, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი დანაშაულის შემადგენლობა – ზეგავლენით ვაჭრობა.

ეს ნოვაცია, ისევე როგორც სხვა ანტიკორუფციული სისხლის-სამართლებრივი არსენალი, მიზნად ისახავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას,მათი პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვას. ამ ქმედების კრიმინალიზაცია ნათლად ადასტურებს, რომ კორუფციის გამოვლენის ნებისმიერი ფორმა საფრთხეს უქმნის ქვეყანაში კანონიერებას და დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობას, ამიტომ. ხელისუფლებასთან დაახლოებულ კორუმპირებულ პირთა მიერ საჯარო მოხელეებზე ზეგავლენის მეშვეობით ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღებისაკენ სწრაფვა აღრმავებს კორუფციის ატმოსფეროს. გარიგება რომელიც იდება ზეგავლენით ვაჭრობის მონაწილეებს შორის **ქმნის კორუფციულ ფონს**, რომელიც არყევს მოქალაქეთა რწმენას სახელმწიფო ხელისუფლების სამართლიანობისადმი; საზოგადოებაში მკვიდრდება აზრი იმის შესახებ, რომ „ყველაფრის მოგვარება“ შეიძლება. ამგვარი ქმედება თავისთავად შეიძლება გადაიზარდოს კორუფციის სპირალში.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ზეგავლენით ვაჭრობა აგებულია ქრთამის აღებ-მიცემის ანალოგიურად. თუმცა აქ, აუცილებელ თანამონაწილეობას ერთი კანონისმიერი შემადგენლობა და **სამმხრივი კორუფციული ურთიერთობის სახე** აქვს:

1) **დაინტერესებული პირი,** რომელიც არამართლზომიერ პრივილ-

ეგიებს (უპირატესობას) სთავაზობს „ზეგავლენით მოვაჭრეს“,

2) **თავად “ზეგავლენით მოვაჭრე“** ანუ პირი, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელეზე ან მასთან გათანაბრებულ პირზე, და

3) **მესამე პირი – ზეგავლენის ადრესატი** ანუ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელმაც დაინტერესებული პირის სასარგებლო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, შეასრულოს მოქმედება ან თავი შეიკავოს, თუმცა ეს უკანასკნელი 339[1] მუხლის შემადგენლობის გარეთაა და იგი (თუკი მართლაც განხორციელდა) დამოუკიდებელ შეფასებას საჭიროებს.

სსკ 339[1] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაინტერესებულია პირი, ვისაც ესაჭიროება ზეგავლენა საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულს, ფასიან ქაღალდს სხვა ქონებას ან ქონებრივ სარგებელს ან სხვა რაიმე არამართლზომიერ უპირატესობას **ჰპირდება, სთავაზობს ან ანიჭებს** ზეგავლენით მოვაჭრეს ანუ იმ პირს, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. კორუფციული გარიგების ამ მხარეს ევროპული კონვენცია უწოდებს **„აქტიურ“ ვაჭრობას ზეგავლენით**, ხოლო ამავე **გარიგების მეორე მხარეს** უწოდებს – **„პასიურ“ ზეგავლენით ვაჭრობას.**

საქართველოს **სსკ 339[1] მუხლის მეორე ნაწილით** პასიური ზეგავლენით მოვაჭრე ის პირია, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ: **მოხელის ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები**. ისინი იმ პირისაგან, ვისაც ესაჭიროება ზეგავლენის მოხდენა (ანუ დაინტერესებული პირისაგან) და მოქმედებს საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ **იღებენ ან ითხოვენ** ფულს, ფასიან ქაღალდს, სხვა ქონებას, ქონებრივ სარგებელს ან სხვა რაიმე არამართლზომიერ უპირატესობას. ასევე ასეთის თაობაზე იღებენ დაპირებას ან შეთავაზებას.

კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ევროკონვენციის მიხედვით, „პასიური“ ზეგავლენით ვაჭრობა გულისხმობს,რომ პირი რომელიც სარგებლობს **რეალური ან სავარაუდო გავლენით** მესამე პირებზე, ზეგავლენის მოხდენის სანაცვლოდ ითხოვს ან იღებს დაუსაბუთებელ პრივილეგიებს. ზეგავლენით ვაჭრობა **ფორმალური შემადგენლობის** დანაშაულია და დამთავრებულად ჩაითვლება დაინტერესებული პირისა და ზეგავლენით მოვაჭრის შეთანხმების მომენტიდან იმისდა-

მიუხედავად, განხორციელდა თუ არა ზეგავლენა ან/და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზეგავლენით სასურველი შედეგი.

მაგალითი: პეტრემ სამოქალაქო სარჩელი შეიტანა სასამართლოში. მილიონობით ქონებრივ დავაზე. იგი მივიდა მოსამართლის საცოლესთან, გასამრჯელოდ შესთავაზა ახალი ა/მანქანა, თუკი სანაცვლოდ იგი ზეგავლენას მოახდენდა მოსამართლეზე, როგორც მის საქმროზე და იგი დააკმაყოფილებდა მის სარჩელს. მოსამართლის საცოლე შეპირდა პეტრეს, რომ მოუგვარებდა ამ საქმეს, რადგან მისი საქმრო მას არაფერზე ეტყოდა უარს.

პეტრეს ქმედებაში სახეზეა სსკ 339[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აქტიური ზეგავლენით ვაჭრობა, რადგან იგი არის დაინტერესებული პირი, რომელიც პირდაპირ სთავაზობს ქონებას მოხელესთან დაახლოებულ ისეთ პირს (მოხელის საცოლეს), რომელიც ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელეზე (ამ შემთხვევაში მოსამართლეზე).

ხოლო მოსამართლის საცოლის ქმედებაში სახეზეა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასიური ზეგავლენით ვაჭრობა. მან, როგორც მოხელესთან დაახლოებულმა პირმა, პირდაპირ მიიღო შეთავაზება ქონებაზე დაინტერესებული პირისაგან და დაუდასტურა, რომ მას შეუძლია მოხელეზე არამართზომიერი ზეგავლენის მოხდენა. ამ მომენტიდან განსახილველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია და არა აქვს მნიშვნელობა იმას, მოხელის საცოლე მართლაც შეეცადა თუ არა ზეგავლენა მოეხდინა მოხელეზე დაინტერესებული პირის სასარგებლოდ. ანდა თუკი ჰქონდა ასეთი მცდელობა. არც იმას აქვს მნიშვნელობა, მიიღო თუ არა ამ ზეგავლენის სასურველი შედეგი.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური (მოხელესთან დაახლოებული პირი), ისე იურიდიული პირი. ამასთანავე, ფიზიკურ პირში მხოლოდ კერძო პირი უნდა ვიგულისხმოთ და არა საჯარო მოხელე.

ჩვენი კანონმდებელი არ ხსნის „ზეგავლენის" არსს. **ამიტომ არსებობს საფრთხე, ეს ნორმა სასამართლო პრაქტიკამ ფართოდ განმარტოს** და ამ დანაშაულის ამსრულებლად ნებისმიერი ფიზიკური პირი ჩათვალოს, რომელიც მოხელეზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობს რაიმე სარგებლის მისაღებად, თუმცა არავითარი რეალური ან სავარაუდო ზეგავლენა მასზე არა აქვს. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ იქნება მართებული, რადგან არ იქნება თანხვედრაში კონვენციის სულისკვეთებასთან, სადაც ცალსახადაა ნათქვამი, რომ ზეგავლენით მოვაჭრეები მოხელესთან დაახლოებული პირები არიან. გარდა ამი-

სა, **ჯერ ერთი**, ზეგავლენით მოვაჭრეს თვითონ არ შეუძლია რაიმე გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ბოროტად იყენებს რეალურ ან სავარაუდო გავლენას მესამე პირზე (მოხელეზე ან მასთან გათანაბრებულ პირზე), რომელსაც კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. ზეგავლენით ვაჭრობა დანაშაულად ითვლება იმისდამიუხედავად, განხორციელდა თუ არა ზეგავლენა ან/და მიღებული იქნა თუ არა ამ ზეგავლენით სასურველი შედეგი. **მეორეც,** თუკი საჯარო მოხელე შეეცდება გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი სხვა მოხელეზე ზეგავლენის მოსახდენად, მაშინ სხვა სამოხელეო დანაშაულთან გვექნება საქმე. კერძოდ, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებას მართლსაწინააღმდეგო მიზნის მისაღწევად 338-ე მუხლიც ითვალისწინებს (ქრთამის აღება), ამიტომ თუკი ზეგავლენით ივაჭრებს საჯარო მოხელე მექრთამეობის სხვა შესაბამისი ნიშნების არსებობისას სახეზე იქნება ქრთამის აღება.

რაც შეეხება 339[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელს, აქ მოხელე იმ შემთხვევაში შეიძლება მოვიაზროთ, თუკი ის **არ იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას ან ავტორიტეტს** არამედ იყენებს **პირად ურთიერთობას** და ზეგავლენას ახდენს სხვა მოხელეზე, რისთვისაც მიღებული აქვს დანაშაულის რაიმე საგანი **მაგალითად,** ქვემდგომი მოხელე, რომელსაც დაინტერესებული პირისაგან მიღებული აქვს დანაშაულის საგანი (მაგ., ფული) მეგობრული ურთიერთობის გამოყენებით ზეგავლენას ახდენს ზემდგომ მოხელეზე. ამ შემთხვევაში იგი კერძო პირია.

საკითხავია, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა ზემდგომი მოხელე მოქალაქისაგან იღებს დანაშაულის საგანს (მაგ., ფულს) იმაში, რათა არამართლზომიერი ზეგავლენა მოახდინოს ქვემდგომ მოხელეზე, რომელიც მისი ნათესავია? კერძოდ, სახეზეა ქრთამის აღება, რათა ზემდგომმა მოხელემ ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ქვემდგომი მოხელისადმი გამოიყენოს თანამდებობრივი ავტორიტეტი (338-ე მ.), თუ ესაა ზეგავლენით ვაჭრობა (მე-2 ნაწ.), რათა მოხელის მიმართ გამოიყენებულ იქნეს პირადი (ამ შემთხვევაში ნათესაური) ურთიერთობა?

ამ საკითხზე პასუხი ასეთია: ვინაიდან ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ, ასეთი შემთხვევაც უნდა დაკვალიფიცირდეს არა მექრთამეობად, არამედ ზეგავლენით ვაჭრობად.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში ზეგავლენით ვაჭრობის ორი კანონისმიერი შემადგენლობაა, ერთს ჰქვია ქრთამის აღება და ზეგავლენით ვაჭრობა თანამდებობის პირის მიერ (მ. 432-11), მეორეს – ქრთამის მიცემა ან ზეგავლენით ვაჭრობა

კერძო პირთა მიერ. (მ. 433-2).

ზეგავლენით ვაჭრობაში იგივე აზრია ჩადებული კორუფციის შესახებ ევროკონვენციის მე-12-ე მუხლში, საიდანაც ტრანსფორმირებულია საქართველოს სსკ 339[1] მუხლი.

შეიძლება გაჩნდეს შეკითხვა ამ ნორმის სისტემურ ადგილზე სისხლის სამართლის კოდექსში, რატომ არის იგი სამოხელეო დანაშაულთა თავში და არა მმართველობის ან სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულთა შორის. აქ პასუხი ერთია, ეს დანაშაული ხელყოფს საჯარო ხელისუფლების პრესტიჟსა და ავტორიტეტს, ამგვარი ქმედება ქვეყანაში ქმნის კორუფციულ ფონს, რომელსაც ტიპიურ მექრთამეობის სპირალში გადაზრდის პერსპექტივა აქვს. ამიტომაც კანონმდებელი კერძო პირთა არამართლზომიერი მოქმედებისგანაც ცდილობს ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვას და შენარჩუნებას.

სუბიექტური მხრივ აქტიური ზეგავლენით მოვაჭრის მოტივსა და მიზანს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. ხოლო პასიური ზეგავლენით მოვაჭრის მოტივი ანგარებაა. ამასთანავე, ზეგავლენით ვაჭრობის ცნებაში არ ჯდება ლობირების აღიარებული ფორმები, ნათესაური და მეგობრული ურთიერთობები, რომელთა უკან არანაირი მატერიალური დაინტერესება არ დგას.

ზეგავლენით ვაჭრობა ბრალის ფორმის მიხედვით პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

339[1] მუხლის მესამე ნაწილი ზეგავლენით ვაჭრობის (პასიური ზეგავლენით ვაჭრობა) დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს მის ჩადენას ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ 27-ე მუხ. III ნაწ.).

339[1] მუხლს აქვს **პოსტ-კრიმინალური ნამახალისებელი ნორმა,** კერძოდ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ამ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი უკან დასახევ გზას სთავაზობს მხოლოდ აქტიური ზეგავლენით მოვაჭრეს (დაინტერესებულ პირს) და ამ პრივილეგიას ართმევს პასიურ ზეგავლენით მოვაჭრეს. ამ დანაშაულის სოციალური და სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ეს შეღავათი კორუფციული გარიგების ორივე მხარეზე უნდა გავრცელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დანაშაულთან ბრძოლას სამართალდამცავი ორგანოები ისევ პროვოკაციების მეშვეობით განახორციელებენ, რამაც მექრთამეობასთან ბრძოლის მრავალწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე არაერთ უკანონობას დაუდო სათავე, თუმ-

ცა ამ საკითხზე განსხვავებული აზრიც არსებობს.

ზეგავლენით ვაჭრობა უნდა გავმიჯნოთ მექრთამეობისაგან (ქრთამის აღება და მიცემა).

დასწაყისში უნდა აღინიშნოს მათი საერთო ნიშნები: ა) ორივე შემთხვევაში დანაშაულის საგანი ერთნაირია.; ბ) ორივე შემთხვევაში სახეზეა „საქმის მოგვარებით" დაინტერესებული პირი და მოხელე, რომელმაც უნდა „მოაგვაროს" ეს საქმე; გ) სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრთამის ამღები ნააგავს ზეგავლენით მოვაჭრეს, ხოლო ქრთამის მიმცემი – ზეგავლენით ვაჭრობაში დაინტერესებულ პირს.

ამის მიუხედავად მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის მთელი რიგი განსხვავებაა:

1. მექრთამეობაში აუცილებელია **ორმხრივი ურთიერთობა** – ქრთამის ამღები და მისი მიმცემი. ზეგავლენით ვაჭრობა კი, როგორც უკვე ითქვა, **სამმხრივ ურთიერთობას** გულისხმობს – დაინტერესებული პირი (რომელიც წააგავს ქრთამის მიმცემს), ზეგავლენით მოვაჭრე (რომელიც წააგავს შუამავალს მექრთამეობაში) და მოხელე;

2. მექრთამეობის დროს დანაშაულის საგანი (ფული და სხვ.) განკუთვნილია მოხელეზე გადასაცემად, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობისას იგი არაა განკუთვნილი მოხელეზე გადასაცემად, არამედ განკუთვნილია მოხელესთან დაახლოებულ პირზე – ზეგავლებით მოვაჭრეზე გადასაცემად;

3. ამდენად, თუკი მექრთამეობაში შუამავალს დანაშაულის საგანი გადაეცემა იმისათვის, რომ მან იგი მოხელეს მიუტანოს, განსახილველ შემთხვევაში დანაშაულის საგანი გადაეცემა კერძო პირს – ზეგავლენით მოვაჭრეს გასამრჯელოდ, რათა მან თავის მხრივ, მოახდინოს ზეგავლენა მოხელეზე პირადი ურთიერთობის გამოყენებით და არა დანაშაულის საგნის გამოყენებით. ამდენად, დანაშაულის საგანი მას არ გადაეცემა მოხელეზე მისატანად;

4. შესაბამისად, მექრთამეობაში შუამავალი საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, არის ქრთამის აღების ან მისი მიცემის თანამონაწილე (25, 338-ე ან 25, 339-ე მ.), ხოლო ზეგავლენით ვაჭრობისას ზეგავლენით მოვაჭრე (ანუ მოხელესთან დაახლოებული პირი) არის ამ მუხლის მე-2 ნაწილის ამსრულებელი;

5. მექრთამეობის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია, ერთ-ერთმა მხარემ წინადადება მისცეს მეორე მხარეს კორუფციულ გარიგებაზე. **მაგალითად,** მოხელემ მოითხოვოს ქრთამი მოქალაქისაგან. ანდა მოქალაქემ შესთავაზოს ქრთამის საგანი მოხელეს. ხოლო ზეგავლენით ვაჭრობის დროს **აუცილებელია, დაინტერესებული პირი და ზეგავლენით მოვაჭრე შეთანხმდნენ.** ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი

დაინტერესებული პირის შეთავაზებას დანაშაულის საგანზე (მაგ., ფულზე) მოხელესთან დაახლოებული პირი არ დათანხმდა და ამდენად, იგი არც ამტკიცებს და არც ადასტურებს, რომ შეუძლია მოხელეზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა, მაშინ სახეზე არაა განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობა. ამ შემთხვევაში შესაძლოა, სახეზე იყოს აქტიური ზეგავლენით ვაჭრობის მომზადება, რაც დღეს მოქმედი სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დასჯად სტადიადაა გამოცხადებული;

6. ქრთამის აღების ამსრულებელი მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირია, ზეგავლენით მოვაჭრე კი კერძო პირია, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, რისთვისაც ქონებრივ სარგებელს ან სხვა რაიმე არამართლზომიერ უპირატესობას (დაუსაბუთებელ პრივილეგიებს) ითხოვს, ან იღებს;

7. ქრთამის აღების დროს მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს ქრთამის სანაცვლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში თვითონ შეუძლია განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან. მოხელესთან დაახლოებულ პირს (ზეგავლენით მოვაჭრეს) კი თვითონ არ შეუძლია რაიმე გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ბოროტად იყენებს პირადი ხასიათის რეალურ ან სავარაუდო გავლენას საჯარო მოხელეზე.

კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხლი 340-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ მოხელე ძვირფასი საჩუქრის მიღებით ერთგვარად დავალებულია საჩუქრის მიმცემისაგან, რაც, ცხადია, ხელს შეუშლის მას სამსახურებრივი საქმიანობის ნორმალურად წარმართვაში.

დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველეობის, ასევე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მოხელეთა პრესტიჟი და ავტორიტეტი.

აღნიშნული დანაშაულის **შემადგენლობის ელემენტების** ზუსტად დადგენისა და დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის მიზნით, საჭიროა მივმართოთ კანონს – „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", რომელიც მიღებულია 1997 წლის 17 ოქტომბერს.

ამ კანონის თანახმად, თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს

უფლება აქვთ მიიღონ საჩუქარი, თუ ერთი წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმის **ხუთმაგ ოდენობას ოჯახის თითოეულ წევრზე**.

თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვთ პირად საკუთრებაში მიიღონ საჩუქარი საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან ან დაწესებულებისგან ან საერთაშორისო ორგანიზაციისგან ან მათი წარმომადგენლობებისგან და წარმომადგენლებისგან, ასევე სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირებისგან, თუ მისი ღირებულება აღემატება **საარსებო მინიმუმის ოდენობის ნახევარს**. ასეთი წყაროებიდან მიღებული და ზემოაღნიშნულზე მეტი ღირებულების საჩუქარი გადაცემის მომენტიდან ან იმ მომენტიდან, როცა თანამდებობის პირმა ან მისი ოჯახის წევრმა შეიტყო მისთვის საჩუქრის გადაცემის შესახებ, **72 საათის განმავლობაში უნდა ჩაბარდეს** სახელმწიფო ხაზინას. შესაბამისმა საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საჩუქრის გადაცემის შესახებ ინფორმაციის საჯარო რეესტრში შეტანა.

საარსებო მინიმუმის ოდენობა ყოველწლიურად განისაზღვრება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

340-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულის საგანია** ყოველგვარი საჩუქარი,რასაც მატერიალური ღირებულება გააჩნია. ზემოალნიშნულ კანონში „საჩუქარი" განმარტებულია, როგორც უსასყიდლოდ ან შეღავათიან პირობებით გადაცემული ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი ვალდებულებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე აშკარად შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება.

თუ საჩუქრის ღირებულების დასადგენად საჭიროა სპეციალური შეფასება, იანგარიშება მისი მიახლოებითი (ათპროცენტიანი ცდომილების ფარგლებში) საბაზრო ღირებულება. საჩუქრად მიიჩნევა ძვირფასი ბეჭედი, მხატვრული ტილო, კვების ძვირადღირებული პროდუქტი და სხვ. **დანაშაულის საგნად ვერ ჩავთვლით,** მაგალითად, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის მიძღვნილ ლექსს, თხზულებასა და სხვ. საჩუქრად ასევე არ ჩაითვლება სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო ან პრემია. მოხელისათვის ახლო ნათესავის მიერ გადაცემული საჩუქარი, აგრეთვე სხვა პირის მიერ საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, ისტორიული ან ბიბლიოგრაფიული ღირებულების მქონე გამოცემის გარდა, შეზღუდვას არ ექვემდებარება.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებას. იგი ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება და

დამთავრებულია კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების მომენტიდან, თუ საჩუქარი 72 საათის განმავლობაში არ იქნა დაბრუნებული.

340-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განზრახვის ორივე სახით შეიძლება იყოს ჩადენილი.

დანაშაულის ამსრულებელია მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. კანონით აკრძალული **საჩუქრის მიმცემს არ ეკისრება** სს-ვი პასუხისმგებლობა. რაც შეეხება კორუფციის შესახებ კანონში მითითებულ ახლო ნათესავთა პასუხისმგებლობას,ამის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლში არაფერია ნათქვამი და ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან, ძირითადად, სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

340-ე მუხლის მე-2 ნაწილში ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ იგი არაერთგზის არის ჩადენილი.

კანონით აკრძალული **საჩუქრის მიღება და ქრთამის აღება უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან.** ეს უნდა მოხდეს, პირველ რიგში, დანაშაულთა საგნის ღირებულებებით, მისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნებით. კერძოდ: **მექრთამეობის საგნის მინიმალური ღირებულება** კანონით არაა დადგენილი, მაშინ, როცა განსახილველი დანაშაულის არსებობისთვის აუცილებელია მოხელეზე საჩუქრად გადაცემული იყოს საარსებო მინიმუმის ნახევარზე მეტი ღირებულების საჩუქარი; ქრთამის აღების ობიექტური მხარე გულისხმობს, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღებას მისი მიმცემის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც მას უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ან თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით. ამასთან, ქრთამის აღებისას მოხელემ იცის, რომ მას ქრთამს გარკვეული მიზნით აძლევენ, მაშინ, როდესაც უკანონო საჩუქრის მიღებისას,მოხელის მოქმედება საჩუქრის გადაცემით არ არის განპირობებული. საჩუქრის მიმცემს ძვირფასი საჩუქრის გადაცემით სურს დაიმსახუროს მოხელის კეთილგანწყობა, მოხელის გულის მოგება მომავალში კეთილსასურველი მოქმედებისათვის, რაზეც ამ ეტაპზე არ არიან შეთანხმებული; მოხელემ თავი დავალებულად უნდა იგრძნოს მის წინაშე; ან კიდევ, საჩუქარი გამოხატავდეს მადლიერებას უკვე შესრულებული მოქმედებისთვის. თუკი მოხელეს გადაეცემა ნივთი მის მიერ უკვე შესრულებული საქმიანის გამო. მაგრამ უკეთუ, იგი მას ელოდებოდა მოქალაქესთან წინასწარი შეთანხმებით პირდაპირი დაპირებით, თუ მინიშნებით („უპატივსემულოდ არ დაგტოვებ"), მაშინ სახეზეა „ქრთამი-ჯილდო" და ქმედება სსკ 338-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.

სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე)

სამსახურებრივი სიყალბის, როგორც დანაშაულის, საშიშროება იმაში ვლინდება,რომ ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების სწორ მუშაობას, ასევე ხშირად სხვა დანაშაულის ჩადენის ან მისი დაფარვის საშუალებაც ხდება.

დანაშაულისაგან **სს-ვი დაცვის ობიექტია** სახელმწიფო ორგანოების ნორმალური საქმიანობა,დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტების მიმოქცევასთან.

ოფიციალური დოკუმენტი ის აქტია, რომელიც გამომდინარეობს საწარმო-დაწესებულება-ორგანიზაციიდან, ხელმოწერილია ოფიციალური პირის მიერ და ადასტურებს სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე გარკვეულ ფაქტს ან გარემოებას. ოფიციალური დოკუმენტების სხვადასხვაობის მიუხედავად, მათ აერთიანებთ ის, რომ ყველა შემთხვევაში ისინი გარკვეულ იურიდიულ შედეგს წარმოშობენ.

ცალკეული კერძო პირისაგან,ასევე კომერციულ ან სხვა არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისაგან გამომდინარე დოკუმენტის გაყალბება (ვალდებულება,ხელწერილი,ხელშეკრულება) ზემოაღნიშნული დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის; მაგრამ ასეთი დოკუმენტი ოფიციალურ ხასიათს იღებს და სამსახურებრივი სიყალბის საგნად შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი სახელმწიფო უწყების გამგებლობაშია და იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია. **მაგალითად,** როცა მხარეთა შორის შინაურულად დადებული სესხის ხელშეკრულება წარდგენილია სასამართლოზე სამოქალაქო სარჩელთან ერთად. თუკი მოსამართლე ან სხვა მოხელე მას გააყალბებს, სახეზე იქნება სსკ 341-ე მუხლით გათვალისინნბული დანაშაული – სახელმწიფო ორგანიზაციის საქმეში არსებული კერძო დოკუმენტის გაყალბება (თუ რა თქმა უნდა, იგი ჩადენილი იყო ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით).

ამ დანაშაულის **ობიექტური მხარე** ფორმალურ შემადგენლობას იძლევა და დამთავრებულია 341-ე მუხლში ჩამოთვლილი თუნდაც ერთი მოქმედების შესრულების მომენტიდან – შედგენა ან გაცემა. ამდენად, სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოხელის ქმედება შეიძლება გამოიხატოს როგორც ყალბი დოკუმენტის შედგენაში, ისე მის გაცემაში, მაგრამ ეს არ მოგვცემს დანაშაულთა ერთობლიობას. შესაძლებელია, ყალბი დოკუ-

მენტი შეადგინოს ერთმა მოხელემ ხოლო გასცეს მეორე მოხელემ. **რაც შეეხება დოკუმენტის გამოყენებას** ან ამით გამოწვეული მავნე შედეგის, იგი დანაშაულის შემადგენლობის მიღმა რჩება და შესაძლებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული სასჯელის დანიშვნისას.

სიყალბე შესრულების ხერხის მიხედვით, შეიძლება იყოს ფიზიკური (მაგალითად, დოკუმენტში შესწორების შეტანა, რიცხვის გადასწორება, ტექსტის ნაწილის წაშლა და სხვ.) და ინტელექტუალური (მა გალითად,ყალბი,ფალსიფიცირებული დოკუმენტის შედგენა,რომელიც შეიცავს ისეთ ცნობებს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება).

ობიექტური მხარე შემდეგ ქმედებებში ვლინდება:

მოხელის მიერ **ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანა** ოფიციალურ დოკუმენტში – ამ დროს ადგილი აქვს უკვე არსებულ სწორად შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტში ისეთი ცნობის შეტანას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება და ამახინჯებს რეალურ შინაარსს. ამასთან, იგი თავისთავად ინარჩუნებს ნამდვილი დოკუმენტის ნიშნებსა და რეკვიზიტს (დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე, აქვს შტამპი, ბეჭედი და სხვ.), მაგრამ მის თავდაპირველ ტექსტში (რომელიც რეალობას ასახვდა) შეტანილი მონაცემები (ტექსტი, ციფრობრივი მონაცემები) ყალბია. **მაგალითად,** ოფიციალურ დოკუმენტში, სადაც სწორად იყო აღბეჭდილი მონაცემები პირის შრომითი საქმიანობის შესახებ, მოხელის მიერ გადაკეთებულია მისი შრომითი საქმიანობის დაწყების დრო; ანდა პირადობის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტში მოხელის მიერ შეცვლილია მოქალაქის პირადი მონაცემი – გადაკეთებულია სახელი და გვარი და სხვ..

ყალბი დოკუმენტის შედგენა – იგი იმით განსხვავდება ოფიციალურ დოკუმენტში ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანისაგან, რომ აქ ადგილი აქვს სრულიად ახალი დოკუმენტის შედგენას, რაც მთლიანად ყალბ მონაცემზეა დამყარებული. **მაგალითად,** სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელმა ამ ორგანიზაციაში საქმიანობის შესახებ გასცა ყალბი ცნობა იმ პირზე, ვისაც ამ დაწესებულებაში საერთოდ არ უმუშავია. ანდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მოხელესთან გათანაბრებულმა პირმა გასცა ყალბი ცნობა პირზე, რომელიც საერთოდ არ სწავლობს ამ უნივერსიტეტში, რომ ვითომც იგი სწავლობს ამ უნივერსიტეტში და დაგროვილი აქვს გარკვეული რაოდენობის კრედიტი.

ყალბი დოკუმენტის გაცემა იგი გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ წინაწარი შეცნობით და ამ მუხლში მითითებული მოტივით ყალბი (როგორც მთლიანად, ისე შემდგომ გაყალბებულის) უფიციალური დოკუმენტის ან დავთრის გაცემას კერძო პირზე, სახელმწიფოზე თუ იურიდიულ პირზე. ამდენად, ამ დროს ეს

გაყალბებული დოკუმენტი გადის ამ ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ და წარედგინება სხვა პირს. შესაბამისად, იგი გადაეცემა დაინტერესებულ პირს. ყალბი დოკუმენტის შემდგენელი თავადაც შეიძლება იყოს მისი გამცემი, თუმცა ეს არაა სავალდებულო.

საწარმოს, დანესებულების ან ორგანიზაციის საქმეში არსებული ოფიციალური ან კერძო დოკუმენტის გაყალბება გულისხმობს სხვადასხვა სახის ისეთ ოფიციალურ დავთარსა თუ წიგნში, რომლის საფუძველზეც ხდება დოკუმენტების აღრიცხვა, ანგარიშგება და რეგისტრაცია, ყალბი ცნობების შეტანას. **მაგალითად,** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელემ ანგარების მოტივით (ამაში დაპირდნენ გარკვეულ თანხას) ყალბი მონაცემი შეიტანა ამ ორგანიზაციის საქმეში არსებულ დავთარში, რომლის მიხედვითაც დასტურდებოდა, რომ მოქალაქე, რომელიც საერთოდ არ ცხოვრობდა საქართველოში, თითქოს იყო მოცემული სოფლის კონკრეტული ოჯახის მუდმივი მაცხოვრებელი. მისი ქმედება სსკ 341-ე მუხლთან ერთად დაკვალიფიცირდება ქრთამის აღებით, რაც გამოიხატა ქრთამის სახით ფულის დაპირების მიღებაში (338-ე მ.), რათა მოხელეს თავისი სამსახურებრივი უფლებამოვალეობების განხორციელებისას ქრთამის მიმცემის ინტერესების შესაბამისად განეხორციელებინა გარკვეული მოქმედება (შეეტანა ყალბი მონაცემი ოფიციალურ დავთარში).

სუბიექტური მხრივ სახეზეა **მოტივით დაფუძნებული** დელიქტი. ამდენად, ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია სპეციალური მოტივის – ანგარების ან სხვა პირადი მოტივის არსებობა.

ანგარება სამსახურებრივ სიყალბესთან მიმართებაში მატერიალური სარგებლის მიღებაში გამოიხატება, ხოლო „სხვა პირად მოტივში" უნდა ვიგულისხმოთ არა ანგარებითი, მაგრამ სხვა ანტისოციალური მოტივიც (შური, შურისძიება, კარიერიზმი და სხვ.).

თუ მოხელეს ამოძრავებდა **არასწორად გაგებული** სახელმწიფოებრივი, თუ სამსახურებრივი მოტივი, ქმედება სამსახურებრივი სიყალბით ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან სახეზე არაა ამ დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი – პირადი მოტივი. ამ დროს ქმედება მოგვცემს დისციპლინურ გადაცდომას. **მაგალითად,** მოხელემ დანაშაულის სტატისტიკური ანგარიშიდან ამოიღო მონაცემი საქართველოში ოჯახური ძალადობის სახით ჩადენილი ძალადობითი სქესობრივი დანაშაულის შესახებ იმ მოტივით, რომ ასეთი მონაცემის გასაჯაროება დააზიანებდა ქვეყნის საგარეო იმიჯს. სახეზეა დისციპლინური გადაცდომა.

დანაშაულის ამსრულებლის – მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ცნება მოცემულია სამოხელეო დანაშაულის შესავალში.

341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. ამასთან, პირის განზრახვა უნდა შეიცავდეს დამნაშავის მიერ შედგენილი ან გაცემული დოკუმენტის სიყალბის გაცნობიერებას.

თანამდებობრივი სიყალბე შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა დანაშაულთანაც. სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ **მითვისებისა და გაფლანგვის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად** მიჩნეულია ამ ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამ დანაშაულის ჩადენისას, ზოგჯერ სიყალბე მისი ჩადენის მომზადების სპეციფიკური ფორმაა (მაგალითად, მოხელეს ყალბი მონაცემები შეაქვს ოფიციალურ დოკუმენტში ფულადი თანხის უკანონოდ მიღების მიზნით). სიყალბე ასევე შეიძლება იყოს მოხელის მიერ მითვისებული ან გაფლანგული ქონების დაფარვის საშუალება. ამ უკანასკნელ შემთხვევებში დამნაშავის მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.[110]

მოხელის მიერ კერძო პირისათვის ყალბი დოკუმენტის გაცემა პენსიის უკანონოდ მისაღებად, დაკვალიფიცირდება როგორც სამსახურებრივი სიყალბე და თაღლითობაში თანამონაწილეობა, თუკი მან ზუსტად იცოდა, თუ რაში გამოიყენებდა ეს პირი ამ ყალბ დოდუმენტს.

სამსახურებრივი სიყალბე უნდა განვასხვაოთ დანაშაულისაგან – მტკიცებულების ფალსიფიკაცია, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე და 369[1] მუხლებშია ჩამოყალიბებული. ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმა აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მართლმსაჯულების ინტერესის დარღვევისათვის, რაც ობიექტურად მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში გამოიხატა. ეს ნორმა კონკურენციას უწევს ზოგად ნორმას – სამსახურებრივ სიყალბეს. მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია წარმოადგენს სამსახურებრივი სიყალბის სპეციალურ სახეს.

სამსახურებრივი სიყალბე ასევე უნდა გავმიჯნოთ სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან: ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება.

სამსახურებრივი სიყალბის ამსრულებელია მოხელე, მასთან გათანაბრებული პირი, ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. ხოლო სსკ 362-ე მუხლისა – კერძო პირი; სამსახურებრივი სი-

[110] თუ როდის უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მითვისებისა ამ მუხლის ერთობლიობით, ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2016, გვ.... 402-407

ყალბის საგანია როგორც ოფიციალური, ისე შესაბამის შემთხვევაში არაოფიციალური დოკუმენტი, ხოლო სსკ 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა – მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტი;

ობიექტური მხრივ სამსახურებრივი სიყალბე გამოიხატება ოფიციალურ დოკუმენტში ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანაში, მის შედგენასა ან გაცემაში, ხოლო სსკ 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების გარდა, მის გამოყენებასაც;

სუბიექტური მხრივ სსკ 341-ე მუხლი **არის მოტივით დაფუძნებული** დელიქტი, მიზანს კი არა აქვს მნიშვნელობა. ხოლო 362-ე მუხლი კი არის მიზნით დაფუძნებული (გამიზვნითი) დელიქტი. პირის მიზანია ან გაასაღოს, ან გამოიყენოს ეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტი. მოტივს არა აქვს მნიშვნელობა.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუკი მოხელე ყალბი დოკუმენტის შედგენისას არ იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას და ყალბი დოკუმენტის „ნამდვილობა“ არაა დადასტურებული ამ მოხელის ხელმოწერით ან ამ სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმალური რეკვიზიტებით, სახეზე არაა სამსახურებრივი სიყალბე. მაგალითად, საჯარო სკოლის დირექტორმა (მოხელემ) შეადგინა ყალბი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სახეზეა არა სსკ 341-ე მუხლით, არამედ სსკ 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან მოხელეს ამ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისას არ გამოუყენებია მისი სამსახურებრივი მდგომარეობა – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენა არ შედის სკოლის დირექტორის ფუნქციაში.

სამსახურებრივი გულგრილობა (მუხლი 342-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ნორმალურ საქმიანობას.

სამოხელეო დანაშაულთა თავში სსკ 342-ე და 342[1] მუხლები **გაუფრთხილებელ დანაშაულებს** წარმოადგენენ. ისინი სწორედ ბრალის ფორმით განსხვავდებიან სსკ 332-ე და 333-ე მუხლებისაგან.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სახელმწიფო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობასა ან არაჯეროვნად შესრულებაში, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო. დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

დანაშაულის **შემადგენლობა მატერიალურია**, მისი დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან სხვა კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა. აქედან გამომდინარე, პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. თუკი მოხელის გულგრილობას არ მოჰყვა ამ მუხლში მითითებული შედეგი, სახეზეა დისციპლინური გადაცდომა.

სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენა შესაძლებელია როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით.

სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა – იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის (ასევე სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის) უმოქმედობაში გამოიხატება. აქ მოხელე არ ასრულებს მასზე სამსახურებრივად დაკისრებულ მოვალეობას, არ იღებს იმ ზომას, რაც უნდა მიეღო თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე. ამდენად, უნდა დადგინდეს, რომ ამ მოქმედების შესრულება მის სამსახურებრივ უფლებამოვალეობებში შედიოდა.

მაგალითი: მოხელე მისი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო (მისი შესრულება ყურადღების მიღმა რჩებოდა) არ ატარებდა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას, როცა ამისი ვალდებულება ჰქონდა. ამან კი შედეგად გამოიწვია ის, რომ 100 000 ლარად ღირებული ინვენტარი დროთა განმავლობაში დაიკარგა ან იგი მითვისებულ იქნა სხვების მიერ. შედეგად სახელმწიფო ორგანიზაციას კანონიერი ინტერესი არსებითად დაირღვა. თუკი მოხელის ამ უმოქმედობას არ მოჰყოლია ასეთი შედეგი (მაგალითად, საერთოდ არაფერი

დაკარგულა, ანდა დაიკარგა უმნიშვნელო ღირებულების საქონელი), სახეზეა არა დანაშაული, არამედ დისციპლინური გადაცდომა.

თუკი დადგინდება, რომ მოხელეს ჰქონდა ინფორმაცია მის დაქვემდებარებულ პირთა მიერ მითვისების ფაქტის შესახებ, მაგრამ თავისთვის კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით („თავი რატომ შევიწუხო") არ უშლიდა ხელს მათ ქმედებას და არ ატარებდა შემოწმებას, სახეზეა სსკ 332-ე მუხლით გათვალისიწნებული სამსახურებრივი უფლებამისილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი უმოქმედობით, რომლის მიზანია თავისთვის უპირატესობის მილება. იმ ქვეყნებში, სადაც სს კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული სსკ 332-ე მუხლის ანალოგიური შემადგენლობა (მაგ., გფ-ში), მოხელის ეს ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც თანამონაწილეობა მითვისებაში. საქართველოში მოხელის ამგვარი უმოქმედობა მხოლოდ მაშინ მოგვცემს მითვისებაში თანამონაწილოებას (25, 182-ე მ.), თუკი მოხელის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფმა მითვისების ამსრულებელმა იცოდა, რომ მოხელე მას არ შეუშლიდა ხელს ამ დანაშაულის ჩადენაში ("**განზარხ ერთობლივი**" მონაწილეობა განზრახ დანაშაულში – სსკ 23-ე მ.).

მეორე მაგალითი; სახელმწიფო მოხელეს მის დაქვემდებარებაში მყოფმა პირმა ხელმოსაწერად მიუტანა რევიზიის აქტი. მოხელეს ევალებოდა, შეემოწმებინა ამ აქტში დაფიქსირებული მონაცემების სისწორე, მაგრამ ენდო მისი თანამშრომლის კეთილსინდისიერებას და კომპეტენტურობას. ამდენად, მან ხელი ისე მოაწერა დოკუმენტს, რომ არ შეამოწმა ეს მონაცემები **(მოვალეობის შეუსრულებლობა)**. აღმოჩნდა, რომ მის ხელქვეითს რევიზიის აქტში ყალბი მონაცემები ჰქონდა შეტანილი, რითაც მიჩქმალული იყო სხვა პირთა მიერ ჩადენილი მითვისების ფაქტები (სსკ 341-ე მ.). შედეგად სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი არსებითად დაირღვა. სახეზეა სსკ 342-ე მუხლით გათვალისიწნებული სამსახურებრივი გულგრილობა, რაც გამოიხატა სამსახურებრივი **მოვალეობის შეუსრულებლობაში** მისდამი თვითმედოვნებითი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია შესაბამისი შედეგი.

სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება – ამ დროს მოხელე სამსახურებივ მოვალეობას არასრულყოფილად, მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს, რასაც იგივე შედეგი უნდა მოჰყვეს. **მაგალითად**, ზემოთ მოყვანილ მეორე შემთხვევაში მოხელემ შერჩევით შეამოწმა აქტში ასახული მონაცემების მხოლოდ ნაწილი და არ შეამოწმა ყველა მათგანი. ყველა მათგანი რომ შეემოწმებინა, იგი მიხვდებოდა, რომ აქტში მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამებოდა სინამდ-

ვილეს და არ მოაწერდა ხელს.

სამსახურებრივი გულგრილობის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოხელის უფლება-მოვალეობათა სამართლებრივ რეგლამენტაციას. მოხელის ვალდებულება განისაზღვრება კანონით, კანონქვემდებარე აქტით, შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) ან ზემდგომი მოხელის ბრძანებით. ამიტომ, ყველა შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს, თუ მოხელემ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, რა არ შეასრულა, ან რა შეასრულა არაჯეროვნად.

თუ მოხელეს, როდესაც მისი საქმიანობა დაკავშირებულია სხვა პირთა სათანადო ქმედებასთან,არ ჰქონდა შესაძლებლობა შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა, ეს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს. **(მაგალითად,** სახელმწიფო დანესებულების ხელმძღვანელი არ იმყოფებოდა საქართველოში და მის ნაცვლად მისმა მოადგილემ მოაწერა ხელი ოფიციალურ დოკუმენტს ისე, რომ არ შეამოწმა მასში დაფიქსირებული მონაცემის სისწორე. აქ პასუხს გულგრილობისათვის აგებს მისი მოადგილე და არა ხელმძღვანელი პირი).

დანაშაულებრივ შედეგში იგულისხმება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა. საკითხის გადაწყვეტა, იყო თუ არა სახეზე ინტერესთა არსებითი დარღვევა, უნდა ხდებოდეს ყველა კონკრეტული საქმის გარემოებათა შესწავლის საფუძველზე.

„არსებითი დარღვევის“ ცნებაში უფრო ხშირად მატერიალური ზიანის მიყენება იგულისხმება; თუმცა შეიძლება დარღვეულ იქნეს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, ან ეს დარღვევა გამოიხატოს ხელისუფლების ორგანოების საქმიანობისათვის ხელის შეშლაში და სხვა.

ნაკლებად ტიპურია სამსახურებრივი გულგრილობის შედეგად პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება (მაგალითად, მოქალაქის მოწამვლა ისეთი წამლით, რომლის გაყიდვის სანქცია გასცა მოხელემ თავისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო; ან კიდევ,მოხელის მიერ მალფუჭებადი პროდუქტების შემოწმებაზე არაჯეროვანი ზედამხედველობა და სხვა).

სამსახურებრივი გულგრილობა **მხოლოდ გაუფრთხილებლობაში** გამოიხატება. ამ დროს პირს გაცნობიერებული აქვს წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არასასურველ შედეგს

თავიდან აიცილებს ან არ ითვალისწინებს ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

სსკ 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია დამამძიმებელი გარემოება სამსახურებრივ გულგრილობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ 342-ე მუხლის **ამსრულებელი არაა მედიცინის მუშაკი,** რომელიც ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას (და არა თანამდებობრივს). იგი არაა არც მოხელე და არც მასთან გათანაბრებული პირი. მედიცინის მუშაკის მიერ თავისი პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობის შედეგად ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის მძიმე, ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დაკვალიფიცირდება, როგორც ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. **მაგალითად**,სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლიის მე-2 ნაწ. ავადმყოფის განსაცდელში მოტოვება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ანდა სსკ 116-ე მუხლით. ამავე დროს უმოქმედობისას სახეზე უნდა იყოს სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სამივე პირობა.

რაც შეეხება იმ **სპეციალურ მუხლებს,** რომლებიც შეეხება მოხელის ან კერძო ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი გულგრილობით თავისი საქმიანობის სფეროში არსებული წესების დანაშაულებრივ დარღვევას, ამ დროს სს-ვი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სპეციალურ თავში მითითებული დანაშაულით. კერძოდ, სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევა (თავი 31-ე) ან კიდევ, მაგალითად,შრომის დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 170-ე), სადაც უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის წესების დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის სამსახურისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ ერთი ან რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ამ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობა გამორიცხულია.

ამრიგად, 342-ე მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი გულგრილობის შედეგად გამოწვეული ადამიანის სიკვდილი დაკვალიფიცირდება შემდეგი პირობების არსებობისას:

1. როდესაც ადამიანის სიკვდილი სახელმწიფო მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგია, ანუ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამნაშავის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის;

2. დამნაშავე უნდა მოქმედებდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით, თვითმედოვნების ან დაუდევრობის სახით;

3. არ უნდა არსებობდეს სამსახურებრივი გულგრილობისათვის

დადგენილი სხვა სპეციალური ნორმა.

რაც შეეხება სამსახურებრივი გულგრილობით გამოწვეულ სხვა მძიმე შედეგს, ეს ფაქტის საკითხია და სასამართლომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს იგი საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

სამსახურებრივი გულგრილობა განსხვავდება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან (332-ე მ.) რამდენიმე ნიშნით. თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გულისხმობს მოხელის მიერ თავისი მდგომარეობის გამოყენებას, სამსახურებრივი გულგრილობა გამოიხატება მოხელისათვის დაკისრებული უფლებამოსილების შეუსრულებლობასა ან არაჯეროვან შესრულებაში. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ხდება განზრახ, მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში გაუფრთხილებლობით გამოწვეულ დანაშაულთან გვაქვს საქმე.

მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში/დაწესებულებაში დადგენილი წესის დარღვევა (მუხლი 342[1]-ე)

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამსახურის დადგენილი წესის დარღვევა სამსახურებრივი გულგრილობის სპეციალურ შემადგენლობას წარმოადგენს. განსახილველი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ნორმალური საქმიანობა. ამ მუხლმა ბოლო დროს (2015 წლის 1 მაისის კანონით) განიცადა გარკვეული ცვლილება, რის შედეგადაც დაკონკრეტდა დანაშაულის ადგილი დრო და ამსრულებელთა წრე.

2015 წლის 1 მაისის კანონით „ სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ გაიმიჯნა სამოქალაქო და სასჯელაღსრულების სამსახური, რომელიც ახლა იწოდება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურად.

დანაშაულის **ობიექტური მხარე** სპეციალური პენიტენციური სამსახურის ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში/დაწესებულებაში დადგენილი წესის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულებაა (მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო), რასაც შედეგად მოჰყვა პენიტენციური დაწესებულებიდან ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაქცევა ან/და პენიტენციური დაწესებულების ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია **(შედეგიანი დანაშაული)**.

პენიტენციური სამსახური არის სპეციალური, გასამხედროებული ქვედანაყოფების ერთიანი სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს სასჯელაღსრულების სამინისტროს სისტემაში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების რეალიზაციის, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელების, სამართლებრივი რეჟიმის დაცვის, უსაფრთხოების დაცვის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა

გაყვანის/გადაყვანის და ექსტრადიციის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის, კრიზისული ვითარების მართვის და სპეციალური ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება – იგი შექმნილია „არასაპატიმრო სასჯელთაღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო-სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს. დაწესებულება თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „არასაპატიმრო სასჯელთაღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონით, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპური დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლშიც **დანაშაულის ობიექტური მხარე** გამოიხატება როგორც დადგენილი წესის შეუსრულებლობაში (უმოქმედობა), ისე მის არაჯეროვან (ანუ არასრულყოფილ) შერულებაში, რაც ისევე უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 342-ე მუხლში.

საკითხავია, რა სახის წესის დარღვევა გვაძლევს განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას? ეს წესი სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის ან თავისუფლების შეზღუდვის სამსახურისათვის უნდა იყოს დადგენილი სხვა ორგანოს (მაგალითად, პარლამენტის) მიერ, თუ იგი ამავე დაწესებულების შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ უნდა იყოს დადგენილი? რას ნიშნავს „სამსახურში/დაწესებულებაში" დადგენილი წესი? რით განსხვავდება იგი „სამსახურებრივი მოვალეობისგან", რაზეც საუბარია სსკ 342-ე მუხლში? მასში მხოლოდ შიდა ნორმატიული აქტი იგულისხმება, თუ ნებისმიერი ნორმატიული აქტი და მათ შორის კანონიც?

საკითხი საჭიროებს სათანადო განმარტებას, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება სსკ 342-ე და 342[1] მუხლების გამიჯვნა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების უწყებრივი წესები დადგენილია სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კერძოდ,სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულების დებულებით (კონკრეტული პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით), ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესით, თავისუფლების შეზღუდ-

ვის დანესებულების ტიპური დებულებით და სხვა.

განვიხილოთ დასმული საკითხი შემდეგ მაგალითზე: პეტრე და პავლე იყვნენ პენიტენციური დაწესებულების მოხელეები, რომელთაც დაევალათ ორი ბრალდებულის ბადრაგირება ქალაქის სასამართლოში. სასამართლოს შენობაში ყოფნისას ბრალდებულებმა მოითხოვეს ტუალეტში გაყვანა. პეტრემ და პავლემ გაიყვანეს ისინი ტუალეტში და თავად შენობის დერეფანში გამოვიდნენ, რითაც დაარღვიეს „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ევალებოდათ, დარჩენილიყვნენ ტუალეტის შიდა ფოიეში. 10-15 წუთის შემდეგ როცა ბრალდებულები მოიკითხეს, ისინი ტუალეტში არ დახვდათ. გაირკვა, რომ ბრალდებულები გადახტნენ ტუალეტის ფოიეში არსებული ფანჯრიდან და გაიქცნენ.

სახეზე არიან განსახილველი მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები; სახეზეა მათ მიერ წესის დარღვევა უმოქმედობით – არ დარჩნენ ტუალეტის ფოიეში; სახეზეა ამ წესისადმი დაუდევარი დამოკიდებულება; ასევე შედეგი – გაყვანისას გაქცევა. მიუხედავად ამისა, სახეზე არაა სსკ 342[1] მუხლით გათვალისიწნებული დანაშაული, არამედ სახეზეა სსკ 342-ე მუხლით გათვალისიწნებული დანაშაული, რადგან ის წესი, რაც მათ დაარღვიეს, არ იყო დადგენილი იმ „სამსახურში ან დანესებულებაში", სადაც ისინი მსახურობდნენ, არამედ ეს წესი დადგენილი იყო საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი „დანესებულებისათვის". მართალია, დღეს მოქმედი კანონით (2015 წელს გატარებული ცვლილების შემდეგ) სასჯელის მხრივ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ საკითხის დეტალურ გარკვევას (ამ ცვლილებამდე სსკ 342-ე მუხლის სანქცია უფრო მკაცრი იყო), მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი.

ამდენად, განსახილველი მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, დაირღვეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ან თავისუფლების შეზღუდვის დანესებულების შიდა ნორმატიული აქტის მოთხოვნა (და არა კანონის მოთხოვნა).

მაგალითი: პეტრე და პავლე მუშაობდნენ ერთ-ერთ პენიტენციურ დანესებულებაში ზედამხედველებად. **ამ დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით** მათ ევალებიდათ დღეში ორჯერ – დილით და საღამოს შემოწმებინათ იქ მოთავსებულ პირთა პირველ სართულზე არსებული თითოეული საცხოვრებელი ოთახის სიმთელე იმ თვალსაზრისით, ხომ არ ჰქონდა ადგილი გვირაბის თხრას. პეტრე და პავლე არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ამ მოვალეობას და საერთოდ არ ამოწმებდნენ ოთახების სიმთელეს. ამ ფაქტით ისარგებლეს პირველ სართულზე მცხოვრებმა პატიმრებმა და დაიწყეს გვირაბის თხრა, რა-

საც მოუნდნენ დაახლ. 2 თვე. ბოლოს ამ გვირაბიდან გაიქცა რამდენიმე ათეული პირი.

ესაა სსკ 324[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან: ა) სახეზეა შესაბამისი სუბიექტები: ბ) მათ დაარღვიეს **შესაბამის დანესებულებაში დადგენილი წესი** (დანესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი წესი), რისი დარღვევაც გამოიხატა მის შეუსრულებლობაში; გ) სახეზეა ამ წესისადმი დაუდევარი დამოკიდებულება; დ) სახეზეა ამ მუხლში მითითებული ერთ-ერთი შედეგი – პენიტენციური დანესებულებიდან გაქცევა.

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია, რომ ამ მუხლში მითითებულ პირთა სამსახურებრივ გულგრილობას შედეგად მოჰყვეს ამ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ დისციპლინურ დარღვევას.

პენიტენციური სამსახურის, ან თავისუფლების შეზღუდვის დანესებულების მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის დაუდევრობის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის უფლებამოვალეობათა ზუსტად განსაზღვრას,რათა გაირკვეს კონკრეტულად რაში გამოვლინდა სამსახურის დადგენილი წესის დარღვევა, რა არ შეასრულა მოხელემ ანდა რა შეასრულა არაჯეროვნად.

2015 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ დაკონკრეტდა **დანაშაულებრივი შედეგის ადგილი და დრო**. კერძოდ, ისეთი შედეგი, როგორიცაა პირის გაქცევა, უნდა მოხდეს პენიტენციური დანესებულებიდან, ან თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებიდან.

დანაშაულებრივი **შედეგის დადგომის დრო** – გაქცევა უნდა მოხდეს ბრალდებულის/მსჯარვდებულის გაყვანისას, გადაყვანისას, ექსტრადიციისას.

რაც შეეხება **სხვა შედეგს, როგორიცაა დანესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია**, იგი, რა თქმა უნდა, უნდა დადგეს შესაბამის დანესებულებაში. ამ შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს.

ქმედების **ამსრულებელი სპეციალურია** – აღნიშნული დანესებულების მოსამსახურე ან მასთან გათანაბრებული პირი. **კანონით სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ, ესენი არიან სამსახურის ოფიცრები და რიგითები და სხვა საჯარო მოსამსახურეები, ხოლო მათთან გათანაბრებული პირები დაზუსტებულია 342[1] მუხლის შენიშვნაში,**

პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სასჯელაღსრულების ორგანოს **მოსამსახურეები არიან** საჯარო მოსამსახურეები, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ისინი

არიან ხელისუფლების წარმომადგენლები. სასჯელაღსრულების დაწესებულების მოხელეები არიან, პირველ ყოვლისა, ადმინისტრაციის წარმომადგენლები – დირექტორი, მოადგილე, განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსი და სხვ.

მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირებად ამ მუხლის შენიშვნის მიხედვით ითვლებიან: საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომელი, გენერალური ინსპექციის თანამშრომელი და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელი, პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური სამსახურის მოსამსახურე, პენიტენციური დაწესებულების სოციალური სამსახურის მოსამსახურე, აგრეთვის ის საჯარო მოსამსახურე, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში უშუალოდ ასრულებს ლოჯისტიკურ, საფინანსო. ორგანიზაციულ ან სამართლებტივ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფუნქციას.

განსახილველი დანაშაული მხოლოდ გაუფრთხილებლობაში გამოიხატება. მისი შინაარსი სამსახურებრივი გულგრილობის იდენტურია.

342[1]-ე **მუხლის მე-2 ნაწილი** ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, სახელდობრ, იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, როგორც 342[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შედეგი, შეიძლება იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მასობრივი არეულობის, ადმინისტრაციისადმი წინააღმდეგობის გაწევის, დაუმორჩილებლობის, მძევლების აყვანის, გაქცევის და მისთ. თანამდევი შედეგი. სასჯელაღსრულების დაწესებულების მოხელის პასუხისმგებლობა მაშინაც არ არის გამორიცხული, როცა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა პატიმართა თუ მსჯავრდებულთა მხრიდან აკრძალული ნივთების შენახვისა და ტარების, მათ შორის ურთიერთშეტაკების (ჩხუბის) ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანამდევი შედეგია. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს კონკრეტულად რაში გამოიხატა მოხელის სამსახურებრივი გულგრილობა, რომელსაც შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

ადამიანის სიცოცხლის მოსპობის გარდა, **სხვა მძიმე შედეგი** შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის, მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში, მძევლების აყვანაში და ა.შ. მძიმე შედეგი ფაქტის საკითხია და სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

თავი IX

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

საქართველოს სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა (მუხლი 343-ე)

სახელმწიფოს გერბი და დროშა სახელმწიფოს ოფიციალურად მიღებული სიმბოლური გამოხატულებაა. იგი საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად ორგანული კანონით არის დადგენილი, როგორც სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშანი. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო გერბისა ან დროშის შებღალვა დაუშვებელია არა მარტო ჩვენ საზოგადოებაში არსებული ზნეობრივი საფუძვლით, არამედ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებითაც.

სისხლის სამართლის კოდექსის 343-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ქვეყანაში დადგენილი მმართველობის წესი და მისი ორგანოების ნორმალური საქმიანობა, რომელიც ხელყოფილია დანაშაულებრივი ქმედებით; ხოლო ხელყოფის უშუალო ობიექტია სახელმწიფო გერბისა და დროშის, როგორც საქართველოს სიმბოლოს, ავტორიტეტი.

დანაშაულის საგანია საქართველოს სახელმწიფო გერბი ან დროშა. რაც შეეხება საზოგადოებრივი, სპორტული, სამხედრო ან სხვა ორგანიზაციების სიმბოლოების შებღალვას, იგი ამ დანაშაულის შემადგენლობას არ გვაძლევს.

343-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური მხარე** ვლინდება ყველა ხერხითა და საშუალებით სახელმწიფო გერბისა და დროშის შებღალვაში. იგი შეიძლება გამოიხატოს მათ განზრახ დაზიანებასა ან განადგურებაში; შეურაცხმყოფელი წარწერის ან ნახატის გამოსახვაში; გერბისა და დროშის გამოყენებაში ზნეობისათვის მიუღებელი ფორმით,მათ ჩამოგლეჯაში,ფეხქვეშ გათელვაში,დაწვაში და სხვა. ზემოალნიშნული დანაშაული თავისი ხასიათის მიხედვით მოქმედებით ხორციელდება. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აშკარა, ისე ფარული ფორმითაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჯარო-დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს არა თვითონ მოქმედება, არამედ მისი შედეგი. სხვაგვარად რომ ვთქვათ,საჯაროობის ნიშნის არსებობა აუცილებელია,რაც იმას გულისხმობს, რომ დამნაშავის მოქმედება უნდა განხორციელდეს სხვა პირთა (თუნდაც ერთი პირის) თანდასწრებით, ან შესაძლოა მათ გარეშეც (მაგალითად, საჯაროდ

გამოფენილ, ან ორგანიზაციის შენობაში შენახულ სახელმწიფო გერბზე შეურაცხმყოფელი წარწერის ან გამოსახულების გაკეთება მაშინ, როცა იქ არავინ იმყოფება), მაგრამ მოქმედების შედეგი საჯაროდ გამოვლინდეს – დანაშაულის შედეგის (შებღალული დროშის), დანახვა სხვა პირებისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამიტომ თუკი პირი საკუთარ საცხოვრებელ სახლში სხვებისაგან შეუმჩნევლად დაწვავს საქართველოს დროშას და ნამწვავს ნაგავს გაატანს, ასეთი ქმედება არ მოგვცემს ამ დანაშაულის შემადგენლობას.

სახელმწიფო გერბისა და დროშის შებღალვის **დანაშაული ფორმალურ** შემადგენლობათა რიცხვს განეკუთვნება და დამთავრებულია მოქმედების განხორციელების მომენტიდან და არა აქვს მნიშვნელობა, როდის დაინახავენ შებღალვის შედეგს სხვები.

სახელმწიფო გერბის ან დროშის საჯაროდ შებღალვა, თუ მას თან ერთვის ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა და დამნაშავეს ხულიგნური მოტივი ამოძრავებს, იგი დამატებით უნდა დაკვალიფიცირდეს ხულიგნობის მუხლითაც.

შესაძლებელია ზემოაღნიშნული დანაშაულის კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებთან ერთობლიობითაც. მაგალითად, სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვა და მასობრივი არეულობა (მუხლი 225-ე).

დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს თოთხმეტი წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის მოქალაქე და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირი.

დანაშაული პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება – პირს გაცნობიერებული აქვს, რომ სჩადის ისეთ ქმედებას, რომლითაც ბღალავს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო გერბს ან დროშას, რითაც ხელყოფს სახელმწიფო სიმბოლოს ავტორიტეტს და სურს ეს.

მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა (მუხლი 344-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ პირი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვარს უკანონოდ გადაკვეთს, ხშირად უკვე მეორე დანაშაულსაც სჩადის, ვინაიდან გამორიცხული არ არის ის გარემოება, რომ დამნაშავეს ამა თუ იმ სახელმწიფოში ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული და ამით სურს თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას; ან კიდევ, ეს პირი იძებნება სხვა სახელმწიფოს მიერ როგორც ბოროტმოქმედი.

დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ჩვენ ქვეყანაში დადგენილი მმართველობის წესი და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. მისი ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესს შეიმუშავებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სახელმწიფო საზღვარზე დამნაშავის ფაქტობრივ გადაადგილებაში ნებისმიერი ხერხით, მაგრამ ძალადობის ან მისი გამოყენების მუქარის გარეშე. დამნაშავემ შეიძლება საზღვარი უკანონოდ გადაჭრას ფეხით, ცურვით, საჰაერო ხომალდით, სატრანსპორტო საშუალებით და სხვ. ამასთან, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა გულისხმობს როგორც საქართველოდან გასვლას, ისე საქართველოში შემოსვლას **სათანადო დოკუმენტებისა და ნებართვის გარეშე.** მაგალითად,საზღვრის გადაკვეთას ყალბი დოკუმენტისა და ასეთივე ბეჭდის გამოყენებით, ვადაგასული საზღვარგარეთის პასპორტითა თუ ვიზით.

უკანონოდ ჩაითვლება ასევე სახელმწიფო საზღვრის ყოველგვარი გადალახვა, თუ იგი ჩადენილია კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით აკრძალული წესით; უკანონო იქნება, მაგალითად, საზღვრის გადაკვეთა არასათანადო ადგილას.

344-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაული დამთავრებულად**

ჩაითვლება დამნაშავის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ საზღვრის გადაკვეთა ვერ მოხერხდა დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მაგალითად, იგი დაკავებულ იქნა საკონტროლო ხაზზე, მოქმედება საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით დაკვალიფიცირდება, როგორც სახელმწიფო **საზღვრის გადაკვეთის მომზადება ან მცდელობა**. უკანონოდ გადაკვეთის მომზადება არ მოგვცემს სს-ვი წესით დასჯად ქმედებას. მხოლოდ გამტარი პუნქტის საკონტროლო ხაზის გადაკვეთა, რომელიც სახელმწიფო საზღვრის ხაზს არ შეესაბამება, შეიძლება დაკვალიფიცირდეს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობად. განსახილველი დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება და იგი დამთავრებულია მოქმედების (საზღვრის გადაკვეთის) განხორციელების მომენტიდან.

დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. სუბიექტური მხრივ ქმედების ჩადენის მოტივსა და მიზანს მნიშვნელობა არ ენიჭება,მაგრამ სასჯელის შეფარდებისას იგი გათვალისწინებულ იქნება.

ამ დანაშაულის სუბიექტია ყველა შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელმაც თოთხმეტი წლის ასაკს მიაღწია.

334-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს ჯგუფურად, ასევე ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ჯგუფური დანაშაულის სხვადასხვა სახე მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში (წინასწარ შეუთანხმებელი, წინანარ შეთანხმებული და ორგანიზებული ჯგუფი).

რაც შეეხება საზღვრის უკანონო გადაკვეთისას **ძალადობას ან მისი გამოყენების მუქარას,** აქ უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ისეთი ძალადობა, რომელიც საშიში არ არის ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ასევე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა.

ძალადობა სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო საზღვრის დამცველის, არამედ ყველა იმ პირის მიმართაც, რომლებიც რეალურად წინ აღუდგებიან დანაშაულის ჩადენას ან, დამნაშავის აზრით, შეუძლიათ ხელი შეუშალონ მას საზღვრის გადაკვეთაში.

რაც შეეხება **ძალადობის გამოყენების მუქარას**, ანუ ფსიქიკურ ძალადობას, იგი გულისხმობს პირის დაშინებას, რომ მის მიმართ ძალადობა იქნება გამოყენებული, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვაში, ფიზიკური ტკივილის მიყენებაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში და სხვა. თუ ძალადობას რე-

ალურად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით – 344-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სხვა სათანადო მუხლებით.

344-ე მუხლს ახლავს შენიშვნა, რომელშიც 2015 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად: „ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოში უშუალოდ იმ ტერიტორიიდან შემოვიდა, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული საფრთხე ემუქრებოდა და რომელიც საქართველოში უნებართვოდ იმყოფება და იმავე კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას, იმ პირობით, რომ ის დაუყოვნებლივ გამოცხადდება ხელისიფლების ორგანოში და წარადგენს სათანადო განმარტებას საქართველოში უკანონო შემოსვლის ან უნებართვო ყოფნის შესახებ, და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, აგრეთვე პირი, რომელმაც აღნიშნული ქმედება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო, ადამიანით ვაჭრონის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე ჩაიდინა."

როგორც ვხედავთ, ამ დანაშაულის ჩამდენი პირის სს-ვი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის რამდენიმე პირობა უნდა არსებობდეს. ამ პირიბათაგან ზოგი აწესრიგებს ლტოლვილთა საკითხს. კერძოდ: 1. პირის საქართველოში უშუალოდ იმ ტერიტოეიიდან უნდა შემოვიდეს, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას ემუქრებოდა საფრთხე (და არა სხვა ტერიტორიიდან ,სადაც მას ასეთი საფრთხე არ ემუქრებოდა); 2. მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას უნდა ემუქრებოდეს არა ნებისმიერი საფრთხე, არამედ სწორედ ის საფრთხე, რაც გათვალისწინებულია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლით; 3. დამნაშავის მიერ თავშესაფარი მოთხოვნილი უნდა იყოს სწორედ ამ კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; 4. იგი საქართველოში უკანონოდ შემოსვლიდან დაუყონებლივ უნდა გამოცხადდეს ხელისფულების ორგანოში და წარადგინოს შესაბამისი განმარტება; 5. მის ქმედებაში არ უნდა იყოს სხვა დანაშაულის ნიშნები.

მუხლის შენიშვნაში მოცემული პირობის ნაწილი კი ეხება არა ლტოლვილებს, არამედ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს. კერძოდ, ტრეფიკინგის მსხვერპლი ამ დანაშაულის ჩადენისათვის სს-ვი პასუხ-

[illegible] ან [illegible] ან [illegible] ან [

აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია განაპირობა მსოფლიო თანამეგობრობისათვის ისეთმა მასშტაბურმა პრობლემამ, როგორიცაა ადამიანთა ტრანსნაციონალური უკონტროლო გადაადგილება.

1990 წლის 18 დეკემბერს მიღებულია საერთაშორისო კონვენცია „ყველა მშრომელი მიგრანტისა და მისი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ". კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები და სატრანზიტო ქვეყნები თანამშრომლობენ უკანონო ან საიდუმლო გადაადგილების აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში. ეს თანამშრომლობა სხვა ზომებთან ერთად გულისხმობს მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უკანონო გადაადგილების გამოვლენასა და აღკვეთას,აგრეთვე ეფექტური სანქციების გამოყენებას იმ პირთა და ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან ასეთი გადაადგილებების ორგანიზაციას, განხორციელებას ან მისი ორგანიზაციისა თუ განხორციელებისათვის ხელშეწყობას.

მიგრანტთა უკანონო გადაადგილება გარეგნულად ზოგჯერ შრომითი მოწყობის, შვილად აყვანის ან სხვა კეთილშობილური მიზნით ხდება, მაგრამ სინამდვილეში ეს მიგრანტთა ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის წინაპირობა ხდება ხოლმე. საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანა ხშირად აუცილებელი ეტაპია ადამიანთა სხვადასხვა სახის ექსპლუატაციაში ჩაბმისათვის. პირი, რომელიც ფინანსური თუ სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით უზრუნველყოფს მიგრანტთა უკანონო გადაყვანას საზღვარზე, უნებლიეთ შეიძლება ტრეფიკინგის თანამონაწილედ იქცეს. ამრიგად, საშუამავლო საქმიანობა შრომითი მოწყობისათვის, შვილად აყვანისათვის, ან სხვაგვარი საქმიანობისათვის, რაც დაკავშირებულია ადამიანთა ტრანსნაციონალურ გადაადგილებასთან ხშირად ხელშემწყობი ფაქტორი ხდება სხვა დანაშაულის ჩადენისა ამიტომ ტრეფიკინგის შესაძლო ეტაპების სამართლებრივი რეგლამენტაცია გარკვეულ პრევენციულ როლს შეასრულებს მსხვერპლთა დასაცავად.

შემთხვევითი არ არის, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები (ადამიანთა, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთის და დამნაშავეთა დასჯის შესახებ დამატებითი პროტოკოლი და „სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ" მეორე დამატებითი ოქმი) ავალდებულებს სახელმწიფოებს ადამიანთა ტრანსნაციონალური გადაადგილების კონტროლის ქმედითი მექანიზმების შემუშავებას. სწორედ ამ საერთაშორისო ვალდებულებათა რეალიზაციის გამოძახილია სსკ 344[1] მუხლით გათვალისწინებუ-

[illegible] კრიმინალიზაცია. ბოლო ცოტა ხნით ადრე, 2005 წლის [illegible] პარლამენტმა მიიღო კანონი უცხოელთა სამართლებრივი [illegible]. რომლის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს [illegible] თანამშრომლობას უკანონო და ფარული მიგრაციის [illegible] საქართველოში. აგრეთვე თავიდან აიცილოს სტიქიური და [illegible] მიგრაცია, უზრუნველყოს მიზანმიმართული მი- [illegible] პოლიტიკა განხორციელება და ამ პროცესებში სახელმ- [illegible] მონაწილეობა. ეს კანონი განსაზღვრავს უცხოე- [illegible] საქართველოში შეშვების, სატრანზიტო გავლისა და [illegible] გაცემის ზოგად პრინციპებს, აგრეთვე უცხოელთა [illegible] და საქართველოდან გაძევების სამართლებრივ [illegible].

განსახილველი **დანაშაულის ობიექტური მხარე** ბლანკეტური სახ- [illegible] რადგან დამოკიდებულია და გამოიხატება საქართველოს სახელმ- [illegible] საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანაში ან/და მისთვის [illegible] ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნაში (ხელის [illegible] ნესების დარღვევით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხოელთა საქართველოში შემოს- [illegible] და ყოფნა სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს [illegible] საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდ- [illegible] შეესაბამება. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრან- [illegible] გადაყვანა ანდა მისთვის საქართველოში ყოფნისათვის პირობების [illegible] ყველაზე ნათლად ჩაითვლება თუ ის აღნიშნული კანონით დადგენილი [illegible] დარღვევით ხორციელდება. **მაგალითად,** უცხოელის საქართველოს [illegible] საზღვარზე გადაყვანა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთების წარდ- [illegible], საქართველოში შემოსვლა საერთაშორისო მიმოსვლისათვის [illegible] ადგილას გამჭრარი პუნქტის გვერდის ავლით, ან ვიზის [illegible] ან ვადაც მიგრანტისათვის საქართველოში ყოფნისათვის ხელის [illegible] საქართველოში ყოფნის ნებართვის გარეშე. საქართველოში [illegible] კანონიერად ყოფნის საფუძველია ვიზა ან ბინადრობის ნე- [illegible] ასევე კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულე- [illegible] გათვალისწინებული.

344 ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ **დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად ჩაითვლება ქმედების ჩადენისთანავე.** დანაშაულის [illegible] მხარე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

[illegible] პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. სუბიექტურ ელ- [illegible] (მოტივაცია და მიზანი) კანონმდებელი კვალიფიკაციისათვის [illegible] არ მიიჩნევს.

344[1] მუხლი ჩამოყალიბებულია სამ ნაწილად. **მუხლის მეორე ნაწილი** მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იგივე ქმედების ჩადენისათვის არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ, მიგრანტის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით,მიგრანტის მიმართ არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობით, მისი ექსპლუატაციის ჩათვლით, ყალბი საბუთების გამოყენებით.

344[1] მუხლის **მესამე ნაწილი** პასუხისმგებლობის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს ამ მუხლს პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას ორგანიზებული ჯგუფის მიერ ანდა რამაც გამოიწვია მიგრანტის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ზემოჩამოთვლილი დამამძიმებელი გარემოებების დიდი ნაწილი სპეციალურ განმარტებას არ საჭიროებს, თუმცა ზოგიერთ მათგანზე ყურადღებას შევაჩერებთ, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანა ან საქართველოში ყოფნისათვის ხელისშეწყობა მისი **სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით** გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა მიგრანტის გადასაყვანად ან მის სამყოფელად გამოყენებულია დახშული სივრცეები (მაგალითად, კონტეინერები), რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა ან ჯანმრთელობას, როცა ამ ადამიანთა გადაადგილებისა და ყოფისათვის ელემენტარული პირობებია უგულებელყოფილი. რაც შეეხება 344[1] მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტს, იგივე ქმედებას მიგრანტის მიმართ **არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობით, მისი ექსპლუატაციის ჩათვლით,** იგი გულისხმობს მიგრანტის გადაყვანას ან საქართველოში მის ყოფნას არაადამიანური, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებით, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს. აქვე შევნიშნავთ,რომ ეს პუნქტი შესაძლოა **კოლიზიაში მოვიდეს** სსკ 144[3] (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) და 143[1]-143[2] (ტრეფიკინგი) მუხლებით აღწერილ დანაშაულის შემადგენლობებთან. **მათი გამიჯვნა** ძირითადად ხდება იმით, თუ როდის წარმოეშო დამნაშავეს პირის ექსპლუატაციის მიზანი საზღვარგარეთ უკანონო გაყვანამდე, თუ მას შემდეგ, რაც უკვე გაიყვანა იგი მიგრანტის სახით. ამდენად, თუკი მიგრანტის გადაყვანა ექსპლუატაციის მიზნით ხდება, მაშინ სახეზეა სსკ 143[1]-143[2] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.

ქმედების 344[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად კვალიფიკაციისას უნდა გვახსოვდეს, რომ თავად მიგრანტი ანუ ის, ვინც უკანონოდ შემოდის საქართველოში ან გადის აქედან, სსკ 344 მუხლის საფუძველზე აგებს პასუხს – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის

უკანონო გადაკვეთა. ხოლო ის, ვინც ხელს უწყობს მას ანუ უკანონოდ გადაჰყავს მიგრანტი სახელმწიფო საზღვარზე ან მას საქართველოში ყოფნისათვის შესაბამის პირობებს უქმნის (მაგალითად, ბინა დაუთმო საცხოვრებლად) – სსკ 344[1] მუხლით აგებს პასუხს. მაშასადამე, სსკ 344[1] მუხლი არის აუცილებელი თანამონაწილეობით ჩასადენი დანაშაული, სადაც ქმედებები სსკ სხვადასხვა მუხლის საფუძველზე კვალიფიცირდება.

უფრო მეტიც, უცხოელი მოქალაქის ყოფნა საქართველოში **კანონიერად ყოფნის** ვადის ამოწურვის შემდეგ 10 დღიდან 3 თვემდე პერიოდის განმავლობაში, ანდა 3 თვეზე მეტ ხანს, დიფერენცირებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 191-ე მუხლის საფუძველზე, (საქართველოში უცხოელ მოქალაქეთა ყოფნის, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მგზავრობის წესების დარღვევა). ხოლო ის, ვინც მას საქართველოში ყოფნისათვის შესაბამის პირობებს უქმნის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 344[1] მუხლის საფუძველზე. მაშასადამე ერთი სამართალდარღვევის ორი თანამონაწილე სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ და განსხვავებულად აგებენ პასუხს, ერთი ადმინისტრაციული, ხოლო მეორე – სისხლის სამართლის წესით.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა (მუხლი 345-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება მდგომარეობს იმ საფრთხის წარმოქმნაში, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლამ.

345-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ქვეყანაში დადგენილი მმართველობის წესი, ხოლო უშუალო ობიექტი კი – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა იგი. **დანაშაულის საგანია** სასაზღვრო ნიშანი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლაში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ადგილზე აღინიშნება თვალსაჩინო სასაზღვრო ნიშნებით, რომელთა ფორმას, ზომასა და განლაგების თანმიმდევრობას განსაზღვრავს „სახელმწიფო საზღვრის

რეჟიმისა და დაცვის წესი". სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლაში იგულისხმება თუნდაც ერთი სასაზღვრო ნიშნის გადაადგილება, ამოღება ან განადგურება. **გადაადგილება** ნიშნავს სასაზღვრო ნიშნის ამოღებას ახალ ადგილზე დაყენებით. **ამოღება** გულისხმობს სასაზღვრო ნიშნის ამოძირკვას მის ახალ ადგილზე დაყენების გარეშე. **განადგურებად** უნდა მივიჩნიოთ სასაზღვრო ნიშნის შეუქცევადი დანგრევა, რომელიც საშუალებას არ იძლევა, აღვიქვათ იგი როგორც სასაზღვრო ნიშანი და გამოვიყენოთ პირდაპირი დანიშნულებით.

ობიექტური მხრივ **დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია**. იგი დამთავრებულია სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლის მომენტიდან.

დანაშაული **პირდაპირი განზრახვით** ხასიათდება პირს გაცნობიერებული აქვს, რომ კანონის დარღვევით ცვლის საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და სურს ეს. თუ დამნაშავეს სახელმწიფო საზღვრის შეცვლის მიზანი არ ამოძრავებს, სათანადო პირობების არსებობისას, მისი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ხულიგნობა, ან ნივთის დაზიანება ან განადგურება.

დანაშაულის სუბიექტია ყველა შერაცხადი ფიზიკური, გარკვეულ ასაკს მიღწეული პირი.

განსახილველი ნორმა უნდა გაიმიჯნოს სსკ 308-ე მუხლისაგან საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა**,** სადაც პირი ან პირთა ჯგუფი მოქმედებს იმ მიზნით, რომ უცხო ქვეყანას გადასცეს საქართველოს მთელი ტერიტორია, ან მისი ნაწილი, ან იმ მიზნით, რომ საქართველოს გამოეყოს ტერიტორიის ნაწილი და ჩამოყალიბდეს ცალკე სახელმწიფოდ.

ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში ასეთი მიზანი არაა სახეზე. დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს პროვოკაციული საქმიანობა, რაც მიმართულია სახელმწიფოში პოლიტიკური დესტაბილიზაციისკენ. ანდა სახეზეა სხვა პირადი მიზანი თუ მოტივი (მაგალითად, გართობა)

ამ მუხლის მეორე ნაწილით დამნაშავის პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ იგი **ჩადენილია ჯგუფურად**. ასევე იზრდება პასუხისმგებლობა მაშინაც,თუ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა ხდება ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

რაც შეეხება არაერთგზისობას, გარკვეულ ადგილზე რამდენიმე სასაზღვრო ნიშნის თანმიმდევრული ამოღება და გადაადგილება ან მისი განადგურება მცირე, უწყვეტი დროის განმავლობაში არაერთგზისობის ნიშანს არ წარმოშობს, ვინაიდან არაერთგზისობის აუცილებელი წინაპირობაა პირის ნასამართლეობა ამ დანაშაულისათვის.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლის

კიდევ ერთ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს აღნიშნული მოქმედებით მძიმე შედეგის გამოწვევა. ეს მოქმედება კი უკვე დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას გვაძლევს. მძიმე შედეგი შეიძლება იყოს სახელმწიფო საზღვრის გარკვეული უბნის ნორმალური ფუნქციების დარღვევა და ამით გამოწვეული მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების არსებითი დარღვევა,ანუ საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლების შეფერხება. მძიმე შედეგში ასევე შეიძლება ვიგულისხმოთ სასაზღვრო კონფლიქტის წარმოშობა; საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი გამოიწვია და სხვა მსგავსი შედეგი.

სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, დანაშაულებრივი ქმედების მიმართ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს,ხოლო შედეგის მიმართ კი დანაშაული შეიძლება გამოიხატოს როგორც არაპირდაპირ განზრახვაში, ისე გაუფრთხილებლობაშიც (თუ დადგა ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება).

საქართველოს სახელმწიფო ალმის უკანონოდ აღმართვა (მუხლი 346-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო დროშის ან ამოსაცნობი ნიშნის უკანონოდ აღმართვის მიზანი შეიძლება იყოს სხვა დანაშაულის ჩადენა, მაგალითად, მეკობრეობა. 1958 წლის 29 აპრილის ჟენევის კონვენცია ღია ზღვის შესახებ ითვალისწინებს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, რომ მისი ხომალდი ღია ზღვაში ცურავდეს თავისი დროშით. კონვენცია ადგენს, რომ ხომალდს აქვს იმ სახელმწიფოს სტატუსი, ვისი დროშითაც მას მიმოსვლის უფლება ენიჭება.

სისხლის სამართლის კოდექსის განსახილველ მუხლში სახელმწიფო დროშის ნაცვლად, ნახმარია ტერმინი „სახელმწიფო ალამი“, რაც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციის ტექსტს, ისე დებულებას სახელმწიფო დროშის შესახებ. ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს.

სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების თანახმად, სახელმწიფო დროშა აღიმართება გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწერის ადგილია საქართველოს ტერიტორია, აგრეთვე საზღვაო და შინაგანი მიმოსვლის გემებსა და მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომლებზეც ოფიციალური პირების სახით იმყოფები-

ან: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან სხვა პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფოს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები და კონსულები – მათი თანხმობით.

ზემოაღნიშნული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია სახელმწიფოში დადგენილი მმართველობის წესი, ხოლო **დანაშაულის საგანია** სახელმწიფო დროშა ან ამოსაცნობი ნიშანი, რომელიც ხომალდზე უკანონოდ არის აღმართული.

დანაშაული **ობიექტური მხრივ** ხომალდზე საქართველოს დროშის ან ამოსაცნობი ნიშნის უკანონო აღმართვაში გამოიხატება. იგი დამთავრებულია მოქმედების განხორციელების მომენტიდან და დანაშაულებრივი შედეგის დადგომა მისი შემადგენლობის ფარგლებს გარეთ რჩება.

346-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ **პირდაპირი განზრახვით**, როდესაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა და, ამისდა მიუხედავად, მაინც უკანონოდ აღმართავს გემზე სხვა სახელმწიფოს დროშას ან ამოსაცნობ ნიშანს და სურს ეს.

თუ ეს ქმედება მიზნად ისახავს აგრეთვე სხვა დანაშაულის ჩადენას (მაგალითად, საბაჟო წესის დარღვევას), მაშინ იგი დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება.

ზემოაღნიშნული დანაშაულის სუბიექტია შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელმაც თოთხმეტი წლის ასაკს მიაღწია.

შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა (მუხლი 347-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანებს. ეს ნორმა ბლანკეტურია და მიუთითებს სპეციალური წესების დარღვევაზე, რომელიც სათანადო კანონშია მითითებული.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით აღიარებულია,რომ ყველას, იმ პირების გარდა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარა-

ღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლში დასჯადად არის გამოცხადებული შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის, ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა.

შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა დანაშაულად არის აღიარებული **მხოლოდ იმ შემთხვევაში**, თუ ამ აქციამ მძიმე შედეგი გამოიწვია.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 12 ივნისს მიღებულია „კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", რომელიც აწესრიგებს პირებისათვის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ,ისე გარეთ. ზემოაღნიშნული უფლება არ ვრცელდება სამხედრო ძალების,პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში მყოფ პირებზე.

ამ კანონით გათვალისწინებულია ხელისუფლების გაფრთხილების აუცილებლობა,თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ იქონიონ იარაღი, ფეთქებადი, ადვილად აალებადი, ცრემლმდენი, რადიაქტიური, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების და მომწამვლელი ნივთიერებანი, ალკოჰოლიანი სასმელები და სხვა.

ასეთ შემთხვევაში შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე.

347-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ქვეყანაში დადგენილი მმართველობის წესი, ხოლო უშუ-

ალო ობიექტი – მოსახლეობის უსაფრთხოება.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული ორგანიზატორის მიერ შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევაში გამოიხატება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. ცხადია, ამ დანაშაულის **შემადგენლობა მატერიალურია;** დანაშაულის დამთავრებისთვის აუცილებელია მძიმე შედეგის დადგომა. იგი შეფასებითი ნიშანია და სასამართლომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებიდან გამომდინარე, უნდა დაადგინოს.

დანაშაულით მძიმე შედეგის გამოწვევა შეიძლება გულისხმობდეს ადამიანთა ჯანმრთელობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, ტრანსპორტის მოძრაობის ხანგრძლივ შეფერხებას და სხვა. თუ ამ დანაშაულმა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, იგი დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, 347-ე მუხლითა და ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სათანადო მუხლით.

დანაშაული მოქმედების მიმართ (წესის დარღვევა, რაც ადმინისტრაციული გადაცდომაა) პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. რაც შეეხება სუბიექტის დამოკიდებულებას შედეგის მიმართ, იგი შეიძლება გამოიხატოს გაუფრთხილებლობაში. საბოლოოდ, ეს დანაშაული გაუფრთხილებელია,

347-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულის სუბიექტია** შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ორგანიზატორი (14 წელს მიღწეული, ბრალუნარიანი პირი), რომელიც დანაშაულის ამსრულებლად გვევლინება. ამდენად, აქ საქმის **ფაქტობრივი და იურიდიული მხარე არ ემთხვევა ერთმანეთს** (სამართლებრივი ფიქცია). ფაქტობრივი ორგანიზატორი იურიდიულად ამსრულებელია, ხოლო ფაქტობრივ ამსრულებელს იურიდიულად არ დაეკისრება სს-ვი პასუხისმგებლობა. ამდენად, შეკრებისა თუ მანიფესტაციის სხვა მონაწილეები სისხლის სამართლის წესით არ ისჯებიან, თუ მათ ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, რაც სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით დაკვალიფიცირდება (მაგალითად, შეკრების მონაწილის მიერ სხვა პირის ჯანმრთელობისათვის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების მიყენება).

გაფიცვის წესის დარღვევა (მუხლი 348-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაშია, რომ დადგენილი წესის დარღვევით გაფიცვამ ქვეყანაში შეიძლება გამოიწვიოს შრომის პროცესის შეფერხება და, აქედან გამომდინარე, მისთვის მძიმე ეკო-

[illegible] ვალდებულება შეეძინა.

ადრეთქმულია კონსტიტუციის 33-ე მუხლით გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით, კანონი აღგვება ამკრძალავად სახიფათოდ მნიშვნელოვანი საქმიანობის ორგანიზაციაში გარანტიებია.

ამჟამად დაბეჭდილი ბლანკეტური ხასიათის ნორმას წარმოადგენს და ორგანიზებული და სახელმწიფო ორგანოებმა გაფიცვის წესის დარეგულირება დაადგინონ ცუდად მიმართონ კანონს – „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ", რომელიც მიღებული იყო 1998 წლის 30 ოქტომბერს.

ეს კანონი ორივე ორგანიზაციასთან ერთად განსაზღვრავს გაფიცვის უფლების რეალიზაციის წესს და ვრცელდება ყველა მუშაკზე, დამსაქმებელზე, მუშაკთა და დამსაქმებელთა გაერთიანებებსა და მათ მიერ უფლებამოსილ ორგანოებზე, აგრეთვე ყველა სანარმოზე, დაწესებულებასა და ორგანიზაციაზე მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

ზემოაღნიშნული კანონი გაფიცვას განმარტავს, როგორც კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების მიზნით მუშაკთა დროებით, ნებაყოფლობით ურის შრომითი მოვალეობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებას.

დაბეჭდილისაგან ასევე დაცვის ობიექტია მშრომელობის დაცვა წესი, თუმცა უფრო ფართო ობიექტი კი ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობა. ობიექტურად დაბეჭდილი გამოიხატება გაფიცვის შედეგად ამ სფეროში ორგანიზატორის მიერ, რამაც გამოიწვია მისი შეჩერება. დაბეჭდილი **მატერიალურ შემადგენლობათა** რიცხვს მიეკუთვნება და დამთავრებულია მხოლოდ მაშინ, თუ მძიმე შედეგი დადგა. ანუ მას შეჩერება გაფიცვის არსებობასა და მის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს შორის. რაც შეეხება ბრალს, ის ორივე ფორმით შეიძლება.

მძიმე შედეგი გაფიცვის დროს ეროვნული ეკონომიკისათვის ან ქვეყნის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, ან ადამიანის სიცოცხლის საფრთხის შექმნა, ან ადამიანის სიკვდილის გამოწვევა, სახელმწიფოში ეკონომიკური [illegible] ან ზიანის მიყენება, რომელიც ადამიანისათვის

დარღვევით გაფიცვის მომწყობი ამ აქციის ორგანიზატორი, რომელიც ამსრულებლის როლში გამოდის. გაფიცვის სხვა მონაწილეები ამ დანაშაულის სუბიექტებს არ წარმოადგენენ. მათ მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულებრივი მოქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

ადმინისტრაციულ წარმოებაში ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ანდა განზრახ არასწორად თარგმნა (მუხლი 348[1])

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2008 წლის 21 მარტს დაემატა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა განასხვავებს ადმინისტრაციულ წარმოებას და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას. ადმინისტრაციული წარმოების სახეებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს განსაზღვრავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,ხოლო ადმინისტრაციული სამართალწარმოება ანუ, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესი დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. ამასთანავე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა მოწმის და ექსპერტის სტატუსს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამოღებულია, რადგან მასზე ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

სსკ 348[1] მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაზე (და არა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე) და ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემაში ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემაში ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნაში.

ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწმის ან ექსპერტის მიერ ჩვენების მიცემის წესი რეგლამენტირებულია სზაკ-ის 97-ე, 109-112 მუხლებით, ამასთანავე 97-ე მუხლის მეორე ნაწილში საუბარია მოწმის ან ექსპერტის ახსნა-განმარტებაზე, ხოლო 112-ე მუხლში მოწმის ან ექსპერტის ჩვენებაზე. ალბათ, უფრო მართებულია ახსნა-განმარტება, რამეთუ სამართლის სისტემის ერთიანობიდან გამომდინარე ჩვენების მიცემა სასამართლოს სხდომაზე ხდება, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდება ახსნა-განმარტებაა.[111] ამავე დროს ზაკ-ის 97-ე მუხლის მიხედვით ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად. ეს იმას ნიშნავს, რომ მოწმე, ექსპერტი ან თარჯიმანი გაფრთხილებული უნდა იქნენ მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ. გამოდის რომ,ადმინისტრაციული წარმოება კვაზი სასამართლო წარმოებაა შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით. ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული სამართალწარმოება ორი აბსოლუტურად განსხვავებული საქმის წარმოებაა და საკითხავია რატომ ვრცელდება მასზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. განა შეიძლება მმართველობის ორგანომ სასამართლო ფუნქციები შეითავსოს?!

გარდა ამისა, მტკიცებულების მნიშვნელობა პროცესში ექსპერტის დასკვნას აქვს და არა მის ჩვენებას, სახელდობრ, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულების წყაროს წარმოადგენს ექსპერტის დასკვნა და არა მისი ჩვენება; სსკ 348[1]-ე მუხლის მიხედვით ექსპერტის როგორც დასკვნა,ასევე ჩვენება დამოუკიდებელი დევნის საფუძველია, რაც არალოგიკურია. ექსპერტის ჩვენება ტერმინოლოგიურადაც არასწორია, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით ექსპერტი აკეთებს დასკვნას, ხოლო მისი განმარტების მიზნით შეიძლება მან ახსნა-განმარტება მისცეს (მუხლი 102, მეორე ნაწილი), ამავე მუხლის მიხედვით მოწმე აძლევს ჩვენებას და არა ახსნა-განმარტებას. მაშასადამე,ეს პრობლემა ტერმინოლოგიურადაც დაზუსტებას საჭიროებს როგორც ზოგად ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის კოდექსში. მით უფრო როცა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მოწმის ჩვენების სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოგვცა.[112]

[111] ანალოგიური ნორმა უკვე გვაქვს სსკ 350-ე მუხლის სახით, სადაც საუბარია საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ ახსნაგანმარტების მიცემაზე. თუმცა ეს ნორმაც იგივე ხარვეზების მატარებელია, რაც 3481-ე მუხლს ახასიათებს.

[112] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით თუ საკითხის გადაწყვეტა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია რიგ შემთხვევებში დანიშნოს ექსპერტიზა, თუმცა ამ დროს ექსპერტის მიმართ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს სპეციალურ ნორმას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (ადმინისტრაციული პროცესი) ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან არასწორი თარგმანისათვის. ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი სისხლის სამართლის წესით ისჯებოდეს, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში – არა. მაგრამ თუკი სსკ 370-ე მუხლს ფართო განმარტებას მივცემთ მასში შეიძლება ადმინისტრაციული სამართალწარმოებაც ვიგულისხმოთ. რადგან სსკ 370 მუხლი არ აკონკრეტებს რომელ სასამართლო პროცესზეა საუბარი, ის შეიძლება ფართოდ გავიგოთ და მასში ყოველგვარი პროცესი ვიგულისხმოთ. გამოდის რომ მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში ცრუ ჩვენებისათვის, ყალბი დასკვნისათვის ან არასწორი თარგმანისათვის სპეციალური ნორმა შემოიტანა კანონმდებელმა. რამდენად აუცილებელი იყო ამგვარი სპეციალური ნორმა ან რა საფრთხის მატარებელია მსგავსი ქმედება ალბათ არავინ დაფიქრებულა მისი კრიმინალიზაციის დროს. მაგრამ ეს ნოვაცია სხვა უხერხულობას წარმოშობს სამართალში, დავუშვათ მოქალაქემ თბილისის მერიას მიმართა განცხადებით მიწის ლეგალიზაციის შესახებ. მერიაში ადმინისტრაციული წარმოების დროს მოქალაქეს თავისი მეზობელი მოწმედ დაუდგა და დაადასტურა მის მიერ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. შემდგომ გაირკვა რომ მოწმის ჩვენება ყალბი იყო. მოწმე სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს, ხოლო მიწის ლეგალიზაციით დაინტერესებული მოქალაქე, რომელიც იგივეს ამტკიცებს შეიძლება საერთოდ დაუსჯელი დარჩეს. ასეთსავე უხერხულობას წარმოშობს ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი ადმინ-

---

არ ვრცელდება ის წესები, რაც დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით. (იხ.ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ.2005, გვ.235) ეს თავისთავად მართებული მოსაზრება წინააღმდეგობაში მოდის სსკ 3481 მუხლის შინაარსთან,რომლის მიხედვითაც ექსპერტი შესაძლებელია სისხლის-სამართლებრივი დევნის ობიექტად იქცეს. თუკი ექსპერტის მიმართ არ ვრცელდება საპროცესო კანონმდებლობა მაშინ რა საფუძვლით შეიძლება მისი დევნა?! თანაც 3481 მუხლი არ აკონკრეტებს რომელი სახის ადმინისტრაციულ წარმოებას გულისხმობს, რაც ერთი შეხედვით ყველა სახის ადმინისტრაციულ წარმოებას მოიცავს. ეს კი აბსურდულ დასკვნებამდე მიგვიყვანს. 3481 მუხლი თუნდაც ამ თვალსაზრისით საჭიროებს დაკონკრეტებას და მითითებას, რომ მასში მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება იგულისხმება. ამასთანავე, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

იაღარაკიულ სამართალწარმოებაში. თუკი სსკ 370-ე მუხლში ადმინისტრაციულ პროცესსაც ვიგულისხმებთ, მაშინ გამოდის, რომ სიცრუე, აღალბე კრიმინალია, ხოლო ის რაზეც ცრუობენ ან ყალბ დასკვნას იძლევიან ადმინისტრაციული გადაცდომა. სამართალდარღვევა რომლის თაობაზეც. ცრუ ჩვენებას იძლევა მოწმე უფრო ნაკლები ხარისხის უბედურებაა, ვიდრე თავად მოწმის ქმედება. დავუშვათ მოწმემ ცრუ ჩვენება მიაცა წვრილმანი ხულიგნობის ან საგზაო მოძრაობის წესის დარღვევის თაობაზე, მოწმე სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს, ხოლო თავად ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენი მხოლოდ ადმინისტრაციულ სახდელს დაიმსახურებს. ალბათ 348[1]-ე მუხლის ავტორი ამ ამკითხით არ დაფიქრებულა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ სამართლის სისტემის ერთიანობიდან გამომდინარე არ შეიძლება მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების წყაროს,სხვადასხვაგვარი გაგება არსებობდეს სამოქალაქო და სისხლის პროცესში.

სსკ 348[1]-ე მუხლით აღწერილი ქმედების **სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები** იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც 370 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.

348[1] მუხლს აქვს შენიშვნა – მოწმე, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ **გადაწყვეტილების მიღებამდე** ნებაყოფლობით განაცხადებს თავის მიერ ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემის ანდა განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ.

ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა (მუხლი 348[2])

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ეს ნოვაცია 2008 წლის 21 მარტს განხორციელდა. ადმინისტრაციულ წარმოებაში არის იმგვარი ზიგზაგური ელემენტი,რომლის მიხედვითაც მოწმეს ჩვენების მიცემის ვალდებულება ეკისრება. სახელდობრ, ზაკ-ის 97-ე მუხლი, რომელიც ეხება მტკიცებულებათა გამოკვლევას ადმინისტრაციულ წარმოებაში, აღგენს, რომ მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია მისცეს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავე კოდექსის 109-ე მუხლის მიხედვით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს,მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება, ხოლო ექსპერტი – დასკვნა. ამგვარად, მოწმის ისევე ჩვენების მიცემის ვალდებულება პირდაპირ კანონით არის განსაზღვრული (იხ. მუხლი 109). სწორედ ამ ვალდებულების რეალიზაცი-

ისათვის არის კრიმინალიზებული მოწმის უმოქმედობა, რაც გამოიხატება ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმაში, თუ ჩვენების მიცემის ვალდებულება განსაზღვრულია კანონით. რამდენად აუცილებელია ამგვარი ქმედების კრიმინალიზაცია და რა საშიშროების მატარებელია, ცხადია, ამაზე არავის უფიქრია.

ცნობილია, რომ რიგ ქვეყნებში ჩვენების მიცემა მოწმის უფლებაა და არა ვალდებულება, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც მოწმისათვის ჩვენების მიცემა მოვალეობაა, დასჯადია, მხოლოდ ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით მოწმეს ჩვენების მიცემის ვალდებულება აქვს როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე სასამართლოში. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მოწმეს ამგვარი ვალდებულება ეკისრება მხოლოდ სასამართლოში, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ (სსსკ მ. 3, პ. 20). **ასეთ ვითარებაში საკითხავია:** რატომ ვავალდებულებთ მოწმეს ჩვენების მიცემას ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე? რამდენად მართებულია მმართველობის ორგანომ სასამართლო ფუნქციები შეითავსოს[113]. ამგვარი ვალდებულებით მოწმე მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს შეიძლება იყოს შებოჭილი, ვინაიდან იგი სასამართლო პროცესის ერთ-ერთი სახეა, სადაც მოწმეს და ექსპერტს აფრთხილებენ მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 145, 166-167). უფრო მეტიც, სასამართლო პროცესზე მოწმე შეიძლება იძულებითაც მიიყვანონ,მაგრამ მსგავსი რამ წარმოუდგენელია ადმინისტრაციული წარმოების დროს, სადაც მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ერთადერთი გზა რჩება,მიმართოს ადმინისტრაციულ სასამართლოს ჩვენების მოპოვების თხოვნით. მაშინ რას ემსახურება სსკ 348[2] მუხლი გაურკვეველია, როცა შესაბამისი მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესი ცალსახად გარკვეულია და საპროცესო უზრუნველყოფის წესებიც რეგლამენტირებულია.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმისათვის სსკ 371-ე მუხლი უნდა მოვიმარჯვოთ, რადგან ეს მუხლი ნებისმიერ სასამართლო პროცესს გულისხმობს.

სსკ 348[2]-ე მუხლის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები 371-ე მუხლით აღწერილი ქმედების ნიშნების ანალოგიურად უნდა გავიგოთ. ამაზე მსჯელობა ქვემოთ გვექნება.

---

[113] ცნობილია, რომ 2011-2012 წლების მიჯნაზე ამ უფლებით ბოროტად ისარგებლა კონტროლის პალატამ, რასაც საქართველოს არაერთი მოქალაქის უფლების შელახვა მოჰყვა.

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა (მუხლი 349-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში იქმნება დროებითი საგამოძიებო კომისია. საგამოძიებო კომისიის შესახებ კანონში, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 17 აპრილს, აღნიშნულია, რომ საგამოძიებო კომისია იქმნება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და მასზე შესაბამისი რეაგირების მიზნით.

კომისიის მოთხოვნით სახელმწიფო ორგანოები,თანამდებობის პირები, იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან, კომისიის მიერ დადგენილ ვადაში,წარმოადგინონ საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები. კომისიას უფლება აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ამა თუ იმ გარემოების გამო, მოიწვიოს და წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას ნებისმიერ პირს, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

349-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია მმართველობის დადგენილი წესი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება დამნაშავის მიერ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობაში, ანუ,სხვაგვარად რომ ვთქვათ,კომისიისათვის დადგენილ ვადაში გარკვეული საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი დასკვნებისა და სხვა საჭირო მასალის წარუდგენლობაში, აგრეთვე დამნაშავის მიერ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მოწვევისას საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობასა და წერილობითი ახსნა-განმარტების წარუდგენლობაში. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული დანაშაული უმოქმედობით ხორციელდება და იგი დამთავრებულია დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის მომენტიდან.

განსახილველი დანაშაული განზრახია. სუბიექტური მხრივ კი დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. იგი სხვადასხვა შეიძლება იყოს. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობისას **დანაშაულის სუბიექტი** შეიძლება იყოს ყველა კერძო ან თანამდებობის პირი, ვინც ვალდებულია შეასრულოს საგამოძიებო კომისიის მოთხოვნა.

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა (მუხლი 350-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ქვეყანაში დადგენილი მმართველობის წესი. **ობიექტური მხარე** გამოიხატება დამნაშავის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ ახსნა-განმარტების მიცემაში. დანაშაული ფორმალური შემადგენლობით ხასიათდება და დამთავრებულია ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელების მომენტიდან.

კანონში დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ მითითებულია, რომ ახსნა-განმარტების ჩამორთმევის წინ მოწვეულ თანამდებობის ან კერძო პირს აფრთხილებენ შეგნებულად ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. მასში ასევე მითითებულია, რომ 16 წლამდე არასრულწლოვანისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევას უნდა ესწრებოდეს მისი კანონიერი წარმომადგენელი. არასრულწლოვანს განემარტება, რომ აუცილებელია სწორი ახსნა-განმარტების მიცემა, მაგრამ მას არ აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისათვის. აღსანიშნავია, რომ ახსნა-განმარტება არ არის პროცესუალური დოკუმენტი, იგი, ამავე დროს, არც მტკიცების წყაროა, ამიტომ ახსნაგანმარტების ჩამორთმევისას პირი არ შეიძლება გაფრთხილებულ იქნეს ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მით უფრო, რომ სსკ 370-ე მუხლში ცრუ ჩვენებაზეა საუბარი და არა ახსნა-განმარტებაზე.

350-ე მუხლი გაუგებრობას ინვევს, თუ რა უპირატესობა გააჩნია პარლამენტის დროებით საგამოძიებო კოჟისიას საგამოძიებო ორგანოებთან შედარებით და რის საფუძველზე უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში პირი, თუ ახსნა-განმარტება პროცესუალური დოკუმენტი არ არის, ხოლო დანაშაულის ჩადენისას პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა სცილდება დროებითი საგამოძიებო კომისიის კომპეტენციის ფარგლებს. მას მხოლოდ შეუძლია შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე დააყენოს საკითხი სისხლის სამართლის დევნის აღძვრის შესახებ.

350-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. შესაძლოა დამნაშავეს ამოძრავებდეს თავისი ან ახლობლის დასჯის შიში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩად-

ცნობისმოყვარეობა, შურისძიება და სხვა პირადი მოტივები. მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანაშაულის დროს. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის ცრუ ახსნა განმარტების მიცემისას დანაშაულია აბსოლუტურად ყველა ის კერძო ან თანამდებობის პირი, ვინც ვალდებულია სწორი ახსნა-განმარტება მისცეს საგამოძიებო კომისიას.

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემის გახმაურება (მუხლი 351-ე)

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემის გახმაურებაა საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ საქმეზე შეკრებილი ინფორმაცია შეიძლება იმ პირებისათვის გახდეს ცნობილი, რომლებიც დაინტერესებული არიან გამოძიების შედეგით და ინფორმაციას გამოიყენებენ კომისიის მიერ სწორი დასკვნის მიღების საწინააღმდეგოდ. დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ქვეყანაში დადგენილი სახელმწიფოს წესი. ამასთან, დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს განათლების ინტერესი და სახელმწიფოს უსაფრთხოება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემის სათანადო ნებართვის გარეშე გახმაურებაში. ცნობის გახმაურების ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ სათანადო ინფორმაციის თუნდაც ერთი პირისათვის განდობა. ეს შეიძლება მოხდეს როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით.

351-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაული დამთავრებულია** სათანადო ნებართვის გარეშე დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემის გახმაურების მომენტიდან. ამასთან, მოქმედების შეფასებისას და დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ გახმაურებული ინფორმაცია ვისთვის გახდა ცნობილი

ამ ინფორმაციით დაინტერესებული პირისა თუ სხვა პირებისათვის ამ ინფორმაციის გახმაურებას არასასურველი შედეგი მოჰყვა და ეს მეტყველებს მოცემული დანაშაულის ნიშნებს, სახეზე გვექნება დანაშაულის მატერიალური.

სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს: მაგალითად, თავის გამოჩენა, ანგარება, შურისძიება და სხვა პირადი მოტივი. **დანაშაულის სუბიექტია** როგორც პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი, აგრეთვე ის პირი, რომელიც ინფორმაციას კომისიის მუშაობაში. ისინი შეიძლება იყვნენ

საგამოძიებო კომისიაში მომუშავე სპეციალისტები და მოწვეული ექსპერტები.

დანაშაული განზრახია. იგი შეიძლება გამოიხატოს **პირდაპირ განზრახვაში**. დამნაშავე, მიუხედავად იმისა, რომ დროულად არის გაფრთხილებული წინასწარი გამოძიების მონაცემების თუ სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, მაინც ახმაურებს მას და სურს ეს. ამით კი ხელს უშლის საგამოძიებო საქმიანობის სწორ წარმართვას ან საფრთხეს უქმნის ქვეყნის სახელმწიფო უშიშროებას.

სახალხო დამცველზე ზემოქმედება (მუხლი 352-ე)

სახალხო დამცველზე ზემოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი მოქმედებით ხელყოფილია კონსტიტუციური დებულება სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის შესახებ, ასევე მისი პრესტიჟი და ავტორიტეტი.

კონსტიტუციიდან გამომდინარე,1996 წლის 16 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ, რომელშიც აღინიშნა, რომ რაიმე ზემოქმედება სახალხო დამცველზე ან ჩარევა მის საქმიანობაში აკრძალულია; ასევე ისჯება სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა.

352-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ქვეყანაში დადგენილი მმართველობის წესი, ხოლო დამატებითი ობიექტია კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

თავისი **ობიექტური შემადგენლობით** დანაშაული გამოიხატება ნებისმიერი ფორმით სახალხო დამცველზე ზემოქმედებაში, რაც გულისხმობს კერძო პირების ჩარევას სახალხო დამცველის საქმიანობაში, რათა ამა თუ იმ საკითხზე შემოწმების ჩატარებისას სახალხო დამცველმა მათთვის სასურველი გადაწყვეტილება მიიღოს. ამგვარი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს დამნაშავის მხრიდან თხოვნასა ან მოთხოვნაში. თხოვნის შესრულების შედეგად საფასურიც შეიძლება იყოს დათქმული. მოთხოვნა, ხშირ შემთხვევაში, გამაგრებულია მუქარით. იგი გულისხმობს სახალხო დამცველის დაშინებას მასზე ზემოქმედების მიზნით; სახელდობრ, თვით სახალხო დამცველის ან მისი ახლო ნათესავების მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების განადგურების მუქარას.

სახალხო დამცველზე ზემოქმედება,მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, შეიძლება გამოიხატოს სამსახურებრივი ადგილსამყოფელის პიკეტირებით, პლაკატებისა და ლოზუნგების დემონსტრირებით, რომლებშიც მოთხოვნებია ასახული; მიტინგის ან დემონსტრაციის ჩატარებით; სახალხო დამცველის სამსახურის შენობაში შეჭრითა და შიმშილობით და სხვა.

განსახილველი **დანაშაული დამთავრებულია** სახალხო დამცველზე ზემოქმედების განხორციელების მომენტიდან, კერძოდ, ისეთი მოქმედების ან აქციის დაწყების მომენტიდან; რომელიც უშუალოდ არის მიმართული სახალხო დამცველის მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლისაკენ. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არ არის საჭირო, რომ სახალხო დამცველზე ზემოქმედებამ გავლენა იქონიოს მასზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

დანაშაულის მიზანია სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელის შეშლა **(მიზნით დაფუძნებული დელიქტი)**. მოტივი შეიძლება იყოს პირადი დაინტერესება, ანგარება და სხვა, რასაც არა აქვს მნიშვნელობა ქმედების კავლიფიკაციისათვის.

დანაშაულის ამსრულებელია ყველა ფიზიკური შერაცხადი პირი, რომელმაც 14 წლის ასაკს მიაღწია.

352-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ სახალხო დამცველზე ზემოქმედებას დამნაშავე ახდენს **თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.** სახელდობრ, ეს შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის მიერ სახალხო დამცველისადმი ვითომ რჩევის ან მითითების მიცემაში. აქაც არ არის გამორიცხული მუქარის აშკარა ან შენიღბული ფორმა; ან პირიქით, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სახალხო დამცველისათვის რაიმე სიკეთის გადაცემის დაპირება და სხვა.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ამ დანაშაულის სუბიექტია სახელმწიფო მოხელე,რომელიც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს სახალხო დამცველზე მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით.

წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ (მუხლი 353-ე)

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა ფაქტობრივად აერთიანებს საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე209-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობებს,რომლებიც დიფერენცირებულ პასუხისმგებლობას ადგენდნენ სხვადასხვა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის, აგრეთვე მათ მიმართ მუქარისა და ძალადობის განხორციელებისათვის. სისხლის სამართლის ახალ კოდექსში ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა, მუქარა, ანდა ძალადობისათვის პასუხისმგებლობა ინტეგრირებულია განსახილველ შემადგენლობაში. სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობა; ხოლო დამატებით ობიექტს – მისი პირადი უსაფრთხოება (ჯანმრთელობა, ხელშეუხებლობა, პირადი თავისუფლება). საზოგადოდ, **ხელისუფლების წარმომადგენელში იგულისხმება** სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენელი. ხელისუფლების წარმომადგენელი სამსახურო მოხელეთა განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელსაც განმკარგულებელი უფლებამოსილება გააჩნია ყველა მოქალაქის მიმართ, განურჩევლად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი მის უწყებრივ დაქვემდებარებაში. მაგალითად,პოლიციის მუშაკები,საბაჟო და საგადასახადო სამსახურის მუშაკები და სხვა. მაშასადამე,ხელისუფლების წარმომადგენლებს გააჩნიათ უფლებამოსილება, განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები იმ მოქალაქეების მიმართაც, რომლებიც მათ უწყებრივად არ ექვემდებარებიან. ამ შემთხვევაში ისინი გამოდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სახელით და გააჩნიათ უფლებამოსილება პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე შემადგენლობად არის გამოყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლისადმი მუქარა ან ძალადობა **სამართალწარმოების განხორციელებასა ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით** (მუხლი 365-ე), ასევე წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობით, თავდასხმით და სხვ. (მუხლი 378-ე). ამიტომ ხელისუფლების აღნიშნული წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მუქარა

ან ძალადობა უნდა დაკვალიფიცირდეს **არა 353-ე**, არამედ შესაბამისად, 365-ე ან 378-ე მუხლებით.

353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებაში: ა)პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ ძალადობით ან ძალადობის მუქარით წინააღმდეგობაში (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით); აგრეთვე ბ) აშკარა უკანონო ქმედებისათვის მის იძულებაში ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, რომელიც პოლიციის უპირველესი მოვალეობაა, გულისხმობს საზოგადოებრივი სიმყუდროვის, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მოქალაქეთა მართლზომიერი ქცევის, პიროვნების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას, ასევე ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ნორმალური საქმიანობის პირობების შექმნას.

პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის მიზნით, შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად,საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას სამართალდარღვევის აღკვეთისათვის ხელის შეშლაში, პატრულისათვის კანონიერი საფუძვლით დაკავებისას გაქცევის ცდაში ძალადობით ან ძალადობის მუქარით და მისთ. წინააღმდეგობა ხელისუფლების წარმომადგენლის საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, შეიძლება გამოვლინდეს ძალადობით ან ძალადობის მუქარით შემოსავლების სამსახურის მუშაკისადმი წინააღმდეგობაში,რომელიც საბაჟო ან საფინანსო კონტროლს ახორციელებს (მაგალითად,მუქარა, არ შეამოწმოს ტვირთი დაკავების ან საპროცესო კონფისკაციის თავიდან ასაცილებლად).

ხელისუფლების წარმომადგენლის **აშკარა უკანონო მოქმედებისათვის იძულება** შეიძლება გამოიხატოს ძალადობით, მასზე აქტიურ ზემოქმედებაში აშკარად უკანონო მოქმედების შესასრულებლად. მაგალითად, გაანადგუროს ესა თუ ის დოკუმენტი (საგზაო მოძრაობის ან საბაჟო წესის დარღვევის აქტი), დააბრუნოს ჩხრეკის ან შემოწმების დროს ამოღებული ნივთი, არ დააკავოს სამართალდამრღვევი, არ ამოიღოს ესა თუ ის ნივთი, რომელიც ამოღებას ექვემდებარება (მაგალითად, დანაშაულის საგანი ან საშუალება) და მისთ.

353-ე მუხლის დისპოზიციაში არ არის დაკონკრეტებული ძალადობისა და ძალადობის მუქარის შინაარსი. **ძალადობაში** უნდა ვიგულისხმოთ ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა და მისთ. კანონის სისტემატური განმარტებიდან გამომდინარე, თუ ძალადობა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში ან მკვლელობაში გამოიხ-

ატა, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობით მოხდება ქმედების კვალიფიკაცია, ვინაიდან ასეთი ძალადობა უფრო მკაცრად ისჯება,ვიდრე 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. კანონის ტექსტიდან გამომდინარე, **ძალადობის მუქარა** მოიცავს როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ, ისე ასეთი საშიშროების არმქონე მუქარას. მუქარა უნდა იყოს ისეთი, რომ ხელისუფლების წარმომადგენელს მისი განხორციელების რეალური შიშის საფუძველი გაუჩნდეს.

თავისი კონსტრუქციით მოცემული **დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია** და იგი დამთავრებულად ჩაითვლება მოქმედების ჩადენისთანავე, ე.ი. ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევის ანდა მისი იძულების მომენტიდან. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, შეძლო თუ არა დამნაშავემ პოლიციის მუშაკისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ხელის შეშლა, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობის შეწყვეტა ან შეცვლა, ანდა აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება.

353-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იმავე ქმედების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით არის ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წლის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი.

დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. კერძოდ, პირს გაცნობიერებული აქვს, რომ წინააღმდეგობას უწევს პოლიციელს ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს, ან აიძულებს მას, განახორციელოს აშკარა უკანონო ქმედება (მაგალითად, გაათავისუფლოს კანონიერად დაკავებული პირი) და სურს ეს.

სუბიექტური მხრივ მისი მიზანია ხელი შეუშალოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ან შეაწყვეტინოს მას თავისი საქმიანობა ამ მიმართებით, ან შეაცვლევინოს ეს საქმიანობა. ამდენად, კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ისეთ ელემენტს, **როგორიცაა მიზანი.** ქმედების მოტივი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, კერძოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობა, ანგარება, პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის სურვილი, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილება და სხვა. მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ მოახდენს.

პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა (სსკ მუხლი 353[1])

განსახილველი ნორმა ამოქმედდა 2011 წლიდან, თუმცა ანალოგიურ დანაშაულს საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსიც იცნობდა. მსგავსი ქმედება ხელყოფს პოლიციელის თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, ასევე, საჯარო დაწესებულებათა ნორმალურ საქმიანობას.

ნორმით დაცული ძირითადი ინტერესი სახელმწიფო მმართველობის დადგენილი წესია, ხოლო დამატებითი – პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, საკუთრება.

დანაშაულის მსხვერპლის, კერძოდ, პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის იდენტიფიკაციისათვის უნდა დავემყაროთ საქართველოს კანონებს პოლიციის შესახებ და საჯარო სამსახურის შესახებ. რაც შეეხება ოჯახის წევრს,სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლი ოჯახის წევრად თვლის პირის მეუღლეს, არასრულწლოვან შვილს და გერს, აგრეთვე, მასთან მუდმივად მცხოვრებ პირებს.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, კერძოდ, თავდასხმაში. **თავდასხმა არის** აგრესიული აქტი, რასაც თან ახლავს ძალადობა (ნაგ., ცემა) ან ძალადობის მუქარა. 353[1] მუხლის პირველი ნაწილით კრიმინალიზებულია პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ანდა მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან მათ სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მათი ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. მაშასადამე,353[1] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თავდასხმის ადრესატი შეიძლება იყოს პოლიციელი ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი, მათი სამსახურებრივი ან საცხოვრებელი შენობა, მათი სატრანსპორტო საშუალება ანდა მათი ოჯახის წევრი.

353[1] მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, ანდა მათი ოჯახის წევრის **ჯანმრთელობის ხელყოფა** პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ჯანმრთელობის ხელყოფა გულისხმობს როგორც სხეულის დაზიანების მცდელობას, ისე ფაქტობრივ დაზიანებას. თანაც, კანონის ტექსტიდან გამომდინარე, **ჯანმრთელობის ხელყოფაში იგულისხმება** ჯანმრ-

თელობის ნებისმიერი სიმძიმის დაზიანება. ამასთანავე,დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ჯანმრთელობის ხელყოფის ანუ ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობის მომენტიდან.

353[1] მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულია პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, ანდა მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის ხელყოფა პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. **სიცოცხლის ხელყოფა გულისხმობს** როგორც მკვლელობას, ისე, მკვლელობის მცდელობას.

353[1] მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება კავშირში უნდა იყოს ხელისუფლების წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან. ამასთანავე, ეს ქმედებები, თავდასხმა, ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლის ხელყოფა, 353[1] მუხლით დაკვალიფიცირდება **არა მარტო მაშინ**, როცა ეს ხდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, არამედ ამ საქმიანობასთან დაკავშირებით დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს, რომ თავდასხმა, ჯანმრთელობის თუ სიცოცხლის ხელყოფა მოხდა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის ადრინდელ შესრულებასთან დაკავშირებით.

სუბიექტური მხრივ აუცილებელია ქმედების მოტივის გარკვევა და შემოწმება, არსებობს თუ არა კავშირი პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და მასზე, ოჯახის წევრზე ანდა კანონში მითითებულ ობიექტზე განხორციელებულ ხელყოფას შორის. როგორც წესი, ქმედების მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მოტივი უმეტესად შურისძიებაა, თუმცა არც სხვა მოტივის გამორიცხვა შეიძლება. **რაც შეეხება მიზანს**, დამნაშავე შესაძლებელია მიზნად ისახავდეს სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილებას, დაკავებისაგან (შეპყრობისაგან) თავის დაღწევას, მოწმის მოშორებას, მაგალითად,პოლიციელის სიცოცხლის ხელყოფისას და სხვ.

სსკ 353[1] მუხლი სპეციალურია 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტთან მიმართებით და ამიტომ ქმედების კვალიციკაციისას იმარჯვებს განსახილველი მუხლი.

აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე უნდა გაირკვეს ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედება დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას **იყო თუ არა მართლზომიერი.** თუკი დადგინდება მათი მხრიდან უკანონობის ფაქტი, მაშინ ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით (მაგ., 108-ე, 117-ე მმ.) უნდა შეფასდეს. დანაშაული განზრახია.

სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურება (მუხლი 354-ე)

ეს ახლი ნორმაა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მსგავს შემადგენლობას 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობდა. ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაულის მასშტაბის ზრდა და მასთან ბრძოლის არასაკმარისი ეფექტურობა აუცილებელს ხდის საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სათანადო დაცვის ზომების განხორციელებას. განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოს მოხელეთა კანონიერი სამსახურებრივი საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის უსაფრთხოებაა, ხოლო დამატებითი ობიექტია მოხელისა და მისი ახლო ნათესავის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

საქართველოში უმაღლეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა, აგრეთვე თანამდებობის პირების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. პირთა წრეს, რომელთა მიმართ შეიძლება დაცვის ზომების გამოყენება, და ამ ზომების გამოყენების წესს ადგენს საქართველოს 1996 წლის 20 თებერვლის კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“; თუმცა ამ სფეროში კანონმდებლობის ფორმირების პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა ამომწურავ ნუსხას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. კანონით განსაზღვრულ საჯარო მოხელეთა პერსონალური დაცვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ მის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ხელყოფა ემუქრება.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობაში საუბარია მხოლოდ სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელეზე. სამართალდამცავი ორგანოს მოხელეს უნდა მივაკუთვნოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა სამართალდამცავი ორგანოს თანამდებობის პირი, ხოლო მაკონტროლებელი ორგანოს მოხელეს – კონტროლის პალატის,საგადასახადო,საბაჟო სამსახურებისა და სხვა მაკონტროლე-

ბელი ორგანოს თანამდებობის პირი. დაცვის ზომის შესახებ მონაცემს მიეკუთვნება ინფორმაცია მოხელის პერსონალური ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოყენებული დაცვის კონფიდენციალური საშუალებების, იარაღისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა სპეციალური საშუალებების შესახებ, ინფორმაცია დროებით (ან მუდმივად) საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შეცვლის, სხვა ადგილზე გადასახლების, პირადობის დოკუმენტების ან გარეგნობის შეცვლის შესახებ და ა.შ.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურებაში. გახმაურების ხერხები კანონში დაკონკრეტებული არ არის, ამიტომ დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურებად ჩაითვლება აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაციის თუნდაც ერთი პირისათვის გაცნობა ზეპირად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის ან ნებისმიერი სხვა საშუალებით. მაგალითად, მესამე პირს აცნობეს დასაცავი პირის ახალი მისამართი ან ტელეფონის ახალი ნომერი.

დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და დამთავრებულად ჩაითვლება მოხელის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურების მომენტიდან.

ქმედების ამსრულებელი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირია. თუკი მითითებულ მონაცემს გაახმაურებს საჯარო მოხელე თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მაშინ მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი სამოხელეო დანაშაულის ჩადენისათვის.

დანაშაული პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. ამაზე პირდაპირ მიანიშნებს ქმედების მიზანი – მოხელის სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზანი. როცა ფორმალური დანაშაული მიზნითაა დაფუძნებული, მისი ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. მოხელის სამსახურებრივი საქმიანობა მოიცავს მისთვის შესაბამისი თანამდებობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, მაგალითად, საბაჟო კონტროლი, ძებნა, დაკავება და სხვ.

თუკი მოხელის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურება **სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით არ ხდება,** მაშინ ქმედება არ დაკვალიფიცირდება 354-ე მუხლით. თუ ვინმე ასეთ მონაცემს გაახმაურებს მოხელის მიერ უკვე შესრულებული სამსახურებრივი მოვალეობისათვის შურისძიების მოტივით (პირადი ან ახლო ნათესავის უსაფრთხოების შიშის განცდისათვის), მაშინ ეს ქმედება დაკვალი-

ფიცირდება 157-ე მუხლით (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემის ხელყოფა).

354-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას – მოხელის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურებას, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი. იგი შეიძლება გამოიხატოს ფიზიკურ, მატერიალურ ან მორალურ ზიანში. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანებაში, სახლის დაწვაში, მოხელის ან მისი ახლო ნათესავების მუდმივ ტერორში და ა.შ. მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს დიდ მატერიალურ ხარჯებში, რომელიც სახელმწიფომ გაიღო უსაფრთხოების ახალი ზომების უზრუნველსაყოფად. კანონის ტექსტიდან გამომდინარე, მძიმე შედეგთან მიმართებაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას. შედეგის სიმძიმის შეფასება, საბოლოო ჯამში, სასამართლოს პრეროგატივაა.

354-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა **უნდა გავმიჯნოთ** 367-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისაგან, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურებისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კანონში მითითებულ პირთა უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება ხდება იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს. **მაგალითად**, გამოძიებელი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ახმაურებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულ უსაფრთხოების ზომას. თუკი 367ე მუხლში მითითებულ პირთა მიმართ გამოყენებულ უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოებას გაახმაურებს სხვა პირი, რომალმაც, იგი უკანონოდ მოიპოვა, მაშინ მისი ქმედების კვალიფიკაცია მოხდება ან 354-ე ან – 157-ე მუხლით.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა ანდა დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა (მუხლი 355-ე)

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაციის მიზანია საჯარო სამსახურის ინტერესების, მისი პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა,

ვინაიდან ამგვარი ქმედებით საჯარო მოხელის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი უპირისპირდება სახელმწიფო სამსახურის ინტერესს. ინტერესთა კონფლიქტს მოხელესა და საჯარო სამსახურს შორის წარმოშობს საჯარო მოხელის მიერ ქცევის ეთიკური ნორმების უგულებელყოფა. მათ მიერ საჯარო სამსახურში ქცევის ეთიკური ნორმების დაცვა ხელისუფლების ორგანოთა ჯეროვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფის, მათი პრესტიჟისა და ავტორიტეტის ამაღლების აუცილებელი პირობაა. სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი სწორედ საჯარო სამსახურის ინტერესებია; დამატებითი ობიექტია ის მმართველობითი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საჯაროობისა და დეკლარაციების დროულად ჩაბარებაზე კონტროლის უზრუნველყოფას. **დანაშაულის საგანია** ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის არსის გასაგებად უნდა მივმართოთ საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ". ამ კანონის თანახმად, თანამდებობაზე გამწესებიდან ერთი თვის ვადაში პირი ვალდებულია შეავსოს და თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო დეკლარაციის დამოწმებულ ასლს გადასცემს თანამდებობაზე გამამწესებელ ორგანოს/ორგანოებს, თანამდებობის პირს.

თანამდებობის პირი თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ვალდებულია ყოველწლიურად, ყოველი წინა დეკლარაციის შევსების თარიღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ერთი კვირის ვადაში შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, რომელშიც აისახება თანამდებობის პირის მიერ წინა წელს შევსებულ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების ცვლილებები.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მონაცემები შეიტანება მისი შევსების თვის პირველ რიცხვამდე,ხოლო შემოსავლები – დეკლარაციის შევსების წლის წინა კალენდარული წლის მდგომარეობით.

ამ მუხლით დადგენილ ვადებში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შეუვსებლობისა და წარუდგენლობის შემთხვევაში თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე პირს განუსაზღვრავს ათდღიან დამატებით ვადას დეკლარაციის შევსებისა და წარდ-

გენისათვის და წერილობით აფრთხილებს ამ ვადაში დეკლარაციის წარუდგენლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. დამატებითი ვადა აითვლება პირისათვის გაფრთხილების ოფიციალური გაცნობიდან. აღნიშნული კანონის მე-15 მუხლი შეიცავს იმ ეკონომიკური ინტერესების ჩამონათვალს, რომელთა შესახებაც ამომწურავ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაცია. დეკლარაციის მიღების, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობისა და დეკლარაციების დროულად ჩაბარებაზე კონტროლს უზრუნველყოფს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო. იგი უზრუნველყოფს თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის ფორმის დაუბრკოლებლად მიღებას, შევსებული დეკლარაციის მიღებასა და შენახვას, დეკლარაციის შინაარსის საჯაროობასა და კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

განსახილველი **დანაშაულის ობიექტური მხარე** გამოიხატება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ანდა დეკლარაციაში განზრახ არასრული, ან არასწორი მონაცემის შეტანაში. თანამდებობის პირი ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. კანონით განსაზღვრულ ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, რის თაობაზედაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულებას გამოსცემს ბიუროს თავმჯდომარე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. პირმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ოფიციალური გაცნობიდან არა უგვიანეს 30 დღისა. ჯარიმა გადახდილად ჩაითვლება ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ბიუროში წარდგენის შემდეგ. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პირს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ან სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 კვირის ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა გამოიწვევს პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს პირს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში წარადგინოს დეკლარაცია. ამრიგად,თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილი წესით წარუდგენლობის შემთხვევაში, თუ ეს ქმედება ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შემდეგ, საინფორმაციო ბიურო ვალდებულია მიმართოს შესაბამის ორგანოს წერილობითი დასკვნით თანამდებობის პირზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

რაც შეეხება **დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანას**, დეკლარაციების ტექნიკურად სწორად შევსების უზრუნველსაყოფად საინფორმაციო ბიურო ახორციელებს ინსტრუქტაჟს; იგი უფლებამოსილია თანამდებობის პირს მიმართოს წერილობითი წინადადებით დეკლარაციის მონაცემების დაზუსტების თაობაზე, მაგრამ დღესდღეობით არ არსებობს ორგანო, რომელიც დეკლარაციის შევსების სისწორეს ან სისრულეს გადაამოწმებს.

დეკლარაცია სრული არ იქნება თუ ის არ შეიცავს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-15 მუხლში ჩამოთვლილი უძრავი და მოძრავი ქონების, აგრეთვე ფინანსური ოპერაციების (გარიგებების) შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. დეკლარაციაში არასწორი მონაცემის შეტანა გულისხმობს კანონით სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებული ინფორმაციის დამალვას,დამახინჯებას. დანაშაული ფორმალურია და ის დამთავრებულად ჩაითვლება საინფორმაციო ბიუროში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემების შემცველი დეკლარაციის წარდგენის მომენტიდან.

ქმედების სუბიექტი სპეციალურია – თანამდებობის პირი, ვისაც კანონით ევალება ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების წარდგენა. სახელდობრ, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-2 მუხლში მოცემულია თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც საინფორმაციო ბიურო ადგენს იმ თანამდებობის პირთა რეესტრს, რომელთათვისაც სავალდებულოა დეკლარაციის შევსება.

დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. ქმედების სუბიექტურ ელემენტებზე (მოტივი და მიზანი) არაფერია მითითებული დისპოზიციაში, ამდენად, ისინი კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენენ. ამგვარი ქმედების ტიპური მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, კარიერიზმი და ა.შ.

წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება (მუხლი 356-ე)

საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის თანახმად, საქართველოს დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმა განისაზღვრება საქართველოს 1997 წლის 17 სექტემბრის კანონით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და 1997 წლის 28 ოქტომბრის კანონით „არასამხედრო,ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ".

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს თავდაცვის უზრუნველყოფას, სამხედრო ძალების სათანადოდ დაკომპლექტებას ქვეყნის დამოუკიდებლობის,სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი სწორედ საქართველოს თავდაცვის ინტერესებია; ხელყოფის უშუალო ობიექტი კი – წვევამდელის მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა.

დანაშაულის ობიექტური მხარე ორი სხვადასხვა შემადგენლობის რეალიზაციაში შეიძლება გამოიხატოს. სახელდობრ, 356-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებას.

სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე საქართველოს სამხედრო ძალებში. მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევის წესს განსაზღვრავს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და დებულება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. ხსენებული ნორმატიული აქტებით 18-დან 27 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე და არა აქვს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გაწვევის გადავადების უფლება – ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას. მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვას ახორციელებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებები მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოქალაქეების სამხედრო ძალებში გაწვევის საფუძველია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელსაც შეიმუშავებს ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე. წვევამდელი

ვალდებულია, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გამოძახებით გამოცხადდეს სამედიცინო შემოწმებასა და გამწვევი კომისიის სხდომაზე, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის უწყებით – სამხედრო სამსახურში გასაწვევად. წვევამდელი, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილების გამოძახებით მითითებულ ვადაში არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით,ჩაითვლება სამხედრო ვალდებულების შესრულებისაგან თავის ამრიდებლად. სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების ხერხები დისპოზიციაში დაკონკრეტებული არ არის, ეს შეიძლება იყოს ავადმყოფობის სიმულაცია, დოკუმენტების გაყალბება, გამწვევ პუნქტში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა და ა.შ.

კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ წვევამდელის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებად თვლის, მოქალაქის ახლო ნათესავის (დედა, მამა, მეუღლე, შვილი, და, ძმა) ან აღმზრდელის გარდაცვალებას, ავადმყოფობას, აგრეთვე სტიქიური ხასიათის ან სხვა სახის დაუძლეველ გარემოებას – სათანადო დოკუმენტური დადასტურებით.

დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. წვევამდელი, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილების გამოძახებით, მითითებულ ვადაში არ გამოცხადდება, არასაპატიო მიზეზით ჩაითვლება სამხედრო ვალდებულების შესრულებისაგან თავის ამრიდებლად და დაეკისრება პასუხისმგებლობა. ამასთანავე, დანაშაული დენადია და ხორციელდება მანამ, სანამ წვევამდელი ნებაყოფლობით არ გამოცხადდება, ან ხელისუფლების ორგანოები არ დააკავებენ, ანდა თავად გაწვევის საფუძველი (ვალდებულება) არ მოისპობა. დანაშაულს არ ექნება ადგილი, თუ მოქალაქეს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების კანონიერი საფუძველი ჰქონდა.

ქმედების სუბიექტი სპეციალურია – წვევამდელი[114], ე.ი. 18 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას.

დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. წვევამდელს გაცნობიერებული აქვს, რომ საპატიო მიზეზის გარეშე თავს არიდებს სამხედრო სამსახურს (პირვ. ნაწ.) ან ალტერნატიულ შრომით სამსახურს (მე-2 ნაწ.) და სურს ეს.

მოტივსა და სხვა სუბიექტურ ელემენტებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

---

[114] ჯირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეს ეწოდება წვევამდელი.

356-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს წვევამდელის მიერ ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდებას.

ალტერნატიული შრომითი სამსახური საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახურია, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთებას სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე. იგი წარმოადგენს გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს სამხედრო ვალდებულებასა და რწმენის თავისუფლებას შორის.

საქართველოს მოქალაქეთა მიერ სამხედრო ვალდებულების არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფორმით მოხდასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს 1997 წლის 28 ოქტომბრის კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ".

არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას ანარმოებს მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისია. იგი აფორმებს წვევამდელს და აძლევს გაწვევის საბუთს, სადაც აღნიშნულია არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ადგილი და გამოცხადების თარიღი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება წვევამდელის მიერ ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდებაში.

356-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური ნიშნები არ განსხვავდება 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური ნიშნებისაგან. **განსხვავება არის მხოლოდ ქმედების სუბიექტში,** კერძოდ, ალტერნატიული შრომითი სამსახურის თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება 18 წელს მიღნეულ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე. 356-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობები არ განსხვავდება ასევე ქმედების სუბიექტური ნიშნებით.

356-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, კერძოდ,1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას ომიანობის ან საგანგებო მდგომარეობის დროს. ამდენად, დანაშაულის ჩადენის დროს აქ აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. ომიანობის ან საგანგებო მდგომარეობის არსის გასაგებად უნდა მივმართოთ საქართველოს 1997 წლის 31 ოქ-

ტომბრის კანონს – საომარი მდგომარეობის შესახებ და 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონს – საგანგებო მდგომარეობის შესახებ, აღნიშნული კანონების შესაბამისად: ომიანობა გულისხმობს საქართველოზე შეიარაღებულ თავდასხმას, აგრესიას, რის გამოც ქვეყანაში ცხადდება განსაკუთრებული წესები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად. საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფებისა და ეპიდემიების დროს, სტიქიურ უბედურებათა, დიდი ავარიების, ეპიზოოტიების ან სხვა შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა.

ზემოაღწერილ ვითარებაში წვევამდელის მიერ სამხედრო ვალდებულების კონსტიტუციური მოვალეობის შესრულებისათვის თავის არიდება, ცხადია, უფრო მკაცრ გაკიცხვას იმსახურებს.

სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება (მუხლი 357-ე)

მოქალაქეთა მიერ საქართველოს დაცვის კონსტიტუციური მოვალეობის მოხდა შეუძლებელია სამხედრო მოსამსახურეთა სათანადო მომზადების გარეშე. სწორედ ამას ემსახურება მათი მონაწილეობა სასწავლო და სამხედრო შეკრებებზე, რომელიც სამხედრო ვალდებულების ერთ-ერთი სახეა.[115] ამიტომ სამხედრო ვალდებულთა გამოცხადება მითითებულ შეკრებებზე სავალდებულოა, მისთვის თავის არიდება კი 357-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია.

საქართველოს 1997 წლის 17 სექტემბრის კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ სამხედრო ვალ-

[115] სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის მე-17 მუხლის მიხედვით სამხედრო სამსახურისათვის მოქალაქის მომზადება ითვალისწინებს რეზერვის სამხედრო სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებას სამხედრო ნაწილებში სპეციალურ შეკრებებზე.

დებულების ერთ-ერთ ფორმად თვლის რეზერვს. იგი იქმნება საქართველოს სამხედრო ძალების დასაკომპლექტებლად მობილიზაციის ან ომის დროს, რეზერვი იქმნება იმ პირთაგან,რომლებიც სამხედრო ძალების რიგებიდან არიან დათხოვნილნი რეზერვში ჩარიცხვით, ასევე მათგან, ვინც გაიარა კაპრალის (სპეციალისტის), უმცროსი სერჟანტის,უმცროსი ლეიტენანტის მომზადების სპეციალური პროგრამა უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიაში ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვა სასწავლებელში და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მიენიჭათ შესაბამისი სამხედრო წოდება, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაიარეს სკონტრაქტო სამსახური, ანდა არ გაუვლიათ სამხედრო სამსახური გადავადების გამო, ან კიდევ გაიარეს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური. ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში მყოფი მოქალაქე სამხედრო სამსახურისათვის მომზადების ან გადამზადების მიზნით, შეიძლება გაწვეულ იქნეს სამხედრო შეკრებაზე. სამხედრო შეკრების ჩატარების დროს, ადგილსა და ვადას განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი და დასამტკიცებლად წარუდგენს თავდაცვის მინისტრს.

ამრიგად, სამხედრო სამსახურისათვის მოქალაქის მომზადების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს რეზერვის სამხედრო სპეციალისტების მომზადება და გადამზადება სამხედრო ნაწილებსა და სასწავლებლებში სპეციალურ შეკრებებზე, აგრეთვე პერიოდულად, რეზერვის ოფიცრების სამეთაურო მომზადება სამხედრო შეკრებებზე.

სარეზერვო და სათადარიგო ფორმირებები კომპლექტდება და მათი პირადი შემადგენლობა სათანადო სამხედრო მომზადებას გადის თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში მყოფი მოქალაქეების მიერ სამხედრო შეკრების გავლის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ და დებულებით – სამხედრო შეკრებათა ჩატარებისა და გავლის წესის შესახებ, რომელსაც შეიმუშავებს ეროვნული უშიშროების საბჭო და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

განსახილველი ქმედების **ობიექტური შემადგენლობის** ნიშნებზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის-სამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში მყოფი მოქალაქეების მიერ სამხედრო ვალდებ-

ულების მოხდასთან და სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება პირის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდებაში, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეზერვის სამხედრო სპეციალისტების მომზადება და გადამზადება სამხედრო ნაწილებსა და სასწავლებლებში სპეციალურ შეკრებებზე იწოდება სასწავლო შეკრებად, ხოლო რეზერვის ოფიცერთა მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო შეკრება ითვლება სამხედრო შეკრებად.

სამხედრო ვალდებული, რომელიც სასწავლო ან სამხედრო შეკრებაზე გაწვევის შესახებ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილების უწყების მიღებისას, მითითებულ ვადაში არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით (ან უკანონოდ გათავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან ან გადაუვადდება იგი), ჩაითვლება სამხედრო ვალდებულებისგან თავის ამრიდებლად. სამხედრო განყოფილების გამოძახებით, სამხედროვალდებულის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებად, მისი სათანადო დოკუმენტური დადასტურებით, კანონი თვლის მოქალაქის ახლო ნათესავის (დედა, მამა, მეუღლე, შვილი, და, ძმა) ან აღმზრდელის გარდაცვალებას, ავადმყოფობას, აგრეთვე სტიქიური ხასიათის ან სხვა სახის დაუძლეველ გარემოებებს.

დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია და, დამთავრებულად ჩაითვლება რეზერვისტის სამხედრო შეკრების ადგილზე გამოცხადების ვადის გასვლის მომენტიდან. ეს კონკრეტული ვადა კი უწყებით იქნება განსაზღვრული.[116] ამასთანავე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ პრეიუდიციასთან არის დაკავშირებული. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს პირს სამხედრო სარეზერვო სამსახურისაგან.

ქმედების ამსრულებელი სპეციალურია – სამხედროვალდებული (რეზერვისტი), რომელიც საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვშია ჩარიცხული.

ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ქმედების სუბიექტურ ელემენტებს (მოტივი და მიზანი) კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

---

[116] სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის 45-ე მუხლის მიხედვით მოქალაქე, რომელიც სამხედრო შეკრებაზე გაწვევის შესახებ სამობილიზაციო განყოფილების უწყების მიღებისას მითითებულ ვადაში არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, ჩაითვლება სამხედრო ვალდებულების შესრულებისაგან თავის ამრიდებლად და დაეკისრება პასუხისმგებლობა.

357-ე მუხლის მე-2 ნაწილით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იმავე ქმედების ჩადენა ომიანობის ან საგანგებო მდგომარეობის დროს (ომიანობისა და საგანგებო მდგომარეობის შესახებ იხ. 356-ე მუხლის განმარტება).

მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება (მუხლი 358-ე)

მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება ხელყოფს საქართველოს სამხედრო ძალების დაკომპლექტების ინტერესებს, რაც თავის მხრივ საფრთხის წინაშე აყენებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების საფუძვლებს. სწორედ ამ ინტერესის დასაცავად არის კრიმინალიზებული სამხედროვალდებულის ამგვარი ქმედება და მის უშუალო ობიექტს წარმოადგენს სამხედრო ძალების დაკომპლექტების ნესი მობილიზაციის დროს.

მობილიზაციის არსი მდგომარეობს საქართველოს სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფაში ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა: აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმის განსაზღვრა და მათი მომზადება მობილიზაციის დროს სამუშაოდ; სამხედრო ძალების მობილიზაციისათვის მომზადება; სამხედრო ძალების გადაყვანა საომარ ან საგანგებო მდგომარეობაზე; სამობილიზაციო რეზერვების შექმნა, შენარჩუნება და განვითარება მობილიზაციის დროს სახელმწიფოს, სამხედრო ძალებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და სხვა. მაშასადამე, სამობილიზაციო მზადყოფნისათვის მშვიდობიანობის პერიოდში სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკის, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების შესაქმნელად საომარი ანდა საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს სამხედრო ძალების მზადყოფნის უზრუნველსაყოფად და სახელმწიფოსა და მოსახლეობის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს მობილიზაციის გამოცხადების, აგრეთვე მშვიდობიან პერიოდში მობილიზაციისათვის მზადყოფნის წესს, პირობებსა და მობილიზაციის რეჟიმთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერ-

თობებს არეგულირებს საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი მობილიზაციის შესახებ. ამ კანონის მიხედვით, მობილიზაცია არის ღონისძიებათა კომპლექსი,რომელიც ითვალისწინებს შექმნილი სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების, საომარი ანდა საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის გამოყენებას (მობილიზაცია შეიძლება იყოს საერთო ან ნაწილობრივი).

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლისა და მობილიზაციის შესახებ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს საერთო ან ნაწილობრივ მობილიზაციას და ეს გადაწყვეტილება შეაქვს საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

მობილიზაცია შეიძლება შეეხოს სამხედრო ძალების ანდა შრომითი რესურსების რეზერვს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცალ-ცალკე შემადგენლობად ითვალიწინებს მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის (მუხლი 358-ე) და ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისათვის თავის არიდებას (მუხლი 359-ე).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროული მობილიზაცია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პირობაა,ეს კი,თავის მხრივ,ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს მოქალაქეთა მიერ ქვეყნის დაცვის კონსტიტუციური მოვალეობის კეთილსინდისიერად და უყოყმანოდ შესრულებაზე. ამ კონსტიტუციური მოვალეობის ყველაზე მძიმე დარღვევას წარმოადგენს მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება (მუხლი 358-ე).

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის თავის არიდებაში. მობილიზაციის გამოცხადებისას, სამხედრო სამსახურში გასაწვევი, რეზერვში მყოფი მოქალაქეები ვალდებული არიან გამოცხადდნენ შემკრებ პუნქტში რაიონის, ქალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილების ან სამობილიზაციო განყოფილების უწყებით მითითებულ დროს. ამ ვადის გასვლის მომენტიდან დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება,ე.ი. ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულთან გვაქვს საქმე. მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდების ხერხებს კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს (ეს შეიძლება გამოიხატოს ავადმყოფობის სიმულაციაში, ყალბი დოკუმენტების გამოყენებაში ანდა უბრალოდ, გამოუცხადებლობაში და სხვ.).

ქმედების სუბიექტი სპეციალურია, კერძოდ, მობილიზაცი-

ის დროს სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარებიან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში ჩარიცხული მოქალაქენი. მაშასადამე,ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა სამხედრო ვალდებული (ქალიცა და მამაკაციც), რომელიც ჩარიცხულია რეზერვში და ექვემდებარება მობილიზაციით გაწვევას.

რაც შეეხება ბრალის ფორმას, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. ქმედების სუბიექტურ ელემენტებს (მოტივი, მიზანი და სხვ.) კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ეს დანაშაული განსხვავდება სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან (წვევამდელის მიერ სამხედრო ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება). კერძოდ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საუბარია მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებაზე, მაშინ, როცა მობილიზაციით გაწვევა გულისხმობს საომარ ანდა საგანგებო მდგომარეობას. გარდა ამისა, მობილიზაციით გაწვევას ექვემდებარებიან როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის სამხედროვალდებულები,რომლებიც ჩარიცხული არიან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში, 356-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტი კი წვევამდელია, ე.ი. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი 18 წელს მიღწეული მამრობითი სქესის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას.

ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება (მუხლი 359-ე)

ომიანობის დროს ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის, კერძოდ, ფრონტისა და ზურგის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უზრუნველსაყოფად, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სახელმწიფოს მატერიალური რესურსების, არამედ აგრეთვე კერძო სექტორის, მოქალაქეთა ცოცხალი ძალისა და მატერიალური რესურსების მობილიზაციას. სწორედ ამას ემსახურება სახელმწიფოს სამობილიზაციო მზადყოფნა, სამობილიზაციო მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შექმნა, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, დაწე-

სებულებებსა და ორგანიზაციებში რეზერვისტთა დაჯავშნა მობილიზაციის დროს მოქმედი ეკონომიკის შესაბამისი დარგის ობიექტებზე სამუშაოდ, სამობილიზაციო გეგმებით გათვალისწინებული ტექნიკის, შენობა-ნაგებობების, კომუნიკაციების, მიწის ნაკვეთების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა სამობილიზაციო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა და სხვა.

ფრონტისა და ზურგის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და,მაშასადამე,ქვეყნის თავდაცვის ღონისძიებებში მოსახლეობის ორგანიზებულად ჩასაბმელად, სახელმწიფო მოქალაქეებისათვის ადგენს საომარი მდგომარეობისათვის აუცილებელ შრომით ან სხვა სახის ბეგარას, აწესებს სპეციალურ გადასახადებს. ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება იდევნება სისხლის სამართლის წესით.

ამრიგად, განსახილველი ქმედებისაგან **სს-ვი დაცვის უშუალო ობიექტს** წარმოადგენს ომიანობის დროს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საქართველოს სამხედრო ძალების მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის ინტერესები.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისათვის ან სხვა ბეგარის შესრულებისათვის ანდა, გადასახადის გადახდისათვის თავის არიდებაში.

შრომით მობილიზაციას ექვემდებარებიან შრომისუნარიანი მოქალაქენი. ისინი თავისუფლდებიან თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობებისაგან და იგზავნებიან თავდაცვით სამუშაოებზე ანდა სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში სამუშაოდ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები სამობილიზაციო მზადყოფნისათვის ახორციელებენ რეზერვისტთა დაჯავშნას მობილიზაციის დროს მოქმედი ეკონომიკის შესაბამისი დარგის ობიექტებზე სამუშაოდ (თუმცა კანონის ტექსტიდან გამომდინარე, შრომით მობილიზაციას შეიძლება დაექვემდებაროს საქართველოს ყველა შრომისუნარიანი მოქალაქე), მაგალითად, თავდაცვითი მნიშვნელობის რომელიმე საწარმოში, სოფლის მეურნეობის საწარმოში, მშენებლობაზე და სხვ.

შრომითი მობილიზაციისათვის თავის არიდება შეიძლება გამოიხატოს სამუშაო ადგილზე გამუცხადებლობაში, მობილიზაციისაგან გასათავისუფლებლად მოტყუებაში და სხვ.

რაც შეეხება **სხვა სახის ბეგარას**, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის მატერიალური ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოს მიერ დადგინდება ომიანობის დროს. ისტორიულად ჩვენი კანონმდე-

ბლობისათვის ცნობილია სატრანსპორტო ბეგარა (სატრანსპორტო საშუალების ჩაბარების მოვალეობა), საბინაო ბეგარა (სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ბინის დათმობის მოვალეობა) და სხვა სახის მატერიალური მოვალეობა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სახელდობრ, 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ"; 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ"; 1999 წლის 23 ივნისის კანონი „მობილიზაციის შესახებ" და სხვ. ითვალისწინებს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირების ვალდებულებას, გადასცენ სამობილიზაციო გეგმებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობები,კომუნიკაციები,მიწის ნაკვეთები,სატრანსპორტო და სხვა მატერიალური ფასეულობები (რესურსები) შესაბამის დაწესებულებებს საომარი მოქმედებების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის. მოქალაქენი მოვალენი არიან მობილიზაციის დროს გადასცენ სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების საჭიროებისათვის ქონება, შემდგომი სათანადო ანაზღაურებით. მობილიზაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი ითვალისწინებს სამხედროსატრანსპორტო ვალდებულებას (ბეგარას). კერძოდ, საქართველოს სამხედრო ძალების საჭიროებისათვის მობილიზაციის დროს წესდება სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება. საქართველოს სამხედრო ძალების სამობილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო სატრანსპორტო საშუალებათა ამოღება აღმასრულებელი ხელისუფლების, თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებდან, სახელმწიფო საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან ხორციელდება უსასყიდლოდ, ხოლო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან – შემდგომი სათანადო ანაზღაურებით.

გადასახადის გადახდისათვის თავის არიდებაში იგულისხმება როგორც ომამდე დადგენილი გადასახადებისათვის, ასევე ომიანობის დროს დაწესებული გადასახადებისათვის თავის არიდება.

ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული ბეგარის შეუსრულებლობისათვის პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას შეეძლო ამ ბეგარის შესრულება. ბეგარისათვის თავის არიდების ხერხი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება დაკისრებული ბეგარის შესრულებისათვის ფაქტობრივი თავის არიდების მომენტიდან, მაგალითად, შრომითი მობილიზაციით სამუშაოზე გამოცხადების ვადის გასვლის მომენტიდან,სატრანსპორტო საშუალების სამობილიზაციო განყოფილების ტექნიკის შემკრებ პუნქტებში ან სამხედრო ნაწილებში ჩაბარების ვადის გასვლის მომენტი-

დან და ა.შ.

ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი (საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხოელი), რომელზეც ვრცელდება კანონში მითითებული რომელიმე ბეგარის შესრულება. ომიანობის დროს ბეგარის შეუსრულებლობისათვის ან გადასახადის გადახდისათვის თავის არიდებისათვის კანონმდებელი პასუხისმგებლობის დიფერენციაციას არ ახდენს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ამიტომ ამ ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს საჯარო მოხელეც, რომელიც თავს აარიდებს შესაბამისი ბეგარის შესრულებას ან გადასახადის გადახდას.

რაც შეეხება ბრალის ფორმას, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. კერძოდ, პირს გაცნობიერებული აქვს თავის ქმედების მართლწინააღმდეგობა, რომ ომიანობის დროს თავს არიდებს შრომით მობილიზაციას ან სხვა ბეგარის შესრულებას, ანდა გადასახადის გადახდას, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას საქართველოს სამხედრო ძალების ბრძოლისუნარიანობისათვის და სურს იგი,ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას. ქმედების სხვა სუბიექტურ ელემენტებს (მოტივს,მიზანს და ა.შ.) კანონმდებელი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

თვითნებობა (მუხლი 360-ე)

თვითნებობისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია მოქალაქეთა მიერ სადავო უფლებების განხორციელების დადგენილი წესი. მოქალაქეთა მიერ თავიანთი უფლებების განხორციელების ესა თუ ის წესი, რომელიც ირღვევა თვითნებობის დროს, შეიძლება დადგენილ იქნეს როგორც კანონით,ისე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. მოქალაქე,რომელიც მოქმედებს დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ,შეიძლება ახორციელებდეს თავის ნამდვილ ან თავისად დაგულვებულ უფლებას.

ნამდვილად თავისი უფლება ისეთი უფლებაა, რომელიც პირს მინიჭებული აქვს კანონის ან კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე. მაგალითად, საცხოვრებელი ფართის დაკავების უფლება გაცემული ორდერის საფუძველზე,ნაგებობის აღმართვის უფლება გამოყოფილ (სარგებლობაში გადაცემულ) მიწის ნაკვეთზე და ა.შ.

თავისად დაგულვებული უფლება ისეთი უფლებაა, როცა პირი შეცდომით ფიქრობს, რომ მას ესა თუ ის უფლება აქვს, თუმცა

სინამდვილეში მას ასეთი რამ არა აქვს. ანდა ეს უფლება მას შეიძლება მიენიჭოს, მაგრამ მხოლოდ დადგენილი წესით. მაგალითად, რაიმე ქონების მემკვიდრეობით მიღების უფლება, როცა ეს უფლება ვიღაცამ სადავოდ აქცია სასამართლოში სარჩელის შეტანით.

თვითნებობა უფლების ისეთი განხორციელებაა, როცა უგულებელყოფილია მისი რეალიზაციის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი წესი. დადგენილი წესის დარღვევად ჩაითვლება რაიმე მოქმედება (მაგალითად, მიწის ნაკვეთის ან შენობის დაუფლება, სავალ გზაზე შენობის აღმართვა, სხვისი ქონების ამოღება ვალში ჩასათვლელად, სხვისი ანგარიშიდან ფულის მოხსნა, ვალში ჩათვლის მიზნით და ა.შ.) ან **უმოქმედობა**, რომელიც არღვევს უფლების შეძენის ან რეალიზაციის ნორმატიული აქტით დადგენილ წესს, როცა პირი მოვალე იყო ემოქმედა სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე (მაგალითად, ქონების გადაცემისათვის თავის არიდება, ფულის გადარიცხვისათვის თავის არიდება და მისთ.). მაშასადამე, განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.** უმოქმედობაა, როცა მოქალაქე არ გადაცემს მესაკუთრეს სადავო ქონებას, რის გამოც იგი მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს განიცდის. ქმედების **ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანია მნიშვნელოვანი ზიანი**. ის შეიძლება წარმოადგენდეს მატერიალურ ან მორალურ ზიანს, კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას. არის თუ არა ზიანი მნიშვნელოვანი, სასამართლო დაადგენს საქმის კონკრეტული გარემოების მიხედვით. თვითნებობა კანონში მითითებული შედეგის (მნიშვნელოვანი ზიანი) გარეშე დანაშაულს არ წარმოადგენს.

მაგალითი: მოგზაურობიდან დაბრუნებულმა პეტრემ ნახა, რომ მის ბინაში უცხო პირებს შეტანილი ჰქონდათ ავეჯი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. აშკარად ჩანდა, რომ იქ სხვა პირებს დაწყებული ჰქონდათ ცხოვრება. პეტრემ არ გამოიძახა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები და წესისამებრ არ მოითხოვა ამ პირთა ნივთების გატანა. მან სათანადოდ შეფუთა ეს ნივთები, ეზოში გაიტანა ისინი და თავისუფალ ადგილას განალაგა. თავის ბინას კი საკეტი შეუცვალა.

მართალია, პეტრემ მისი უფლება, ბინიდან უკანონოდ შესახლებულ პირთა გაყვანის შესახებ, არ განახორციელა დადგენილი წესის შესაბამისად, არამედ განახორციელა იგი თვითნებურად, მაგრამ ვინაიდან ამ თვითნებობას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი ზიანი, სახეზე არაა სსკ 360-ე მუხლის შემადგენლობა.

მაშასადამე, **დანაშაული მატერიალურია** და ის დამთავრებულად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის მნიშვნელოვანი

ზიანის მიყენების მომენტიდან.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი რამდენადმე შევცვალოთ: პეტრემ ბინაში არსებული სხვისი ნივთები გარეთ გაიტანა და ეზოში დაყარა, რის გამოც ზოგიერთი მაშინათვე დაიმტვრა, ხოლო ზოგიერთი წვიმაში გაფუჭდა. შედეგად ამ მოქალაქემ მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა.

ამრიგად, თვითნებობის ობიექტური შემადგენლობა მოიცავს:

ა) მოქმედებას ან უმოქმედობას (ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება);

ბ) შედეგს – მნიშვნელოვანი ზიანის სახით ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის;

გ) მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. **ქმედების სუბიექტი** შეიძლება იყოს ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი, მაგრამ **არა საჯარო მოხელე**. საჯარო მოხელე თავის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი თვითნებობის დროს, სხვა შესაბამისი ნიშნების არსებობისას პასუხს აგებს სამოხელეო დანაშაულისათვის (332-ე მ.).

თვითნებობა **განზრახი დანაშაულია**, პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. თავისი ან თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას – მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას, ანდა შეგნებულად უშვებს, ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

ქმედების მოტივი და მიზანი თვითნებობის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ.

360-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს თვითნებობის ჩადენა ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ძალადობის სიმძიმე ან ძალადობის მუქარის ხარისხი კანონში დაკონკრეტებული არ არის; ამიტომ, იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ხარისხის – როგორც სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში, ისე ასეთი საშიშროების არმქონე; მაგალითად, მის ბინაში უკანონოდ შესახლებულ პირს პეტრემ ხელები გადაუგრიხა და ძალით გააგდო ბინიდან. მაგრამ ისეთი ძალადობა, რომელიც უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე თვითნებობა (360-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით.

კანონის სისტემატური განმარტებიდან გამომდინარე, თვითნებობის დროს დაზარალებულის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამატებით უნდა დაკვალიფიცირდეს 117-ე ან 118-ე მუხლით.

ძალადობის მუქარა უნდა იყოს რეალური,გამომდინარეობდეს პირის ქცევის ხასიათიდან როგორც თვითნებობის აქტამდე, ისე მუქარის გამოხატვის მომენტში. აქ მუქარა მოიცავს ძალადობის მუქარის ნებისმიერ შემთხვევას, მათ შორის მოკვლის მუქარასაც. იგი მუქარის სპეციალურ შემადგენლობას წარმოადგენს სსკ 151-ე მუხლთან მიმართებაში.

თვითნებობა თავისი ობიექტური ნიშნებით **ზოგჯერ ემსგავსება სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებას**, მაგალითად, როცა კრედიტორი მოვალის მიმართ იყენებს ძალადობას ან მუქარას ვალის დასაბრუნებლად. გარეგნულად ამგვარი ქმედება ძალიან ჰგავს ძარცვას, ყაჩაღობას ან გამოძალვას. მაგრამ, ამავე დროს, თვითნებობა არსებითად განსხვავდება მათგან სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებით. კერძოდ, რამდენადაც თვითნებობის დროს პირს ნამდვილი ან მისად დაგულვებული უფლება აქვს ძალადობით ან მუქარით დაუფლებულ (ან დასაუფლებელ) ქონებაზე, ამდენად, აქ გამორიცხულია სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა და სახეზე არაა დაუფლებითი დანაშაულის შემადგენლობა. შესაბამისი პირობების არსებობისას, შესაძლებელია, ასეთი ქმედება თვითნებობით დაკვალიფიცირდეს.

მაგალითი: პეტრეს ემართა პავლეს ვალი, რასაც არ უბრუნებდა. ერთხელაც გაგულისებული პავლე მიიჭრა პეტრეს სახლში, ბოსელიდან გამორეკა მისი მსხვილფეხა პირუტყვი (ორი ძროხა) და წაიყვანა. პეტრეს კი უთხრა, რომ ამ საქონელს ვალში უქვითავდა. მათ შორის დავა რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდა. რადგან პეტრეს ოჯახს სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნდა, საქონლის გარეშე დარჩენილმა ოჯახმა მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა. პავლეს ქმედებაში სახეზეა სსკ 360-ე მუხლის ნიშნები.[117]

[117] უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი დახასიათება წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ავტ. კოლექტივი, თბ. 2016, გვ. 412-413

ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენა ან გასაღება (მუხლი 361-ე)

განსახილველი დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენისა (მიღების) და სარგებლობის დადგენილი წესი.

დანაშაულის საგანია – ოფიციალური დოკუმენტი და სახელმწიფო ჯილდო, რომელიც პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან ათავისუფლებს რაიმე მოვალეობისაგან.

იურისპრუდენციაში დოკუმენტის[118] უნივერსალური ცნება არ არსებობს. მაგალითად, შინაარსის მიხედვით, დოკუმენტი შეიძლება იყოს: სამეცნიერო-ტექნიკური, სამართლებრივი, მმართველობითი, სამსახურებრივი და ა.შ. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 17 მაისის №326 ბრძანებულება „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“, განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების ფორმას, სახეს, რეკვიზიტებს და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი ნორმატიული აქტების შესახებ ზოგადად განსაზღვრავს სამართლებრივი აქტების სახეებს, იერარქიას, რეკვიზიტებს და სხვ. ამრიგად, ოფიციალური დოკუმენტების გაფორმების ერთიანი წესი არ არსებობს.

იურიდიულ ლიტერატურაში დოკუმენტად მიიჩნევენ რაიმე ინფორმაციის შემცველ, სათანადო წესით გაფორმებულ მატერიალურ საგანს, **რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს ან ხდომილებას** (ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს ქაღალდი, ფოტო, კინო, აუდიო, ვიდეოლენტა, კომპიუტერული ჩანაწერი ან ადამიანისათვის აღსაქმელი სხვა მატერიალური ფორმის საგანი).

რამდენადაც დოკუმენტის არსის კვლევა სცილდება სახელმძღვანელოს ფარგლებს, შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 361-ე და 362-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობაში ოფიციალურ დოკუმენტში უნდა ვიგულისხმოთ რაიმე უფლების ან იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, ვისიმე ვინაობის დამადასტურებელი მოწმობა. მაშასადამე, ოფიციალური დოკუმენტი წერილობითი აქტია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს ამა თუ იმ ფაქტს, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს რაიმე უფლების მისანიჭებლად ან მოვალეობისა-

[118] **documentum** (ლათ.) – ნიმუში, მოწმობა.

გან გასათავისუფლებლად. **ყველა დოკუმენტი როდია ოფიციალური.** ოფიციალურია დოკუმენტი, რომელსაც სახელმწიფო კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი წესით ანიჭებს იურიდიულ მნიშვნელობას. იგი შეიძლება ადასტურებდეს ან უარყოფდეს ამა თუ იმ ფაქტს, რომელიც წარსულს, აწმყოს ან მომავალს ეხება. **ოფიციალურ დოკუმენტებს გასცემენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები საკუთრების ფორმის მიუხედავად, იმ პირობით, თუ სახელმწიფო მას ანიჭებს იურიდიულ ძალას** რაიმე უფლების მისანიჭებლად ან მოვალეობისაგან გასათავისუფლებლად. მაგალითად, ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს **შრომის წიგნაკი ან დი პლომი გაცემული როგორც სახელმწიფო, ისე სხვა სასწავლო დაწესებულების მიერ, რომელსაც სახელმწიფო აკრედიტაცია აქვს გავლილი, ან კიდევ, ოფიციალურ დოკუმენტად შეიძლება იქცეს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული კერძო (პირადი) ხასიათის დოკუმენტი – ხელწერილი,ხელშეკრულება, მინდობილობა.**

361-ე მუხლის დისპოზიციაში საუბარია მხოლოდ ისეთ ოფიციალურ დოკუმენტზე, რომელიც პირს ანიჭებს უფლებას (მაგალითად, საპენსიო მოწმობა, მძღოლის მოწმობა, ლიცენზია სამეწარმეო საქმიანობაზე და ა.შ.) ან ათავისუფლებს რაიმე მოვალეობისაგან (მაგალითად, სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლების მოწმობა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ,განსახილველი **დანაშაულის საგანია ასევე** სახელმწიფო ჯილდო. სახელმწიფო ჯილდოს მიეკუთვნება ორდენი, მედალი, საპატიო წოდება, საპატიო სიგელი, რომელიც დაწესებულია საქართველოს კანონმდებლობით შრომითი ან სამხედრო დამსახურებისათვის. სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების წესი რეგლამენტირებულია დებულებით დაჯილდოების შესახებ, რომლითაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული მოქალაქეობის საკითხთა,სახელმწიფო ჯილდოებისა და საპატიო სიგელების მინიჭების განყოფილება.

განსახილველი **დანაშაულის ობიექტური მხარე** გამოიხატება ორ ალტერნატიულ მოქმედებაში – ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენაში ან გასაღებაში. მათი **შეძენა შეიძლება** ყიდვით, ჩუქებით, პოვნით და ა.შ., ხოლო **გასაღება გულისხმობს** – გაყიდვას, საჩუქრად მიცემას, გაცვლას, ვალის გადახდას და ა.შ. რამდენადაც ოფიციალური დოკუმენტების ან სახელმწიფო ჯილდოების მეშვეობით განისაზღვრება ფიზიკური და იურიდიული პირების ნამდვილი სამართლებრივი სტატუსი, ამდენად, ამ საგნების ბრუნვა კანონიერი საფუძვლისა და კანონით დადგენილი პროცედურის გარეშე ზიანს აყენებს

მმართველობის წესს. დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენის ან გასაღების მომენტიდან. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს გამოიყენა თუ არა ვინმემ ეს საგნები, ანდა შემძენმა გამოიყენა, თუ მესამე პირმა.

დანაშაულის **ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია** ის, რომ შეძენილი ოფიციალური დოკუმენტი ან სახელმწიფო ჯილდო პირს ანიჭებდეს რაიმე უფლებას ან ათავისუფლებდეს რაიმე მოვალეობისაგან.

ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი როგორც შემძენი, ისე გამსაღებელი.

რაც შეეხება **ბრალის ფორმას**, იგი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. კანონმდებელი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ქმედების მიზანს, კერძოდ, ოფიციალური დოკუმენტის ან სახელმწიფო ჯილდოს შეძენა ან გასაღება ხდება ანგარების მიზნით. ასეთი მიზნის გარეშე აღნიშნული საგნების შეძენა (მაგალითად, კოლექციისათვის) დანაშაულს არ წარმოადგენს.

ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (მუხლი 362-ე)

განსახილველი ქმედების შემადგენლობა ტრადიციულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და იგი წარმოადგენს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე და 215-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სამართალმემკვიდრეს. მსგავსი ქმედების ჩადენის შედეგად ზიანი ადგება სისხლის სამართლის კანონით დაცულ იმ მმართველობით ურთიერთობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოებისა და ოფიციალური დოკუმენტებით სარგებლობის დადგენილი წესის დაცვას. მაშასადამე, ძველი კანონმდებლობის მსგავსად,აქაც **სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია** ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ოფიციალური დოკუმენტების შედგენისა და გამოყენების დადგენილ წესს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონი იცავს ოფიციალური დოკუმენტების ბრუნვის კანონმდებლობით დადგენილ წესს, ხოლო ამით კი – მმართველობის წესს.

დანაშაულის საგანია – პირადობის მოწმობა ან სხვა ოფიციალ-

ური დოკუმენტი, აგრეთვე ბეჭედი, შტამპი ან ბლანკი.

ოფიციალური დოკუმენტის შესახებ უკვე ვისაუბრეთ 361-ე მუხლის განხილვისას. რაც შეეხება **სხვა საგნებს**: ბეჭედი არის საგანი (მონყობილობა), რომელსაც გააჩნია ტექსტის (ან ტექსტისა და ნახატის) რელიეფური ან ჩაღრმავებული გამოსახულება საწარმოს,დაწესებულების, ორგანიზაციის სრული დასახელებით და სხვა რეკვიზიტებით, რომლის ანაბეჭდი გამოიყენება დოკუმენტის ნამდვილობის დასადასტურებლად.

ბეჭდის ცალკე სახეა **გერბიანი ბეჭედი**, რომელსაც წრიული ფორმა აქვს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. ბეჭედი ისმება იმ პირის ხელმოწერის გვერდით, ვინც ადასტურებს დოკუმენტს.

შტამპი (იტალიურადან შტამპა-ბეჭედი) – ხელის საბეჭდი ფორმაა (კლიშე) ქაღალდზე შესრულებულ დოკუმენტზე ანაბეჭდის გასაკეთებლად, რომელიც შეიცავს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრულ დასახელებას, მის მისამართს, დოკუმენტის გაგზავნის თარიღსა და სხვა რეკვიზიტებს. შტამპს, როგორც წესი, მართკუთხედის ან სამკუთხედის ფორმა აქვს. მართკუთხედის ფორმის მქონე შტამპი დოკუმენტის ზედა მარცხენა კუთხეში ისმება, ხოლო სამკუთხედის ფორმის მქონე – იმ პირის ხელმოწერის გვერდით, ვინც ადასტურებს დოკუმენტს.

ბლანკი[119] – ქაღალდის ფურცელია კუთხის ან ცენტრალური შტამპის ტექსტის გამოსახულებით (ანაბეჭდით) ან სხვა ტექსტის ფრაგმენტებით, რომელიც გამოიყენება დოკუმენტის შესადგენად. ბლანკზე, როგორც წესი, სტამბური წესით არის შესრულებული (აღბეჭდილი) კუთხის ან ცენტრალური შტამპის გამოსახულება, ანდა სხვა ტექსტის ცალკეული ფრაგმენტი. განასხვავებენ ჩვეულებრივი და მკაცრი აღრიცხვის ბლანკებს, რომელსაც აქვს ნომერი (ზოგჯერ სერიაც) და გამოყენების სპეციალური რეჟიმი.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება რამდენიმე ალტერნატიულ მოქმედებაში: ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით; აღნიშნული საგნების გასაღება; მათი გამოყენება.

ყალბი დოკუმენტის,ბეჭდის,შტამპის ან ბლანკის დამზადებაში იგულისხმება როგორც მთლიანად ფიქციური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება (მაგალითად, ბეჭდის, შტამპის დუბლიკატის დამზადება), ისე ნამდვილი ოფიციალური დოკუმენტის, ბე-

[119]ფრანგულიდან blanc – თეთრი, კუთხის ან ცენტრალური შტამპის გამოსახულებიანი ქაღალდის ფურცელი, რომელიც გამოიყენება დოკუმენტის შესადგენად.

ჭდის, შტამპის ან ბლანკის ნაწილობრივ შეცვლა-გაყალბება (მაგალითად, ტექსტის ნაწილის გადასწორება, დამატებითი მონაცემის შეტანა, სხვის მაგივრად ხელის მოწერა, რიცხვის, ნომრის შეცვლა ციფრების გადაადგილებით, ამოშლით და სხვა).

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება თავისთავად უკვე დამთავრებული დანაშაულია (ე.ი. ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულია), თუკი მისი მიზანია მისი გასაღება ან გამოყენება. მათი შეძენა,შენახვა ასევე დასჯადია მაშინ, თუ იგი გასაღების ან გამოყენების მიზნით ხდება.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს ასევე ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის გასაღებაში. **გასაღება გულისხმობს** მათ გაყიდვას, გაჩუქებას, გაცვლას ან სხვა გზით გასხვისებას.

რაც შეეხება ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის **გამოყენებას, მასში იგულისხმება** ასეთი დოკუმენტის წარდგენა იმ პირისათვის, ვისაც შემოწმების უფლება აქვს (მაგალითად, ყალბი მართვის მოწმობის წარდგენა პატრულისათვის) ანდა მისი ოფიციალური წარდგენა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში (მაგალითად, ყალბი დიპლომის წარდგენა მუშაობის დასაწყებად). ყალბი ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის გამოყენება ნიშნავს იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტის დასადასტურებლად დოკუმენტზე ყალბი ბეჭდის ან შტამპის დასმას, ყალბი ბლანკის შევსებასა და ოფიციალურად წარდგენას რომელიმე დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და მისთ.

დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია და იგი დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული ნებისმიერი მოქმედების ჩადენისთანავე, იქნება ეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება თუ გამოყენება. მაგალითად, დანაშაულის ობიექტური მხარე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის,ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის გამოყენების ფორმით,იურიდიულად დამთავრებულად ჩაითვლება ყალბი დოკუმენტის ოფიციალურად წარდგენის, ანდა ყალბი ბეჭდით, შტამპით თუ ბლანკით სარგებლობის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მიაღწია თუ არა დამნაშავემ სასურველ შედეგს (ვთქვათ, რაიმე უფლების მიღებას ან მოვალეობისაგან გათავისუფლებას). ამასთანავე სარგებლობა შეიძლება დენადიც იყოს ე.ი. შესაძლებელია, რომ ყალბი დოკუმენტის გამოყენება დროის გარკვეულ მონაკვეთში გრძელდებოდეს. მაგალითად, პეტრემ ყალბი დიპლომის საფუძველზე დაიწყო შრომითი საქმიანობა და აგრძელებს მას. ამ შემთხვევაში დანაშაული დასრულებული

იქნება,როცა ასეთი საბუთით სარგებლობა შეწყდება (თუმცა იურიდიულად იგი დამთავრებულია მაშინ, როცა უკვე მოხდა მისი გამოყენება). მაშასადამე, თუ ეს დანაშაული დენადი ფორმით ხორციელდება, დასრულებულად ჩაითვლება მაშინ, როცა ყალბი საბუთით სარგებლობა შეწყდება. ამავე დროს, კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, პირმა იცოდეს, რომ ოფიციალური დოკუმენტი, ბეჭედი, შტამპი ან ბლანკი, რომელსაც ის იყენებს, ყალბია. ასევე დენადი ფორმა აქვს აღნიშნული საგნების შენახვას.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი. მოხელეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება სამსახურებრივი სიყალბისათვის (341-ე მ.).

სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულის ობიექტური მხარის ისეთი ნიშნებისათვის, როგორიცაა დამზადება, შეძენა შენახვა, აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა **(მიზნით დაფუძნებული – გამიზვნითი დელიქტი)**. ესაა ამ დოკუმენტის **გასაღების ან გამოყენების მიზანი**. თუკი პირს ეს მიზანი არ ამოძრავებს, სახეზე არაა ამ დანაშაულის შემადგენლობა. **გამოყენების მიზანი** აუცილებლად გულისხმობს ისეთი შედეგის დადგომას, რასაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს.

მაგალითად, 95 წლის პეტრეს სურს ახლობლებში თავი „უხუცესად“ წარმოაჩინოს. ამ მიზნით მან თავის პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში შეიტანა ცვლილება და მისი ასაკი 5 წლით გაზარდა. **ანდა, პირიქით,** ხანდაზმულ პეტრს სურს თავის ახლობლებში თავი ახალგაზრდა კაცად წარმოაჩინოს. ამ მიზნით თავის პირადობის მოწმობაში მისი ასაკი 5 წლით შეიმცირა. მოცემულ შემთხვევაში მას არა აქვს მიზანი, ეს გაყალბებული ოფიციალური დოკუმენტი იმგვარად გამოყენოს, რასაც შეიძლება იურიდიული მნიშვნელობა მიენიჭოს (რა თქმა უნდა, ასევე არა აქვს ამ დოკუმენტის გასაღების ანუ გასხვისების მიზანიც). მისი მიზანია ახლობლებში თავის მოწონება. ამდენად, სახეზე არაა განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა.

მაგალითი ასე შევცვალოთ: პეტრეს სურს პენციაზე გასვლა, მაგრამ ასაკი არ უწყობს ხელს. ამიტომ მან თავის პირადობის მოწმობაში ისე გადააკეთა დაბადების თარიღი, რომ თავი საპენსიო ასაკს მიღწეულად წარმოაჩინა. სახეზეა ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება გამოყენების მიზნით (362-ე მ.). ამ დოკუმენტის გაყალბების გარეშე იგი მას ვერ გამოიყენებდა პენციის დასანიშნად.

გასაღების მიზანში იგულისხმება გაყალბებული დოკუმენტის გაყიდვისა თუ სხვაგვარად გასხვისების მიზანი.

რაც შეეხება **ქმედების მოტივს**, მას კანონი კვალიფიკაციისათვის

მნიშვნელობას არ ანიჭებს.

დანაშაული პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება – პირს გაცნობიერებული აქვს, რომ გასაღების ან გამოყენების მიზნით ამზადებას, ინახავს ან იძენს ყალბ დოკუმენტს. ანდა გაცნობიერებული აქვს, რომ ასაღებს ან იყენებს ყალბ დოკუმენტს და სურს ეს.

პასუხისმგებლობის **დამამძიმებელ გარემოებას** წარმოადგენს იმავე ქმედების ჩადენა: ა) არაერთგზის და ბ) რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

არაერთგზისობა გულისხმობს ამ ქმედებისათვის ნასამართლევი პირის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადებას, შეძენას, შენახვას, გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღებას ან გამოყენებას.

რაც შეეხება მნიშვნელოვან ზიანს, ის შეფასებითი ნიშანია და სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე (მაგალითად, დიდი მატერიალური ზარალი განიცადა სახელმწიფომ, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა).

ყალბი დოკუმენტის გამოყენება ანგარების მიზნით დამდგარი შედეგის მიხედვით, შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც თაღლითობა, თაღლითობის მცდელობა ანდა ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით. თუ თაღლითობისას პირმა გამოიყება სხვის მიერ დამზადებული ყალბი დოკუმენტი, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ თაღლითობით და სსკ 362-ე მუხლის ერთობლიობით კვალიფიკაცია ზედმეტია, რადგან ყალბი დოკუმენტის გამოყენება არის მოტყუების ერთ-ერთი პრაქტიკული გამოვლინება.

362-ე მუხლს აქვს შენიშვნა, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით ეს მუხლი არ ვრცელდება პირზე, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრონის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

ამავე შენიშვნას ბოლო დროს (2015 წლის 17 ივლისის კანონით) დაემატა მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (გარდა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის **გასაღებასთან დაკავშირებული** ქმედებისა) სს-ვი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოში უშუალოდ იმ ტერიტორიებიდან შემოვიდა, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული საფრთხე ემუქრებოდა და რომელიც იმავე კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს საქართ-

ველოს ხელისუფლებას, იმ პირობით, რომ ის დაუყონებლივ ნებაყოფლობით გამოცხადდება ხელისუფლების ორგანოში და წარადგენს სათანადო განმარტებას ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის მიზეზთან დაკავშირებით, და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლის შენიშვნი მე-3 ნაწილი, განსხვავებით მისი პირველი ნაწილისაგან, ვრცელდება მხოლოდ უცხოელზე და მოქალაქეობის არმქონე პირზე.

დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (მუხლი 363-ე)

განსახილველი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები ნაწილობრივ ემსგავსება 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი აქაც ოფიციალური დოკუმენტების ბრუნვის კანონმდებლობით დადგენილი წესია, ანუ მმართველობის წესი, რომელიც არეგულირებს ოფიციალური დოკუმენტით,ბეჭდით,შტამპით ან ბლანკით სარგებლობას.[120]

დანაშაულის საგანზე (ოფიციალური დოკუმენტი, ბეჭედი, შტამპი ან ბლანკი) უკვე ვისაუბრეთ 362-ე მუხლის განხილვისას.

რაც შეეხება ქმედების ობიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნებს: დანაშულის **ობიექტური მხარე** ითვალისწინებს ოთხ ალტერნატიულ მოქმედებას – დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მისაკუთრება, გადამალვა, განადგურება ან დაზიანება.

მისაკუთრება – ნიშნავს პირადი სარგებლობისათვის დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო ამოღებას ოფიციალური ბრუნვიდან ან სხვისი მფლობელობიდან ნებისმიერი ხერხით (ფარულად და სხვ.), ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით (პირის მიზანია ამ დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება).

გადამალვა – გულისხმობს დოკუმენტით, ბეჭდით, შტამპით ან ბლანკით სარგებლობის, გამოყენების შესაძლებლობის მოსპობას მათი მფლობელისათვის (ადრესატისათვის) დამალვით.

[120] თუ რატომაა ამორიცხული დანაშაულის ეს საგნები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საგნიდან, ამ საკითხზე იხ. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი დახასიათება წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ავტ. კოლექტ. თბ. 2016, გვ. 405-407

განადგურება – ნიშნავს კანონში ჩამოთვლილი საგნების სრულ ფიზიკურ (ტექნიკურ) ლიკვიდაციას ნებისმიერი ხერხით,როცა შეუძლებელი ხდება მათი იდენტიფიკაცია და პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

დაზიანება – გულისხმობს კანონში ჩამოთვლილი საგნების ნაწილობრივ ფიზიკურ (ტექნიკურ) გაუვარგისებას, რაც შეუძლებელს ხდის მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებას გარკვეული აღდგენითი სამუშაოს გარეშე.

დანაშაული ფორმალურია და დამთავრებულად ჩაითვლება კანონში ჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების ჩადენისთანავე.

ქმედების სუბიექტი ნებისმიერი ფიზიკური პირია 14 წლის ასაკიდან. კანონში ჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი.

სუბიექტური მხრივ, კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების ისეთ სუბიექტურ ელემენტს, როგორიცაა მოტივი. სახელდობრ, დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მისაკუთრება, გადამალვა, განადგურება თუ დაზიანება ხდება **ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით.** ანგარება გულისხმობს უკანონო მატერიალური გამორჩენის მიღებას; სხვა პირადი მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, შური და მისთ. შესაძლებელია პირადი მოტივი არც იყოს ნაკარნახევი ქვენაგრძნობებით და დამნაშავეს ამოძრავებდეს ახლობელი ადამიანისათვის დახმარების სურვილი, რომელიც, მაგალითად, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება.

გატაცება გულისხმობს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის უკანონოდ ამოღებას სხვისი მფლობელობიდან მისაკუთრების მიზნით, ნებისმიერი ხერხით (ფარულად ან აშკარად, ძალადობით ან მის გარეშე). მართალია, დოკუმენტის მისაკუთრებაზე საუბარია 363-ე მუხლის 1-ლ ნაწილშიც, მაგრამ მე-2 ნაწილში დანაშაულის საგანი მხოლოდ პირადობის მოწმობა ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტია (ე.ი. დანაშაულის საგანთა წრე უფრო შევიწროვებულია); ამასთანავე, ამ დოკუმენტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი გატაცებისათვის პასუხისმგებლობაც შედარებით გამკაცრებულია.

დანაშაული დამთავრებულია აღნიშნული დოკუმენტის გატაცების მომენტიდან, როცა დამნაშავეს მიეცემა მისი ფაქტობრივი გამოყენების შესაძლებლობა. დოკუმენტის დაუფლების ხერხს მნიშვნ-

ელობა არა აქვს. იგი შეიძლება მოხდეს ფარულად, აშკარად, მოტყუებით. მაგრამ თუ მას თან ახლავს ძალადობა, მაშინ ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით (თუ მოჰყვა ჯანმრთელობის დაზიანება ან სიკვდილი) დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება.

პირადობის დამადასტურებელ მოწმობას წარმოადგენს, მაგალითად, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი და მისთ.

სხვა მნიშვნელოვან პირად დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს დიპლომი, მძღოლის მოწმობა, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის ცნება შეფასებითია და მას კონკრეტულ შემთხვევაში დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლო შეაფასებს.

თავი X

დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

ზოგადი დებულებები

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში სახელმწიფო დანაშაული აერთიანებს ხელისუფლების პირველი ორი შტოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, ხოლო ხელისუფლების მესამე შტოს საწინააღმდეგო ქმედება – „დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ" ცალკე კარად არის გამოყოფილი (კარი მეთორმეტე). სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცალკე კარად გამოყოფა, ერთი შეხედვით, შეიძლება მიზანშეწონილიც არის, რადგანაც იგი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ხელისუფლების დანაწილების პრინცი პს. ამით ხაზი გაესვა საქართველოს სახელმწიფოს მისწრაფებას, დაიცვას დემოკრატიის პრინცი პი, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობისას ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და, ამავე დროს, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ხელმყოფთა მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან სამართალდამცავ ორგანოებს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებათ სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურაში, ისინი წარმოადგენენ კანონიერების,სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინცი პების რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. მაგრამ, მეორე მხრივ, ალბათ, ლოგიკური იქნებოდა, თუკი ხელისუფლების სამივე შტოს საწინააღმდეგო ქმედება ერთ კარში გაერთიანებულიყო და მათ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში (კარი მეთერთმეტე) განვიხილავდით. სასამართლო ხელისუფლება ხომ სახელმწიფო მექანიზმის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია.

სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე კარი **აერთიანებს ოთხ თავს:** დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (თავი 41-ე); დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (თავი 42-ე); დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (თავი 43-ე) და დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (თავი 44-ე).

მეთორმეტე კარში გაერთიანებულ დანაშაულთაგან სისხლისამარ-

თლებრივი დაცვის გვარეობით ობიექტს წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა (დაწესებულებათა) ინტერესები. ამავე დროს, ეს კარი აერთიანებს არა მხოლოდ საკუთრივ სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა (საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები) საწინააღმდეგო ქმედებას, არამედ აგრეთვე წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოების, იუსტიციის ორგანოების – სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და სააღსრულებო ბიუროების – საწინააღმდეგო ქმედებებსაც. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან წინასწარი გამოძიებისა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებათა აღმასრულებელი ორგანოები მართლმსაჯულების განხორციელების დამხმარე ორგანოებია. როგორც ვხედავთ, სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში ტერმინი „სასამართლო ხელისუფლება“ (სასამართლო ხელისუფლების ორგანო) ფართოდ არის გაგებული. სასამართლოს გარდა მათ მიეკუთვნება ისეთი ორგანოებიც, რომელთა უშუალო ამოცანას მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენს. ამიტომაც ამ ორგანოთა რიცხვში შედის პროკურატურის, და გამოძიების ორგანოები, ასევე კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა თუ გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოებიც.

გარდა ამისა, ამ კარით დადგენილი სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ასევე გულისხმობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო **დანაშაულთა ობიექტური მხარე** ზემოაღნიშნულ ორგანოთა ინტერესების ხელმყოფ სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მოიცავს. მაგალითად, სასამართლოს უპატივცემლობა, მტკიცებულებების ფალსიფიკაცია, დანაშაულის დაფარვა, განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა და სხვა. სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულთა უმრავლესობა მოქმედებით ხორციელდება, თუმცა გვხვდება უმოქმედობის შემთხვევებიც, მაგალითად, დანაშაულის შეუტყობინებლობა და სხვ. თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციით ამ დანაშაულებს, თუ სათვალავში არ მივიღებთ რამდენიმე კვალიფიციურ შემადგენლობას, ფორმალური შემადგენლობა აქვთ, ე.ი. დამთავრებულად ითვლება კანონში მითითებული ქმედების ჩადენისთანავე. **ქმედების სუბიექტი** ზოგადია, 14 წელს მიღწეული, შერაცხადი ფიზიკური პირი. თუმცა ზოგიერთ შემადგენლობაში სპეციალური ამსრულებელიც გვხვდება, მაგალითად, მოწმე, დაზარალებული, მსჯავრდებული და სხვ. ნოვაციას წარმოადგენს ზოგიერთი დანაშაულისათვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობა.

ყველა ეს დანაშაული განზრახვით ხასიათდება. სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულთა მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა ახალი საპროცესო კოდექსი,რაც მოითხოვდა სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულთა ახლებურად გააზრებას. ასე მაგალითად, მატერიალურ სისხლის სამართალში არ აისახა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილება მტკიცებულების ცნებასთან მიმართებაში, სახელდობრ, ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ახლებურად გააზრებას მოითხოვს სსკ 268-269[1] მუხლები. პირველყოვლისა, მატერიალური სისხლისსამართლებრივი გაგებით მტკიცებულების განადგურებაზე ან ფალსიფიკაციაზე პირობითად შეიძლება მსჯელობა, რადგან ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, რაიმე ინფორმაცია მტკიცებულებად მაშინ ჩაითვლება, როცა მოსამართლე წინასასამართლო სხდომაზე დაამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას (სსსკ მუხლი 220, „გ" ქვეპუნქტი). მაშასადამე, რაიმე სახის ინფორმაცია მტკიცებულების სტატუსს შეიძენს მას შემდეგ, რაც მხარეთა მოსმენის შემდეგ მოსამართლე შესაძლო მტკიცებულებათა ნუსხას დაამტკიცებს. ახალი საპროცესო კოდექსი ამკვიდრებს ტერმინს – ფაქტები და ინფორმაცია, კერძოდ, სსსკ მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის დასაბუთებული ვარაუდისათვის საჭიროა ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა. მაშასადამე,გამოძიების ეტაპზე მხოლოდ ფაქტებისა და ინფორმაციის მოძიება ხდება და შესაბამისად მხოლოდ მათი ფალსიფიკაცია ან განადგურება შეიძლება. აქედან გამომდინარე იბადება კითხვა, ხომ არ აჯობებს სსკ 368-369[1]-ე მუხლებში აისახოს „შესაძლო მტკიცებულების" განადგურება ან ფალსიფიკაცია, რადგან ფაქტები ან ინფორმაცია მტკიცებულების სტატუსს უფრო გვიან, წინასასამართლო სხდომაზე შეიძენენ. ამ მოსაზრებას ამყარებს სსსკ 83-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ბრალდებისა და დაცვის მხარე გზადაგზა, შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციას ცვლიან. მხარეები ერთმანეთს გადასცემენ ინფორმაციას დოკუმენტების ასლის სახით, სხვა მასალის შემთხვევაში კი-ცნობის სახით. ამასთანავე, მას შემდეგ რაც ორივე მხარე სასამართლოში დადებს იმ ინფორმაციას, რომლის მტკიცებულებად გამოყენებასაც აპირებს, სასამართლო ამტკიცებს მტკიცებულებათა ნუსხას, რითაც მათ ლეგალური ძალა ეძლევათ ანუ მტკიცებულების სტატუსს იძენენ. სწორედ, პროცესის ამ ეტაპიდან შეიძლება საუბარი მტკიცებულების განადგურებაზე ან ფალსიფიკაციაზე. აქედან

გამომდინარე, მიზანშეწონილი ხომ არ არის გამოძიების ეტაპზე ვისაუბროთ „შესაძლო მტკიცებულების“ ანუ ფაქტების ან ინფორმაციის წყაროების განადგურებაზე ან ფალსიფიკაციაზე, ეს უფრო გონივრულია, რადგან სხვანაირად გამოძიების ეტაპზე, ახალი საპროცესო კოდექსის ტერმინოლოგიით, მტკიცებულების ფალსიფიკაციაზე ან განადგურებაზე საუბარი შეუძლებელია. თუმცა,უნდა აღინიშნოს,რომ ტერმინოლოგიური წინააღმდეგობები საპროცესო კოდექსში მრავლადაა, მაგალითად, სსსკ მე-3 მუხლის მე-10 და მე-12 პუნქტებში საუბარია გამოძიების მიერ მტკიცებულებათა შეგროვებაზე და წინასასამართლო სხდომაზე წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე, ამავე მუხლში, ასევე ფართოდ არის განმარტებული ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც ბრალდების დადასტურების ან უარყოფის საშუალება შეიძლება იყოს, სსსკ 38-ე მუხლი ბრალდებულს უფლებას ანიჭებს მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება, თანაც, ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, ბრალდებულის დაპატიმრების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მტკიცებულების განადგურების საფრთხე; ახალი საპროცესო კოდექსი ამოღებისა და ჩხრეკის საფუძვლად მიიჩნევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოჩენის მიზანს (მუხლი 119). ამასთანავე, უშვებს ჩხრეკისა და ამოღების გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარების, თუ მტკიცებულებათა დაზიანების ან განადგურების რეალური საფრთხე არსებობს. მაგრამ,ამ ინფორმაციის მატარებლის (შესაძლო მტკიცებულების) დაზიანება ან განადგურება, ვიდრე მას მტკიცებულების სტატუსი არ შეუძენია,რამდენად მართებულია სსკ 368-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს? მაშინ როცა, როგორც აღვნიშნეთ, სსსკ 83-ე მუხლში საუბარია შესაძლო მტკიცებულებებზე, ანუ ინფორმაციაზე, რომლის მტკიცებულებად გამოყენებასაც მხარეები აპირებენ სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, იურიდიულად უფრო გამართლებული ხომ არ იქნება 368-ე და 369[1]-ე მუხლებში აისახოს შესაძლო მტკიცებულების განადგურება და ფალსიფიკაციაც?! ერთი შეხედვით ეს შეუსაბამობა მატერიალურ და საპროცესო კოდექსებს შორის ტერმინოლოგიური ხასიათისაა, მაგრამ თუ ღრმად დავუფიქრდებით მატერიალურ სისხლის სამართლის კოდექსს უფრო ფართოდ ესმის მტკიცებულების ცნება, ვიდრე საპროცესო კოდექსს, რაც დაუშვებელია. რადგან მტკიცებულების არსი საპროცესო პრობლემაა.

როგორც აღვნიშნეთ, ახალი საპროცესო კოდექსით რაიმე ინფორ-

მაცია მტკიცებულებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როდესაც მოსამართლე წინასასამართლო სხდომაზე დაამტკიცებს მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ნუსხას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაისმის კითხვა: თუ მტკიცებულება ჩნდება მხოლოდ წინასასამართლო სხდომის ეტაპიდან, რის საფუძველზე მოქმედებს გადაწყვეტილების მიღებისას გამომძიებელი ან პროკურორი კერძოდ, სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას, მისი შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, ანდა გამოძიების სტადიაზე პირის დაპატიმრების ან აღკვეთის სხვა სახის ღონისძიების შერჩევისას თუ მტკიცებულებებით არა, მაშ რით? რა ვუყოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელშიც ცალსახადაა დეკლარირებული, რომ დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, გამამტყუნებელი განაჩენი და საბრალდებო დასკვნა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. გამოდის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში (368-369[1]), დასჯადად ცხადდება მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომლებიც წინასასამართლო სხდომის შემდეგ აღიარებულ მტკიცებულებებს ეხება? ასე, რომ წინასასამართლო სხდომამდე „ფაქტების და ინფორმაციის“ ფალსიფიკაცია დასჯადი აღარაა, რაც სრული გაუგებრობაა. თუ ფალსიფიკაცია ხდება, მას ადგილი სწორედ სასამართლომდე წარმოების სტადიაზე აქვს და სწორედ აქ ხდება ადამიანის უფლებების ყველაზე მეტი დარღვევები.[121]

ზემოაღნიშნულ რიტორიკულ კითხვებზე საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულ პასუხს სცემს იუსტიციის მინისტრის ბრძანება. სახელდობრ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით მტკიცებულების ცნების ფართო გაგებას გვთავაზობს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება – „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი“,რომელიც პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას ეხება.

აღნიშნული ბრძანების მიხედვით,პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, თუ შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის,რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდენილია კონკრეტული პირის მიერ. გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში; კერძოდ, როცა: საქმეში არსებული

[121] იხ. გ. მეფარიშვილი, სამწუხარო საკანონმდებლო პარადიგმები, ო. გამყრელიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ.2012..

მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის – „მტკიცებულებითი ტესტი"; ან „საკმარისია პროკურორი დარწმუნებული იყოს,რომ სასამართლო განხილვის სტადიაზე მას ხელთ ექნება კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნება პირის ბრალეულობის დასასაბუთებლად."

კიდევ უფრო საინტერესოა პროკურორის მიერ სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ასევე უნდა მოხდეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. ცხადია,პროკურორი ამგვარ გადაწყვეტილებას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე იღებს. აქედან გამომდინარე, პროკურორის გადაწყვეტილება დევნის შეწყვეტაზე არ საჩივრდება. ეს ყოველივე ბრალდებულის სასარგებლოა, და შეიძლება მისაღები იყოს, რომ არა დაზარალებულის უფლებები და/ან პროკურორის დანაშაულებრივი ინტერესები, როცა დევნის არ დაწყება/ან შეწყვეტა მტკიცებულებების ფალსიფიკაციით განხორციელდა.

შესაძლებელია ასეთი მნიშვნელოვანი საპროცესო გადაწვეტილების მიღება მტკიცებულებების გარეშე? ცხადია, პროკურორმა როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ასევე, მისი შეწყვეტის გადაწყვეტილება მხოლოდ შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მიიღოს. როგორც ვხედავთ, იუსტიციის მინისტრის ზემოაღნიშნულ ბრძანებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შორის გარკვეული შეუსაბამობა არსებობს. მაშინ როცა ეს ბრძანება სსსკ 105-ე მუხლის საფუძველზეა გამოცემული.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები უარყოფითად აისახება სასამართლო პრაქტიკაზეც. ასე მაგალითად, საინტერესოა, რისთვის უნდა აგოს პასუხი მოხელემ, რომელმაც იარაღი ან ნარკოტიკი ჩაუდო პირს, ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შესაქმნელად – ზოგადი სამოხელეო დანაშაულისათვის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), თუ მტკიცებულების ფალსიფიკაციისათვის (369[1] მუხლის ნაწილი)? გამოძიება თუ მტკიცებულებებს არ კრებს, მაშინ მისი ფალსიფიკაცია როგორ უნდა მოახდინოს? რა შემთხვევებში შეიძლება ამა თუ იმ მოხელის ქმედების 369[1] მუხლით კვალიფიკაცია? ეს პრობლემა ნამდვილად დგას და დაზუსტებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ნიშანდობლივიცაა შემდეგი სასამართლო პრეცედენტი: 2011 წელს თბილისში დაპატიმრებული იქნა გლდანის რაიონის პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი, რომელმაც ავტომატის ტყვიები ჩაუდო ერთერთ მოქალაქეს. ბრალდების მხარემ, პოლიციელის ქმედება, ერთი მხრივ, შეაფასა მტკიცებულების ფალსიფიკაციად, მა-

გრამ მეორე მხრივ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად (სსკ 333 და 369[1] მუხლები). მაშასადამე, ბრალდების მხარის მიერ ერთი და იგივე ქმედება ერთდროულად შეფასებულია როგორც ზოგად, ისე სპეციალურ სამოხელეო დანაშაულად, რაც ჩვენი აზრით არამართებულია. შესაძლებელია, ქმედების ამგვარი ორმაგი კვალიფიკაცია მტკიცებულების ცნების არაერთგვაროვანი გაგების შედეგიც იყოს.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული საქმისწარმოების პირობებში, როგორც გამოძიების, ასევე, სასამართლო სტადიაზე მტკიცებულების განადგურების ან ფალსიფიკაციის შესაძლებლობა საგრძნობლად მცირდება. კერძოდ, პროკურორი და დამცველი ელექტრონულად ცვლიან ინფორმაციებს და მათი განადგურების შანსი თითქმის ნულის ტოლი ხდება. მით უფრო რთული წარმოსადგენი ხდება მოსამართლის მიერ წინასასამართლო სხდომაზე დამტკიცებული მტკიცებულებათა განადგურება ან ფალსიფიკაცია. თუმცა, ვიდრე მთელ ქვეყანაში დაინერგება ელექტრონული სამართალწარმოება 368-ე და 369-ე მუხლების პრევენციული მნიშვნელობის უგულებელყოფა შეუძლებელია.

თავი XI

დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ

სამართალწარმოების განხორციელებისთვის, გამოძიებისთვის, ან დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლა (მუხლი 364-ე)

საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. მასში ასევე ხაზგასმულია,რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. მოსამართლის დამოუკიდებლობა ნიშნავს კანონის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას.

სასამართლო ხელისუფლება მოქმედებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად და მათ საქმიანობაში ჩარევა ისჯება სისხლის სამართლის წესით. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინცი პის მნიშვნელობა იმაშია, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო პირობები,როდესაც სასამართლოს ექნება რეალური შესაძლებლობა სხვათა ჩაურევლად, გარედან ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე მიიღოს პასუხსაგები გადაწყვეტილება კანონის საფუძველზე.

კონსტიტუციაში ასევე ხაზგასმულია, რომ რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. ასევე ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

სასამართლოს საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი მოქმედებით ხელყოფილია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონსტიტუციური პრინციპის ცხოვრებაში გატარება; შელახულია სასამართლოს ავტორიტეტი; იკარგება ხალხის ნდობა; ირღვევა სამართლიანობის პრინციპი. სასამართლო საქმიანობისათვის ხელის შეშლამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგი მსჯავრდებულისა და მისი ახლობლებისათვის და სხვა.

საქართველოს უახლოეს სინამდვილეში იყო შემთხვევები, როცა ხდებოდა სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებზე ზემოქმედება

როგორც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა, ისე კერძო პირთა მიერ. სასამართლოზე ზეგავლენის მიზნით ეწყობოდა პიკეტები პლაკატებითა და ლოზუნგებით, რომლებშიც გადმოცემული იყო სასამართლოს მიმართ მოპიკეტეთა მოთხოვნები. ამ მიზნითვე ტარდებოდა მიტინგები და დემონსტრაციები,სასამართლოს შენობაში თავს იყრიდნენ მოშიმშილეები და სხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი და სამართალდამცავ ორგანოთა ცალკეული რგოლის ნორმალური საქმიანობა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევისათვის მათი დამოუკიდებლობის ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს.

364-ე მუხლის **პირველი ნაწილის ობიექტური შემადგენლობა** ითვალისწინებს საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისათვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამომძიებლის საქმიანობაში, აგრეთვე დაცვის განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევას. დანაშაულის ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელია უკანონო ჩარევის სხვადასხვა ფორმა, რომელსაც კანონმდებელი არ აკონკრეტებს. ეს შეიძლება იყოს **მაგალითად**, თხოვნა, მოთხოვნა, მუქარა გამოძიების შეწყვეტის ანდა სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის შესახებ, ასევე ადვოკატის იძულება, დასთანხმდეს ბრალდების მხარის მიერ შეთავაზებულ საპროცესო შეთანხმების პირობებს და სხვ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში აღნიშნულია, რომ პროკურორი და გამომძიებელი ვალდებული არიან მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისათვის, გამოავლინონ და შეაფასონ პირის როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი მტკიცებულებანი, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ განსახილველი ნორმა მოიცავს მარტო სისხლის სამართლის პროცესუალურ სფეროს და პირის ზეგავლენა ხორციელდება მხოლოდ პროკურორზე, გამომძიებელზე და ადვოკატზე. ამასთან, პროკურორის საქმიანობაში უკანონო

ჩარევას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე ზემოქმედება ხდება კონკრეტულ გამოსაძიებელ საქმეზე ხელმძღვანელობითი ფუნქციის განხორციელებისას ან საქმის გამოძიებაში მისი უშუალო მონაწილეობის დროს, და არა ზოგადად, პროკურორის ფუნქციის შესრულების გამო. დამნაშავის ზემოქმედების ობიექტი არ შეიძლება იყოს ის პროკურორი, ან გამომძიებელი, რომლებიც ამ საქმეში პროცესუალურად არ მონაწილეობენ. იგივე უნდა ითქვას ადვოკატზეც.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე დაყრდნობით პროკურორის მითითება გამომძიებლისადმი, ასევე ზემდგომი პროკურორის მითითება ქვემდგომი პროკურორისადმი გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით,არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გამოძიების პროცესში ჩარევა. ამ დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება მაშინაც, როდესაც მითითებას იძლევა საგამოძიებო დანაყოფის უფროსი თავისი პროცესუალური უფლებამოსილების ფარგლებში. გამომძიებლის უწყებრივ კუთვნილებას მნიშვნელობა არა აქვს.

სისხლის სამართლის კოდექსის **364-ე მუხლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებული დანაშაული **ფორმალურ შემადგენლობას** მიეკუთვნება. გამოძიების წარმოებისათვის ხელის შეშლა დამთავრებულია სათანადო მოქმედების ან აქციის ჩატარების მომენტიდან, თუგინდ მან არავითარი მავნე შედეგი არ გამოიწვიოს.

საგამოძიებო ორგანოებისათვის მიმართული მოქალაქის წერილობითი თხოვნა საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ,ასევე ბრალდებულის დამცველის მიმართვა გარკვეული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ და სხვა, ვერ ჩაითვლება მათ მიერ საგამოძიებო საქმიანობაში ჩარევად, რამდენადაც ამგვარ მოქმედებათა განხორციელება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივი ძირითადად პირადულია. მოტივი შეიძლება ანგარებითიც იყოს; ამიტომ სათანადო პირობების არსებობისას გამორიცხული არ არის ამ დანაშაულის დაკვალიფიცირება სხვა დანაშაულთან ერთობლიობითაც.

დამნაშავის მიზანია უკანონოდ ჩაერიოს და ზეგავლენა მოახდინოს საჯარო მოხელეზე საქმის მის სასარგებლოდ წარმართვისათვის. ეს სპეციალური მიზანი კანონში პირდაპირ არის მითითებული. თუ ეს მიზანი არ არსებობს, მაშინ არც დანაშაული გვექნება სახეზე.

ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რამდენადაც პირს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების – საგამოძიებო ორგანოებზე ზეგავლენის მოხდენის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებს, რომ მას შეიძლება მოჰყვეს

სამართალწარმოების ჭეშმარიტი ინტერესის დარღვევა და სურს იგი.

სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული **დანაშაულის ამსრულებელია**, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

364-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უხეში ჩარევა.

ამავე მუხლის მეორე პრიმა ნაწილით კი – სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონოდ ჩარევა.

აღნიშნული მუხლით „სასამართლო საქმიანობის“ ქვეშ იგულისხმება კანონით განსაზღვრული მოქმედება, განხორციელებული მოსამართლის მიერ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცესის ყველა სტადიაზე. მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო საქმიანობისათვის ხელის შეშლა კი ითვალისწინებს იმ სასამართლოზე, მოსამართლესა ან ნაფიც მსაჯულზე ზემოქმედებას, რომელთაც მიიღეს საქმე განსახილველად ან უკვე დაიწყეს მისი განხილვა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევას. იგი სხვადასხვა მოქმედებაში გამოიხატება. სახელდობრ, ეს შეიძლება იყოს თხოვნა ან მოთხოვნა, მიმართული მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულისადმი, რათა სასამართლო საქმე გადაწყდეს მათი ინტერესიდან გამომდინარე; ან კიდევ, თხოვნა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ; საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების შეუფასებლობაზე და სხვა. ამგვარი ზეგავლენა შეიძლება განხორციელდეს სხვა პირთა მეშვეობითაც, მაგალითად, ნათესავის, კოლეგის, მეგობრის მიერ. თხოვნა შეიძლება ნაკარნახევი იყოს მეგობრული გრძნობით, იყოს უანგარო და, პირიქით, მას თან სდევდეს დაპირება მატერიალური სიკეთის მიღებისა. გამორიცხული არც ის არის, რომ პირის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის მოთხოვნას ახლდეს მუქარა,შანტაჟი მიმართული მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის ან მათი ახლო ნათესავის მიმართ. თუ დამნაშავე ემუქრება დაზარალებულს სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით ანდა ქონების განადგურებით, ან დაზიანებით, ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას და ეს მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლით, ისე 365-ე მუხლის პირველი ნაწილით – მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან გამოძიებასთან

დაკავშირებით.

კანონის პირდაპირი მითითების საფუძველზე სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის ფორმას მნიშვნელობა არა აქვს და გულისხმობს მოსამართლესა და მსჯულზე ყოველგვარ ზემოქმედებას,რაც არსებითად არღვევს კანონმდებლობით დადგენილ სამართალწარმოების პრინცი პებს (საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას). **განსახილველი დანაშაული ფორმალურ დანაშაულთა** შემადგენლობას მიეკუთვნება და დამთავრებულია იმ მოქმედების ან აქციის ჩატარების მომენტიდან, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენას. დანაშაულის დამთავრებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მოახდინა თუ არა დანაშაულებრივმა ქცევამ სასამართლოზე ზემოქმედება გადაწყვეტილების გამოტანის დროს. სამართალწარმოების განხორციელებაში **ჩარევას არ წარმოადგენს**

იმ ფაქტის შეტყობინება,რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული; ასევე საქმისათვის მნიშვნელოვან ახალ მტკიცებულებაზე მითითება; ოფიციალური საჩივრის შეტანა მოსამართლის უკანონო ქმედების გამო და სხვა. სისხლის სამართლის კოდექსის **364**-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **შემადგენლობა არ გვექნება** იმ შემთხვევაშიც,თუ ცალკეული მოქალაქე ან საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს სასამართლოს მისი კოლექტივის ნევრის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების თაობაზე ან ისეთი სასჯელის შეფარდებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან. ამგვარი მოქმედება ვერ ჩაითვლება სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებად. ზოგჯერ, სათანადო პირობების არსებობისას, სასამართლომ შეიძლება ამგვარი თხოვნა დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებადაც კი ჩათვალოს.

ზოგადი ხასიათის რჩევა, სურვილი ან კრიტიკა ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევად: მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა კონკრეტული სასამართლოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის საერთო მიმართულების შესახებ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ზოგიერთი წარმომადგენელი, არცთუ იშვიათად, ფაქტობრივად ერევა სამართალწარმოების განხორციელებაში და ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს სასამართლოზე მაშინ, როდესაც სასამართლო საქმის დასრულებამდე გამოხატავს ვითომდა საზოგადოების აზრს და ცდილობს იგი თავს მოახვიოს სასამართლოს. ჩვენი აზრით, სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის განზრახვით პრესაში სტატიის გამოქვეყ-

ნება ან რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, მართლმსაჯულების საქმიანობაში უხეშ ჩარევად უნდა დაკვალიფიცირდეს და ჟურნალისტი მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. პირის თხოვნა,რომ სასამართლომ საქმე კანონის ყველა მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვიტოს და თუ იგი არ არის დაკავშირებული რაიმე სხვა პირობასა და დაპირებასთან,იურიდიულად არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უკანონო ჩარევა სასამართლოს საქმიანობაში; თუმცა, ზნეობრივი თვალსაზრისით ეს შეიძლება უტაქტო იყოს, ვინაიდან გულისხმობს მოსამართლის მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

სასამართლო საქმიანობაში უკანონო ჩარევა შეიძლება მოხდეს მოსამართლის მიერ როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას,ისე არასამსახურებრივ გარემოშიც. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ყურადღება ექცევა გარკვეული მოქმედების განხორციელების მიზანს – მართლმსაჯულებაზე ზეგავლენის მოხდენას.

პირის თავის მართლება იმით, რომ მას არ სურდა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა და, პირიქით, მისი მიზანი იყო სასამართლოსათვის დახმარების გაწევა, მის ქცევას ვერ გაამართლებს, რამდენადაც თავისი მოქმედებით იგი ზეგავლენას ახდენს მოსამართლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე.

სუბიექტური მხრივ სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულის ჩადენის მოტივი** სხვადასხვაგვარია. იგი შეიძლება იყოს დამნაშავისადმი სიბრალული, დაზარალებულსა ან განსასჯელთან ნათესაური ურთიერთობა, ანგარება, არასწორად გაგებული საწარმო-დაწესებულების ინტერესი, დანაშაულის გარემოებათა გახმაურების მიზანშეუწონლობა და სხვა. დანაშაულის მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. იგი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასჯელის სახისა და ზომის დადგენის დროს.

განსახილველი დანაშაულის **აუცილებელ სუბიექტურ ნიშანს** წარმოადგენს **მისი მიზანი**. იგი პირდაპირ არის მითითებული 364-ე მუხლის მეორე ნაწილში: სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლო საქმიანობაში უხეში ჩარევა, რათა სასამართლომ არ მიიღოს ჭეშმარიტი და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამ მიზანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კონკრეტული გამოვლენა, კერძოდ, შეწყდეს სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართლის საქმე; ან პირიქით, დაიწყოს ან განახლდეს იგი; უსაფუძვლოდ გაამართლონ ან უფრო მკაცრად დასაჯონ პირი და ა.შ.

განსახილველი დანაშაული პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. პირს გაცნობიერებული აქვს,რომ თავისი მართლსაწინააღმდეგო მო-

ქმედებით ამა თუ იმ ფორმით უკანონოდ ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელებას, ითვალისწინებს მოსამართლის მიერ თავის სასარგებლოდ საქმის უკანონოდ გადაწყვეტის შესაძლებლობას და სურს ამ შედეგის დადგომა.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

ზემოაღნიშნული მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას ზეგავლენას ახდენენ ამ კონკრეტული საქმის გადამწყვეტ მოსამართლესა ან ნაფიც მსაჯულზე. ასეთივე მოქმედება,განხორციელებული სასამართლოს სხვა მუშაკის (მაგალითად, მოსამართლის თანაშემწის, კონსულტანტის, აღმასრულებლის,სასამართლოს სხდომის მდივნის) მიმართ,არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კანონმდებელი განსახილველ მუხლში, 365-ე მუხლისაგან განსხვავებით,სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრზე პირდაპირ არის მინიშნებული,მასზე სახელდებით არ მიუთითებს. 364-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში უკანონო ჩარევას, მის წევრზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, ისეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, როგორც საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობაში ჩარევას.

სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **პირველი და მეორე ნაწილები ერთმანეთისაგან განსხვავდება** იმის მიხედვით, თუ რომელი მოხელის საქმიანობას ხელყოფს დამნაშავე მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. თუ პირველ ნაწილში იგი პროკურორი, გამომძიებელი, ან ადვოკატია, მეორე ნაწილში ის შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საერთო სასამართლოს მოსამართლე და ნაფიცი მსაჯული.

განსახილველი მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას,ჩადენილს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ. კანონმდებელმა მომეტებულ საფრთხედ ჩათვალა სასამართლოს საქმიანობაში სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის ჩარევა და უფრო მკაცრი სასჯელი დაადგინა ამგვარი ქმედებისათვის. ეს დამატება 2010 წელს განხორციელდა. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის იდენტიფიკაციისათვის უნდა დავემყაროთ კონსტიტუციას და კანონს საჯარო სამსახურის შესახებ.

364-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს პირველი, მეორე

ან მეორე პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ჩადენილს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამრიგად, დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა მძიმდება იმის მიხედვით, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული (თუმცა გაუგებარია, რატომაა ამ ქმედების ჩადენა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ გათვალისწინებული ამ მუხლის მე-3 ნაწილით და ამდენად, რატომაა იგი მიჩნეული ნაკლებად საშიშ ქმედებად, ვიდრე მისი ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით?).

პირის სამსახურებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მისი სამართლებრივი სტატუსით. ამიტომ, როდესაც საუბარია სამართალწარმოების დროს ან გამოძიების წარმოებისას მის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაზე, უნდა მივმართოთ იმ კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტს, რომლითაც განსაზღვრულია დამნაშავის სამსახურებრივი უფლებამოსილება. აქ სახეზე გვაქვს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სპეციფიკური სახე. დამნაშავე იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას მოსამართლესა და კანონში მითითებული სამართალწარმოების სხვა მონაწილეებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ზემდგომი პროკურორი ან სახელისუფლებო სისტემის მაღალი რანგის მოხელე, რომელთაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ან ავტორიტეტით ძალუძთ ზემოქმედება მოახდინონ ზემოაღნიშნულ პირებზე.

სასამართლო პრაქტიკაში გამორიცხული არ არის დაისვას საკითხი, შეიძლება თუ არა განსახილველი დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვალოს პირი, რომელიც კომერციულ და სხვა არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში ასრულებს მმართველობით ფუნქციას? ყველა ზემოაღნიშნული პირი, რომელიც სასამართლოსა და 364ე მუხლში მითითებულ სხვა პირებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელებას, ვერ ჩაითვლება ამ დანაშაულის სუბიექტად. მხოლოდ ის პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილება აძლევს მას რეალურ შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს საქმის გადაწყვეტაზე, შეიძლება იყოს ამ დანაშაულის სუბიექტი.

მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასთან ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით (მუხლი 365-ე)

განსახილველი დანაშაული,მიმართული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის, დამცველის, ექსპერტის, აღმასრულებლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, გამოძიებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან, ანდა განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით,იმით არის საშიში, რომ მუქარა ქმნის ისეთ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, როდესაც სამართალწარმოების მონაწილე შებოჭილია შიშით არ მოუსპონ მას ან მის ახლო ნათესავს სიცოცხლე,დაუზიანონ ჯანმრთელობა ანდა გაუნადგურონ, ან დაუზიანონ ქონება. ამგვარმა სიტუაციამ შეიძლება აიძულოს სამართალწარმოების მონაწილე ჩაიდინოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რითაც ხელი შეეშლება მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს. ხაზგასასმელია ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტი არა მარტო თვითონ იდენს დანაშაულს, არამედ უბიძგებს პროცესის სხვა მონაწილეს დაარღვიოს კანონი და არ შეასრულოს თავისი

სამართლებრივი და მოქალაქეობრივი ვალი. ეს მოქმედება ფაქტობრივად წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესში უხეშ ჩარევას, პროცესის მონაწილეებზე სათანადო ზემოქმედებას ბრალდებულის,დაზარალებულის, მოსარჩელის, მოპასუხისა და სხვათა მიმართ საქმეზე დამნაშავისათვის სასურველი შედეგის მისაღწევად.

რაც შეეხება ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტს, იგი არის მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი, ხოლო დამატებით ობიექტად კი გვევლინება ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება.

სსკ 365-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული **ობიექტური მხრივ** გამოიხატება მუქარაში, რომ მოკლავენ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, მოსამართლეს ან მსაჯულს, ანდა ამიაყენებენ ზიანს მათ ჯანმრთელობას, გაუნადგურებენ ან დაუზიანებენ ქონებას; იგივეს მოიმოქმედებენ მათი ახლო ნათესავის მიმართ (ახლო ნათესავის ცნების განმარტება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნაში: „ახლო ნათესავად ითვლება მშობელი,შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და-ძმა, მეუღლე“).

ეს დანაშაული სახეზე რომ გვქონდეს, საკმარისია მუხლში მითითებული ერთ-ერთი მოქმედების განხორციელების მუქარის არსებობა.

365-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის **შემადგენლობა ფორმალურია**. იგი დამთავრებულად ითვლება მსხვერპლის მიმართ უშუალოდ მუქარის წარმოთქმის მომენტიდან, აგრეთვე წერილობითი ფორმით შეტყობინების მომენტიდან,ან კიდევ,სპეციალური დავალებით მისთვის სხვა პირის მიერ მუქარის გადმოცემის მომენტიდან. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მოახდინა თუ არა მან ზეგავლენა კანონით გათვალისწინებულ პირთა მოქმედებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. თუ მუქარა რეალიზებულ იქნა,ე.ი. ის ფაქტობრივად განხორციელდა,ამ მოქმედების კვალიფიკაცია მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით: 365-ე მუხლითა და იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს მუქარის განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანს. 365-ე მუხლში მითითებული მუქარის სახეები ამომწურავია.

სხვა მავნე შედეგის დადგომის მუქარა, რომელიც არ არის მოხსენებული მუხლში, ისეთი როგორიცაა, მაგალითად, გამაწბილებელი ცნობების გავრცელება სამართალწარმოების მონაწილეთა მიმართ, ამ **დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის.** თუმცა სათანადო პირობების არსებობისას იგი შეიძლება დავაკვალიფიციროთ როგორც უკანონო განაჩენის გამოტანისათვის ნაქეზება ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლებისათვის ნაქეზება.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის,ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა გამოიხატება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით. მუქარა შეიძლება საჯაროდაც გაცხადდეს (მაგალითად, სასამართლო სხდომის დარბაზში) ასევე სხვა პირთა დაუსწრებლად. იგი შეიძლება გამოთქმულ იქნეს როგორც კონკრეტულ პირთა სახელით,ისე საკუთარი სახელითაც. მაგალითად, განაჩენის გამოქვეყნების შემდეგ ბოროტი ხულიგნობისათვის მსჯავრდებული პირი მოსამართლის მიმართ გამოთქვამს მისი მოკვლის მუქარას. თუ მუქარა გამოთქმულია ზემოაღნიშნულ პირთა დაუსწრებლად, მაშინ არც ამ დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება. **მუქარა** შეიძლება გულისხმობდეს მოთხოვნას მოსამართლის მიერ ნაკლებად მკაცრი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან,პირიქით, მიუთითებდეს განსასჯელის სამაგალითოდ დასჯის აუცილებლობაზე. მთავარია, რომ დაზარალებულის მიერ მუქარა აღქმულ იქნეს, როგორც რეალური საფრთხე და

მისი განხორციელება ეჭვს არ იწვევდეს. ზემოაღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **მხოლოდ პირდაპირი განზრახვით,** როდესაც პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ემუქრება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ან მათ ახლო ნათესავს ჯანმრთელობის დაზიანებით, ქონების განადგურებით ან დაზიანებით და სურს, რომ სასამართლო განხილვის დროს მან მუქარის ზეგავლენით განახორციელოს მისთვის სასარგებლო მოქმედება.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, თუმცა იგი გავლენას არ ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის მიმართ გამოთქმული მუქარა ისეთი პირადი მოტივით, რაც დაკავშირებული არ არის მათ მიერ პროცესუალური მოვალეობის შესრულებასთან, ამ მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. თუ იმ პირს, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით.

სისხლის სამართლის კოდექსის 365-ე მუხლის პირველ ნაწილში **პირდაპირ არ არის მითითებული დანაშაულის ჩადენის მიზანზე**, თუმცა მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი მუქარას სასამართლოში საქმის განხილვას უკავშირებს.

დამნაშავეს გააჩნია **სპეციალური მიზანი** – იგი მიისწრაფვის მუქარის მეშვეობით ზეგავლენა მოახდინოს სასამართლოში საქმის მსვლელობაზე: დააჩქაროს ან შეაყოვნოს იგი, მიაღწიოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას და სხვა.

ზემოაღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **მხოლოდ პირდაპირი განზრახვით,** როდესაც პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ემუქრება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ან მათ ახლო ნათესავს ჯანმრთელობის დაზიანებით, ქონების განადგურებით ან დაზიანებით და სურს, რომ სასამართლო განხილვის დროს მან მუქარის ზეგავლენით განახორციელოს მისთვის სასარგებლო მოქმედება.

დანაშაულის სუბიექტია როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

პირველი ნანილისაგან განსხვავებით, 365-ე **მუხლის მე-2 ნანილის** შესაძლო გამოყენების სფერო უფრო ფართოა; სახელდობრ, გაფართოებულია იმ პირთა წრე, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუქარა. **მუხლის მე-2 ნანილი** ადგენს პასუხისმგებლობას პროკურორის, გამომძიებლის, ადვოკატის, ექსპერტის, აღმასრულებ-

ლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილის ან მათი ახლო ნათესავის მიმართ გამოძიებასთან, დაცვის განხორციელებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან ანდა განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით.

მუქარის ობიექტური ნიშნები ამ დანაშაულის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ნიშნების ანალოგიურია.

კანონმდებელი დაზარალებულ პირებს ამომწურავად არ ჩამოთვლის და მათ ზოგადად, „სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს" მიაკუთვნებს. საპროცესო კანონმდებლობაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეებში იგულისხმება სამოქალაქო მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე, მათი წარმომადგენელი, მოწმე, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, ბრალდებული და სხვა. რაც შეეხება ახლო ნათესავის ცნებას, მისი განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნაში,ასევე, სსსკ მესამე მუხლში.

სუბიექტური მხრივ 365-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვაა. იგი შეიძლება იყოს გამოძიების წარმოებისა და სასამართლოში საქმის განხილვისას პროკურორისა და პროცესის სხვა მონაწილის საქმიანობით უკმაყოფილების გრძნობა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული უკმაყოფილება, შურისძიება და სხვა; **ხოლო დამნაშავის მიზანია** მუქარის გამოყენებით სამართალწარმოების მონაწილეთა დაყოლიება მისთვის სასურველი მოქმედების განხორციელებაზე.

ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **მხოლოდ პირდაპირი განზრახვით**,პირს გაცნობიერებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, მუქარის გამოყენებით ცდილობს მისთვის სასურველი შედეგის მიღწევას და სურს, რომ მუქარამ სათანადო ზემოქმედება მოახდინოს.

სსკ 365-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულია ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებანი. მუქარა დაკვალიფიცირდება ამ მუხლის მესამე ნაწილით, თუ იგი ჩადენილია ისეთი ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშიში არ არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამგვარ ძალადობას განეკუთვნება, მაგალითად, პირის შენობაში ჩაკეტვა, ცემა და სხვაგვარი ფიზიკური ზემოქმედება დაზარალებულზე ან მსგავსი ძალადობა, რომელიც მას ფიზიკურ ტკივილს აყენებს, თუმცა არ გამოუნვევია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა.

ცნობილია, რომ სსკ 126-ე მუხლი ცალკე დანაშაულად გამოყოფს

ცემას; მაგრამ, რამდენადაც ცემა მუქარის მაკვალიფიცირებელი გარემოების ალტერნატიულ-სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს, იგი აღარ საჭიროებს 125-ე მუხლით დამატებით კვალიფიკაციას.

სსკ 365-ე მუხლის მე-4 ნაწილი კიდევ უფრო ამძიმებს პასუხისმგებლობას, თუ გამოყენებულია ისეთი ძალადობა, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამგვარ ძალადობაში იგულისხმება ისეთი ძალადობა, რომელიც მისი გამოყენების მომენტში საშიში იყო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შედეგის დადგომის მიუხედავად. შესაძლოა, რომ ძალადობის გამოყენებისას დაზარალებულის ჯანმრთელობას არავითარი ზიანი არ მიადგეს ან ზიანი გამოიხატოს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებაში ჯანმრთელობის მოშლის გარეშე. მთავარია, რომ ამგვარი ძალადობა ქმნიდეს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალურ საფრთხეს.

იმისათვის, რომ შევაფასოთ დამნაშავის მიერ გამოყენებული ძალადობის სიმძიმის ხარისხი, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ მისი ინტენსივობა,დროის ხანგრძლივობა, ძალადობის ხერხი, დანაშაულის იარაღი და სხვა. ასეთ ძალადობად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ადამიანის დასახრჩობად გამიზნული მოქმედება, დაზარალებულის თავის ჩაყოფა წყლით სავსე ავზში ხანგრძლივად და არაერთგზის, თავზე პოლიეთილენის პარკის ჩამოცმა და სხვა ძალადობრივი მოქმედება.

თუ დაზარალებულის მიმართ გამოყენებულმა ძალადობამ **გამოიწვია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება,** ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით – სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 365-ე მუხლებით.

სსკ 365-ე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს პირველი ან მეორე ნაწილით აღწერილი ქმედების ჩადენას: ა) ჯგუფურად, ბ) არაერთგზის. აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებები უნდა განიმარტოს სსკ 27-ე და მე-15 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 365[1] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობაში უკანონო ჩარევა

განსახილველი ქმედება კრიმინალიზებულ იქნა 2014 წლის 1 აგვისტოს. ეს განაპირობა საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა. სახ-

ელდობრ, აღნიშნული კანონის 36-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება 3 წლის ვადით. ამ ვადის გასვლამდე არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 1 თვისა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ მუხლის 4[4] პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ.

თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზნით, თანამდებობაზე მისი გამწესებიდან 1 წლის თავზე და 2 წლის თავზე, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე 4 თვით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წილისყრით შეარჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ მოსამართლე წევრს და ერთ არამოსამართლე წევრს (შემდგომ – შემფასებლები), რომლებმაც 1 თვის ვადაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შეაფასონ მოსამართლის საქმიანობა შესაბამის პერიოდში. აღნიშნული ექვსი შეფასება სხვადასხვა შემფასებელმა უნდა განახორციელოს. ეს ანგარიშები მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე, 1 თვის განმავლობაში შესასწავლად გადაეცემათ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

აქედან გამომდინარე, ნორმით დაცულ ინტერესს წარმოადგენს იუსტიციის საბჭოს წევრის საქმიანობა მოსამართლის მონიტორინგის განხორციელებისას.

ობიექტური მხრივ დანაშაული შესაძლებელია განხორციელდეს **აქტიური მოქმედებით,** კერძოდ, თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობის შეფასების განმახორციელებელი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევით. მაგალითად, ეს შეიძლება გამოიხატოს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის მიერ ჩატარებულ სხდომებზე დასწრებისათვის საბჭოს წევრისათვის დაბრკოლებების შექმნაში, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მონიტორინგის განმახორციელებელი იუსტიციის საბჭოს წევრისათვის ანგარიშის მოთხოვნაში, თხოვნაში შეფასების ქულების ასამაღლებლად, ან პირიქით და მისთ.

ქმედების სუბიექტურ ნიშნებს მოტივს და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამ დანაშაულის მოტივი შესაძლებელია იყოს პირადიდან დაწყებული და არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესით დამთავრებული.

დანაშაულის ამსრულებელი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული

ნებისმიერი ფიზიკური პირია. როგორც წესი ამ დანაშაულის ამსრულებლად სხვადასხვა მაღალი რანგის მოხელეები მოიაზრება.

დანაშაული პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება.

სასამართლოს უპატივცემულობა (მუხლი 366-ე)

ადრე მოქმედ კოდექსში არ არსებობდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემულობისათვის. საქართველოში დემოკრატიის განვითარებისა და სასამართლო რეფორმის გატარების პროცესში აუცილებელი შეიქნა ამგვარი ქმედების კრიმინალიზაცია. როდესაც სახელმწიფო ცდილობს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების დამკვიდრებას და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფას, სხვა პირობებთან ერთად, მისთვის აუცილებელია სასამართლო საქმიანობის სწორი წარმართვა, რათა სამართალწარმოება ნორმალურ პირობებში განხორციელდეს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით.

სასამართლოს უპატივცემულობის, როგორც დანაშაულის, საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელყოფს სასამართლოს ავტორიტეტს, მორალურ ზიანს აყენებს დაზარალებულს და დაბლა სცემს მოსახლეობაზე სასამართლო განხილვის აღმზრდელობითი ზემოქმედების მნიშვნელობას.

სასამართლო სხდომის დარბაზში დამნაშავე თავისი შეურაცხმყოფელი მოქმედებით ქმნის ნერვულ და არაჯანსაღ ატმოსფეროს, რაც ხელს უშლის სასამართლოს მიერ საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვასა და გადაწყვეტას. იგი უარყოფითად მოქმედებს პროცესის მონაწილეთა მიერ თავისი უფლებების განხორციელებაზე, ასევე სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – შეჯიბრებითობის პრინციპის ცხოვრებაში გატარებაზე.

სსკ 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტია სასამართლო ორგანოების ნორმალური საქმიანობა და სასამართლოს ავტორიტეტი, ხოლო დამატებითი ობიექტი კი – მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე პირთა პატივი და ღირსება.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფაში გამოიხატება.

სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა შეურაცხყოფის, როგორც დანაშაულის, დეკრიმინალიზაცია მოახდინა; თუმცაღა შეურაცხყოფის

ტერმინის შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეურაცხყოფა გულისხმობს პირის პატივისა და ღირსების უარყოფით შეფასებას, გამოხატულს უწესო ფორმით.

შეურაცხყოფა შეიძლება გამოხატულ იქნეს ვერბალური ფორმით, ასევე ისეთი მოქმედებით, რომელიც ამცირებს სასამართლო პროცესის მონაწილეთა პატივსა და ღირსებას (მაგალითად, გარტყმა, შეფურთხება, ვულგარული ჟესტი და სხვა). იგი შეიძლება მდგომარეობდეს პროცესის მონაწილის მორალური თვისებებისა ან მისი პროფესიული კვალიფიკაციის დამამცირებელ შეფასებაში, საქმით დაინტერესების შესახებ უწესო ფორმით გამოხატულ განცხადებაში და სხვა.

განსახილველი დანაშაული **ფორმალური შემადგენლობისაა** და იგი დამთავრებულია მსხვერპლის შეურაცხყოფის მომენტიდან,ანუ როდესაც წარმოთქმულია შეურაცხმყოფელი სიტყვები ან მის მიმართ განხორციელებულია შეურაცხმყოფელი მოქმედება.

დანაშაულის ჩადენის ადგილად ითვლება სასამართლო სხდომის დარბაზი ან მთლიანად სასამართლოს შენობა მაშინ,როდესაც სასამართლო პროცესზე შესვენება არის გამოცხადებული; ხოლო დანაშაულის ჩადენის დროდ კი – სასამართლო დარბაზში საქმის განხილვის ან შესვენების დრო.

სამართალწარმოებაში მონაწილე პირის შეურაცხყოფა ისეთ ვითარებაში, რაც არ უკავშირდება სასამართლოში საქმის განხილვას, ამ დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის და, საერთოდ, არ ისჯება სისხლის სამართლის წესით.

სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვაა: პირადი სიძულვილი, სასამართლო საქმის გარემოებასთან დაკავშირებული მტრობა, ეროვნული ან რელიგიური შეუწყნარებლობა და სხვა. მოტივს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მას ყურადღება მიექცევა სასჯელის დადგენის დროს.

სსკ 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას პირი მოქმედებს **პირდაპირი განზრახვით**: მას გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს, რომ იგი შეურაცხმყოფელია პროკურორის ან სამართალწარმოების სხვა მონაწილისათვის და სურს დაამციროს მისი პატივი და ღირსება.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც სამართალწარმოებაში მონაწილე, ისე ის პირი, რომელიც, თუმცა პროცესუალურად სასამართლო განხილვის უშუალო მონაწილე არ არის, მაგრამ კონკრეტულ საქმის განხილვასთან დაკავშირებით იმყოფება სასამართლო სხდომის დარბაზში ან სასამართლოს შენობაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ 366-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსის

ამგვარი ინტერპრეტაცია არ ქმნის მისი განვრცობითი განმარტების საშიშროებას. არ უნდა დავივიწყოთ,რომ სასამართლოს უპატივცემულობის, როგორც დანაშაულის, ძირითადი ობიექტია სასამართლო ორგანოების ნორმალური საქმიანობა და სასამართლოს ავტორიტეტი. სწორედ ეს ინტერესია ხელყოფილი სასამართლო პროცესზე დამსწრეთა შეურაცხმყოფელი მოქმედებით. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-9 მუხლში პირდაპირ არის ჩაწერილი სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა შესახებ: მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების, აგრეთვე სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა ისეთი ქმედება, რომელიც სასამართლოსადმი უპატივცემულობას გამოხატავს, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

366-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს იმავე ქმედებას, რაც გამოიხატა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფაში. ამ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური ნიშნები ემთხვევა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ნიშნებს. პასუხისმგებლობა დიფერენცირებულია მხოლოდ დაზარებულის პროცესუალური მდგომარეობით. საკითხი ეხება იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ და არსებითად განიხილავენ და წყვეტენ სასამართლო საქმეს. მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფა კანონმდებლის მიერ სასამართლოს შეურაცხყოფის უფრო მძიმე სახედ ითვლება და სასჯელის ღონისძიებაც შედარებით მკაცრია.

სსკ **366-ე მუხლის მეორე ნაწილით** ქმედების კვალიფიკაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლოს უპატივცემულობის ობიექტს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, მოსამართლე და მსაჯული ამა თუ იმ კონკრეტული საქმის განხილვისას.

განხილულ მუხლთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ სასამართლო პრაქტიკა ფაქტობრივად არ იცნობს სასამართლო პროცესზე მოსამართლისა თუ პროცესის სხვა მონაწილის შეურაცხყოფის გამო სს-ვი პასუხისმგებლობის ფაქტებს; თუმცა ბოლო დროს მათი შეურაცხყოფის შემთხვევები არცთუ იშვიათია. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესის ნორმალურ ვითარებაში წარმართვას. სასამართლოს უხდება დარბაზიდან დამსწრეთა და ზოგჯერ პროცესის მონაწილეთა გაძევებაც, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდის. ამგვარი პრაქტიკა მავნე ზეგავლენას ახდენს სასამართლოს პრესტიჟსა და ავტორიტეტზე, ხოლო ახლად შემოღებული ნორმა თავის მიზანს ვერ აღწევს და იგი ფაქტობრივად მკვდარ ნორმად რჩება.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება (მუხლი 367-ე)

სისხლის სამართლის ადრე მოქმედ კოდექსში არ არსებობდა პასუხისმგებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის, სამართალწარმოების ანდა სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურებისათვის.

სახელმწიფოში ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ზრდის ტენდენციამ და მასთან ბრძოლის არასათანადო ეფექტურობამ განაპირობეს კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის ახალ კოდექსში ზემოაღნიშნული მუხლის შეტანა.[122]

ამ დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ საიდუმლო ცნობების გახმაურებამ შეიძლება დასაცავი პირისათვის სავალალო შედეგი გამოიღოს. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოების სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის ხერხისა და მეთოდის გამჟღავნება უარყოფით გავლენას ახდენს დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობაზე, ხელს უშლის სასამართლოს მიერ სამართლიანი და ობიექტური განაჩენის გამოტანას. ამიტომაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება 367-ე მუხლში მითითებულ პირთა უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურებისათვის დროული და აუცილებელია. მისი სამართლებრივი ბაზა თვით კონსტიტუციაშია ასახული. საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას. ამ საკონსტიტუციო დებულებამ შემდგომი ასახვა პოვა საქართველოს ორგანულ კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (მუხლი მე-4); ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ (მუხლი 52-ე),სადაც ასევე აღინიშნა სახელმწიფოს მიერ მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ; ასევე ორგანულ კანონში პროკურატურის შესახებ (მუხლი 35-ე),პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს ეთმობა სსსკ მეცხრე თავი.

სწორედ კონსტიტუციასა და ზემოაღნიშნულ კანონებზე დაყრდნობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა

---

[122] სამართალწარმოების მონაწილეთა ეს უფლება აღიარებულია სსსკ 67-ე მუხლითაც.

სპეციალური მუხლი, რომელიც სჯის ზემოაღნიშნულ პირთა უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურებას.

დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი და მოსამართლისა თუ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეთა უსაფრთხოება. დანაშაულის საგნად გვევლინება ცნობები უსაფრთხოების ზომების შესახებ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფაქტობრივი მონაცემები კანონით გათვალისწინებულ პირთა მდგომარეობის შესახებ.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება დაცვის გასაიდუმლოებული ზომების მართლსაწინააღმდეგო გახმაურებაში როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

გახმაურების ცნების ქვეშ იგულისხმება ცნობების შეტყობინება თუგინდ ერთი გარეშე პირისათვის. გახმაურება შეიძლება მოხდეს მეგობრული საუბრის დროს, მიმოწერით, გამოსვლით, დოკუმენტების დემონსტრირებით, ყოველივე იმით, რის შედეგადაც შეიძლება გაჟონოს ინფორმაციამ უსაფრთხოების ზომების შესახებ. გარეშე პირად ითვლება ყველა ის პირი, ვისაც სამსახურებრივად ხელი არ მიუწვდება ამგვარ ცნობებთან, მათ შორის, დამნაშავის თანამშრომლები, ნათესავები და სხვა. სსკ 367-ე მუხლში ჩამოთვლილი პროცესის მონაწილეთა და მათი ახლო ნათესავების მიმართ უსაფრთხოების ზომები შეიძლება გამოიხატოს პირად დაცვაში, ასევე ბინისა და სხვა ქონების დაცვის უზრუნველყოფაში, დასაცავი პირის უსაფრთხო ადგილას დროებით გადაყვანაში, ბრალდებულის გადაყვანის მარშრუტის გაიდუმლოებაში, დაზარალებულის სამუშაო ან სწავლის ადგილის შეცვლაში, მისთვის სხვა პირადი დოკუმენტების გაფორმებაში, გარეგნობის შეცვლაში და ა.შ.

განსახილველი დანაშაული **ფორმალურ შემადგენლობათა** რიცხვს მიეკუთვნება და დამთავრებულია უსაფრთხოების ზომების შესახებ საიდუმლო ინფორმაციის სხვა პირისათვის გადაცემის მომენტიდან, რომელსაც ეს არ შეიძლება სცოდნოდა. ამ მუხლის პირველი ნაწილის დამთავრებულად ცნობისათვის საჭირო არ არის რაიმე სამართლებრივი შედეგის დადგომა. მნიშვნელობა არა აქვს იმას, გამოიყენა თუ არა პირმა უსაფრთხოების ზომების გახმაურება მართლმსაჯულების ინტერესის საწინააღმდეგოდ. მთავარია,რომ საიდუმლო ცნობების გახმაურება ქმნიდა პროცესის მონაწილისათვის რეალურ საფრთხეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის **ობიექტური მხარის** არსებობისათვის აუცილებელია:

დამნაშავემ გაახმაუროს ცნობები 367-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა უსაფრთხოების ზომების შესახებ; 2) ეს ცნობები

დამნაშავემ იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან მას იგი გაანდეს.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. იგი სხვადასხვაგვარია: შურისძიება, მატერიალური სიკეთის მიღება, დამნაშავის მიერ თავისი პრესტიჟისა და ავტორიტეტის ამაღლების სურვილი და სხვა.

ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. დანაშაულის პირდაპირი განზრახვით ჩადენისას დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს,რომ იგი ახმაურებს პირის უსაფრთხოების ზომის შესახებ ცნობებს; იცის, რომ ამ ცნობების გახმაურება აკრძალულია და სურს მისი გახმაურება; ხოლო არაპირდაპირი განზრახვის დროს კი პირი მოქმედების მართლწინააღმდეგობისა და მავნე შედეგის გათვალისწინებისას შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

სისხლის სამართლის კოდექსის 367-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **სუბიექტი სპეციალურია**. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვინც უსაფრთხოების საიდუმლო ზომის შესახებ იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს. ეს პირები, პირველ რიგში, არიან შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლები, შემოსავლების სამსახურის მუშაკები, სახელმწიფო დაცვისა და სასაზღვრო სამსახურის ორგანოები, სამხედრო ნაწილისა და სათანადო სამხედრო დაწესებულების უფროსები; ყველა ის, ვინც ახორციელებს ღონისძიებას დასაცავ პირთა უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ზემოთ ჩამოთვლილი პირების გარდა, ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფო მოხელე და ის პირი, რომელიც ორგანიზაცია-დაწესებულებაში მმართველობით ფუნქციას ახორციელებს და რომელსაც ეგზავნება უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანოთა გადაწყვეტილება (მაგალითად, სამოქალაქო რეესტრის, სატელეფონო კავშირისა და სხვა საინფორმაციო-საცნობარო სამსახურის ხელმძღვანელი და სხვა).

თუ თანამდებობის პირმა, რომელსაც სამსახურებრივად ჰქონდა მინდობილი პირის უსაფრთხოების შესახებ მონაცემები, გაახმაურა იგი

ანგარების მოტივით, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ უსაფრთხოების განხორციელების საიდუმლო ცნობები გაახმაურა თვით დასაცავმა პირმა და მას სხვა პირისათვის მძიმე შედეგი მოჰყვა, მან პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის კოდექსის 367-ე მუხლით.

განსახილველი დანაშაულის **მაკვალიფიცირებელ გარემოებას** წარმოადგენს იგივე ქმედება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. ცხადია, 367-ე მუხლის მე-2 ნაწილი უკვე დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას გვაძლევს. მისი შინაარსი კანონში ახსნილი არ არის. მძიმე შედეგი შეფასებითი ნიშანია. შედეგის განსაზღვრა ფაქტის საკითხია და დამოკიდებულია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზე. დამდგარი შედეგის მძიმედ ჩათვლისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას.

მძიმე შედეგს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც უშიშროების საიდუმლო ზომის გახმაურების შედეგად ვერ მოხერხდა მოსამართლის, მსაჯულისა და პროცესის სხვა მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მაგალითად, ამ დანაშაულის ჩადენას მოჰყვა დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ქონების სრულად განადგურება, იმ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის დაღუპვა, რომელიც დასაცავი პირის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა და სხვა.

ქმედება სსკ **367-ე მუხლის მე-2 ნაწილით** შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამდგარი მძიმე შედეგი მიზეზობრივ კავშირშია დამნაშავის მიერ გამოყენებული უსაფრთხოების ზომების გახმაურებასთან.

367-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული უნდა გავმიჯნოთ 354-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან,რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, სამართალდამცავი ან მაკონტროლებელი ორგანოს მოხელის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოყენებული დაცვის ზომის შესახებ მონაცემის გახმაურებისათვის. 367-ე მუხლში მითითებულ პირთა უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება ხდება იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს. მაგალითად, გამომძიებელი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ახმაურებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულ უსაფრთხოების ზომას. თუ 367-ე მუხლში მითითებულ პირთა მიმართ გამოყენებული უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოებას გაახმაურებს სხვა პირი, მაშინ მისი ქმედების კვალიფიკაცია მოხდება ან 354-ე ან 157-ე მუხლით.

ცხადია, ამ ორ მუხლს შორის ძირითადი განსხვავება დანაშაულის ამსრულებელშია. განსხვავება არსებობს აგრეთვე დასაცავ პირებშიც. 367-ე მუხლში ჩამოთვლილი პირები ძირითადად სამართალწარმოების უშუალო მონაწილეები არიან, მაშინ, როდესაც 354-ე მუხლი დაზარა-

ლებულად მიიჩნევს აგრეთვე საჯარო მოხელეს, რომლის სამსახურებრივი საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება სათანადო დაცვის ზომები.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოს დარღვევა (მუხლი 367[1])

ეს ნოვაცია სისხლის სამართლის კოდექსში 2011 წლის 28 ოქტომბერს გაჩნდა, სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულთა თავში. ნორმით დაცულ ძირითად სიკეთეს წარმოადგენს მართლმსაჯულების ინტერესი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლი განსაზღვრავს ნაფიც მსაჯულთა მოვალეობებს, რომლის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით ნაფიც მსაჯულს ეკრძალება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა. სწორედ ამ ვალდებულების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად არის კრიმინალიზებული 367[1] მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

ქმედების **ობიექტური შემადგენლობა** გულისხმობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოს დარღვევას. ობიექტურად ამგვარი ქმედება შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი გარეშე პირისათვის აღნიშნული საიდუმლოს გამჟღავნებაში.

ქმედების ამსრულებელი სპეციალურია ნაფიცი მსაჯული. ქმედების სუბიექტური მხრივ მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

განსახილველი დანაშაული განზრახია.

ნაფიცი მსაჯულის ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ სასამართლოს შეცდომაში შეყვანა (მუხლი 367[2])

განსახილველი ნორმით დაცული ინტერესია სასამართლო ხელისუფლების ნორმალური ფუნქციონირება.

დანაშაულის ობიექტური მხარე შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ნაფიცი მსაჯულის ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ სასამართლოსათვის ნაფიც მსაჯუ-

ლობასთან შეუთავსებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა უმოქმედობაა, ხოლო შეგნებულად მცდარი ინფორმაციის წარდგენა მოქმედება. **დანაშაულის ფორმალურია** და დამთავრებულია ერთ-ერთი ამ ქმედების ჩადენისთანავე., რაიმე შედეგის დადგომას არა აქვს მნიშვნელობა. ქმედების ობიექტური შემადგენლობის გასაგებად უნდა მივმართოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. სსსკ 29-ე მუხლი განსაზღვრავს მოთხოვნებს ნაფიცი მსაჯულისადმი, ხოლო 30-ე მუხლი -შეუთავსებლობის საფუძვლებს.

სსსკ 30-ე მუხლის მიხედვით, პირი ნაფიც მსაჯულად ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი ან/და იგი არის: ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი; ბ) პროკურორი; გ) გამომძიებელი; დ) პოლიციელი; ე) ადვოკატი; ვ) მოქმედი სამხედრო მოსამსახურე; ზ) სასულიერო პირი; თ) აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე; ი) ბრალდებული; კ) პირი, რომელსაც ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი დაედო, და ამ ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წელზე ნაკლებია გასული; ლ) ნასამართლევი.

სისხლის სამართლის პროცესში ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობის გამომრიცხავი სხვა გარემოებები დადგენილია სსსკ 59-ე მუხლით, სახელდობრ, ნაფიცი მსაჯული ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ: კანონით დადგენილი წესით არ იყო შერჩეული; ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე; ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს; არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი; ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან; არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

თუ არსებობს სისხლის სამართლის პროცესში ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული აცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ეს აცნობოს სასამართლოს უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში.

ამგვარად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მსაჯულთა შერჩევის პროცედურა ემსახურება იმას, რომ

გამოირიცხოს ნაფიცი მსაჯულის შეუთავსებლობისა თუ აცილების საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ობიექტურად და მიუკერძოებლად განხორციელებას. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე მოსამართლე ამოწმებს ყველა გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატის აცილების (თვითაცილების) საფუძველი, და მხარეებს საშუალებას აძლევს, შეკითხვები დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს და წარმოადგინონ დამატებითი მასალები დასაბუთებული აცილების თაობაზე. მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სწორი და ამომწურავი პასუხები გასცეს მისთვის დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინოს სხვა აუცილებელი ინფორმაცია მისი პიროვნებისა და განსახილველი საქმის მონაწილეებთან მისი ურთიერთობის თაობაზე, აგრეთვე ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვაში.

საქართველოს სსკ 367[2] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის მიხედვით, ნაფიც მსაჯულს ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს შეცდომაში შეჰყავს სასამართლო მისი ნაფიც მსაჯულობასთან შეუთავსებლობის შესახებ ინფორმაციის ნარუდგენლობით, ანდა შეგნებულად მცდარი ინფორმაციის წარდგენით.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურიანაფიცი მსაჯული ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი.

სუბიექტური მხრივ ქმედების მოტივს ან მიზანს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა, იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას. შესაძლოა სახეზე იყოს ნათესაური გრძნობები, არასწორად გაგებული მართლმსაჯულების ინტერესი და სხვ.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით პირს გაცნობიერებული აქვს, რომ სასამართლოს არ აწვდის ინფორმაციას მისი ნაფიცი მსაჯულობის შეუთავსებლობის შესახებ, ან აწვდის მცდარ (არასწორ) ინფორმაციას და სურს ეს.

თავი XII

დანაშაული მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ

მტკიცებულებების განადგურება (მუხლი 368-ე)

ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმე კანონიერად და სამართლიანად შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ჭეშმარიტი და საკმარისი მტკიცებულების არსებობის საფუძველზე. კონსტიტუციის მე-40 მუხლში ხაზგასმულია, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამ კონსტიტუციური დებულებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ამ თუ იმ მტკიცებულების განადგურება ხელს უშლის მართლმსაჯულების ორგანოების სწორ საქმიანობას; მან შეიძლება გამოიწვიოს უდანაშაულო პირის დასჯა ან, პირიქით, დანაშაულის ჩამდენი პირისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება.

აღნიშნული დანაშაულისაგან სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი; დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს ასევე ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სამართალწარმოების მონაწილის მიერ საქმეზე არსებული მტკიცებულების განადგურებაში. იგი დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება და დამთავრებულია მტკიცებულების განადგურების მომენტიდან.

მტკიცებულების განადგურება ნიშნავს მატერიალურ საგანზე ისეთ ზემოქმედებას, რომლის შედეგადაც იგი წყვეტს თავის ფიზიკურ არსებობას ან სრულიად გამოუსადეგარი ხდება თავისი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის.

სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის პროცესში მტკიცებულებად ითვლება ყველა ის ფაქტობრივი მონაცემი, რომლის საფუძველზეც კანონით დადგენილი წესით, სასამართლო ადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებისა და ფაქტის არსებობას ან არარსებობას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის თანახმად, მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართ-

ლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში დაშვებულია: ბრალდებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება; ექსპერტის დასკვნა; ნივთიერი მტკიცებულებანი; საგამოძიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები; სხვა დოკუმენტები.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემები შეიძლება გახდეს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის (გარდა დოკუმენტისა) შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება როგორც მტკიცებულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, საქმისათვის მნიშვნელოვანი ის გარემოებანი, რომლებზეც დაყრდნობით მხარეები ამყარებენ თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს,შეიძლება დამტკიცებულ იქნეს მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებითა და ექსპერტთა დასკვნით.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს; მაგალითად, საქმის წარმართვა დამნაშავე პირის ინტერესიდან გამომდინარე და მისთვის სასურველი შედეგის მიღწევა; შურისძიება, ანგარება და სხვა.

ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

ზემოაღნიშნული დანაშაულის ამსრულებელია სამართალწარმოების მონაწილე ან ნებისმიერი სხვა პირი.

მტკიცებულების ფალსიფიკაცია (მუხლი 369-ე)

სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ჭეშმარიტების დასადგენად ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; ამიტომაც მათი გაყალბება და ამით სა-

სამართლოსთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს და შესაძლებელია სასამართლოს მიერ უსამართლო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს.

სსკ 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს მართლმსაჯულების ინტერესი, რიგ შემთხვევებში კი ასევე პიროვნების უფლებები და კანონიერი ინტერესები. დანაშაულის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეზე არსებული მტკიცებულება.

განსახილველი მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაციისათვის.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში, რომელიც მიმართულია მტკიცებულების ფალსიფიკაციისაკენ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მტკიცებულებად გვევლინება ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემი, რის საფუძველზედაც კანონით დადგენილი წესით დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალი მის ჩადენაში და სხვა გარემოებები, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმის გადასაწყვეტად. ეს მონაცემები დგინდება ოქმით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულის, მოწმის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით და სხვა.

სამოქალაქო სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია გულისხმობს მოსარჩელის ან მოპასუხის სასარგებლოდ მტკიცებულების ხელოვნურ გაყალბებას.

გაყალბების საშუალებანი მრავალგვარია. ეს შეიძლება გამოიხატოს დოკუმენტში ცვლილების შეტანაში, სხვა რიცხვით დათარიღებაში და სხვა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ე.წ. მატერიალურ გაყალბებას. ფალსიფიკაცია შეიძლება გამოიხატოს ასევე ინტელექტუალურ გაყალბებაშიც, როდესაც საქმეში მონაწილე პირი ქმნის წერილობით დოკუმენტს, რომელიც შინაარსობრივად ყალბია (მაგალითად, წერილი, რომლითაც პირი აღიარებს თავის ვალს). გაყალბება შეიძლება ყველა ისეთი მოქმედების განხორციელებით, რომელიც ასაბუთებს ან პირიქით, უარყოფს სასარჩელო მოთხოვნას და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული **ფორმალური შემადგენლობისაა**.

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.**

ამ დანაშაულის **სუბიექტი სპეციალურია**. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეში მონაწილე პირი ან მისი წარმომადგენელი.

სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია (მუხლი 369[1])

საქართველოს 2007 წლის 22 ივნისის კანონით დიფერენცირებული პასუხისმგებლობა დადგინდა ერთის მხრივ სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ და მეორეს მხრივ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციისათვის. ამ უკანასკნელი ქმედებისათვის კანონმდებელმა გაცილებით მკაცრი სანქციები დაადგინა. მტკიცებულების ცნებას და სახეებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს. რაც შეეხება მტკიცებულების ფალსიფიკაციის შინაარსს, იგი იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ როგორც სსკ 369-ე მუხლში. 369[1] მუხლის პირველი ნაწილით კრიმინალიზებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია. (დანაშაულის კატეგორიები დადგენილია სსკ მე-12 მუხლით).

სსკ 369[1] მუხლის **პირველი ნაწილი** არ აკონკრეტებს დანაშაულის ამსრულებელს,ამიტომ მასში ნებისმიერი ფიზიკური პირი იგულისხმება. ხოლო **მეორე ნაწილი** ითვალისწინებს პროკურორის, გამომძიებლის, ან დამცველის პასუხისმგებლობას ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიცირებისათვის. რაც შეეხება ქმედების **ობიექტურ შემადგენლობას**, ეს დანაშაული შეიძლება გულისხმობდეს რევიზიისა და დოკუმენტური შემოწმების, ნივთიერი მტკიცებულების, საგამოძიებო მოქმედების ოქმებისა და სხვა დოკუმენტების გაყალბებას. დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს. მისი დამთავრებულად ცნობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული. გამომძიებლისა და პროკურორის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაცია დამთავრებულია თვით ამ მოქმედების განხორციელების მომენტიდან, ხოლო დამცველის მიერ მტკიცებულების გაყალბებისას გამოძიების ან სასამართლო ორგანოსათვის მისი წარდგენის მომენტიდან.

მტკიცებულების ფალსიფიკაცია შეიძლება გამოიხატოს სისხლის სამართლის საქმის მასალების სხვადასხვა ფორმით გაყალბებაში: არარსებული დაკითხვის ოქმის შედგენით, ოქმში ისეთი ცნობების შეტანით, რაზეც პირს ჩვენება არ მიუცია, ექსპერტის დასკვნაში

ცვლილების შეტანით და სხვა. მტკიცებულების ფალსიფიკაციის მოძველებულ ფორმებს რომ თავი დავანებოთ (მაგალითად, იარაღის ან ნარკოტიკის ჩადება), მისი შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიზარდა ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, როცა შესაძლებელი გახდა სატელეფონო საუბრების აპლიკაცია, ხმის იმიტირება და მოდელირება, რის მიხედვითაც დაინტერესებულ მხარეს შეუძლია უდანაშაულო ადამიანის დამნაშავედ წარმოჩენა ანდა პირიქით. უფრო მეტიც, მარტო ხმის კი არა გამოსახულების მოდელირებაც არის შესაძლებელი და ფოტო თუ ვიდეორობოტის ისეთი ზუსტი და თანაც მოძრავი ასლის შექმნა, რომელიც პროტოტიპისაგან არ განსხვავდება. ასეთ პირობებში მტკიცებულების ფალსიფიკაციის დასჯადობის პრევენციული მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

მტკიცებულების ფალსიფიკაციის ზოგად საფრთხეზე მინიშნებას შეიცავს სს საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი, კერძოდ, მეორე პუნქტის მიხედვით მტკიცებულება დაუშვებელია, თუ ეჭვია მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშანთვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. ეს შეიძლება იყოს პირადი დაინტერესება, არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი, შურისძიება ეროვნული ან რელიგიური შეუწყნარებლობის გამო და სხვა.

ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს **მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.**

დანაშაულის **ამსრულებელი სპეციალურია**. ესენი არიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას, ასევე პროკურორი ან დამცველი. დამცველის გარდა, აქ ჩამოთვლილ პირთაგან ყველა სახელმწიფო მოხელეს წარმოადგენს. ამიტომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული სამოხელეო დანაშაულის კერძო შემთხვევაა, სახელდობრ, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი სიყალბის განხორციელება. სამართლის ნორმათა კონკურენციიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ეს დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც მტკიცებულების ფალსიფიკაცია და დამატებით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, ქრთამის აღების შედეგად მტკიცებულების გაყალბებისას დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით.

369[1]-ე მუხლის **მესამე ნაწილით** მაკვალიფიცირებელი გარემოებაა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების გაყალბება.

დანაშაულის კატეგორიის გარდა 369[1]-ე მუხლის მესამე ნაწილ-

ით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური და სუბიქტური ნიშნები იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ,როგორც ამავე მუხლის პირველ ნაწილში.

ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა ან არასწორი თარგმანი (მუხლი 370-ე)

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ პირები,რომლებიც ვალდებული არიან ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების განხორციელებას, თავისი დანაშაულებრივი ქმედებით, ართულებენ სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმის ობიექტურ განხილვას, ხელს უშლიან საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და, აქედან გამომდინარე, განაპირობებენ უსამართლო ვერდიქტის გამოტანას.

დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ძირითადი ობიექტია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი, ხოლო დამატებითი ობიექტი– ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული **ობიექტური მხრივ** შემდეგ მოქმედებაში გამოიხატება: 1) მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა; 2) დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემე; 3) ექსპერტისმიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა; 4) ექსპერტის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა; 5) თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნა. ყველა ეს მოქმედება ხორციელდება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებისა ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

დანაშაული **ფორმალურ შემადგენლობათა** რიცხვს მიეკუთვნება და დამთავრებულად ითვლება ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მოქმედების ჩადენის მომენტიდან. ამასთანავე, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება არა ამ ქმედების განხორციელებისთანავე, არამედ ამ საქმეზე (რომელ საქმეზეც მან მისცა ჩვენება) სასამართლოს განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რითაც დგინდება, რომ სასამართლომ არ გაიზიარა მის მიერ მიცემული ჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ძველი სსსკ 70-ე მუხლის ანალოგიური ნორმა აღარ არის, ჩვენების სიცრუე მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს (და არა გამოძიებამ). ამას კი მაშინ გაარკვევს, როცა საბოლოო ვერდიქტს

გამოიტანს განსახილველ საქმეზე. ძველი სსსკ 70-ე მუხლის გაუქმებით, კანონმდებელმა ამ საკითხისადმი მიდგომა არ შეცვალა, კერძოდ, მოსამართლე მხოლოდ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით ადგენს საქმის ფაქტობრივ მხარეს. არსებითია ის, რასაც სასამართლო დაადგენს, მანამდე, მხარეთა (პროკურორის ან დამცველის) მოსაზრებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ჩვენების სიცრუის შეფასებას. გარდა ამისა, ახალი საპროცესო კოდექსით მოწმის ჩვენებად ჩაითვლება მის მიერ მხოლოდ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია (სსსკ მუხლი 3, პ/24). გამოდის, რომ ცრუ ჩვენება მხოლოდ სასამართლოში შეიძლება მისცეს მოწმემ. აქედან გამომდინარე, გარკვეული შეუსაბამობა წარმოიქმნა სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კოდექსებს შორის.

ჩვენება ჩაითვლება ცრუდ, თუ მასში მთლიანად ან ნაწილობრივ დამახინჯებულია ის ფაქტები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმის ობიექტურად გადაწყვეტისათვის. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს ჩვენება შეიცავს ბრალდებულის გამამართლებელ თუ გამამტყუნებელ მონაცემებს.

ცრუ ჩვენება შეიძლება ეხებოდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებას: დანაშაულის ფაქტს, ბრალდებულის მოქმედების ხასიათს, მის პიროვნებას,დაზარალებულის პიროვნებას, მის ურთიერთობას ბრალდებულთან და სხვა.

ექსპერტის დასკვნა არის მცოდნე პირის წერილობითი ინფორმაცია მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიმდინარეობისა და დადგენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ. ექსპერტის ცრუ დასკვნა ფაქტების დამახინჯებულად გადმოცემაში ვლინდება. ეს შეიძლება იყოს გამოსაკვლევი ფაქტის წინასწარი განზრახვით არასწორი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება საქმის მასალებს, მისი დამახინჯება და სხვა. ასევე, მაგალითად, დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ნაკლებად მძიმე დაზიანების მძიმე დაზიანებად წარმოჩენა, ან პირიქით, ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ნაკვალევის წარმოქმნის წყაროს არასწორი შეფასება და სხვა. ამასთანავე, ექსპერტი, სსსკ 52-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულია დაიცვას საექსპერტო კვლევის ობიექტი. საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა შეიძლება გამოიხატოს მათ დაზიანებასა ან განადგურებაში,რაც ექსპერტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი საფუძველია.

მას შემდეგ, რაც ექსპერტს საექსპერტოდ გადაეცემა კვლევის ობიექტი, იგი ვალდებულია დაიცვას იგი არა მარტო კვლელვის ჩატარებამდე, არამედ კვლევის შემდეგაც (თუკი საექსპერტო კვლევის

შედეგად იგი არ განადგურდა). წინააღმდეგ სემთხვევაში, შესაძლოა, ეს ობიექტი განადგურდეს ან დაზიანდეს, ანდა დაიკარგოს. ეს კი შეიძლებველს გახდის მასზე შესაბამისი დასკვნის გაკეთებას, ან ხელს შეუშლის მართლმსაჯულების აღსრულებას. ამიტომ კვლევის ობიექტის დაუცველობის ფაქტი, მიუხედავად შედეგისა, ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს გვაძლევს.

სსკ 370-ე მუხლი მოიცავს სსკ 373-ე მუხლს (ცრუ დასმენა) და დამატებითი კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით არაა საჭირო. **მაგალითად,** მოწმის სახით დაკითხულმა პეტრემ სასამართლოს მისცა ცრუ ჩვენება, რა დროსაც განაცხადა, რომ ვითომც განსახილველი ქმედების ჩამდენი იყო ვასო. მან ასეთი ჩვენება ვასოს მიმართ შეგნებულად მისცა, რადგან შურისძიების მოტივით სურდა მისი სს-ივ პასუხისგებაში მიცემა. პეტრეს ქმედებაში სახეზეა მხოლოდ სსკ 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ცრუ დასმენასაც რადგან: ა) ცრუ ჩვენება უფრო მრავლის მომცველი ქმედებაა, ვიდრე ცრუ დასმენა. ცრუ ჩვენება შეიძლება არც იყოს დაკავშირებული ცრუ დასმენასთან და შეიძლება დაკავშირებულიც იყოს ასეთთან; ბ) ცრუ ჩვენების მიცემა შესაძლებელია მაშინ, როცა პირს კითხავენ გამოძიების წარმოებისას ან სასამართლოზე საქმის განხილვის დროს, ხოლო ცრუ დასმენა ხორციელდება სხვა დროს (შესაბამის ორგანიზე შეტყობინება ტელეფონით, წერილით ან კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით); გ) ცრუ ჩვენების სანქცია უფრო მაღალია, ვიდრე ცრუ დასმენისა.

თარჯიმნის მიერ არასწორი თარგმნა გულისხმობს ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას პროცესის მონაწილეთა ზეპირი ან წერილობითი აზრის განზრახ დამახინჯებას. თარგმნა განზრახ არასწორად ჩაითვლება მაშინაც, როდესაც თარჯიმანი არ თარგმნის ჩვენებისა, თუ დოკუმენტური მასალის იმ ნაწილს, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

იმისათვის, რომ დამნაშავეს შეეფარდოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის პირველი ნაწილი, უნდა დადგენილ იქნეს, აქვს თუ არა მის ჩვენებას **არსებითი მნიშვნელობა**. სისხლის სამართლის საქმეზე ეს შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის ფაქტი; გარემოება, რომელიც განსაზღვრავს პირის საშიშროების ხასიათსა და ხარისხს; ზიანის ოდენობა, დანაშაულის ჩადენის მოტივი და სხვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ცრუ“ ნიშნავს სინამდვილის შეგნებულ დამახინჯებას. ამიტომ სამართალწარმოების პროცესში მონაწილე მოწმე, ექსპერტი და თარჯიმანი ვერ მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ დამტკიცდება, რომ მოწმის არასწო-

რი ჩვენება დაფუძნებული იყო მის მიერ ფაქტის არასწორ აღქმაზე, მახსოვრობის დეფექტზე; ექსპერტის არასწორი დასკვნა აიხსნება მისი არასათანადო პროფესიული კვალიფიკაციითა და გამოუცდელობით; თარჯიმნის არასწორი თარგმანი განპირობებული იყო ენისა და სპეციალური ტერმინოლოგიის არასრულყოფილი ცოდნით და სხვა. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს მისატევებელ შეცდომას.

აქვე უნდა შევნიშნოთ,რომ ახალმა კოდექსმა მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა ის, ვინც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავისი ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ.

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირს უფლება აქვს თავისი ახლო ნათესავის სასარგებლოდ მისცეს ცრუ ჩვენება. მას მხოლოდ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვს.

სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის **მოტივი** სხვადასხვაგვარია. იგი შეიძლება იყოს ბრალდებულის მდგომარეობის გაუარესება, ან პირიქით, მისთვის პასუხისმგებლობის აცილება, შურისძიების შიში, პირადი მტრობა, ანგარება და სხვა. მოტივი გავლენას არ ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე.

ამ დანაშაულის **ამსრულებელი სპეციალურია**. ეს არის თოთხმეტ წელს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით სასამართლო პროცესში მონაწილეობს მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის სახით.

370-ე მუხლით **დანაშაულის ამსრულებლად ვერ ჩაითვლება** პროცესის სხვა მონაწილეც, მაგალითად, ბრალდებული, რომელიც სასამართლო პროცესის განსაზღვრულ ეტაპზე მოწმედ იყო დაკითხული და ცრუ ჩვენება მისცა თავის დასაცავად. მართალია, დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულს აქვს მხოლოდ დუმილის უფლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუკი იგი ამ უფლებით არ ისარგებლებს და ცრუ ჩვენებას მისცემს, უნდა დაეკისროს სს-ვი პასუხისმგებლობა ამ მუხლით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მხოლოდ ის შეუძლია, რომ მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღოს ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი. სწორედ ამიტომ სსკ 370-ე მუხლში სახელდახელოდაა ჩამოთვლილი ცრუ ჩვენების მიმცემი პირები – მოწმე, დაზარალებული და ექსპერტი. დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ჩვენების მიცემისას დაზარალებულის მოწმის უფლებით სარგებლობს, მაგრამ ამის მიუხედავად იგი მაინცაა მითითებული სსკ 370-ე მუხლში. რაც შეეხება

ბრალდებულს, იგი აქ არაა ნახსენები.

ეს დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება – პირს გაცნობიერებული აქვს, რომ გამოძიებას ან სასამართლოს აძლევს ცრუ ჩვენებას, ან დასკვნას, ან თარგმნის არასწორად და სურს ეს.

განსახილველ ნორმას ჰქონდა შენიშვნა, რომლის ძალითაც მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი წინასწარი გამოძიების პროცესში, ანდა განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებდა მის მიერ ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემის, ანდა განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ.

ეს წამახალისებელი ნორმა ჰუმანურობის პრინციპის ცხოვრებაში რეალიზების ერთ-ერთი საშუალება იყო. ამას გარდა, კანონმდებელი დაინტერესებული იყო დანაშაულის სუბიექტის პოზიტიური ქცევის სტიმულირებით. პირი, რომელიც ნებაყოფლობით განაცხადებდა მის მიერ ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან არასწორი თარგმნის შესახებ, ფაქტობრივად ხელს უწყობდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასა და სამართლიანი განაჩენისა თუ სხვა გადაწყვეტილების გამოტანას. სისხლის სამართლის პოლიტიკა 370-ე მუხლის შენიშვნის სახით, სწორედ მართლმსაჯულების განხორციელების მაღალი ინტერესს ემსახურებოდა,

კანონმდებელი სტიმულს აძლევდა მოწმეს (დაზარალებულს) ნებაყოფლობით ემსახურა ამ ინტერესისთვის,რაც მეტად ეფექტური იყო,ვიდრე მაგალითად, წინააღმდეგობრივი სსკ 371[1]-ე მუხლი – მოწმის ან დაზარალებიულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინაა|ღმდეგო ჩვენების მიცემა (2015 წლის 18 დეკემბრის კანონით მოხდა ამ დანაშაულის დეკრიმინალიზაცია).

საფიქრებელია, რომ ქვეყანაში იმ პერიოდში გატარებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გამო, ეს წამახალისებელი ნორმა 2011 წელს ამოღებულ იქნა. შესაბამისად, სამართალწარმოების აღნიშნულ მონაწილეებზე გამოძიების პროცესში ზეწოლის შესაძლებლობა გაიზარდა. მას შემდეგ რაც სასამართლო გამოიტანდა შემაჯამებელ გადაწყვეტილებას მოცემულ სს საქმეზე და არ გაიზიარებდა რომელიმე მოწმის ჩვენებას, ამის შემდეგ უკვე პროკურორის დისკრეციაზე იყო დამოკიდებული, დაიწყებდა თუ არა სს-ივ დევნას იმ პირის მიმართ, რომელმაც შესაძლოა, ცრუ ჩვენება მისცა გამოძიების ეტაპზე ან სასამართლოში.

ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში დასჯადია მოწმის მიერ მხოლოდ სასამართლოში, ფიცის ქვეშ მიცემული ცრუ ჩვენება, მოწმის (დაზარა-

ლებულის) მიერ გამოძიების ეტაპზე ანუ ფიცის გარეშე მიცემული ცრუ ჩვენების დასჯა, დემოკრატიის მიღწევად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა (მუხლი 371-ე)

მართლმსაჯულების განხორციელებისათვის დახმარების გაწევა საზოგადოების ყველა წევრის მოქალაქეობრივი ვალია. ზნეობრივ მოვალეობასთან ერთად, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, სათანადო დახმარების აღმოჩენა მათ სამართლებრივ ვალდებულებასაც წარმოადგენს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოწმესა და დაზარალებულს აკისრებს მოვალეობას, მისცეს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს სწორი ჩვენება, მოუთხროს მათ სისხლისა თუ სამოქალაქო საქმეზე მათთვის ცნობილი ყველა ფაქტისა და გარემოების შესახებ და ამომწურავი პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს. იმ პირებს, რომლებიც შეგნებულად თავს არიდებენ თავისი მოვალეობის შესრულებას, შეუძლიათ სერიოზულად შეუშალონ ხელი სასამართლოში საქმის არსებითად განხილვას, დააბრკოლონ, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიც გახადონ სამართლიანი განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გამოტანა.

სწორედ ამგვარი ქმედების საშიშროებამ განაპირობა ამ დანაშაულის შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში. ძირითადად, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა სისხლის სამართლის საქმეზე ხდება.

ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი; დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის უფლებები და კანონით დაცული ინტერესი.

ჩვენებაზე უარის თქმა გულისხმობს მოწმის ან დაზარალებულის აშკარად გამოხატულ ნებას, არ მისცეს ჩვენება საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. ამდენად, განსახილველი ნორმა წარმოადგენს **წმინდა უმოქმედობის დანაშაულს.** მართალია, ჩვენებაზე უარის თქმა ზოგჯერ შეიძლება აქტიური მოქმედებით იყოს გამოხატული (სათანადო ორგანოს მიმართ პირის განცხადება, რომ არ სურს ჩვენების მიცემა), მაფრამ იგი მაინც უმოქმედობის დანაშაულია, რადგან აქ სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს არა მის ამ განხცადებას, არამედ იმას, რომ პირი არ იძლევა

ჩვენებას, როცა ვალდებულია, მისცეს იგი.[123] დანაშაულის ამ შემადგენლობის არსებობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მიუცია თუ არა ადრე ჩვენება ამ საქმეზე მოწმეს ან დაზარალებულს, უარს ამბობს მთლიანად ჩვენების მიცემაზე, თუ არ პასუხობს კონკრეტულ შეკითხვას. მთავარია, რომ დამნაშავეს არ სურდეს მისცეს ჩვენება საპატიო მიზეზის გარეშე.

ჩვენებაზე უარის თქმა შეიძლება სხვადასხვა ფორმაში გამოიხატოს, თუმცა იგი დანაშაულის შემადგენლობის არსებობაზე გავლენას არ ახდენს. შეიძლება მოწმემ და დაზარალებულმა არავითარი განცხადებაც არ გააკეთონ, დუმილი არჩიონ და სათანადო ორგანოს წარმომადგენლის შეკითხვას არ უპასუხონ. ცხადია,რომ მოწმესა და დაზარალებულს უნდა განემარტოს, რომ მათი ამგვარი ქცევა დაკვალიფიცირდება როგორც ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

მოწმისა და დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა შეიძლება განხორციელდეს სხვა ფორმითაც. მაგალითად, მათ სპეციალურად აარიდონ თავი გამოცხადებას, დაიმალონ, შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი, დროებით ნავიდეს საზღვარგარეთ (ეს უკანასკნელი ქმედება ამ დანაშაულის მიმზადების სტადია, რაც სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით არ ოთვლება დასჯად სტადიად) და სხვა. ამ შემთხვევაში ობიექტური მხარე მაინც უმოქმედობით ხასიათდება.

განსახილველი დანაშაული **უნდა გაიმიჯნოს** მოწმის ან დაზარალებულის ჩვენების მიცემისათვის ხელის შეშლისაგან. ამგვარი ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით, როგორც მათი მოსყიდვა ან იძულება ცრუ ჩვენების მიცემისათვის. იგი ასევე უნდა გაიმიჯნოს ცრუ ჩვენების მიცემისაგან (370-ე მ.), როცა პირი უარს არ აცხადებს ჩვენების მიცემაზე, მაგრამ იძლევა ცრუ ჩვენებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე მოწმე და დაზარალებული გაფრთხილდებიან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მათი პასუხისმგებლობა გამორიცხულია მაშინ,თუ აქვთ საპატიო მიზეზი ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის (მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა).

სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებუ-

---

[123] ამ საკითხზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირველი, თბ. 2007, გვ. 146-148; გ. ტყეშელიაძე, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2007, გვ. 119; .ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ კოლექტ. თბ. 2016, გვ. 125-126; 133-134

ლი **დანაშაული დამთავრებულია** მაშინ, როდესაც მოწმე ან დაზარალებული განაცხადებენ, რომ მათ არ სურთ მისცენ ჩვენება ან როდესაც გამოძახების შემდეგ არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდებიან საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოში. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არ ეძლევა იმ შესაძლო შედეგს, რაც შეიძლება დადგეს მათ მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მოტივი შეიძლება იყოს დამნაშავის ან მისი ახლობლის მხრიდან შურისძიების შიში, ან სხვა პირადი მოტივი, რის საფუძველზეც პირი უგულებელყოფს თავისი სამართლებრივი მოვალეობის შესრულებას და სხვა.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია. ეს არის სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ გამოძახებული ან კანონით დადგენილი წესით დაზარალებულად ცნობილი პირი.

სახეზეა პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული – პირს გაცმობიერებული აქვს, რომ ევალება ჩვენების მიცემა, საპატიო მიზეზის გარეშე უარს ამბობს მის მიცემაზე და სურს ეს.

371-ე მუხლს ახლავს შენიშვნა,რომლის ძალითაც მოწმე ან დაზარალებული თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი– მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ, მართალია, ზემოაღნიშნული პირები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ უარს ამბობენ მისცენ თავისი ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება, მაგრამ მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ ისინი იძლევიან ცრუ ჩვენებას ამ პირთა სასარგებლოდ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში ჩამოთვლილი არიან ის პირები, რომლებიც არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმედ. ეს ჩამონათვალი საკმაოდ დიდია; მაგალითად, დამცველი იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ადვოკატი, რომელიც ორგანიზაციას ემსახურებოდა – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით; სასულიერო პირი, რომლისთვისაც ესა თუ ის გარემოება ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად; არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც მცირეწლოვნობის, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე

გარემოებები და მისცეს ჩვენება და ა.შ. ამიტომ, თუ მოწმეთა ეს კატეგორია უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, გამორიცხულია მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. ამასთანავე, სასამართლოს უფლება აქვს მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს პირთა გარკვეული კატეგორია, მაგალითად, სამედიცინო მუშაკი, ნოტარიუსი და სხვ.

ბოლოს,უნდა აღვნიშნოთ,რომ სახელმწიფო ერთის მხრივ, ავალდებულებს მოწმეს ითანამშრომლოს და ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების განხორციელებას, მეორე მხრივ, მას უსაფრთხოების გარანტიებსაც სთავაზობს, სახელდობრ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეცხრე თავი ეთმობა პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს (მ.მ. 67-71). ეს ღონისძიებები მოწმეზეც ვრცელდება, როგორც პროცესის მონაწილეზე.

მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა (მუხლი 371[1])

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2005 წლის 30 ივნისის კანონით შეტანილი დამატებით სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულის კარში ნოვაცია გაჩნდა, სსკ-ის 3711 მუხლის (მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა) სახით. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის ნინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში იმთავითვე გათვალისწინებული იყო მოწმისა და დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 370-ე მუხლი), კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა სპეციალური და ეფექტური ნორმის არსებობა.

განსხვავებით სსკ-ის 370-ე მუხლისა, სადაც მოწმის, დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისას სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება, კანონმდებელი ფიქრობდა შეექმნა ისეთი შემადგენლობა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა საქმის გამოძიებისა თუ სასამართლოში განხილვის ეტაპზე მოწმის ან დაზარალებულის სისხლისსამართლებრივ დევნას, არსებითად

ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში.

ვფიქრობთ, კანონმდებლის ისტორიული ნება საქმის კანონიერად, სამართლიანად და ობიექტურად განხილვის მაღალი სტანდარტით აიხსნებოდა. მაგრამ თვით ნორმის საკანონმდებლო კონსტრუქცია ძნელად თუ იძლეოდა ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას

ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგოა, თუ მასში მთლიანად ან ნაწილობრივ ერთმანეთის საწინააღმდეგო ანდა ურთიერთგამომრიცხველია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად არსებული საჭირო ფაქტობრივი გარემოებები და სხვა მონაცემები. ამავე დროს, მოწმის ან დაზარალებულის ურთიერთსაწინააღმდეგო,ერთმანეთის გამომრიცხველი ჩვენება თავისთავად გულისხმობს ორივე ამ ჩვენების ან თუნდაც Eერთის სიცრუეს, რადგან არ შეიძლება არსებობდეს ორი სიმართლე ერთ ფაქტზე. როგორ უნდა გაიმიჯნოს ცრუ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება? ესეც პრობლემური საკითხია. შესაძლებელია ცრუ ჩვენებად შევაფასოდ მხოლოდ ის შემთხვევა, როცა მოწმე ან დაზარალებული როგორც

გამოძიების,ასევე სასამართლოზე საქმის განხილვის დროს ერთიდაიგივე ცრუ ჩვენებას აძლევს, ხოლო თუ ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა

ე.ი. ერთმანეთის გამომრიცხველი, მაშინ ის უნდა დაგვეკვალიფიცირებინა სსკ-ის 3711-ე მუხლით. ამასთან, გაურკვეველი რჩებოდა, რა ჩაითვალოს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებად— მხოლოდ მათი ფაქტობრივი ურთიერთ განსხვავება, თუ არსობრივი განსხვავება ანდა რაში გამოიხატებოდა მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, თუკი მოწმის (დაზარალებულის) ბოლო ჩვენება ნამდვილი იყო, მაგრამ წინააღმდეგობაში მოდიოდა ადრე მიცემულ ჩვენებებთან? ვინ ახდენდა ჩვენებების ურთიერთწინააღმდეგობის შეფასებას გარდა მოსამართლისა,ვიდრე არ დამდგარა განაჩენი და როდის უნდა დაწყებულიყო სისხლისამართლებრივი დევნა მოწმის ან დაზარალებულის მიმართ? ყოველივე ზემოაღნიშნული აზრს უკარგავდა სსკ-ის 3711-ე მუხლის არსებობას.

გამომდინარე აქედან, საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 18 დეკემბრის კანონით მოქალაქის უფლებების ინტერესის გათვალისწინებით (და არა სამართალდამცავი ორგანოების კომფორტული მუშაობის ინტერესის გათვალისწინებით) **სს კოდექსიდან ამოიღო ეს ნორმა**, რაც უდაოდ მისასალმებელია.

ზემოქმედების განხორციელება მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე (მუხლი 372-ე)

როგორც ცნობილია, მოწმის, დაზარალებულის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა და თარჯიმნის მიერ განხორციელებული თარგმანი მეტად მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. ზემოქმედება ამ პირებზე ხელს უშლის მათ მიერ პროცესუალურ მოვალეობათა სათანადო შესრულებას (მისცენ სწორი ჩვენება, საექსპერტო გამოკვლევის შედეგად შეადგინონ ობიექტური დასკვნა, განახორციელონ ზუსტი თარგმანი), რასაც, საბოლოო ჯამში,შეიძლება მოჰყვეს უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანა.

ეს დანაშაული თავისი იურიდიული ბუნებით წამქეზებლობის სპეციალური სახეა. მისი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავე პირი არა მარტო თვითონ მოქმედებს ისე, რომ ხელს უშლის სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების ნორმალურ მუშაობას, არამედ დაზარალებულზე, მოწმეზე, ექსპერტსა და თარჯიმანზე ზეგავლენის მეშვეობით ქმნის იმის საფუძველს, რომ მათ არ შეასრულონ თავისი მოქალაქეობრივი და სამართლებრივი ვალდებულება.

დანაშაულისაგან **სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტია** საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების ნორმალური საქმიანობა, მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი; ხოლო დამატებითი ობიექტი კი – სასამართლო პროცესის ზემოაღნიშნულ მონაწილეთა კანონით დაცული უფლებები და ინტერესები.

სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური შემადგენლობა** გულისხმობს მისი ჩადენის, შინაარსობრივად სხვადასხვა ფორმას. პირველი ფორმა, რომელიც მუხლის პირველ ნაწილშია გადმოცემული, ითვალისწინებს მოწმისადმი, დაზარალებულისადმი, ექსპერტისადმი ან თარჯიმნისადმი **მიმართვას ან მის დაყოლიებას** ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ანდა არასწორად თარგმნისათვის, ან მის მიერ მიცემული ჩვენების ან დასკვნის შეცვლისათვის. მაშასადამე, ქმედების ობიექტური მხარე გულისხმობს ზემოაღნიშნული პირებისადმი **მიმართვას ანუ წინადადების მიცემას** ანდა მათ დაყოლიებას ისეთი ხერხებით როგორიცაა **თხოვნა, რჩევა, ჩაგონება, დაპირება** და სხვ, რათა დაითანხმონ ისინი შესაბამისად ცრუ ჩვენებაზე, ყალბ დასკვნაზე ან არასწორ თარგმანზე ანდა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან კიდევ მოცემული ჩვენების ან დასკვნის შეცვლისათვის.

372-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის **მოსყიდვას ან მის იძულებას** ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის ან განზრახ არასწორი თარგმნისათვის ანდა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან მისი შეცვლისათვის, **თუ ამას ერთვის** მისთვის ან ანდა მისი ახლო ნათესავისათვის ნებისმიერი სახის ქონებრივი სარგებლის შეთავაზება ან მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების, განადგურების ანდა სხვა **მუქარა.**

მოსყიდვაში იგულისხმება ზემოაღნიშნული პროცესის მონაწილეთათვის პირადად ან შუამავლის მეშვეობით ფულის, ფასიანი ქაღალდისა თუ სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის გადაცემა იმ მიზნით,რომ მათ წინასწარი გამოძიების წარმოებისას ან სასამართლო განხილვის დროს მისცენ ცრუ ჩვენება ან ყალბი დასკვნა,ანდა განახორციელონ არასწორი თარგმანი მომსყიდველი პირის სასარგებლოდ საქმის წარმართვისათვის. ამ ცნებაში იგულისხმება **აგრეთვე დამნაშავის დაპირებაც** (შეთავაზება) მომავალში ამ პირებისათვის მატერიალური სიკეთის გადაცემაზე.

ქონებას ან ქონებრივ სარგებელს მიეკუთვნება, მაგალითად, სესხის გადახდისაგან გათავისუფლება,საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ დათმობა, სამედიცინო დახმარების გაწევა ანაზღაურების გარეშე და სხვა.

საკითხავია, რატომაა ამ მუხლით გათვალისწინებული ექსპერტის მოსყიდვაც ყალბი დასკვნის მისაცემად? რატომ არ შეიძლება ეს ქმედება დაკვალიფიცირდეს სსკ 339-ე მუხლით (მე-2 ნაწ.) – ქრთამის მიცემა უკანონო ქმედებისათვის?

საქმე ისაა, რომ ექსპერტი, რომელიც თავისი პროფესიული ცოდნიდან გამომდინარე, აკეთებს დასკვნას, **არც მოხელეა და არც მასთან გათანაბრებული პირი.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი საქმიანობა დაკავშირებულია არა ადმინისტრაციული ან სხვა სამოხელეო ფუნქციის, **არამედ პროფესიული ფუნქციის** განხორციელებასთან. სწორედ ამის გამო ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის მიცემა კანონმდებლის მიერ დაკვალიფიცირებულია სსკ 370-ე მუხლით – ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი.

მოსყიდვისას ფულის ან სხვა ქონების რაოდენობას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა, მოსასყიდი თანხის მცირე ოდენობის მოტივით, დაუშვებელია. ეს გარემოება შეიძლება გათვალისწინებული იყოს სასჯელის ღონისძიების გამოყენების დროს.

სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით გათვალისწინებ-

ული დანაშაული დამთავრებულია მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტისა და თარჯიმნისათვის ფულის,ქონების ან სხვა ფასეულობის,ანდა ქონებრივი სარგებლის შეთავაზების მომენტიდან. თუ ეს პირები უარს ამბობენ ფულისა და სხვა ფასეულობის აღებაზე, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მათი მოსყიდვის მცდელობა. მართალია, ეს დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა, მაგრამ, როგორც გამონაკლისი, რადგანაც იგი ორაქტიანია მასაც ახასიათებს მცდელობა.[124]

იძულება წარმოადგენს ფსიქიკურ ძალადობას. იგი ზეგავლენას ახდენს და თრგუნავს დაზარალებულის ნებას. ეს კი აბრკოლებს მისი მოქმედების წარმართვას საკუთარი სურვილის შესაბამისად.

იძულებაში იგულისხმება მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების ან განადგურების, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის, ძალადობითი სქესობრივი დანაშაულის ან სხვა სახის მუქარა.

იმისათვის, რომ ამგვარი მოქმედება დაკვალიფიცირდეს 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მნიშვნელობა არა აქვს იმას, სურდა თუ არა დამნაშავეს ამ მუქარის რეალური განხორციელება. ამისათვის უნდა არსებობდეს ის ობიექტური გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ მათი განხორციელების შესაძლებლობას. გადამწყვეტია, რომ ეს პირები მუქარას აღიქვამდნენ როგორც სინამდვილეში არსებულ რეალურ საფრთხეს.

მუქარის შინაარსი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს გადმოცემული. იგი შეიძლება წარმოთქმულ იქნეს ზეპირად,დაზარალებულს გაეგზავნოს წერილობით, ასევე ეცნობოს პირს შუამავლის მეშვეობით.

ამასთან ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მოწმეზე ან დაზარალებულზე მიმართვა (პირვ. ნაწ.) და მისი იძულება ჩვენების შეცვლის მიზნით (მე-2 ნაწ.). მაგალითად, პეტრემ მოწმის სახით ბრალდების სასარგებლო მისცა ჩვენება სს საქმეზე. მას დაუკავშირდა ბრალდებულის ძმა და უთხრა, რომ მისი ძმა (ბრალდებული) „ყველაფერზე ნამსვლელი“ კაცი იყო და ურჩია, შეეცვალა ჩვენება. ამ შემთხვევაში ძნელია იმის დასაბუთება, რომ ბრალდებულის ძმას მოწმის იძულება სურდა. ეს ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მოწმისადმი მიმართვა, რათა მან შეცვალოს ჩვენება (პირვ. ნაწ.).

დანაშაულის მოტივი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: შურისძიება, ანგარება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაგან თავის არიდება და სხვა.

დანაშაულის ჩადენის მიზანი კი პირდაპირ მუხლშია მითითებუ-

---

[124] ამ საკითხზე იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ კოლექტ. თბ. 2007, გვ. 172; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლ. თბ. 2016, მე-2 გამოცემა, გვ. 282

ლი, კერძოდ, დამნაშავის მიერ მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის დაყოლიება ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის მისაცემად ან არასწორი თარგმნის განსახორციელებლად.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს პირდაპირი განზრახვით.

ამ **დანაშაულის ამსრულებელი** შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

თუ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი მუქარით ან სხვა უკანონო ქმედებით აიძულებს დაზარალებულს ან მოწმეს მისცენ ჩვენება ანდა ექსპერტს – დასკვნა, აგრეთვე თუ მას თან ერთვის ძალადობა, დანაშაული დაკვალიფიცირდება როგორც სამოხელეო დანაშაული: განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (მუხლი 335-ე).

სისხლის სამართლის კოდექსის **372-ე მუხლის მე-3 ნაწილი** ითვალისწინებს მე-2 ნაწილში აღწერილ ქმედებას, ჩადენილს ძალადობით. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ისეთ მოქმედებაში, როგორიცაა გარტყმა, ცემა და სხვა ფიზიკური ზემოქმედება, რაც დაკავშირებულია მსხვერპლისათვის ტკივილის მიყენებასთან.

372-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, რომელიც **საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის**, ასეთი ძალადობა უნდა გავიგოთ ისე, როგორც ყაჩაღობისას გამოყენებული ძალადობა. იგი გულისხმობს ჯანმრთელობის მსუბუქი, ნაკლებად მძიმე, ან მძიმე დაზიანების საფრთხეს.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმოქმედა თუ არა ძალადობამ დაზარალებულის ქცევაზე; დანაშაულის შემადგენლობა დამთავრებულია იძულების განხორციელების მომენტიდან. თუკი ძალადობამ დაზარალებულისადმი გამოიწვია მძიმე შედეგი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებითა (მუხლი 117-ე) და 372-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

ცრუ დასმენა (მუხლი 373-ე)

ცნობილია,რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მოქალაქის ზეპირი ან წერილობითი განცხადება დანაშაულის ჩადენის შესახებ. ცრუ დასმენა იმით არის საშიში,რომ იგი ხელს უშლის სასამართლო ხელისუფლების ნორმალურ საქმიანობას, ფუჭად იკარგება ამ ორგანოების ძალა და

დრო, ვინაიდან ხდება დასმენასთან დაკავშირებული ცნობების შემოწმება. გამოძიების ორგანოები სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებისას იძულებული ხდებიან ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედება, რევიზია ან ექსპერტიზა, ჩვენების მისაცემად გამოიძახონ ის, ვისი დასმენაც მოხდა, რითაც ილახება ამ პირის კანონიერი უფლებები. ასევე შესაძლებელია, ჩვენების მისაცემად გამოიძახონ სხვა პირებიც. ამით დამნაშავე ფაქტობრივად იყენებს სამართალდამცავ ორგანოს როგორც იარაღს თავისი უკანონო საქმიანობისათვის და ზოგჯერ აღწევს კიდეც ამ მიზანს.

რაც მთავარია, დანაშაულის ჩადენაში ცრუ დასმენას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს იმ პირისათვის, რომლის მიმართაც იწყება გამოძიება და შესაძლებელია, აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულ იქნეს პატიმრობა. არაა გამორიცხული, ასეთი პირის მიმართ გამოტანილ იქნეს გამამტყუნებელი განაჩენიც კი.

ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ძირითადი ობიექტია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი, დამატებითი ობიექტი კი – ადამიანის პირადი თავისუფლება, მისი პატივი და ღირსება. ობიექტი სახეზე გვექნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ცრუ შეტყობინება ამა თუ იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზეა გაკეთებული. ამდენად, ცრუ დასმენის საგანს წარმოადგენს ცნობა **კონკრეტული პირის მიერ** დანაშაულის ჩადენის შესახებ.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს აქტიურ მოქმედებას, რადგან კონკრეტული პირის დასმენა დანაშაულის ჩადენაზე შეუძლებელია განხორციელდეს უმოქმედობით.

ბოლო დროს სასამართლო პრაქტიკაში შექმნილი პრობლემიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ „ცრუ დასმენა“ და „ცრუ შეტყობინება“. მათი გამიჯვნის თვალსზრისით მთავარია გვახსოვდეს, რომ **ცრუ დასმენა** ხდება პირისა, ხოლო **ცრუ შეტყობინება** – ფაქტისა.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე მეტყველებს რამდენიმე გარემოება: 1) სს კოდექსში გვაქვს 331-ე მუხლი – ტერორიზმის შესახებ **ცრუ შეტყობინება**. ამ დროს პირი სათანადო ორგანოებს ატყობინებს ცრუ ინფორმაციას ტერორისტული დანაშაუ.ლის ჩადენის ან შესაძლო ჩადენის შესახებ (ამა და ამ ადგილას ბომბია ჩადებული), თუმცა არაა აუცილებელი, დაასახელოს მისი ჩამდენი პირი. **ცრუ დასმენის დროს კი** იგი კონკრეტულ პირს ასახელებს.; 2) გამომდინარე აქედან, სსკ 373-ე მუხლი ჩამოყალიბებული რომ იყოს ასეთნაირად: „დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ შეტყობინება“, მაშინ აუცილებელი არ იქნებოდა კონკრეტული პირის დასახელება. ცრუ დასმენამ გარდა კონკრეტული

პირის დასახელებისა, უნდა მოიცვას დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები ("პეტრე თავს დამესხა და დანის მუქარით ფული წამართვა". ანდა „ჩემი თვალით ვნახე, პავლეს როგორ მოუსპო სიცოცხლე პეტრემ" და ა.შ.) და არა საჭირო მათი იურიდიული შეფასება (პეტრემ ჩემს მიმართ ყაჩაღობა განახორციელა; ანდა პეტრემ პავლეს მიმართ მკვლელობა ჩაიდინა და ა.შ.);

3) ცრუ დასმენისას რომ აუცილებელია პირის დასმენა, ამაზე მეტყველებს ასევე ამ მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც ნათქვამია: **„იგივე ქმედება,** თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ანდა ბრალდების მტკიცებულების ხელოვნურად შექმნა".

სადაო არაა, რომ ბრალდება მიმართული უნდა იყოს არა ფაქტისადმი, არამედ პირისადმი, **სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაიმე შეიძლება დაბრალდეს არა ფაქტს, არამედ პირს.** ამდენად, ამ მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს შემთხვევას, როცა ცრუ დასმენას თან ახლავს ბრალდება ნაკლებად მძიმე დანაშაულში ("პეტრემ მცემა"), სადაც აუცილებლად იგულისხმება კონკრეტული პირის დასმენა ნაკლებად მძიმე დანაშაულში;

ასევე შეუძლებელია ბრალდების მტკიცებულება ხელოვნურად იყოს შექმნილი ფაქტისადმი, იგი მხოლოდ პირის წინააღმდეგ შეიძლება იყოს შექმნილი.

ამდენად, **ცრუ დასმენას ადგილი არ ექნება** მაშინ, როდესაც შეტყობინება ეხება სინამდვილეში არარსებულ დანაშაულს კონკრეტული პირის დასახელების გარეშე (მაგალითად, ეზოს ჭაში აღმოჩენილი გვამის შესახებ, სავაჭრო პუნქტებში სისტემატურად ვადაგასული კვების პროდუქტებით ვაჭრობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ვილაცამ მას მოპარა ა/მანქანა, ვილაც მას ყაჩაღურად დაესხა თავს და სხვა).

ამასთან, ცრუ დასმენისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, დაწვრილებით არის აღწერილი დანაშაული, თუ მასზე მხოლოდ ზოგადი მითითება არსებობს; ან კიდევ დაასახელა პირმა თავისი ვინაობა, თუ შეტყობინება ანონიმურია, ზეპირსიტყვიერია იგი თუ წერილობითი, **მთავარია, შეტყობინებულ დანაშაულთან ერთად კონკრეტული პირის ვინაობაც იყოს დასახელებული.**

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს სასამართლო პრაქტიკაში იკვეთება ამ საკითხის სწორად გაგების ტენდენცია. მაგალითად, 2016 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სს საქმე, სადაც მოქალაქე მ. ბ-ს ბრალად ედებოდა ცრუ დასმენა, რასაც თან ერთვის ბრალდება მძიმე დანაშაულში, ჩადენილი პირადი მოტივით. [125]

[125] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივი, საქმე № 1/4335-16. № 002220816006

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: მ. ბ-ს გამოძიებით დაუდგენელ ვიტარებაში დაეხარჯა თავისი ოჯახის კუთვნილი დანაზოგი 200 ლარის ოდენობით. პირადი მოტივით, რათა ოჯახის წევრების წინაშე ემართლებინა თავი, 2016 წლის 23 ივლისს, მ. ბ-მ დარეკა 112-ში და განაცხადა, რომ მისთვის უცნობმა პირმა ხელიდან გასტაცა ფულადი თანხა 200 ლარის ოდენობით და ხელზე მიაყენა დაზიანება, რის შემდეგაც თავდამსხმელი ადგილიდან მიიმალა.

სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განჩენი და დაასაბუთა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ცრუ დასმენის ფაქტს, რადგან პირს ცრუ დასმენა ბრალად რომ შეერაცხოს, სახეზე უნდა იყოს პირის მიერ განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ და არა ზოგადად დანაშაულის ჩადენის შესახებ... „დასმენა" შინაარსობრივი თვალსაზრისით გულისხმობს დაბრალებას, დაბეზღებას და თუკი კონკრეტული პირი არ არის მითითებული, შესაბამისად, არც არავინ არის დასმენილი. [126]

შესაძლებელია, რომ პირი დანაშაულებრივი განზრახვის გარეშე მოქმედებდეს და დარწმუნებული შეტყობინების ნამდვილობასა და უტყუარობაში, სამართალდამცავ ორგანოს აწვდიდეს ცნობას დანაშაულის ჩამდენის შესახებ. კეთილსინდისიერი შეცდომა მიწოდებული ცნობის შეფასებისას გამორიცხავს მისი ცრუ დასმენის მუხლით კვალიფიკაციას.

ცრუ დასმენა ქმნის **დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობას**. იგი დამთავრებულია შეტყობინების მიღების მომენტიდან. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა რეაგირება მოახდინა სამართალდამცავმა ორგანომ შეტყობინებაზე, დაეყრდნო მას სამართალწარმოების განხორციელებისას თუ თავიდანვე უარყო იგი.

კანონი გამორიცხავს დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენას. **სუბიექტური მხრივ** მუხლში მითითებული არ არის ცრუ დასმენის მიზანი, მაგრამ 373-ე მუხლის არსიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის **მიზანს ნარმოადგენს უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემა.**

დანაშაულის მოტივს რიგ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს. **მაგალითად,** თუ პირი მოქმედებს ანგარებით (მაგ., თუკი ამ პირს მიაცემინებს სს პასუხისმებაში, გათავისუფლდება მისი ვალის გადახდისაგან) ან სხვა პირადი მოტივით (შურისძიება, შური და ა.შ.), ქმედება დაკვალიფიცირდება ამ მუხლის მე-3 ნაწილის

[126] უფრო დეტალურად იხ. განაჩენი ზემოთ მითითებულ სს საქმეზე

„ა“ ქვ-ით.

თუკი პირი მოქმედებს არასწორად გაგებული სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივი მოტივით, სახეზე იქნება ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. **მაგალითად,** გამორიცხული არ არის, რომ ზოგჯერ ცრუ დასმენა გამოწვეული იყოს დანაშაულთან ბრძოლის მეთოდების დამახინჯებული წარმოდგენით, კონკრეტული „გამოუსწორებელი დამნაშავის“ საზოგადოებისგან მოშორების მოტივით და სხვ.

ამ დანაშაულის ამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს ყველა შერაცხადი ფიზიკური პირი თოთხმეტი წლის ასაკიდან.

ცრუ დასმენის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის ასევე ბრალდებულიც, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე იძლევა ჩვენებას და ბრალდებისაგან თავის დაღწევის მიზნით მიუთითებს სხვა პირზე, როგორც ვითომც დანაშაულის ჩამდენზე.

დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება პირს გაცნობიერებული აქვს, რომ დანაშაულის ჩადენაში ამხელს ისეთ პირს, ვისაც იგი არ ჩაუდებია.

373-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იგივე ქმედება, თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთებით მძიმე დანაშაულში, ანდა ბრალდების მტკიცებულების ხელოვნურად შექმნა.

რაც შეეხება ბრალდების მტკიცებულების ხელოვნურად შექმნას, იგი არარსებული მტკიცებულების შექმნა ან კიდევ არსებული მტკიცებულების გაყალბება და დამახინჯებაა. ამით დამნაშავე მიისწრაფვის ცრუ დასმენას რეალური სახე მისცეს. ასეთი მტკიცებულების სახე შეიძლება მიეცეს საგანს, იარაღს, დოკუმენტს, ხმის ჩანაწერს, ფოტოსურათს და სხვა.

373-ე მუხლის მესამე ნაწილი მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების დამამძიმებელ გარემოებად თვლის მის ჩადენას: ა) ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ბ) რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

ანგარების გარდა ცრუ დასმენისას პირად მოტივად შეიძლება ჩავთვალოთ შურისძიება, არასწორად გაგებული მართლმსაჯულების ინტერესი და სხვ. მძიმე შედეგი შეფასებითი ნიშანია. იგი შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის დაზიანებაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაში, ქონებრივ ზიანში და მისთ.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ცრუ დასმენის დროს მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნა, სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციისაგან,რომელიც უმეტესად ჩადენილია (თუმცა არა ყოველთვის) სპეციალური სუბიექტის მიერ, სახელ-

დობრ, გამომძიებლის, პროკურორის ან დამცველის მიერ (მუხლი 3691 მ-ის მე-2 ნაწ.) .

ამ ორ დანაშაულს შორის **ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი** და ნაშაულის ობიექტურ მხარეშია. ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევაში აუცილებლად ხდება სათანადო ორგანოსათვის დანაშაულისა და მისი ჩამდენის შესახებ ცრუ შეტყობინება (ცრუ დასმენა), ხოლო მეორე შემთხვევაში კი (369[1] მ-ის პირვ. ნაწ.) – ადგილი აქვს მხოლოდ მტკიცებულებების ფალსიფიკაციას დანაშაულისა და მისი ჩამდენის შესახებ ცრუ შეტყობინების გარეშე; ასევე სსკ 373-ე მუხლის ამსრულებელია საერთო სუბიექტი, ხოლო 369[1] მუხლში კი შესაძლოა, იყოს სპეციალური სუბიექტი, რომელიც ამ მუხლის მე-2 ნაწილშია მითითებული და მტკიცებულების ფალსიფიკაციისას ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას.

თავი XIII

დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება

გამოძიების მონაცემის გახმაურება (მუხლი 374-ე)

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პროცესის ამოცანაა დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი, უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება, არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება, დაიცვას პროცესის ყველა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები. ამ ამოცანის შესასრულებლად გამოძიების ორგანოები აწარმოებენ საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, ობიექტურ და სრულ გამოკვლევას დანაშაულის გახსნისა და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. აქედან გამომდინარე, ნათელია თუ რა საფრთხის შემცველია გამოძიების მონაცემის გახმაურება. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნულ სტადიაზე მოპოვებული მონაცემების გახმაურებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ჭეშმარიტების დადგენას და მიგვიყვანოს მთელ რიგ სხვა საზიანო შედეგამდეც. სახელდობრ, გამოძიების მონაცემების გახმაურებით შესაძლებელია, რომ შეკრებილი მტკიცებულებებით მოპოვებული ინფორმაცია საქმის შედეგით დაინტერესებულ პირთა ხელში მოხვდეს და გამოყენებულ იქნეს გამოძიებისათვის ან საქმის სასამართლო განხილვისათვის ხელის შესაშლელად, ანდა დაიმალოს დამნაშავე და ა.შ. სწორედ ამიტომაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროცესის მონაწილეებს, მაგალითად, მოწმეს (მუხლი 49-ე), ექსპერტს (მუხლი 51-ე), თარჯიმანს (მუხლი 54-ე),და სხვ. საგანგებოდ ავალდებულებს არ გაამჟღავნონ საქმესთან დაკავშირებით მათთვის ცნობილი გარემოებები, თუ ისინი ამის შესახებ გააფრთხილა პროცესის მწარმოებელმა ორგანომ. ამასთანავე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოძიების წარმოების ზოგად საფუძვლებში სპეციალურ ნორმას გვთავაზობს გამოძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობის შესახებ (მუხლი 104-ე). სახელდობრ, პროკურორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავ-

ნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ასევე, მართლმსაჯულებისა და მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ. ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ცხადია, მხედველობაშია პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლით.

ამგვარად, გამოძიების მონაცემის გახმაურება ხელყოფს საგამოძიებო ორგანოთა ინტერესს, რაც გულისხმობს დანაშაულის დროულად აღკვეთასა და გახსნას და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. სწორედ ამ ინტერესის დასაცავად არის კრიმინალიზებული სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის ამგვარი ქმედება და მისგან სს-ვი დაცვის უშუალო ობიექტს წარმოადგენს გამოძიების ორგანოთა ნორმალური საქმიანობა. **დანაშაულის საგანი** შეიძლება იყოს დოკუმენტურად დაფიქსირებული ნებისმიერი ფაქტობრივი მონაცემი, რომელიც დადგენილ იქნება წინასწარი გამოძიების პროცესში.

განსახილველი **დანაშაულის ობიექტური მხარე** გამოიხატება ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის მასალების ან გამოძიების მონაცემის გახმაურებაში იმის მიერ, ვინც კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო მისი გახმაურების აკრძალვის შესახებ.

მონაცემის გახმაურება გულისხმობს ინფორმაციის გამჟღავნებას გარეშე პირებისათვის, რომელთაც ამ მონაცემების გაცნობის კანონიერი საფუძველი არ გააჩნიათ. მაშასადამე, ქმედების ობიექტური მხარის რეალიზაცია ხდება დამნაშავის ისეთი ქცევით, რომლის მეშვეობითაც ოპერატიულ-სამძებრო მასალები ან გამოძიების მონაცემი მესამე პირებისათვის (ან თუნდაც ერთი პირისთვის) გახდება ცნობილი. გახმაურების ფორმა შეიძლება იყოს ზეპირი, წერილობითი, მასობრივი ინფორმაციის საშუალების მეშვეობით და მისთ. იგი დანაშაულის შემადგენლობის არსებობაზე გავლენას არ ახდენს. გახმაურებული მონაცემის შინაარსი შეიძლება შეეხებოდეს სისხლის სამართლის საქმის სულ სხვადასხვა ასპექტებს, მაგალითად, მონაცემები ეჭვმიტანილთა, მოპოვებულ ან მოსაპოვებელ მტკიცებულებათა, ნივთმტკიცებათა, ექსპერტიზის დასკვნების, ჩხრეკის შედეგების, საგამოძიებო ვერსიებისა და მოწმეთა შესახებ და ა.შ. თუკი ესა თუ ის ინფორმაცია თვითონ იმ პირმა გაახმაურა, ვინც აცნობა საგამოძიებო ორგანოს, მაგალითად, მოწმემ, მაშინ დანაშაულის შემადგენლობა მაინც იქნება სახეზე, თუ

ამ პირს ხელწერილი ჩამოართვეს ამ მონაცემის გამჟღავნების დაუშვებლობის შესახებ.

განსახილველი **დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია** და დამთავრებულად ჩაითვლება გამოძიების მონაცემის გახმაურების მომენტიდან,

ე.ი. როცა შესაბამისი ინფორმაცია ცნობილი გახდა თუნდაც ერთი გარეშე პირისათვის. მნიშვნელობა არა აქვს ეს ინფორმაცია დაინტერესებული პირის ხელში მოხვდა თუ არა. როგორც ვხედავთ, განსახილველი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძვლის არსებობა მთელ რიგ პირობებს უკავშირდება: 1) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე პირი ფლობს ოპერატიულ-სამძებრო მასალებს ან გამოძიების მონაცემს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე; 2) ამ მონაცემს არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის; 3) ეს პირი სპეციალურად იქნა გაფრთხილებული აღნიშნული მონაცემის გამჟღავნების დაუშვებლობაზე; 4) ამ აკრძალვის მიუხედავად, იგი ახმაურებს ამ მონაცემს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ პირი სპეციალურად არ გაუფრთხილებია პროცესის მწარმოებელ ორგანოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოების გამჟღავნების დაუშვებლობის შესახებ ანდა გახმაურებულ მონაცემს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის, მაშინ ამ დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება.

ქმედების ამსრულებელი სპეციალურია – 14 წელს მიღწეული პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით გააფრთხილა გამომძიებელმა, ან პროკურორმა არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები (წინასწარი გამოძიების მასალები). ის შეიძლება იყოს მოწმე,დაზარალებული,ექსპერტი,ადვოკატი,დამსწრე და სხვ. მაშასადამე, ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს პროცესის მონაწილე ან სხვა პირი, რომელიც ესწრებოდა (მონაწილეობდა) ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედებას და რომელსაც ხელწერილი ჩამოართვეს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოების გახმაურების დაუშვებლობის შესახებ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მუქარით.

თუკი გამოძიების მონაცემებს გაახმაურებს სამართალდამცავი ორგანოს მოხელე, მაშინ ის პასუხს აგებს სამოხელეო დანაშაულისათვის.

სუბიექტური მხრივ ქმედების მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს: ანგარება, პირადი მოტივი და სხვ. ქმედების მოტივი და სხვა სუბიექტური ელემენტები კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ.

განსახილველი დანაშაული განზრახია; პირს გაცნობიერებული

აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. ის, რომ გაფრთხილების მიუხედავად, ახმაურებს გამოძიების მონაცემს და სურს მისი გახმაურება ან თავისი ქმედებით ითვალისწინებს მისი გახმაურების გარდუვალობას. გამორიცხული არ არის არაპირდაპირი განზრახვაც, შეგნებული დაშვება ან გულგრილი დამოკიდებულება გამოძიების მონაცემის გახმაურებისადმი,რაც საფრთხეს უქმნის საგამოძიებო ორგანოთა ინტერესებს.

საბანკო ანგარიშის მონიტორინგის, მასზე ყადაღის დადებასთან ან კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მონაცემების გახმაურება – მუხლი 374[1]

2012 წლის 12 ივნისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 374[1]მუხლი, რომელიც გამოძიების მონაცემების გახმაურების სპეციალურ შემადგენლობას წარმოადგენს. იგი საფრთხეს უქმნის დანაშაულის დროულად აღკვეთისა და/ან გახსნის ინტერესს.

საქართველოს სსსკ 124[1] მუხლის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს საბანკო ანგარიშის/ანგარიშების გამოყენებით, ან/და ჩამორთმევისადმი დაქვემდებარებული ქონების მოძიების/იდენტიფიცირების მიზნით, პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე, რომლითაც ბანკი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მას მიმდინარე რეჟიმში მიაწოდოს ინფორმაცია ერთ ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

სსსკ 136-ე მუხლი ადგენს კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის წესს, სახელდობრ, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის გან-

ჩინების გაცემის შუამდგომლობით.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებსკომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს მომსახურების მომწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

როგორც საბანკო ანგარიშის მონიტორინგი, ისეკომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება მიეკუთვნება სასამართლოს განჩინებით ჩასატარებლად ნებადართულ საგამოძიებო მოქმედებას (სსსკ მუხლი 112),პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე.ამასთანავე, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის დადგენილი წესი(სსსკ თავი 16 [1]).

სსკ 274[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ორ ნაწილად არის ჩამოყალიბებული, პირველი ნაწილი კრძალავს საბანკო ანგარიშის მონიტორინგის ან კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ მონაცემების გახმაურებას, ხოლო მეორე ნაწილი-საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ მონაცემების გახმაურებას.

ობიექტური მხრივ მონაცემების გახმაურება იმავე მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც სსკ 374-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობაში (იხ. 374ე მუხლის განმარტება).

ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო ვალდებულია შეინახოს და აღრიცხოს ინფორმაცია. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ ორგანოს და შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დეტალურად არის გაწერილი ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებულ ინფორმაციასთან მოპყრობის წესი. მაგალითად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, პროკურორის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის. ასევე დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს იმ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპ-

ოვებული ინფორმაცია, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარდა და, მიუხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, ბრალდების მხარემ ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით არ წარუდგინა ის მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს (სსსკ 143[8] მუხლი).

ამსრულებელი სპეციალურია – ის, ვისაც ხელი მიუწვდებოდა საბანკო ანგარიშის მონიტორინგის ან საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მონაცემებზე, აგრეთვე, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მონაცემებზე. მაგალითად, ბანკის შესაბამისი თანამშრომელი, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს თანამშრომელი.

დანაშაულის სუბიექტურ ნიშნებს (მოტივსა და მიზანს) ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

განსახილველი დანაშაული განზრახია.

დანაშაულის დაფარვა (მუხლი 375-ე)

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი დაფარული დანაშაულის სიმძიმის მიხედვით დიფერენცირებულ პასუხისმგებლობას ადგენდა სახელმწიფო დანაშაულისა (მუხლი 90-ე) და სხვა დანაშაულის დაფარვისათვის (მუხლი 205-ე). სისხლის სამართლის ახალ კოდექსში დანაშაულის დაფარვისათვის პასუხისმგებლობა ინტეგრირებულია განსახილველ შემადგენლობაში, თანაც წინასწარ შეუპირებლად დაფარვა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ეხება, ე.ი. ისეთ განზრახ დანაშაულს, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას, ანდა განზრახ დანაშაულს, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსში 2008 წლის 23 ოქტომბრის განხორციელებული ცვლილებით, კრიმინალიზებულ იქნა 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მეორე

ნაწილებით, 194[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, 202-ე მუხლის პირველი ნაწილით, 221-ე მუხლის პირველი-მესამე ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 339ე მუხლის პირველი ნაწილით, 339[1] მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი-მესამე ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების დაფარვა წინასწარ შეუპირებლად.

დანაშაულის დაფარვის სოციალური მავნეობა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ქმედება ხელს უშლის დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა მხილებას, ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ხელს უწყობს დანაშაულის კვალის, მტკიცებულებათა დაფარვას და ა.შ. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია გამოძიებისა და სასამართლო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება.

დანაშაულის ობიექტური მხარე, როგორც წესი, გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში – წინასწარ შეუპირებლად მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე აგრეთვე, სსკ 375-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის დაფარვაში. დანაშაულის დაფარვაში იგულისხმება დამნაშავის,აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა. ამ ქმედების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის წინასწარ არ არის შეპირებული, ე.ი. დამნაშავე არავის არ ჰპირდება წინასწარ ზემოთ ჩამოთვლილ მოქმედებათა შესრულებას დანაშაულის ჩადენამდე ან მისი ჩადენის პროცესში და,აქედან გამომდინარე,არც მიზეზობრივი კავშირი არსებობს ჩადენილ დანაშაულსა და დაფარვას შორის. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება წინასწარ შეუპირებელი დაფარვა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, დახმარებისაგან, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობას წარმოადგენს. ის,ვინც წინასწარ დაჰპირდება,რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღსა და საშუალებას, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს,იქნება დამხმარე და პასუხს აგებს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის (სსკ მუხლი 24-ე).

დამნაშავის დაფარვა გულისხმობს მისთვის თავშესაფრის მიცემას, გარეგნობის შეცვლას, სატრანსპორტო საშუალებით, ყალბი დოკუმენტებით აღჭურვას, აგრეთვე სხვაგვარ დახმარებას, რაც ართულებს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას მის სამხილებლად.

დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების დაფარვაში უნდა გავიგოთ მათი განადგურება ან დამალვა, აგრეთვე მათი გარეგნული იერსახის შეცვლა.

დანაშაულის კვალის დაფარვა შეიძლება გამოიხატოს მის გა-

ნადგურებაში ან მის ალმოსაჩენად დაბრკოლების შექმნაში. რაც შეეხება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვას, შესაძლებელია მათი რეალიზაცია ანდა უბრალოდ სამართალდამცავი ორგანოებისათვის დამალვა.

განსახილველ დანაშაულს **ფორმალური შემადგენლობა** აქვს და იგი დამთავრებულად ჩაითვლება ზემოჩამოთვლილი ერთ-ერთი კონკრეტული მოქმედების ჩადენის მომენტიდან (ე.ი. დაფარვის ცნებაში შემავალი ერთ-ერთი მოქმედების ჩადენის მომენტიდან).

ამრიგად, განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დანაშაულის დაფარვის შემადგენლობისათვის საჭიროა შემდეგი პირობების არსებობა:

1. დამნაშავის, დანაშაულის კვალის, დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა;

2. დაფარული დანაშაული მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება; ანდა სახელდებით არის მითითებული 375-ე მუხლში.

3. დაფარვა ხდება წინასწარ შეუპირებლად (ე.ი. დაფარვას ადგილი უნდა ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის შემდეგ).

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წელს მიღწეული ფიზიკური პირი. თუ წინასწარ შეუპირებელ დაფარვას ადგილი ექნება მოხელის მხრიდან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით. თუ სუბიექტს ნათელი წარმოდგენა არა აქვს, თუ კონკრეტულად რა დანაშაულს ფარავს, მაშინ 375-ე მუხლით პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

სუბიექტური მხრივ მოტივსა და მიზანს კანონი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს. თუმცა აქვე ხაზგასასმელია, რომ ნათესაური გრძნობა წინასწარ შეუპირებელი დაფარვისათვის გამორიცხავს პასუხისმგებლობას.

განსახილველი დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ ფარავს კონკრეტულ დანაშაულს, რომელიც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიისაა და სურს მისი დაფარვა. რამდენადაც კანონი ცალსახად მიანიშნებს წინასწარ შეუპირებელ დაფარვაზე, მაშასადამე, დანაშაულის დაფარვის განზრახვა პირს უნდა წარმოეშვას მხოლოდ მისი ჩადენის შემდეგ, რამეთუ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინასწარ შეპირებული დაფარვა დანაშაულში თანამონაწილეობაა დახმარების სახით.

2014 წელს გატარებული ცვლილების შემდეგ ამ მუხლის შენიშვ-

ნის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება:

ა) პირს, რომელმაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული;

ბ) „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) პასუხისმგებელი პირს;

გ)ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხის განმხილველ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრს;

დ) „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის წევრს;

ე) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) და კრიზისული ცენტრის პასუხისმგებელ პირებს (გარდა არასრულწლოვნის მიმართ ცადენილი დანასაულის);

ვ) ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირისათვის კონსულტაციის გაწევის უზრუნველმყოფი უფასო სატელეფონო დახმარების ქსელის ოპერატორს.

დანაშაულის შეუტყობინებლობა (მუხლი 376-ე)

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობაში ფაქტობრივად გაერთიანებულია 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე (სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა) და 206-ე მუხლით (დანაშაულის განუცხადებლობა) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობები. ამ ნორმის ახალი რედაქცია სასჯელის მუქარით კრძალავს იმის შეუტყობინებლობას, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

დანაშაულის შეუტყობინებლობის დროს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი იგივეა, რაც დანაშაულის დაფარვისას.

დამნაშავეობასთან ბრძოლა წარმატებული ვერ იქნება თუ მოქალაქეები არ დაეხმარებიან სამართალდამცავ ორგანოებს. ბევრი ადა-

მიანი ამას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად და მორალურ ვალდებულებად აღიქვამს, ნაწილი კი ამ მოვალეობის შეუსრულებლობით ხელს უშლის სამართალდამცავი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, ვინაიდან დანაშაულის შეუტყობინებლობა,ისე,როგორც დაფარვა,ხელს უშლის მის დროულად გახსნასა და დამნაშავეთა მხილებას, აგრეთვე მოსალოდნელი სოციალურად მავნე შედეგების თავიდან აცილებას. სწორედ ამიტომ გაითვალისწინა სისხლის სამართლის კოდექსმა პასუხისმგებლობა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების ან ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დამნაშავის პასიურ ქცევაში, უმოქმედობაში, კერძოდ, კომპეტენტური ორგანოებისათვის შეუტყობინებლობაში, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან ამ მუხლში მითითებული ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაული. ასეთი ორგანოები არიან როგორც საკუთრივ სამართალდამცავი, ისე ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი, ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოები. მაშასადამე, შეტყობინების ადრესატები მარტო სამართალდამცავი ორგანოები არ არიან. საგულისხმოა, რომ კანონი არ ჩამოთვლის იმ ორგანოებსა და პირებს, რომელთათვისაც დანაშაულის მზადების შესახებ შეუტყობინებლობა გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამიტომ დასაბუთებულ იქნება თუ ვიტყვით, რომ, პირველ რიგში, მათ უნდა მივაკუთვნოთ სამართალდამცავი ორგანოები (მაგალითად, პროკურატურა, პოლიცია), რომელთა პირდაპირი მოვალეობაა დამნაშავეობასთან ბრძოლა. გარდა ამისა, მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებიც. კანონში მითითებული არ არის დროც (ვადა),რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს შეტყობინება დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ. ცხადია, რომ ეს ვადა სხვადასხვაა და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, რის საფუძველზეც უნდა შეფასდეს,რომ პირს რეალურად შეეძლო შეეტყობინებინა დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ. შეტყობინება დანაშაულის მზადების ან ჩადენის ფაქტის შესახებ აუცილებელია გაკეთდეს უმოკლეს ვადაში. ობიექტურად დროის ეს პერიოდი გრძელდება დამნაშავის მხილებამდე... სუბიექტურად დროის მოცემული პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს იმ მომენტამდე, როცა უმოქმედოდ მყოფი პირი შეიტყობს, რომ დანაშაულის მზადების ან ჩადენის ფაქტის შესახებ ცნობილია ხელისუფლების ორგანოებისათვის და დაწყებულია გამოძიება. ამასთანავე, პირი პასუხს აგებს შეუტყობინებლობისათვის, თუ მას რეალური შესაძლებლობა ჰქონდა ეცნობებინა სათანადო ორგანოსათვის დანაშაულის მზადების ან ჩა-

დენის შესახებ. ასეთი შესაძლებლობის არარსებობა გამორიცხავს პასუხისმგებლობას. მაგალითად, პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ შეუტყობინებლობა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალით, ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით,პირზე ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გამო.

პირის ცოდნა, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ნამდვილი უნდა იყოს. ამაზე პირდაპირ მიანიშნებს სისხლის სამართლის კანონი. ეს გულისხმობს კონკრეტული, სარწმუნო ინფორმაციის ცოდნას დანაშაულის ხასიათსა და შინაარსზე ან იმ პირზე, ვინც ამზადებს ან ჩაიდინა დანაშაული ანდა ორივეს შესახებ ერთად. ცოდნის ნამდვილობა შეიძლება ემყარებოდეს პირად დაკვირვებას, რომლის თვითმხილველიც პირი გახდა, დამნაშავესთან საუბრიდან გაგება, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (მაგალითად, პირმა ნახა ეკი პირება, დანაშაულის იარაღი და საშუალებები); ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს თანამონაწილისაგან, დოკუმენტიდან, კერძო მიმოწერიდან და ა.შ. ვარაუდი ან ჭორის დონეზე პირის ინფორმირებულობა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ,არ შეიძლება 376-ე მუხლით პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს, ვინაიდან მსგავს შემთხვევაში არ შეიძლება ვილაპარაკოთ ინფორმაციის ცოდნის ნამდვილობაზე.

განსახილველ **დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა** აქვს და, როგორც წესი, დენადი ფორმით ხორციელდება. იგი დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა პირისათვის ცნობილი გახდა, რომ ნამდვილად მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მას რეალური შესაძლებლობა აქვს შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს, მაგრამ ამას არ აკეთებს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. მოხელე ანალოგიური უმოქმედობისათვის პასუხს აგებს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის,ვინაიდან ნებისმიერი მოხელის მოვალეობაა სამართალდარღვევათა აღკვეთა და თავიდან აცილება ანდა თუნდაც სათანადო ორგანოსათვის შეტყობინება მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ.

დანაშაულის **შეუტყობინებლობის მოტივები** სხვადასხვა შეიძლება იყოს: სიმხდალე, ანგარება, შურისძიების შიში, ნათესაური გრძნობები და ა.შ. შეუტყობინებლობის მიზანი შეიძლება იყოს ფულის ან სხვაგვარი გამორჩენის მიღება, თავისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის

უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნათესავის ან ახლობელი ადა-

მიანის დაცვა იმ არასასურველი შედეგისაგან, რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოჰყვება და ა.შ. ქმედების აღნიშნული სუბიექტური ელემენტები კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ.

განსახილველი დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ არ აცხადებს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, ან ამ მუხლში მითითებული ნაკლებად მძიმე დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ, რომლის შესახებაც დანამდვილებით იცის და სურს ეს. როგორც ზემოთ ითქვა, თუ ცოდნის სარწმუნოობა საეჭვოა, პირი არაზუსტ ინფორმაციას ფლობს, ვარაუდობს ან ხვდება, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ზუსტად არ არის ინფორმირებული დანაშაულის ხასიათსა და შინაარსზე, მის ამსრულებელზე, მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია,ვინაიდან ყოველგვარი ეწვი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ.

დანაშაულის შეუტყობინებლობა განსხვავდება დანაშაულის დაფარვისაგან ობიექტური ნიშნებით. დაფარვისაგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს აქტიურ მოქმედებას დამნაშავის, დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნის დასაფარავად,შეუტყობინებლობა ხასიათდება პასიური ქცევით, უმოქმედობით პირისა, ვინც დანამდვილებით იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და მოვალეა აცნობოს ამის შესახებ სათანადო ორგანოს.

პირი, რომელმაც არ განაცხადა დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ და შემდგომ ამ ფაქტზე ცრუ ჩვენება მისცა, პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით (370-ე და 376-ე მუხლები).

დასასრულს უნდა აღინიშნოს,რომ დანაშაულის შეუტყობინებლობის დღევანდელი რედაქცია 2006 წლის 29 დეკემბერს და 2013 წლის 11 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების შედეგია.

თუ აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის ძველი რედაქცია დასჯადად მიიჩნევდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების შეუტყობინებლობას, ამჟამად კრიმინალიზებულია არა მხოლოდ მომზადების სტადიაზე მყოფი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა, არამედ უკვე ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობაც. ასევე კრიმინალიზებულია ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შეუტყობიმენლობაც (სსკ 171-ე მ-ის მე-3 ნაწ., 255-ე მ-ის მე-2 და მე-3 ნაწ., 255^1 ან 255^2 მმ.).

ამ ცვლილებით დანაშაულის შეუტყობინებლობა ნაწილობრივ კოლიზიაში მოვიდა დანაშაულის დაფარვასთან (მუხ. 375) და მის წა-

მახალისებელ ნორმასთან ნათესაურ იმუნიტეტთან დაკავშირებით. დანაშაულის შეუტყობინებლობის ძველ რედაქციაზე აღნიშნული ნამახალისებელი ნორმის არგავრცელებას ჰქონდა თავისი გამართლება, ვინაიდან კანონმდეელი მიზნად ისახავდა მზადებაში მყოფი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის თავიდან აცილებას. ახლა კი ახლო ნათესავის მიერ უკვე ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობა ფორმალურად დასჯადი გახდა. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად ნორმის განმარტებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს „დიდიდან მცირესკენ სვლის" მეთოდი. კერძოდ, თუკი ახლო ნათესავის მიმართ არ ისჯება „უფრო დიდი", ანუ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, მით უმეტეს არ უნდა დაისაჯოს „უფრო მცირე" – ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობა.

სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში ეს ნოვაცია წინააღმდეგობაში მოვა სს საპროცესო კოდექსის 49-50-ე მუხლების მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ამ საპროცესო გარანტიას კანონმდებელი ნიველირებას უკეთებს სსკ 376-ე მუხლის დღევანდელი რედაქციით.

თავი XIV

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ

აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება (მუხლი 377-ე)

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ, ანდა, ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული (სსსკ მუხლი 151-ე). ანალოგიურად, სარჩელის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს განცხადებით სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს: ყადაღის დადება ქონებაზე,ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან; მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით და ა.შ. (მუხლი 198-ე). მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახად გადაცემას, ხოლო უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ასევე ნიშნავს ქონების აღწერას და მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, ი პოთეკით, უზურფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვას.

ფულად ანაბარზე (საბანკო ანგარიშზე) ყადაღის დადებისას წყდება საანაბრო (საბანკო) ოპერაციები.

ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურას დაწვრილებით

არეგულირებს საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დგება ოქმი და დაყადაღებული ქონების შენახვა ხდება კანონით დადგენილი წესით. სახელდობრ,აღნიშნული კანონის მე-40 მუხლის მიხედვით, მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების– აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახავად გადაცემას. აღმასრულებელი დაყადაღებულ ნივთებს აღნუსხავს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში. აღმასრულებელს დაყადაღებული ფული დაუყოვნებლივ შეაქვს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე (კერძო აღმასრულებელს–საანგარიშსწორებო ანგარიშზე), ხოლო ყადაღადადებულ ფასიან ქაღალდებსა და ძვირფასეულობას იგი იღებს და ინახავს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სათავსში. ეს ეხება სხვა ყადაღადადებულ ნივთებსაც, თუ არსებობს ამ ნივთების ხელყოფის საშიშროება. თუ ყადაღადადებული მოძრავი ნივთები რჩება მოვალესთან ან შესანახად ბარდება სხვა პირს, მაშინ ყადაღის დადება შეიძლება მოხდეს დალუქვით. დაყადაღებული ქონების მოვალის ან მინდობილი პირის – შემნახველის მიერ ყოველგვარი განკარგვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ცხადია, მხედველობაშია სსკ 377-ე მუხლი. ქონებაზე ყადაღის დადების წესი დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-158 მუხლებით.

ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, აგრეთვე ქონებით სარგებლობას. კანონით დაკისრებული ამ მოვალეობის შეუსრულებლობა, ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება, დამალვა ან უკანონოდ გადაცემა ართულებს, ზოგჯერ კი შეუძლებელს ხდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ან განაჩენის აღსრულებას სამოქალაქო სარჩელის, სხვა ქონებრივი სახდელის ანდა ქონების ჩამორთმევის ნაწილში. მაშასადამე, განსახილველი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სააღსრულებო დაწესებულებათა მიერ სასამართლო აქტების აღსრულებას, რაც, თავის მხრივ, სასამართლო დაწესებულებათა ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

დანაშაულის საგანია ქონება, რომელიც აღწერილი და დაყადაღებულია.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ისეთ მოქმედებებში, როგორიცაა: აღწერილი ან ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება, დამალვა ან უკანონოდ გადაცემა, ანდა დაყადაღებული ფულადი საშუალებით საბანკო ოპერაციის განხორციელება.

გაფლანგვა გულისხმობს დაყადაღებული ქონების გახარჯვას, გასხვისება – სხვა პირებისათვის ამ ქონების გადაცემის ნებისმიერ ფორმას როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ. დამალვა ნიშნავს ამ ქონების გადაადგილებას, სხვა პირებთან ან სხვა ადგილას შენახვას, რათა შეუძლებელი გახდეს მისი ამოღება.

ყადაღადადებული ფულადი საშუალებით **საბანკო ოპერაციის განხორციელებაში** იგულისხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულება ფულადი ანაბრების მიმართ,რომელზეც ყადაღაა დადებული. მაგალითად, ანგარიშის დახურვა, ანაბრის გადატანა სხვის სახელზე, რათა შეუძლებელი გახდეს მისი ამოღება ზიანის ასანაზღაურებლად, ანგარიშიდან თანხის ჩამოწერა, კრედიტის მიცემა, ფულადი სახსრების გადარიცხვა ანგარიშსწორებისათვის და ა.შ.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება კანონში მითითებული ერთ-ერთი მოქმედების განხორციელების მომენტიდან. ამასთანავე, ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება, უკანონოდ გადაცემა, ცხადია, გულისხმობს კონკრეტული მატერიალური ზიანის მიყენებას კრედიტორისათვის,ხოლო ამ ქონების დამალვა მავნე შედეგის დადგომას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. საბანკო ოპერაციის განხორციელებას ყადაღადადებული ფულადი საშუალებით შესაძლოა მოჰყვეს კონკრეტული საზიანო შედეგი, თუმცა შესაძლებელია მისი დროული გამოვლენით მავნე შედეგის აღკვეთაც.

ქმედების ამსრულებელი სპეციალურია – პირი, ვისაც აღწერილი ან დაყადაღებული ქონება გადაეცა ხელწერილით შესანახად, ზოგადად, მინდობილი პირი – შემნახველი; ის შეიძლება იყოს: მესაკუთრე, მფლობელი, ბრალდებულის (მოვალის) ოჯახის სრულწლოვანი წევრი, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი, აგრეთვე, საკრედიტო ორგანიზაციის მოსამსახურე, რომელმაც ყადაღადადებული ფულადი საშუალებით (ანაბრით) საბანკო ოპერაცია განახორციელა.

სუბიექტური მხრივ ქმედების მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, პირადი დაინტერესება და სხვ.

განსახილველი დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა – უკანონო ქმედება ყადაღადადებულ ქონებასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს მოსალოდნელ საზიანო შედეგს კრედიტორისათვის, რადგან ყადაღადადებული ქონება ვერ იქნება ამოღებული და სურს იგი.

377-ე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ადგენს ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების დამალვისა ან განაჩენის (სასამართლო გადაწყვეტილების) აღსრულებისათვის სხვაგვარად თავის არიდებისათვის.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი იგივეა, რაც პირველ ნაწილში. დანაშაულის საგანია ქონება, რომელიც ჩამორთმევას ექვემდებარება.

საქართველოს სსკ 52-ე მუხლი ითვალისწინებს ქონების ჩამორთმევას, რაც ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ამ იძულებითი ღონისძიების გამოყენების უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ქონებაზე ყადაღის დადებას. ყადაღის დადების მიზანს, საფუძველსა და წესს ზემოთ უკვე შევეხეთ.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა ქონების დამალვის სახით არ განსხვავდება პირველი ნაწილით გათვალისწინებული ანალოგიური ქმედებისაგან; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე ნაწილში კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზეა საუბარი.

რაც შეეხება **ამ განაჩენის აღსრულებისათვის სხვაგვარად თავის არიდებას,** იგი გულისხმობს ქონების ჩამორთმევის თავიდან ასაცილებლად ქონების განადგურებას, ამ ქონების გაჩუქებას, მისი სხვა ნივთებით შეცვლას, ქონების გაყიდვას და ამ ფულის ნათესავის, ახლობლისა თუ მეგობრის ანგარიშზე განთავსებას, აგრეთვე განაჩენის აღსრულების დროს ამ ქონების ამოღებისათვის ხელის შეშლას, მაგალითად, აღმასრულებლის შენობაში არშეშვება და ა.შ.

ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც მსჯავრდებული, რომელსაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ქონების ჩამორთმევა შეეფარდა,ისე ნებისმიერი სხვა პირი,რომელთანაც ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონება იმყოფება.

სუბიექტური მხრივ მოტივი,როგორც წესი,ანგარებითია,თუმცა არც სხვა პირადი ხასიათის მოტივის გამორიცხვა შეიძლება

სახეზეა პირდაპირი განზრახვით ჩასადენი დანაშაული.

განსახილველი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი იგივეა, რაც ზემოთ განხილულ შემადგენლობაში.

დანაშაულის საგანია ის ქონება, რომელზეც შესაძლებელია განხორციელდეს გადახდევინება (ყადაღის დადება) სამოქალაქო სარჩელის, სხვა ქონებრივი სახდელის,აგრეთვე სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიების უზრუნველსაყოფად[127].

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოვალის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის/ კერძო აღმასრულებლისათვის კანონით გათვალისწინებული ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობაში ან არასწორად, ანდა არასრულყოფილად წარდგენაში.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების წესი დაწვრილებით არის რეგლამენტირებული საქართველოს სააღსრულებო კანონმდებლობით. იძულებითი აღსრულება შეიძლება დაიწყოს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების მიცემის შემდეგ. აღმასრულებელი იკვლევს მოვალის ქონებრივ მდგომარეობას. თუ აღსრულებამ კრედიტორი სრულად არ დააკმაყოფილა, მაშინ აღმასრულებელი იბარებს მოვალეს და ადგენს დოკუმენტს მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. აღმასრულებელს შეუძლია დაავალდებულოს მოვალე წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა. ქონების ნუსხაში მოვალემ უნდა მიუთითოს აგრეთვე თავისი მოთხოვნის საფუძველი მესამე პირის მიმართ და მტკიცებულებები. ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ის ქონებაც, რომელიც მას სხვებისაგან ეკუთვნის. მოვალე წერილობით გარანტიას იძლევა, რომ მან ყველა ის მონაცემი, რომელიც მისგან მოითხოვეს, მაქსიმალურად სწორად და სრულად წარადგინა. აღმასრულებელი ამოწმებს მოვალის მონაცემების სისწორესა და სისრულეს. თუ მოვალე არ წარადგენს ქონების ნუსხას ან უარს ამბობს წერილობითი გარანტიის მიცემაზე, ან შეგნებულად წარადგენს არასწორ ინფორმაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა სსკ 377[1]-ე მუხლით. მაშასადამე, განსახილველი დანაშაული ობიექტურად შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით – ქონებრივი ნუსხის არასწორად ან არასრულყოფილად წარდგენა, ისე

[127] საქართველოს სსსკ 153-ე მუხლი, აგრეთვე სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 45-ე მუხლი განსაზღვრავს ქონებას, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება (ყადაღის დადება).

უმოქმედობით – ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა.

დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება ქმედების ჩადენის მომენტიდან, ე.ი. მოვალის მიერ ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობის ანდა არასწორი, ან არასრულყოფილი ნუსხის წარდგენის მომენტიდან.

ქმედების ამსრულებელია მოვალე, რომლის ქონებიდანაც გადახდევინება უნდა მოხდეს.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, მოტივი ანგარებითია. მოვალის მიზანია თავი აარიდოს გადახდას.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ სათანადო ორგანოს ან პირს არ წარუდგენს კანონით გათვალისწინებულ ქონებრივ ნუსხას, ანდა წარუდგენს მას არასწორად.

მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობა (მუხლი 377²-ე)

განსახილველი ქმედების კრიმინალიზაცია განაპირობა იმ წინააღმდეგობამ, რაც პრაქტიკაში ახლავს სასამართლო აქტების აღსრულებას. სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი იგივეა,რაც ზემოთ განხილულ ორ შემადგენლობაში.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება უმოქმედობაში, კერძოდ, მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული იმ მოქმედების შეუსრულებლობაში, რომლის შესრულება მხოლოდ მას შეუძლია (წმინდა უმოქმედობის დელიქტი).

ზოგჯერ სასამართლოს გამოაქვს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მოპასუხეს (მოვალეს) ავალდებულებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. თუ აღნიშნული მოქმედება შეიძლება შეასრულოს მხოლოდ მოვალემ, სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს. ამრიგად, თუ მოქმედება არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ მოვალის ნებაზე, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები, რათა აიძულოს მოვალე შეასრულოს მოქმედება, კერძოდ, დააკისროს მას ფულადი ჯარიმა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მას შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა **377²**-ე მუხლით.

მოქმედება, რომლის შესრულებაც მხოლოდ მოვალეს შეუძლია

არის, მაგალითად, მოძრავი ნივთის გადაცემა, როდესაც გადასაცემ ნივთს ვერ პოულობენ, მოვალე კი არ აცნობებს აღმასრულებელს მის ადგილსამყოფელს; რაიმე სამუშაოს შესრულება, რომელსაც ვერ შეასრულებს კრედიტორი, თუნდაც მოვალისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით; ამგვარ ქმედებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, აგრეთვე ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის დროს და სხვ.

მაშასადამე, 377[2]-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მუქარა დაკავშირებულია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან ნივთების გადაცემისა და მოქმედების შესრულების მიზნით.

ქმედების ამსრულებელი მხოლოდ მოვალეა,რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებით დაეკისრა კონკრეტული მოქმედების შესრულება, მაგალითად, ნივთის დაბრუნება, ნაწარმოების დაწერა, რაიმე სამუშაოს შესრულება და სხვ.

სუბიექტური მხრივ მოტივსა და მიზანს კანონმდებელი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

განსახილველი დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. მოვალეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რომ დაჯარიმების მიუხედავად, არ ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ იმ მოქმედებას, რომლის შესრულება მხოლოდ მას შეუძლია, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს სააღსრულებო მოქმედების შესრულების შეუძლებლობისა და კრედიტორის ინტერესების შელახვის სახით და სურს იგი.

პენიტენციური დაწესებულების ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია (მუხლი 378-ე)

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა ფაქტობრივად აერთიანებს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 78[1]-ე და 203[4]-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობებს, რომლებიც დიფერენცირებულ პასუხისმგებლობას ადგენდნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მუშაობის დეზორგანიზაციისათვის (იგი სხვა სახელმწიფო დანაშაულთა თავში შედიოდა) და შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის მოთხოვნებისადმი ბოროტი ურჩობისათვის (ეს უკანასკნელი მართლმსაჯულების საწინააღმდეგო დანაშაულთა თავში იყო განთავსებული). ახალმა კოდექსმა კი, სავსებით მართებულად, პასუხისმგებლობის ინტეგრაცია მოახდინა ერთ შემად-

გენლობაში.

ამგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან **სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს** წარმოადგენს პენიტენციური და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებათა ნორმალური საქმიანობა. დამატებითი ობიექტია აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის, აგრეთვე ამ დაწესებულებაში მოთავსებულის უსაფრთხოება, პირადი ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა.

378-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის **ობიექტური მხარე** გამოიხატება ისეთ მოქმედებაში, როგორიცაა: პენიტენციური დაწესებულების ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, რასაც თან ახლავს მისი ან/და მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების მუქარა თანამშრომლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ან ამ დაწესებულების საქმიანობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა ან/და ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია.

ეს ნორმა 2015 წლის 1 ივლისიდან ახალი რედაქციით ამოქმედდა, რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 1 მაისს „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ კანონის მიღება; აღნიშნულმა კანონმა გამიჯნა სამოქალაქო და სასჯელაღსრულების სამსახური, რომელიც ახლა იწოდება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურად.

პენიტენციური სამსახური არის სპეციალური, გასამხედროებული ქვედანაყოფების ერთიანი სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს სასჯელაღსრულების სამინისტროს სისტემაში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების რეალიზაციის, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელების, სამართლებრივი რეჟიმის დაცვის, უსაფრთხოების დაცვის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანის/გადაყვანის და ექსტრადიციის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის, კრიზისული ვითარების მართვის და სპეციალური ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება -თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება შექმნილია „არასაპატიმრო სასჯელთაღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა

და პრობაციის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო-სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთააღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს. დაწესებულება თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „არასაპატიმრო სასჯელთააღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპური დებულებით და სხვა სამართლებრივია ქტებით.

პენიტენციური და თავისუფლების შეზღუდვის **დაწესებულების თანამშრომლებს** წარმოადგენენ, პირველ რიგში, ადმინისტრაციისა და სხვა შინაგანი სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ზედამხედველობის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფუნქციას ასრულებენ, აგრეთვე ისინი, ვისაც ნახალისებისა და დისციპლინური ზემოქმედების ზომების გამოყენების უფლება აქვთ; აგრეთვე ის პირები, რომლებიც შრომის ხელშეკრულების საფუძველზე ასეთ დაწესებულებებში ამა თუ იმ სამსახურებრივ ფუნქციას ასრულებენ (მაგალითად, სამედიცინო მუშაკი, საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი და სხვ.). სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურე არის ხელისუფლების წარმომადგენელი და სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული მისი კანონიერი მოთხოვნა სავალდებულოა შესასრულებლად. მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

378-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შესაძლებელია ჩადენილ იქნეს მხოლოდ იმ სამსახურებრივ ფუნქციასთან დაკავშირებით, რომლებსაც პენიტენციური და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების თანამშრომლები ახორციელებენ.

დაუმორჩილებლობა ნიშნავს დაკავებულის, მსჯავრდებულის ან სხვა პირის აშკარა უარს, შეასრულოს პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა (მაგალითად, შეწყვიტოს აზარტული თამაში, გადასცეს სარგებლობისათვის აკრძალული ნივთები და სხვ. დაუმორჩილებლობა შეიძლება გამოიხატოს არასაპატიო მიზეზით სასჯელის მოხდის რეჟიმის უხეში დარღვევის შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის შეუსრულებლობაში და ა.შ.), რომელიც შეეძლო და უნდა შეესრულებინა, მაგრამ განზრახ არ შეასრულა. ასეთ დაუმორჩილებლობას თან უნდა ახლდეს მუქარა. კერძოდ, სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების დაზიანების მუქარა. ამგვარი მუქარის გარეშე მხოლოდ დაუმორჩილებლობის ფაქტი არ მოგვცემს ამ დანაშაულის შემადგენლობას.

ამასთან ასეთი დაუმორჩილებლობა მხოლოდ მაშინ გვაძლევს ამ

მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, თუ მას თან ახლავს დანესებულების თანამშრომლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მუქარა. კერძოდ, სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის ჯანმრთელობის დაზიანების, ქონების დაზიანების მუქარა. ამასთანავე აუცილებელია, ეს მუქარა დაკავშირებული იყოს ამ თანამშრომლის სამსახურებრივ საქმიანობასთან. კერძოდ, ის კანონიერ მოთხოვნასთან, რომლისადმი დაუმორჩილებლობას გამოხატავს დამნაშავე. მუქარის გამოხატვის ფორმას (ზეპირად, წერილობით, სხვა პირის მეშვეობით, მიმიკით) არა აქვს მნიშვნელობა, არც იმას აქვს მნიშვნელობა, გამოიწვია თუ არა ამ მუქარამ შესაბამისი დანესებულების თანამშრომელში ან მის ახლო ნათესავში შიში.

ამ დანესებულებათა საქმიანობისათვის **სხვაგვარად ხელის შეშლა** შეიძლება გამოიხატოს განზრახ ქმედებაში, რომელიც მიმართულია ჩასატარებელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჩაშლისაკენ ან კიდევ ამგვარი ქმედების ჩადენისაკენ სხვების წაქეზებით.

პენიტენციური ან თავისუფლების შეზღუდვის დანესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია შეიძლება გამოიწვიოს ასევე, ისეთმა ქმედებებმა, როგორიცაა ტერორი მსჯავრდებულების მიმართ, რათა აიძულონ ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობა, რეჟიმის სისტემატური დარღვევა, ამ მიზნით დაჯგუფების შექმნა და სხვა.

დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია და იგი დამთავრებულად ჩაითვლება ქმედების ჩადენის მომენტიდან. ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს დაკავებული, მსჯავრდებული, აგრეთვე ნებისმიერი სხვა 14 წელს მიღწეული პირი.

ქმედების სუბიექტურ ელემენტებს (მოტივსა და მიზანს) კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური მხარე გამოიხატება პენიტენციურ ან თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებაში მოთავსებული პირის იძულებაში ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე იძულებაში მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში მსჯავრდებულისათვის ხელის შეშლის მიზნით.

როგორც ვხედავთ, **იძულება აქ მიმართულია** არა ამ დაწესებულების თანამშრომლისკენ, არამედ ამ დაწესებულებაში მოთავსებული პირის ან მსჯავრდებულისაკენ. ამდენად, პირველ და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების მსხვერპლი (დაზარალებული) სხვადასხვა პირია.

ამ ქმედების სუბიექტები უმეტესად არიან ის პირები, რომლე-

ბიც თავადაც მოთავსებულნი არიან ამ დაწესებულებაში, თუმცა არაა გამორიცხული, სახეზე იყოს სხვა სუბიექტიც (მაგალითად, ამ დაწესებულების თანამშრომელი).

იძულების შინაარსი კანონში არაა დაკონკრეტებულული. მასში იგულისხმება როგორც ფიზიკური (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა), ისე ფსიქიკური იძულება (ნებისმიერი სახის მუქარა).

სუბიექტური მხრივ განსახილველი ნორმის მე-2 ნაწილი არის **გამიზვნითი დელიქტი** – იძულების გამოყენებისას დამნაშავის მიზანია, შეაცვლევინოს ჩვენება, ან უარი ათქმევინოს ჩვენების მიცემაზე ამ დაწესებულებაში მოთავსებულ პირს. **მაგალითად,** პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პეტრე მოკვლის მუქარით აიძულებს აქ მოთავსებულ სხვა პირს (ბრალდებულს), შეცვალოს გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება.

დამნაშავის მიზანი შეიძლება იყოს ასევე იძულების გზით ხელი შეუშალოს მსჯავრდებულს მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში. **მაგალითად,** პეტრე ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით აიძულებს მსჯავრდებულს, არ ჩაებას რესოციალიზაციისკენ მიმართულ სხვადასხვა პროგრამებში, ანდა ხელი არ შეუწყოს დანაშაულის გახსნას, არ შეატყობინოს შესაბამის ორგანოს მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ და სხვ.

სახეზეა პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული.

განსახილველი მუხლის მე-3 ნაწილი ობიექტური მხრივ ითვალისწინებს შემდეგ ქმედებებს: პენიტენციურ დაწესებულებაში ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, აგრეთვე გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლის ან პენიტენციური დაწესებულების ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების თანამშრომლის ფიზიკური შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვაგვარი ძალადობა ან/და აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა, ან/და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა.

აღნიშნულ შემადგენლობაში სიახლეა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლის ან პენიტენციური დაწესებულების ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების თანამშრომლის **ფიზიკური შეურაცხყოფა** ან/და მის მიმართ **სხვაგვარი ძალადობა,** რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს პენიტენციურ დაწესებულებაში ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, აგრეთვე, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას.

ფიზიკური შეურაცხყოფა იგივე ძალადობაა. კერძოდ, მასში იგულისხმება ცემა, მაგალითად, ხელის დარტყმა, რასაც არაა აუცილებელი, მოჰყვეს ფიზიკური ტკივილი.

სხვაგვარი ძალადობის შინაარსი კანონში დაკონკრეტებული არ არის. კანონის სისტემური განმარტებიდან გამომდინარე, ძალადობაში უნდა მოვიაზროთ როგორც ფსიქიკური, ისე ფიზიკური ძალადობა. ეს უკანასკნელი მოიცავს ცემას, თმებით თრევას ან სხვა ძალადობას, რასაც მოჰყვა ფიზიკური ტკივილი, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. ჯანმრთელობის უფრო მძიმე კატეგორიის დაზიანება დამატებით კვალიფიკაციას საჭიროებს დანაშაულთა ერთობლიობით.

რაც შეეხება თავდასხმას, ეს არის აგრესიის აქტი, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე ფიზიკურ ძალადობას ან ძალადობის იმწუთიერ მუქარას. ამასთანავე, ძალადობის მუქარა შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი შინაარსის (მოკვლის, ჯანმრთელობის დაზიანების და სხვ.) მუქარაში, ხოლო ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში, ჯანმრთელობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებაში. თავდასხმა შესაძლოა აშკარა ხასიათს ატარებდეს ანდა მსხვერპლისაგან ფარულად მოხდეს (მაგალითად, ჩასაფრებით დარტყმა უკნიდან, მძინარე ადამიანზე თავდასხმა).

დაზარალებული შეიძლება იყოს მხოლოდ პენიტენციური ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ადმინისტრაციის წარმომადგენელს უნდა მივაკუთვნოთ, უპირველეს ყოვლისა, პენიტენციური და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების დირექტორი და მისი მოადგილე, რომელთაც ნახალისებისა და დისცი პლინური ზემოქმედების ზომების გამოყენების უფლება აქვთ,აგრეთვე დაწესებულების საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ მსჯავრდებულებთან და ატარებენ მათთან აღმზრდელობით მუშაობას, მეთვალყურეობენ რეჟიმის დაცვას, ორგანიზაციას უკეთებენ მათ შრომას და ა.შ. კონკრეტულ შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს სპეციალური ნორმატიული აქტებით.

პირები, რომლებსაც სამსახურებრივად ამ დაწესებულებაში შესვლის უფლება აქვთ, თუნდაც ისინი ამ დაწესებულებაში კანონიერებაზე ზედამხედველობის ფუნქციასაც ასრულებდნენ,არ შეიძლება ადმინისტრაციის წარმომადგენლად ჩაითვალონ. ამიტომ ადმინისტრაციის წარმომადგენლად არ ჩაითვლება პროკურორი, გამომძიებელი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებაში შესვლის უფლებით სარგებლობს. მათზე თავდასხმა უნდა შეფასდეს როგორც ადამიანის საწინააღმდეგო ან მმართველობის წესის

საწინააღმდეგო დანაშაული.

სისხლის სამართლის კანონი არ შეიცავს რაიმე შეზღუდვას ადმინისტრაციაზე თავდასხმის მიზნის განსაზღვრისას. ამიტომ ადმინისტრაციაზე ნებისმიერი მიზნით თავდასხმა მოცემულ შემადგენლობას ქმნის. დანაშაული დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მიადგა თუ არა რეალური ზიანი ადმინისტრაციის წარმომადგენელს.

378-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ **დანაშაულებრივ დაჯგუფებაში** იგულისხმება ორი ან მეტი პირისაგან შემდგარი,წინასწარ ორგანიზებული, შედარებით მყარი ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციაზე თავდასხმას. ასეთი დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზატორს, ე.ი. მას, ვინც დაჯგუფება შექმნა, აგრეთვე ხელმძღვანელს (მეთაურს); ასევე ასეთი დაჯგუფების აქტიურ მონაწილეს. ესენი არიან: პირები, რომლებიც მეთაურთა ან საკუთარი ინიციატივით არჩევენ დაჯგუფების თანამონაწილეებს (გადაბირება), შეიმუშავებენ მოქმედებათა გეგმებს და ა.შ. დაჯგუფების პასიური წევრი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებს მის საქმიანობაში 378-ე მუხლის მე-3 ნაწილით არ აგებს პასუხს. სხვა შესაბამისი ნიშნების არსებობისას მათ შეიძლება პასუხი აგონ დაფარვისა ან შეუტყობინებლობისათვის. სასამართლომ უნდა გამოკვეთოს დაჯგუფების თითოეული წევრის როლი, რათა გამორიცხოს ამ მუხლით პასუხისმგებლობა დაჯგუფებასთან შემხებლობისათვის.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნის მომენტიდან, თუნდაც მას არც ერთი თავდასხმა არ ჩაედინოს.

ქმედების ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პირი.

378-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, რომელიც ა) საშიშია სიცოცხლისათვის, ბ) ჩადენილი არაერთგზის, გ) რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი – თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა (გამოიწვია სიკვდილი, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და სხვ.).

378-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, ე.ი. პასუხისმგებლობა დამძიმებულია ქმედების ამსრულებლით – მსჯავრდებულით.

მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ცნება მოცემულია

სსკ მე-12 მუხლში.

სუბიექტური მხრივ ქმედების მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, ანგარება, ხულიგნობა და სხვ. მათ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

სსკ 378-ე მუხლის მე-3 – 5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

პენიტენციურ დაწესებულებაში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის, აგრეთვე დროებითი ყოფნის იზოლატორში ან ჰაუპტვახტში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული საგნის გადაცემა (მუხლი 378[1])

განსახილველი დანაშაულის სოციალური მავნეობა მრავალსახოვანია, იგი ხელყოფს თავისუფლების აღკვეთის როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, აგრეთვე ამ დაწესებულებაში ბრალდებულთა პატიმრობის რეჟიმს, სამხედრო ძალების საჯარისო დისცი პლინის საფუძვლებს და პრინციპებს; რაც საბოლოო ჯამში ხელს უშლის სასამართლო აქტების აღსრულებას, დასჯის პრევენციული მიზნების განხორციელებას და ამით პენიტენციური ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების, დროებითი ყოფნის იზოლატორის და ჰაუპტვახტის ნორმალურ ფუნქციონირებას. სწორედ აღნიშნული ინტერესებია სსკ 378[1] მუხლით გათვალისწინებული ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი.

დანაშაულის საგანია ის ნივთი, რომლის გადაცემაც აკრძალულია ჩამოთვლილ დაწესებულებებში მოთავსებული პირებისათვის.

378[1] მუხლის შენიშვნის მიხედვით აკრძალულ საგნად ჩაითვლება ყველა საგანი (ნივთი), გარდა იმ საგნებისა (ნივთებისა), რომელიც დასაშვებია თან იქონიოს პენიტენციურდაწესებულებაში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორში და ჰაუპტვახტში მოთავსებულმა პირმა.

პატიმრობის კოდექსის მიხედვით იმ ნივთებისა და საგნების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მსჯავრდებულს, განსაზღვრავს პენიტენციური დაწესებულების დებულება. სახელდო-

ბრ, პენიტენციური დაწესებულების დებულება შეიცავს იმ ნივთებისა და საგნების ჩამონათვალს და რაოდენობას, რომლებიც შეიძლება იქონიოს ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, დებულება ასევე შეიცავს იმ ნივთების ჩამონათვალსაც, რომელთა შენახვა, ტარება და სარგებლობა ეკრძალებათ მსჯავრდებულებს, პატიმრებს. ამ ჩამონათვალში შედის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და ნივთიერებები, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა, სატრანსპორტო საშუალებები, ფეთქებადი მომწამლავი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები, მობილური ტელეფონები და სხვ[128]

ჰაუპტვახტში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული საგნების დასადგენად უნდა დავემყაროთ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 მაისის №147 ბრძანებას „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების (ჰაუპტვახტის) ფუნქციონირების შესახებ ინსტრუქციას.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება პენიტენციურ, ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში, ან მოთავსების სხვა ადგილას, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის, ან დროებით ყოფნის იზოლატორში ან ჰაუტვახტში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული საგნის გადაცემაში.

აკრძალული საგნის **გადაცემის ხერხს** კანონმდებელი არ აკონკრეტებს. ეს შეიძლება მოხდეს აშკარად ან ფარულად, გადასაცემად ნებადართულ ნივთებში სპეციალური სამალავების მეშვეობით,მაგალითად, კვების პროდუქტებში, წიგნებში, ფეხსაცმელში და სხვ.

გადაცემის ხერხი შეიძლება იყოს აკრძალული საგნების გადაგდება (გადატყორცნა) ჩამოთვლილ დაწესებულებათა გარედამცავი ზღუდეების მიღმა,რამეთუ კანონი გადაცემული საგნების ადრესატს არ აკონკრეტებს, ზოგადად მიუთითებს პირებისათვის აკრძალული საგნების გადაცემაზე. თუმცა თუკი ეს საგანი ჯერ არავის აუღია, საქმე დანაშაულის მცდელობასთან გვექნება (19, 3782 მ.). მოქმედების ძირითადი ხერხი მაინც აკრძალული საგნების შემოწმებისაგან გადამალვაა და ამ გზით გადაცემა ადრესატისათვის.

თუ აკრძალული საგანი ამანათით ან ბანდეროლით იქნა გაგზავნილი და ადმინისტრაციამ შემოწმებისას აღმოაჩინა, ასევე სახეზეა

[128] შესაბამისი დაწესებულების დებულების სპეციალური დანართი შეიცავს იმ ნივთების (საგნების) ჩამონათვალს, რომელთა შეძენა, შენახვა და გამოყენება შეუძლიათ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს. ამ ჩამონათვალში გაუთვალისწინებელი ნივთები და საგნები ჩაითვლება აკრძალულად.

გადაცემის მცდელობა.

განსახილველ დანაშაულს **ფორმალური შემადგენლობა** აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება აკრძალული საგნების ჩამოთვლილ დაწესებულებაში მოთავსებული პირებისათვის გადაცემის მომენტიდან.

მსჯავრდებულთან, პატიმართან შეხვედრის პროცედურის რეგლამენტაცია მოცემულია შესაბამისი დაწესებულების დებულებით (შინაგანაწესით). ასე მაგალითად, დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვით, შეხვედრაზე მისული პირები, მას შემდეგ რაც ადმინისტრაცია მათ განუმარტავს შეხვედრის ჩატარების წესს, იმ საგნებს, რომელთა გამოყენება დაწესებულებაში აკრძალულია, შესანახად, ხელწერილით აბარებენ ადმინისტრაციის წარმომადგენელს. თუ იმის ვარაუდის საკმაო საფუძველია,რომ შეხვედრაზე მოსულ პირს განზრახული აქვს გადასცეს მსჯავრდებულს დაწესებულებაში აკრძალული საგნები ან ნივთები, დაწესებულების დირექტორი ამ პირს განუცხადებს იმის თაობაზე, რომ მას შეხვედრის უფლება მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თანხმობას განაცხადებს მისი კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმებაზე. შემოწმებისაგან გადამალული საგნების ან ნივთების აღმოჩენისას ადმინისტრაცია იღებს კანონმდებლობით დადგენილ ზომებს. ეს დანაშაულის მომზადებაა, რაც დასჯადი არ არის.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. თუ აღნიშნულ ქმედებას პირი ჩადის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,ეს გარემოება პასუხისმგელობის დამამძიმებელ გარემოებად არის გათვალისწინებული 378[1] მუხლის მესამე ნაწილით.

დანაშაულის სუბიექტურ ელემენტებს (მოტივსა და მიზანს) ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

378[1] მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების სახით ითვალისწინებს იგივე ქმედების ჩადენას არაერთგზის, რომლის შინაარსი განმარტებული უნდა იქნეს სსკ მე-15 მუხლის საფუძველზე.

378[1] მუხლით გათვალისწინებული ქმედება პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლის სპეციალური სახეა, ამიტომაც მისი მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებად არის გათვალისწინებული ამ დანაშაულის ჩადენა იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა სსკ 378-ე და 379-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

აკრძალული საგნების გადაცემა წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ უნდა განიმარტოს სსკ 27-ე მუხლის საფუძველზე.

დამამძიმებელი გარემოების სახით ცალკე პუნქტებად („დ“, „ე“, „ვ“) არის გამოყოფილი ზემოაღნიშნულ დანესებულებებში მოთავსებული პირებისათვის თავისუფალი **სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული** ისეთი საგნების გადაცემა როგორიცაა: **ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება და იარაღი.**

თავისუფლების აღკვეთის დანესებულების დებულების მიხედვით თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, რომლებიც ჩამოერთვა ამ დანესებულებაში მოთავსებულ პირს ექვემდებარება განადგურებას, მათი გასაღების ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევის გამოკლებით.

ზემოაღნიშნული საგნების გადაცემის შემთხვევაში დანაშაულის ამსრულებლის ქმედება სსკ 378[1] მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. თუ საქმის **მასალებით უტყუარად დადგინდება, თუ** რა გზით ჩაიგდო ხელთ ეს ნივთი პიროვნებამ (დაამზადა, შეიძინა 260-ე ან 261-ე მ; ანდა დაეუფლა მართლსაწინააღმდეგო ხერხის გამოყენებით – 264-ე მ.), მაშინ ეს ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება – 378[1] მუხლის მე-2 ნაწ. და 236 ან 237 მუხლების ერთობლიობით (თუ დანაშაულის საგანია იარაღი). ანდა 3781 მუხლის მე-2 ნაწილითა და 260 ან 261 მუხლების ერთობლიობით (თუ დანაშაულის საგანია ნარკოტიკი ან ფსიქოტროპული ნივთიერება).

აქვე უნდა გვახსოვდეს შემდეგი: ის ფაქტი, რომ პირმა პენიტენციურ დანესებულებაში მოთავსებული პირზე გადასაცემად შეაგზავნა სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთი (მაგ., ნარკოტიკული საშუალება), რომლის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი მას არ გააჩნდა, თავისთავად არ მეტყველებს იმაზე, რომ მას ეს ნივთი უკანონოდ ჰქონდა შეძენილი (სსკ 260-ე მ.). **საქმე ისაა**, რომ გარდა შეძენისა, ამგვარი ნივთების ხელში ჩაგდების სხვა უკანონო გზაც არსებობს, რომელიც სსკ სხვა მუხლის შემადგენლობას გვაძლევს. ესაა მათი მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ისეთი ხერხით, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა და ა.შ. – სსკ 264-ე (თუ დანაშაულის საგანია ნარკოტიკული საშუალება) და 237-ე მუხლი (თუ დანაშაულის საგანია იარაღი). ამდენად, განსახილველ მუხლთან ერთად დანაშაულთა ერთობლიობით ქმედების კვალიფიკაცია მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ წინარე ქმედება (მაგალითად, მისი შეძენა) უტყუარადაა დადასტურებული -+საათანადო მტკიცებულებებით და არა მხოლოდ შეძენის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობით.

სსკ 378[1] მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია ასევე იგივე ქმედების ჩადენა,

რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი. ეს ნიშანი შეფასებით კატეგორიას მიეკუთვნება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით. მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს თვითმკვლელობაში,ჯანმრთელობის დაზიანებაში,შესაბამისი დაწესებულების მუშაობის დეზორგანიზაციაში და სხვა.

378¹ მუხლის მესამე ნაწილით დადგენილია პასუხისმგებლობა იგივე ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამგვარი ქმედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სპეციალური შემთხვევაა. მისი ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ისე სხვა პირი, ვისაც სამსახურებრივად ამ დაწესებულებებში შესვლის უფლება აქვთ და ბოროტად სარგებლობენ ამით. სახეზეა სსკ 332-ე ან 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა და ამდენად, **საჭირო არაა** განსახილველ მუხლთან ერთად ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით.

პენიტენციურ დაწესებულებაში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ, აგრეთვე დროებით ყოფნის იზოლატორში ან ჰაუპტვახტში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობა (მუხლი 378²)

განსახილველი ქმედებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი იგივეა, რაც ზემოთ განხილულ დანაშაულში.

დანაშაულის საგნის განმარტებას გვაძლევს 378¹ მუხლის შენიშვნა, რომელზეც ზემოთ დაწვრილებით ვისაუბრეთ. ზოგადად გავიმეორებთ მხოლოდ იმას, რომ კანონში მითითებული შესაბამისი დაწესებულების დებულება ამ დაწესებულებაში გამოყენებისა და შენახვისათვის აკრძალულს მიაკუთვნებს იმ ნივთებს (საგნებს), რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის ჩადენის იარაღად ან

დაპატიმრების მიზნების საწინააღმდეგოდ, არ არიან გათვალისწინებული იმ საკვები პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და სხვა სამრეწველო საქონლის ჩამონათვალში, რომელთა ქონის, შენახვის, ამანათებით და გზავნილებით მიღებისა და შეძენის უფლება აქვთ პატიმრებს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 მაისის №147 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების (ჰაუპტვახტის) ფუნქციონირების შესახებ ინსტრუქციის მე-11 მუხლი ადგენს სადისციპლინო წესით პატიმრების ვალდებულებებს, რომელიც პატიმრებს უკრძალავს ამანათების მიღებას, წერილების მიღებას და გაგზავნას, მობილური ტელეფონით სარგებლობას, აზარტულ თამაშს და სხვ.

ამრიგად, განსახილველი დანაშაულის საგანია ნებისმიერი ნივთი, რომელთა შეძენა და გამოყენებაც ეკრძალებათ ჩამოთვლილ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს. გამოყენებისა და შენახვისათვის აკრძალულს მიაკუთვნებენ იმ ნივთებსა და საგნებსაც, რომლებიც აჭარბებენ დადგენილ ოდენობას. ასეთ შემთხვევაში პენიტენციური ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მსჯავრდებულისაგან ან პატიმრისაგან ამოიღებენ ამ დაწესებულებაში გამოყენებისათვის აკრძალულ ნივთებს და იგი ბარდება საწყობში შესანახად. თუ შენახული ნივთები პატიმარს დასჭირდა და ამით არ დაირღვევა დადგენილი ასორტიმენტი და ოდენობა, ისინი შეიძლება მფლობელს დაუბრუნდეს.

ამრიგად, დადგენილ ასორტიმენტზე და ოდენობაზე მეტი ნივთების ქონა არ წარმოადგენს სსკ 378[2] მუხლით პასუხისმგებლობის საფუძველს.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება პენიტენციური ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ, აგრეთვე დროებითი ყოფნის იზოლატორშო ან ჰაუტვახტში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენაში, შენახვაში, ტარებაში, მოხმარებაში ან ამ საგნით სარგებლობაში.

აღნიშნულ ქმედებათა მართლზომიერების შესაფასებლად უნდა მივმართოთ შესაბამისი დაწესებულების დებულებას, შინაგანაწესს თუ ინსტრუქციას, სადაც განსაზღვრულია პატიმართა უფლებამოვალეობები. თითოეული მათგანი შეიცავს ქცევის ძირითად წესებს, რომლებიც მსჯავრდებულს, პატიმარს უკრძალავს შეიძინოს, შეინახოს, ატაროს ან გამოიყენოს ნივთები, რომლებიც ჩამოთვლილია შესაბამის დოკუმენტში.

აკრძალული საგნის შეძენა შესაძლებელია ფულის გადახდით, ვალში ჩათვლით, სხვა ნივთში გაცვლით, საჩუქრის მიღებით.

აკრძალული საგნების შენახვა გულისხმობს მათთვის ადგილსამყოფელის მიჩენას იმ პირის მიერ, ვისაც მათი შენახვის კანონიერი უფლება აქვს.

აკრძალული საგნის ტარება გამოიხატება ამ საგნებთან ერთად გადაადგილებაში, როდესაც პირს ამის კანონიერი უფლება არა აქვს.

აკრძალული საგნებით სარგებლობა გულისხმობს მათ გამოყენებას როგორც სამეურნეო დანიშნულებისამებრ, ისე მართლსაწინააღმდეგო მიზნის განსახორციელებლად.

ზემოაღნიშნული მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს როგორც აშკარად, ისე ფარულად – სპეციალური სამალავების მეშვეობით.

დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება აკრძალული საგნების შეძენის, შენახვის, ტარების, მოხმარების ან სარგებლობისთანავე.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია – ეს არის პენიტენციური ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორში ან ჰაუპტვახტში მოთავსებული პირი.

ქმედების სუბიექტურ ელემენტებს (მოტივი, მიზანი) კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ამ დანაშაულის ჩადენა შეიძლება პირდაპირი განზრახვით – პირს გაცნობიერებული აქვს, რომ შეიძინა, ინახავს, ატარებს ან სარგებლობს აკრძალული ნივთით და სურს ეს.

378[2] მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს იგივე ქმედების ჩადენას: ჯგუფურად, არაერთგზის, იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა სსკ 378-ე-379-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული ან რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

განსხვავებით სსკ 378[1] მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვ-ისაგან, აქ დამამძიმებელ გარემოებას გვაძლევს როგორც წინასწარ შეთანხმებული, ისე წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერ ამ დანაშაულის ჩადენა. სხვა მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე კი უკვე ვიმსჯელეთ 378[1] მუხლის ანალიზის დროს.

როგორც ვხედავთ, **განსხვავებით სსკ 378[1] მუხლისაგან**, ამ მუხლით დანაშაულის საგანს არ წარმოადგენს სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული საგანი (მაგ., ნარკოტიკული ნივთიერება). ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ზემოთხსენებულ დაწესებულებაში მოთავსებული პირი მხილებულ იქნება ვთქვათ, ნარკოტიკული საშუალების შეძენაში, შენახვასა, თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ სხვა ქმედების ჩადე-

ნაში, მას სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება არა განსახილველი ნორმით, არამედ ნარკოტიკულ დანაშაულთა თავში გათვალისწინებული შესაბამისი მუხლით (მაგ., სსკ 260-ე მ.), ან იარაღის უკანონო მოპყრობასთან დაკავშირებული სათანადო მუხლით (მაგ., სსკ 236-ე მ.).

დაკავების ადგილიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან ან მოთავსების სხვა ადგილიდან, გაყვანისას/გადაყვანისას, ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაქცევა (მუხლი 379-ე)

379-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სოციალური საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელყოფს საგამოძიებო ორგანოთა, სასამართლო და პენიტენციურ დაწესებულებათა ნორმალურ საქმიანობას. ხდება სამართალდამცავი და პენიტენციურ დაწესებულებათა მუშაობის დეზორგანიზაცია, მათი ძალებისა და საშუალებების მობილიზაცია გაქცეულის ძებნასა და დაკავებაზე; იქმნება ამ პირთა მხრიდან რეციდივის საშიშროება, ეს კი, თავის მხრივ, მოსახლეობაში ბადებს ეჭვს სამართალდამცავ ორგანოთა უნარიანობაში, დაიცვას საზოგადოება დამნაშავეებისაგან.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი **დაცვის უშუალო ობიექტია** საგამოძიებო და სასამართლო ორგანოთა, ასევე პენიტენციურ დაწესებულებათა ნორმალური საქმიანობა.

განსახილველი **დანაშაულის ობიექტური მხარის** სავალდებულო ნიშნებია მოქმედება და მისი ჩადენის ადგილი. სახელდობრ, ეს დანაშაული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედებით, რომელიც კანონში განსაზღვრულია როგორც გაქცევა.

გაქცევა ნიშნავს დაკავების ადგილიდან, პენიტენციური დაწესებულების ადგილიდან, თავისუფლების შეზღუდვის ადგილიდან, მითვისების სხვა ადგილიდან გაყვანისას ან გადაყვანისას (მაგალითად, ბრალდებული მიჰყავთ სასამართლოს შენობისკენ), ან როცა ხორციელდება ექსტრადიცია სხვა ქვეყანაში, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის თვითნებურ გაქცევას. ამდენად, გაქცევა შესაძლებელია აგრეთვე ბადრაგირებისას, მაგალითად, ეტაპირების დროს, საგამოძიებო მოქმედებათა შესასრულებლად ტრანსპორტირების

დროს, სასამართლო დარბაზიდან და სხვა. დაკავებულთა ყოფნის ადგილს განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. კერძოდ,დაკავებული იმყოფება დროებითი ყოფნის იზოლატორში,ხოლო სამხედრო მოსამსახურე – ჰაუპტვახტში.

ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ადგილი განსაზღვრულია საქართველოს პატიმრობის კოდექსით. კერძოდ, აღნიშნული კანონის მიხედვით, პატიმრობის დაწესებულება არის დახურული, განსაკუთრებულად დაცული, სასაკნე ტი პის დაწესებულება, რომლის მიზანია ბრალდებულის იზოლაცია აღკვეთის ღონისძიების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით.

მსჯავრდებულის ყოფნის ადგილი ასევე განსაზღვრულია პატიმრობის კოდექსით. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებია:

ა)დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

ბ)ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

გ)დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

დ) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

ე) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება;

ვ) ქალთა სპეციალური დაწესებულება.

დაკავებისა და დაპატიმრების ადგილებად უნდა ჩაითვალოს ასევე სატრანსპორტო საშუალება ეტაპირებისა და ბადრაგირებისათვის, სასამართლო სხდომის დარბაზი, გამომძიებლის კაბინეტი. განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა იქნება სახეზე აგრეთვე ფსიქიატრიული სტაციონარიდან,სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზისა ან იძულებითი მკურნალობისათვის სპეციალიზებულ სამედიცინო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში გაძლიერებულ მეთვალყურეობაში მყოფის გაქცევა.

განსახილველ **დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა** აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში მითითებული ადგილების თვითნებურად დატოვების მომენტიდან; სახელდობრ, თუ გაქცევა დაკავების, პატიმრობის, ან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან ხდება – შესაბამისი დაწესებულების თვითნებურად მიტოვების მომენტიდან, ხოლო თუ გაქცევა აღნიშნული დაწესებულებების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოხდა ბადრაგირების პროცესში – ბადრაგის მიერ დასაცავ პირზე კონტროლის სრული დაკარგვის მომენტიდან, როცა გაქცეულმა პირმა რეალური შესაძლებლობა მიიღო იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ, მითითებულ დაწესებულებათა ან ბადრაგის მხრიდან მასზე კონტრო-

ლის დაკარგვის გამო.

თუკი პირმა ვერ მოახერხა გაქცევა, საქმის ფაქტობრივი გარემოების მხედველობაში მიღებით სახეზე იქნება დაუმთავრებელი შემადგენლობა მომზადება ან მცდელობა. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მომზადებისას პირი არ დაექვემდებარება სს-ივ პასუხსიმგებლობას სსკ 379-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან სახეზეა ნაკლებად მძიმე დანაშაული (ისჯება თ.ა. ვადით 4 წლამდე), რომელიც სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არ იწვევს სს-ივ პასუხისმგებლობას. გაქცევის მომზადებად ჩაითვლება გვირაბის თხრის დაწყება, როცა მის ბოლომდე გათხრას სჭირდება კვირეები ან თვეები. ამ დროს სამართლებრივ სიკეთეს ემუქრება არა იმწუთიერი, არამედ მხოლოდ სამომავლო საფრთხე.[129]

განსახილველი ქმედების **ამსრულებელი სპეციალურია** – 14 წელს მიღწეული პირი, რომელიც დაკავებულია, დაპატიმრებულია ან სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით. პროცესუალურად ეს არის ბრალდებული, რომელიც დაკავებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის საფუძველზე, ან რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა ან მსჯავრდებული.

თუ უკანონოდ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი, ასევე უკანონოდ მსჯავრდებული პირი (იგულისხმება პირი, რომელსაც არა აქვს ჩადენილი დანაშაული) ძალადობის გარეშე გაიქცევა შესაბამისი დაწესებულებიდან ან მოთავსების ადგილიდან, შესაძლებელია, იგი გათავისუფლდეს სს-ივ პასუხისმგებლობისაგან იმ არგუმენტით, რომ სს-ივი უმართლობა მან ჩაიდინა ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში ნაკლებად ღირებული სამართლებრივი სიკეთის (შესაბამისი დაწესებულების ნორმალური საქმიანობა) ხელყოფით გადაარჩინა უფრო ღირებული სამართლებრივი სიკეთე (მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებული პირადი უფლება). ამასთან არ არსებობს რეციდივის საფრთხე, რადგან გაქცევა განახორციელა უდანაშაულო პირმა.

სუბიექტური მხრივ მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის მოტივსა და მიზანს. მან შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს სასჯელის დანიშვნაზე. **მაგალითად,** ბრალდებული პეტრე გაიქცა პენიტენციური დაწესებულებიდან, რადგან ახლოვდებოდა მისი საცოლის დაბადების დღე და სურდა მისთვის „გაეკეთებინა სიურპრიზი".

ბრალის ფორმის მიხედვით ეს დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რომ სათანადო ნებართვის გარეშე,თვითნებურად

[129] ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრების შესახებ იხ. მ. ტურავა, დასახ. ნაშრ. გვ. 304-305

ტოვებს დაკავების, პენიტენციური დაწესებულების, თავისუფლების შეზღუდვისა თუ მოთავსების სხვა ადგილს და სურს ეს.

379-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია: ა) გაქცევა ჯგუფურად, ბ) გაქცევა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარის გამოყენებით.

ჯგუფური დანაშაულის ცნება მოცემულია სსკ 27-ე მუხლში, რომელსაც ზემოთ არაერთხელ შევეხეთ სხვა მუხლების კომენტირებისას. 379-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჯგუფურად ჩადენა მომეტებული საშიშროების შემცველია, ვინაიდან გაქცევა სხვა პირებთან თანამონაწილეობით აადვილებს მის განხორციელებას, ამასთანავე, მასში შეიძლება მონაწილეობდნენ თავისუფლებაში მყოფი პირებიც, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის სამართალდამცავ ორგანოებს.

რაც შეეხება გაქცევას სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით,ანდა ასეთი ძალადობის მუქარით – ძალადობა გულისხმობს მსხვერპლზე ფიზიკურ ზემოქმედებას, შესაძლებელია განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების მიყენება, ძალადობის მუქარა გულისხმობს როგორც ჯანმრთელობის ნებისმიერი ხარისხის დაზიანების მუქარას, ისე მოკვლის მუქარას, როცა იგი აღიქმება როგორც რეალური. გაქცევის დროს ძალადობის ან მუქარის **მსხვერპლი შეიძლება გახდნენ** დაკავების ადგილის, პენიტენციური დაწესებულების, თავისუფლების შეზღუდვის ადგილის თანამშრომლები, სპეციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ბადრაგირებას ახდენენ, **აგრეთვე სხვა პატიმრები თუ მსჯავრდებულები,** რომლებიც ხელს უშლიდნენ გაქცევას. სხვა პირებს რეალური საფრთხე შეიძლება შეუქმნას ისეთმა ქმედებამაც, როგორიცაა სპეციალური ზღუდის ან კარების აფეთქება და მისთ. თუ გაქცევისას ხდება მძევალთა აყვანა ან მკვლელობა, მაშინ ეს ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება.

თუ გაქცევის განხორციელებას წინ უძღოდა ჯგუფური თავდასხმა ადმინისტრაციაზე, მაშინ ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით უნდა მოხდეს (378-ე და 379-ე მუხლები).

ამდენად, განსხვავებით ამ დამამძიმებელი გარემოებისაგან, სსკ 379-ე მუხლის **პირველი ნაწილით** გაქცევის ხერხად უნდა ჩაითვალოს ამ მუხლში მითითებული ადგილის თვითნებური მიტოვება მარტივად, შესაძლოა მას წინააღმდეგობის გადალახვაც ახლდეს, ვთქვათ, დაცვის განიარაღება, შეკვრა, ცემა და სხვა., მაგრამ თუ ძალადობა საშიშ ხასიათს მიიღებს, მაშინ ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ამ მუხლის მე-2 ნაწილით.

თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება (მუხლი 380-ე)

პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება. სახელდობრ,მსჯავრდებულს,რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისცი პლინური სახდელი ან ადმინისტრაციული პატიმრობა, უფლება აქვს, წელიწადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. არასრულწლოვნებს, აგრეთვე ფეხმძიმე ქალებს და 3 წლამდე ბავშვების დედებს უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც. მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა ფორმდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. მსჯავრდებულს პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის გარკვეული ნაწილი. პატიმრობის კოდექსი, ასევე, ადგენს დახურული ტიპის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის პირობებს. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების მისაღებად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი შუამდგომლობით მიმართავს დეპარტამენტის თავმჯდომარეს. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის მოტივი და ადგილი, სადაც მსჯავრდებულმა უნდა გაატაროს პენიტენციური დაწესებულების ფარგლების გარეთ ყოფნის დრო (შემდგომში – დანიშნულების ადგილი). პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შუამდგომლობის განხილვისას მხედველობაში მიიღება: ა) მსჯავრდებულის პიროვნება; ბ) ოჯახური მდგომარეობა; გ) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე; დ) დანიშნულების ადგილი; ე) სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად ახასიათებს მსჯავრდებულს.

პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის წესს, პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესს განსაზღვრავს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი.

გარდა ამისა, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას შეუძლია მისცეს უფლება მსჯავრდებულს განსაკუთრებულ, პირად გარემოებასთან დაკავშირებით დროებით დატოვოს დაწესებულების ტერიტორია, თუ მიღებულ იქნება სარწმუნო ცნობა ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის შესახებ. დაწესებულების დროებითი დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ დღეს,რომელშიც შედის მსჯავრდებულის ადგილამდე მგზავრობის დროც. თუ მსჯავრდებული, რომელსაც პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება მიეცა, საპატიო მიზეზის გარეშე დადგენილ ვადაში არ დაბრუნდება პენიტენციურ დაწესებულებაში, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 380-ე მუხლით.

განსახილველი დანაშაულის სოციალური მავნეობა და შესაბამისად მისი კრიმინალიზაციის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ამ ქმედებით სერიოზულად ზიანდება (ილახება) სასამართლოს ავტორიტეტი, ვერ სრულდება სასჯელის მიზანი, ვინაიდან მსჯავრდებული, რომელიც წაახალისეს და შეღავათი გაუწიეს, შორს აღმოჩნდა რესოციალიზაციისაგან და არ გაამართლა გამოცხადებული ნდობა.

მაშასადამე, განსახილველი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან **სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია** პენიტენციურ დაწესებულებათა ნორმალური საქმიანობა, უფრო კონკრეტულად კი, ამ დაწესებულებათა მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის აღსრულების წესი.

ობიექტური მხრივ დანაშაული უმოქმედობაში გამოიხატება, სახელდობრ, თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდებაში. თავის არიდება შეიძლება გამოიხატოს საპატიო მიზეზის გარეშე პენიტენციურ დაწესებულებაში გამოუცხადებლობაში, დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობაში. **დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა** აქვს და დამთავრებულად ჩაითვლება პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნების ვადის ამოწურვის მომენტიდან. დადგენილ ვადაში დაწესებულებაში საპატიო მიზეზის გარეშე დაუბრუნებლობა ნიშნავს სასჯელის მოხდისათვის თავის არიდებას. პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის დადგენილ ვადაში გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზად ითვლება, მაგალითად, მსჯავრდებულის ავადმყოფობა, ავარია ტრანსპორტზე, სტიქიური უბედურება, დაუძლეველი ძალა, რთული მეტეოროლოგიური პირობები, რაც აბრკოლებს დაბრუნებას, გამორიცხავს მის პასუხისგებაში მიცემის საფუძველს სისხლის სამართლის კოდექსის 380-ე მუხლით.

ობიექტურად ამ დანაშაულის რეალიზაცია, **როგორც წესი, დენადი ფორმით ხდება.** დანაშაული იწყება პენიტენციურ დაწესებულებაში

დადგენილ ვადაში გამოუცხადებლობის მომენტიდან და მთავრდება მსჯავრდებულის დაკავებისას ან ბრალის აღიარებით გამოცხადებისას.

ქმედების ამსრულებელი სპეციალურია – მსჯავრდებული, რომელსაც პენიტენციური დაწესებულების გარეთ მოკლევადიანი გასვლის ნებართვა აქვს.

სუბიექტური მხრივ ნორმაში არაფერია ნათქვამი მოტივსა და მიზანზე, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებული, როგორც წესი, მიზნად ისახავს თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდებას. მოტივი შეიძლება იყოს პირადი ან სხვა ხასიათის. იგი დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

განსახლველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. მსჯავრდებულს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა— საპატიო მიზეზის გარეშე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოუცხადებლობა და სურს იგი.

განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა (მუხლი 381-ე)

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად არის შენიშნული, რომ სამართლის რეალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი საფეხურია ნორმის შეფარდება. სამართალშემოქმედების შემდეგ სამართალშეფარდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს სამართლებრივ რეგულირებაზე. სამართალშეფარდების სტადიაზე იურიდიული პასუხისმგებლობის რეალიზაცია უკავშირდება სამართლის შეფარდების აქტს, როგორიცაა სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება და სხვ.

აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას კანონიერების პრინციპის დასაცავად, სამართლიანობის ატმოსფეროს დასამკვიდრებლად, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან თვითნებობისა და უკანონობის აღმოსაფხვრელად. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ხელს უშლის მართლმსაჯულების ამოცანების განხორციელებას, ზიანის ანაზღაურებას, განაჩენის აღუსრულებლობა მსჯავრდებულს ათავისუფლებს დამსახურებული სასჯელის მოხდისაგან, ნოყიერი ნიადაგი იქმნება დანაშაულის რეციდივისათვის, დაუსჯელობის ატმოსფეროს

დამკვიდრებისათვის და სხვ.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამ კონსტიტუციური დებულების შემდგომი კონკრეტიზაცია მოცემულია საპროცესო კანონმდებლობაში. კერძოდ, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, საქართველოს კანონში სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, საქართველოს პატიმრობის კოდექსში, საქართველოს კანონში არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ და სხვა ნორმატიულ აქტებში. ამასთანავე, საქართველოს სახელით გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული ამა თუ იმ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ხდება არა მხოლოდ საამისოდ სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო ორგანოების მიერ, არამედ აგრეთვე სახელმწიფო, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის მოხელეების, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე მოსამსახურეთა მიერ.

ამრიგად, **სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია** მართლმსაჯულების ინტერესი სამართალშეფარდების პროცესის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, ე.ი. ის ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლოს კანონიერ საქმიანობას მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. დანაშაულის საგანია დოკუმენტურად გაფორმებული პროცესუალური აქტი, რომელიც სასამართლოს მიერ არის გამოტანილი – სასამართლო განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება. **დანაშაულის ობიექტური მხარე** შეიძლება რეალიზებულ იქნეს როგორც მოქმედებით – სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისათვის ხელის შეშლა, ისე უმოქმედობით – სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.

ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ნიშნავს, რომ მოხელე ანდა სამეწარმეო, ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი, საპატიო მიზეზის გარეშე, არავითარ ზომებს არ იღებს ამ აქტებით მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, მიუხედავად იმისა, რომ მას მათი აღსრულების ვალდებულება აკისრია. **მაგალითად**, სახელმწიფო ან კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ ასრულებს სასამართლოს განაჩენს, რომლითაც კონკრეტულ მუშაკს ჩამოერთვა გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება და ტოვებს მას ძველ თანამდებობაზე ან სამსახურის შესასრულებლად; ან კიდევ, სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიუხედავად, სასამართლო აღმასრულებელი არ იწყებს სააღსრულებო წარმოებას. ამა თუ იმ

ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი გამასწორებელი სამუშაოთი მსჯავრდებული პირის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში არ დაქვითავს განაჩენით დადგენილ თანხას; მოხელე აჭიანურებს დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულებას და სხვ. ამასთანავე, სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების შეუსრულებლობა შესაძლებელია მოქმედების ფორმითაც, მაგალითად, სამუშაოდ იმ პირის მიღება, რომელსაც განაჩენით ჩამორთმეული აქვს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

რაც შეეხება **დანაშაულის ობიექტური მხარის მეორე ფორმას** – ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისათვის ხელის შეშლა, იგი, როგორც წესი, გულისხმობს

ნებისმიერი მოქმედების შესრულებას, რაც დააბრკოლებს ან შეუძლებელს გახდის მითითებული სასამართლო აქტების აღსრულებას. მაგალითად, დაწესებულებაში აღსასრულებლად მიღებული განაჩენის ან სხვა სასამართლო აქტის ასლის დამალვა; იმ მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების გაჭიანურება, რომლის მიმართაც ძალაში შევიდა განაჩენი, აღნიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ, ანდა მისი თანამდებობის სახელწოდების შეცვლა იმავე ფუნქციის შენარჩუნებით; სხვადასხვა მაქინაციები სასამართლო გადაწყვეტილებით ხელქვეითთათვის დაკისრებული ფულადი თანხის გადახდისათვის თავის ასარიდებლად – სხვა სამუშაოზე გადაყვანა ან ამისათვის ხელშეწყობა, არასწორი მონაცემების მითითება მისი თანამდებობის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ და სხვ. წინააღმდეგობა სასამართლო აღმასრულებლის მიმართ, რომელიც მოითხოვს შენობის დაცლას, ქონების გადაცემას და სხვა. ამასთანავე, თუ ამ მოქმედებას თან ახლავს მუქარა ან ძალადობა აღმასრულებლის (ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის) მიმართ,შეიძლება დაისვას სისხლის სამართლის კოდექსის 365-ე (ან 353-ე) მუხლის შეფარდების საკითხი.

განსახილველ დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და იგი დამთავრებულად ჩაითვლება ძალაში შესული შესაბამისი სასამართლო აქტის აღსრულებისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლის მომენტიდან ანდა მისი შესრულებისათვის (აღსრულებისათვის) ხელის შემშლელი ამა თუ იმ მოქმედების ჩადენის მომენტიდან. მაგალითად,სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-280-ე მუხლით განაჩენი აღსასრულებლად მიიქცევა მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან. პატიმრობის კოდექსით მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად იგზავნება არა უგვიანეს 20 დღისა განაჩენის ასლის მიღების დღიდან. არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების ვადას განსაზღვრავს

საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ; სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვადას განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება ხდება მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. არსებობს დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებებიც.

ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მოხელისათვის ამგვარი ქმედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი პირებისათვის – სამსახურებრივი მოვალეობის დანაშაულებრივი დარღვევაა. 381-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის დანაშაულის სუბიექტთა წრეს. ამასთანავე, განსახილველი **ქმედების ამსრულებელი სპეციალურია** – ხელისუფლების წარმომადგენელი, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მოხელე, ანდა სამეწარმეო, ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმხორციელებელი. **ამ დანაშაულის ამსრულებელი არაა** ის, ვის მიმართაც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება (გამონაკლისია ნარკოტიკულ დანაშაულზე ნასამართლევი პირი).[130]

სუბიექტური მხრივ კანონში არაფერია მითითებული ქმედების მოტივზე. ეს შეიძლება იყოს პირადი ხასიათის (მაგალითად, ანგარება, მეგობრული ან ნათესაური ურთიერთობა), არასწორად გაგებული სამსახურებრივი ინტერესი და სხვ. ქმედების მოტივი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

ეს დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, იყენებს რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, არ ასრულებს ან ხელს უშლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას და სურს ეს.

---

[130] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ნ. თოდუა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის, კრებულში: აკაკი ლაბარტყავა – 80 წელი, მამულიშვილი, პედაგოგი, მეცნიერი, თბ. 2013, 243-261

შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა (მუხლი 381[1])

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან დაიცვან ბავშვი ყველანაირი ფორმის ძალადობისაგან. ამ ვალდებულების ტრანსფორმაცია მოხდა ქართულ კანონმდებლობაშიც.

განსახილველი დანაშაულის სისტემური ადგილიდან გამომდინარე, ნორმით დაცულ ძირითად სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს მართლმსაჯულების ინტერესი, ხოლო დამატებითს– ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ, ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა.

ობიექტური მხრივ ამ მუხლის პირველი ნაწილი გამოიხატება შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობაში, რაც ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1752 მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის გასაგებად უნდა მივმართოთ საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, რომელიც განმარტავს ისეთ ცნებებს როგორიცაა ოჯახში ძალადობა, მსხვერპლი, მოძალადე და სხვ. აღნიშნული კანონის მიხედვით, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახში ძალადობის პრევენციის,ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და ადაპტაციის მიზნით კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემას. სახელდობრ, ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ

იქნეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველი და პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს მოძალადის მსხვერპლთან ურთიერთობის, მსხვერპლის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სხვადასხვა ვალდებულებებს, მოთხოვნებს, რომელთა შეუსრულებლობა შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. ამასთანავე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ პრეუდიციას უკავშირდება, კერძოდ, სსკ 381[1] მუხლით პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175[2] მუხლის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ პირს. მაშასადამე, დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია, ის ვისაც დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან ვალდებულებების შესრულება ევალება.

ქმედების **სუბიექტურ ნიშნებს** (მოტივსა და მიზანს) ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით.

სსკ 381[1] მუხლს დაემატა მეორე ნაწილი, კერძოდ, არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175[2] მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ.

სოციალური მუშაკის სტატუსსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ,

ასევე, საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

სოციალური მუშაკი არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი.

კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ითვალისწინებს ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვნის დაცვის სპეციფიკურ ღონისძიებებს. სახელდობრ, მე-14 მუხლი ეთმობა არასრულწლოვნის მოძალადე მშობლისაგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან არასრულწლოვანთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები სხვა პირისაგან განცალკევებას, რომელშიც აღნიშნულია,რომ არასრულწლოვანზე ძალადობის დროს არასრულწლოვანი პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის საფუძველზე, ხოლო ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრულ შემთხვევებში – სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განცალკევდება მოძალადე მშობლისაგან (მშობლებისაგან), სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან ნებისმიერი სხვა მოძალადისაგან.

არასრულწლოვნის მშობლისაგან (მშობლებისაგან), სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან არასრულწლოვანთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები ნებისმიერი სხვა პირისაგან განცალკევება არის უკიდურესი ზომა, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც გამოყენებულ იქნა ყველა სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომა (მათ შორის, გასაუბრება და გაფრთხილება) და ამ ზომებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ან როდესაც შექმნილ ვითარებაში აშკარაა, რომ ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. არასრულწლოვნის აზრი იმის შესახებ, თუ სად უნდა განთავსდეს იგი, გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით და ნებისმიერ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური მუშაკი აფასებს კონკრეტულ შემთხვევას და არასრულწლოვნის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით დადგენილი წესით. სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მიმართავს პოლიციას, რომელიც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას უზრუნველყოფს.

სსკ 381[1] მეორე ნაწილით პასუხისმგებლობა ასევე ადმინისტრაცი-

ულ პრეუდიციას უკავშირდება. დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც ვალდებულია დაემორჩილოს სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ.(მშობლები,მეურვეები და სხვ.)

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა (მუხლი 381²)

განსახილველი დანაშაულის სისტემური ადგილიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელმა ასეთი სპეციალური შემადგენლობის შექმნით მიზნად დაისახა მართლმსაჯულების ინტერესის დაცვა, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ეფექტურად აღსასრულებლად, თუმცა მისი განთავსება გონივრული იქნებოდა ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის. წარმოდგენილი სისტემით, საოჯახო ურთიერთობები ამავე ნორმით დაცული დამატებითი ინტერესია.

მეურვეობასა და მზრუნველობას დათმობილი აქვს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის მესამე კარი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებია შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები.

სსკ 381² მუხლით გათვალისწინებული ქმედების **ობიექტური შემადგენლობა უმოქმედობაში გამოიხატება**, სახელდობრ, ა) სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული მშობლის მიერ მეორე მშობლისათვის შვილის გადაცემის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა,2) სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელების თაობაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა.

საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ განსაზღვრავს აღსრულებას ქვემდებარე აქტებს (მუხლი 2). აქვე,გამონაკლისია დადგენილი ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე. სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კომპეტენციაა.

სამოქალაქო კოდექსის 1201 მუხლი ადგენს, რომ განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო თუ მშობლები ცალცალკე ცხოვრობენ ისინი

ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდნენ მათი არასრულწლოვანი შვილები. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლო მსგავს გადაწყვეტილებას იღებს მშობელთა თანასწორობისა და ბავშვების სწორი აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე, ამასთანავე, ანგარიშს უწევს თვით ბავშვის სურვილს და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეკომენდაციას. სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა უარყოფითად აისახება ბავშვის ინტერესებზე. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა სასჯელის მუქარით აკრძალა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

სსკ 381[2] მუხლში ნაგულისხმებია ისეთი შემთხვევა, როცა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ერთი მშობლის მიერ მეორისათვის შვილის გადაცემაზე, რომელიც არ სრულდება, მიუხედავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნისა.

რაც შეეხება **ამ დანაშაულის ობიექტური მხარის მეორე ფორმას** – სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელების თაობაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა, განქორწინებით და ცალცალკე ცხოვრებით ყოფილი მეუღლეების უფლებები შვილების აღზრდასთან დაკავშირებით არ იზღუდება. სამოქალაქო კოდექსის 1199 მუხლის მიხედვით, შვილების მიმართ მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი განქორწინებული არიან, ხოლო 1202-ე მუხლით მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. მეორე მშობელს უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს მას ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელებაში.

თუ ცალცალკე მცხოვრებ მშობლებს შორის დავაა შვილის აღზრდაში მონაწილეობაზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია განსაზღვროს თუ რა ვითარებაში, რა დროით და რა წესით უნდა ჰქონდეს ცალკე მცხოვრებ მშობელს ურთიერთობა შვილთან. ზოგჯერ ყოფილი მეუღლისადმი შურისძიების გრძნობით გამსჭვალულუ მშობელი, შვილთან ურთიერთობის შსაძლებლობას არ აძლევს ცალკე მცხოვრებ მშობელს. ეს არა მარტო მშობლის უფლების დარღვევაა, არამედ ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესებს. დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით ცალკე მცხოვრებ მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შვილთან ურთიერთობის უფლების

პრაქტიკულად. ანალოგიურად, სამოქალაქო კოდექსის 120[3]-ე მუხლით ადამიანს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მშობლები ხელს უშლიან პაპაბებიის ურთიერთობას შვილიშვილებთან. სწორედ ადამიანის ამგვარი გადაწყვეტილების შესასრულებლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა დასჯადია სსკ 381[2] მუხლით. ამასთანავე,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ პრეუდიციას უკავშირდება. უფრო კონკრეტულად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ჯერ აფრთხილებს პირადობის პირს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულებაზე, თუ გაფრთხილება არ იმოქმედებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დააკისრებს მას და თუ არც ეს ღონისძიება მოახდენს ზემოქმედებას, მაშინ პროკურატურას გადაეგზავნება საქმის მასალები სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, **სუბიექტური მხრივ** მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, არასწორად გაგებული ოჯახური ინტერესი და მისთ. ქმედების მოტივი და მიზანი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით.

თავი XV

დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ

ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" 1-ლი მუხლის შესაბამისად საქართველოს დაცვა და სამხედრო მოვალეობის მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

საქართველოს სსკ-ის XIII კარი, რომელიც, თავის მხრივ, ორი თავისგან შედგება,ეძღვნება დანაშაულს სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ. ამ სახის დანაშაულთა სპეციფიკურობა მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. მათ შორის უპირველესია ის,რომ კანონმდებელი საჭიროდ თვლის მოგვცეს სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ცნება. სსკ-ის 382-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად 'სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულად ითვლება ამ კარით გათვალისწინებული ქმედება, მიმართული საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის წესის წინააღმდეგ,ჩადენილი იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტების მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისას."

ამ კარში შემავალი დანაშაულების სპეციფიკურობა კიდევ ერთი ფაქტორით ხასიათდება. როგორც წესი, სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულთა კლასიფიკაცია,თავებად დაყოფა ხდება ხელყოფის ობიექტის მიხედვით. სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კარი ამ ზოგადი კრიტერიუმიდან ერთგვარ გადახრას წარმოადგენს, რადგან ამ კარში დანაშაულთა თავმოყრის ზოგადი ნიშანი არის დანაშაულის სუბიექტი – სამხედრო მოსამსახურე ან/და რეზერვისტი სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისას. საქმე ისაა, რომ სს-ვი დაცვის ობიექტის თავისებურება თავისთავად განაპირობებს ამ დანაშაულთა სპეციალურ სუბიექტს.

საერთოდ სამხედრო სამართლის საგანი არის ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება იმ სამხედრო ორგანიზაციათა სტრუქტურებში, რომელთა დანიშნულებაა სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა. ეს ურთიერთობები რეგულირდება სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების მეშვეობით.

სამხედრო სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა წარმოადგენს სამხედრო-სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას. ისინი გამოიყენება მხოლოდ იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობენ გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტების მიმართ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისას. სამხედრო სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის წყაროა სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 კარის 382-403-ე მუხლები. ასევე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სპეციალურ სახეებს, სასჯელის დანიშვნისა და მოხდის საფუძვლებსა და წესს. ისინი გამოიყენება მსჯავრდებულ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ (39-ე და 52-ე მუხლები). სამხედრო სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები გამოხატავენ სამხედრო სამსახურის,როგორც სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახის თავისებურებებს.

სამხედრო სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა მიზნად ისახავს: დაიცვას საქართველოს შეიარაღებული ძალების, სამხედრო ფორმირებებისა და ორგანოების ბრძოლისუნარიანობა და საბრძოლო მზადყოფნა; საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; სამხედრო მოსამსახურეთა პირობების, მათი უფლებებისა და თავისუფლების, სამხედრო დისციპლინისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესის დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

სამხედრო სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა სისხლის სამართლის ნორმათა შემადგენელი ორგანული ნაწილია. მასზე სრულად და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ვრცელდება სისხლის სამართლის ამოცანებისა და პრინციპების ზოგადი დებულებები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების თაობაზე. ამიტომაცაა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 382-ე მუხლი სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნების განსაზღვრისას არ იმეორებს დანაშაულის ზოგად ნიშნებს და მიუთითებს სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისას დანაშაულთა ობიექტისა და სუბიექტის თავისებურებებსა და განსაკუთრებულობაზე.

სამხედრო სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას სისხლის სამართალთან შედარებით სპეციფიკური რეგულირების საგანი და მეთოდი არა აქვს; თუმცა მოქმედი სისხლის სამართალი შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომელთა დანიშნულებაა სახელმწიფო სამხედრო საქმიანობის სფეროში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვა სამხედრო მოსამსახურეთა მხრიდან ხელყოფისაგან.

სამხედრო სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაცვის ობიექტია სამხედრო სამსახურის გავლის დადგენილი წესი, რომელიც, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის დაცვის ობიექტის შემადგენელი ნაწილია, ხოლო, მეორე მხრივ, ხასიათდება რიგი სპეციფიკურობით.

სამხედრო სამსახური სამხედრო მოსამსახურეთაგან მოითხოვს მათზე დაკისრებულ მოვალეობათა განუხრელ შესრულებას, თუნდაც ეს დაკავშირებული იყოს სიცოცხლის რისკთან. სამხედრო მოსამსახურეები იღებენ სამხედრო ფიცს სამშობლოს ერთგულებაზე. სამხედრო ფიცი მათ ავალდებულებს საქართველოს კონსტიტუციის დაცვას, სამხედრო წესდების მოთხოვნათა, მეთაურთა და უფროსთა ბრძანებების განუხრელ და მკაცრ დაცვას.

სამხედრო სამსახურის გავლის წესის თავისებურება გავლენას ახდენს სამხედრო დანაშაულთა საკანონმდებლო განსაზღვრაზე და თვით ამ დანაშაულთა შემადგენლობის კონსტრუქციაზე. მხოლოდ სამხედრო სამსახურის პირობებშია დანაშაულებრივ ქმედებად მიჩნეული უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა (მუხლი 383-ე), ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა (მუხლი 386-ე),სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება (მუხლი388), სამხედრო სამსახურის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით (მუხლი 390-ე), სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით (მუხლი 390[1]). დეზერტირობა (მუხლი 389-ე) და სხვა.

სამხედრო სამსახურის თავისებურებითაა განპირობებული სისხლის სამართლის კოდექსში,ერთი მხრივ, სასჯელის იმ სპეციფიკური სახეების დაწესება, რომლებიც მხოლოდ მსჯავრდებულ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ გამოიყენება და, მეორე მხრივ, მათდამი სასჯელის ზოგიერთ სახეთა გამოუყენებლობა. პირველი შემთხვევის მაგალითია სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის სახე „სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა", ხოლო მეორე შემთხვევას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ სასჯელის სახით არ გამოიყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (მუხლი 44-ე),გამასწორებელი სამუშაოები (მუხლი 45-ე) და თავისუფლების შეზღუდვა (მუხლი 47-ე).

თავისებურებით ხასიათდება სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებისა და დანაშაულში თანამონაწილეობის ნორმების შეფარდება. მაგალითად, აუცილებელი მოგერიება მოქალაქის უფლებაა და არა მოვალეობა. ქვეყნის

სამხედრო უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის,სამხედრო სამსახურის გავლის წესის განუხრელი დაცვა სამხედრო მოსამსახურეთა უმთავრესი მოვალეობაა. ეს მოთხოვნა განმტკიცებულია სამხედრო კანონმდებლობაში. სამხედრო მოსამსახურეები თავიანთ მოვალეობათა განხორციელებისას შესაძლოა, აღმოჩნდნენ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, **მაგალითად:** საბრძოლო მორიგეობისას იგი ვალდებულია მოიგერიოს დაცულ ობიექტზე დანაშაულებრივი ხელყოფის მცდელობა, რისთვისაც შესაძლოა დასჭირდეს იარაღის გამოყენებაც კი. ამ შემთხვევაში აუცილებელი მოგერიება არა მხოლოდ უფლებაა, არამედ მოვალეობაც (განსხვავებით არასამხედრო მოსამსახურისაგან). ამ მოვალეობის შეუსრულებლობამ შეიძლება შედეგად მოგვცეს სამხედრო მოსამსახურის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რომლის დასჯადობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოექსის 392-ე მუხლით – 'საბრძოლო მორიგეობისას (საბრძოლო სამსახურის) წესის დარღვევა, ან 393-ე მუხლით 'სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დარღვევა", ან 394-ე მუხლით 'საყარაულო სამსახურის წესის დარღვევა", ან 395-ე მუხლით 'საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს სამსახურის შესრულების წესის დარღვევა" ან/და 396-ე მუხლით 'შინაგანი სამსახურის წესდებისა და გარნიზონში პატრულირების წესის დარღვევა".

სამხედრო ფიცი და სამხედრო წესდება ავალდებულებს სამხედრო მოსამსახურეს ღირსეულად შეასრულოს სამხედრო ვალი. სამხედრო მოსამსახურეს უფლება არა აქვს თავი აარიდოს სამხედრო მოვალეობათა შესრულებას, თუნდაც ის დაკავშირებული იყოს მისი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შექმნასთან. ამიტომაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობასთან არ გვექნება საქმე, თუ, მაგალითად, სიცოცხლის შესანარჩუნებლად სამხედრო მოსამსახურე არღვევს სამხედრო ფიცისა და სამხედრო წესდების მოთხოვნებს.

სამხედრო სამსახურის გავლის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უფროსის ბრძანების შესრულების მოვალეობას. სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად,'სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე.

ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას,ვინც მართლსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის პირს სისხლისსამართებლივი პასუხიმგებლობა დაეკისრება საერთო წესით, თუ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოება."

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სხვა ჯარებსა და საჯარისო ფორმირებებში მოქმედებს ერთმმართველობის პრინციპი,რომლის არსიც მდგომარეოს იმაში, რომ მეთაური (უფროსი) აღჭურვილია განმკარგულებელ უფლებამოსილებათა მთელი სისრულით მისდამი დაქვემდებარებულების მიმართ და დაკისრებული აქვს პერსონალური პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე სამხედრო ნაწილის, ქვედანაყოფისა და თითოეული სამხედრო მოსამსახურის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროზე. ეს გამოიხატება მეთაურის (უფროსის) უფლებამოსილებაში – გარემოებათა ყოველმხრივი შეფასებიდან გამომდინარე ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება. კანონებისა და სამხედრო წესდების მოთხოვნათა მკაცრი დაცვით გასცეს შესაბამისი ბრძანებები და უზრუნველყოს მათი შესრულება. შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდების შესაბამისად უფროსის ბრძანების განსჯა, განხილვა დაუშვებელია.

ზოგადი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც არ შეიცავს სამართლებრივი ბრძანების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის სპეციალურ ნორმას, სამხედრო სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა აღიარებს მეთაურის (უფროსის) ბრძანების შეუსრულებლობას სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად. აქედან გამომდინარე, მეთაურის (უფროსის) ბრძანების ზუსტი შესრულება ათავისუფლებს დაქვემდებარებულს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან იმ მოქმედების ან მისი შედეგების გამო, რომელიც ჩადენილი იყო ან დადგა ბრძანების შესრულებისას. ეს ეხება იმ შემთხვევასაც, როცა ბრძანება უკანონოა, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ გარემოებაში დაქვემდებარებულს არ შეეძლო გაეცნობიერებინა მისი უკანონობა ან ეჭვი ეპარებოდა მის კანონიერებაში, მაგრამ ბრძანების მოთხოვნას ასრულებდა.

სამხედრო სამსახურის გავლის დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები განეკუთვნებიან დანაშაულს სპეციალური სუბიექტით, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი. პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, ნამქეზებელს ან დამხმარეს. ამიტომაც ამ ჯგუფის დანაშაულთა ამსრულებელი ან/და თანაამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო მოსამსახურე.

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ კარდინალურ ცვლილებებზე. რომლებიც მიმართულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის

განმტკიცებისაკენ. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატა სამხედრო სარეზერვო სამსახურის სრულიად ახლებურად ჩამოყალიბებაში, კერძოდ, სამხედრო შეკრებების ნაცვლად საქართველოს კანონით „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ დაწესდა კარდინალურად განსხვავებული სამხედრო სარეზერვო სამსახური, რომლის მიზანია შეიქმნას სამხედრო ძალების მოქნილი,ქმედუნარიანი რეზერვი მობილიზაციის,საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო ძალების მხარდასაჭერად.

იმავდროულად გამკაცრდა პასუხისმგებლობა მთელი რიგი დანაშაულებისათვის. თუ, მაგალითად, უფროსის ბრძანების შეუსრულებლობისათვის I ნაწილით (მუხ.386), სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვებისათვის მეოთხე ნაწილით (მუხ.388) პასუხისმგებლობა განისაზღვრებოდა 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, – შეიცვალა თავისუფლების აღკვეთის ვადით ორიდან ხუთ წლამდე,რიგ შემთხვევაში ტუსაღობა 6 თვემდე შეიცვალა თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე (მუხ.390–სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით); რიგ შემთხვევაში აინია სანქციის ზედა ზღვარმაც, მაგ: თუ 403-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა გარშემომყოფთათვის მომეტებული საშიშროების შემცველ იარაღთან მოპყრობის წესების დარღვევისათვის და სანქცია ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე ვადით, ახალი ცვლილებებით ეს ვადა განისაზღვრა _ ოთხიდან ექვს წლამდე.

ამ კარის ზოგადი დახასიათების დასასრულს მიზანშეწონილად მიგვაჩნია აუცილებლად აღვნიშნოთ, რომ მოქმედი სამხედრო სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ სრულყოფას.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სპეციფიკურობიდან და ავტონომიურობიდან გამომდინარე,კანონმდებელი გამონაკლისის სახით იძლევა ამ დანაშაულთა დეფინიციას სსკ-ის კერძო ნაწილში (მუხლი 382-ე), რითაც გვაძლევს საშუალებას ზუსტი და ამომწურავი კრიტერიუმების მეშვეობით გავმიჯნოთ ამ სახის დანაშაულებანი ზოგადი სისხლისსამართლებრივი ქმედებებისაგან, თუმცალა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო დანაშაულები ყველა იმ ნიშნით ხასიათდება, რითაც ზოგადად დანაშაული – სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (მუხლი მე-7).

სისხლისსამართლებრივ თეორიაში განასხვავებენ მართლწინააღ-

მდეგობის ორ ფორმას: ზოგადი და სპეციფიკური. დანაშაულებრივი ქმედება, რომლის ჩადენაც ნებისმიერ შერაცხად პირს შეუძლია, ზოგადი მართლწინააღმდეგობით ხასიათდება. დანაშაულები, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკურ სფეროებში და განსაზღვრული კატეგორიის პირთა მიერ. აქედან გამომდინარე, სამხედრო დანაშაულები სპეციალური მართლწინააღმდეგობით ხასიათდება. ამ დებულების ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ის, რომ ყველა სამხედრო დანაშაული არღვევს ბლანკეტური დისპოზიციების მქონე სისხლისსამართლებრივ და სამხედრო სამართლებრივ ნორმათა ერთგვარ სინთეზს. სამხედრო-სისხლისსამართლებრივ ნორმათა ე.წ. „ბლანკეტიზაცია" ორი გზით ხდება: პირველი,დისპოზიციაში პირდაპირაა მითითებული სპეციალური წესები. მაგალითად, საბრძოლო მორიგეობის (მუხლი 392), სასაზღვრო სამსახურის შესრულების (მუხლი 393-ე), საყარაულო სამსახურის (მუხლი 394) წესის დარღვევა. მეორე, რიგი ტერმინების შინაარსის გასაგებად საჭიროა სხვადასხვა სამხედრო კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ანალიზი. მაგალითად,უფროსის ბრძანების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისათვის საჭიროა სამხედრო კანონმდებლობის ანალიზი, რათა გაირკვეს ისეთი ცნებების მნიშვნელობა,როგორიცაა: „უფროსი", „მეთაური", „ხელქვეითი", „ბრძანება" და ა.შ., რაც მხოლოდ სისტემური ანალიზის მეშვეობითაა შესაძლებელი და არა ცალკე აღებულ რომელიმე ნორმაზე მითითებით.

ძალზე მნიშვნელოვანია **სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გამიჯვნა** სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი დისცი პლინარული გადაცდომებისაგან, არადა ორივე ამ ჯგუფის ერთობლიობა იძლევა სამხედრო სამართალდარღვევეთა ერთობლიობას.

მათ შორის ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმები არის ქმედების მართლსაწინააღმდეგობა. სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები არის მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია სისხლის სამართლის კანონში.

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა **სისხლისსამართებლივი დაცვის ობიექტს** წარმოადგენს სამხედრო ურთიერთობები,რომლებიც უზრუნველყოფენ სამხედრო სამსახურის გავლის დადგენილ წესს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობას, რაც იძლევა საქართველოს შეიარაღებული დაცვის გარანტიას,სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის,დამოუკიდებლო

ბის,სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საშინაო თუ საგარეო სამხედრო საფრთხისგან. სამხედრო სამსახურის ფუნქციონალური დანიშნულებაა სახელმწი ფოს სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სამხედრო სამსახურის გავლის წესის დადგენა და მისი მკაცრი, განუხრელი დაცვა. არსებითად, სამხედრო სამსახურის გავლის წესი სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ ფორმად გვევლინება და, აქედან გამომდინარე, იგი სამხედრო დანაშაულთა გვარეობით ობიექტადაა აღნიშნული. თავის მხრივ, იგი იყოფა სახეებად, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია სამხედრო უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილებთან: სამხედრო ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობით,

შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებით განსაზღვრული დაკომპლექტება; მატერიალურ საშუალებათა რეზერვის არსებობა; საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის გამოყენებისათვის მუდმივი გამართულობა; ჯარების მაღალი საბრძოლო მომზადება; მკაცრი სამხედრო დისცი პლინა და ა.შ. საბრძოლო მომზადების ყოველი ასეთი ელემენტი განსაზღვრული სახით უზრუნველყოფს სამხედრო სამსახურის გავლის წესრიგს.

სისხლისსამართლებრივი დაცვის ობექტების სახეებიდან გამომდინარე ყალიბდება სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობის სისტემა: 1) სამხედრო საწესდებო ურთიერთობათა წესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (383-387-ე მუხლები), 2) სამხედრო სამსახურის გავლის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (388-390-ე მუხლები), 3) სამხედრო სამსახურის სპეციალური (დაცვითი) სახის გავლის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (391-396-ე მუხლები), 4) სამხედრო ქონების შენახვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (397-399-ე მუხლები), 5) სამხედრო ქონების ექსპლოატაციის წესის დარღვევა (400-403-ე მუხლები). სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაული ხელყოფს უშუალო ობიექტს, რომელიც გამოიყოფა სახეობითი ობიექტის შიგნით. უშუალო ობიექტად გვევლინება სამხედრო უსაფრთხოების კონკრეტული სფერო, რომელსაც უშუალოდ ადგება ზიანი ან ექმნება ასეთი ზიანის მიყენების საფრთხე სამხედრო მოსამსახურის მხრიდან. სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცალკეული შემადგენლობა ხელყოფის ობიექტთან ერთად შეიცავს დანაშაულის საგნის ნიშნებს. **დანაშაულის საგნად** შეიძლება მოგვევლინოს იარაღი, საბრძოლო მასალა, საბრძოლო ტექნიკა, რადიაქტიული მასალები, ფეთქებადი ან სხვა ნივთიერებები, სამხედრო საფრენი აპარატები, სამხედრო ხომალდები და ა.შ. ამ საგანთა ნიშ-

ნების დადგენა სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი პირობაა.

განსახილველი ჯგუფის დანაშაულთა ობიექტური მხარე ხასიათდება ყველა სხვა დანაშაულთა ძირითადი ნიშნებით: ქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის,დანაშაულის ჩადენის ხერხი, ადგილი, დრო, გარემოება, საშუალება და იარაღი. განმასხვავებელ მახასიათებლად გვევლინება მათი სპეციფიკურობა, რაც, თავის მხრივ, ხელყოფის სამხედრო ობიექტითაა განპირობებული.

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების აუცილებელი ნიშანია ქმედება, რომელიც გამოვლინდება **როგორც მოქმედებაში,** მაგალითად, უფროსის მიმართ ძალადობა, **ასევე უმოქმედობაში,** მაგალითად, უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა. მთელი რიგი დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარე მდგომარეობს სპეციალური წესების დარღვევაში. იურიდიულ ლიტერატურაში ამ შემთხვევებს ქმედების სპეციალური ფორმის სტატუსს ანიჭებენ, განსხვავებით ქმედების ტრადიციული კლასიფიკაციისაგან, მოქმედება ან უმოქმედობა. წესების დარღვევის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოქმედება და უმოქმედობა ერთობლიობაში გვევლინება: თითოეული უმოქმედობა მოქმედებასთანაა დაკავშირებული და პირიქით, მაგალითად, საბრძოლო მორიგეობის მიტოვება(მოქმედება) გულისხმობს სათანადო დანადგარების ყურადღებით მოპყრობის მოვალეობის შეუსრულებლობას (უმოქმედობა).

სხვადასხვა ნაწილისაგან შემდგარი სისტემა არ შეიძლება ემთხვეოდეს სისტემის ერთ ან მეორე ნაწილს, ამიტომ იგი ქმნის დამოუკიდებელ ფორმას, რომელიც თავის თავში მოიცავს ორივე ნაწილის ნიშნებს.

სამხედრო სამსახურის გავლის წესები მრავალ სხვადასხვა ნორმატიულ აქტშია მოცემული. დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ზუსტად დადგინდეს,რომელი კონკრეტული ნორმატიული აქტის მოთხოვნაა დარღვეული და ეს ფაქტი ზუსტად უნდა დაფიქსირდეს პროცესუალურ დოკუმენტში.

ობიექტური მხარის კონსტრუქციის მიხედვით სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა უმრავლესობა ატარებს ე.წ. **მატერიალურ ხასიათს. მათი აუცილებელი ნიშანია ამა თუ იმ მავნე შედეგის დადგომა.** თავისი შინაარსით შედეგი შეიძლება იყოს ფიზიკური (მაგ. უფროსის ცემა ან მის მიმართ სხვაგვარი ძალადობა სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისას – მუხლი 385-ე, 1-ლი ნაწილი), ქონებრივი (სამხედრო ქონების დაზიანება ან განადგურება), ორგანიზაციული (ბრძანების შეუსრულებლობის შედეგად რომელიმე სამხედრო ღონისძიების ჩაშლა). რიგ დანაშაულთა დისპოზიციაში დან-

აშაულებრივი შედეგი საკმაოდ კონკრეტული შეფასებითი კატეგორიით შემოიფარგლება. მაგ. სამხედრო სამსახურის ინტერესების არსებითი დაზიანება, მძიმე შედეგი, სახელმწიფო უშიშროების ინტერესების ხელყოფა და მისთ.

ასეთი შედეგების დადგენა პრაქტიკაში სირთულეებს, ხშირ შემთხვევაში გაუგებრობებს ან კანონის არაერთგვაროვან გამოყენებას იწვევს. მრავალობიექტიან დანაშაულებში მკაფიოდ უნდა გამოვყოთ ორი დონის შედეგი: ძირითადი და დამატებითი. იმავდროულად ძირითადი დანაშაულებრივი შედეგები ამა თუ იმ ფორმით ზიანს აყენებენ საბრძოლო მზადყოფნას. დამატებითი შედეგები სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სხვა მუხლებით დაცულ სიკეთეს განეკუთნებიან.

ზოგი დანაშაული ე.წ. ფორმალურ ხასიათს ატარებს. მათ განეკუთვნება სამხედრო სამსახურის თავის არიდების სხვადასხვა სახეები. მატერიალური შედეგებით დამთავრებული სამხედრო დანაშაულებისათვის სისხლისსამართებლივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და დამდგარ შედეგეს შორის. სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთა ობიექტური მხარისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა **დანაშაულის ჩადენის ხერხი, ადგილი, დრო, გარემოება, იარაღი და საშუალება**. მართალია, ეს ნიშნები ნებისმიერი სამხედრო

დანაშაულისთვისაა დამახასიათებელი, ისინი თავიანთი ბუნებით მაინც ფაკულტატურული ნიშნებია და დანაშაულის შემადგენლობისათვის არააუცილებელ მახასიათებლებს წარმოადგენს. რიგ შემთხვევაში კი კანონმდებელი მიუთითებს ერთ ან რამდენიმე ზემოთ ჩამოთვლილ ნიშანზე, რაც ამ უკანასკნელს აუცილებელ ნიშნად აქცევს. მაგალითად, დასაღუპად განწირული სამხედრო ხომალდის დატოვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასჯადი ქმედება,თუ მეთაურს ბოლომდე არ შეუსრულებია სამსახურებივი მოვალეობა.

სსკ-ის 382-ე მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე მოსამსახურე, აგრეთვე რეზერვისტი სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სპეციალურ სუბიექტთან, რომელსაც, გარდა ზოგადი მახასიათებლებისა– ასაკი და შერაცხადობა, აქვს ზემოხსენებული სპეციალური მახასიათებლებიც.

კანონმდებელი სპეციალური სუბიექტის განსაზღვრისას განმარტავს, ვინ შეიძლება იყოს სამხედრო მოსამსახურე. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება იყოს საქართველოს მო-

ქალაქე. მოქალაქეობის არმქონე საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი მიიჩნევა სამხედრო ვალდებულად და მასზე ვრცელდება სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმები (მუხლი მე-5), მაგრამ მოქალაქეობის არმქონე პირი, საქართველოს მოქალაქისაგან განსხვავებით, სამხედრო ფიცის დადების ნაცვლად იღებს წერილობით ვალდებულებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაიშვება უცხო სახელმწიფოს მოქალაქის საქართველოს სამხედრო სამსახურში მიღება. ამისათვის ორი პირობაა საჭირო: პიროვნების სურვილი და პრეზიდენტის ბრძანებულება ჩარიცხვის თაობაზე, რომლის გამოცემის საფუძველია საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმება.

კანონმდებლობით მკაცრადაა განსაზღვრული **სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიები.** ესენია: რიგითი (კურსანტი), ეფრეიტორი, მე-2 კლასის ეფრეიტორი, 1-ლი კლასის ეფრეიტორი, მატროსი (კურსანტი), უფროსი მატროსი, მე-2 კლასის მატროსი, 1-ლი კლასის მატროსი, კაპრალი (სპეციალისტი), საზღვაო კაპრალი (სპეციალისტი), უმცროსი სერჟანტი, უმცროსი მიჩმანი, სერჟანტი, მიჩმანი, უფროსი სერჟანტი, უფროსი მიჩმანი, მასტერ სერჟანტი, მასტერ მიჩმანი, ბატალიონის სერჟანტი (შტაბის სერჟანტი), ხომალდის მიჩმანი (შტაბის მიჩმანი), ბრიგადის სერჟანტი, მთავარი მიჩმანი, მთავარი სერჟანტი, მიჩმან-ლეიტენანტი, სერჟანტ-ლეიტენანტი, უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი, კაპიტან-ლეიტენანტი, მაიორი, მე-3 რანგის კაპიტანი, ვიცე-პოლკოვნიკი, მე-2 რანგის კაპიტანი, პოლკოვნიკი, 1-ლი რანგის კაპიტანი, ბრიგადის გენერალი, კონტრ-ადმირალი, გენერალ-მაიორი, ვიცე-ადმირალი, გენერალ-ლეიტენანტი, ადმირალი, არმიის გენერალი.

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სუბიექტების წრის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო სამსახურის დაწყებისა და დამთავრების მომენტის ზუსტად განსაზღვრას. ზემოხსენებული კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრულია სამხედრო სამსახურის ვადები. სამხედრო სამსახურის დაწყების დღედ ითვლება სამხედრო ნაწილის პირად შემადგენლობაში ან შესაბამისი სამხედრო უწყების სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის დღე, ხოლო სამხედრო სამსახურის დამთავრების დღედ– კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის ვადის გასვლისა და სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობის სიიდან ამორიცხვის დღე.

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის გამო პირი შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ იმ პირობით, თუ ქმედება სამხედრო სამსახურის პერიოდშია ჩადენილი და არაა გასული

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადები. ზოგიერთ სამხედრო დანაშაულთა სუბიექტი არის **სამხედრო მოსამსახურეთა მხოლოდ შეზღუდული წრე**. მაგალითად,დაქვემდებარების წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბიექტი არის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც დაზარალებულთან დაქვემდებარებულ მიმართებაშია. სამხედრო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს იმასაც, ვინც არ განეკუთვნება სამხედრო დანაშაულის სუბიექტს, მაგრამ ამისათვის აუცილებლად უნდა დადგინდეს, რომ ამ დანაშაულის ჩადენაში იგი მონაწილეობდა სამხედრო მოსამსახურესთან ერთად. ამ შემთხვევაში გამოიყენება სსკ-ის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც, სპეციალური სუბიექტის გარდა, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს.

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სუბიექტად შეიძლება ცნობილ იქნეს პირი, რომელსაც უკანონოდ აქვს დაკისრებული სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულება. ეს არამართლზომიერება შესაძლოა არც ეხებოდეს თვითონ სუბიექტს, მაგრამ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს პასუხისმგებლობის ხასიათსა და სასჯელის ზომაზე.

რაც შეეხება სამხედრო დანაშაულთა **სუბიექტურ შემადგენლობას,** ზოგიერთი მათგანისათვის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს მოტივი და მიზანი.

სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის **სუბიექტურ შემადგენლობაში** მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიზანი და მოტივი. ზოგიერთი მუხლში ისინი პირდაპირაა მითითებული. მაგალითად, დეზერტირობა (მუხლი 389-ე),ზოგიერთში კი იგულისხმება,მაგალითად, უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა (მუხლი 383-ე).

მოტივისა და მიზნის მნიშვნელოვანი ფუნქციაა სამხედრო დანაშაულთა ურთიერთშორის და ზოგადი სისხლისსამართლებრივი დანაშაულებრივი ქმედებებისგან გამიჯვნა. თუ ქვემდგომი შეურაცხყოფს უფროსს, რომელიც არ იმყოფება სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების მდგომარეობაში და შეურაცხყოფა არაა დაკავშირებული ამ მოვალეობათა განხორციელებასთან, მაშინ ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სხვა სამართალდარღვევად. ერთი სამხედრო დანაშაულის მეორესაგან განსასხვავებლად მიეთითება მიზანი. მაგალითად, დეზერტირობა ობიექტური ნიშნებით სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების იდენტურია, განსხვავება მხოლოდ მიზანშია – პირველ შემთხვევაში მიზანია სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება.

ბრალის ფორმის მიხედვით სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

სამხედრო დანაშაულთა უმრავლესობა შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ. სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. ხსენებულ კარში კანონმდებელი მხოლოდ ორჯერ მიუთითებს ბრალის ამ ფორმაზე. **383-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად**, ისჯება უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა,რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მძიმე შედეგი. 398-ე მუხლით გათვალისწინებულია მხოლოდ „იარაღის, საბრძოლო მასალის, სატრანსპორტო საშუალებების, სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია“.

თავი XVI

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

ზოგადი დებულებები

საერთაშორისო დამნაშავეობა თანამედროვე სამყაროს მეტად რთული და საშიში მოვლენაა. წინააღმდეგობრივი გლობალიზაციის პირობებში იზრდება ტრანსნაციონალური დამნაშავეობა. სწორედ ამით არის განპირობებული გაეროს სულ უფრო მზარდი ყურადღება ამ პრობლემის მიმართ. გაერომ არაერთი რეზოლუცია მიიღო, რომლებიც ხაზს უსვამენ ორგანიზებული საერთაშორისო დამნაშავეობის საშიშროებას და მიზნად ისახავენ მსოფლიო თანამეგობრობის გაძლიერებას მასთან საბრძოლველად. საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ენიჭება სახელმწიფოთა თანამშრომლობას,ვინაიდან ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს არ შეუძლიათ არსებითი წინააღმდეგობა და კონტროლი გაუწიონ მსგავსი მასშტაბის დანაშაულს. დამნაშავეობის ინტერნაციონალიზაციამ და მის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფოთა გაერთიანების აუცილებლობამ წარმოშვა სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციის ტენდენციაც,რაც გულისხმობს სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი და პროცესუალური სისტემების დაახლოებას, ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობის გაზრდას. ამის ნათელი დადასტურებაა იმ საერთაშორისო კონვენციების რიცხვის ზრდა, რომლებიც ავალდებულებენ სახელმწიფოს განსაზღვრული ქმედების კრიმინალიზაციას, სამართლებრივ ურთიერთდახმარებას, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების დაარსებას, რასაც სულ ახლახან შეემატა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ჰააგაში.

1998 წლის 17 ივლისს რომში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შემცველი ხელშეკრულების ხელმოწერით საფუძველი ჩაეყარა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს შექმნასა და ფუნქციონირებას. თუ აქამდე საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების რეალიზაცია ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სისტემის მეშვეობით ხორციელდებოდა, ახლა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო შეიქმნა, რომელიც უშუალოდ გამოიყენებს საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმებს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ახალ პერსპექტივას ქმნის საერთაშორისო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. დღესდღეობით, საერთაშორისო დანაშაულთან ბრძო-

ლაში, სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ძირითადი მაკოორდინირებელი ცენტრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. საერთაშორისო ხელშეკრულებათა პროექტებისა და ნორმაშემოქმედების სხვა ფორმების მომზადება გაეროს გენერალური ასამბლეის, მისი სამდივნოს, სხვა ორგანოებისა და სპეციალურ დაწესებულებათა კომპეტენციაში შედის. სწორედ მისი დამსახურებაა საერთაშორისო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ნორმატიული ბაზის განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინცი პების, საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება.

გაერომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო და დღესაც აგრძელებს საკოდიფიკაციო მუშაობას საერთაშორისო დანაშაულებსა და მასთან ახლოს მდგომ საერთაშორისო ხასიათის სამართალდარღვევებზე. საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია. ჯერ კიდევ 1947 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სწორედ აღნიშნულ კომისიას დაავალა მოემზადებინა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსი, რომლის პირველი მოსმენით მიღება მხოლოდ 1991 წელს გახდა შესაძლებელი. ეს პროექტი გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით დაეგზავნა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს განსახილველად.

ამიტომაც არის, რომ დღეს სისხლის სამართლის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება საერთაშორისო სისხლის სამართალი. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში შეიმჩნევა განვითარებულ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაახლოების ტენდენცია. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მომავალში ინტენსიურად განვითარდება ამ ქვეყნების სისხლის სამართლის ნორმათა უნიფიკაციის პროცესი. ი. გოლიკის აზრით, ამ პროცესს ექნება ორი ძირითადი მიმართულება: 1. სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის ნორმების დაახლოება ურთიერთმისაღები, მსგავსი და ერთმნიშვნელოვანი დებულებების დადგენის მეშვეობით; 2. თანდათანობით სხვადასხვა სახელმწიფოში ერთობლივი საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების შემუშავება და პრაქტიკაში მათი დანერგვა. სისხლის სამართლის განვითარების კონვენციური გზა ის მაგისტრალური საშუალებაა, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მიგვიყვანს სისხლის სამართლის საერთაშორისო საფუძვლების ფუნდამენტური სამართლებრივი აქტის შექმნასთან.[131]

[131] Ю.В. Голик, Перспективы развития уголовного права; Уголовное право в XXI

მართლაც, გაეროს ძალისხმევითა და ხელშეწყობით საერთაშორისო სამართლის ნორმებით ნაციონალური სისხლის სამართლის შევსებამ გამოიწვია სამართლის სხვადასხვა სისტემის მქონე სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაახლოება, კერძოდ, რომანულგერმანულის, საერთო სამართლის, მუსლიმური და სხვა. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში გაჩნდა ერთგვაროვანი ნორმები, თუმცა ბევრი რამ კვლავაც აზრთა სხვადასხვაობისა და დავის საგანია.

საერთაშორისო სამართალი და იურიდიული დოქტრინა განასხვავებს ორი სახის საერთაშორისო დანაშაულს: 1) საერთაშორისო დანაშაულს, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით (იგი მოიცავს ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, როგორიცაა: გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული) და 2) საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს (კონვენციურ, ტრანსნაციონალურ დანაშაულს), რომლისთვისაც პასუხისმგებლობა დადგენილია საერთაშორისო კონვენციებით. ეს არის ზოგადი ხასიათის სამართალდარღვევები, რომლებიც სცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს (იგი მოიცავს საერთაშორისო ტერორიზმს, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, კონტრაბანდას, მეკობრეობას, ბირთვული მასალის გატაცებასა და სხვა). იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს პოზიცია იმის თაობაზე, რომ **საერთაშორისო დანაშაული და საერთაშორისო ხასიათის დანაშაული,** გამომდინარე პირველის მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებიდან, უნდა განვასხვაოთ ხელყოფის ობიექტის მიხედვით. არსებობს საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სხვა კლასიფიკაციაც, რომელიც ეფუძნება სამართალდარღვევის სუბიექტს,ქმედების ჩადენის საშუალებასა და სხვა კრიტერიუმებს.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ **საერთაშორისო დანაშაული**. საერთაშორისო სამართლის კომისია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ საკანონმდებლო პროექტსა და კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა პროექტზე მუშაობისას იყენებს „სახელმწიფოს საერთაშორისო დანაშაულისა“ და „კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა“ ცნებებს. პროექტის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულთა პირველი კატეგორია განისაზღვრება, როგორც საერთაშორისო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ინტერესის ხელყოფის შედეგად საერთაშორისო ვალდებულების დარღვევა, რო-

веке; Материалы международной научной конференции 2001 года, 2002 г.

მელიც საერთაშორისო საზოგადოების მიერ დანაშაულად განიხილება. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია არა მარტო საერთაშორისო დანაშაულის ზოგადი ცნება, არამედ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სანიმუშო ჩამოთვლა,რომლებიც საერთაშორისო დანაშაულად უნდა იქნეს განხილული.

1996 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მეორე მოსმენით მიღებულ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტში ხაზგასმულია, რომ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საერთაშორისო სამართლის დანაშაულს წარმოადგენს და ის დასჯადია, იმისდა მიუხედავად, ისჯება თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

ზოგიერთი მეცნიერი დადებითად აფასებს ორ ზემოაღნიშნულ დანაშაულთა კატეგორიის გამიჯვნას. იგი თვლის, რომ შემუშავებულია ის კრიტერიუმი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გაიმიჯნოს კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული როგორც საერთაშორისო, ისე საერთაშორისო ხასიათის დანაშაულისაგან. მისი აზრით, ამგვარი კრიტერიუმს უნდა მივაკუთვნოთ ხელყოფის ობიექტი, ქმედების სუბიექტი და ქმედების საკვალიფიკაციო ნიშნები.[132]

ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის განსაკუთრებულმა საზოგადოებრივმა საშიშროებამ შექმნა ისეთი სპეციფიკური სამართლებრივი სიტუაცია, როდესაც ფაქტობრივად ერთი და იგივე ქმედება განისაზღვრება როგორც სახელმწიფოს საერთაშორისო დანაშაული, რაც იწვევს მის საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, და როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რის შედეგადაც დგება ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[1]

საერთაშორისო დანაშაულსა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის განსხვავება იმითაც საბუთდება, რომ ეს დანაშაულები წარმოადგენს ორ სხვადასხვა იურიდიულ კატეგორიას და სამართლის სხვადასხვა სისტემას მიეკუთვნება: პირველი – საერთაშორისო სამართალს, მეორე კი – ნაციონალურ სისხლის სამართალს.

ცალკეულ მეცნიერთა აზრით არავითარი განსაკუთრებული საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს. ინდივიდები

---

[132] Вадапалас В.Д. Развитие института международно-правовой ответственности (Международное право в современном мире, М., Международные отношения, 1991, с. 44).

პასუხს ყოველთვის აგებდნენ და ალბათ,მომავალშიც აგებენ ჩადენილი დანაშაულისათვის. არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სახე,მაგალითად,ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. იგი არ არის დადგენილი,ვინაიდან სავსებით საკმარისია სისხლის სამართლის ეროვნული სისტემების არსებული ფორმა.[133]

ამ მოსაზრების მიხედვით საერთაშორისო აქტები, ისე მათი შემუშავების პროცესი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ორი ერთი და იმავე სახელწოდების აგრესიის, გენოციდის, აპარტეიდისა და ა.შ. ცნება. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თვლის, რომ აღნიშნული საერთაშორისო დანაშაულები წარმოშობენ როგორც სახელმწიფოთა,ისე ფიზიკური პირების საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ზოგი მეცნიერი საერთაშორისო დანაშაულად თვლის საერთაშორისო სამართლის პრინცი პებისა და ნორმების ადამიანთა ცივილიზაციისათვის განსაკუთრებით საშიშ დარღვევას, რომელთაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ მშვიდობის უზრუნველსაყოფად, პიროვნებისა და მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებრიობის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.[134]

მეენიერთ ნაწილი საერთაშორისო დანაშაულად მიიჩნევენ ინდივიდის მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების ბრალეულ დარღვევას. ასეთი დანაშაული მოითხოვს საერთაშორისო ელემენტის არსებობას. ეს ელემენტი შეიძლება არსებობდეს თვით მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათში, ხელყოფის ობიექტში ან შედეგში.[135] ასეთი დანაშაული შეიძლება მიმართული იყოს მშვიდობისა და უშიშროების საერთო ინტერესების წინააღმდეგ, ანდა ცალკე აღებული უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ.

საერთაშორისო დანაშაულის კონცეფცია, შეიძლება ითქვას, საუკუნეების მანძილზე იხილებოდა და, შესაბამისად, თანდათან იხვეწებოდა. ამ სახის დანაშაულთან ბრძოლა განიხილებოდა, როგორც ეროვნულ საზღვრებს გამცდარი პრობლემა.[136] აღსანიშნავია, რომ ჯერ

[133] Курис П.М., Международные правонарушения и ответственность государства, Вильнюс, Изд. гос. ун-та, 1973, с. 126.

[134] Ушаков Н.В. Основания международной ответственности государств, М., Междунар. отношения, 1983, с. 23.

[135] В.П. Панов. Международное уголовное право, М., 1997, с. 53-67.

[136] И.И. Лукашук, А.В. Наумов, Международное уголовное право, М., 1999, с. 69

ქ. ხუციშვილი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – ახალი პერსპექტივა საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ტ. V, №1, 2002, გვ. 31.

კიდევ 1927 წელს, ვარშავაში გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი სისხლის სამართლის უნიფიკაციის საკითხისადმი, რომელზეც საერთაშორისო მართლწესრიგის ხელმყოფ დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნეს მეკობრეობა, ყალბი ფულის დამზადება, მონებით, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა; ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, პორნოგრაფია და სხვა დანაშაული, რომელთათვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საერთაშორისო კონვენციებით. მოგვიანებით,კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ფორუმი ჩატარდა, რომლებზეც კვლავ იყო საერთაშორისო დანაშაულობასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის უნიფიცირების მცდელობა. ამავე ფორუმებზე გამოითქვა მოსაზრება, რომ საშიში საერთაშორისო სამართალდარღვევები ოფიციალურად დაყოფილიყო საერთაშორისო დანაშაულად და საერთაშორისო ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულად.

არ შეიძლება დავეთანხმოთ დოქტრინაში გამოთქმულ აზრს იმის თაობაზე, რომ საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი „საერთაშორისო დანაშაული" შეიცვალოს ტერმინით „საერთაშორისო ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაული". მართალია, დოქტრინაში არსებობს ტერმინი „საერთაშორისო ხასიათის დანაშაული", მაგრამ მასში იგულისხმება ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: მეკობრეობა, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა, მონათმფლობელობა, ფულის ნიშნების გაყალბება და სხვა. ამ სახის დანაშაულთან ბრძოლით დაინტერესებულია ყველა სახელმწიფო და მათ მიმართ დადგენილია უნივერსალური იურისდიქციის პრინცი პი. ამისდა მიუხედავად, არ შეიძლება მათი გათანაბრება საერთაშორისო დანაშაულთან. ეს დანაშაულები საერთაშორისო ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგის საგანს წარმოადგენენ.

ზოგი მეცნიერი არ ეთანხმება იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ პოზიციას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო დანაშაული წარმოიშვა სისხლის სამართლის დანაშაულიდან. ამ მოსაზრების სიმცდარე კარგად ჩანს უმეტესი საერთაშორისო დანაშაულის წარმოშობის ისტორიიდან. მაგალითად, აგრესია, გენოციდი, აპართეიდი და სხვა დანაშაული პირველად დადგენილი იყო საერთაშორისო აქტით და მისი მიღების შემდეგ ხდებოდა მათი შეტანა ნაციონალურ სისხლის სამართალში[137].

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საერთაშორისო დანაშაული ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდეც შეტანილი იყო ნაციონალურ სისხლის სამართლის კოდექსებში. ასეთი იყო, მაგალითად, „ტერორისტუ-

[137] И.В. Фисенко. Борьба с международным преступлением в международном уголовном праве. изд. `Тест~, Минск, 2000, с. 7.

ლი აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ" და „ომის პროპაგანდა". მაგრამ გასათვალისწინებელია ის,რომ ზემოაღნიშნული ქმედებები შედიოდა სახელმწიფო დანაშაულებში, თუმცა იმის გამო კი არა, რომ სახელმწიფოს უზრუნველეყო უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების დაცვა. მისი მიზანი იყო და დღესაც არის თვით იმ სახელმწიფოს ინტერესის დაცვა, რომელსაც სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჰქონდა ამ დანაშაულის დასჯადობა, რათა ამგვარ ქმედებას უარყოფითად არ ემოქმედა მის საერთაშორისო ურთიერთობაზე. საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვის სფეროში საერთაშორისო სამართლის ნორმებს უპირატესობა ენიჭებათ, სახელმწიფოთა ნაციონალურ კანონმდებლობას კი მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო სამართლის ნორმების მეშვეობით ხდება ადამიანთა საზოგადოების არსებობის საფუძვლების დაცვა. ამიტომაც, საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის შედეგად, სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სამართალდამრღვევსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის.[138]

საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდიფიკაციის ოფიციალურ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1945 წელს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მიღება და მის საფუძველზე 1946 წელს ნიურნბერგში მთავარ სამხედრო დამნაშავეთათვის განაჩენის გამოტანა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის დეკემბერში სპეციალური ღეზოლუციით საყოველთაოდ აღიარებულად ჩათვალა საერთაშორისო სისხლის სამართლის წესდების ის ნორმები, რომლებიც რეალიზებული იყო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მე-6 მუხლის საფუძველზე **საერთაშორისო დანაშაული სამ ჯგუფად დაიყო**: მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული,ომის დანაშაული და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. მასში ამ დანაშაულთა ჩამონათვალი ამომწურავი იყო. შემდგომში მას დაემატა ახალი დანაშაულები და, ამასთან ერთად, დაზუსტდა ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა.

ნიურნბერგის პროცესის მიმდინარეობისას ამ დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა შეზღუდა კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინცი პის გამოყენება მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების შემთხვევაში. ხოლო ომის დანაშაულისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიმართ კი გამოიყენა ინდივიდუალური პასუხისმგე-

[138] Курс международного права в 7 т., т. 3, Основные институты международного права, М., Наука, 1990, с. 223.

ბლობის პრინცი პი. კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების კოდექსის პროექტზე მუშაობისას ეს განსხვავება სასარგებლო იყო ცალკეულ დანაშაულთა მიმართ მიდგომის განსასაზღვრავად. მაგრამ შემდგომში ამან ის შედეგი გამოიღო, რომ კოდექსის პროექტში შეტანილ იქნა მხოლოდ ორი მუხლი. ამათგან ერთი განსაზღვრავდა ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვას, როგორც დანაშაულს მშვიდობის წინააღმდეგ, ხოლო მეორე კი იმავე დანაშაულს, როგორც დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ.

ზემოაღნიშნული სამი კატეგორიის დანაშაულთა შორის განსხვავების დადგენა უფრო გართულდა. ამიტომ კომისიამ 1991 წელს კოდექსის პროექტის პირველი მოსმენით განხილვისას დანაშაულთა ამგვარ დაყოფაზე უარი განაცხადა.

ცალკეული მეცნიერებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ საერთაშორისო დანაშაულთა კერძო კოდიფიკაციებში ფართოდ გამოიყენება ინდივიდებისა და სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დანაშაულთა ურთიერთკავშირის კრიტერიუმი. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ თავისი ოფიციალური ფუნქციის შესრულებისას, იგი პირდაპირ სახელმწიფოს შეერაცხება. სხვაგვარად წყდება საკითხი,თუ დანაშაული ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფოს, არ არის სახელმწიფო აპარატის მოხელე, არ ასრულებს ოფიციალურ ფუნქციას და თავისი ინიციატივით მოქმედებს, პირის სახელმწიფოსთან

ურთიერთკავშირის პრინცი პი არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ სახელმწიფო მის იურისდიქციაში არსებული დანაშაულის მიმართ არ ასრულებს ვალდებულებას მისი აღკვეთისა და დამნაშავის დასჯის შესახებ და ამიტომ დამნაშავესთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას.[139]

ამჟამად, საერთაშორისო სისხლის სამართალი ნორმატიულად რეგლამენტირებულია გაეროს მრავალ აქტში. მაგალითად, 1990 წლის 14 დეკემბერს მიღებულ გაეროს 45/107 რეზოლუციაში სახელმწიფოებს მიეცათ რეკომენდაცია გაეაქტიურებინათ ბრძოლა საერთაშორისო დამნაშავეობის წინააღმდეგ, საერთაშორისო ურთიერთობებში კანონიერების დაცვისა და განმტკიცების გზით. ამასთან, სახელმწიფოებს წინადადება ეძლეოდათ გადაეხედათ ნაციონალური კანონმდებლობისათვის საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმათა მოთხოვნებისადმი შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

---

[139] Курс международного права в 7 т., т. 3, Основные институты международного права, М., Наука, 1990, с. 223.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან სხვადასხვა სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსები სულ უფრო დაწვრილებით აწესრიგებენ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. 90-იან წლებში სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ მიღებულ ახალ სისხლის სამართლის კოდექსებში საერთაშორისო დანაშაულის ნორმები გამოყოფილია ცალკე თავად ან კარად. ასე, მაგალითად. 1992 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მეორე წიგნი იწყება „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა" კარით, რომელშიც ორი თავია გათვალისწინებული – გენოციდი და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული. 1995 წლის ესპანეთის კოდექსმა 24-ე კარში გაითვალისწინა დანაშაული საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინააღმდეგ. მასში აისახა კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ნორმები, ნორმები გენოციდის შესახებ და ცალკე თავი ომის დანაშაულის შესახებ. პოლონეთის რესპუბლიკის 1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იწყება მე-16 თავით, სახელწოდებით „დანაშაული მშვიდობის, ადამიანურობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულის შესახებ". ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში 1997 წლის იანვრამდე პარადოქსული მდგომარეობა იყო. ერთი მხრივ, ხდებოდა საერთაშორისო დანაშაულის კონცეფციის ღრმა თეორიული დამუშავება, მეორე მხრივ კი – საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხის აშკარად არასაკმარისი მოწესრიგება. რუსეთის ფედერაციის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა ცალკე დამოუკიდებელ მე-12 კარში 34-ე თავად გამოყო „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ". ამ თავში გათვალისწინებულია რვა ნორმა, რომელიც კლასიფიცირებულია სამ ჯგუფად: დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ.

ბელორუსის 1999 წლისა და უკრაინის 2001 წლის სისხლის სამართლის კოდექსები უფრო დაწვრილებით აწესრიგებენ საერთაშორისო დანაშაულის კარს. ბელორუსის კოდექსში კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავით იწყება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი. მე-6 კარი დასათაურებულია შემდეგნაირად:

„დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის,უშიშროების წინააღმდეგ და ომის დანაშაული". მასში 17 მუხლია, რომელიც კლასიფიცირდება ორ თავში: „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ" და „ომის დანაშაული და ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებათა სხვა დარღვევა".

რაც შეეხება საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის

კოლექსს,მასში მე-14 კარის 47-ე თავი ეთმობა დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. იგი მოიცავს 10 მუხლს. 47-ე თავში გადმოცემულია კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საწინააღმდეგო დანაშაულები. ამ დანაშაულთა მოთავსება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ბოლოს,აბსოლუტურად გაუმართლებელია,რამდენადაც იგი არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების პრიმატს, ასევე საერთაშორისო დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას და არც საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების პერსპექტივას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი საერთაშორისო დანაშაულისათვის დამახასიათებელია თავისებური ბლანკეტურობა, იგი მიუთითებს საერთაშორისო სისხლის სამართლის კონკრეტულ აქტებზე, ცხადია, რომ მათი იურიდიული ძალა, კოდექსის სხვა ბლანკეტურ ნორმებთან შედარებით უფრო მაღალია. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგიერთ მუხლში ეს ბლანკეტურობა პირდაპირ არის მითითებული. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 406-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით აკრძალულ ქიმიურ, ბიოლოგიურ ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღის დამზადების, შეძენის ან გასაღებისათვის; ან კიდევ 413-ე მუხლის „ბ" პუნქტი: სამხედრო ოპერაციაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში ისეთი საშუალების, მასალის ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით; ასევე ამ მუხლის „დ" პუნქტით: ომის სხვა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და არ ისჯება ამ კოდექსის 411-ე ან 412-ე მუხლებით.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის,რომ მიზანშეწონილია სისხლის სამართლის კოდექსში მუხლობრივად იქნეს მითითებული საერთაშორისოსამართლებრივ აქტებზე. ამას მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კოლიზიის გადასაწყვეტად და კოდექსის სათანადო მუხლების სამართალგამოყენებისა და დოქტრინული ახსნა-განმარტებისათვის.[140]

როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ 1947 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დავალება მისცა საერთაშორისო სამართლის კომისიას, რომელიც წარმოადგენს გაეროს მთავარ ორგანოს,საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდიფიკაციის სფეროში შეემუშავებინა კაცობრიო-

[140] Курс уголовного права, Учебник для вузов, т. 5, Особенная часть, изд. «Зерцало», М., 2002, с. 343-344.

ბის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კოდექსის პროექტი. კომისიამ 1991 წელს ეს პროექტი მიიღო პირველი მოსმენით. პროექტი შედგებოდა ორი თავისებური ნაწილისაგან: ზოგად და კერძო ნაწილებისაგან. კერძო ნაწილი შეიცავდა დანაშაულის თოთხმეტ სახეს, როგორც უშუალოდ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულს,ისე საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს (მაგალითად, ნარკოტიკულ დანაშაულს, ეკოლოგიურ დანაშაულს და სხვა). ოცდაორი სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ შენიშვნათა გათვალისწინებით,პროექტი გადამუშავებული და განახლებული სახით მიღებულ იქნა მეორე მოსმენით 1994 წელს. საერთაშორისო სამართლის იურისდიქციას დაექვემდებარა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, დანაშაული, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესს: აგრესია, გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ომის დანაშაული. ამგვარ დანაშაულთა ნუსხა ამომწურავია, თუმცა ჩამოთვლილ დანაშაულთა გარდა, სასამართლოს იურისდიქციას მიეკუთვნება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაშაული. ამ სტატუტის მიხედვით სასჯელად გათვალისწინებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა; სიკვდილით დასჯა და უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაიშვება. საერთაშორისო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება 18 წელს მიუღწეველ პირთა მიმართ. თანამდებობის პირთა ნაციონალური ან საერთაშორისო-სამართლებრივი იმუნიტეტი არ აბრკოლებს დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. სტატუტის დებულებები გამოიყენება ყველას მიმართ, მიუხედავად მათი ოფიციალური სამსახურებრივი მდგომარეობისა,მათ შორის სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, პარლამენტის წევრისა და სხვათა მიმართ.

ვენის დეკლარაციაში „დამნაშავეობისა და მართლმსაჯულების შესახებ: პასუხი XXI საუკუნის გამოწვევაზე" (მიღებული იყო 2000 წელს გაეროს X კონგრესზე დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ) განსაკუთრებული შეშფოთება გამოითქვა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და მისი სხვადასხვა სახის ურთიერთკავშირის გამო. ამ დეკლარაციით პირველად იყო დადგენილი კონკრეტული ვადა – 2005 წელი, როდესაც უზრუნველყოფილ იქნებოდა საერთაშორისო ხასიათის ისეთ დანაშაულთა მნიშვნელოვანი კლება, როგორიცაა: ადამიანებით ვაჭრობა, მიგრანტების უკანონო შეყვანა, იარაღის უკანონო ბრუნვა, აუცილებლად იყო მიჩნეული სასჯელის შემოღება იმ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულისათვის, როგორიცაა: კომპიუტერებისა და უმაღლეს ტექნოლოგიათა უკანონო დამზადება, რასობრივი დისკრიმინაცია,

ქსენოფობია და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის ფორმები. გაეროს ვენის კონგრესზე გაეროს გენერალურმა მდივანმა ზოგადად დაახასიათა XX საუკუნის ბოლოს ტრანსნაციონალური დამნაშავეობა. სწორედ იგი განსაზღვრავს XXI საუკუნის საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების ტენდენციას.

რომის სტატუტის, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივნისს, ძირითადი მიზანი იყო შეექმნა ისეთი სასამართლო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო საზოგადოებისათვის ყველაზე საშიშ დანაშაულისათვის დასჯის უზრუნველყოფას. სტატუტში ასეთი სახის დანაშაულები პირდაპირ არის მითითებული და მეტნაკლებად განმარტებული. რომის სტატუტში მოცემულ დანაშაულთა ცნება ზოგჯერ საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ამის მაგალითია 1976 წლის კონვენცია აპართეიდის დანაშაულის შესახებ, ასევე 1984 წლის კონვენცია წამების შესახებ და სხვა.

საერთაშორისო სასამართლოს შექმნის მოსამზადებელი კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ სტატუტში უნდა შესულიყო ის დანაშაულები, რომლებიც ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში უკვე აღიარებული იყო. მრავალი დისკუსიისა და კონსენსუსის მიღწევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დაექვემდებარებოდა და გავრცელდებოდა შემდეგ დანაშაულებზე: 1) გენოციდის დანაშაული; 2) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; 3) ომის დანაშაული და 4) აგრესიის დანაშაული. სტატუტში განისაზღვრა, რომ სასამართლო აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციას განახორციელებს მას შემდეგ, როდესაც განისაზღვრება ამ დანაშაულის ცნება.

საქართველოს პარლამენტმა რომის სტატუტის რადიფიკაცია მოახდინა 2003 წლის 16 ივლისს. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება რომის სტატუტის ძირითად მოთხოვნებს, მაგრამ ბევრი რამ მაინც არის გასაკეთებელი კოდექსის სისტემის თვალსაზრისით. კარგი იქნება, თუ ის მუხლები, რომლებიც დღეს მიმოფანტულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავში და, ფაქტობრივად, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს წარმოადგენს, ცალკე თავად იქნება გაერთიანებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო დანაშაულთან ერთად საერთაშორისო დამნაშავეობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. იგი განისაზღვრება როგორც „საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედება (უცხოური ელემენტის არსებობით), რომელიც ქმნის საერთაშორისო ურთიერთობის გან-

ვითარებისათვის საფრთხეს.[141]

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით კი არა, არამედ ქმედების ჩადენის გარემოებათა გამო; ეს ისეთი დანაშაულია, რომელიც, თუმცა ისჯება ქვეყნის შიდა კანონმდებლობით,მაგრამ კონკრეტულ გარემოებათა არსებობის გამო საერთაშორისო ხასიათი გააჩნია. ამგვარ დანაშაულთა უშუალო ობიექტს ზოგადი სისხლისსამართლებრივი ხასიათი აქვს (განსხვავებით საერთაშორისო დანაშაულისაგან, რომლის ხელყოფის ობიექტი – საერთაშორისო ურთიერთობა,კაცობრიობის ცხოვრებისეული ინტერესი რეგულირდება საერთაშორისო სამართლით); მეკობრეობის შემთხვევაში ეს ქონებრივი ურთიერთობა და ადამიანის უსაფრთხოებაა; საერთაშორისო ხასიათის ტერორიზმის დროს – შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური ურთიერთობა და სხვა.

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს, უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ არა ყოველთვის პირი სჩადის საკუთარი ინიციატივით,პირადი სარგებლის მიღების მიზნით, კერძო ინტერესის რეალიზაციისათვის. საერთაშორისო ურთიერთობებს ზიანი ადგებათ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად: მეკობრეობა ხელყოფს საერთაშორისო საზღვაო მიმოსვლის ურთიერთობებს,საერთაშორისო ხასიათის ტერორიზმი–დიპლომატიურ ურთიერთობათა სფეროს (უცხო სახელმწიფოს აგენტზე ხელყოფის შემთხვევაში), საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ურთიერთობებს და სხვა. არსებითად ეს ტრანსნაციონალური დანაშაულია.[1]

საერთაშორისო ხასიათის დანაშაული სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: „საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაული“, „საერთაშორისო ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაული“, „კონვენციური დანაშაული“, „ტრანსნაციონალური დანაშაული“ და ა.შ. მაგრამ ეს განსხვავება ტერმინოლოგიურ ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად სინონიმებს წარმოადგენს.

ამ კატეგორიის დანაშაულთა დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევენ იმას, რომ მასში უცხოური ელემენტი ფიგურირებს, სახელდობრ, მისი ჩადენა ხდება არა ერთი, არამედ ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და,შესაბამისად,ხელყოფს საერთაშორისო მართლწესრიგს და მასში მონაწილეობს რამდენიმე ქვეყნის მოქალაქე. ამ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები შესაბამისი კონვენციებით არის დადგენილი და ასახულია ნაციონალურ კანონმდებლობაში. ამიტომ პასუხისმგებლობა კონვენციური (ტრანსნაციონალური) დანაშაულისათვის დგება ნაციონალური სისხლის სამართლის კანონ-

[141] Словарь международного права, М., 1982, с. 168.

მდებლობის საფუძველზე. კონვენციური ნორმების რეალიზაციის მექანიზმი გამოიხატება იმაში, რომ ისინი ავალდებულებენ მონაწილე სახელმწიფოს შესაბამისი ნორმები შეიტანოს შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში,კონვენციების შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა დანაშაული უშუალოდ მის ინტერესს არ ხელყოფს. აქ მოქმედებს ცნობილი პრინცი პი – გაეცი ან გაასამართლე (აუტ დედერე აუტ ჯუდიცარე). ამას გარდა,ამ კატეგორიის დანაშაულთა დევნა, სასამართლო განხილვა და განაჩენის აღსრულება მოითხოვს სახელმწიფოთა ურთიერთდახმარებას.

ხშირად საერთაშორისო დანაშაულსა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს შორის განსხვავების დადგენა საკმაოდ რთულია: საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ობიექტი სარგებლობს უფრო გაძლიერებული დაცვით და დანაშაულის კვალიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს. რეალურად კი იგი არ არის დამნაშავის პირდაპირი განზრახვის ობიექტი.[142] მაგრამ ასეთი განსხვავება მაინც არსებობს და იგი მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისხლის სამართლისათვის.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის სწორედ ასეთი გაგება იძლევა დანაშაულთა ამგვარი კატეგორიის გამოყოფის შესაძლებლობას, ვ. პანოვის აზრით, ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტად გვევლინება არა საერთაშორისო მშვიდობა და კაცობრიობის უშიშროება,არამედ მხოლოდ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა,ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართლით დაცული სხვა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა,[143] ი. ფისენკო კი თვლის,რომ,საყოველთაო-სახალხო ღირებულების,ადამიანის უფლებების ხელყოფა,თუ ისინი სერიოზული და მასობრივია,უნდა დაკვალიფიცირდეს საერთაშორისო დანაშაულად.[144]

იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის **კლასიფიკაციას ძირითადად ხელყოფის ობიექტის მიხედვით** ახდენენ. ასე, მაგალითად, ზოგი მეცნიერი ამ დანაშაულებს ხელყოფის ობიექტის, საერთაშორისო საშიშროების ხარისხისა და სხვა ნიშნების მიხედვით პირობითად **ხუთ ჯგუფად ყოფს**: 1) დანაშაული საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილურობის წინააღმდეგ (საერთაშორ-

---

[142] Моджорян Л.А., Терроризм на море, М., Международные отношения, 1991, с. 23.

[143] Попов В.П., Международное уголовное право, Учебное пособие, М., ИНФРА-М., 1997, с. 69.

[144] И. Фисенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

ისო ტერორიზმი,მძევლად აყვანა, თვითმფრინავისა და სხვა ავიასატრანსპორტო საშუალების დაუფლება, გატაცება და სხვა დანაშაული, რომელთა ჩადენა ხდება საჰაერო ხომალდსა და საერთაშორისო აეროპორტებში; ბირთვული მასალის გატაცება,დაქირავებულთა გადაბირება,გამოყენება,დაფინანსება და სწავლება, აგრეთვე დაქირავებულის მონაწილეობა სამხედრო მოქმედებაში; უკანონო ტელერადიომაუწყებლობა; ომის პროპაგანდა; 2) მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სახელმწიფოთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას (ყალბი ფულის დამზადება; დანაშაულებრივი შემოსავლის ლეგალიზაცია; ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალების უკანონო ბრუნვა; კონტრაბანდა; არალეგალური ემიგრაცია და ხალხის კულტურულ ღირებულებათა ხელყოფა; 3) ადამიანის პირადი უფლებების დანაშაულებრივი ხელყოფა (მონობა,მონებით ვაჭრობა,ბავშვებითა და ქალებით ვაჭრობა, მესამე პირების მიერ მათი ექსპლუატაცია პროსტიტუციის მეშვეობით; პორნოგრაფიის გავრცელება; ადამიანის უფლებების სისტემატური და მასიური დარღვევა; წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სხვა; 4) ღია ზღვაში ჩადენილი დანაშაული (მეკობრეობა, წყალქვეშა კაბელის ან მილსადენის დაზიანება; საზღვაო ხომალდების შეჯახება; ზღვაზე დაუხმარებლობა; ზღვის გაბინძურება მავნე ნივთიერებით და სხვა; 5) საერთაშორისო ხასიათის სამხედრო დანაშაული (ომის წარმოების აკრძალული საშუალებისა და მეთოდის გამოყენება; სამხედრო მოქმედების რაიონში მოსახლეობაზე ძალადობა; წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნების უკანონო ტარება ან ბოროტად გამოყენება; მაროდიორობა და სხვა).[145]

სხვა მეცნიერები კონვენციურ დანაშაულს, ხელყოფის ობიექტის მიხედვით, პირობითად **ასევე ხუთ ჯგუფად ყოფენ**:

დანაშაული, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლენაა (საჰაერო ხომალდის დაუფლება და სხვა უკანონო მოქმედება სამოქალაქო ავიაციის უშიშროების წინააღმდეგ; მძევლად აყვანა; დანაშაული საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის წინააღმდეგ; ბირთვული მასალის უკანონო დაუფლება და გამოყენება; მეკობრეობა და სხვა უკანონო აქტი ზღვაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ); 2) დანაშაული, რომელიც ხელყოფს ადამიანის თავისუფლებას (მონობა და მონებით ვაჭრობა; ქალებითა და ბავშვების ვაჭრობა); 3) დანაშაული, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას (გარემოს დაბინძურება); ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა და შენახვა; სატრანსპორტო დანაშაული; ხულიგნური მოქმედება სპორტული

[145] В.П. Панов, Международное уголовное право, М., 1997, с. 71-72.

ღონისძიების დროს, საზღვაო ხომალდების შეჯახება და ზღვაზე დაუხმარებლობა; საზღვაო კაბელის დაზიანება); 4) დანაშაული,რომელიც ხელყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და საზოგადოებრივ ზნეობას (ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო წარმოება და ბრუნვა; ხალხთა კულტურულ ფასეულობათა ხელყოფა; პორნოგრაფიის გავრცელება); 5) ეკონომიკური ხასიათის დანაშაული (ფულის ნიშნების გაყალბება; დანაშაულებრივი შემოსავლის ლეგალიზაცია; განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილი დანაშაული; კონტინენტურ შელფზე ჩადენილი დანაშაული).[1]

კარპეცი სახელმწიფოთაშორისო ინტერესების ხელმყოფ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს უშუალო ობიექტის მიხედვით ყოფს შემდეგ ჯგუფებად: 1) დანაშაული, რომელიც ზიანს აყენებს სახელმწიფოებს შორის მშვიდობიან თანამშრომლობასა და ურთიერთობის ნორმალურად განხორციელებას. მას მიეკუთვნება ტერორიზმი და მასთან ახლო მდგომი დანაშაული, მაგალითად, თვითმფრინავის გატაცება, უკანონო რადიომაუწყებლობა; 2) დანაშაული, რომელიც ზიანს აყენებს საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებას. მათ ავტორი მიაკუთვნებს ეკოლოგიურ დანაშაულს; ხალხთა ეროვნულკულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს; კონტრაბანდას, ფულის გაყალბებას, ნარკოტიკებით ვაჭრობას და სხვა;

3) დანაშაული, რომელიც ზიანს აყენებს პიროვნებას, კერძო და სახელმწიფო საკუთრებასა და მორალურ ღირებულებებს. ამ ჯგუფში შედის ადამიანებით ვაჭრობა, მეკობრეობა, პორნოგრაფიის გავრცელება და სხვა დანაშაული,რომელთა თაობაზე არსებობს საერთაშორისო შეთანხმება; 4) საერთაშორისო ხასიათის სხვა დანაშაული. მას მიეკუთვნება საჰაერო ხომალდზე ჩადენილი დანაშაული, ტელეგრაფის საზღვაო კაბელის დაზიანება, დაუხმარებლობა გემების შეჯახების დროს და სხვა.[146]

ზოგიერთი ავტორი საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა კატეგორიას არ გამოყოფს ობიექტისა და მისი ჩადენის საშუალების კრიტერიუმის საფუძველზე. ისინი ძირითადად განსხვავებას საერთაშორისო ხასიათის დანაშაულსა და საერთაშორისო დანაშაულს შორის ხედავენ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის შედარებით ნაკლებ სიმძიმესა და საშიშროების ხარისხში. მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი დაყოფისას დანაშაულის ამ ორ კატეგორიას შორის მკვეთრ განსხვავებას ვერ ვნახავთ. უნდა გვახსოვდეს, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება

[146] И.И. Лукащук, А.В. Наумов. Международное уголовное право, М., 1999, с. 132-133.

აღმოცენდეს ახალი დანაშაული ან დანაშაულმა დაკარგოს მისთვის ადრე დამახასიათებელი განსაკუთრებული საშიშროება. აქედან გამომდინარე,დანაშაული გადავიდეს ერთი კატეგორიიდან მეორეში. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ასეთი გაგებისას კონკრეტულ დანაშაულთა მიკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიისათვის სუბიექტური შეფასების საგანი ხდება.

საერთაშორისო დანაშაულისა და საერთაშორის ხასიათის დანაშაულის **გასამიჯნად იყენებენ ასევე სუბიექტურ კრიტერიუმს**: საერთაშორისო დანაშაულისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა სახელმწიფოს, არამედ ინდივიდს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ გასამიჯნად ეს პოზიცია კრიტერიუმად ვერ გამოგვადგება,რადგანაც პიროვნებას სახელმწიფოსთან კავშირის გარეშეც შეუძლია ჩაიდინოს როგორც საერთაშორისო, ისე საერთაშორისო ხასიათის დანაშაული.

დაბოლოს, არსებობს მოსაზრება, რომ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შემადგენლობის განმტკიცება სპეციალურ, საერთაშორისო ხელშეკრულებაში.[147]

სახელმწიფოთა პოზიცია საერთაშორისო სისხლის სამართლისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა თანაფარდობის შესახებ განსხვავებულია. **მონისტური პოზიცია** არ აღიარებს საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების პირდაპირ მოქმედებას საკუთარ ტერიტორიაზე (მაგ., აშშ), **ხოლო დუალისტური** კი სამართლიანად მიიჩნევს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი იურისდიქციის არსებობას. ჩვენი აზრით, უფრო სწორია მეორე პოზიცია. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი შეიძლება რეალიზებულ იქნეს საერთაშორისო დანაშაულთა კოდექსის მიღების, ასევე საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის შექმნის შემდეგ. კაცობრიობა თანდათანობით მიდის სამართლის სისტემათა დაახლოებისა და საერთაშორისო სასამართლო ორგანოების შექმნის გზით.

მიზანშეწონილია,რომ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულში შევიდეს სისხლისსამართლებრივ დანაშაულთა ის ჯგუფი,რომელსაც მაღალი საერთაშორისო საშიშროება ახასიათებს, მაგრამ საერთაშორისო სისხლის სამართლის სათანადო აქტებით ასეთად არ არის ცნობილი. ასეთი ხასიათის დანაშაული ზიანს აყენებს ორ ან უფრო მეტ სახელმწიფოს. ამგვარ დანაშაულთა საერთაშორისო მართლწინააღმდეგობა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

დამნაშავეობის გლობალიზაციის პროცესთან ადეკვატურად იზ-

[147] ზოგიერთი ავტორი ხმარობს სპეციალურ ტერმინს – „კონვენციური დანაშაული", რომელშიც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს გულისხმობს.

რდება ისეთ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რიცხვი, როგორიცაა: ეკონომიკური, სამოხელეო, ძალადობრივი დანაშაული, ასევე ტერორიზმი, მკვლელობა შეკვეთით,იარაღისა და ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვა,კომპიუტერული დანაშაული და სხვა. კომპიუტერული დანაშაული, მაგალითად,უზარმაზარ მატერიალურ ზიანს აყენებს სახელმწიფოებს და მისი საერთაშორისო საშიშროების პროგნოზი შეუძლებელია. ამიტომაც თანდათანობით ამგვარი ხასიათის დანაშაული ნაციონალური დანაშაულიდან საერთაშორისო დანაშაულად უნდა იქნეს მოდიფიცირებული. XXI საუკუნეში საერთაშორისო სისხლის სამართლის წამყვან მიმართულებად ჩაითვლება სახელმწიფოთა თანამშრომლობა დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

ამჟამად არსებობს მრავალი რეგიონული ხასიათის ხელშეკრულება, მიმართული ნარკომანიის, პორნოგრაფიის, ყალბი ფულის დამზადების, კონტრაბანდის, იარაღის უკანონო ბრუნვის, ადამიანით ვაჭრობისა და სხვ. წინააღმდეგ. მრავალმა სახელმწიფომ მიაღწია შეთანხმებას გარემოს, ხალხთა ნაციონალური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობის, ზღვაზე დახმარების, ზღვის კაბელის დაზიანებისას დახმარების აღმოჩენის თაობაზე და სხვა. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 კარში – დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ცალკე თავი ეთმობა ტერორიზმს და მასში გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: ტერორისტული აქტი (მუხლი 323-ე). ტექნოლოგიური ტერორიზმი (მუხლი 324-ე), მძევლად ხელში ჩაგდება ტერორიზმის მიზნით (მუხლი 329-ე) და სხვა. კოდექსის მე-10 კარში განხილულია დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ; 34-ე თავში – ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა და მრავალი სხვა.

დამნაშავეობის ტრანსნაციონალიზაცია სულ უფრო გააფართოებს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა წრეს. ამიტომაც, დღესდღეობით მთელი რიგი ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში გათვალისწინებულია საერთაშორისო ხასიათის „კონვენციური დანაშაულები“. საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების ისტორია მოწმობს,რომ ბევრი კონვენციური დანაშაული საერთაშორისო დანაშაულად იქნა აღიარებული მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. ასე, მაგალითად, ჟენევის კონვენციებით „ომის მსხვერპლთა დაცვის შესაებ“, ყოფილ იუგოსლავიის სამხედრო ტრიბუნალის წესდებით მრავალი ისეთი ქმედება გამოცხადდა საერთაშორისო დანაშაულად, რომელსაც მანამდე საერთაშორისო სამართალი არ იცნობდა. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის საერთაშორისო დანაშაულად აღიარების მაგალითია დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონ-

ფლიქტში ან საომარ მოქმედებაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა იგი ჩათვალა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად. ან კიდევ,ბელორუსის სისხლის სამართლის კოდექსი კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად თვლის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტს, ჩადენილს ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო ურთიერთობის გართულების მიზნით; რასობრივი, ნაციონალური ან რელიგიური შუღლის გაღვივებას; შეიარაღებული კონფლიქტის დროს უმოქმედობას ან დანაშაულებრივი ბრძანების გაცემას; საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული ამოსაცნობი ნიშნით უკანონო სარგებლობას და სხვა.

საკითხავია, რატომ არ უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო დანაშაულად ტერორიზმის ისეთი აგრესიული გამოვლინება, რაც აშშ-ში მოხდა 2001 წლის 11 სექტემბერს, ან კიდევ, მოსკოვში თეატრალურ ცენტრში განხორციელებული ტერორისტული აქტი?

ტერორიზმი ზოგადსაკაცობრიო პრობლემად იქცა. ის ამჟამად სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და ნაციონალური სახელმწიფოებრივი უშიშროების მთავარი საფრთხეა. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის პრობლემა ახალი არაა კაცობრიობისათვის,მსოფლიო თანამეგობრობა ვერ ახერხებს შეიმუშაოს ტერორისტული აქტის ერთიანი განსაზღვრება, შექმნას ერთიანი საერთაშორისო მექანიზმი მასთან საბრძოლველად.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სულ უფრო ეფექტური იარაღი ხდება საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა. შემუშავებულია მთელი რიგი უნივერსალური და რეგიონული ხასიათის კონვენციები,რომლებშიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოთა თანამშრომლობის ძირითადი პრინცი პები საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად; თუმცა ყოველივე ეს საკმარისი არ არის.

საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად საქართველომ საერთაშორისო სამართლის ნორმების ტრანსფორმაცია უკვე მოახდინა ახალ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რითაც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე განახორციელა საერთაშორისო ვალდებულებათა ფაქტობრივი რეალიზაცია. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე თავად ითვალისწინებს ტერორიზმს (თავი 38-ე),რომელიც ცხრა შემადგენლობას აერთიანებს. მასში მოცემულია როგორც ტრადიციული ტერორისტული ქმედება, ისე მსოფლიო პრაქტიკის გაზიარებით შექმნილი დელიქტებიც. ამას გარდა, ტერორისტული ხასიათის დანაშაული მოთავსებულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

ეს მიზანშეწონილიც არის, ვინაიდან ამ დანაშაულებს ტერორიზმის შინაარსი შეიძლება სულაც არ ჰქონდეთ. მათ შეიძლება გამოიწვიონ დიდი მატერიალური ზარალი,ადამიანთა მსხვერპლი,სახელმწიფოში ვითარების დესტაბილიზაცია,პანიკა,უარყოფითი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ჩამოყალიბება და სხვა. ამ ინტერესების ხელყოფა საზოგადოებრივი უშიშროების ყველაზე საშიში დარღვევაცაა. ცხადია, რომ ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩადენის დროს საზოგადოებრივი უშიშროება ყოველთვის ხდება ხელყოფის ობიექტი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის ფორმულირებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები და სისხლის სამართლის კოდექსის რომელ თავში არიან ისინი მოთავსებული.

ამ კატეგორიის დანაშაულისათვის დამახასიათებელი მოქმედების საყოველთაოდ საშიში ხერხი და ხელყოფის მრავალობიექტიანობა საფუძველს აძლევს იურიდიულ ლიტერატურაში იმ მოსაზრების არსებობას, რომ, რამდენადაც საზოგადოებრივ უშიშროებას ხელყოფს ტერორისტული ხასიათის ყველა დანაშაული, ამდენად, იგი მიზანშეწონილია მოთავსებული იყოს საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის.

ტერორისტული ხასიათის დანაშაულის სისტემასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ საერთაშორისო კონვენციები არ ავალდებულებენ მის ხელმომწერ სახელმწიფოებს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში სიტყვასიტყვით გაიმეორონ, იმავე ფორმითა და შინაარსით ასახონ შესაბამისი კონვენციის დებულებები, თუმცა კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია ნაციონალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს კონვენციის ნორმებთან. ისიც გასათვალისწინებელია,რომ საკმაოდ რთულია მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებში კონვენციის დებულებათა ასახვა. ამდენად, რა ნიშნით ჩამოყალიბდება ნაციონალური ნორმა და სისტემის თვალსაზრისით სად მოათავსებს მას ესა თუ ის სახელმწიფო, ეს მისი შიდასახელმწიფოებრივი საქმეა. მთავარია, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ შეთანხმების ძირითადი დებულებების ტრანსფორმაცია მოახდინოს ნაციონალურ კანონმდებლობაში.

აქედან გამომდინარე, არ არის პრობლემა, თუ სისხლის სამართლის კოდექსში სად იქნება მოთავსებული საერთაშორისო ხასიათის დანაშაული – საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, სახელმწიფო დანაშაულის ჯგუფში თუ სხვაგან. ლოგიკურად გამართლებულად მიგვაჩნია ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა ის სისტემა, როგორიც საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსშია. რამდენადაც ტერორიზმის თავში შემავალ დანაშაულთა

ჩადენის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზემოქმედება და სახელმწიფოს წარმოჩენა მართლწესრიგის უზრუნველყოფის საქმეში უუნაროდ,ხოლო სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი სიმყუდროვის ატმოსფეროს შექმნა კი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა, ამიტომ უპრიანია ამ დანაშაულთა მოთავსება სახელმწიფო დანაშაულთა კარში. ამავე დროს,ცხადია,რომ 38-ე თავში (ტერორიზმი) გაერთიანებული დანაშაული არ წარმოადგენს ტერორისტული ხასიათის დანაშაულების ამომწურავ ჩამონათვალს.

საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ტერორისტული ხასიათის დანაშაული სხვა თავებშიც არის მოცემული. ასეთია, მაგალითად, საჰაერო ან წყლის ხომალდის გატაცება (მუხლი 227-ე), მეკობრეობა (მუხლი 228-ე),ბირთვული მასალის ხელში ჩაგდება (მუხლი 231-ე) და სხვა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახვა პოვა მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ტერორიზმად აღიარებულმა თითქმის ყველა დანაშაულმა. უფრო მეტიც, მასში საერთაშორისო სისხლის სამართლის ისეთი ნორმებიც არის ტრანსფორმირებული, რომელთა რატიფიკაცია დღეს კიდევ არ მოუხდენია საქართველოს პარლამენტს. ასე რომ, საქართველოში მატერიალური სისხლის სამართლის მთელი რიგი საკითხები საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაციამდეა მოგვარებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ,რომ მართებულად არ მიგვაჩნია,როცა ზოგად სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, რომელიც არ ხელყოფს საერთაშორისო მართლწესრიგს,მაგრამ ამ დანაშაულისათვის დევნა,სასამართლო განხილვა და განაჩენის აღსრულება სახელმწიფოთა ურთიერთდახმარებას მოითხოვს, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა რიგში განიხილავენ. მაგალითად, საერთაშორისო დანაშაულებრივი დაჯგუფება სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სჩადის ისეთ დანაშაულს, როგორიცაა: ქურდობა, თაღლითობა, გამოძალვა ან სხვა ზოგადი ხასიათის დანაშაული, ანდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ იმალება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

მსგავს შემთხვევებში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესუალურ მხარეზე, სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე. ვ. პანოვის მართებული შენიშვნით,მსგავსი დანაშაული, რამდენადაც იგი არ ატარებს კონვენციურ ხასიათს, არ შეიძლება მივაკუთვნოთ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა რიცხვს.[148] მართლაც, ასეთი დანაშაულები ვერ იქცევა საერთაშორისო ხა-

[148] ვ. პანოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

სიათის დანაშაულად, ვინაიდან არ ხელყოფენ სახელმწიფოთაშორის ინტერესს. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ქვეყნების კანონმდებლობაში მათ სხვადასხვა შეფასებას აძლევენ როგორც საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით, ისე სასჯელის ზომის დადგენითაც.

ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს, რომ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის სათანადო გამიჯვნის პრობლემა მეტად აქტუალურია. არსებობს სადავო მოსაზრება, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სერიოზულ დანაშაულთა რაოდენობის ზრდა კონვენციურ დანაშაულთა ხარჯზე მიზანშეწონილი არ არის. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარმა ტენდენციამ თავისი გამოხატულება პოვა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ კოდექსის პროექტში. აგრესიის, გენოციდის, აპართეიდის, ომის დანაშაულის გარდა, მას მიეკუთვნა ასევე საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ისეთი ნორმები, როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვა, გარემოსათვის წინასწარი განზრახვით სერიოზული ზიანის მიყენება.[149]

აქვე უნდა შევნიშნოთ,რომ ისტორიაში პირველად,რომის სტატუტში სქესობრივი დანაშაული აღიარებული და კოდიფიცირებულია როგორც დამოუკიდებელი დანაშაული საერთაშორისო სამართლის ყველაზე სერიოზულ დანაშაულთა შორის.[150]

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სისხლის სამართლის დანაშაულთან ბრძოლაში სხვადასხვა სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაახლოების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივი კონვენციების მიღება. მისი აუცილებლობა განპირობებულია საერთაშორისო დანაშაულისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთან ბრძოლის ამოცანებით. სათანადო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, გაითვალისწინონ თავიანთ ნაციონალურ კანონმდებლობაში კონვენციის ნორმები. მართალია, ეს კონცენციები არ შეიცავენ სისხლისსამართლებრივ სანქციებს, მაგრამ მათი შინაარსი ასახულ უნდა იქნეს ეროვნულ სისხლის სამართლის კოდექსებში. დღესდღეობით, რამდენ-

---

[149] Курс уголовного права, т. 5, Особенная часть, под ред. Г.Н. Борзенкова, В.С. Комиссарова, М., Зерцало, М., 2002, с. 389.

[150] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მიღებული გაეროს უფლებამოსილ წარმომადგენელთა დი პლომატიურ კონფერენციაზე (რომის სტატუტი), ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივნისს.

იმე ათეული საერთაშორისო კონვენცია მეტად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმების შინაარსზე.

ზოგიერთი მეცნიერი იურისტი უფრო შორს მიდის და თვლის, რომ დროა დაისვას საკითხი საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების კოდიფიკაციის შესახებ, სახელდობრ, შეიქმნას საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი თავისი ზოგადი და კერძო ნაწილებით.

მათი აზრით, კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების კოდექსზე არცთუ წარმატებული მუშაობა არ უნდა წარმოადგენდეს ასეთი ამოცანის დაყენებისათვის დაბრკოლებას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ კოდექსის პროექტის ფარგლებს მიღმა დარჩა საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმათა უმრავლესობა. ა. ნაუმოვი ეხება ნაციონალურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმათა იმპლემენტაციის საკითხს. ეს ეხება საერთაშორისო დანაშაულთა,მათ შორის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა სათანადო შემადგენლობათა განსაზღვრას; და სისხლის სამართლის ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით ნაციონალური სისხლის სამართლის ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო კონვენციების დებულებებთან. ავტორი თვითონვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ამოცანის რეალიზაცია მეტად რთული იქნება.[151]

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება საერთაშორისო სისხლის სამართლის შესახებ. ზოგიერთი ავტორი მას საერთაშორისო საჯარო სამართლის დარგად მიიჩნევს,ზოგი საერთაშორისო კერძო სამართლის დარგად,სხვები მას საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ დარგად თვლიან, ზოგიერთი კი საერთოდ უარყოფს საერთაშორისო სისხლის სამართლის არსებობას. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას შემდეგნაირად განმარტავს: საერთაშორისო სისხლის სამართალი არის სამართლის პრინცი პებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთა თანამშრომლობის ურთიერთობებს საერთაშორისო დანაშაულისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის სასჯელის შეფარდების სფეროში.

ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ობიექტი უნდა განისაზღვროს როგორც საერთაშორისო ხელშეკრულე-

[151] А.В. Наумов, Влияние норм и принципов международного права по сближению уголовного права различных систем, Уголовное право в XXI веке, Материалы Международной научной конференции, 2002, с. 6.

ბით გათვალისწინებული დანაშაული. ეს მოსაზრება მთლად ზუსტი არ არის. ცნობილია, რომ ზოგიერთი საერთაშორისო დანაშაული საერთაშორისო ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული, არამედ მოცემულია საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმებით. თვით ეს მეცნიერი საერთაშორისო დანაშაულს მიაკუთვნებს ეკოციდსა და ბიოციდს, რომელთა ცნებაც არც ერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში არ გვხვდება.

საერთაშორისო სამართლის დასავლურმა დოქტრინამ კარგა ხანია დამოუკიდებელ დარგად ცნო საერთაშორისო სისხლის სამართალი. მაგრამ დღემდე არ არსებობს ამ დარგის გამოყოფის ერთნაირი კრიტერიუმები. მრავალ გამოკვლევაში საერთაშორისო სისხლის სამართალი გაგებულია, როგორც ძირითადი იარაღი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში წესრიგის დასამყარებლად. უნდა შევნიშნოთ, რომ არასწორად მიგვაჩნია საერთაშორისო სისხლის სამართლის ამგვარი გაგება. ფაქტობრივად ასეთი განსაზღვრებისას იშლება ზღვარი საერთაშორისო სისხლის სამართალსა და საერთაშორისო სამართალს შორის.

ყოველივე ამის მიუხედავად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს საერთაშორისო სამართლის დარგი – საერთაშორისო სისხლის სამართალი. საერთაშორისო სისხლის სამართალს აქვს თავისი საგანი, დიდი მოცულობის ნორმატიული მასალა, ასევე მრავალი პრეცედენტი. მას აქვს თავისი მეთოდი. მაგრამ საერთაშორისო-სამართლებრივი იძულების თავისებური ხასიათი საერთაშორისო დანაშაულში სპეციფიკურს ხდის ამ მეთოდს. საერთაშორისო საზოგადოება დაინტერესებულია დარგის კომპონენტების განვითარებით, რასაც მოწმობს საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის სფეროში აქტიური სამართალშემოქმედება და მუდმივი თუ დროებითი ხასიათის იურისდიქციული ორგანოების შექმნა. საერთაშორისო სისხლის სამართალს აქვს თავისი სისტემა. მისი დახასიათებისათვის ხშირად ხმარობენ „კომპლექსურობის“ ცნებას. მისი ამგვარი ხასიათი გამომდინარეობს დარგის საგნიდან: მასში საერთაშორისო დანაშაულთან ერთად შედის საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. დანაშაულთა ეს ორი სახე მოითხოვს საერთაშორისო-ორგანიზაციულ რეპრესიას, ისინი მიმართულია განსხვავებული ობიექტების წინააღმდეგ, რაც იწვევს პასუხისმგებლობის განსხვავებულ პროცედურას.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კვლევისას ხაზი უნდა გაესვას მის დაყოფას მატერიალურ და პროცესუალურ სამართლად. ამასთან, ხშირად პრიორიტეტი ეძლევა საერთაშორისო პროცესუალურ სისხლის სამართალს.

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზა-

ციის საკითხმა თანდათანობით სულ უფრო დიდი მნიშვნელობა მიიღო, ვინაიდან მატერიალური საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების დარღვევისას, აუცილებელი გახდა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც ნორმის შეუსრულებლობისას საშუალებას მისცემდა საერთაშორისო საზოგადოებას, იძულების გზით აღესრულებინა იგი.

საერთაშორისო სისხლის სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის სხვა დარგებთან. სულ უფრო ხშირად შეიმჩნევა ტენდენცია, როდესაც დარგობრივი პრინციპებისა და ნორმების სერიოზული დარღვევა საერთაშორისო დანაშაულად აღიქმება. ამის მრავალრიცხოვანი მაგალითები მოცემულია ჰუმანიტარულ სამართალში. იგივე ახასიათებს საერთაშორისო საჰაერო, საზღვაო, ეკოლოგიურ სამართალს და სხვა.

ყველაზე მჭიდრო კავშირი არსებობს საერთაშორისო სისხლის სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ ყველა პრინციპსა და ნორმას.

XX საუკუნის 50-იან წლებიდან საერთაშორისო სამართალში გამოყოფენ ახალ მიმართულებას–საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. აღმოცენდა რა დოქტრინიდან, მან შემდგომ ნორმატიული სტატუსი მიიღო. საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში იგულისხმება იურიდიული პრინციპებისა და ნორმების სისტემა, რომელიც გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო კონფლიქტებში. ეს პრინციპები და ნორმები ადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ურთიერთსანაცვლო უფლებებსა და მოვალეობებს შეიარაღებული ბრძოლის წარმოებისას განსაზღვრული მეთოდებისა და საშუალებათა აკრძალვისა ან მათი გამოყენების შეზღუდვის შესახებ; ასევე უზრუნველყოფენ ამ ბრძოლაში კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას.[152]

ადამიანის უფლებათა დარღვევა, რომელიც საერთაშორისო დანაშაულს წარმოადგენს,შეიძლება განხორციელდეს როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს, აქედან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში დაირღვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლის ნორმები, რომლებიც, როგორც აღინიშნა,გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს. მაგრამ,ორივე შემთხვევაში,გამოიყენება იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნორმები, რომლებმაც სახელმწიფო

[152] Калугин В.В., Павлов Л.В., Фисенко И.В., Международное гуманитарное право, Минск, 1999.

გამოიყენეს საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის იარაღად.[153]

ამრიგად, როგორც საერთაშორისო და კონვენციური დანაშაულის მიმოხილვიდან გავარკვიეთ, ახალი ქართული კანონმდებლობა არსებითად შესაბამისობაშია მოყვანილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმებთან. საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების ტენდენცია საქართველოში შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს.

[153] Черниченко С.В., Права человека и гуманитарная проблематика в современной дипломатии (Москва, журнал международного права, 1992, N 3, с. 35.

თავი XVII

დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ

აგრესიის აქტის დაგეგმვა, მომზადება დაწყება ან წარმოება (მუხლი 404-ე)

ჯერ კიდევ 1923 წელს ერთა ლიგამ აგრესიული ომი საერთაშორისო დანაშაულად აღიარა.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1974 წლის 14 დეკემბერს მიიღო რეზოლუცია აგრესიის ცნების განსაზღვრის შესახებ. რეზოლუციაში დაფიქსირებულია, რომ „აგრესიას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან მისი განხორციელება სხვა ისეთი ხერხით, რაც არ შეესაბამება გაეროს წესდებას“.

1994 წლის კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტით აგრესია ფაქტობრივად 1974 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მსგავსად განისაზღვრა,როგორც სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის,ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან სხვა ისეთი ხერხით, რაც შეუთავსებელია გაეროს წესდებასთან. აგრესორის განმარტებას საფუძვლად ედება აგრესიის აქტის ინიციატივის ნიშანი. აღსანიშნავია, რომ რომის სტატუტმა ვერ განსაზღვრა აგრესიის ცნება და მიუთითა, რომ აგრესიის დანაშაულზე საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილება განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც განისაზღვრება ამ დანაშაულის ცნება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელყოფს სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას,იწვევს ადამიანთა გაუმართლებელ მსხვერპლს,მშვიდობიანი მოსახლეობის, ქალებისა და ბავშვების უზომო ტანჯვას, სამეურნეო ობიექტების, არქიტექტურული და კულტურის სხვა ძეგლების დაზიანებასა და განადგურებას,ხელყოფს ყველაფერ იმას,რითაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოთა და ხალხთა შორის

დავისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება.

კოდექსის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ძირითად წყაროს წარმოადგენს გაეროს წესდება, გერმანელ და იაპონელ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა საერთაშორისო სასამართლოს წესდება (ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესი), ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის 1991 და 1994 წლების საერთაშორისო ტრიბუნალის წესდებები და 1974 წლის 14 დეკემბერს მიღებული რეზოლუცია „აგრესიის განსაზღვრის“ შესახებ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აგრესიის ფაქტის არსებობას ადგენს გაეროს უშიშროების საბჭო და მას სავალდებულო ხასიათი აქვს ქვეყნის სასამართლოებისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია მშვიდობა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებს,მისი პირველი ნაწილით, წარმოადგენს აგრესიის აქტის დაგეგმვა ან მომზადება; ხოლო მეორე ნაწილით კი – აგრესიის აქტის დაწყება ან წარმოება.

აგრესიის აქტის დაგეგმვაში იგულისხმება აგრესიული აქტის იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო კონცეფციის შემუშავება, სამხედრო მოქმედებათა სტრატეგიისა და ტაქტიკის შედგენა, სათანადო სამობილიზაციო და ორგანიზაციულ-ტექნიკური გეგმებისა და პროექტების შედგენა; მატერიალურ-ტექნიკური და ომის წარმოების სხვა რესურსების გაანგარიშება; შეიარაღებული ძალების სტრუქტურის, შემადგენლობის, დისლოკაციის წინადადებათა შემუშავება, სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია, ინფორმაციული საქმიანობა და აგრესიის განხორციელების სხვა საწყისი ეტაპები. აგრესიის დაგეგმვა არ შემოიფარგლება სამხედრო გეგმის შემუშავებით, იგი ასევე მოიცავს აგრესიის აქტის განხორციელების ეკონომიკურ, დი პლომატიურ, პოლიტიკურ პირობათა შექმნას.

ამ თავის მიზნებისთვის **„აგრესიის აქტი“ ნიშნავს** სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენებას სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან სხვაგვარად, რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ მუხლით გათვალისწინებული ისეთი აგრესიის აქტის დაგეგმვისთვის, მომზადებისთვის, დაწყებისთვის ან წარმოებისთვის, რომელიც თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბით აშკარად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

404-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს აგრეთვე **აგრესიის აქტის მომზადებას.** ეს უკვე კონკრეტული მოსამზადებელი მოქმედებაა, როგორც ყველა სხვა დანაშაულის მომზადების სტადია. აგრესიის აქტის მომზადება ქმნის აგრესიის აქტის გაჩაღებისა და წარმოების სათანადო პირობებს. მომზადებისას ხდება ორგანიზაციულ-სამხედრო და მატერიალურ-ტექნიკური ხასიათის ზომებისა და ღონისძიებების რეალური განხორციელება აგრესიის აქტის დაწყების უზრუნველყოფის მიზნით. მომზადებას მიეკუთვნება, მაგალითად, სამხედრო ფორმირებათა დისლოკაციის ადგილის შეცვლა, მათი სამხედრო მოქმედებათა რაიონში დაჯგუფება, რეზერვისტების გამოძახება, დაქირავებულ პირთა შეგზავნა, მრეწველობის გადაყვანა სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე, კონფლიქტის პროვოკაციის მიზნით ცალკეული ნავსადგურის ბლოკირება და სხვა ისეთი მოქმედება, რომელსაც მოჰყვება აგრესიის აქტის გაჩაღება. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედების მიზანი უნდა იყოს მომავალი აგრესიის განხორციელება.

დანაშაული ობიექტური ნიშნებით მიეკუთვნება ფორმალურ დანაშაულთა შემადგენლობას. ამიტომაც დანაშაული დამთავრებულად ითვლება 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივი მრავალგვარია: კარიერიზმი, ამა თუ იმ პოლიტიკურ ან სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში თავისი ავტორიტეტის განმტკიცება, არასწორად გაგებული სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესი და სხვა.

დანაშაულის სუბიექტი ზოგადია. იგი არის 14 წელს მიღწეული ფიზიკური შერაცხადი პირი. პრაქტიკულად კი, ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნებიდან გამომდინარე, სუბიექტი უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს, რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო აქვს სახელმწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო მოქმედებების ეფექტიანი კონტროლის ან ხელმძღვანელობის შესაძლებლობა.

ბრალის ფორმის მიხედვით დანაშაული გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. როგორც წესი, განზრახვა შეიძლება იყოს არაკონკრეტიზებული და ალტერნატიული. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ გეგმავს ან ამზადებს აგრესიის აქტს, განზოგადებული სახით ითვალისწინებს მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს იგი.

სისხლის სამართლის კოდექსის **404-ე მუხლის მე-2 ნაწილში** მო-

ცემულია ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები, სახელდობრ, **აგრესიის აქტის დაწყება და წარმოება.**

საერთაშორისო სამართლის მიხედვით **აგრესიის აქტის დაწყება** უკვე აგრესიის ფაქტია, რომელიც წინ უძღვის ფართომასშტაბიანი აგრესიის აქტის წარმოებას. მასში იგულისხმება დი პლომატიურ ან სამხედრო ხასიათის სხვადასხვა აქციის განხორციელება: სხვა სახელმწიფოს მესაზღვრეებზე ეპიზოდური შეიარაღებული თავდასხმა, დი პლომატიური დემარში, გემის გატაცება და სხვა.

აგრესიის აქტის წარმოებაში იგულისხმება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ სრული და ფართომასშტაბიანი აგრესიის განხორციელება სამხედრო ოპერაციების გამოყენებით.

404-ე მუხლის მე-2 ნაწილიც პირდაპირი განზრახვის არსებობას გულისხმობს.

დანაშაულის სუბიექტად, ფაქტობრივად, გვევლინება მხოლოდ ის პირი,რომლის კომპეტენციაშიც საქართველოს კონსტიტუციით შედის უმნიშვნელოვანესი სამხედრო ხასიათის საკითხების გადაწყვეტა და ომის გამოცხადება.

მოწოდება აგრესიის აქტის დაგეგმვისაკენ, მომზადებისაკენ, დაწყებისაკენ ან წარმოებისაკენ (მუხლი 405-ე)

განსახილველი დანაშაულის საერთაშორისო საშიშროება მდგომარეობს სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მექანიზმისათვის იდეოლოგიური,პოლიტიკური,ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებაში. აგრესიის აქტის დაგეგმვის, მომზადების, დაწყების ან წარმოებისაკენ საქვეყნოდ მოწოდება წარმოადგენს აგრესიის ფსიქოლოგიურ მომზადებას. იგი განსხვავდება აგრესიის აქტის მომზადებისაგან ფსიქოლოგიურ-ინფორმაციული შინაარსით, რომელიც გამიზნულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში სახელმწიფოთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისას აგრესიის აქტის იდეის, მისი აუცილებლობისა და მართლზომიერების შთანერგვისაკენ. აგრესიის აქტის წარმოებისაკენ საქვეყნო მოწოდება აყალიბებს ომის წარმოების მორალური გამართლების სოციალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს და ზოგიერთ შემთხვევაში უზრუნველყოფს იმ მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მხარდაჭერას, რომლებიც კომპეტენტური არიან მიიღონ გადაწყვეტილება აგრესიის აქტის დაწყების ან მისი წარმოების შესახებ.

405-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია საერთაშორისო მშვიდობა და მშვიდობიანი თანაარსებობა, მსოფლიოს ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური უშიშროება, ხალხთა მსოფლმხედველობით ღირებულებათა სისტემა, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოთა შორის საკითხების ძალადობრივი გზით გადაწყვეტის საშიშროებას.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში საქვეყნო მოწოდება აგრესიის აქტის წარმოებისაკენ.

„საქვეყნოდ მოწოდება“ გულისხმობს პირთა თანდასწრებით აგრესიის აქტის დაგეგმვის, მომზადების, დაწყებისა თუ წარმოების იდეით მიმართვას. მოწოდება შეიძლება მიმართული იყოს **მთელი ქვეყნის ან გარკვეული რეგიონის** მოსახლეობისადმი.

“მოწოდება“ არის მსმენელთა ამა თუ იმ აუდიტორიისადმი ზეპირი ან წერილობითი მიმართვა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის აქტის განხორციელების მიზანშეწონილებისა ან აუცილებლობის დასაბუთებით. **დანაშაული დამთავრებულია** ზეპირსიტყვიერი გამოსვლის მომენტიდან. აგრესიის აქტის წარმოებისაკენ მოწოდება **საქვეყნოდ ჩაითვლება ასევე,** თუ იგი ჩამოყალიბებულია მიმართვის წერილობითი ფორმით: ადრესატთა გარკვეული ჯგუფისათვის შესაბამისი ტექსტის ფოსტით გაგზავნით, ხელნაწერი ან ტიპოგრაფიული წესით დამზადებული ფურცლების,სათანადო ხასიათის პლაკატის ან ლოზუნგის გამოკვრით და სხვა. დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება და დამთავრებულია გარემოებათა შემდგომი განვითარებისა და დამდგარი შედეგის მიუხედავად. არა აქვს მნიშვნელობა, შეძლო თუ არა დამნაშავემ აგრესიის აქტის პროვოცირება.

აგრესიის აქტის საქვეყნოდ მოწოდება განსხვავდება აგრესიული ომის გაჩაღების ნამქეზებლობისაგან ნაკლები კონკრეტიზაციითა და უფრო დიდი იდეოლოგიზაციით. მას ზოგადი ხასიათი აქვს და არ გულისხმობს კონკრეტული პირის ნებაზე უშუალო ზეგავლენის მოხდენას. მოწოდებას შეიძლება ჰქონდეს ეპიზოდური ხასიათი, მაგრამ აუცილებელია, რომ მას თან ახლდეს აგრესიის აქტის დაწყების მიზანი და არა აბსტრაქტული ანტი პაციფიზმი.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს რელიგიური, ეროვნული შეუწყნარებლობა და მტრობა, კარიერიზმი და სხვა. მოტივსა და მიზანს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა.

რაც შეეხება **დანაშაულის სუბიექტს**, იგი 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კერძო პირია, მიღწეული გარკვეულ ასაკს.

ბრალის ფორმის მიხედვით დანაშაული განზრახია. კერძოდ, იგი გულისხმობს პირდაპირ განზრახვას.

ამ მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ აგრესიის აქტის დაგეგმვის, მომზადების, დაწყების ან წარმოებისაკენ საქვეყნო მოწოდება ჩადენილია საინფორმაციო საშუალებით ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ. ამრიგად, მაკვალიფიცირებელ გარემოებად, ერთი მხრივ, გვევლინება დანაშაულის ჩადენის საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის სუბიექტი.

საინფორმაციო საშუალებებს მიეკუთვნება პირთა განუსაზღვრელი წრისათვის განკუთვნილი ბეჭდვითი, აუდიო, აუდიოვიზუალური და სხვაგვარი საშუალებები, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა, რადიო, ტელე, ვიდეოპროგრამა, კინოქრონიკის პროგრამა; მასობრივი ინფორმაციის პერიოდული გავრცელების სხვა საშუალებები.

მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შეძენა ან გასაღება (მუხლი 406-ე)

საერთაშორისო სამართალში ტერმინი „ომის დანაშაული" ფართოდ არის გავრცელებული. რომის სტატუტი, ხმარობს რა ტერმინს „ომის დანაშაული",მასში ძირითადად გულისხმობს ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით აკრძალულ ქმედებას,თუმცა სტატუტში ადგილი ეთმობა ასევე უშუალოდ ომის დანაშაულსაც.

სტატუტის მე-8 მუხლი, რომელიც „ომის დანაშაულს" განიხილავს, საკმაოდ ფართოა. იგი მოიცავს ომის დანაშაულთა ორ კატეგორიას, რომელთაგან ორი საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს მოიცავს, ორი კი – არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ „სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს ომის დანაშაულებზე, კერძოდ, თუ ისინი ჩადენილია ფართომასშტაბიანი ომის გეგმის ან პოლიტიკის ნაწილის სახით. მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია იმ დანაშაულთა ჯგუფი, რომელიც წესდების მიზნიდან გამომდინარე, „ომის დანაშაულს" ნიშნავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ჩამონათვალში მოცემულია მრავალი დანაშაული, რაც ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ის დანაშაულები,რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 406-ე მუხლში არ არის ასახული. სახელდობრ: შხამიანი ნივთიერების ან მოწამლული იარაღის გამოყენება; მგუდავი, მომწამვლელი ან სხვა აირების, აგრეთვე ყოველგვარი მსგავსი ხასიათის მასალის ან საშუალების გამოყენება; ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადვილად ფეთქდება ან ბრტყელ-

დება ადამიანის სხეულში,როგორიცაა მყარგარსიანი ტყვიები,რომლის გარსი არ ფარავს ტყვიის მთელ გულს ან აქვს ჩანაჭრები; ისეთი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ტექნიკის, აგრეთვე ომის წარმოების ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც იწვევს გადაჭარბებულ ზიანს ან უსარგებლო ტანჯვას, ან რომელიც იწვევს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ნორმათა განურჩეველ დარღვევას,ამასთან,თუ ასეთი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ტექნიკა, აგრეთვე ომის წარმოების ასეთი მეთოდები საყოველთაოდ აკრძალულია.

მასობრივი განადგურების იარაღის დამზადების, შეძენისა და გასაღების საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოთაშორისო ან შიდანაციონალური კონფლიქტის არსებობისას შეიძლება შეიქმნას მათი გამოყენების რეალური შესაძლებლობა, როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის საშუალება იმ მხარის სასარგებლოდ, რომელიც ფლობს ამ იარაღს; ეს კი, თავის მხრივ, ქმნის ადამიანთა მასობრივი მოსპობის, ცხოველებისა და მცენარეული სამყაროს მოწამვლისა და განადგურების, კონფლიქტის რეგიონში საზოგადოებისა და გარემოსათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რეალურ საშიშროებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 406-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტია საერთაშორისო ურთიერთობები ქიმიური, ბიოლოგიური ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღის მიმოქცევის სფეროში, რომელიც აკრძალულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

ამ დანაშაულის საგანი მისი შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია. იგი ყველა სახის მასობრივი განადგურების იარაღია. მისი ცნება განმარტებული იყო გაეროს მიერ 1948 წელს. საერთაშორისო კანონმდებლობა მასობრივი განადგურების იარაღად თვლის ისეთ იარაღს, რომელიც მოქმედებს ნებისმიერი აფეთქების გზით ან რადიაქტიური მასალის დახმარებით, სასიკვდილო ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ, ტოქსიკურ და ყველა სხვა იარაღს, რომელიც შემუშავებულ იქნება მომავალში და რომელსაც ექნება ატომური ბომბის ან სხვა ზემოთ ჩამოთვლილი იარაღის თავისებურება და შეეძლება მოსპოს ადამიანები ან მიაყენოს ზიანი მათ ჯანმრთელობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 406-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულის ობიექტური ნიშნები** გამოიხატება მასობრივი განადგურების იარაღის დამზადებაში,შენახვასა ან გასაღებაში. რაც შეეხება ქიმიური, ბიოლოგიური ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღის დამზადებას, იგი გულისხმობს სათანადო სამუშაოს ჩატარების შედეგად მზა პროდუქციის მიღებას მისი პრაქტიკული გამოყ-

ენებისათვის. ხოლო ამგვარი იარაღის შეძენა ნიშნავს მის დაუფლებას ყველა ხერხითა და საშუალებით: შესყიდვით, ჩუქებით, გაცვლით, მითვისებითა და სხვა. გასაღებად ითვლება მასობრივი განადგურების იარაღის სასყიდლით ან უსასყიდლოდ გასხვისება (მაგალითად, მისი მიყიდვა ფიზიკური ან იურიდიული პირებისა ან კიდევ სახელმწიფოსათვის).

ეს დანაშაული დამთავრებულია მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი ობიექტური ნიშნის განხორციელების მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ სისხლის სამართლის კოდექსის 406-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს; არ არის გამორიცხული ანგარებაც, თუმცა მოტივს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს ყველა სათანადო ასაკს მიღწეული ფიზიკური, შერაცხადი პირი.

ბრალის ფორმის მიხედვით სახეზეა განზრახი დანაშაული. კერძოდ, მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით.

მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შეძენა ან გასაღება, როგორც საერთაშორისო დანაშაული, **უნდა განვასხვაოთ** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლით გათვალისწინებული მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტისაგან,რომლის მიმართაც დადგენილია სპეციალური საექსპორტო კონტროლი. ამ დანაშაულის ხელყოფის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება და დამნაშავე სუბიექტის მიზანს არ წარმოადგენს მომავალში მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში.

გენოციდი (მუხლი 407-ე)

ეტიმოლოგიურად სიტყვა „გენოციდი“ ლათინური „გენს“ – გვარი, ტომი და „ცეადერე“ – მოკვლისაგან არის წარმოშობილი. გენოციდის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში მითითებულ ქმედებათა შედეგად განსაზღვრული ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობაში ან მისი მოსპობის საფრთხის შექმნაში.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღიარე-

ბულია, რომ ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუვალობის უფლება; რომ არავის მიმართ არ შეიძლება წამების გამოყენება; სასტიკი,არაადამიანური მოპყრობა,მისი ღირსების შელახვა; ადამიანი, სადაც უნდა იმყოფებოდეს, სამართალსუბიექტად უნდა იქნეს აღიარებული; ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და მისი უფლებები თანაბრად უნდა იყოს დაცული.

გენოციდის დანაშაულის აკრძალვისა და მისთვის სასჯელის დანიშვნის შესახებ კონვენცია მიღებულ იქნა 1948 წლის 9 დეკემბერს.

უნდა შევნიშნოთ,რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლის დისპოზიცია პრაქტიკულად ასახავს იმ განმარტებას, რომელიც მოცემულია 1948 წლის კონვენციაში. კონვენცია გენოციდად თვლის ყველა მოქმედებას,რომელიც მიმართულია ამა თუ იმ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდებაში (რომის სტატუტი), რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 17 ივლისს, გენოციდის დანაშაულის ჩართვა თავიდანვე იყო განზრახული. საბოლოოდ გადაწყდა, რომ გენოციდის შესახებ 1948 წლის კონვენციის საფუძველზე მისი დეფინიცია უცვლელი დარჩებოდა, მხოლოდ დაემატებოდა სიტყვები: „ამ სტატუტის მიზნებისათვის".

გენოციდს შეიძლება ჰქონდეს როგორც საერთაშორისო,ისე შეიარაღებული კონფლიქტის არსებობისას შიდასახელმწიფოებრივი ხასიათიც. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შიდასახელმწიფოებრივ გენოციდს ადგილი ჰქონდა აფხაზეთში, სადაც დაიღუპა ათასობით ქართველი და კიდევ მეტი დევნილი გახდა საკუთარ ქვეყანაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, გენოციდის დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია კაცობრიობის მშვიდობისა და ადამიანურობის საფუძვლები, ანუ ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის უსაფრთხოების საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის ინტერესი.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული დანაშაულის არსიდან გამომდინარე, დაზარალებულად გამოდიან არა ცალკეული პირები ან ჯგუფის წევრები, არამედ მთლიანად ის ჯგუფები, რომელთა მოსასპობადაც არის მიმართული ეს დანაშაული.

ობიექტური ნიშნის მიხედვით დანაშაული ფორმულირებულია როგორც შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად ჩადენილი ქმედება, მიმართული სათანადო ჯგუფისა და შობადობის სტადიაზე მათი შთამომავლობის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობისაკენ. და-

ნაშაულის შემადგენლობა აგებულია, როგორც ჯგუფის განადგურების საფრთხის შექმნისაკენ მიმართული ქმედება (მაგალითად, ჯგუფის წევრთა მკვლელობა და ა.შ.). აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიზნის ფაქტობრივი მიღწევა სავალდებულო არ არის. მძიმე შედეგის დადგომა გენოციდის შემადგენლობაშია გათვალისწინებული და სანქციის ფარგლებში ამძიმებს დამნაშავის პასუხისმგებლობას.

სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლი აკონკრეტებს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მოსპობის სხვადასხვა საშუალებას, მისი ჩამონათვალი მუხლში ამომწურავია. ეს არის: 1. ჯგუფის წევრთა მკვლელობა; 2. მათი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. 1948 წლის კონვენცია ამ ცნებაში გულისხმობს როგორც ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, ასევე ცალკე გამოყოფს დაზარალებულის სულიერ დაავადებას; 3. ჯგუფისათვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნა მათი მოსპობის მიზნით: ეკონომიკური ბლოკადა, ეკოლოგიური უბედურების გარემოებათა განზრახ შექმნა,ეკოსისტემის კომპონენტებით დასნებოვნება, იმ საქმიანობის აკრძალვა, რომელიც პირთა ჯგუფის არსებობის ძირითადი წყაროა და სხვა; 4. შობადობის ძალით შემცირება, რომლის განხორციელების ხერხი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: გენური ინჟენერია,იძულებითი სტერილიზაცია,კასტრაცია რეპროდუქციულ ასაკში, იძულებითი კონტრაცეფცია და სხვა; ასევე სახელმწიფოს მიერ ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც სასჯელის გამოყენების მუქარით უკრძალავენ ამ ჯგუფის მოქალაქეებს შვილის ყოლას ან უზღუდავენ ბავშვების რაოდენობას; 5. ბავშვის იძულებითი გადაცემა ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში, როდესაც მშობელს ეკარგება შესაძლებლობა აღზარდოს შვილი სათანადო ჯგუფის ცხოვრებისა და ბინადრობის პირობებში, კლიმატური ან სხვა ბუნებრივი პირობების შეუსაბამო გარემოში და სხვა.

გენოციდი დამთავრებულია კანონით აკრძალული მოქმედების ჩადენის მომენტიდან, თუნდაც მისი მიზანი ვერ განხორციელდეს.

სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლში მითითებული სიტყვები „მთლიანად ან ნაწილობრივ“ მიუთითებენ რაოდენობრივ ასპექტზე. მსხვერპლის ან პოტენციური მსხვერპლის რაოდენობა მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

სუბიექტური მხრივ სახეზეა მიზნით დაფუძნებული (გამიზვნითი) დელიქტი-შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად გარკვეული ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობა. ძირითადად სწორედ ეს მიზანი განასხვავებს გენოციდს სამხედრო ოპერაციაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში ისეთი საშუალების, მასალის

ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებისაგან, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით (მუხლი 413-ე, პუნქტი „გ"), ასევე ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულისაგან, როგორიცაა მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და სხვა. ასევე განსახილველ შემთხვევაში აუცილებელია არსებობდეს შეთანხმებული გეგმა, რომლის მიხედვითაც მოქმედებს დამნაშავე. ამდენად, ეს მიზანი ამ დანაშაულში არის **ქმედების ნიშანი**. ამიტომ თანაამსრულებლისა თუ თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას გამოიყენება სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი – ეს დანაშაული შეერაცხება იმასაც, ვის მხარესაც ეს ნიშანი არ იყო (არ მოქმედებდა ამ მიზნით), მაგრამ გაცნობიერებული ჰქონდა ეს ნიშანი (იცოდა, რომ ამსრულებელი ამ მიზნით მოქმედებდა).[154]

გენოციდის დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა ფიზიკური შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან.

ბრალის ფორმის მიხედვით სახეზეა განზრახი დანაშაული. კერძოდ, მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით, რაც შეიძლება იყოს როგორც კონკრეტიზებული (ჩადენილი პირთა ჯგუფის მთლიანი ამოწყვეტის მიზნით), ისე ალტერნატიული (მათი მთლიანი ან ნაწილობრივი ამოწყვეტის მიზნით).

დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (მუხლი 408-ე)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლის შემადგენლობის განხილვის დაწყებამდე,ყურადღება უნდა გავამახვილოთ საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებაში, ასევე შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნების დამთხვევას. ვფიქრობთ, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში არსებული ნორმები ამ თვალსაზრისით გადასახედია, ფაქტობრივად, ერთი და იგივე დანაშაულებრივი ქმედება რეგლამენტირებულია კოდექსის სხვადასხვა მუხლით, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ომი ეს არის სახელმწიფოებსა ან ხალხებს შორის შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც ჩვეულებრივ დიდ მსხვერპლსა და ტანჯვას იწვევს როგორც სამხედრო მოქმედებათა მონაწილეებს, ისე მშვიდობიან მოსახლეობას შორის. ამიტომ საერთაშორისო საზოგადოება მრავალი

[154] ამ საკითხზე იხ. ნ. თოდუა, წიგნში; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლექ. თბ. 2016, გვ. 356-361

წელია მუშაობს ომის ჰუმანიზაციის საშუალებისა და მეთოდის ძიებაზე, მსხვერპლის გონივრულ შეზღუდვაზე, სამხედრო მოქმედებისაგან მოსახლეობის ტანჯვისა და მატერიალური დანაკარგის შემცირებაზე. ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დასჯადობის რეგლამენტაცია ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაბამიდან იწყება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ **ომის წარმოების წესი** რეგულირებულია არა მარტო კონვენციებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით, არამედ ომის ჩვეულებითაც. ეს პირდაპირ არის აღიარებული გერმანიის მთავარ სამხედრო დამნაშავეთა მიმართ ნიურნბერგში გამოტანილ განაჩენში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შემუშავებისას მწვავედ იდგა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სხვა დანაშაულისაგან განსხვავების საკითხი. საბოლოოდ დადგინდა, რომ **რომის სტატუსის მე-7 მუხლი შეიარაღებული კონფლიქტის არსებობას არ მოითხოვს.** იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ მისი განხორციელება უდიდეს და გაუმართლებელ ზიანს აყენებს სამოქალაქო მოსახლეობას, რომლებსაც ბრალი არ მიუძღვით ომის დანაშაულში.

ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის წარმოების ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება; მათი საყოველთაოდ აღიარებული უფლებები. დანაშაულის ობიექტური მხარე ნორმის დისპოზიციაში საკმაოდ დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული: ნებისმიერი ქმედება ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში,რაც გამოიხატა მკვლელობით,ადამიანთა მასობრივი განადგურებით, დეპორტაციითა და სხვა ქმედებით, რომელიც კოდექსის მუხლში მითითებულია, ასევე სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას.

საერთაშორისო სამართლის ნორმებში ხაზგასმულია, რომ სამოქალაქო მოსახლეობა, რომელიც ომში არ მონაწილეობს, ხელშეუვალია. სამოქალაქო მოსახლეობას მიეკუთვნება კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოს მოსახლეობა, სხვა სახელმწიფოს, მათ შორის ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქე, რომლებიც არ მონაწილეობენ შეიარაღებულ კონფლიქტში და, ამრიგად, არ არიან კანონიერი კომბატანტე-

ბი, ასევე იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც არ მოუწერია ხელი ჟენევის კონვენციასა და მის დამატებით პირველ ოქმზე. სამოქალაქო მოსახლეობა კარგავს თავის სტატუსსა და დაცვის უფლებას, თუ მის შემადგენლობაში არსებობს სამხედრო ქვედანაყოფიანი ფორმირება. ომიანობის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ჟენევის კონვენციის მე-4 მუხლში მითითებულია, რომ ეს კონვენცია იცავს იმ პირებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის ან ოკუპაციის დროს გარკვეულ მომენტში იმყოფებიან კონფლიქტის მონაწილე იმ ერთ-ერთი მხარის ბატონობის ქვეშ, რომლის მოქალაქეებიც არ არიან.

რომის სტატუტის მე-7 მუხლის თანახმად, „თავდასხმა, მიმართული სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ" ნიშნავს ქმედებას, რომელიც მოიცავს მრავალი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას,რაც გათვალისწინებულია ამ მუხლში, მაგალითად, მკვლელობას, განადგურებას, დამონებას, დეპორტაციასა და სხვა. იგი გულისხმობს მითითებულ ქმედებათა მრავალჯერად ჩადენას, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, სახელმწიფოს ან ასეთი თავდასხმის განხორციელებისაკენ მიმართული ორგანიზაციის პოლიტიკის გატარებას ან მის ხელშეწყობას. ამრიგად, სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა განგრძობადი მოქმედებაა.

საქართველოს კანონმდებლობა იყენებს ტერმინს „ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა". სწორედ ფართო მასშტაბი და სისტემატურობა აქცევს ამ დანაშაულს არა მხოლოდ იმ სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში, რომელსაც უშუალოდ ეხება ეს დანაშაული, არამედ საერთაშორისო საზოგადოებრიობისა მთლიანად. უნივერსალური იურისდიქცია გამართლებულია დანაშაულის მასშტაბურობითა და საშიშროებით. ქმედების 408-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის საკმარისია თავდასხმის ფართომასშტაბიანობის ან კიდევ სისტემატურობის დადგენა. ორივე ამ ნიშნის არსებობა დანაშაულის კვალიფიკაციისათვის სავადებულო არ არის.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ობიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშნად მითითებულია სამოქალაქო მოსახლეობის დეპორტაცია. **დეპორტაციაში იგულისხმება** სამოქალაქო მოსახლეობის იძულებითი განდევნა და გადაადგილება თავიანთი კანონიერი საცხოვრებელი ადგილიდან: სამხედრო მოქმედების რაიონიდან ან ოკუპირებული ტერიტორიიდან. ომიანობის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის კონვენციის თანახმად, ასევე იკრძალება მათი დეპორტირება ოკუპირებული ტერიტორიიდან ოკუპანტ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ყველა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იმისდა მიუხედავად, ოკუპირებულია თუ არა იგი,

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული **დანაშაული დამთავრებულია** ზემოაღნიშნულ მოქმედებათა ჩადენის მომენტიდან.

ბრალის ფორმის მიხედვით დანაშაული პირდაპირ განზრახვას გულისხმობს როგორც კონკრეტიზებულ და არაკონკრეტიზებულ, ისე განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი განზრახვის სახით. საერთაშორისო დანაშაულთა უმრავლესობისათვის ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ოდენობის გაცნობიერება დამნაშავის მიერ, როგორც წესი, არ არის კონკრეტიზებული.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული ყველა შერაცხადი ფიზიკური პირი, მაგრამ როგორც საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობის პრაქტიკამ დაგვანახა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში ძირითადად მიეცემიან სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეების უმაღლესი თანამდებობის პირები.

ეკოციდი (მუხლი 409-ე)

ეკოციდი სიტყვასიტყვით ნიშნავს „ბუნების მკვლელობას". 1977 წლის 18 მაისს ხელმოწერილ იქნა საერთაშორისო კონვენცია ომის წარმოების ისეთი საშუალების გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომელიც მავნე ზემოქმედებას ახდენს გარემოზე. ეკოციდი გამოცხადებული იყო კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დანაშაულად. ეკოციდის საერთაშორისო საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ 409-ე მუხლში გათვალისწინებულმა დანაშაულმა შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიური კატასტროფა ან შექმნას მისი განხორციელების საფრთხე. მან შეიძლება მეტად მძიმე და დამანგრეველი შედეგი გამოიწვიოს ადამიანის, ცხოველთა და მცენარეული სამყაროს გენოფონდისათვის. საქართველოში 1996 წლის 26 დეკემბერს მიღებულია კანონი გარემოს დაცვის შესახებ, რომლის მეორე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან[155].

აქედან გამომდინარე, რამდენადაც ეკოციდს ტრანსნაციონალური ხასიათი გააჩნია,იგი გამოყოფილია სხვა ეკოლოგიური დანაშაულისაგან და მოთავსებულია კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში.

[155] პარლამენტის უწყებები, საკანონმდებლო დამატება, №1-2, საქართველოს კანონები, 1996, გვ. 24.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 409-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია** ადამიანთა ბინადრობის ბუნებრივი გარემო. ეკოციდის საგანს წარმოადგენს ატმოსფერო, მიწა, წყლის რესურსები, ცხოველთა და მცენარეული სამყარო, კოსმოსური სივრცე და ეკოსისტემის სხვა კომპონენტები.

ამ დანაშაულის ობიექტური ნიშნებია: 1. ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსების მოწამვლა; 2. ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივნისს. ამ კანონშიც ხაზგასმულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა მნიშვნელობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის თაობაზე. საქართველოში წყლის შესახებ კანონი მიღებულ იქნა 1996 წლის 16 ოქტომბერს. მასში მითითებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ ეფუძნება სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

ცხოველთა სამყაროში იგულისხმება ყველა იმ სახის გარეული ცხოველისა და ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც მუდმივად ან დროებით სახლობენ საქართველოს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე მხარეში და რომლებიც ბუნებრივი თავისუფლების პირობებში იმყოფებიან ასევე ის ცხოველები, რომლებიც მიეკუთვნებიან კონტინენტური შელფის ბუნებრივ რესურსებს.

მცენარეულ სამყაროდ კი ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე მხარეში გარკვეული რაოდენობით არსებული სხვადასხვა სახისა და ფორმის მცენარეთა ერთობლიობა.

გარემოს სხვა ობიექტს შეიძლება მიეკუთვნოს ყველა ის ობიექტი, რომელსაც შესაძლოა მიადგეს ზიანი 409-ე მუხლით გათვალისწინებული ეკოციდის ჩადენისას; მაგალითად, კოსმოსური ბუნებრივი ობიექტი, ატმოსფეროს ოზონის შრე, ბუნებრივი რადიაციული ფონი, მოქმედი ვულკანები და სხვა.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული,ამ დანაშაულის ობიექტური მხარე სხვადასხვა ქმედებაში გამოიხატება. კანონი, პირველ რიგში, მიუთითებს ატმოსფეროს, მიწისა და წყლის რესურსების მოწამვლაზე. **მოწამვლა გულისხმობს** აღნიშნული ობიექტების გაჯერებას ქიმიური ან ბიოლოგიური, ასევე რადიაქტიური ნივთიერებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ასევე ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე. ამ დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს ასევე ცხოველთა და მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება. იგი გულისხმობს ადამიანის საწარმოო ან სხვაგვარი საქმიანობის შედეგად გამოწვეულ ცხოველებისა ან მცენარეული სა-

მყაროს ამა თუ იმ სახეობისა თუ ფორმის მოსპობას. **განადგურება მასობრივად ჩაითვლება,** თუ იგი მოიცავს ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს განუსაზღვრელ ჯგუფს. სხვა ქმედებას, რომელსაც ძალუძს ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს, უნდა მივაკუთვნოთ ადამიანის სამეწარმეო, სამეცნიეროკვლევითი და სხვაგვარი საქმიანობა, რაც წინდახედულობის ნორმების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს.

ყველა ზემოალნიშნული ქმედება კოდექსის **409-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში,** თუ მას შეუძლია ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა. ეკოლოგიურ კატასტროფაში იგულისხმება ბუნებაში ეკოლოგიური თანაფარდობის სერიოზული დარღვევა,რომელიც იწვევს ცოცხალი ორგანიზმების სრულ ან არსებით განადგურებას, ან მათი რაოდენობის შემცირებას, ნივთიერებათა ბიოტოკური მიმოქცევისა და სხვა ბიოლოგიური პროცესების ცვლილებათა ციკლის დარღვევას. **ეკოციდი დანაშაულთა მატერიალურ შემადგენლობას** მიეკუთვნება.

იგი დამთავრებულია 409-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შედეგის დადგომის მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ეს შეიძლება იყოს არასწორად გაგებული სახელმწიფო ან სამხედრო ხასიათის ინტერესი და სხვა.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, თუმცა იგი ძირითადად მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ან საქართველოს შეიარაღებულ ძალთა თანამდებობის პირია.

ბრალის ფორმის მიხედვით ეკოციდის დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 კარში მოცემულია მრავალი დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ. თუმცა დანაშაულები ხელყოფენ გარემოს, მას ეკოციდისაგან განსხვავებით ვერ ჩავთვლით საერთაშორისო დანაშაულად. მითითებული ნორმები ბლანკეტურ ხასიათს ატარებს და დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია სათანადო ნორმატიულ აქტებთან მათი შეჯერება. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიამ გამოიწვია ჰაერის,წყლისა და მიწის რადიაქტიური დაბინძურება არა მარტო რუსეთში, არამედ უკრაინის, ბელორუსის, სკანდინავიის ქვეყნებშიც, ამიტომ ობიექტურად საერთაშორისო დანაშაულად გადაიქცა.

დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში (მუხლი 410-ე)

დაქირავებულ პირთა მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. მაგრამ ამ მოვლენამ განსაკუთრებული გავრცელება პოვა XX საუკუნის მეორე ნახევარში,როდესაც გახშირდა ლოკალური ომები. საერთაშორისო სისხლის სამართალში დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში განიხილებოდა მეკობრეობასა და სხვა ე.წ. კონვენციურ დანაშაულთან ერთად. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ეს დანაშაული კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში მოათავსა, ცხადია, იგი საერთაშორისო დანაშაულად არის აღიარებული.

დაქირავებული პირის მონაწილეობა დანაშაულად და დასჯადად გამოცხადებულია გაეროს მთელი რიგი რეზოლუციებითა და გადაწყვეტილებებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული სრულად ასახავს იმ ნორმებს,რომლებიც მოცემულია 1989 წლის 4 დეკემბრის კონვენციაში. ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის საარსებო წყაროდ შეიარაღებულ კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებაში მონაწილეობა. ამგვარი ქმედება ამორალური და განსაკუთრებით საშიშია იმის გამო, რომ ადამიანთა საზოგადოებაში ყალიბდება გარკვეულ პირთა ჯგუფი, რომლის პროფესიულ საქმიანობას წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე პირთა მკვლელობა,ჯანმრთელობის მძიმე ან სხვაგვარი ზიანის მიყენება, ობიექტების ნგრევა-განადგურება, სახელმწიფოს ეროვნული სიმდიდრისა და სამოქალაქო მოსახლეობის ქონების გატაცება და სხვა. **აღნიშნული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია** საერთაშორისო ურთიერთობა სხვა სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალების გამოყენების სფეროში.

კოდექსის 410-ე მუხლში გათვალისწინებული **დანაშაული შემდეგი ალტერნატიული ობიექტური ნიშნებით ხასიათდება**: 1) დაქირავებულ პირთა შეგროვება; 2) მათი გაწვრთნა; 3) დაქირავებულის დაფინანსება ან სხვაგვარი მატერიალური უზრუნველყოფა; 4) მისი გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში.

დაქირავებულ პირთა შეგროვებაში იგულისხმება მოქმედება,

მიმართული დაქირავებული პირის მატერიალური უზრუნველყოფის შეთანხმების მიღწევაში. მასში იგულისხმება დასაქირავებელი პირების კანდიდატების მოძებნა, მსურველთა ჩაწერა, აგიტაცია, მათზე ფსიქიკური ზემოქმედება (შანტაჟი, დაპირება და ა.შ.) შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში ჩათრევის მიზნით. შეგროვების პროცესი მთავრდება შეთანხმების იურიდიული გაფორმებით,უმეტეს ად,ხელშეკრულების სახით. **გაწვრთნად ითვლება** უკვე დაქირავებული პირის მიმართ მოსამზადებელი საქმიანობის განხორციელება,მის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად (მაგალითად,სპეციალური სკოლის, ბანაკის, ბაზის ორგანიზაცია და დაქირავებულთა სწავლება) იარაღის, საბრძოლო მასალის, სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობის, ბრძოლის ტაქტიკური წარმოების ეფექტურად და მიზანშეწონილად გამოყენებისათვის.

დაქირავებულ პირთა დაფინანსება უნდა გავიგოთ, როგორც მათი გაწვრთნისა და შეიარაღებულ კონფლიქტსა თუ საომარ მოქმედებაში გამოყენებისათვის მატერიალური ბაზის შექმნა და დაქირავებულის მატერიალური უზრუნველყოფა (მაგალითად, დაქირავებული პირის სახელზე ბანკში ანგარიშის გახსნა, ფულადი ანაზღაურება, ოჯახისათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენა. მათ შესანახად თანხების გამოყოფა და სხვა). უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც წესი, დაქირავებულის მატერიალური ანაზღაურება საკმაოდ მაღალია და მრავალჯერ აღემატება რეგულარული არმიის ჯარისკაცის, ოფიცრისა და გენერლის ხელფასს. დაქირავებულ პირთა სხვაგვარი მატერიალური უზრუნველყოფა შეიძლება გამოიხატოს სამხედრო ატრიბუტიკით უზრუნველყოფაში, მათთვის შეიარაღებისა და ტექნიკის გადაცემაში და სხვა.

შეიარაღებულ კონფლიქტსა და საომარ მოქმედებაში **დაქირავებულის გამოყენებაში** იგულისხმება მისი უშუალო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებაში ან სამხედრო ხასიათის აქციებში როგორც საომარი მოქმედების რაიონში,ისე მის ფარგლებს გარეთ. რაც შეეხება დაქირავებული პირის გამოყენებას საომარი მოქმედების დროს მოკლულის ან დაჭრილის ნივთის, თუ მოქალაქეთა იმ ქონების დაუფლების მიზნით, რომელიც დატოვებულია საომარი მოქმედების ზონაში, ანუ მაროდიორობა, არ ქმნის 410-ე მუხლის დანაშაულის შემადგენლობას, იგი დაკვალიფიცირდება როგორც დამოუკიდებელი დანაშაული.

სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაული დამთავრებულად ითვლება** ზემოაღნიშნული ერთერთი მოქმედების განხორციელების მომენტიდან (ფორმალური შემადგენლობა).

ბრალის ფორმის მიხედვით დაქირავებულის მონაწილეობა შეი-

არაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში, როგორც დანაშაული, შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების საშიშროება, რომ იგი აგროვებს, წვრთნის, აფინანსებს დაქირავებულ პირებს და სურს ჩააბას ისინი შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში და სურს ეს.

დანაშაულის სუბიექტია ყველა შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.

410-ე მუხლს ახლავს დამამძიმებელი გარემოებები. მუხლის მე-2 ნაწილი უფრო მძიმედ მიიჩნევს ზემოაღნიშნულ დანაშაულს, ჩადენილს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. უნდა შევნიშნოთ,რომ მე-2 ნაწილში ნახსენები „სამსახურებრივი მდგომარეობა" ფართოდ უნდა იყოს გაგებული. იგი მოიცავს როგორც თანამდებობრივ, ისე სხვაგვარ სამსახურებრივ საქმიანობასაც. როგორც წესი, იგი დაკავშირებულია დამნაშავის სამხედრო სფეროში საქმიანობასთან,თუმცა არ არის გამორიცხული, რომ გამოყენებულ იქნეს ცივილური სახელმწიფო მოხელის ავტორიტეტიც. ამრიგად, დანაშაულის სუბიექტი აქ სპეციალურია. მუხლის ამავე ნაწილი პასუხისმგებლობას ამძიმებს მაშინაც, როდესაც ხდება არასრულწლოვანი პირის დაქირავება.

სისხლის სამართალს **კოდექსის 410-ე მუხლის მე-3 ნაწილი** ითვალისწინებს დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას. კერძოდ, მასში ლაპარაკია დაქირავებულის მონაწილეობაზე შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში. თუ დაქირავებული პირი ამ ნორმის 1-ლ და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულია, განსაკუთრებით მე-2 ნაწილში, მუხლის მე-3 ნაწილში იგი დანაშაულის სუბიექტად გვევლინება.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს დაქირავებულის უშუალო მონაწილეობას საომარ აქციებსა თუ ოპერაციებში შეიარაღებული კონფლიქტისა თუ საომარი მდგომარეობის დროს. დანაშაული დამთავრებულია საომარი ოპერაციის დაწყების მომენტიდან. ზემოაღნიშნული ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, დანაშაულის ჩადენის მოტივი ანგარებითია, დაქირავებული მოქმედებს მატერიალური გასამრჯელოს მისაღებად, დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია – დაქირავებული პირი.

410-ე მუხლს ახლავს შენიშვნა, სადაც მოცემულია დაქირავებული პირის ამომწურავი ცნება. იგი სრულად შეესაბამება საერთაშორისო კონვენციებში, კერძოდ კი, ჟენევის 1949 წლის კონვენციის 1997 წლის პირველი დამატებითი ოქმის 47-ე მუხლით განსაზღვრულ დაქირავებულის ცნებასა და არსს, ასევე 1994 წელს კაცობრიობის მშვიდობისა

და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული კოდექსის პროექტში დაქირავებულის განმარტებას. მუხლის შენიშვნაში ხაზგასმულია, რომ დაქირავებულად ითვლება ის,ვინც არ არის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე და მოქმედებს მატერიალური გასამრჯელოსათვის, მუდმივად არ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ის, ვინც გაგზავნილი არაა ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ცნებიდან გამომდინარე, **დაქირავებულად არ შეიძლება ჩაითვალოს** შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე. მაგალითად,საქართველოს მოქალაქეს ვერ ჩავთვლით დაქირავებულ პირად,თუ საქართველო შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოა. მას უნდა ამოქმედებდეს მატერიალური გასამრჯელოს მიღების სურვილი. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ თუ პირი მოქმედებს სხვა მოტივითა და მიზნით,კერძოდ,მას ამოძრავებს არასწორად გაგებული პირადი ინტერესი, რაიმე იდეური მოსაზრება, ის დაქირავებულად ვერ ჩაითვლება.

შეიარაღებული კონფლიქტის ან საომარი მოქმედების მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებად ითვლება პირი, ვისაც ამ ქვეყანაში აქვს საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო, ჰყავს ოჯახი, ასევე გააჩნია ბინადრობის მოწმობა, ანუ ლეგალურად იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე. დაქირავებულ პირად არ შეიძლება ვცნოთ არამეომარი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ამ სახელმწიფოს მიერ გაგზავნილია ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად (მაგალითად, სამხედრო ინსტრუქტორი,მრჩეველი,რომლებიც გაგზავნილი არიან სხვა სახელმწიფოში ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე სამხედრო

კადრების მომზადების საქმეში დახმარების გასაწევად, დამკვირვებლები, ჟურნალისტები და სხვა).

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს (მუხლი 411-ე)

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საერთაშორისო სამართალში გამოყოფენ ახალ მიმართულებას – „საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს". იგი პირველად დოქტრინის სახით ჩამოყალიბდა, თუმცა მალე მან ნორმატიული სტატუსი მიიღო. საერთაშორისო ჰუმანიტა-

რულ სამართალში იგულისხმება როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოყენებული იურიდიული პრინცი პებისა და ნორმების სისტემა, რომელიც შეიარაღებული ბრძოლის წარმოებისას კრძალავს ან ზღუდავს ომის გარკვეულ საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებას,ადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ურთიერთსანაცვლო უფლებებსა და მოვალეობებს, უზრუნველყოფს კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვას და აწესებს პასუხისმგებლობას აღნიშნული პრინცი პებისა და ნორმების დარღვევისათვის.

ომის დანაშაულთა დასჯა კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის ხდებოდა. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟენევის 1949 წლის კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ და ასევე მისი პირველი დამატებითი ოქმი, მიღებული 1977 წელს, რომელიც ამ დანაშაულებს აკვალიფიცირებს, როგორც სერიოზულ დარღვევას. აღსანიშნავია, რომ ჟენევის კონვენციის ძირითადმა დებულებებმა ასახვა პოვეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე, 412-ე და 413-ე მუხლებში, რომლებიც კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ეხება. განსაკუთრებით დაწვრილებით განიხილავს ომის დანაშაულს რომის სტატუტი, რომლის მე-8 მუხლი ყველაზე ფართოდ ჩამოთვლის იმ დანაშაულებს, რომლებიც ექვემდებარებიან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას. სტატუტის მე-8 მუხლი ომის დანაშაულთა ორ კატეგორიას მოიცავს,ერთი ეხება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს, მეორე კი – არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე მუხლით სახელმწიფოთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევის **ობიექტური მხარე შემდეგ მოქმედებებში** გამოიხატება:

სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო პირებზე თავდასხმა. საერთაშორისო სამართალში არსებობს წესი, რომლის თანახმად სამოქალაქო მოსახლეობა, რომელიც ომში არ მონაწილეობს, ხელშეუვალობით სარგებლობს.

ზემოაღნიშნული დანაშაული დამთავრებულად ითვლება სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმის მომენტიდან.

სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე განურჩეველი თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობი-

ექტებს. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე ასევე ფორმალურ შემადგენლობას ქმნის. თუ სახეზეა სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლის გამოწვევის საფრთხე,ეს დანაშაული ასევე დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან.

გ) მომეტებული საშიშროების შემცველ ნაგებობაზე ან დანადგარზე თავდასხმა,როცა ცნობილია,რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს. მომეტებული საშიშროების მქონე ნაგებობასა და დანადგარში იგულისხმება ისეთი ობიექტები, როგორიცაა, მაგალითად, კაშხალი, ბიოლოგიური ექსპერიმენტის მიზნით შექმნილი ლაბორატორია და სხვა. სამოქალაქო ობიექტად ჩაითვლება სკოლა, სატრანსპორტო საშუალება, საავადმყოფო, კვების მრეწველობის საწარმო, წყალმომარაგების ობიექტი და სხვა;

დაუცველ ადგილზე ან დემილიტარიზებულ ზონაზე თავდასხმა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის ზონა, სადაც სამხედრო მოქმედება არ ხორციელდება, სადაც არ არსებობს სამხედრო დანადგარი;

პირზე თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ მან შეწყვიტა საომარ მოქმედებაში მონაწილეობა. ეს შეიძლება იყოს ყველა პირი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის ძალაუფლების ქვეშ იმყოფება, აშკარად გამოხატავს ტყვედ დანებების განზრახვას, გონება დაკარგული აქვს, ან სხვაგვარად, მწყობრიდან არის გამოყვანილი დაჭრის ან ავადმყოფობის გამო და ამიტომ არა აქვს თავის დაცვის შესაძლებლობა. მხოლოდ იმ პირობით, რომ ასეთი პირი თავს იკავებს რაიმე მტრული ქმედების განხორციელებისაგან და არ ცდილობს გაქცევას;

ვ) წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ანდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ აღიარებული სხვა დაცვითი ნიშნის ან სიგნალის ვერაგულად გამოყენება. ეს დებულება ასახულია „ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის კონვენციის პირველ დამატებით ოქმში. აკრძალულია არადანიშნულებისამებრ გამოყენებულ იქნეს კონვენციითა და ზემოაღნიშნული ოქმით გათვალისწინებული წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის ან წითელი ლომისა და მზის, ასევე სხვა ემბლემის, ნიშნის ან სიგნალის გამოყენება; ასევე შეიარაღებული კონფლიქტის დროს წინასწარი განზრახვით საერთაშორისოდ აღიარებული დამცავი ემბლემის, ნიშნის ან სიგნალის, მათ შორის, დაზავების დროშისა და კულტურულ ფასეულობათა დამცავი ემბლემის გამოყენება. კონვენცია ასევე კრძალავს გაეროს განმასხვავებელი ემბლემის გამოყენებას მისი თანხმობის გარეშე. აკრძალვა ეხება ასევე ნეიტრალური და სხვა სახელმწიფოების დროშის, სამხედრო ემბლემის, განმასხვავებელი სამხედრო ნიშნის გამოყ-

ენებას და სხვა.

რომის სტატუტში დამატებით მითითებულია, რომ აკრძალულია დროებით ცეცხლის შეწყვეტის აღმნიშვნელი ალმის,ეროვნული დროშის ანდა გაეროს,ან მოწინააღმდეგის განმასხვავებელი სამხედრო ნიშნისა და ფორმის, აგრეთვე ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული ემბლემის არასათანადოდ გამოყენება, რამაც ადამიანთა სიკვდილი ან მათი მძიმე ფიზიკური დაზიანება გამოიწვია;

ზ) ოკუპანტი ქვეყნის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა ანდა ოკუპირებული ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის, ან სამოქალაქო პირების დეპორტაცია, ან სხვაგვარი არასამართლებრივი გასახლება ამ ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ.

ზოგჯერ სამოქალაქო მოსახლეობის გასახლებას ამ ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ დანაშაულის სახე არ შეიძლება მიეცეს, იგი შეიძლება თვით მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარეობდეს, რამდენადაც ამ ტერიტორიაზე საომარი მოქმედება ხორციელდებოდეს. ამიტომაც არის, რომ დისპოზიციაში მითითებულია არამართლზომიერ გასახლებაზე;

სამხედრო ტყვეების ან სამოქალაქო პირების რეპატრიაციის უსაფუძვლოდ შეფერხება. 1949 წლის ჟენევის კონვენციის თანახმად, რომელიც სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის საკითხებს ეხება, სამხედრო ტყვედ ითვლება ის პირი, რომელიც მეომარი ქვეყნის ერთ-ერთი მხარის ბატონობის ქვეშ მოექცევა.

სამხედრო ტყვედ არ ჩაითვლება სამედიცინო-სანიტარიული და სასულიერო პერსონალი. ასევე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე,რომელიც კომბატანტის სტატუსით არ სარგებლობს, სამხედრო ტყვედ არ ჩაითვლება.

სამხედრო ტყვეების რეჟიმი, ძირითადად, რეგულირებულია 1949 წლის ჟენევის კონვენციით სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის თაობაზე.

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის მიხედვით,სერიოზულ დარღვევას მიეკუთვნება აპარტეიდის პრაქტიკა და პიროვნებისადმი სხვა არაჰუმანური მოქმედება, რაც გულისხმობს რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე მისი პატივისა და ღირსების ხელყოფას;

კ) მოწინააღმდეგე მხარის საკუთრებაზე, მათ შორის, ისტორიულ ძეგლზე,ხელოვნების ნიმუშზე ან საკულტო ადგილზე, როგორც ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილზე თავდასხმა, რამაც მისი განადგურება გამოიწვია.

სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე მუხლის 1-ლი ნაწილით

გათვალისწინებული **თითქმის ყველა დანაშაული დამთავრებულია** დანაშაულებრივი ქმედების დაწყების მომენტიდან. **თუმცა აქ გვხვდება დანაშაულის მატერიალური შემადგენლობაც,** მაგალითად, ისტორიულ ძეგლზე,ხელოვნების ნიმუშზე ან საკულტო ადგილზე,როგორც ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილზე თავდასხმა, რამაც მისი ხელში ჩაგდება ან განადგურება გამოიწვია.

ჩამოთვლილი დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნეს **პირდაპირი განზრახვით,** კონკრეტიზებული და არაკონკრეტიზებული ფორმით, ასევე განზრახვა შეიძლება იყოს განსაზღვრული და განუსაზღვრელი. დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული ფაქტობრივი შედეგი დანაშაულთა უმრავლესობისათვის არაკონკრეტიზებულია.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა პირი 14 წლის ასაკიდან. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, სუბიექტად ის სამხედრო მოხელე გვევლინება, რომელსაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით შეუძლია კანონსაწინააღმდეგო ბრძანების გაცემა.

სისხლის სამართლის კოდექსის **411-ე მუხლის მე-2 ნაწილი** ამძიმებს დამნაშავეთა პასუხისმგებლობას, როდესაც ხდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის დროს, მიმართული იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებაში ან არ აქვთ თავდაცვის საშუალება, აგრეთვე დაჭრილთა, ავადმყოფთა, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, სანიტარიული ნაწილის, სანიტარიული სატრანსპორტო საშუალების, სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო პირების, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საომარი მოქმედების ზონაში მყოფი სამოქალაქო მოსახლეობის, დევნილების, აპატრიდების, საომარი მოქმედების დროს დაცვით მოსარგებლე სხვა პირების წინააღმდეგ. შემდგომ, მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, თუ რაში გამოიხატა ჰუმანიტარული ნორმების განზრახ დარღვევა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე მუხლის მე-2 ნაწილი სრულად ასახავს როგორც 1949 წლის ჟენევის, ისე რომის სტატუტში გათვალისწინებულ დებულებებს.

1973 წლის 14 დეკემბერს მიღებულ სპეციალურ კონვენციაში დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ ვინ ითვლება დაცვით მოსარგებლე პირებად.

ყველა ზემოაღნიშნული პირის წინააღმდეგ მძიმე დარღვევებს ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგან მიეკუთვნება 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციით, რომის სტატუტისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე: 1) განზრახი მკვლელობა; 2) წამება ან სხვა არაჰუმანური მოპყრობა, სამედიცინო ექსპერიმენტის

ჩათვლით;

3) განზრახ მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ტრავმის მიყენება, რაც საფრთხეს უქმნის პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას; 4) სამხედრო ტყვის ან დაცვის მოსარგებლე სხვა პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში; 5) სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად წარმოების უფლების ჩამორთმევა სამხედრო ტყვისათვის ან დაცვის მოსარგებლე სხვა პირისათვის; 6) დაცვით მოსარგებლე პირის დეპორტაცია ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება ანდა დაპატიმრება; 7) მძევლად აყვანა; 8) თვითნებური და ფართომასშტაბიანი ნგრევა ან ქონების მითვისება, რაც არ იყო გამოწვეული საომარი აუცილებლობით.

ზოგიერთი დანაშაული, რომელიც კოდექსის ამ მუხლში არის გათვალისწინებული, ასევე წესრიგდება 408-ე მუხლითაც, სახელდობრ, დანაშაულით ადამიანურობის წინააღმდეგ, რაც, რა თქმა უნდა, კანონმდებლობის ხარვეზს წარმოადგენს.

კონვენციების საფუძველზე და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **411-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ დანაშაულთა შორის ერთ-ერთი მძიმე დარღვევაა** წამება ან სხვა არაჰუმანური მოპყრობა, სამედიცინო ექსპერიმენტის ჩათვლით, ასევე განზრახ მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ტრავმის მიყენება. ეს ქმედება გულისხმობს წამების გარდა სხვა არაჰუმანურ მოპყრობასაც. მასში იგულისხმება სამხედრო ტყვეთა მოკვლა, მოწინააღმდეგის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება, რაც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ხორციელდება იმ პირის ინტერესიდან გამომდინარე და იწვევს ამ პირის ან პირთა სიკვდილს ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.

სამხედრო ტყვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში, მძიმე დარღვევად ითვლება. ეს პირები, შეიძლება ინტერნირებულ იქნენ ბანაკებში, სადაც გარანტირებულ იქნება მათი საკვებითა და წყლით მომარაგება, ჯანმრთელობის დაცვა და ჰიგიენური პირობები.

ოკუპანტ ქვეყანას არა აქვს უფლება,აიძულოს დაცვით მოსარგებლე პირი იმსახუროს მის სამხედრო ან დამხმარე ძალებში, აკრძალულია, მათზე ზეგავლენა და პროპაგანდა არმიაში ნებაყოფლობით შესასვლელად.

საერთაშორისო კონვენციებითა და საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის **411-ე მუხლის მე-2 ნაწილით იკრძალება** სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად წარმოების უფლების ჩამორთმევა სამხედრო ტყვისა ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირისათვის. ამ შემთხვევაში ეს პირები სარგებლობენ ისეთივე უფლებებით, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სჯის იმ პირებს, რომლებიც მოახდენენ დაცვით მოსარგებლე პირთა დეპორტაციას ან სხვაგვარ არამართლზომიერ გასახლებას ან დაპატიმრებას. აკრძალულია ყველანაირი მოტივით დაცვით მოსარგებლე პირთა დეპორტაცია ოკუპირებული ტერიტორიიდან ოკუპანტ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ყველა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა ისინი ოკუპირებული.

მძევლად აყვანა, როგორც საერთაშორისო დანაშაულის მეტად მძიმე სახე, ხაზგასმულია მთელ რიგ კონვენციებსა და რომის სტატუტში. ამასვე არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ" პუნქტი.

კოდექსი ასევე სჯის იმ პირებს, რომლებიც განახორციელებენ თვითნებურ და ფართომასშტაბიან ნგრევას ან ქონების მითვისებას, რაც არ იყო გამოწვეული საომარი აუცილებლობით.

რაც შეეხება **„საომარი აუცილებლობის"** ცნებას, ის საერთაშორისო დოკუმენტებში არ არის ახსნილი. იგი შეფასებულ უნდა იქნეს აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობისა და მართლზომიერი, დასაბუთებული რისკის წესებით.

· ომიანობის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციით ოკუპანტ სახელმწიფოს მიერ მოძრავი და უძრავი ქონების განადგურება, რომელიც წარმოადგენს კერძო პირების ან სახელმწიფოს,თემის ან საზოგადოებრივი თუ კოოპერატიული ორგანიზაციის საკუთრებას – აკრძალულია, თუ იგი აბსოლუტურად აუცილებელი არ არის სამხედრო ოპერაციის განსახორციელებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ქონების მითვისება ოკუპანტი ქვეყნის მიერ და მისი გატანა, საერთაშორისო დანაშაულად ითვლება.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქონების მითვისება გულისხმობს მისი ყველანაირი საშუალებით გატაცებას,ოკუპანტი მხარის მიერ მის მფლობელობაში გადასვლას, ოკუპირებული ტერიტორიიდან ქონების გატანას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა **ბლანკეტურ ნორმას წარ-**

მოადგენს, რამდენადაც, მართალია, მუხლში ჩამოთვლილია კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებანი,მაგრამ მათ გასაშიფრად აუცილებელია მთელი რიგი საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენება. მუხლში მოცემულ დანაშაულთა უმრავლესობა მატერიალურ შემადგენლობას ქმნის და მისი დამთავრებისათვის აუცილებელია მავნე შედეგის დადგომა.

ყველა ეს დანაშაული **პირდაპირი განზრახვით** ხასიათდება, თუმცა შედეგის მიმართ შეიძლება არაკონკრეტიზებული განზრახვაც არსებობდეს.

დანაშაულის სუბიექტია ყველა ფიზიკური შერაცხადი პირი, რომელმაც თოთხმეტი წლის ასაკს მიაღწია.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დასახიჩრებით (მუხლი 412-ე)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე მუხლის განხილვისას განმარტებულია დაცვით მოსარგებლე პირის ცნება და მისი უფლებები შეიარაღებული კონფლიქტისა და საომარი მდგომარეობის დროს. 412-ე მუხლი კი მთლიანად ეთმობა მათ მიმართ განხორციელებულ რიგ ქმედებებს, რომლებიც გათვალისწინებული არ არის 411-ე მუხლის დისპოზიციაში.

ამ დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ომის წარმოებისა და შეიარაღებული კონფლიქტის გადაწყვეტის საერთაშორისო სამართლით აღიარებული წესები.

დანაშაული **ობიექტური ნიშნებით** გულისხმობს ზემოაღნიშნული პირებისათვის ისეთი სამედიცინო პროცედურის ჩატარებას, რომელსაც არ მოითხოვს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო ნორმებს. ობიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშნად დასახელებულია ისეთი ქმედება, რომელმაც გამოიწვია ფიზიკური დასახიჩრება. უნდა ვიგულისხმოთ ჯანმრთელობის დაზიანების ისეთი სახე, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანება გამოიწვია. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს ასევე დაცვით მოსარგებლე პირზე სამედიცინო ან სამეცნიერო ექს-

პერიმენტის ჩატარება. რომის სტატუტის მე-8 მუხლში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებით მძიმე დარღვევებს მიეკუთვნება მოწინააღმდეგის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება. მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება, რაც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ხორციელდება ამ პირის ინტერესებიდან გამომდინარე და იწვევს ან პირის სიკვდილს, ან სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს მის ჯანმრთელობას, მართალია, სტატუტში ზოგადად არის საუბარი მოწინააღმდეგის განკარგულებაში მყოფი პირების შესახებ,მაგრამ,ცხადია, რომ მათ რიცხვში იგულისხმება დაცვით მოსარგებლე პირიც.

ამ დანაშაულის **ობიექტური მხარის კიდევ ერთ ნიშანს** წარმოადგენს გადანერგვისათვის ოპერაციის ჩასატარებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თვით დაზარალებულის თანხმობა არ ათავისუფლებს პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

გამონაკლისი შეიძლება დაიშვას მხოლოდ სისხლის გადასასხმელად ჩაბარებისას ან კანის ქსოვილის გადასანერგად. მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს კეთდება ნებაყოფლობით, ყოველგვარი იძულებისა და

ძალდატანების გარეშე, თერაპიული მიზნით და ისეთ პირობებში, რაც შეესაბამება მედიცინის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, მიმართულს როგორც დონორის,ისე რეცი პიენტის საკეთილდღეოდ. დანაშაული დამთავრებულად ითვლება ზოგ შემთხვევაში მოქმედების განხორციელების მომენტიდან, ზოგჯერ კი, მავნე შედეგის დადგომიდან, მაგალითად, დანაშაულით გამოწვეული ფიზიკური დასახიჩრება.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ანგარება, შურისძიება, არასწორად გაგებული სამსახურებრივი ინტერესი და სხვა, მაგრამ მოტივი და მიზანი კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

412-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი.

ბრალის ფორმის მიხედვით დანაშაული განზრახია – მისი ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით.

სისხლის სამართლის კოდექსის 413-ე მუხლში საუბარია იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც არ შეიცავენ 411-ე და 412-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებას, კერძოდ კი, 413-ე მუხლის „ა“ პუნქტი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მაროდიორობისათვის.

კანონმდებელი მაროდიორობად მიიჩნევს საომარი მოქმედების დროს მოკლულის ან დაჭრილის ნივთის დაუფლებას, აგრეთვე მოქალაქეთა იმ ქონების დაუფლებას, რომელიც დატოვებულია საომარი მოქმედების ზონაში. ასევე დასახლებული პუნქტის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის გაძარცვა. მაროდიორობის დროს დამნაშავე შეიძლება აშკარად ან ფარულად დაეუფლოს იმ ქონებას, რომელიც უშუალოდ მოკლულს ან დაჭრილს ეკუთვნის. ამასთან, მაროდიორობად ჩაითვლება ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ომში ან შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის მიერ. დანაშაულის შემადგენლობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, ვის საკუთრებას წარმოადგენდა დატაცებული ქონება: ეკუთვნოდა იგი დაზარალებულს თუ სახელმწიფოს.

ამ დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის ბრძოლის ველზე მოკლულის ან დაჭრილისაგან ისეთი ნივთების ამოღება, როგორიაა იარაღი, საბრძოლო მასალა ან სხვა ქონება,თუ მას არ ახლავს ანგარების მოტივი.

ამ ნივთების დაუფლების მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს საბრძოლო მოქმედებაში იარაღის მტრის წინააღმდეგ გამოყენება.

ბრძოლის ველში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ ფრონტის ხაზი, არამედ ზურგიც, როდესაც მონინააღმდეგე თავს ესხმის მოსახლეობას საჰაერო სივრციდან ან ზღვიდან. მაროდიორობად უნდა დაკვალიფიცირდეს, კერძოდ, იმ პირების ქონების დაუფლებაც, რომლებიც დაილუპნენ მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის შედეგად, მაროდიორობად ითვლება დაჭრილთა ქონების დაუფლება მათი ბრძოლის ველიდან გაყვანისას სამედიცინო პუნქტში მოსათავსებლად. მაგრამ თუ დამნაშავე დაჭრილის ქონებას დაეუფლა სამედიცინო დახმარების პუნქტში ან სამხედრო ჰოსპიტალში, ქმედება უკვე სხვა დანაშაულის შემადგენლობას ქმნის, კერძოდ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

ზემოაღნიშნული დანაშაული მატერიალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება და დამთავრებულია ქონების დაუფლების მომენ-

ტიდან. იგი ყოველთვის პირდაპირი განზრახვით ხორციელდება.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი,თუმცა,უმეტეს შემთხვევაში,მაროდიორობას სამხედრო მოსამსახურეები სჩადიან.

კოდექსის 413-ე მუხლის „ბ“ პუნქტით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმ პირს,ვინც მოქალაქეებს გამოიყენებს ჯარის ან ობიექტების სამხედრო ოპერაციებისაგან დასაცავად. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე ფორმალურ შემადგენლობას მიეკუთვნება და მისი დამთავრებულად ცნობისათვის სავალდებულო არ არის მავნე შედეგის დადგომა. თავისთავად,მოქალაქეების გამოყენების ფაქტი,ჯარის ან ობიექტის სამხედრო ოპერაციისაგან დასაცავად, დანაშაულს უკვე დამთავრებულად აცხადებს.

413-ე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულიც **პირდაპირი განზრახვით ხორციელდება**.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივი სხვადასხვა შეიძლება იყოს, მათ შორის, არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესიც. ხოლო სუბიექტი, ძირითადად, მაღალი რანგის სამხედრო პირია,რომელსაც შეუძლია გასცეს ბრძანება სამოქალაქო მოსახლეობის გამოყენების შესახებ ჯარის ან ობიექტების სამხედრო ოპერაციებისაგან დასაცავად.

განსაკუთრებით მძიმეა სისხლის სამართლის კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას სამხედრო ოპერაციაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში ისეთი საშუალების, მასალის ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებისათვის, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 413-ე მუხლის „გ“ პუნქტში გათვალისწინებული დანაშაულისაგან სს-ვი დაცვის ობიექტია ომის ან საერთაშორისო კონფლიქტის გადაწყვეტის წესების დაცვის სფეროში წარმოშობილი საერთაშორისო ურთიერთობები. კოდექსის 404-ე მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც კრძალავს აგრესიულ ომს მისი დაგეგმვის მომენტიდან, ჟენევის კონვენცია ადგენს დასჯადობას ომისა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს არაადამიანური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებისათვის, იმისდა მიუხედავად, შეიარაღებული კონფლიქტი დაკავშირებული იყო აგრესიასთან თუ არა.

რაც შეეხება მასობრივი განადგურების იარაღის, საშუალებისა და მასალის ცნებას, იგი ძირითადად ეყრდნობა ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციასა და მის პირველ დამატებით ოქმს,ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებას, რომელიც

მიღებული იყო გაეროს უფლებამოსილ წარმომადგენელთა დი პლომატიურ კონფერენციაზე (რომის სტატუტი).

სისხლის სამართლის კოდექსის 413-ე მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე ზემოაღნიშნული საშუალების, მასალის ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებაში გამოიხატება. იგი დამთავრებულია მისი გამოყენების მომენტიდან.

ამ მუხლის „დ“ ქვ-ით გათვალისწინებული ამ დანაშაულის ჩადენა შეიძლება **მხოლოდ პირდაპირი განზრახვით**, რომელიც შეიძლება იყოს როგორც კონკრეტიზებული, ისე არაკონკრეტიზებული, განსაზღვრული და განუსაზღვრელი, ფაქტობრივი ზიანის ოდენობის გათვალისწინება, როგორც წესი, არ არის კონკრეტიზებული. **დანაშაულის სუბიექტია** შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. მაგრამ როგორც მეორე მსოფლიო ომის მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი, ასევე ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდის სამხედრო დამნაშავეთა გასასამართლებლად შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალების საქმიანობა მოწმობს, პრაქტიკა, ძირითადად, უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საქართველოს სისხლის სამართლის 413-ე მუხლის ბოლო „დ“ პუნქტი ეხება ომის სხვა დანაშაულს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და არ ისჯება ამ კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებით. ჩვენი აზრით, გაუმართლებელია ამ მუხლის „დ“ პუნქტში მითითებული ომის სხვა დანაშაულის ასეთი ფართო გაგება. ეს დიდ სიძნელეებს შეუქმნის სასამართლო ორგანოებს დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის საქმეში. იმის გარკვევა, მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედება ომის დანაშაულს, გათვალისწინებულს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით, მოითხოვს ამ ხელშეკრულებათა ღრმა ცოდნას, რაც დღეს თითქმის შეუძლებელია, თუნდაც იმის გამო, რომ მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებისა,რომელსაც საქართველომ ხელი მოაწერა,ან მიუერთდა, ქართულ ენაზე ოფიციალურად თარგმნილიც კი არ არის. ამას გარდა, 413-ე მუხლის „დ“ პუნქტის ამოქმედება ხომ არ ნიშნავს შენილბული ფორმით სისხლის სამართალში კანონის ანალოგიის შემოღების მცდელობას პირის საზიანოდ. ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩამდენ პირს შეიძლება რეალურად დაუმძიმდეს პასუხისმგებლობა

ამ მუხლს აქვს შენიშვნა, რომლის მიხედვითაც: ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულისათვის შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე შეიარაღებული ძალების ანდა მათი ქვედანაყოფების მეთაური ან/და სხვა ხელმძღვანელი პასუხს აგებს ამ თავის შესაბამისად **იმ შემთხ-**

ვევაშიც, როცა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა მის ხელმძღვანელობას ან/და კონტროლს დაქვემდებარებულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რაც გამოწვეული იყო მეთაურის ან/და სხვა შესაბამისი ხელმძღვანელის უმოქმედობით.

როგორც **ვხედავთ, სს-ვი პასუხისმგებლობისათვის საკმარისია ისეთი შემთხვევაც,** როცა მართალია, შეიარაღებული ძალების ან მისი ქვედანაყოფის მიერ ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა არ მომხდარა მეთაურის ბრძანებით, **მაგრამ მეთაურმა იცოდა** ასეთი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შესახებ და არავითარი ზომები არ გაატარა მის აღსაკვეთად, რაც მას სამსახურებრივად ეჭალებოდა.

უკეთუ მეთაურმა არ იცოდა მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალების მხრიდან ამგვარი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შესახებ (მაგალითად, არ იცოდა, რომ მზადდებოდა ამგვარი დანაშაული), მაშინ მეთაურის სს-ვი პასუხისმგებლობა ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე მუხლით გამორიცხულია, რადგან სსკ ამ თავში სახეზეა განზრახი დანაშაულები.

ხოლო ის ფაქტი, რომ მეთაურს ევალებოდა და შეეძლო გაეთვალისწინებინა დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალების მხრიდან ამ თავის გათვალისწინებული რომელიმე განზრახი დანაშაულის ჩადენა, რაც მან არ გაითვალისწინა თავისი დაუდევრობის გამო, მეთაურის მხრიდან გაუფრთხილებლობის გამოვლინებაა და არა განზრახვისა. შესაბამისად, მეთაურის უმოქმედობა თუ მისი გაუფრთხილებლობის გამოვლინება იყო, სს-ვი პასუხისმგებლობის დაკისრება სსკ 342-ე მუხლით (სამსახურებრივი გულგრილობა) იქნება შესაძლებელი. სამხედრო მეთაური თუნდაც უცხო ქვეყნის მოქალაქე იყოს, სსკ 332-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით იგი შეიძლება ჩაითვალოს სამოხელეო დანაშაულის სუბიექტად როგორც მოხელესთან გათანაბრებული პირი.

ტექ. რედაქტორი **თამარ სტეფნაძე**

ნაბეჭდი თაბახი 26,5

ტირაჟი 300 ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E-mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

